K 199.27
2

გუთანი

ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი

შედგენილი

ქუთაისის საზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების

ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ

К 1927/2

მესამე დასურათებული გამოცემა.

ჯეროვანის მთავრობის მიერ
ეს წიგნი ცნობილია სახელმძღვანელოდ ყველა შკოლათათვის,
სადაც ქართულს ენას ასწავლიან
და ქუთაისის ეპარქიის სასულიერო შკოლათათვისაც

ქუთაისი
ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. განყ. სტამბა.
1914

1909 года ноября 24 дня Попечительскимъ Совѣтомъ Кавказскаго Учебнаго Округа разрѣшено допустить учебникъ грузинскаго языка «Гутани» къ употребленію во всѣхъ школахъ, гдѣ преподается грузинскій языкъ.

წინასიტყვაობა.

ჩვენი განზრახვა იყო, ქართველთა ოჯახისა და შკოლისათვის ისეთი სახელმძღვანელო მიგვეწოდებია, რომ მას შესძლებოდა: 1, განევითარებია მოზარდთა გონება ცხოვრებისა და ბუნების გაცნობით; 2, აღეძრა და განემტკიცებია მათს გულსა და გონებაში უძვირფასესი კაცობრივული გრძნობანი: სიყვარული, ძმობა, სიბრალული, თანაგრძნობა ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა და უბედურებასა და ტანჯვაში ჩავარდნილთადმი; 3, მიეცა მათთვის იმ მოვალეობის შეგნება, რომ გულწრფელად ემსახურონ თავის სამშობლოს, ყოველს საზოგადოებას და, შეძლებისამებრ, მთელს კაცობრივობას; 4, შთაენერგა მათში პატივისცემა და სიყვარული პატიოსან შრომისა და მშრომელთადმი, მეცნიერებისა და მის გამავრცელებელთადმი და 5, მოემზადებინა მოზარდთა გონება სწორ და მტკიცე ლოღიკურ აზროვნებისათვის, რომ მათ სცოდნოდათ აზრთა სისწორით გაგება, შეთვისება და ლოღიკურის თანდათანობით და შეკავშირებით გარდაცემა, ჯეროვანის სისწორით განზოგადება და დასკვნა.

ამ მიზნის მიხედვით, წიგნის მასალად ჩვენ ავირჩიეთ მოთხრობები, არაკები და ლექსები, რომლებშიაც გამოხატულია ადამიანთა ურთიერთობა ოჯახში, კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრების სფერაში, ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრება და ბუნების ოთხი სტიქიონის რამდენიმე მოვლენა.

წიგნი ოთხ განყოფილებად არის განაწილებული: პირველი «კაცთა შორის», მეორე «ცხოველთა შორის», მესამე «მცენარეთა შორის» და მეოთხე «ოთხი სტიქიონი».

პირველი განყოფილება (კაცთა შორის) ხუთს თავს შეიცავს, რომელთაგან «ოჯახი» მოწაფეს თვალ წინ უშლის მის მახლობელ გარემოებას, განუმარტებს ოჯახის წევრთა დამოკიდებულებას და უთითებს მასზე, რომ წევრთა შორის ჭიშმა-

რიტი სიყვარული სრული თავდებია ოჯახისა და მის წევრთა ბედნიერებისა. **ო**ჯახს შემდეგ ბავშისათვის ყველაზე უფრო მახლობელია ტოლამხანაგობა, სადაც ამხანაგთა შორის გონიერი და გულითადი დამოკიდებულება არსდება ხოლმე; პირველი საძირკველი კაცთა შორის ადამიანურის და ჰუმანური ურთიერთობისა, ჩვენის აზრით, აქ იწყება. **ა**მიტომ მეორე თავში (ტოლამხანაგობა) განმარტებულია ტოლების ურთიერთობა სხვადასხვა გარემოებაში, განსაკუთრებით-კი შკოლაში, სადაც მომავალი საზოგადო მოღვაწის გული და გონება იწვრთნება. **მ**ესამე თავში (გარეშენი) გამოხატულია ურთიერთობა გარეშეთა შორის. **რ**ოგორც აქ, ისე წინა თავებში მოყვანილია ისეთი ნიმუშები, რომლებშიაც გამოიხატება კეთილ-შობილური, ჭეშმარიტი ადამიანური განწყობილება, და ეს კი იმიტომ, რომ ყმაწვილის გულსა ღა გონებაში ჰუმანურ გრძნობათა ჩასანერგავად და განსამტკიცებლად დარიგება და მსჯელობა იმდენად არ მოქმედობს, რამდენადაც ისეთი ცოცხალი სამაგალითო ნიმუშები, რომლებშიაც დასურათებულია მაღალი კეთილშობილური განწყობილება ადამიანთა შორის. **ა**ქა-იქ კაცთა შორის უკეთესი ურთიერთობის ნიმუშებიც მოვიყვანეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათთან შედარებით უფრო ცხადათ დაგვეხატა საუკეთესო მხარე კეთილშობილურ ურთიერთობისა. **მ**ეოთხე თავში (სამშობლო), სადაც დასურათებულია ადამიანის სამშობლოსთან განწყობილება, ვუთითებთ იმაზე, რომ თავგანწირული სამშობლოს სიყვარული ყოველს კაცს აშვენებს და აკეთილშობილებს. **მ**ეხუთე თავში (კაცობრივობა) გამოხატულია უმაღლესი სამსახური ყოველგვარ საზოგადოებისა და მთელი კაცობრივობისა. **მ**ეექვსე თავში (შრომა და ცოდნა) ნაჩვენებია, რომ მარტო საუკეთესო გრძნობათა განვითარება არ კმარა; საჭიროა დაუღალავი შრომისმოყვარეობა და მისწრაფება ცოდნის შეძენისადმი. **ა**მით თავდება პირველი განყოფილება, რომელშიაც გამოთქმულია, თუ როგორი უნდა იყოს თვითოეული კაცი ცხოვრების ყოველს სფერაში. **ა**მიტომაც ამ განყოფილებას «კაცთა შორის» ვუწოდეთ.

მეორე განყოფილება „ცხოველთა შორის“ შვიდ თავად არის განაწილებული: 1) ძუძუმწოვარნი, 2) ფრინველნი, 3) ქვეწარმავალნი, 4) თევზები, 5) მწერები, 6) ობობები, კიბოები და ჭიები და 7) რბილსხეულიანები, პოლიპები და მიკროსკოპიული ცხოველები.

ეს განყოფილება იწყება ისეთი მოთხრობებით, რომლებშიაც გამოხატულია კაცთა და ცხოველთა შორის განწყობილება. **ჩ**ვენ გვინდოდა, ამ განყოფილებაში აღგვენიშნა, რომ ცხოველებსაც სიყვარულის გრძნობა იმდენათ განვითარებული აქვთ, რომ ხანდახან ისინი თავგანწირულებასაც არ ერიდებიან; რომ დიდი სათუთობით და მზრუნველობით უვლიან და ზრდიან თავის შვილებს და მთელ თავის სიცოცხლეს არსებობისათვის ბრძოლაში ატარებენ: გაჭირვებით შოულობენ სარჩოს, ებრძვიან და იცერებენ მტრებს, პოულობენ ბინასა და სადგურს; იმათ შორისაც ვხედავთ საზოგადოებრივსა და სოლიდარულ ცხოვრებას, რომელიც შველის მათ მტერთან ბრძოლაში, შიმშილსა და სიცივეში და ყოველ გაჭირვებაში. **თ**ვითოეული ნაწილი ამ განყოფილებისა თავდება ცხოველების ჯგუფთა მოკლე აღწერილობით.

მესამე განყოფილებაში მოყვანილია ცნობები მცენარეთა შესახებ და ახსნილია, როგორ იკვებება და იზრდება მცენარე, როგორ მრავლდება იგი და როგორ იცავს არსებობას, რა სარგებლობას აძლევს ადამიანს და ცხოველებს და, დასასრულ, რა განწყობილება არსებობს ცხოველთა და მცენარეთა შორის.

მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულია მოთხრობები, რომლებშიაც ბუნების ოთხის სტიქიონის რამდენიმე მოვლენაა აღწერილი იმის შესაგნებად, რომ უამათოთ არ შეიძლება არც მცენარეთა, არც ადამიანთა ცხოვრება და არც არავითარი სიცოცხლე.

წიგნის ბოლოს აღნიშნულია, რომ ადამიანი, როგორც მაღალის გონებით აღჭურვილი არსება, ყოველსავე იმორჩილებს, ყოველსავე ბატონობს ქვეყანაზე და ცდილობს, თვისი ცხოვრება ოჯახსა და საზოგადოებაში ღვთისნიერად მოაწყოს.

მაგრამ მხოლოდ მრავალგვარი ცნობების გადაცემა და კეთილი ნაყოფიერი ნიმუშების გაცნობა არ ეყოფა მოსწავლეს გონების სავარჯიშოდ. **ს**აჭიროა ამასთანავე, რომ მას აღეძრას და განუმტკიცდეს სწორი ლოღიკური აზროვნება, საჭიროა, რომ ლოღიკურის სისწორით წაკითხული შეიგნოს და მისი გადაცემა შესძლოს.

ამის მიხედვით, თითქმის ყოველი სტატია პირველი განყოფილებისა ნაწილ-ნაწილად დავყავით და სტატიების ბოლოში კითხვები, სათაურები და ისეთი ფრაზები ჩავურთეთ, რომელთა შემწეობითაც მოსწავლეს შეეძლება ჯერ მასწავლებლის დახმარებით და მერმე თავის თავად სტატიების მოკლე შინაარსის გადმოცემა და მთავარი აზრის გარსაზღვრა. **ე**ს კითხვები და ფრაზები მაინცა და მაინც სავალდებულოდ არ მიგვაჩნია მასწავლებლისათვის: მას შეუძლია უფრო მოხერხებული და შესაფერი კითხვები და ფრაზები იხმაროს სამაგიეროდ, ეგ მის ცოდნასა და ხელოვნებაზე იქნება დამოკიდებული. **ს**ტატიების დანაწილებაც სხვა რიგად შეიძლება, მხოლოდ საჭიროა, თითოეული ნაწილი სხვა ნაწილებთან მტკიცედ დაკავშირებული და შეგნებული იქმნეს მოსწავლის-მიერ.

როცა მოსწავლე სტატიის გაგებას და მის ნაწილთა ლოღიკურად გადაბმას მიეჩვევა, როცა წაკითხული სტატიის უმთავრესი აზრის განსაზღვრა გაუადვილდება, მაშინ შეიძლება მოსწავლეს ერთბაშად წააკითხონ სტატიის რამდენიმე ნაწილი და მოსთხოვონ შინაარსის გადმოცემა მოკლედ, რომ მასწავლებელი მიხვდეს, რამდენად გაუგია მოწაფეს წაკითხულის ნაწილები. **ბ**ოლოს მთელი სტატია უნდა წააკითხონ განუწყვეტლად და მთელი შინაარსი უნდა მოაყოლონ ზეპირად ან წერილობით ჯერ მოკლედ, მერმე დაწვრილებით და განსაზღვრონ უმთავრესი აზრი სტატიისა.

უფრო განმარტებით რომ ვსთქვათ, ჩვენ ვთხოულობთ, რომ 1) კითხვების შემწეობით მოსწავლემ შეითვისოს სტატიის ყველა ნაწილის აზრი; ამასთანავე თუ გასარჩევი ნაწილი ძნელი გამოდგება, იგი კიდევ წვრილმანად დანაწილდეს, ხოლო

როცა სტატიის შინაარსი ადვილია, მაშინ-კი რამდენიმე მისი ნაწილი გაერთიანებულ იქმნას; 2) კითხვების შემწეობით გამოკვლეულ იქმნას ლოგიკური კავშირი სტატიის ნაწილთა შორის; 3) გადმოცემულ იქმნას პლანისამებრ სტატიის შინაარსი როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით მოკლედ და ვრცლად: 4) განსაზღვრულ იქმნას უმთავრესი აზრი მთელის სტატიისა.

ამას გარდა საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოს თითოეულს სტატიას წინა სტატიასთან შინაგანი კავშირი აქვს და ამიტომ რამდენისამე სტატიის შინაარსის განზოგადება ადვილად შესაძლებელია.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ პირველ განყოფილების სტატიების გავლის დროს მასწავლებელს შეუძლია არჩევით შესაფერი სტატიები მეორე განყოფილებიდანაც გაიაროს. **მ**ხოლოდ მათი შინაგანი კავშირი უთუოდ მტკიცედ უნდა იქნეს დაცული; მაგალითად, როცა პირველ განყოფილებიდან გაივლიან იმ სტატიებს, რომლებშიაც გამოხატულია მშობლიური სიყვარული, მაშინ შეიძლება წაკითხულ იქნას მეორე განყოფილებიდან შესაფერი სტატიები, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ უყვართ და ზრდიან ცხოველები თავის შვილებს; პირველ განყოფილების წაკითხვას შემდეგ, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობას ასურათებენ, შეიძლება მეორე განყოფილების სტატიები წაიკითხონ, რომლებშიაც ცხოველთა მეგობრობაზეა ნაამბობი; ეგ უფრო იმის გამო არის შესაძლებელი, რომ პირველი მოთხრობები მეორე განყოფილებისა ისე ადვილია შინაარსით, როგორც შესაფერი სტატიები პირველის განყოფილების.

არა თუ რამდენისამე სტატიის, არამედ მთელის თავის ყველა სტატიების ზოგადი აზრით გადამბა შესაძლებელია, თუ წაკითხული და შეგნებული აქვთ მოსწავლეებს, როგორც ზემოხსენებული პლანი მოითხოვს. **მ**აგალითად, პირველის თავის სტატიათა შინაარსი შეიძლება შემდეგი სახით მოკლეთ ასე გამოითქვას:

კარგი შვილი ახარებს და ანუგეშებს მშობლებს (ოჯახის

გამხარებელნი); მშობლისათვის ისეთი შვილიც დიდი მანუგეშებელია, რომელსაც ფიზიკური ნაკლი ამახინჯებს (დედა); დედა იტანჯება, როცა შვილს შორდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახიფათო გარემოებაში ეგულვება (დედის სიმღერა), ამავე გრძნობას განიცდიან ფრინველნიც (დედა-ჩიტი, დედა-არწივი, დედა-ბეღურა) და ცხოველნიც (დედა-ვეფხვი), სიყვარული ძლიერი გრძნობაა, მით განმტკიცდება და მოძრაობს ცხოვრება (ბეღურა); კეთილ-განწყობილ ოჯახში შვილებსაც დიდათ უყვართ თავისი მშობლები; ისინი მწუხარებას ეძლევიან მშობელთა ავათმყოფობის გამო და ზრუნვენ მათი სიმრთელის (ბედნიერი დღე, ავათმყოფ მამასთან) და ეხმარებიან მათ გასაჭირსა და სიღარიბეში (პატარა ფლორენციელი მწერალი); როცა მშობლები ეხოცებათ, შვილები უბედური შეიქნებიან (მშობლიური კერა, მამის წერილი ენრიკოსთან, ობოლი); როცა შვილები უკვდებათ, მშობლებიც უბედურად სთვლიან თავის თავს (საახალწლო სურათი); კეთილს ოჯახში ძმები, დები და ოჯახის სხვა წევრებიც სიყვარულით ეპყრობიან ერთმანეთს (ორი ძმა, დის სიმღერა, დის წერილი ენრიკოსთან, ლვთის შვილი).

სტატიების ამგვარ დაკავშირებას შემდეგ მთელი პირველის თავის უმთავრესი იდეის განსაზღვრაც ადვილია: ოჯახის წევრთა ერთმანეთის სიყვარული არის თავდები როგორც მთელი ოჯახის, აგრეთვე ოჯახის წევრთა ბედნიერებისა. ამ გვარადვე შეიძლება შეკავშირდეს შინაარსი სხვა თავების სტატიებისა და გამოყვანილ იქმნას ზოგადი იდეა.

როცა მოწაფეებს აეხსნებათ კავშირი სხვადასხვა თავების იდეათა შორის, მაშინ ისინი ადვილად შეიგნებენ სრულს აზრს მთელის განყოფილებისას და შესძლებენ მისი შინაარსის მოკლედ გარდმოცემას. მაგალითად, პირველ განყოფილების (კაცთა შორის) შინაარსი შეიძლება შემდეგი კითხვების საშუალებით გარდმოიცეს: როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი ოჯახში, როგორი — კერძო და საზოგადო ცხოვრებაში, როგორ უნდა ეპყრობოდეს იგი სამშობლოს, ყოველგვარ საზოგადოე-

ბას და მთელ კაცობრიობას. ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ, რით შეიძლება ადამიანი საზოგადოების სასარგებლო გახდეს (შრომითა და ცოდნით).

ᲧᲕᲔᲚᲐ ჩამოთვლილი სავარჯიშონი, ვფიქრობთ, ნაყოფიერს გავლენას იქონიებს მოზარდთა გონებასა და ნიჭზე, გაუწვრთნის ჭკუას და შეაჩვევს მას პლანით და სისტემით შეიგნოს ყოველი შესასწავლი მასალა და პლანით და სისტემითვე გადმოსცეს ყოველივე შესწავლილი როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც და შეგნებულისაგან მტკიცე ზოგადი აზრი და დასკვნა გამოიყვანოს.

ᲐᲛᲘᲗ ვათავებთ ჩვენი წიგნის წინასიტყვაობას და თან საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: 1) ეს წიგნი დანიშნულია მესამე და მეოთხე სასწავლო წლებისათვის (ვგულისხმობთ, რომ მოსწავლეთ რაციონალურად ექმნებათ შეთვისებული პირველი ორი წლის კურსი); 2) თუმცა დიდი სურვილი გვქონდა, რომ სახელმძღვანელო ჩვენის სამაგალითო მწერლების ნაწარმოებით აგვევსო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან წიგნის პროგრამის შესაფერი ყველა საჭირო მასალა ჩვენს სამშობლო ლიტერატურაში ვერ ვიპოვეთ.

1908 წ.

სარჩევი

კაცთა შორის

I

ოჯახი.

	გვერდი.
ბედნიერი ოჯახი, ლექსი რ. ერისთავისა	3
ოჯახის გამხარებელნი, ლექსი შ. მღვიმელისა	5
დედა, ლუკაშევიჩისა	7
დედის სიმღერა, ლექსი აკაკი წერეთლისა	9
დედა-ჩიტი, ილია ჭავჭავაძისა	10
დედა-არწივი, რუსულიდან	12
დედა-ვეფხვი, «ჯეჯილიდან».	13
ბელურა, ნათარგმნი ი. ჭავჭავაძისა	19
ბედნიერი დღე, დუტუ მეგრელისა	20
პატარა ფლორენციელი მწერალი, დე-ამიჩისისა	25
ავათმყოფ მამასთან, მისივე	33
მშობლური კერა, ი ჭავჭავიძისა	41
მამის დარიგება, დე-ამიჩისისა	43
ობოლი, ლექსი შ. მღვიმელისა	44
საახალწლო სურათები, «ჯეჯილიდან»	46
ორი ძმა, საბა ორბელიანისა	49
დის სიმღერა, ლექსი აკაკი წერეთლისა	50
დის წერილი ენრიკოსთან, დე-ამიჩისისა	50
ლვთის შვილი, ეკატერინე ბაბაშვილისა	51

II

ტოლამხანაგობა.

ბლეხის შვილის ნაამბობი, ი. ჭავჭავაძისა	60
ოჯახიდან შკოლისკენ	63

ქეთილი ამხანაგი, დე-ამიჩისისა 68
მოწყალე დიტო, თომაშვილისა 70
ბრიგოლი, გ. ბოკერიასი 73
ბეჯითი მოწაფე, ლექსი ნ. ლომაურისა . . . 78
მამის წერილი ენრიკოსთან, დე-ამიჩისისა . . . 79
უპატრონო ბოგუცა, პოლონურიდან . . . 81
ოჯახის ბურჯი, ე.კ. ბაბაშვილისა 85
ბიგას მოწყალება, «ჯეჯილიდან» 92
უბედური შემთხვევა, დე-ამიჩისისა 96

III

ბ ა რ ე შ ე ნ ი.

თავდებობა, გადმოღებულია 98
მღვდლის გულკეთილობა, ი. ჭავჭავაძისა . . . 101
თამროს შეხვედრა, ე.კ. ბაბაშვილისა . . . 104
ბულმა გული იცნო «ჯეჯილიდან» . . . 108
ჭეშმარიტი მოძღვარი 114
მოყვასის სიყვარული, ი. ჭავჭავაძისა . . . 117
სამაგალითო სულგრძელება, გადმოღებულია . . 121
მხედარი, აღმოსავლეთის თქმულება, ცახელისა . . 122
თურქი და არაბი, გადმოღებულია 128
ბულკეთილი მელა, აკაკი წერეთლისა . . . 132
უბრალოდ დასჯილი ტუსაღი, ანდერსენისა . . 134
ქეთილისა წილ ბოროტი, ი. ჭავჭავაძისა . . . 136
მგელი და წერო, ცახელისა 141
მტრული მეზობლობა, ეგნ. ნინოშვილისა . . . 142
ქაცია საგუნაშვილის ჯიუტობა, დ. ქლდიაშვილისა . 146
ქაციას შურისძიება, მისივე 148
ქაცია საგუნაშვილის სიკვდილი, მისივე . . . 152

IV

ს ა მ შ ო ბ ლ ო.

სამშობლო ხევსურისა, ლექ. რაფ. ერისთვისა . . 156
სამშობლოს და პატიოსნების დაცვა, ტიხომიროვისა . 157

ღვთისნიერი სალდათი, მისივე 159
ბანთიადი, ლექსი აკ. წერეთლისა 163
პატარა გმირი, დე-ამიჩისისა 164
პაწია მამულიშვილი, მისივე 169
ყრმას, ლექსი ი. ჭავჭავაძისა 171
ღამურა, არაკი აკ. წერეთლისა 171
სამშობლოს სიყვარული, დე-ამიჩისისა . . . 172
ქართვლის დედას, ლექსი ი. ჭავჭავაძისა . . . 173
ჩემო კარგო ქვეყანავ, ლექსი მისივე . . . 175
მეფის გვირგვინი, მღვ.ბრ. პეტროვისა . . . 175
სიზმარი, ლექსი აკ. წერეთლისა 176
ლოცვა, ლექსი ი. ჭავჭავაძისა 177

V

კ ა ც ო ბ რ ი ვ ო ბ ა.

პოეტი, ლექსი ილ. ჭავჭავაძისა 179
მღვდელი ობერლეინი, გადმოღებულია . . . 180
რკინის გზის დარაჯი, ტიხომიროვისა . . . 184
მესაჭე, მისივე 185
მუშა, ლექსი ილია ჭავჭავაძისა 187
ბარრიეტ ბიჩერ-სტოუ 189
ვინ არის ჩემი მოყვასი, ლექსი გადმოკეთებულია . 193
ბუტენბერგი 195
ჯემს უატტი 197
რობერტ ფულტონი 199
ჯენერი 202
ლუი პასტერი 205

VI

შ რ ო მ ა დ ა ც ო დ ნ ა.

შრომისა და ცოდნის მნიშვნელობა, ილია ჭავჭავაძისა 209
ქვიშხეთის მთებში, ლექსა ს. ხუნდაძისა . . . 211

ბუთნის დედა, ლექსი ილია ჭავჭავაძისა . . . 213
ვინ რას აკეთებს, გადმოკეთებულია 215
შრომის გაცვლა-გამოცვლა, გამდოკეთებულია . . 215
უცხოელებთან ვაჭრობა, გადმოკეთებულია. . . 216
ხარაბუზა და ფუტკარი, ლექსი აკაკი წერეთლისა . 217
სწავლა მოსწავლეთა, ლექსი დ. ბურამიშვილისა . 218
ზღვა, ლექსი აკ. წერეთლისა 219
სწავლის საჭიროება, ილია ჭავჭავაძისა . . . 220
ვირი და ბულბული, გრ. ორბელიანასა . . . 225
ცხოვრების ორი გზა, ბერძნულიდან . . . 226
ადამიანი, ლექსი მ. გურიელისა 227

ცხოველთა შორის.

I

ძუძუმწოვარნი.

ბედუინი და მისი ცხენი, გადმოღებულია . . . 229
ერთგული ძაღლი, გადმოღებულია 231
შველი, ვაგნერისა 233
ზღვის ლომი, მისივე 235
პატარა მაიმუნები, მისივე 238
როგორ იჭერს მელია ყვავებს, ტიხომიროვისა . . 240
როგორ იბანავა მელიამ, ვაგნერისა 242
მგლის თავგადასავალი ზამთარში, გადმოკეთებულია . 243
სპილო, ვაგნერისა 246
ვეფხვი, მისივე 247
ბამბედავი ძღარბი, მისივე 249
ლამურა, რუბაკინისა 252
ძუძუმწოვარი ცხოველები 253

II

ფრინველები.

ბულბულების შკოლა 257
ფრინვის გაკვეთილები 261
როგორ წვრთნის შვილებს გარეული იხვი . . . 264
დარაჯი ბელურა, ტიხომიროვისა 266
მებოსტნე ყორანი, ნათარგმნია 268
ძრავის-ჭერია, რუბაკინისა 270
ჭოტი და ქორი, ვაგნერისა 273
ქანჩა, მისივე 275
როგორ მოგზაურობენ ფრინველები 277
როგორი განწყობილება აქვთ ფრინველებსა და ნადირებს, რუბაკინისა 280
ფრინველების ჯგუფები 281

III

ქვეწარმავალნი.

ძუ, ვაგნერისა 286
ბველი მარჩობელა, რუბაკინისა 289
ხის ბაყაყი, ვაგნერისა 290
ქვეწარმავალთა ჯგუფები 291

IV

თევზები.

სარდინიის თევზი, ვაგნერისა 293
ლიფსიტა, მისივე 296
როგორ ისწავლეს თევზების მოშენება, ვახტეროვისა . 298
თევზების ჯგუფები 300

V

მწერები.

ბაუმაძღარი კალია, რუბაკინისა 302
ფუტკარი 304
აბრეშუმის ჭია 306
ჭიანჭველები, გადმოკეთებულია 308
ფუჭი კაკალი, ვაგნერისა 313
მწერების ჯგუფები 315

VI

ობობები, კიბოები და ჭიები.

ობობა, ვაგნერისა 316
კიბო, მისივე 317
ჭიაყელა, გადმოკეთებულია 321
ობობების, კიბოებისა და ჭიების ჯგუფები . . 323

VII

რბილსხეულიანი ცხოველები.

ლოკოკინა ფარაონის საფლავში, გადმოღებულია. . 323
ზღვის ლოკოკინა და არწივი, ვაგნერისა . . . 325
მოლლუსკების განმასხვავებელი ნიშნები . . . 327
მარჯნის პოლიპები 329
უჩინარი ცხოველები 331
ცხოველების უდიდესი საზრუნავი, გადომკეთებულია . 332

მცენარეთა შორის.

სადილი უდაბნოში, ვახტეროვისა 335
მცენარეთა სარგებლობა, გადმოკეთებულია. . . 337
როგორ შრომობენ მოსწავლენი საზოგადო სარგებლობისათვის, გადმოკეთებულია 341
მცენარეების გამრავლება, გადმოკეთებულია . . 342
ხის ერთი წლის სიცოცხლე, ტიხომიროვისა . . 345
რამდენ ხანს ცოცხლობს ხე, გადმოკეთებულია . . 346
ყვავილი, ტულუპოვისა 349
მწერები და მცენარეები, მისივე 350
მზგავსება მცენარეთა და ცხოველთა შორის, გადმოკეთებულია 352
ცხოვრების კანონები, გადმოკეთებულია . . . 355

ოთხი სტიქიონი.

ნიადაგი 363
ლითონების შოვნა, რუსულით 365
მარილი 368
ქვა-ნახშირი, რუსულით 370
მადნის მუშა ბუბერ გოფენი, გადმოღებულია . . 374
სითბო და სიცივე 378
მზე, ტიხომიროვისა 380
მუდმივი მოგზაური, მისივე 382
ჰაერი 285
ბუნებისა და ადამიანის ძალები, ტიხომიროვისა . . 387

გუთანი

„გადი, გამოდი, გუთანო,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო“!
რ. ერისთავი

კაცთა ფოროის.

I.

ოჯახი.

ბედნიერი ოჯახი.

ცხელა და ცხელა, ზაფხულებაა,
ქოხის წინა ზის უმაწვილი დედა,
ბაწია ბიჭი, ჩჩვილი, ფუნთუშა
ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...
„აქა, მამილო! მამილო, აქა!“
დედა იძახის შვილის მაგივრად,
მაგრამ „მამილო“ ჯერ არსადა სჩანს,
ის სამუშაოდ წასულა მინდვრად...
„აქა, მამილო“,—სთქვა კიდევ დედამ:
„თან მოიტანე ბევრი კაკები...“
გულში კი ფიქრობს: „სად რას მუშაობ,
ბაზანებაში რას იკაკვები...“
მზემ გადიხარა, დაჭბერა სიომ,
აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი,
ხვითქი გადასდის გულ-გადღეილსა
და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი.
თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი,
მოდის, ღიღინებს დაბალ ხმაზედა,
მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი
გადაუდვია მოღლილს მკლავზედა!..

წინ მიეგება უმაწვილი ცოლი
და მიაწოდა გიგლა მამასა,
იმანაც შვილი ოთლიანს გულში
მაგრად ჩაიკრა და ჭკოტნის მასა!..

გიგლამ უტაცა მამას ულვაში,
ლოყაზე ოათი მოუტაცუნა,
მამას იამა შვილის ცელქობა,
ულვაშის წიწკნა არ დაუწუნა...
დაჯდა მაშვრალი დერეფანშია,
გვერდით მოიდო მჯრელი ნამგალი,

ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით,
ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი...
ცოლმა მოართვა მწარი და წყალი,
გიგლა ჩაკრა „კაკანაშია“,
გვერდით მოუჯდა ქმარსა და შვილსა,
მათის ეურებით განცხრომაშია!..

რ. ერისთავი.

1. **რ**ოგორ ეალერსება დედა შვილს და რას ფიქრობს თავის ქმარზე? 2. **ს**ანიდან მომავალი მამა რა მდგომარეობაშია? 3. **რ**ოგორ შეხვდა ქმარს ცოლი? 4. **რ**ით არის ოჯახი ბედნიერი?

ოჯახის გამხარებელნი.

დაბრუნდენ სასწავლებლიდან
ბავშები ყივილ-ხივილით:
ზოგი თოვლს მოაგუნდავებს,
ზოგი გამორბის კივილით.
სიცივისაგან ონავრებს
ასწითლებიათ ეურები...
კასკასით ამოირბინეს
ივნის საფეხურები.
კუდის ქნევითა კარებზე
დაუხვდათ მათი ბრიალა,
მიელაქუცა ბატარებს,
ვით ამხანაგი ტოლია.
ბალღებმაც მიუალერსეს,
და ძალი ლოკდა ენითა,
შემდეგ-კი კარებს მიმართეს
ქაქანითა და ქშენითა.
გამდელმა ცელქებს საჩქაროდ
კარი გაუღო თუ არა,

მაშინვე პირზე ალერსის
ღიმილმა გადაუარა.
უთუოდ ძლიერ მოშივდათ
ჩემს პაწა ცუგრუმელებსა!
ზოგს წიგნებს ართმევს, ზოგს აბგას
და ზოგს უორთქლავს ხელებსა.
რა გადაჭეტეს გადია,
შევარდენ კისკას რბენითა,—
იატაკს გააქვს ზანზარი,
სახლი ივსება ლხენითა.
მისცვივდენ ტახტზე მწოლარეს
ავათმყოფს დედას ტქვიტები
და შემოუსხდენ გარშემო,
როგორც პატარა გვრიტები.
მამა-კი ცალკე ოთახში
დადრეკილ-დადონებული,
შუბლ-გაუხსნელი, მწუხარე
ზის რადაც დაფიქრებული.
ი დათიკომ ამაუად
დედას უჩვენა რვეული
და ეუბნება სისწრაფით
ღიმილად გადაქცეული:
—აბა, დედილო, დახედე,
კარგად გასინჯე ესაო,
მთლად შეუცდომლათ დავსწერე
მე ორი გვერდი დღესაო!
—მე კი დღეს,—უთხრა თამარომ—
სახატავ რვეულზედაო
ნაძვებს და ბუჩქებს ვხატავდი
სხვა და სხვა ფერებზედაო.
აქ რასაც ხედავ, დედილო,
სულ ჩემი ნახატებია

და მასწავლებელს ამათში
ერთიც არ უსწორებია.
ავათმყოფს სახე უბრწყინავს,
და მისი გულიც ტკბილად სძგერს,
და მათ ტიტინში საბრალო
დედა ივიწყებს ყველაფერს.
აგერა მამაც გამოდის,—
გარს ეხვევიან შვილები...
—ანტებო, ყველამ დღეს კარგად
იცოდით გაკვეთილები?
პასუხს აძლევენ, და მამაც
კოცნით იჯერებს თავის გულს,
და გადეურება მსწრაფლადვე
ნადველი ჯავრით დაქანცულს.

თარგმანი შ. მღვიმელისა.

1. როგორ დაბრუნდენ ბავშები შკოლიდან? 2. როგორ შეხვდა ბროლია? 3. როგორ შეხვდა გადია? 4. რით გაახარეს ბავშებმა ავათმყოფი დედა და მწუხარე მამა? 5. როგორი ბავშები ახარებენ ოჯახს?

დ ე დ ა.

პატარა მიხაკო კუზიანი ბავში იყო; ამას თვითონაც გრძნობდა; გრძნობდა მეტადრე იმიტომ, რომ ყველა მოურიდებლად ამაზე ლაპარაკობდა: ვინც კი მას შეხვდებოდა, ყველა შეაჩერდებოდა, დააცქერდებოდა და ხმა-მაღლა და გაკვირვებით წამოიძახებდა: „რა კუზიანია! რა უშნო რამ არისო!“

საბრალო ბავში ქუჩაზე აჩქარებით მიდიოდა; ცდილობდა, არავის შეეხედა და მასხარად არ აეგდო.

— პეტო, პეტო! შეხედე ერთი, რამხელა კუზი აზის!— წამოიძახა ახალგაზდა ბიჭმა.

—უჰ, რასა ჰგავს! მიწას არ ემჩნევა, ისე კი მიდის, თითქო კაცი იყოს, წიგნებიც მიაქვს; შკოლიდან დაბრუნებულა რაღა!

—ოჰ! საცოდავი! რამსისხო კუზი აქვს ზურგზე. სწორეთ საბრალოა ეს ბავში. საშინელი შესახედავია,—წაილაპარაკა წითელ-თავსაფრიანმა დედაკაცმა.

ესმოდა ყოველივე ეს მიხას, გული მწუხარებისაგან უფანცქალობდა და ფეხს უჩქარებდა, რომ მალე მოშორებოდა ამ ავყია მგზავრებს.

ამ დროს შკოლაში სწავლა გათავდა და დიდი ქვიტკირის სახლიდან, ქუჩის მეორე ნაპირზე, გამოცვივდენ ბავშები; დაინახეს თუ არა მოწაფეებმა მიხა, გროვა-გროვათ დაედევნენ მას. ზოგი პალტოზე ებღაუჭებოდა, ზოგი კენჭებს ესროდა, ზოგი წიგნების ჩანთას ართმევდა, ზოგი აჯავრებდა.

—უ-უ-უ! კუზიანი, მახინჯი, რა სასაცილოა!—დასცინოდენ ბავშები.

მიხა კი თავჩაღუნული, სულგანაბული მიიპარებოდა, პირისახეზე თითქო ცეცხლი ეკიდებოდა, ტუჩები უთრთოდა, თვალები ენთებოდა, გული ისე უძგერდა, თითქო ბუდიდან ამოვარდნას აპირობსო.

—არ დამეხსნებით?—წაილაპარაკა აკანკალებულის ხმით, —რა დამიშავებია თქვენთვის?

დაგეშავებია რამე და შენ სეირს გაჩვენებდით! შე კუზიანო, შე მახინჯო, შენა!—მისძახოდენ ბავშები.

მიხას მთელი ტანი უძიგძიგობდა. მოწაფეები დიდხანს არ მოეშვენ და აჯავრებდენ მას; მაგრამ, აი მიხა შესახვევში მოტრიალდა, და ცელქი ბავშების გროვაც აშორდა მას. საბრალო შეჩერდა, ღრმად და მწუხარებით ამოიოხრა: „რისთვის? რისთვის შემიძულეს? რისთვის დამცინიან? რატომ მაჯავრებენ?—ფიქრობდა მიხა,—რისთვის მჩაგრავენ? ვისთვის რა დამიშავებია?

უეცრად მოსახვევში ახალგაზდა ქალი გამოჩნდა, იგი მიხას შორიდან ულიმოდა; მერე ფეხს აუჩქარა და თავისი საყვარელი მიხა გულში ჩაიკრა; ჰკოცნიდა მას, გულში იხუტებდა, თვალებში ჩასცქეროდა, ხომ არაფერი აწუხებსო.

—ჩემო ანგელოზო, ჩემო სულიკო, ჩემო მტრედო! უფრო ადრე მინდოდა შეგხვედროდი, მაგრამ ვერ მოვიცალე და ძლიერ ვნაღვლობდი.

—დედილო, დღეს მე მშვენივრად ვიმეცადინე: მასწავლებელმა ჩვეულებრივ მიქო ბეჯითობა. ოჰ, დედილო, რა მიხარია, რომ მომეგებე!...

რაც მწუხარება გამოიარა, თითქო ყოველივე სადღაც შორს, შორს გაქრა: დედის ალერსმა ყველა უსიამოვნება დაავიწყა; გული დაუწყნარდა, სული დაუმშვიდდა, საყვარელი დედის ძუძუებში თავი ჩარგო და ახლა მზათ იყო—ყველასათვის უსამართლო საქციელი ეპატიებია.

ა. ლუკაშევიჩი.

1. რა ნაკლულევანება ჰქონდა მიხას? 2. როგორ ექცეოდენ მიხას საზოგადოთ გარეშენი? 3. როგორ ექცეოდენ მოწაფე ამხანაგები? 4. როგორ მოქმედობდა ყმაწვილზე გარეშეთა და მოწაფეთა საქციელი? 5. როგორ ექცეოდა ყმაწვილს დედა? 6. როგორ მოქმედობდა დედის ალერსი მიხაზე?

დედის სიძლერა.

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბურავს...
ვაჰ, თუ გშია! ან გწყურია!
ან გცივა და არა გხურავს!
ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე,
გულს გასვია მტრის ისარი
და, რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა შენი არსათ არი!...
ვაჰ, თუ შენსა ლამაზ თვალებს
ევავი ჰკორტნის და ეორანი;
შეკაზმული უპატრონოდ
დაგხვიხვინებს თავს მერანი!..

ვაჰ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?
მაშინ დედა შენიც ჩიტად
გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!

ა. წერეთელი.

რა აწუხებს დედას, როცა მისი შვილი ბრძოლის ველზეა და რას ნატრობს იგი?

დედა-ჩიტი.

—მამი, მამი!.. მოისმა პატარა ბალჩიდან ყმაწვილის ხმა: —შენი ჭირიმე... შენ გეთაყვანე!...

—ჯიდევ აიკვიატებდა რასმე ის ცულლუტი,—სთქვა ბავშის მამამ ამირინდომ,—და წავიდა ბალჩისაკენ, შეაღო კარები და ერთი ხის მახლობლათ, ბარდთან დაინახა პატიკო; იგი მისდგომოდა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილავებოდა. შალვარი და ახალუხი აქა-იქ შემოჰგლეჯოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. ეტყობოდა, ბევრს წვალებულა.

—აბა რასა ჰგავხარ დაგლეჯილ-შემოფხრეწილი, შე ცელქო, შე დაუდეგარო!—უთხრა მამამ შვილსა.

—აგერ ბარტყი!... უპასუხა შვილმა და გაიწოდა საჩვენებლათ პაწია თითი: —შენი ჭირიმე, მამილო, შენ გეთაყვა,—ეხვეწებოდა პატარა და ხვეწნის ნიშნად თითით ყელს უწევდა.

მიიხედა მამამ და დაინახა, ბარტყი გადაფოფხილიყო ფრთებით ეკლიან ბარდზე, პირი დაელო, თითქო საჭმელს აწვდიანო, და შეშინებული იყურებოდა.

მამამ ხეს შეხედა და ზედ ჩიტის ბუდე დაინახა. აშკარა იყო, ბარტყი იქიდან ჩამოვარდნილა, ულონობით შორს ველარ წასულა და ბარდს დასცემია იმისთანა ადგილას, რომ პატიკო წვალებულა და ვერ მიმწვდარა.

—Ბეთაყვა, ბარტყი, გეთაყვა!... იმუდარებოდა ბავში.

Ამირინდო გადასწვდა, დაიჭირა ბარტყი და მისცა პატიკოს. ბავშმა დაუყვავა ბარტყს და სიხარულით არ იცოდა, რა ექნა.

ბარტყის დედა, ბუმბულ-აბურძგნული სიმწარისაგან, იქავ შორი-ახლო მეორე ხეზე იჯდა და მოუსვენრად ტოკავდა უილაჯო მწუხარებით. რომ ვერა ექნა-რა, ხან ერთ შტოზე შესკუპდებოდა, ხან მეორეზე, წამდაუწუმ ხან პირს იზამდა ამათკენ, ხან ზურგს, ხან კიდევ გაბედულად და უშიშრად წინ გამოუფრინდებოდა პატიკოს შურდულივით, თითქო უნდოდა, ხელიდან ბავშს საყვარელი შვილი გამოსტაცოსო. ხან ბუდის პირად შეფრინდებოდა და ფრთების ცემით და გამწარებულ ჭიკჭიკით ერთი ყოფა და ამბავი გაჰქონდა.

—Ახლა, რად გინდა საწყალი ბარტყი?—ჰკითხა ბავშს მამამ. ბავშმა პასუხი ვერ უთხრა და შეაჭყიტა ჭკვიანი თვალები, თითქო სურდა, პასუხი მამისგანვე შეეტყო.

—Აგერ ბარტყის დედა,—დაანახა ამირინდომ ჩიტი: რა რიგად ნაღვლობს და იქნება სტირის კიდეც, შვილს რათ მართმევენო. იმას უნდა, ბარტყი ბუდეში ჰყავდეს.

—Აბა ბუდე?—ჰკითხა ბავშმა.

—Აგერ,—დაანახა მამამ ხეზე ბუდე.

—Ამსვი.

მამამ აიყვანა ხელში პატიკო და ბუდის სისწვრივ გააჩერა. ბავშმა ჩასვა ბარტყი. ამირინდომ პატიკო ძირს დაუშვა თუ არა, უთხრა:

— Აბა უყურე, დედა ეხლავ მოფრინდება და რარიგად გაიხარებს!...

მართლა, ერთი წუთიც არ გასულა, დედა მივიდა, შემოსკუპდა ბუდეზე და, თავისი შვილი რომ ცოცხალი დაინახა, იმის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. ტანზე ბუმბული დაულაგდა, დამშვიდდა, ხმაც დაუტკბა და ისეთს სიხარულის ჭიკჭიკს მოჰყვა, თითქო თავის შვილის მხსნელს ლოცავსო.

—მართლა, მართლა, უყურე, მამა!—წამოიძახა ღიმილით პატიკომ და გაიშვირა თითი ბუდისაკენ, სადაც გახარებული ბარტ-

ყის დედა სიხარულის ნიშნად ფრთას ფრთასა სცემდა და თავის მადლობის ლოცვას გალობდა.

ი. ჭავჭავაძე.

1. ჩიტის ბარტყის დატყვევება. 2. დედა ჩიტის მწუხარება 3. ბარტყის განთავისუფლება. 4. დედა ჩიტის სიხარული.

დედა-არწივი.

დედალ-მამალ არწივს ციცაბო კლდეზე ბუდე გაეკეთებიათ და ბარტყები გამოეჩეკათ. ერთხელ დედა არწივი სანადიროდან ბუდისკენ მიეშურებოდა და შვილებისათვის საუზმედ ყურდგლის ბაჭია მიჰქონდა.

ჩაიხედა თუ არა ბუდეში, შემზარავი და მხეცური ყრიყინი მოართო: ბუდე გაეცარცვათ—ბარტყები აღარ დახვდა. არწივი მაშინვე მაღლა აფრინდა, ცის სივრცეში ტრიალი დაიწყო და მთელს არე-მარეს ათვალიერებდა. უეცრად არწივმა ხივილით თავზე მოდაუქროლა ორს მონადირეს, რომელნიც ტყიდან გამოდიოდენ; ერთ მათგანს ბუდიდან ამოყვანილი ბარტყი კალათით მიჰყავდა. მთელი გზა არწივი მონადირეებს თავზე დასტრიალებდა და ხმა-მაღლა ყრიყინობდა. მონადირემ ბარტყი თავის ქოხში შეიყვანა. მთელი დღე არწივი მონადირის სახლს არ შორდებოდა და მთელი ღამე მისი საშინელი ხმა იქაურობას აყრუებდა.

მეორე დღეს მონადირის ბავშებმა არწივის ბარტყი გალიით ეზოში გამოიყვანეს. ბარტყი გალიაში იჯდა და წივოდა; ბავშები კი გალიას ეხვეოდენ და ბარტყს ჩასცქეროდენ. ამ დროს მონადირის ცოლი სახლიდან გამოვიდა, ძუძუს ბავში მინდორზე დასვა და თვითონ წყალში სარეცხის ამოვლება დაიწყო.

უეცრად არწივის მძლავრი ფრთების საშიშარი ფათქუნი მოისმა. ქალმა მოიხედა და საშინელება რამ დაინახა: არწივს კლანჭებით ყმაწვილი ეჭირა და მაღლა მიფრინავდა. უბედური დედა კინალამ გაშეშდა, მაგრამ ერთ წუთს შემდეგ გალიას მივარდა,

ამოგლიჯა ბარტყი და ორივე ხელით ზევით ასწია, რომ არწივისთვის დაენახებინა. საბრალო ქალს პირი და თავი ბარტყმა კორტნით დაუსისხლიანა, მაგრამ იგი ვერაფერს გრძნობდა.

არწივი რამდენსამე წამს ერთსა და იმავე ადგილს ნელად ფრიალებდა. დედა გულგახეთქილი მისჩერებოდა თავის პაწიას, რომელიც არწივს კლანჭებით ეჭირა. უეცრად შეამჩნია, რომ ბავში ძირ-ძირს ეშვება. აჰა მთლად ძირს მოდის. ქალმა არწივის ბარტყს ხელი შეუშვა და თავის ბალღის დაჭერა ძლივს მოასწრო. ორმა დედამ საყვარელი შვილები ერთმანეთს დაუბრუნეს. არწივი ბარტყიანათ მაღლა ჰაერში ავიდა და თავის ბუდისკენ გასწია.

1. როგორ დაეკარგა არწივს შვილი და ამის გამო რა მდგომარეობაში ჩავარდა? 2. როგორ მოიტაცა მონადირის შვილი არწივმა და რა მდგომარეობაში ჩააგდო ბავშის დედა? 3. როგორ დაიბრუნეს დედებმა თავისი შვილები?

დედა-ვეფხვი.

1. იქ, სადაც ორი დიდი მდინარე ტიგრი და ეფრატი ერ[illegible] მანეთს ერთვიან, გაცალკევებული მდებარეობს ერთი პატარა სოფელი, სახელად „მაჰმუდი“. შიგ ცხოვრობს ათიოდე ღარიბი მოსახლე არაბი. ერთ მხარეზე ამ სოფელს გაუვლელი ჭაობი ახლავს და მეორე მხრით ქვიშიანი უდაბნო. ამიტომაც წლები ისე გადის, რომ აქაური მცხოვრებლები უცხოს ვერავის ხედვენ.

ამ სოფლის გარემო-მდებარე ადგილები განთქმულია ვეფხვებით და სხვა გარეული მხეცებით.

რასაკვირველია, აქაურს მცხოვრებთ ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ერთხელ დილით დაინახეს სოფელში მომავალი ცხენოსნები. ამ ცხენოსნებს წინ მოუძღოდა მშვენიერს არაბულ ცხენზე მჯდომარე წითელ-თმიანი ინგლისელი. სამგზავრო ტანისამოსი ეცვა, მსახური და გზის მაჩვენებელი არაბები თოფ-ია ხალითა და ბარგით უკან მოსდევდენ. ინგლისელმა ყურადღება არ მიაქცია

შეკრებილ ხალხს, რომელიც გაშტერებით შესცქეროდა, და პირდაპირ მამასახლისისას ჩამოხტა.

ყველას უნდოდა შეეტყო, რამ აიძულა ეს წითური კაცი (ასე ეძახოდენ ამ ინგლისელს), რომ ამისთანა გადაკარგულს ადგილს ეწვია. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

ბავიდა ერთი კვირა. შემდეგ მამასახლისმა გამოუცხადა სოფლელებს, ინგლისელს თქვენთან რაღაც სათქმელი აქვსო. მაშინვე მამასახლისის კარზე შეიკრიბენ სოფლელები. გამოვიდა წითური კაცი და სთქვა:

—ვის უნდა ათი ოქროო?

ყველამ თვალები დააჭყიტა. ღარიბ არაბისათვის ამოდენა ფულის შეძენა დიდი ღვთის წყალობა იყო და ყველამ ერთხმათ შესძახა:

—რას გვიბრძანებთ?

—მიშოვეთ ერთი წყვილი ვეფხვის ლეკვი.

ამ სიტყვებზე ყველა შეშინდა. დიდი სიჩუმე ჩამოვარდა.

—ეფენდი შეუძლებელსა გვთხოვს,—სთქვა ბოლოს ერთმა

თეთრ-წვერა არაბმა, რომელიც სხვებზე წინ იდგა: ალლახის მადლი არ გამიწყრეს, ხელით ვეფხვის დარჩობა უფრო ადვილია, ვიდრე იმის ლეკვების წართმევა.

მოხუცის სიტყვას ინგლისელმა ყური არ ათხოვა და განაგრძო:

—ვის უნდა ოცი ოქრო?

ხმა არავინ ამოიღო.

—ვის უნდა ოცდა ათი ოქრო?

ისევ სიჩუმე იყო.

—ორმოცი ოქრო?

ძიდევ სიჩუმე იყო.

—მე მინდა, მე მოგიყვან ლეკვებსო, მოისმა ხალხიდან ხმა.

ყველამ შეხედა ამ უშიშარს. ეს იყო ახალგაზდა არაბი, სახელად სულეიმანი, ერთი ღარიბი ქვრივის შვილი. ესენი სოფლის განაპირას ღარიბ ქოხში იდგნენ.

სულეიმანი წადგა წინ. ინგლისელმა შეხედა ამ წამოსადეგ, ჯანმთელ ახალგაზდას.

—მაშ კისრულობ ამ საქმეს?

—დიახ, ეფენდი!

—როდის?

—ხვალ, მზის ჩასვლის უმალვე მოგგვრით.

—მაშ თქვენც ხვალვე მიიღებთ ორმოც ოქროს, ორი კი არა, თუნდ ერთიც რომ მომგვაროთ.

ამ სიტყვებს შემდეგ ინგლისელი შევიდა ოთახში. ყველანი შემოეხვიენ ამ გამბედავს ახალგაზდას. ყველანი ურჩევდენ, ხელი აეღო ამ საშიშარ საქმეზე, მაგრამ ახალგაზდა არაბი არავის უჯერებდა.

2. მეორე დღეს, ლოცვას შემდეგ, სულეიმანმა სამგზავროთ მზადება დაიწყო: მამის ძველ შუბს წვერი გაულესა, მერე წავიდა მამასახლისთან და სთხოვა, შენი კაი მატარებელი აქლემი მათხოვეო; მამასახლისს არ უნდოდა ეთხოვებინა; მერე ერთ ოქროთ მიაქირავა.

ნახევარ საათს შემდეგ სულეიმანი გასცილდა სოფელს. ხალხი ლოცვა-კურთხევით ისტუმრებდა, და საბრალო დედა კი მწარედ ქვითინობდა. ახალგაზდა არაბი უდაბნოს გზას დაადგა და მალეც მიაწია ქვიშიან ადგილს.

გარშემო სიცოცხლის ნატამალი არ იყო. მიწას ალმური ასდიოდა და ცა იწვოდა.

არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქნარი, არც ერთი ხორციელი კაცი არ სჩანდა ამ ხრიოკ უდაბნოში. ყველა მიმალულიყო, ყველა მწვავი მზის სხივებისაგან თავს იფარავდა. სულეიმანს არაფრად იამა გარემო სიჩუმე. ამ გმირ ჭაბუკს უნებლიეთ გულში რაღაცა შიში შეეპარა, მაგრამ უკან დაბრუნებისა რცხვენოდა. რაკი ერთხელ საქმე იკისრა, მეტი ღონე არ იყო, უნდა აესრულებია. გულის ძგერით ააჩქარა აქლემი.

სულეიმანი ორ საათზე მეტს მიაქროლებდა აქლემს ქვიშიან უდაბნოში. მერე გამოჩნდა მწვანე ადგილი. მივიდა სწორეთ იქ, სადაც ვეფხვის ბინა ეგულებოდა. ეს ვეფხვი მთელ არე-მარეს იკლებდა. ამ ადგილს იყო პატარა ტბა. გაზაფხულზე იგი წვიმით ივსებოდა და ზაფხულს ისევ შრებოდა. ტბას გარშემო მაღალი ლერწამი და ხშირი ხეები იყო. ის საშინელი მხეცი ამ ადგილს ბუნაგობდა.

სულეიმანმა მიიარ-მოიარა ეს არემარე, მერე აქლემი ქვიშიან გორაკებს უკან მიმალა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მზის ჩასვლისას ძუ-ვეფხვი სანადიროდ აქით არ წამოვიდოდა. აქლემს პირი თოკით შეუკრა, რომ ხმაურობა არ აეტეხა.

მერე სულეიმანი შევიდა გაუვლელ ჭაობში, ლერწამსა და ლერწამ შუა გველივით მისრიალდა. შევიდა შუა ტბამდის; გული უფანცქალობდა, შუბის ტარს მაგრად ხელს უჭერდა, ღმერთს გულით ევედრებოდა და აღთქმას უდებდა. მცირეოდენი ხმაურობაც კი მას კანკალსა ჰგვრიდა და შიშით ძრწოდა. დიდხანს ეპარებოდა ასე ახალგაზდა არაბი, ბოლოს მიუახლოვდა ერთ ხეს. ამ ხიდან შეეძლო დაეთვალიერებია ყველაფერი, დიდის სიფრთხილით ავიდა ხეზე და ტოტებში მიიმალა. იქიდან მოჩანდა მთელი ტბა. ელოდა მზის ჩასვლას. რამდენიმე საათი

სულგანაბული ხეზე იჯდა და არემარეს თვალს არ აშორებდა. ბოლოს მზე ჩასასვლელად დაეწურა. ჩრდილმა არემარე მოიცვა, აღარა ცხელოდა, შორიდან ზღვის სიომაც დაჰბერა.

შეცრად ერთ ადგილს მონადირის გამჭრიახმა თვალმა ლერწმის მოძრაობა შეამჩნია... ერთ წამს შემდეგ ტბის ნაპირას გამოხტა მშვენიერი ძუ ვეფხვი, მიიხედ-მოიხედა, მერე მივიდა წყლის დასალევად. ამ საშინელმა მხეცმა, წყალი რომ დალია, ერთი კიდევ დაიწყო არემარის დათვალიერება და, რადგან საეჭვო ვერაფერი დაინახა, გასწია იქით, საითაც, სულეიმანის ფიქრით, უნდა წასულიყო. ბაიარა თუ არა ვეფხვმა კაი მანძილი, უშიშარი სულეიმანი დაადგა თავის განზრახულ საქმეს, საჩქაროდ ძირს ჩამოვიდა და გაექანა იკითკენ, საიდგანაც ვეფხვი გამოვიდა. ის ადგილი სავსე იყო ძვლებით და ამით მიაგნო სულეიმანმა ვეფხვის ბუნაგს. ახალგაზდა არაბი მივარდა, მოიტაცა ვეფხვის ორი მშვენიერი ლეკვი, საბანში გაახვია და დაბმულ აქლემისკენ გაექანა. ერთ წამს შეახტა აქლემს და სოფლისკენ მოჰკურცხლა.

K 1927

3. მზე ჩავიდა; სისხლის ფრად შეღებული ცა არემარეს უცნაურ ფერსა სდებდა.

სულეიმანმა თითქმის ნახევარი გზა გაიარა. დადევნების შიში აღარა ჰქონდა, თავის ნადავლს ამაყად გადახედა და სიმღერა შემოსძახა.

პატარა ხანს უკან არაბმა უეცრად სიმღერა შესწყვიტა. საიდანღაც, ძალიან შორიდან, საზარელი ღმუილი მოესმა. ახალგაზდა მონადირეს ფერი ეცვალა, აქლემი შეაჩერა და სმენად გადაიქცა. ღმუილი ხელმეორედ მოისმა. არაბი დარწმუნდა, რომ გააფთრებული ძუ ვეფხვი ღმუოდა.

სულეიმანმა შუბს მაგრად ხელი მოჰკიდა და აქლემი ააჩქარა, მაგრამ აქლემს აჩქარება არ ეჭირვებოდა: იმასაც ეგრძნო შიში და ქარივით მიჰქროდა... რამდენსამე წუთს შემდეგ ღმუილი ხელახლად მოისმა. სულეიმანი მიხვდა, რომ ვეფხვს მტაცებლის კვალისთვის მიუგნია და გამოსდგომია. აქლემს ბეჭებში

შუბის წვერსა სცემდა, და ისიც გამალებული მიჰქროდა. ასე გავიდა ნახევარი საათი. დრო გამოშვებით ისეთი საზარელი ღმუილი მოისმოდა, რომ მონადირეს სისხლი უშრებოდა. ეს ღმუილი თანდათან ახლოვდებოდა. ბოლოს სულეიმანმა უკან მიიხედა და ვეფხვიც დაინახა. იგი, თითქოს მიწას არ ეკარებაო, ისე შურდულივით მორბოდა. ვის არ შეაშინებდა მისი დაღრჭენილი კბილები, გასისხლიანებული ენა და გაცეცხლებული თვალების ბრიალი.

ერთი წუთი კიდევ და ეს საშინელი მხეცი მხედარს უნდა მივარდნოდა. ახალგაზდა არაბი მიხვდა, რაც უშველიდა: მაშინვე მხეცს ერთი ლეკვი გადაუგდო, თანაც მობრუნდა და მის დასახვედრად შუბი მოიმარჯვა.

ძუ ვეფხვი თავის ლეკვს ღმუილით მივარდა და ერთ წამს შედგა, თითქოს ფიქრობდა, მეორეც გამოვგლიჯო, თუ ჯერ ეს დავაბინავოო. უკანასკნელმა განზრახვამ აჯობა,—დედამ ლეკვს პირი დაავლო და ბუნაგისკენ გააქანა.

სულეიმანი სიხარულით აღარ იყო, რომ მდევარი მოიშორა, და ალლახს მადლობას სწირავდა.

მზე ჩასულიყო. არე-მარეს ბინდი მოჰფენოდა, როდესაც გამარჯვებული და ამპარტავანი ყმაწვილი კაცი ნაშოვრით თავის სოფელში მივიდა. მთელი სოფელი აღტაცებით მიეგება.

სოფლის მაჰმუდის მხიარულებამ დიდხანს არ გასტანა. ახლა ძუ-ვეფხვი ამ სოფელს მოსისხლე მტრად გადაეკიდა: ყოველ ღამ აქ მოისმოდა ვეფხვის ღმუილი, რომელიც მცხოვრებლებს შიშის ზარს სცემდა.

ყოველ ღამ იკარგებოდა ამ სოფლის სიმდიდრე: აქლემი, ხარ-კამეჩი და სხვა საქონელი.

ზოგჯერ გააფთრებული მხეცი ადამიანსაც არ ზოგავდა. ერთხელ მამასახლისიც მხოლოდ აქლემის ფეხის სიმარდემ გადაარჩინა. საქმე იქამდი მივიდა, რომ სოფლელებს დაბინდებისათანავე კარები უნდა ჩაეკეტათ.

ბოლოს ყველანი ისე დაშინდენ, ისე საქმე გაუჭირვა ვეფხვის გადამტერებამ, რომ ინგლისელს მოსთხოვეს, ან ლეკვი დედას

დაუბრუნე და ან აქიდან მოგვშორდიო. Ინგლისელმა თავის ქვეყანაში წასვლა ირჩია.

Ერთხელ დილა-ადრიანათ შეიარაღებული მგზავრები გზას გაუდგენ.

Მთელი დღე მოსვენებით მიდიოდენ, საშიში ვეფხვი სრულიად დაავიწყდათ. Ბინდისას მგზავრები Ეფრატის მდინარეს მიადგენ და იმისი ნაპირების მშვენიერებით სტკბებოდენ.

Უეცრად გზას იქით დაინახეს რაღაც აჩრდილის მზგავსი. Ერთი თვალის დახამხამებაში ვეფხვი შეახტა ინგლისელს, მხლებლების ცხენებს შეეშინდათ, გაიწ-გამოიწიეს და ყალყზე დადგენ. Მხლებელნი ისე დაიფანტენ, რომ არ იცოდენ, თოფებს საით ისროდენ.

Როდესაც გონზე მოვიდენ, თავისი ბატონი ცხენიანათ მიწაზე გაშოტილი დაინახეს.

Აღარც ვეფხვი სჩანდა და აღარც მისი ლეკვი.

Ზარალს გარდაც, ძვირად დაუჯდა ინგლისელს ვეფხვის ცოცხალი ლეკვის შოვნა. Მხარზე სამუდამოდ დააჩნდა ღრმა ჭრილობის კვალი.

«Ჯეჯილი».

1. Როგორ მოიტაცა არაბმა ვეფხვის ლეკვები? 2. როგორ წაართვა არაბს ძუ ვეფხვმა პირველი ლეკვი და როგორ დაიბრუნა მეორე?

ბ ე ღ უ რ ა.

Სანადიროდან მოვდიოდი. Ჩემ წინ ძაღლი მიძუნძულობდა. Უცებ ძაღლმა სიარულს უკლო. Ფეხაკრეფით მიპარვა დაიწყო, თითქო ნადირის, ან ფრინველის სუნი აიღოო. Ბავიხედე წინ, დავაცქერდი და ჩიტის ბარტყი დავინახე. Იგი ბუდიდან ჩამოვარდნილიყო, რადგანაც ქარი ხეებს ძალიან არხევდა,— უძრავად იჯდა და ახლად ამოსული თრთიები აქითიქით ვადა-

უცებ შავგულ-მკერდა ბელურა ხიდან გადმოქანდა და ქვასავით ძაღლის ცხვირწინ დაეცა. აბურძგნულმა და გაკაპასებულმა ერთი ორჯერ ისკუპა პირდაპირ დაღრენილი ძაღლისკენ, ეცა მას და აეფარა თავის შვილსა. დედა-ჩიტს ტანი უთრთოდა შიშისაგან, ხმა გაუხრინწიანდა, ძაგძაგობდა, გული ელეოდა, მაგრამ იგი შვილისათვის თავგანწირული იყო.

რა უშველებელ ვეშაპად უნდა მოსჩვენებოდა ძაღლი ამ პაწია სულდგმულსა! მაგრამ შვილის სიყვარულის ძალამ ბელურას თავი დაავიწყებია და ხიდან გადმოაქანა.

ჩემი ტრეზორა შესდგა, უკან დაიწია. სჩანს, იმანაც იცნო და იგრძნო იგი ძალა. მე დავუძახე გაშტერებულ მყეფარს, წამოვედი და მოწიწებით თაყვანისცემა ვიგრძენ იმ პაწაწა და თავგანწირული ჩიტის და მისი ფრთაშესხმული სიყვარულის წინაშე.

სიყვარული, ვიფიქრე მე, სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლევს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრება.

თარგმანი ი. ჭავჭავაძისა.

1. რა უბედურება შეემთხვა ბარტყს? 2. როგორ იფარავდა ბელურა შვილს? 3. რა გრძნობამ აიძულა დედა-ბელურა თავგანწირვისათვის? 4. რა ძალა აქვს სიყვარულს?

ბედნიერი დღე.

I.

პაწაწა მიხა ავათ არ იყო, მაგრამ შკოლაში წასასვლელად მაინც არ სცალოდა. საბრალო დედა მისს აცივებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მამა მისი კი ყანაში იყო წასული და მიხას მეტი მომვლელი ავათმყოფს არავინ ჰყავდა. ჯერ მიხას დედა ვითომ სენს გაუძალდა და სადილის კეთებას მიყო ხელი. მაგრამ მას ფიხებმა და ხელებმა უსუსტეს, და იძულე-

ბული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყალი, მოატანია მიხას რაც-რამ ქვეშსაგები მოეპოებოდათ სახლში, მოატანია აგრეთვე რაც-რამ კონკები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი თავზე; მაინც ვერაფერი ეშველა, ვერ გათბა.

—მოდი, შვილო, კარგათ შემომიკეცე სახურავი, თორემ მოვკვდი სიცივით,—უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ. მიხა მაშინვე მივიდა და დედას ჩაეკრა. რამდენსამე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. ბათბა, როგორც იქნა, მიხას დედა. ნელნელა სიცხემ უმატა ავათმყოფს, და პატარა ხანს უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ, რაც ეხურა, ყველაფერი გადიყარა.

—წყალი, წყალი!... იძახოდა ყოველ წამს ავათმყოფი და მიხაც პატარა ნიტრით წყალს აწოდებდა. ამასობაში შუადღემ მოატანა. ავათმყოფს ოფლი მოუვიდა და დაწყნარდა. მიხა თავით უჯდა და ფიქრებში იყო გართული.

—ახლა რა ამბავია შკოლაში,—ფიქრობდა მიხა: იქნება კარგი რამ არის და მე კი წასვლა არ შემიძლია... მიხა არ სტყუვდებოდა: შკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, ვისაც დიდიხანია ელოდენ, ეწვია შკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და მოსწავლეების ცოდნით მადლობელი დარჩა. კარგის სწავლისათვის ბევრმა ყმაწვილმა საჩუქარიც მიიღო მისგან და მთელმა შკოლამ მადლობა დაიმსახურა.

—ნეტა ახლა მამა მოვიდოდეს,—ფიქრობდა მიხა,—რომ მე შკოლაში წავიდე!

მიხამ იცოდა, რომ ახლა გვიანღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა შკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა შკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა იქ სიარული, გულსმოდგინეთ მასწავლებლის საუბრების მოსმენა, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანს შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე დღეד არ მიაჩნდა, როცა შკოლაში ვერ წავიდოდა.

ამ დროს მიხას მამა ყანაში სიმინდს მარგლიდა. სადილობის დრომ მოატანა და იმისთვის კი სადილი კაცს არ მიჰქონდა.

—ალბათ კიდევ გააცივა დედა-კაცს,—იფიქრა მან, როცა ნახა, აღარავინ მოდის, და მწარეთ დაღონებული შინისკენ გაუდგა.

—რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ არ ვიცი?—ფიქრობდა გზაში საბრალო მუშა კაცი:—ავათმყოფს მოუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთხოვნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!... მარტოხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზე მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში „ბოჩიკიც“ კარს მომადგება ფოსტის ფულისათვის და მე კი ორი გროში ვერ მიშოვია, რომ ქინაქინა მეყიდოს, იქნება დედაკაცისათვის ცივებას გაეშვა...

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ, შევიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავათმყოფი იწვა, მაშინვე ალერსიანად ჰკითხა მას, როგორ ხარო.

—რაღა როგორა ვარ, საშინლად გამაცივა,—ძლივს უპასუხა ცოლმა.

—არაფერია,—ღიმილით უთხრა ქმარმა,—დღეს ან ხვალ საიდგანმე ღმერთი მოწყალებას მოიღებს ჩვენზე; ფულს ვიშოვი, ერთი-ორჯერ ქინაქინას გადაგაყლაპებ და შენს ცივებას სულ კუდით ქვას ვასროლიებ.

—ქინაქინა კი არა, ნეტავი რაც საჭიროა, იმისთვის ვიშოვიდეთ ფულს,—სთქვა ავათმყოფმა.

—ვიშოვით, ვიშოვით!.. აბა ჩვენზე ხომ არ შეიკვრის ქვეყანა!—ამბობდა მიხას მამა.

—მამი, რა არის ქინაქინა?—ჰკითხა ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა მიხამ.

—წამალია, შვილო, მერე, იცი, რა წამალი! დედა შენმა ახლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფეხზე წამოდგება,—უთხრა მამამ.

მიხა გაჩუმდა; ველარაფერი სთქვა, ისე გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

—ნეტა დღეს ერთი ფულს ვიპოვიდე, რომ მამას ქინაქინა ვაყიდვინო,—ფიქრობდა მიხა და გულში ღმერთს ეხვეწებოდა:—ღმერთო, გზაზე ფული მაპოვნიეო.

—მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი შკოლაში!—უთხრა მიხას დედამ, რადგან იცოდა, შკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

—წადი, შვილო, წადი,—უთხრა მამამაც:—წადი, იქნება ისწავლო რამე და გამოიყენო, თვარა ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას! წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა; მაშინვე წამოხტა ფეხზე, ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და შკოლისკენ გაექანა.

II

როცა მიხა შკოლაში შევიდა და დაინახა თავისი ამხანაგების გაბრწყინვებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი, დაინახა, რომ მთელ შკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდებია,—აღარ იცოდა, რა ექნა. შემკრთალი გაჩერდა ერთ ადგილზე და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქოს თვალებით შესთხოვდა, გამაგებინე, აქ რა ამბავიაო.

—მიხას გაუმარჯოს! დაუძახა ღიმილით მასწავლებელმა:—სად იყავი ამდენხანს?

მიხა არაფერს ამბობდა და გაშტერებული იდგა.

—სხვა დროს არ დაგიგვიანებია და დღეს როგორ დაგემართა, ამისთანა ბედნიერ დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ ძვირფასი სტუმარი გვეწვია, ყველანი შეძლებისამებრ დავხვდით და მადლობა დავიმსახურეთ. შენ-კი ასე გვიან მოხვედი... განა მაგრე უნდა მასპინძლობა?...

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ევსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ კიდევ ეთქვათ, ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს სტუმარმა მასწავლებელი მიიხმო და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივე მიხას უყურებდა. მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, თავზე ხელი გადუსვა და უთხრა:

—არა უშავს-რა, კიდევ კარგ დროს მოგვისწარი. აბა წამოდი და შენებურად წაუკითხე ჩვენს სტუმარს წიგნი.

—მოდი ჩემთან, მოდი, პაწიავ!—უთხრა მას სტუმარმაც ალერსიანად. მიხას იამა მასწავლებლისა და სტუმრის კილო და თამამად მივიდა.

—აბა, მოჰყევი აქიდან?—უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნში ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი, და მიხამაც მშვენიერად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. შემდეგ მიხას ზეპირად ლექსები ათქმევინეს, ბოლოს საანგარიშო მისცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგათ უთხრა ყველაფერი.

—ეოჩაღ! ყოჩაღ!—იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხით, და სტუმარი გაკვირვებული.

მაათავეს მიხას გამოკითხვა.

—საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის!—გულდაწყვეტილი ეუბნებოდა მიხას სტუმარი:—რაც მქონდა, ყველა დავარიგე დღეს.

—ნუ შესწუხდებით, თქვენს მაგიერ საჩუქარს მე მივცემ,—უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

—თქვენ კი მისცემთ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ჰქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და გთხოვთ, ჩემს მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ სურს.

ამ სიტყვებით სტუმარმა რამდენიმე თეთრი ფული ამოიღო და მისცა მასწავლებელს. მასწავლებელმა ფული გამოართვა და მიხას მიუბრუნდა:

—მიხა, ბარემ ახლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

—ქინაქინა!—წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ. ყველამ ყურები აცქვიტა და გაოცებით შეხედეს მას.

—რა?—ჰკითხა მეორეთ მასწავლებელმა, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატყუა.

—ქინაქინა!—განიმეორა ბავშმა.

—იცი, მერე, რა არის ქინაქინა?—ღიმილით ჰკითხა სტუმარმა მიხას.

—წამალია!—მიუგო ბავშმა.

—მერე რათ გინდა შენ ეგ წამალი?—ჰკითხა მასწავლებელმა.

—დედას აცივებს და მამა სწუხს:—უფულობას რა ვუყო, თვარა ქინაქინას ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეხედეს...

მიხას ნეტარებას საზღვარი არა ჰქონდა; იმისთვის დღეს ბედნიერი დღე იყო, რადგან შეეძლო, თავის გაჭირებულ მშობლებისთვის სასარგებლო ყოფილიყო.

დუტუ მეგრელი.

1. დედის ავათმყოფობა და ოჯახის უკიდურესი სიღარიბე. 2. როგორ დაეხმარა შვილი ოჯახს?

პატარა ფლორენციელი მწერალი.

ჯულიო პირველდაწყებითს შკოლაში სწავლობს. მეოთხე კლასის მოწაფეა. თორმეტი წლისა თუ იქნება. მშვენიერი, შავთმიანი, თეთრ-ყირმიზი ბავშია, უფროსი ვაჟია რკინის გზის მოსამსახურისა, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავს სარჩენი. რადგან ცოტა ჯამაგირი ეძლევა, ძალიან ღარიბადა სცხოვრობს.

მამას ძლიერ უყვარს შვილი, ლმობიერადაც ეპყრობა, მაგრამ, თუ სწავლაში სისუსტე შეამჩნია, უთუოდ სიმკაცრესაც არ მოერიდება. შვილმა, რაც შეიძლება, მალე ადგილი რაიმე უნდა იშოვნოს, და ეგ მხოლოდ მაშინ მოხვრხდება, თუ კარგად და ბევრს ისწავლის. ყმაწვილი ძლიერ ბეჯითობდა, მაგრამ მამა მაინც ყოველთვის სწავლაზე ძალას ატანდა.

მამა დიდი ხნის კაცი არ იყო, მაგრამ დიდ შრომასა და ჯაფას წელში გაეტეხა და უდროოდ მოეხუცებია. უკიდურესი სიღარიბის გამო, სამსახურის გარეშე, კერძო სამუშაო უნდა ეშოვნა და ღამ-ღამობით უნდა ეკეთებია. უამისოდ ოჯახს ვერ არჩენდა.

უკანასკნელ დროს ერთმა წიგნის მოვაჭრე ფირმამ, რომელიც წიგნებსა და ჟურნალებს აბეჭდინებდა, სამუშაო მისცა ღა-

რიბ ოჯახის მამას: წიგნების ბანდეროლებზე ხელმომწერლების სახელი, გვარი და ადრესები უნდა ეწერა. ხუთას მსხვილ და სუფთად დაწერილ ადრესისათვის სამი ლირა უნდა ეძლიათ. ძლიერ მომქანცველი სამუშაო იყო, და სადილობისას ხშირად მწუხარებით იტყოდა ხოლმე:

—თვალები დამისუსტდა... ეგ შრომა მეტად მღალავსო.

—მე დავსწერ, მამა,—უთხრა ერთხელ ვაჟმა:—მე თითქმის ისეთი ხელი მაქვს, როგორიც შენ.

—არა,—უპასუხა მამამ:—შენ უნდა ისწავლო; შენი სწავლა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე წიგნის ბანდეროლები. ერთ წამსაც რომ მოგაცდინო სწავლას, მე სინიდისი შემაწუხებს. მადლობელი ვარ, რომ ჩემი მოხმარების სურვილი გაქვს, მაგრამ, მართალი გითხრა, ეგ არ მომწონს: მაგისთანები არასოდეს არ გამიმხილო. შენი საქმე ჯერ სწავლა, სწავლა და მეტი არაფერი.

ჯულიომ ძლიერ კარგად იცოდა, რომ მამა მისი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და თავისი სურვილი აღარ გაუმეორებია, მაგრამ ის თავის განზრახვას მაინც არ ეშვებოდა. მამა სამუშაოს ყოველთვის თორმეტ საათზე ათავებდა და მერმე სამუშაო ოთახიდან საწოლ ოთახში გადიოდა. ამ დროს ხშირად საათის რეკაზე გამოიღვიძებდა ხოლმე ჯულიო, რომელიც სკამის რახუნს და მამის ფრთხილ ფეხის-ხმას გაიგონებდა ხოლმე. ერთხელ უდარაჯა, სანამ მამა დაწვებოდა; მერმე ნელა წამოდგა, ჩაიცვა, ხელის ფოთინით სამუშაო ოთახში შევიდა და ლამპარი აანთო.

სტოლზე ბანდეროლები და ადრესების სიები ეწყო. ჯულიომ წერა დაიწყო და ცდილობდა, მამის ხელისათვის მიემზგავსებია; დიდი ხალისით, სიხარულით და თან შიშით მუშაობდა. დაწერილი ადრესების რიცხვი ძალიან გადიდდა. ხანდახან წერას შესწყვეტდა, რომ ხელი დაესვენებია, მიაყურებდა მამის ოთახს და ხელახლა უფრო მეტის ბეჯითობით შეუდგებოდა მუშაობას. ას სამოცი ბანდეროლი დასწერა—ანუ ერთი ლირა შემატა მამის ქირას. ახლა კი შესწყვიტა წერა, სტოლზე ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, ლამპარი დააქრო, ფეხის ცერებზე ჩუმად თავის ოთახში დაბრუნდა და დაწვა. მეორე დღეს სა-

დილობისას მამა კარგს გუნებაზე იყო. Იგი სულ სხვა საქმეზე იყო გადაყოლილი და ამ შრომას მექანიკურად ეწეოდა, ნამუშევარს საათობით ანგარიშობდა და ამიტომ შვილის ოინი ვერ შეამჩნია. Მაგრამ მეორე დღეს, როცა დაწერილი ბანდეროლები დაითვალა, შვილს მხარზე ნელა ხელი დაჰკრა და უთხრა:

—Ჯულიო ჩემო! მამა შენი უკეთესად მუშაობს, ვიდრე შენა გგონია. Ბუშინ საღამოს, ორი საათის განმავლობაში, მთელი სამუშაოს მესამედი გამიკეთებია. Ამდენი არასოდეს არ მომისწრია. Მაშ ხელიც მარჯვე მქონია და თვალებიც ადრინდულად მიჭრის.

Ჯულიოს ძლიერ უხაროდა და გულში ფიქრობდა: „საბრალო მამა, ქირას გარდა, კმაყოფილებაც მიიღე! Ფიქრობს, თითქო ძალ-ღონე მიმატებოდეს!.. Ახლა უფრო უშიშრად ვიმუშავებო,—სთქვა Ჯულიომ და გამხნევდა. Მეორე საღამოს შუაღამეზე ჩვეულებრივ სამუშაოს შეუდგა. Ასე განაგრძო რამდენსამე ღამეს—და მამას ეჭვიც არ აუღია. Მხოლოდ ერთხელ ვახშამზე სთქვა:—საკვირველია, რომ უკანასკნელ დროს ძლიერ ბევრი ნავთი იხარჯებაო.

Ჯულიო ცოტათი შეფიქრიანდა, და ამ ჟამად მამის შენიშვნა მხოლოდ ამითი გათავდა. Ღამის სამუშაოს Ჯულიო გაბედულად განაგრძობდა. Ღამე უძილობის გამო, იგი დილით დაღლილი, ფერმიხდილი დგებოდა, თვალები ეხუჭებოდა და წიგნზე მიეძინებოდა ხოლმე.

—Აბა, რა დროს ძილია, Ჯულიო! ისწავლე, ისწავლე!—შეჰყვირა მამამ.

Ჯულიო შეკრთა და ისევ გაკვეთილებს მოსდგა.

Ეგევე გამეორდა შემდეგ დღეებშიც: Ჯულიოს წიგნებზე ეყვინთებოდა, გვიან დგებოდა, გაკვეთილებს ცუდათ ამზადებდა, ისე ეტყობოდა, თითქო სწავლა მო'ეზრდაო. Მამა ძალიან დაუკვირდა, ჩაუფიქრდა ამ ცვლილებას და ბოლოს საყვედურიც უთხრა:

—Არასოდეს აქომამდე ასე არ შეგიწუხებივარ, Ჯულიო! შენ მატყუებ, სრულიად გამოიცვალე. Ეგ ჩემი უბედურებაა!

მთელი ოჯახი შენ შემოგყურებს და შენი იმედი აქვს. ალარა ვარ შენი კმაყოფილი! გესმის?

ამ პირველმა მკაცრმა საყვედურმა ყმაწვილი მეტად შეაშფოთა.

—დიახ,—იფიქრა მან,—მართლაც, ასე განგრძობა ალარ შეიძლება, კიდევ მამის მოტყუება ალარ ივარგებს!

მაგრამ იმავე დღეს, სადილობისას, მამამ მხიარულებით წარმოსთქვა:

—ამ თვეში ბანდეროლების წერისათვის ოცდა თორმეტი ლირით მეტი მივიღე, ვიდრე წარსულშიო, და უჯრიდან კოლოფით კანფეტები ამოიღო: კარგი ქირა რომ მიიღო, უნდოდა, ოჯახი გაეხარებია. კანფეტებს მთელი ოჯახი დიდის აღტაცებით მიეგება. ჯულიოსაც ძლიერ უხაროდა და თან ფიქრობდა:

—არა, საბრალო მამავ, კიდევ უნდა განვაგრძო შენი მოტყუება, ვეცდები, დღისით ბეჯითად ვისწავლო, ღამით კი ოჯახსა და შენს მოსახმარებლად ვიმუშაო!

—ჩემ ქირას რომ ოცდა თორმეტი ლირა მოემატა, განაგრძო მამამ,—ძლიერ, ძლიერ მახარებს, მაგრამ ეგ... (ჯულიოზე უჩვენა), ეგ მიმწარებს სიცოცხლეს!

ჯულიომ მამის საყვედური მიიღო, თუმცა ასეთი დაუმსახურებელი საყვედური იდუმალ ცრემლებს აყლაპვინებდა: თანაც გულში სიამოვნებასა გრძნობდა, რომ ოჯახს შველოდა. კიდევ განაგრძო იდუმალი მუშაობა, მაგრამ უფრო-და-უფრო იქანცებოდა, ძილი ერეოდა და თავს ველარ იმაგრებდა. ასე განვლო ორმა თვემ. მამა უსაყვედურებდა მას, უჯავრდებოდა, შვილის ამბის შესატყობად მკოლაშიაც წავიდა.

—სხვებს ჯერ უკან არ ჩამორჩენიაო,—უპასუხეს მასწავლებლებმა, მაგრამ ეგ იმიტომ, რომ კარგი ნიჭის პატრონია. ადრინდელი ხალისი სწავლისა კი ალარ აქვსო: თვლემს, ამთქნარებს, ყურადღება ალარ აქვს; თხზულება მოკლე და ულაზათო გამოდის; შეეძლო კი ძლიერ კარგათ ესწავლა.

ამავე საღამოს მამამ ჯულიო ცალკე გაიხმო და მკაცრად გამოელაპარაკა:

—ხომ ხედავ, ვიქანცები, უზომოდ ვშრომობ ოჯახისთვის. შენ ჩემი შემწე არა ხარ! შენ უგულო ადამიანი ყოფილხარ! შენ, როგორც გეტყობა, არც ოჯახის, არც მამის, არც დედის, არც ძმებისა არაფერი გენაღვლება!

—ოჰ, არა, მამავ, ნუ ამბობ მაგას?—წამოიძახა ჯულიომ და ტირილი მორთო, იგი მოემზადა, ყველაფერი ეთქვა, მაგრამ მამამ გააწყვეტინა;

—ხომ კარგად იცი, ჩვენი ოჯახი რა მდგომარეობაშია, იცი, რომ ყველამ უნდა ვიშრომოთ. ჩემი მუშაობა უნდა გავაორკეცო: ამ თვეში ასი ლირა ჯილდო უნდა მიმეღო, მაგრამ დღეს გავიგე, რომ არ მაძლევენ.

ჯულიო ფიქრობდა გაემხილა, ბანდეროლებს მე ვსწერდიო, მაგრამ, როცა მამამ თავისი საჩუქარის დაკარგვის ამბავი სთქვა, საიდუმლო კიდევ შეინახა.

—არა, არ გავამხელ, სჯობია, არავინ იცოდეს, მხოლოდ მაშინ შემეძლება მამის მაგიერად მუშაობა! დიახ, თუმცა გამწარდები, მამავ, მაგრამ მაგიერად მე გავიჭირვებ: კარგად ვისწავლი და შემდეგ კლასში უთუოდ გადავალ. ბანა კარგი არ იქნება, რომ მოგეხმარები, იმ შრომას შეგიმსუბუქებ, რომელიც შენ გქანცავს და გასუსტებს. მხოლოდ ორ თვეს დამჭირდება ღამ-ღამობით მუშაობა და დღისით—მოქანცვა, დაღლა, დიდი შრომა და მამისაგან საყვედურის მიღება.

ჯულიოს ყველაზე უფრო .ისა სტანჯავდა, რომ მამა ცივად ეპყრობოდა მას, ხშირად მასთან უბრალოც იყო, თითქო შვილი დაღუპულად მიაჩნდა, მისი შეხედვაც კი ეზარებოდა. ეს გარემოება ჯულიოს მეტად აწუხებდა; როცა მამა ზურგს შეაქცევდა, ჯულიო ნაზად და სასოებით გაიღიმებოდა... მწუხარებისა და გადამეტებულ შრომისაგან იგი თვალ-და-თვალ ჭკნებოდა, ყვითლდებოდა და შკოლაშიც რიგიანად ველარ მეცადინეობდა. იცოდა, რომ ბალე ბოლო უნდა მოღებოდა ღამის მუშაობას და ყოველ ღამეს გადასწყვეტდა—მეტს აღარ ვიმუშავებო. მაგრამ, დაკრავდა თუ არა საათი თორმეტს, ჯულიო იმ წამსვე თუ სამუშაოდ არ წავიდოდა, ტანჯვის წამები

დაუდგებოდა მას: დიდ სინანულში ჩავარდებოდა ხოლმე, თითქო თავის მოვალეობას ღალატობდა, მამის ფულს იპარავდა, ოჯახს აკლებდა. Ეგი წამოდგებოდა იმ ფიქრით, ეგებ მამამ შემომისწროს წერაზეო, ან ნაწერ ბანდეროლებს დაითვლის და მიხვდება, საქმე როგორც არისო. Ახლა ჯულიო თანდათან შეეჩვია იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან საიდუმლო უნდა გაემხილა. მამამ ჯულიოს ერთხელ მეტად მკაცრი სიტყვით მიმართა. დედამაც ერთხელ სადილობის დროს შეამჩნია, რომ ჯულიო სრულიად ავათმყოფს დამზგავსებოდა.

—ჯულიო, ავათა ხარ?—ჰკითხა შეშინებულმა დედამ; მერმე ქმარს მიუბრუნდა ამ სიტყვებით: „ჯულიო ავათ არის, შეხედე, როგორ გაყვითლებულა! რა დაგმართია, ჯულიო?“

მამამ გვერდზე გადახედა ჯულიოს.

—Ავათმყოფობა ხშირად ცუდი სინიდისისგან წარმოსდგება. Როცა ბეჯითად მეცადინეობდა, კარგადაც იყო, კარგ ყოფაქცევაზედაც იდგა, როგორც კეთილი შვილი.

—Კი, მაგრამ ჩემი ჯულიო ავათ არის,—წამოიძახა დედამ.

—Ეგ ჩემი საქმე არ არის, როგორც უნდა, ისე იყოს,—ცივად უპასუხა მამამ.

Ეგ სიტყვები ყმაწვილს ლახვარივით მოხვდა გულში.

—Როგორ? ნუთუ მამას ჩემი ავათმყოფობა არაფრად მიაჩნია? Წინათ ჩემი ერთი წამოხველება მას თავზარს დასცემდა. Მაშ აღარ ვყვარებივარ. Აშკარაა, რომ მე მის გულში მკვდარი ვარ. Ყოველივე დასრულდა, მამა! Არა, თუ მამას აღარ ვუყვარვარ, სიცოცხლე აღარ შემიძლია. Ყველაფერი უნდა გავამხილო, აღარ მოვატყუებ მამას, უნდა ადრინდულათ ვისწავლო. Ყველაფერს დავთმობ, ყველაფერს შეველევი, მამის სიყვარულს კი ვერა. Ესაა ჩემი უკანასკნელი მტკიცე გარდაწყვეტილება.

Მაგრამ ღამით იგი ისევ წამოდგა, უფრო კი ჩვეულებისა გამო. Უნდოდა ერთხელ კიდევ უკანასკნელად შესულიყო ღამით იმ ოთახში, სადაც დიდხანს საიდუმლოთ მუშაობდა, სადაც მას ნაზის სიხარულით გული ევსებოდა.

ჯულიომ ოთახში სანთელი აანთო. აი ბანდეროლები სტოლზე აწყვია. ამას შემდეგ მე ველარ დავსწერ ბანდეროლებზე ადგილების სახელებს, ხელის მომწერთა ადრესებს,— გაივლო გულში ჯულიომ და რაღაც დარდმა გაიტაცა. აილო უნებურად კალამი, თითქო ჩვეულებრივის შრომის დასაწყებად. უცაბედათ წიგნს ხელი წამოჰკრა. წიგნმა დიდი ხმაურობით იატაკზე ტყეპა მოადინა. ჯულიოს ახლა თავში სისხლი აუვარდა, თან ფიქრმა გაუელვა: „ამ ხმაურობაზე მამას რომ გამოელვიძოს? ცუდ საქმეზე მაინც ხომ ვერ შემისწრებს, და მეც ხომ გადაწყვეტილი მაქვს გამეღვიძება. მაგრამ მაინც არ ივარგებს, რომ მამა ფეხაკრეფით ბნელ ოთახში შემოვიდეს; მაშინ ხომ სახტათ დავრჩები ამ თავწადგომის დროს; დედასაც გამოელვიძება და შეშინდება“. ახლა თავში ისიც მოუვიდა, რომ მამას შერცხვება, რაღაც თავის დამცირებას იგრძნობს, როცა ამ სამუშაოზე შემომესწრებაო.

ჯულიო დიდათ შეფიქრიანდა, მან სულგანაბულად მამის ოთახს მიაყურა. დიდი სიჩუმე იყო. ჟური კარს მიაპყრო: ყველას სძინავს, მაშ, ხმაურობის გამო, მამას არ გამოღვიძებია. ჯულიო დაიმედდა და ჩვეულებრივ საქმეს ხელი მიჰყო.

წარწერილი ბანდეროლების რიცხვი მატულობდა. ჭუჩიდან მეურმეთა ხრიალი და პოლიციელების ხმა მოისმოდა. ქიდევ ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ შორს სადღაც ძაღლები ყეფდენ. ჯულიო არაფერს ყურს არ უგდებდა და სწერდა და სწერდა. წიგნის ხმაზე მამა მისს თურმე გამოღვიძებოდა, დრო შეერჩია და ოთახში შემოპარულიყო. ჭუჩიდან ხმაურობის გამო, ჯულიოს ვერც ფეხის ხმა და ვერც კარის ჭრიალი ვერ გაეგონა. მოხუცი მამა ზურგს უკან წამოდგომოდა, ბამბასავით გათეთრებული თავი დაეხარა და დასცქეროდა, თუ რა სიჩქარით მიწრიპინობდა ქაღალდზე ყმაწვილის კალამი. ახლა მამამ ყოველივე გაიგო, ყოველივე მოიგონა. მისი გული სიყვარულმა და მტანჯველმა სინანულმა შეიპყრო; ერთხანს ადგილიდან ველარ იძროდა, სულგანაბული იდგა. მერმე მამა თრთოლვით ყელზე მოეხვია თავის შვილს...

— მომიტევე, მამავ, მომიტევე! — წამოიძახა ხმამაღლა ჯულიომ.

—შენ მომიტევე, შენ!—ეუბნებოდა მამა და თან სტიროდა და კოცნიდა მას:—ახლა ყველაფერს მივხვდი, ყველაფერი ვიცი! და ამიტომ გთხოვ, მომიტევო, ღვთისნიერო ბავშო! აბა, წავიდეთ!

მამამ აიყვანა და დედასთან მიიყვანა; მასაც გაღვიძებოდა.

—ბადაეხვიე შენს შვილს! ეგ ჩვენი ანგელოზი ყოფილა. მთელი თვეობით არ უძინია თურმე და ჩემს მაგიერ უმუშავნია; მე კი მრავალჯერ გავკიცხე, დავტუქსე და გავამწარე იგი, ვინც თურმე ჩვენის ლუკმისათვის თავგანწირულად ზრუნავდა. დედა დიდის ალერსით გადაეხვია და გადაჰკოცნა ჯულიო.

—წადი, შვილო, გენაცვალოს დედა, წადი, დაისვენე,— იმეორებდა დედა, როცა დამშვიდდა და ლაპარაკი შესძლო.

—მოხვიე ხელი და წაიყვანე!

მამამ ხელით მიიყვანა ლოგინთან, გახადა, ბალიში გაუბერტყა, დააწვინა და საბანი დაახურა.

—გმადლობ, მამილო! კარგი, კარგი! გმადლობ, მამა!— იმეორებდა ბავში: გმადლობ, წადი, თუ გიყვარდე, და თვითონ მოისვენე. მე ბედნიერი ვარ! წადი, დაიძინე, მამილო!

მამას უნდოდა ეყურებია, როგორ დაიძინებდა, მიუჯდა ლოგინს და ხელი ხელში ჩაჰკიდა.

—დაიძინე, დაიძინე, ჩემო ძვირფასო შვილო; დაიძინე, ჩემო მფარველო ანგელოზო!

დაღლილს ყმაწვილს მაშინვე დაეძინა. ოთხი თვის ლამისთევას შემდეგ დღეს პირველად იყო, რომ ჯულიოს დიდხანს და ღრმად ეძინა.

მეორე დილას, როცა ჯულიომ თვალები აახილა, დაინახა, რომ მის გვერდით მამამისს ჩასძინებოდა და ბამბასავით გათეთრებული თავი მზის შუქით უბრწყინავდა...

დე-ამიჩისი.

1. რას შვრება ჯულიოს მამა, რომ თავისი დიდი ოჯახი არჩინოს? 2. როგორ ეხმარება ჯულიო ჯაფით დატვირთულ მამას? 3. რა შედე-

გი მოჰყვა ჯულიოს დახმარებას როგორც თვითონ მისთვის, აგრეთვე მამა მისისათვის? 4. როგორ ექცევა მამა ჯულიოს და ჯულიო მამას საიდუმლოს გამოაშკარავებამდი? როგორ მოექცენ მშობლები ჯულიოს, როცა საიდუმლო გამომჟღავნდა?

ავათმყოფ მამასთან.

მარტის წვიმიანი დღე იყო. ნეაპოლის უმთავრეს საავათმყოფოსთან ერთი პატარა სოფლის ბიჭი ძივიდა. მთლათ გალუმპული და ტალახში ამოთხუპნული იყო. ხელში ბოხჩა ეჭირა. მეკარეს რაღაცა ბარათი გადასცა და თავის მამის ამბავი იკითხა.

ყმაწვილი მშვენიერი შესახედავი იყო: შავგვრემან პირისახეს ჭკვიანი თვალები, ლაღის ფერი ტუჩები და სპეტაკი ბროლის კბილები უშვენებდა.

იგი მოსულიყო ნეაპოლის არემარეში მდებარე სოფლიდან. ერთი წლის წინათ მამა-მისი საფრანგეთს სამუშაოდ წასულიყო; ნეაპოლს დაბრუნებისას ავათ გამხდარიყო და შინ წერილი გაეგზავნა, საავათმყოფოში ვარო.

ამ ამბავმა ცოლი სასოწარკვეთილებაში ჩაგდო, მაგრამ ოჯახს ვერ მიატოვებდა, რადგან ერთი ბავში ავათ ჰყავდა და მეორე ძუძუს სწოვდა; ძლივს-ძლიობით შეაგროვა ცოტაოდენი ფული და ნეაპოლს თავისი პატარა ბიჭი გაგზავნა, რომ ავათმყოფ მამისათვის მოევლო.

მეკარემ ბარათი გადიკითხა და საავათმყოფოს მოსამსახურეს დაუძახა, ბავში მამასთან მიიყვანეო.

—ვინ მამასთან მივიყვანო?—იკითხა მსახურმა.

ყმაწვილი შეკრთა, ვაი თუ ცუდი ამბავი მითხრასო, მაგრამ მამის გვარი მაინც საჩქაროთ უთხრა მოსამსახურეს. მოსამსახურემ ეს გვარი ვერ მოიგონა.

—მოხუცი მუშაა,—ჰკითხა მან: შორიდან არის მოსული?

—დიახ, მუშაა, მაგრამ მოხუცი კი არაა,—უპასუხა ბავშმა.

—შორიდანაა? რიდის შემოვიდა საავათმყოფოში?

ბავშმა წერილში ჩაიხედა.

—უთუოდ ხუთიოდე დღე იქნება,—უპასუხა მან.

მსახური ჩაფიქრდა, ცდილობდა მოეგონა.

—ჰო, ვიცი! მეოთხე პალატაში უნდა იყოს, სულ უკანასკნელ ლოგინზე.

—როგორაა? ძლიერ ცუდათ ხომ არ არის?—აღელვებით ჰკითხა ბავშმა.

მსახურმა მდუმარეთ გადახედა.

—წავიდეთ!—უთხრა მან ყმაწვილს.

კიბეზე ავიდენ, აივანი გაიარეს და დიდ ოთახში შევიდენ. აქ ლოგინები ორ რიგად იყო ჩამწკრივებული.

—გავიაროთ!—გაიმეორა მოსამსახურემ.

ბავში უკან მიჰყვებოდა და შიშით აქით-იქით იცქირებოდა. ყოველი მხრით ტანჯული და ფერმიხდილი ავათმყოფები იწვენ: ზოგს თვალები ჰქონდა დახუჭული, თითქო მიცვლილიაო, ზოგს შეშინებულივით გაშტერებოდა; ზოგი საცოდავათ კვნესოდა. ოთახები ბნელი და წამლის სუნით გაჟღენთილი იყო. ორს მომვლელ ქალს წამლიანი შუშები დაჰქონდათ და ავათმყოფებს წამლებს აწვდიდენ.

მსახურმა ერთ ლოგინს ფარდა ახადა და პაწიას მიუთითა: „აი მამა შენიო“.

ავათმყოფს ერთი ხელი საბანზე ედვა. ბავშმა ავათმყოფის ხელი აიღო და გულში ჩაიხუტა. ავათმყოფი არ განძრეულა. ბავშმა ჩუმი ტირილი დაიწყო. ავათმყოფმა გადმოხედა, დიდხანს უცქირა, თითქო კიდეც იცნოო, მაგრამ ხმა არ გაუცია, სიტყვა არ უთქვამს. საბრალო ისე გამოცვლილიყო, ყმაწვილმაც ველარ იცნო: თმა გათეთრებოდა, წვერი გაბურძგნოდა, სახე გასივებოდა და ლურჯად უბზინავდა, თვალები მილეოდა და ტუჩები გაფითრებოდა. სრულიად უცნობის სახე ჰქონდა. მხოლოდ შუბლი და წარბები დარჩენილიყო ადრინდელი.

მამა, ჩემო ძვირფასო მამა!—უძახოდა ბავში:—ვერ მიცანი? მე ვარ, მამა, მე! ჩეჩილიო ვარ, შენი ჩეჩილიო! დედამ გა-

მომგზავნა სოფლიდან; შემომხედე კარგად! ვერა მცნობ? ხმა მაინც გამეცი! სიტყვა მაინც მითხარი!

ავათმყოფმა ერთი კიდევ გადმოხედა და თვალები დახუჭა.

—მამილო! შენი შვილი ვარ, შენი ჩეჩილიო!

ავათმყოფი არ ინძრეოდა და მძიმეთ კვნესოდა. ბავშმა სკამი ლოგინისკენ მისწია, დაჯდა და გაშტერებით უცდიდა.

—აი, მოვა ექიმი,—ფიქრობდა იგი,—ის მეტყვის, თუ რა დაემართა მამაჩემს.

ბავში მწარე ფიქრებმა გაიტაცა; ის ფიქრობდა მამაზე, გაიხსენა, თუ როგორ გაემგზავრა იგი სამუშაოდ, როგორ გამოეთხოვა ოჯახს გემზე, რა იმედით შეჰყურებდენ მის მგზავრობას; მოიგონა ისიც, თუ რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა დედა, როცა მისი წერილი მიიღო. თვალწინ წარმოუდგა მკვდარი მამა, შავებით შემოსილი დედა, სამათხოვროდ გამოსული ოჯახი.

ამ ფიქრებში გართულ ბავშს ბეჭზე ვილაცამ ნელა ხელი დაადვა. ბავში შეკრთა; მოიხედა და მომვლელი ქალი დაინახა.

—რა დაემართა მამაჩემს?—სწრაფად ჰკითხა მან ქალს.

—ეგ მამა შენია?—ჰკითხა მომვლელმა ქალმა ალერსიანად.

—დიახ, მამა ჩემია... მე სოფლიდან მოვედი. რა დაემართა?

—აი, ახლავე აქიმი მოვაო,—სთქვა ქალმა და წავიდა; მეტი ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ნახევარ საათს შემდეგ ზარი დაირეკა. შემოვიდა აქიმი; მას თან მოყვებოდა ასისტენტი და ორი მომვლელი ქალი. ლოგინებს ჩამოუარეს. ყოველ ლოგინთან შეჩერდებოდენ ხოლმე. ბავშს ეგონა, თითქო მამის ლოგინთან ველარც კი მოაწევდენ; ამ მოლოდინში საშინლად იტანჯებოდა. ბოლოს მიაწიეს მახლობელ ლოგინთან. აქიმი მაღალი, ბეჭებში მოხრილი და მკაცრი შეხედულობის ადამიანი იყო. როცა ის მამას მიუახლოვდა, ყმაწვილი წამსვე წამოდგა და მორთო საშინელი ტირილი. აქიმმა გაკვირვებით შეხედა ყმაწვილს.

—ავათმყოფის შვილია,—სთქვა მომვლელმა ქალმა,—დილას მოვიდა სოფლიდან.

აქიმმა ბავშს მხარზე ხელი დაადვა და ავათმყოფისკენ დაიღუნა, მაჯა გაუშინჯა, შუბლზე ხელი გადუსვა და რაღაცას ეკითხებოდა მომვლელ ქალს.

—სულ ერთნაირად არის,—უპასუხა მან.

აქიმი ცოტას ჩაფიქრდა და წარმოსთქვა:

—ისე განაგრძეთ მოვლა, როგორც ნათქვამი გაქვთ.

ბავშმა ტირილით ჰკითხა:—რა სჭირს მამას?

—ნუ გეშინია, პაწია!—უპასუხა აქიმმა:—წითელი ქარი აქვს პირის სახეზე; საშიში სენია, მაგრამ შეიძლება მორჩეს; მოუარე, რაც შეგეძლოს, შენი აქ ყოფნა ავათმყოფს ძლიერ ასიამოვნებს.

—ჰი, მაგრამ რომ ვერ მცნობილობს!—სასოწარკვეთილებით წამოიძახა ბავშმა.

—ბიცნობს! შეიძლება ხვალ გიცნოს. იმედს ნუ ჰკარგავ, გული გაიმაგრე.

ჰიდევ უნდოდა ბავშს, რაღაც ეკითხა, მაგრამ ვერ გაბედა.

აქიმი წავიდა. ახლა ბავში მიუჯდა მამას და უვლიდა, რაც კი შეეძლო: ხან საბანს უსწორებდა, ხან ხელებს აუწევდა და დაიჭერდა, ბუზებს უგერებდა, ყოველ დაკვნესებაზე დაიღუნებოდა და მზრუნველობით ჩააცქერდებოდა. მომვლელი ქალი წყალს მიუტანდა და იგი კი კოვზით მიაწოდებდა ავათმყოფს. ავათმყოფი მიაცქერდებოდა ბავშს, მაგრამ ვერ ცნობილობდა.

ბავში იმითი ნუგეშობდა ხოლმე, რომ დღითიდღე ავათმყოფი უფრო და უფრო მეტ ხანს აშტერდებოდა ბავშს, როცა იგი ცრემლებს იხოცავდა.

ამასობაში გადიოდა დრო. ღამ-ღამობით ბავში ორ სკამზე გაწვებოდა და წაიძინებდა; დილას კი ჩვეულებრივ საქმეს შეუდგებოდა. ერთხელ მოეჩვენა, რომ თითქო მამა გონზე მოსულიყო, თვალში აზრიანათ გამოიხედა და სიამით შეხედა ალერსიანად მოუბარს შვილს; ერთხელ თითქო ტუჩებიც გააცმაცუნა, რაღაცას თქმა უნდოდა.

Ცოტა ხნის გაყუჩებას შემდეგ, ავათმყოფმა თითქო ისევ გაახილა თვალებიო და ბავშს ეძებდა. აქიმმაც თითქო უკეთ ყოფნა შეატყო. საღამოს, როცა წყალი მიაწოდა, სნეულმა გაულიმა. ბავში ამან გაამხნევა და დააიმედა: მამას ეგება ყველაფერი ესმის, ყოველივე გაეგებაო. ახლა ბავშმა დედის და პაწია დების ამბები დაიწყო; დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ დაბრუნდებიან მამა-შვილი სახლში, ამხნევებდა მამას მხურვალე და ალერსიანი სიტყვებით. ჩეჩილიო ხანდახან-კი ეჭვობდა, ვაი თუ მამას ჩემი არაფერი ესმისო, მაგრამ მაინც განაგრძობდა ლაპარაკს, რადგანაც ეჩვენებოდა, თითქო მამა სიამოვნებით უსმენდა მას.

ასე გაიარა კიდევ სამმა დღემ. ავათმყოფი ხან უკეთ იყო ხან უარესად. ჩეჩილიო მოვლად გადაიქცა. მომვლელ ქალს მისთვის პური და ყველი მიჰქონდა. როცა სჭამდა, თითქო ვერც კი გრძნობდა, მის გარშემო რა ხდებოდა.

ავათმყოფები იხოცებოდენ. მომვლელი ქალები მიცვალებულებთან მიეშურებოდენ, ნათესავები თავს დასტიროდენ; იმედდაკარგული მნახველები მოდიოდენ და უკანვე ბრუნდებოდენ. ერთი მეორეზე მიყოლებული საავათმყოფოს შემზარავი სცენები სხვა დროს თავზარს დასცემდა ბავშს. მაგრამ ახლა იგი თითქო ვერასა გრძნობდა.

დღე დღეზე მიდიოდა. საბრალო ჩეჩილიო მუდამ ზრუნვაში იყო: დაუსვენებლად უვლიდა ავათმყოფს. ავათმყოფის ყოველი ამოკვნესა მას აკრთობდა, მაშინვე მივარდებოდა და ჩააცქერდებოდა; ხან მორჩენის იმედი მიეცემოდა, ხან-კი სრულიად ეკარგებოდა.

მეხუთე დღეს ავათმყოფს შესამჩნევი უარესობა დაეტყო. აქიმმა ისე გააქნია თავი, რომ ავათმყოფი უთუოდ გათავდებოდა. ჩეჩილიომ ტირილი მორთო. ავათმყოფი უარესად იყო, მაგრამ ჩეჩილიოს ეგონა, თითქო იგი გონს მოვიდაო. ავათმყოფი ყმაწვილს უფრო გაშტერებით და ნაზათ აცქერდებოდა, წყალს მხოლოდ იმის ხელით მიწოდებულს სვამდა და ცდილობდა, რაღაცა ეთქვა.

ავათმყოფის თავის-თავის ძალდატანება ისე აშკარა იყო, რომ ჩეჩილიო ხანდახან ავათმყოფს ხელებზე მოეჭიდებოდა იმ იმედით, იქნება აქიმი შეცდაო, და გახარებული იმეორებდა: —ნუ გეშინია, მამა, მორჩები, ცოტა ხანს კიდევ გაიჭირვე!

მეოთხე საათი იქნებოდა. ბავში იჯდა ეჭვით, იმედით და სხვა ფიქრით შეპყრობილი.

უეცრად მეორე ოთახიდან ფეხის ხმა შემოისმა და ვიღაცამ ხმამაღლა წარმოსთქვა:

—მშვიდობით, დაო, ნახვამდის!

ჩეჩილიო შეკრთა, წამოხტა და გაშტერდა.

მასთან ვიღაც კაცი შემოვიდა. ხელში დიდი ბოხჩა ეჭირა და თან მომვლელი ქალი მოჰყვებოდა.

შეხედა თუ არა ბავშს, მივარდა და შესძახა:—ჩეჩილიო!

—მამა!...

ბავში სიხარულით სულს ველარ ითქვამდა; მამას გულში მიეკრა.

მოირბინეს მომვლელმა ქალებმა, ასისტენტებმა და განცვიფრებით შესცქეროდენ.

ბავშმა ხმა ველარ ამოიღო, ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა.

—ჩეჩილიო! ჩემო ძვირფასო!—წარმოსთქვა ბოლოს მამამ, —კოცნიდა და თან ავათმყოფს ჩასცქეროდა.

—შვილო, ჩემო ნუგეშო! როგორ მოხვდი აქ? ვინ მოგიყვანა აქ, უცხო კაცთან? მე კი ვწუხდი, რომ აგვიანებდი და არ მოდიოდი! დედა შენი კი მწერდა, გამოვგზანეო, წერილიც გამოვატანეო. საბრალო ჩეჩილო! რა ხანია, აქ რომ ხარ? როგორ მოხდა ასეთი გაუგებრობა?... მე ვიტანჯებოდი, სულ შენს მოლოდინში ვიყავი!.. რამხელა გაზრდილხარ! როგორაა დედა? ჟონჩიტელა? ჩვენი პაწია? ყველანი სახლში კარგათ არიან? საავათმყოფოდან უკვე გამოვეწერე; აბა, წავიდეთ! ღმერთო ჩემო, ამას როგორ ვიფიქრებდი?

ჩეჩილიო მამას არ სცილდებოდა და სულ ამას იმეორებდა:— რა მიხარია, რა ბედნიერი ვარ! რა მწარე დღეები გამოვიარე!

—წავიდეთ!—სთქვა მამამ: საღამოს შინ ვიქნებით; აბა, წავიდეთ!

ბავშმა თავის ავათმყოფს გადახედა, იმანაც ამ დროს თვალი გაახილა და ბავშს შეაცქერდა.

—არა, მამილო, მოიცა!—აჩქარებით წამოიძახა ჩეჩილიომ: —მე არ შემიძლია წამოსვლა. ხედავ ამ მოხუცს... ხუთი დღეა, რაც ვუვლი; ხომ ხედავ, როგორ შემომჩერებია. მე მეგონა, ეგ ავათმყოფი შენ იყავი. მე იგი შენსავით მიყვარდა, ვაჭმევდი, ვასმევდი. იგი სულ მე მეძახის. მაგის მორჩენა საიმედო არ არის. მეცოდება, მემძიმება ამისი მიტოვება? ხვალ უთუოდ შინ წამოვალ, ახლა კი ნება მომე, აქ დავრჩე: განა კარგი იქნება ამის მიტოვება! ხედავ, როგორ მიცქერის! მე არ ვიცი, ვინ არის ეგ საწყალი, მაგრამ ვატყობ, რომ ჩემი მასთან დარჩენა შელავათს მისცემს. უპატრონოთ კვდება. მამა, დამტოვე, გეთაყვა, ამ უბედურთან!

—რა კარგი ბავში ყოფილა,—სთქვა ასისტენტმა.

მამა ყოყმანობდა: ხან ჩეჩილიოს შეხედავდა, ხან ავათმყოფს, არ იცოდა, რა ექნა.

—ვინ უნდა იყოს?—იკითხა მამამ.

—ბლეხია,—უპასუხა ასისტენტმა:—შორიდანაა მოსული. საავათმყოფოში ორივე სწორეთ ერთ დღეს შემოხვედით. იგი უგრძნობელი მოიყვანეს, ხმასაც ვერ იღებდა. საბრალოს შეიძლება ცოლ-შვილიცა ჰყავს. უთუოდ ფიქრობდა, რომ ეს ბავში მისი შვილია.

ავათმყოფი ისევ ბავშს მისჩერებოდა.

—კარგი, შვილო, დარჩი,—გარდაწყვეტით წარმოსთქვა მამამ.

—დიდხანს ველარ იცოცხლებს,—ჩუმათ წარმოსთქვა ასისტენტმა.

—დარჩი, დარჩი!—გაიმეორა მამამ:—მე კი შინისკენ გავეჩქარები, დედაშენს დავამშვიდებ. აი, შენ, ეს ცოტაოდენი ფული! მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ნახვამდის!

მამა შვილს გადაეხვია, დიდის სიყვარულით ახედ-დახედა, კიდევ აკოცა და გზას გაუდგა.

ჩეჩილიო მიუბრუნდა სნეულის ლოგინს; ეტყობოდა, ავათმყოფი დამშვიდდა. ჩეჩილიო ისევ მომვლელის მოვალეობას შეუდგა. ახლა ის აღარ სტიროდა, მაგრამ ისევე გულმოდგინეთ უვლიდა, საჭმელ-სასმელს აწოდებდა, საბან-ბალიშს უსწორებდა, ემუსაიფებოდა, ეალერსებოდა მწუხარე მწოლარეს. ოჯრმა დღემ კიდევ გაიარა. ავათმყოფი უარესად შეიქნა. სახე უფრო გაულურჯდა და გაუსივდა, სული ეხუთებოდა, ძიგძიგი აუვარდა. საღამოს აქიმმა დადასტურებით სთქვა, რომ ველარ გაათენებსო. ჩეჩილიომ მზრუნველობა და მოვლა გააორკეცა და ავათმყოფს თვალს არ აშორებდა. ავათმყოფი თავის პატარა მომვლელს შესჩერებოდა და ტუჩებს ანძრევდა: რაღაცას თქმა უნდოდა. მიწურულ და მიბნედილ თვალებში ნაზი გრძნობა გამოკრთოდა.

იმ ღამეს ჩეჩილიოს სულ არ უძინია. დილით მომვლელი ქალი შემოვიდა, დააცქერდა, ისევ გავიდა და მალე შემობრუნდა. მას აქიმი, ასისტენტი და მომვლელი მოჰყვენ.

—თავდება,— წაილაპარაკა აქიმმა.

ჩეჩილიომ ავათმყოფს ხელი სტაცა; მან წამზე თითქო თვალი გააღო,—ეგონა ბავშს.

—ხელი მომიჭირა!—წამოიძახა ჩეჩილიომ.

აქიმმა დახედა ავათმყოფს; ის სასიკვდილოდ იზმორებოდა. მომვლელმა ქალმა კედლიდან ჯვარცმა ჩამოიღო.

—მოკვდა?—წამოიძახა ჩეჩილიომ.

—მოშორდი, შვილო!—უთხრა მას აქიმმა:—შენი წმინდა მოვალეობა გათავდა. წადი, იყავ ბედნიერად და კარგად. შენ ყოველი ბედნიერების ღირსი ხარ. ღმერთი იყოს შენი შემწე, მშვიდობით!

მომვლელი ქალი ერთ წამს მოშორდა მათ, ფანჯარასთან მივიდა, ჭიქიდან ყვავილები ამოიღო და ბავშს აჩუქა.

—მე ამის მეტი არა მაქვს-რა შენთვის მოსაცემად; წაიღე საავათმყოფოს სახსოვრად.

—ბმადლობთ,—უპასუხა მან და თან ცრემლები მოიწმინდა:—მე შორი გზა მაქვს, ეგ ყვავილები დამიჭკნება; სჯობია, იგი ჩემს საბრალო მიცვალებულს დავუტოვო, და ყვავილები ყმაწვილმა მიცვალებულის ლოგინზე მოაბნია.

—ბმადლობთ თქვენ, დაო, გმადლობთ, ბატონო აქიმო! მშვიდობით!

მერმე მიცვალებულს მიუბრუნდა და ცოტა ხანს შეფიქრდა: არ იცოდა, თუ რა სახელი ეწოდებინა მისთვის. ბოლოს წამოიძახა ის ძვირფასი სახელი, რასაც უწოდებდა გავლილ მწარე დღეებში:

—მშვიდობით, მამავ!..

ჩეჩილიომ ხელი დაავლო თავის ბოხჩას და შინისკენ გაემართა.

დე-ამიჩისი.

1. შვილი ავათმყოფ მამას ეძებს. 2. ჩეჩილიოს მზრუნველობა იმ ავათმყოფზე, რომელიც შეცთომით მამად მიიღო. 3. ნამდვილი მამის შეხვედრა 4. ჩეჩილიოს უკანასკნელი მზრუნველობა იმავე ავათმყოფზე.

მშობლური კერა.

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი, ახალ-წლის წინა ღამე მალე გათენდეს მეთქი. მახსოვს ეს წინა-დღე, ეს წინა-ღამე ახალის წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბარტყებივით გარს ვეხვიეთ დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი. თვალი და გული ხვალისკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. ბარეთ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილი და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ ოთახებში დავფუსფუსობდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზსა ზელდენ, იქ ნუშსა და ნიგოზს არჩევდენ გოზინაყისათვის, აქით უცეცხლო ოაფლი თითს გვიქნევდა, მოდით,

პირი ჩაიტკბარუნეთო; იქით დედა ჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა, და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდი, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ თვალებ-დაჭყეტილები აქით-იქით დავძვრებოდით და გვიხაროდა, თუ როგორმე მოვასწრობდით და თაფლს თითს ამოვავლებდით. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ, ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენც ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდენ და ხელებს ვაფაცურებდით, აცა რამ სალოკავად მოვიცხოთო. ყველაზე უფროსი ჩვენში თორმეტ წელს არ იყო გადაცილებული.

მას აქით ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გადამეცვალა ერთი დაც. დავრჩით ამ ქვეყნიერებაზე მარტო ორნი და-ძმანი. ახლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭალარა გვირევია და, როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებ შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშურის სიხარულითა დედას, მამას. მესმის მტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუა-დამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედიჩემისა, მამიჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია: დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარე-ღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე, რისთვისაც ახლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ე. ი. ის ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

ი. ჭავჭავაძე.

1. ოჯახის ბედნიერება. 2. ამ ბედნიერების დარღვევა. 3. მოგონება წარსულ ბედნიერებისა. 4. მწუხარება ავტორისა.

მამის დარიგება.

ბუშინ შენი ძმის მასწავლებელთან დედა შენს ძალიან უზრდელად ექცეოდი, ენრიკო. ეგ აღარ გაიმეორო! შენი უზრდელობა ლახვარივით გულში მეცა.

მაშინვე მომაგონდა, თუ როგორ გევლებოდა თავს დედა შენი ამ რამდენისამე წლის წინათ, როცა ავათ იყავი, როგორ დასტრიალებდა შენს საწოლს და შენს სუნთქვას თვალ-ყურს ადევნებდა: მწარედ სტიროდა, ეშინოდა, შვილი ხელიდან არ გამომეცალოსო. შენ კი დედას უპატიურად ექცევი, იმ დედას, რომელიც შენი გულისთვის მზათ არის, თავისი სიცოცხლე განსაცდელში ჩააგდოს და შენდა საბედნიეროთ მათხოვრობასაც არ მოერიდოს! მომისმინე, ენრიკო, შეიძლება ბევრი მწარე დღე ნახო შენს სიცოცხლეში, მაგრამ ყველაზე უმწარესი უბედურება-კი დედის დაკარგვა იქნება. გაიზრდები, ჯან-ღონით აივსები, ცხოვრებაში გამოიცდები, მაგრამ ძლიერ ხშირად, თითქმის ყოველ საათს, ყოველ დღეს დედის ხსენებაში იქნები. არა ერთხელ მოგინდება, კვლავ ნახო იგი, მისი ხმა გაიგონო, ერთს წუთს მაინც კიდევ მოეხვიო მას, გულში ჩაეკრა და მდუღარება დაღვარო იმის მკერდზე. არა ერთხელ გაგიმწარდება სიცოცხლე, როცა გაიხსენებ, ჩემის წინდაუხედაობით დედა ჩემი რა დარდში ჩავაგდეო. ვინც დედის ურჩია, ის ძნელად მოისვენებს... სულ ამაოა თხოვნა და ვედრებაც, რომ შეცთომა მაპატიეთო. სინიდისი მაინც არ მოგასვენებს. სულით დაიტანჯები, რა-კი მოგაგონდება, რომ ვერ დაიბრუნე, რაც დედამ თან წაიღო...

ენრიკო, დედის სიყვარული ადამიანის უკეთესი და უწმინდესი გრძნობაა... და ვაი მას, ვინც ამ გრძნობას წმინდათ არ ინახავს... თუ თავისი დედა უყვარს, თვით ავაზაკიც-კი ოდნავ მაინც პატიოსანი ადამიანია. ფრიად წარჩინებული და დიდებული ადამიანი-კი მეტად საზიზღარი და მდაბალია, თუ საკუთარის დედის მორჩილი და მოყვარული არ არის. აღარ გაბედო, რაც ერთხელ შეცთომით მოგივიდა. ენრიკო, თუ კიდევ

წამოგცდეს ეგ სიტყვა, იცოდე მამის შიშმა კი არა, შეიძლება საკუთარმა სულის ტანჯვამ და სინიდისის ქენჯნამ იქამდი მიგიყვანოს, რომ დედის წინაშე დაიჩოქო და სთხოვო, თვისის კოცნით შენი გული და სინიდისი გაასპეტაკოს. ჩემო კარგო, ჩემო ნუგეშო! მიყვარხარ, მაგრამ შენს სიკვდილს უფრო ავიტან, ვიდრე შენს უმსგავსობას! არ მომიახლოვდე საალერსოთ, ჯერ კიდევ არ შემიძლია ალერსი ალერსითვე გადაგიხადო!

დე-ამიჩისი.

1. რისთვის ესაყვედურება მამა შვილს? 2. რითი ასაბუთებს ამ საყვედურს: ა. დედის ამაგი შვილზე სიცოცხლეში; ბ. შვილის მწუხარება და შენანება დედის დაკარგვის შემდეგ. 3. მამის აზრი დედის სიყვარულზე.

ო ბ ო ლ ი.

მარტოდ მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარედა,—
მამა შინ არ ჰყავს საწყალსა,
დაც გამოსულა გარეთა.
გული ელევა საბრალოს
დისა და მამის ლოდინში,
ვერც კარი ჩაუკეტია,
ვერც ჩაწოლილა ლოგინში.
დედა-კი სხვაგან ჰგონია.
შორს სადღაც სალოცავადა,
და ვერ მიმხვდარა, თუ მამას
რისთვის აცვია შავადა.
დამეა. ქარი გრიალობს,
და თვინია ჰქმეს კარებზედ;
შინ-კი ბატარას შიშისგან
ცრემლი ჩამოსდის თვალებზედ.
რა დაიდგება ტირილით
და ჯდომა მოეწყინება,

კერას წინ ფარატინებზე
მიწვება, მიეძინება.
დედასა ხედავს სიზმარში,
დიმილი მოსდის პირზედა,
კაბის დიდს უხსნის, ძუძუზე
ჭკოცნის და ეპყრის ყინზედა.



რაკი დატკბება ალერსით
და მშობელ დედის ყურებით,
გულ-ამოძგდარი ტიტინებს
კალთაში საყვედურებით:
—სად დამემალე, სად წახვედ,
ვისთან იყავი, დედაო?
სამი დამეა მშიერი
ვეძინებ ზედი-ზედაო.
ყურს არვინ მიგდებს, ცალიერ
ეუჭს ძლივას ვიძლობ პურითო,
რასაც ვჭამ, ისიც საგსეა
ნაცარითა და მურითო.

ნუდარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენატვალეო!
თუ ფუფუალასთან წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო...

Შ. მღვიმელი.

1. Ობლის გაჭირვება უდედობის გამო. 2. Ყმაწვილის სიზმარი.

საახალწლო სურათები.

1. Ახალი წელიწადია. Სოფლის პატარა სახლები ყველა გაჩაღებულია; ყოველგან სიხარული, ყოველგან სიამოვნება...

Მხოლოდ ბატონის სახლში ბნელა. Მარტო ერთ კუთხეზე ოთახის ბუხარში ცეცხლი ანთია და მის წინ თვითონ ბატონი ზის; მისი სახე ისევ დაღვრემილია; იმას რა, რომ დღეს ახალი წელიწადია? Შეიძლება მან არც-კი იცის ეს! ან-კი ვინ ეტყოდა? Სოფლელები დიდიხანია აღარ მიდიან მისალოცავად, ერთადერთი ბებერი მოსამსახურე დარჩენია და ისიც-კი სიტყვის თქმას ვერ უბედავს... Არა! ბატონმა იცის, რომ დღეს ახალი წელიწადია და მით უფრო უბედურათ გრძნობს თავის თავს. Იმას აგონდება უწინდელი ახალი წლები...

—Ღმერთო! Ღმერთო! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ!—ფიქრობს ბატონი, და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის დამჭკნარ ლოყებზე,—რათ წამართვი, Ღმერთო, ჩემი შვილები, ჩემი ცოლი, ჩემი საყვარელი ოჯახი? Მერე, ყველა ერთ კვირაში, თითქმის ერთ დღეს! ნუთუ ყელჭივრება უთუოდ ჩემ შვილებს უნდა დამართოდა, უთუოდ ორივე მოეკლა და დედაც თან გაეყოლებია? Რაღათ დავრჩი მარტო მე, უნუგეშო, უიმედო?—Ბატონმა თავი კიდევ უფრო ძირს ჩაღუნა და ფიქრებმა გაიტაცა... Ის იგონებდა უწინდელ ცხოვრებას, თავის საყვარელ შვილებს, ცოლს... Იგონებდა, როგორ გაუტარებია ახალი წელი მაშინ, როდესაც ყველა ცოცხლები იყვენ.

—მამა! მამა! ის დიდი ანგელოზი ხომ უთუოდ ჩემი იქნება, — ესმის მას თავის ვაჟის ხმა და ახსენდება გაბრწყინვებული ნაძვის ხე და მის კენწეროზე დიდი შაქრის ანგელოზი.

—არა! ჩემი უნდა იყოს!—აწყვეტინებს სიტყვას მისი პატარა და.

—სად წავიდა ის დრო, ის ნაძვის ხე, ის შაქრის ანგელოზი!..—ღმერთო! მუდამ მარტო, მუდამ... რათ მინდა ამისთანა სიცოცხლე, რათ მინდა ჩემი სიმდიდრე, რათ მინდა ქონება? შვილებო! შვილებო! წამოიძახა ბატონმა და სიმწრით თმაში ხელი იტაცა.

2. ამ დროს კრძალვით შემოვიდა მოსამსახურე და წყნარათ უთხრა:

—ბატონო! ჩვენი სახლის კიბეზე პატარა ქალი ზის და სძინავს. საწყალი მთლად გაყინულა. ქარგი იქნება, ოთახში შემოვიყვანოთ და გავათბოთ.

—ჩემთვის სულ ერთია!—ცივათ უპასუხა ბატონმა.

რამდენსამე წუთს შემდეგ მსახურმა შემოიყვანა ხელში აყვანილი პატარა ქალი, რომელიც სილამაზით ანგელოზს მოგაგონებდათ. მშვენიერი ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა მხრებზე გადაშლოდა, პატარა ტუჩები სიცივისაგან გალურჯებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. უმაწვილი სამი წლის იქნებოდა.

მსახურმა ბავშს ცეცხლის წინ ხალიჩა გაუშალა და ზედ დააწვინა, თვითონ-კი სისწრაფით ერთი ჭიქა რძე მოარბენია და, როცა ბავში გამოფხიზლდა, მთლათ დაალევია. ბავში მოსულიერდა, ლოყები აუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა... მან თავი მიაყრდნო იქვე მდგარს სავარძელს და ტკბილათ ჩაეძინა.

რამდენიმე ხანი სიჩუმე იყო. ბოლოს მსახურმა გაბედა და ჰკითხა:

—რომ გაიღვიძებს, რა უნდა უყოთ?

—რაც გინდა, ის უყავი, ჩემთვის სულ ერთია!—ისევ ცივათ უპასუხა ბატონმა.

ამ დროს ბავშმა თვალები გაახილა და ბატონს შეხედა. „ეს რა არის? ვისი თვალებია?“ ეკითხებოდა ბატონი თავის-

თავს,—მას თვალწინ წარმოუდგა მისი პატარა ქალი ნუცა, რომელიც სწორეთ ამ ნაირივე თვალებით უყურებდა მამას, როცა სიკვდილი ეპარებოდა და შიშით ეუბნებოდა: „მამა! ვიხჩობი, მიშველე, მამა, მიშველე!“

—რა გქვია შენ?—აკანკალებულის ხმით ჰკითხა ბატონმა ქალს.

—ნუცა.

—საიდან ხარ?—ჰკითხა ამ სახელის გაგონებით კიდევ უფრო აღელვებულმა ბატონმა.

—ამ სოფლიდან... მე და დედა ვიყავით... დედა სულ იწვა, არ დგებოდა... დღეს-კი კაცები მოვიდენ და გრძელ შავ ყუთში ჩადვეს... წაიღეს... და მე ოთახში დამტოვეს...

—მერე?

—წამოვედი... გამოვიქეცი დედის საძებნელად... დავიღალე და ამ კიბეზე დავჯექი... მცივა,—მშია... წამოიძახა ბავშმა და ტუჩები აუკანკალდა, ეტყობოდა, ახლავე ტირილს აპირებდა.

—ეს ბავში ჩვენთან დარჩება!—მიუბრუნდა ბატონი მსახურს და სწრაფლად გავიდა მეორე ოთახში.

3. გავიდა ერთი წელიწადი. ისევ ახალი წელია, ისევ მთელ სოფელში სიხარული და სიამოვნებაა, მაგრამ ახლა სულ სხვა გვარი: თითქმის არავინ სახლში არ არის, ყველა მოგროვილა ბატონის დარბაზში. შუაში დგას უშველებელი ნაძვის ხე, მშვენივრათ მორთული სხვადასხვა სათამაშოთი; მას ქვეშ დგას მშვენიერი ოთხი წლის ქალი. ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა მხრებზე აყრია, ლურჯი თვალები სიამოვნებით შესცქერის სტუმრად მოსულს სოფლის პატარა ყმაწვილებს. მის გვერდში დგას შუახნის კაცი. ნუთუ ეს ბატონია? სადღაა მისი დაღვრემილი შუბლი, მისი მუდამ შეჭმუხვნილი წარბები? ახლა მის სახეზე სიამოვნებაც იხატება და სიყვარულით დასცქერის იგი პატარა ნუცას.

—შენ რომელი გინდა? შენ?—ჰკითხავს ნუცა თითოეულ სოფლის ბავშს. ნაჩვენებ საგანს ნაძვის ხიდან იღებს ბა-

ტონი და აძლევს პატარა ქალს. ის კი სიხარულით ბავშებს ასაჩუქრებს.

მოხუცი მსახური აქვე დგას და კმაყოფილებით იღიმება.

—ეს დიდი შაქრის ანგელოზი-კი მე მინდა!—ამბობს ოქროს-თმიანი ბავში და ხის გარშემო ხტის. ბატონი იღებს ანგელოზს, აძლევს ხელში ბავშს და სიყვარულით იკრავს მას გულში. ამ წამს აგონდება მას საყვარელი შვილები, თვალწინ ეხატება მისი ოჯახი, მისი ადრინდელი ცხოვრება, მხიარულად დროს გატარება, დღესასწაულობა,—ყოველივე ეს მის გულს აღელვებს, უახლებს ღრმა მწუხარებას, თითქმის, სასოწარკვეთილებას, მაგრამ ამასთანავე თავის კარზე ნაპოვნი პატარა ბავში, საკუთარი ქალის სანაცვლოდ ნაშვილევი, მას გულს ულბობს და ცოტათი მაინც ნუგეშს აძლევს შემდეგისათვის...

«ჯეჯილი».

1. ბატონის მდგომარეობა ცოლ-შვილის დაკარგვის გამო. 2. ბატონის მდგომარეობა შვილობილის აყვანის შემდეგ.

ორი ძმა.

ორი ძმა იყო: უფროსი ცოლ-შვილიანი იყო, უმცროსი კი უცოლო. ერთად ველარ დადგენ და გაიყარენ. ყოველივე გაიყვეს; ერთის ორმო კალოს აქით იყო და მეორის—კალოს იქით. უფროსი მალვით თავის ორმოდან პურს ამოიღებდა ხოლმე, ძმის ორმოში ჩაჰყრიდა და იტყოდა: „მე ღმერთმა ცოლ-შვილი მიბოძა, მომგები შვილები მყავს, ჩემს ძმას არც ცოლი ჰყავს, არც შვილები გააჩნია, ეს იმისი იყოს და მან ჭამოსო.“ უმცროსი ძმაც მალვით ამოიღებდა ხოლმე პურს თავის ორმოდან, უფროსის ორმოში ჩაჰყრიდა და იტყოდა: „მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილი საშოვნელია. ჩემი ძმა-კი წვრილშვილიანია, მას მეტი უნდება და მისი იყოსო.“ ასე გაატარეს მთელი სიცოცხლე და ღმერთმან ორივეს გაუმრავლა ყოველიფერი, და საზრდო მათ არ მოჰკლებია.

საბა ორბელიანი.

დის სიმღერა.

მე გოგია მისთვის მიყვარს,
რომ ძმაა და მეგობარი,
და მისთვის მსურს მისი ხილვა,
მასთან ხშირი საუბარი!
ღმერთო, მიეც გამარჯვება,
განსაცდელისგან დაიხსენი!
დაგვიბრუნე შინ მშვიდობით,
გევედრები მონა შენი!..
და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზე,
გაემსჭვალოს ისრით გული,
მაშინ ჩიტად გარდამქმენი:
მსურს შევიქნე მე ბულბული,
რომ მის საფლავს მარტოხელსა
მე ვუსტვენდე გრძნობა-მტკბარი;
და იმ ხმასაც ყურს უგდებდეს
არე-მარე, მთა და ბარი!

აკ. წერეთელი.

1. რატომ უყვარს დას გოგია? 2. რასა სთხოვს ღმერთს და თავის ძმისთვის? 3. რას ნატრობს და, თუ მისი ძმა ბრძოლის ველზე მოკვდა?

დის წერილი ენრიკოსთან.

მას შემდეგ, რაც მამამ შენიშვნა მოგვცა, ენრიკო, რაღათ მექცევი აგრე უზრდელად? შენ ვერ წარმოიდგენ, თუ მაგ საქციელით რანაირად მატკინე გული!

შენ რომ პატარა იყავი და აკვანში იწექ, დღე და ღამ თავს გევლებოდი, არ გაცივდეს, არ მოსწყურდეს და არ მოშივდეს მეთქი. ავათ რომ გახდებოდი, ღამე თვალს ძილი არ

მეკარებოდა, სულ შენ მახსოვდი, ყოველ წამს ვდგებოდი, თავზე ხელს გადებდი, სიცხე არა ჰქონდეს მეთქი.

ღმერთმა ნუ ქნას, და დედა რომ არა გვყავდეს, მის მაგიერობას მე გაგიწევდი, ისე მიყვარხარ, და შენკი ასე მექცევი!

დედმამა რომ არა გვყავდეს, მე შენი უკეთესი მეგობარი ვიქნებოდი. რომ გაგიჭირდეს, ვიშრომებ, ფულს ვიშოვი, რომ სასმელ-საჭმელი არ დაგაკლდეს და სწავლას არ მოსცდე. ისე მიყვარხარ, რომ, შორს რომ წახვიდე, ჩემი ფიქრი თან გამოგყვება. როცა გაიზდები, თუ უბედურობა რამ გეწია, მოგაგონდები, მოხვალ და მეტყვი: „სილვია ჩემო! მინდა შენთან ვიყო, ჩემი გულის მწუხარება გაგიზიარო: მოვიგონოთ ერთად დედა, მამა და ჩვენი სიყმაწვილე!“ ძვირფასო ენრიკო! გენაცვალოს შენი და სილვია! ყოველთვის გულში მიგიკრავ, როცა კი გნახავ.

თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაპატიე ეს ჩემი შენიშვნა. თუ გწერ, იმიტომ გწერ, რომ მიყვარხარ და საუკუნოდ შენი მეგობარი ვარ. მომწერე რამ და მანუგეშე შენის ტკბილის სიტყვით, ჩემო ენრიკო! გთხოვ, არ გამაწბილო, ჩემო ძვირფასო!

შენი და სილვია.

—ენრიკოს პასუხი:—„სილვია! ღირსიც არა ვარ, შენ ხელზე გაკოცო! ენრიკო.

დ-ამიჩისი.

1. როგორ მოქცევია ენრიკო თავის დას? 2. დის მზრუნველობა ძმაზე, როცა ძმა პატარა იყო. 3. რა მზრუნველობას გაუწევდა უდედ-მამოთ დარჩენილ ენრიკოს? 4. შემდეგ როგორ გამოადგებოდა მისი და უბედურებაში ჩავარდნილს ენრიკოს? 5. ძმის სინანული.

ღვთის შვილი.

1. ლექსო ხუთის წლისა იყო, როდესაც ყვავილი დაერია ბერიკიანთ დიდ ოჯახს. ექვსი კვირის განმავლობაში დიდი თუ პატარა სულ ჭერეხებივით ელაგნენ ლოგინში. რასაკვირველია, ლექსოც ვერ გადაურჩა ამ საშინელ სენს, რადგან მთელი ოჯა-

ხი ყვავილ აუცრელი იყო. Ავათმყოფობის პირველსავე დღეს ისეთი საშინელი სიცხე მისცა ღ ექსოს, რომ გონება დაეკარგა და მოჰყვა ბოდვას; სახეზე შავი ალმური ასდიოდა და ხელებს აქით-იქით აწყვეტდა.

Მისი დედა Მელანო გაშრა მწუხარებისაგან, მაგრამ რას გააწყობდა. Ალთაზე გადიწვინა თავისი ერთადერთი ბიჭუნა და თვალებში ჩაჰყურებდა დღე და ღამე. Ავათმყოფი არც სჭამდა, არც სვამდა და მხოლოდ გულსაკლავად გმინავდა.

Შუა მარტი იყო,—ქარი, წვიმა, თოვლი სულ ერთმანეთში ირეოდა და დედამიწას კორიანტელს ადენდა. Ბერიკიანთ ფარღალალა ხის დარბაზში მარტის გიჟი ქარი თავისუფლად ნავარდობდა და ყვავილით ავათმყოფებს სენს უფრო უძნელებდა. Ერთ კვირაში ხუთი ბავში დაასაფლავეს ამათ ოჯახიდან. Მელო თრთოდა შიშით და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში იკრავდა ღ ექსოს, რომ ყმაწვილების მტერს, ყვავილს, ესეც არ წაერთმია.

ღ ექსო მთლად დასივდა, ტიკჭორასავით გაიბერა და სულმობრძავი შეიქნა. Მელანია თითქმის იმედდაკარგული იყო ღ ექსოს გამობრუნებაზე, მაგრამ მეექვსე დღეს ბავშს ყვავილმა გამოყარა და რა გამოყარა: ნემსის კურწი აღარ დაეტეოდა მუწუკებ-შუა. Ყელი, ენა, თვალები რა არის, თვალებშიაც-კი გამოყრილი ჰქონდა ყვავილის მუწუკები.

Მელომ იავნანას მოუხშირა და იმისი იავნანა უფრო მოთქმას ჰგავდა, ვინემ სიმღერას,—თვალებიდან დედას შეუწყვეტელი მდულარება სდიოდა და შვილის უგრძნობელ სახეზე სცვივოდა.

Მეთოთხმეტე დღეს ღ მერთმა შეიბრალა საწყალი მშობელი და ღ ექსო გამობრუნდა, სიცხე გამოელია და შიმშილი იგრძნო.

Მელო სიხარულისაგან მთლად აკანკალდა და საჩქაროდ ჯამით რძე მოურბენინა. ღ ექსომ ჯამი ვერ დაინახა, ხელების პოტინი დაიწყო და სუსტის ხმით წამოიკნავლა: „დედა, სანთელი აანთე, ბნელა“,—და თან ცდილობდა თვალები გაეხი-

ლა, მაგრამ ტყუილად,—იმის ქუთუთოები ერთმანეთზე შეწებებულიყო, მუწუკებს შიგნიდან ემუშავა და თვალების სინათლე მოესპო პატარა ბიჭისათვის.

—შვილო, ვერ ხედავ? ვაი, შენს მშობელს!—საშინლად შეჰკივლა საწყალმა მელომ და ჯამი ხელიდან გავარდა.

2. გაზაფხული დადგა. მზემ თავისი სხივების სითბოთი არემარე ააყვავა. ტყე ფოთლით შეიმოსა, მინდორში ჯეჯილი ბიბინობდა და ზღვასავით მწვანეთ ღელავდა. ბუთნის-დედის ოროველა და ფრინველთა ჭიკჭიკი ერთმანეთს ბანს აძლევდა. წყლის რუები, ღელეები, ზამთრისგან გაყინული და შემდგარი, გალხვენ, წყლით აივსენ და სისწრაფით მირბოდენ; ისე მიეჩქარებოდენ, თითქოს, დიდიხნის შეჩერებას შემდეგ, უნდათ ბინას მალე მიაწიონო.

სოფლის ხალხი გარეთ გამომზევდა. დათბა, მუშაობა დაიწყო. მხოლოდ საცოდავი, ორივე თვალით დაბრმავებული ლექსო ვერ ეღირსა ბრწყინვალე ბუნების ნახვას. ხელმოკიდებული გამოიყვანდა ხოლმე ლექსოს დედა-მისი დერეფანში და თვალცრემლიანი ეტყოდა: „აქ იჯექ, შვილო, უჩემოდ არ ადგე, თორემ წაიქცევი და იტკენ რასმეო“.

ლექსო იჯდა უძრავათ და მხოლოდ თავის ყურმახვილობას ატანდა ძალას: მალე მიეჩვია იმისი სმენა ყოველგვარი ხმაურობის გარჩევას. არ გამოეპარებოდა არც ჭრიჭინას ჭრიჭინი, არც ბელურას ჭიკჭიკი, არც ფოთლების შრიალი, არც ჩუხჩუხი პატარა რუისა, რომელიც ამათ კარებზე ჩამოწკრიალებდა და მიეშურებოდა თავის გზისკენ.

მაგრამ ლექსო დიდხანს არ დაემორჩილა დედის დარიგებასა და ცოტ-ცოტად დაიწყო სახლის გარშემო ბოტიალი: ბოსტანი, სათუთუნე, კალო-საბძელი მალე იპოვა და იქ ჯერ დიდი სიფრთხილით და შემდეგ სრულიად თავისუფლათ დაიწყო სეირნობა. შემდეგ სოფელთან ახლო მდებარე ტყეშიაც გადავიდა; იქ ლექსო გულალმა გაწვებოდა ხოლმე მწვანეზე და მთელი საათობით ისმენდა მაღალი ხეების წვეროების რხევას, ფოთლის შრიალს და ტყის ათასგვარ საიდუმლო ხმას.

დათავთავებულ ყანებში გორვაც ძალიან უყვარდა ლექსოს და არც ყვავილებით მორთულ ველს აუვლიდა ისე, რომ კარგა ხნით შიგ არ ჩამჯდარიყო და თითის წვერებით არ ეძებნა ბალახებ შუა სურნელოვანი ია და ღრინჭილას ტკბილი ღერო.

3. ათი წლისა იყო ლექსო, დედა მისი მელანო რომ გარდაიცვალა. დარჩა უბედური ბრმა უპატრონოთ და ობლად. მოაკლდა სამუდამო ტკბილი სიტყვის მთქმელი და მოალერსე მშობელი. მისი ბიძების ცოლები საოჯახო საქმეებს და თავის ქმარ-შვილსაც ძლივს უძღვებოდენ და პატარა ობოლი დარჩა ღვთის ამარად; არც არავინ დამბანი და არც არავინ დამკერებელი და დამრეცხი არავინ ჰყავდა.

ლექსოს ისედაც ძლიერ უყვარდა მარტოდ-მარტო სიარული და დედის სიკვდილს შემდეგ თითქმის მთელს დღეებს ტყესა და ველში ატარებდა და შინ მხოლოდ პურის საჭმელათ თუ შემოვიდოდა. მისი უსაქმურობა ოჯახს, რასაკვირველია, თვალში ეჩხირებოდა, მაგრამ ხმამაღლა კი საყვედურს ვერავინ ეუბნებოდა. უფროსი ბიძა გოგია ყოველთვის მისი მოსარჩლე იყო და „ღვთის შვილის“*) წყენას არავის დაუთმობდა.

—ღვთის შვილია, ღვთის შვილი ჩემი ლექსო, ხელი არავინ შეახოთ!—ბოხის ხმით მკაცრად ეტყოდა ხოლმე გოგია დედაკაცებს და თავზე ხელს დაუსვამდა უსინათლო ობოლს.

ერთს შემოდგომის დღეს სოფელ წაბლოვანში ქალაქელმა ვაჭარმა დარჩომ სავაჭრო მოიტანა და ბერიკიანთსა ჩამოხდა. სალამოზე, როდესაც სტუმარი და მასპინძელი კერას გარშემო ვახშამს შემოუსხდენ, ვაჭარმა კუნჭულში პატარა ბრმა შენიშნა და იმისი ვინაობა იკითხა.

—ეგ პატარა ჩემი ძმისწულია, ორივე თვალით ბრმაა და ობოლი, უბედური,—ამოოხვრით მიუგო ვაჭარს გოგიამ.

ვახშამს შემდეგ ვაჭარმა გოგია კარზე გაიხმო და უთხრა: მაგოდენა ბიჭი აგრე ტყუილ-უბრალოდ სახლში რას გიგდიათ? ჭამის მეტს რას გიკეთებთ? მოდი, მე მომეცით მოჯამაგირეთ.

---

*) ღვთის შვილს გლეხები ბრმას ეძახიან.

ტყუილი მჭამელიც მოგაკლდებათ და ცოტაოდენ ფულსაც ჩაგიჩხრიალებთ ჯიბეში.

—ორივე თვალით ბრმამ რა მოჯამაგირობა უნდა გაგიწიოს?

—ეგ მე ვიცი,—ეშმაკურად გაიღიმა ვაჭარმა.

—მე სიყმაწვილეში საზანდარი ვიყავი. ქარგი სიმღერა და ჩონგური ვიცი. ერთ თვეში ისეთი სიმღერა და თარი ვასწავლო მაგ უსინათლოს, რომ, ვინც გაიგონოს, სთქვას, გიცხონდა ოსტატი-მასწავლებელიო.

—მერე თარი და ჩონგური მოჯამაგირეს რაში უნდა გამოაყენებინო?—ყეყეჩივით ეკითხებოდა ბოგია დარჩუას.

—რაში უნდა გამოიყენოს? მაგას მერე შეიტყობ. ახლა მოდი, ხელი ხელს დაჰკარი და შენი ძმისწული მე მომე. პირველ წელიწადს ხუთი მანეთი მოგცე, მეორეს—თუმანი. მერე—ორი თუმანი. ამასთან ისე ჩავაცვა, ისე რომ, შენი მოწონებული. სულ ჩექმებით ვატარო. ჰო, კიდევ პირობაც მოგცე, რომ გამოჩენილს აქიმს ვაჩვენო და თვალებიც ავახელინო.

—მართლა!? ოო, თუ მაგ საქმეს გვიზამ, ღმერთიც დაგიმადლებს და კაცია. რას ამბობ, ადამიანო, თუ მაგ სიკეთეს დაგვავალებ, ჯამაგირი კი არა, ყმად გაგიხდი მაგ ერთ ბიჭსა და ის არი.

—მაშ, მაშ! ნამდვილად თვალებს ავახელინებ.

ასე, ამ რიგად ბოგია დაჰყვა ვაჭარს და ლექსოს ბედი სამუდამოდ გადასწყვიტა.

4. ჩულურეთის ბოლოში, სადაც ეს ქალაქის ნაწილი თავდება და ავლაბარი იწყება, ნახევარზე დანგრეულ ალიზის სახლში ცხოვრობდა ვაჭარი დარჩო მარტირუზიანი. დარჩო სხვადასხვა ვაჭრობას ეკიდებოდა, მაგრამ როგორღაც ბედი ხელს არ უმართავდა და მისი საქმეები ძლიერ უხეიროდ მიდიოდა. ბრმა ლექსოს დანახვაზე წაბლოვანში დარჩოს ერთმა ფიქრმა გაუელვა და კიდეც შეუდგა იმის ასრულებას. ამან მოიფიქრა: ოთხ-ხუთ ბრმა ბიჭს შევაგროვებ, ვასწავლი სიმღერასა და ჩონგურს და გავგზავნი ქალაქის სხვადასხვა უბანში საგლახაოდ... და თავისი ახალი ხელობა ლექსოთი დაიწყო.

საწყალი სოფლელი ბიჭი, თავისუფლად აღზრდილი ბუნების უმანკო მკერდზე, ძნელად ემორჩილებოდა დარჩუას განზრახვას: ამას არც სიმღერა უნდოდა, არც ჩონგური, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო რო იტყვიან, ისე მოუვიდა უბედურ ლექსოს. პირველ გაკერპებაზე მისჯოხეს, მეორეზე—მთელი დღე მშიერი დასტოვეს, მესამეზე—კიდევ გალახეს, კიდევ მშიერი დასტოვეს და ისიც მოტყდა, დაემორჩილა ბედის წერას.

დილით ექვსი საათიდან რვამდი მთელს უბანში გაისმოდა დარჩოს ბოხი ხმა, და ლექსოც ცრემლით სავსე თვალებით იმეორებდა ოსტატის ნათქვამს კილოს. რვიდან-კი ლექსო და დარჩუას უმცროსი შვილი ბიქუა გაუდგებოდენ ხოლმე ქალაქის დიდ ქუჩებს და დღეში ორმოც კარს მაინც მოივლიდენ თავისი ჩონგურით.

შევიდოდენ თუ არა ბიქო და ლექსო რომელსამე ეზოში, ჯერ იმას შეიტყობდენ, იქ რა ხალხი ცხოვრობდა, და მერე იმ ენაზე მომართავდა ლექსო თავის ჩანგსა. სასაცილო იყო, რომ სატირალი არა ყოფილიყო, ლექსოს უცნაური რუსული და უფრო სასაცილო—დამახინჯებული სომხური სიმღერა.

თავდახრილი, გაყვითლებული და შემკრთალი ლექსო ააკანკალებდა როგორც თავის ჩონგურის სიმებს, ისე თავის უთავბოლო და გაუგებარ ბაიათებს, და ყოველთვის ცდილობდა, მალე შეეწყვიტა თავისი ნაძალადევი სიმღერა; მაგრამ ბიქო გვერდში წაჰკრავდა ხოლმე მუჯლუგუნს და ისიც ჭყაოდა სხვადასხვა სიმღერას, ჭყაოდა იქამდი, ვიდრე სახლის პატრონი უბედურ მომღერალს არ შეიბრალებდა და გროშებს არ გადმოუყრიდა.

ასე დაწანწალობდენ საღამომდი ეს საცოდავი ბავშები, და მხოლოდ ორ-სამ კაპიკს თუ დახარჯავდენ და გაბედავდენ რითიმე დანაყრებას. საღამოობით დარჩო გულმოდგინეთ გადასთვლიდა ხოლმე ლექსოს შეგროვილ გროშებს და, რაც უნდა კარგი დახლი დამდგარიყო, ბავშებს ფულის გაფლანგვას მაინც უსაყვედურებდა და ქურდობას დასწამებდა.

5. ᲚᲔᲥᲡᲝ დიდხანს იყო სოფელში თავისუფლად და ისეთნაირად უყვარდა მინდვრის სიო, ტყის მყუდროება, წყაროს გემრიელი ანკარა წყალი და გუთნის-დედის სევდიანი სიმღერა, თავისი სოფლის გაშლილი არე-მარე, რომ ქალაქში მოულოდნელად გადმოსახლებამ ზნეობით მთლად დააძაბუნა. საშინელი იყო მისი მდგომარეობა უფრო მისგამო, რომ ᲚᲔᲥᲡᲝს დაახლოე-

ბითაც ვერ წარმოედგინა, თუ სად იყო, რა ერტყა გარშემო და რა რიგ ხალხში ტრიალობდა.

ქალაქის მუდმივი მოძრაობა და გმინვა აშინებდა, უგულო, მუდამ მტუქსავი სახლის პატრონები თავზარსა სცემდენ; მუდმივი, შეუწყვეტელი სიმღერა და კარის-კარ წანწალი სრულიად ძალას ართმევდა ჯაფის შეუჩვეველს მის სხეულს. შემოდგომა და ზამთარი, როგორც იყო, საცოდაობით გააჩანჩალა ლექსომ, და ზაფხულში-კი სრულიად წელი მოსწყდა. მის ზნეობრივ ტანჯვასა და თავისი სოფლისათვის წუხილს თფილისის საშინელი სიცხე, სულის შემხუთველი ჰაერი, დუბელა, ნადგომი წყალი დაემატა და თიბათვეში ორმოცისა კი არა, ორი კარის ჩამოვლაც აღარ შეეძლო.

თუმცა დარჩო ბევრსა სცემდა, ბიქო ბევრს უყვიროდა და სიარულის დროს წინ ეწეოდა, მაგრამ მოძრაობა ლექსოსთვის შეუძლებელი შეიქნა და, როგორც ძირში მოჭრილი ხე, ისე დაეცა.

ლექსოს არც სიცხე ჰქონდა, არც ახველებდა, არც მუცელსა და თავს იტკივებდა, მაგრამ მთლად-კი დადნა: მაგარ მხარ-ბეჭგაშლილ სოფლელ ბიჭის მაგივრად, მუმიად იქცა; ეგდო დარჩუას სარდაფის ერთს ნოტიო კუნჭულში პატარა ხალიჩის ნაგლეჯზე ლოგინის მაგივრათ, და დღითიდღე სამარეს უახლოვდებოდა.

6. დარჩომ რომ ლექსოს ამგვარი უიმედო მდგომარეობა ნახა, შეშინდა,—იცოდა, ბოგია არ აპატიებდა ამ დანაშაულს, და საჩქაროდ ქალაქში დაიბარა.

თუმცა სოფლად გაცხარებული მუშაობა იყო, ჭირნახული მთლად შემოსატანი და გასალეწი ჰქონდა ბოგიას, მაგრამ ყველას თავი დაანება და საჩქაროდ გამოეშურა თფილისისკენ.

ბოგიას სინიდისი სტანჯავდა, ძლიერ სწუხდა, რომ მისი «ღვთის-შვილი» ვიღაცა მაწანწალა ვაჭარს ანდო და გზაში ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, ლექსო ცოცხალი დამახვედრეო.

—ვაიმე, შვილო, თუ მშიერმა, მწყურვალმა და ხელმეორედ დაობლებულმა უცხო სახლში ვერ გასძელ და დამიჭლექდიო!—ფიქრობდა ბოგია.

Იმ ღამეს, როდესაც ბოგია ქალაქს უნდა ჩამოსულიყო, ლექსომ საამური სიზმარი ნახა: ვითომ დედა მისი მელანო კევრზე მოკეცილი იჯდა, მის კალთაში ლექსოს თავი ედვა და ტკბილის ხმით იავნანას ეუბნებოდა; ხარები ძლივს მიათრევდენ კევრს და საღამოს ნიავი სასიამოვნოდ უწეწდა ლექსოს ქოჩორს და უგრილებდა ოფლიან მხარ-ბეჭს. ბოგიამ დაინახა რძლის ამგვარი ცუღლუტობა და თავის ბოხის ხმით დაუყვირა: „მელანია, მელანია! ხარები გარეკე, კევრზე კი ნუ დაიძინებ, ხომ ხედავ, მზემ გადაიხარა!“

ლექსომ ამ სიტყვებზე გამოიღვიძა, წამოხტომა მოინდომა, მაგრამ სისუსტისაგან დაბარბაცდა და ძირს დაეცემოდა, რომ ის იყო რკინის გზით მოსულს ბოგიას არ შეემაგრებინა:

—რა იყო, შვილო, რისა შეგეშინა?—ტკბილის ალერსით უთხრა ბიძიამ და საბრალო ყმაწვილი მხურვალედ გულში ჩაიკრა.

—ბიძია! ბიძია ხარ? მოხველ?... და ლექსო უღონოდ ბოგიას გულზე დაეშვა.

—ნუ გეშინია, ჩემო ბიჭუნავ, ყოჩაღად იყავ, ღონე მოიკრიბე და ხვალვე ჩვენს ლამაზ წაბლოვანს წაგიყვან!..

ეკ. ბაბაშვილისა.

1. ყვავილმა ლექსოს თვალები დაუბრმავა. 2. როგორ ატარებდა დროს სოფელში დაბრმავებული ლექსო? 3. ლექსო ვაჭარ დარჩოს მოჯამაგირეთ მიჰყავს. 4. ლექსოს მათხოვრობა. 5. ლექსოს აუტანელი ცხოვრება და ავათმყოფობა. 6. ბიძა ბოგიას მზრუნველობა ლექსოზე.

II.

ტოლ-ამხანაგობა.

გლეხის შვილის ნაამბობი.

მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მოგაშორა;
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა.

ჯერ-კი დავდონდი, დაჩაგრდა გული,
ეთუნა უმშობლოდ მეძნელებოდა;
სხვები ლხინობდენ და მე-კი ლული
ტრემლისა თვალზე არა მშრებოდა.

პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინი ჩემებრ სტიროდენ!..

მეც-კი მრცხვენოდა ჩემის ტრემლისა—
ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი,
მივუჯდებოდი ერთს ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვსტიროდი.

მაგრამ დრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნადველი,
პატარა გულმან გამოიდარა
და შეუბრუნა ნადველსა ხელი.

ჩემს ეთოვას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;

ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
ალარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძრახს ვუვლიდით ჩვენ ერთგულად,
გავიზიარეთ ყველამ საქმე,
და რიგ-რიგად, ყველა ძმურად
ვუარაულობდით ძრახსა ღამე.
რაკი მთას იქით მზე ჩაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძრახა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძრახასა,
ტეის ბირს ერთს დიდს ტეტხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ტეტხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარს თრინველს ათრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტეოდა.
რა კი მტრედის თრათ ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა,
მეძრახე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვითრთხობდა.
ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა-ბარი გატოტხლდებოდა;
და თავის ძრახს ყველა ზღაზვნითა
ასაშვებადა მიესეოდა.
ზოგი აქ მიდის თექა-მოსხმული
და მიითშვნეტავს ზარმაცად თვალსა;
ზოგი იქ მღერის დადონებული
და ერეკება თავის ძრახასა.
და ერთს წუთს უკან ძრახა ბღავილით
გაიშლებოდა თართო მინდორზე,
და ჩვენ-კი ხტომით, მღერით, ძახილით

მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზე.
ბორს დავიბანდით, ძილს დავიფერთხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით;
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდაროობდით
და ზეზეულად დავნაურდებოდით...
მერე ვმართავდით თამაშობასა:
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა.
ალაზანშია ვურიდით ძროხასა,
თან ჩავუვებოდით უკანა ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემს ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?...
სადამოს ჟამზე ისევ იმ რიგად
ტეტხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოს მაინცა ყველა ვიტყოდით.
ის ზღაპრები მე გულს მიდონებდა
და აქამდისა ჩამრჩა ხსოვნაში,
ძველებურ დროსა შემაყვარებდა
იმ ჩემს მხიარულს ყმაწვილობაში.
ეგრედ მინდორზე, ძმაო, ვყვავოდი,
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ-დღისა;
და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მადლიერია თავის ბედისა...

ი. ჭავჭავაძე.

1. ყმაწვილი ოჯახს შორდება. 2. ყმაწვილის მწუხარება. 3. ყმაწვილი ეჩვევა ახალ გარემოებას. 4. ახალ გარემოებაში მისი კმაყოფილებით ცხოვრება.

ოჯახიდან შკოლისკენ.

საადრეო ყურძენი სრულიად დამწიფდა, და მაჭრების დაყენებას აპირობდენ; საგვიანოც შეთვალული იყო. ბუინტი სიმინდის ჭამა მოწყენილი მქონდა. წაბლის ბუძგებს აქა-იქ პირი გაეღო და დამწიფებული ნაყოფი თითქო მეპატიჟებოდა: ჭოლოკი მესროლე, რომ წინ გაგიგორდეო.

ბაზაფხულის ბოლოს დაჭერილი შაშვის ბარტყი ისე მოჩიტდა, რომ იძულებული გავხდი, ფრთები შემეკვეცა: მოკრავდა თუ არა ყურს დედა-შაშვის ჭახჭახს, მაშინვე უეცრად შეჩერდებოდა, თითქო ჩაფიქრდაო, ერთს კიდეც შემოტრიალდებოდა და ფრთებსა და კისერს ტყისკენ გასაფრენად მოიმზადებდა.

შემოდგომის სუნმა დაჰკრა, წვიმებმა მოუხშირა და ჩემი «წისქვილობიაც» გაჩაღდა. სამ ალაგას მქონდა ნაკადულზე წაბლის კანის ღარები მორგებული. ერთი წყლის საცეხველა მირეკდა და ორი ბორბალი მიტრიალებდა.

ჩემი ნიშანშებმული ჭრელი ქოჩორა ვარია და ყვითელი ბატის ბჟიტი შოშიაზე ნაკლებ არ იპყრობდენ ჩემს ყურადღებას: დავიფშვნიდი ხელის გულზე ფეტვისა და ღომის თავთავს და ხან ერთს, ხან მეორეს მივუჯდებოდი და პეშვში ვაკენკინებდი. ორივე უკან დამდევდა, როგორც ჩჩვილი ხბო თავის დედას. დილიდან საღამომდი ასე ვატარებდი დროს ვრცელ ეზო-გარემოში; სახლში სადილ-ვახშმათ და დასაძინებლად თუ შევიდოდი.

ერთ დილას დედამ ყველა ჩემი ტანისამოსი მოაგროვა, ზოგს რეცხდა, ზოგს აკერებდა. ქვეშსაგებიც გადმოელაგებია, ბალიშში ღინღლს უმატებდა და ლეიბში მატყლს. მიკვირდა, ასე ერთბაშად რატომ ზრუნავდენ ტანისამოსსა და ქვეშსაგებზე. მაგრამ ის კი სრულიად არ მეჯაშნიკა, მამამ რომ ბიჭი ჯორისა და ცხენის საძებრათ გაგზავნა.—მალე მოიყვანე, ხვალ საქუთისოდ ვემზადებიო,—მიაძახა მამამ ბრიგოლას.

ამის გაგონებაზე თითქო რაღაცამ მწარედ თავში ჩამკრა: ვიგრძენ, რომ დედ-მამის წინანდელი ნალაპარაკევი, შკოლაში უნდა მიგაბარონთო, ხუმრობა აღარ იყო. მუხლები მომეკვეთა,

გული ჩამწყდა და ცრემლების ყლაპვა დავიწყე... დიდი იმედი მქონდა, ეგებ ბრიგოლამ ცხენი და ჯორი ვერ ნახოს მეთქი; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, საღამოს ჟამს ჩვენმა ბიჭმა ეზოში უბელო ცხენი შემოათოხარიკა; ჯორი კი არსად ჩნდა: გულზე გადამეყარა: უჯოროთ ჩვენი მგზავრობა მოუხერხებელი იყო. ცხენით სამგზავრო ორი ვიყავით, მე და მამაჩემი.—ჯორი რა უყავ?—შესძახა მამამ ბრიგოლას.—ქართისკენ გაუხვია, ბატონო, უპასუხა ბრიგოლამ.

ახლა მთლად მომწყდა წელი; მწუხარება ველარ დავმალე... იქ აივნის სვეტთან ურმის ძარი იყო დადგმული, შიგ ვენახში ნათხარი თივა ეფინა გასახმობათ. ჩაველ ამ ძარში, კუთხეზე მივიკრუნჩხე და სლოკინსა და ჩუმ ტირილში კიდეც ჩამძინებოდა. დედას დავენახე, მაგრამ ვახშმობამდი თურმე გაღვიძებას აღარ მიპირობდა.

ამ ცოტა ხნის განმავალობაში სასიამოვნო და სამწუხარო სიზმრები ვნახე. ვნახე, ვითომ ჩემი ბორბლები ნამდვილ წისქვილებად გადაქცეულიყო, საფქვავებიც მოჰქონდათ, მემინდეც გვიდგა, და მინდს ვიღებდი; კოთხოთი მიწყავდენ ცალკე სიმინდის, ცალკე პურის ფქვილს. ეგ სიხარული უცბათ მწუხარებად შემეცვალა: საშინელი კოკისპირული თქეში მოვიდა; არხში წყალი მოვარდა და ჩემი ნამდვილი წისქვილი ამოდენა საფქვავით გზას გაუყენა. ვნახე კიდევ, ვითომც ჩემი ვარია და ბჟიტი კიდეც დადედლებულიყვენ და საბუდრიდან ქულა-ქულა ბჟიტები და წიწილები გადმოიყვანეს. შევხაროდი, ხან ერთ ბუხუნა წიწილს ავიყვანდი და ყელზე მივიკრავდი, ხან კვერცხის გულივით ყვითელ ბჟიტს ტუჩზე და ლოყებზე მივის-მოვისვამდი; ვდარაჯობდი ყველას, ქორი არსად გაჩნდეს და სირცხვილი არ აჭამოს ჩემს ვაჟკაცობას და ეზო არ ააფორიაქოს მეთქი. დახე ჩემს ბედს! რაღაც ჩრდილმა თავზე გადამიარა. ქრუხმა იკრიახა, ბატმა სისინი მორთო. ავიხედე მაღლა და რა ვნახე! ერთი მხარის ოდენზე გაშლილიყო ის წყეული ქორი და თავდასხმას გვიპირობდა. თურმე წამოვიყვირე: «ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!» და გამეღვიძა კიდეც. დედა მოვარდნილიყო და შეწუ-

ხებით მეკითხებოდა: „რა იყო, რა დაგემართა? რასა ყვიროდი, ხომ არაფერი მოგელანდა, შვილო? რას გაბოდებდა“?—რაღაც სიზმარი ვნახე მეთქი, და მეტი ხმა აღარ ამომიღია.

სახლში შემიყვანეს, სუფრა გაწყობილი ჰქონდათ, ვახშამს უგემურად და უხალისოდ ვსჭამდი: ყველა მატყობდა, რომ ჩემი გული საგულეს აღარ იყო. მალე დედასთან დამაწვინეს: ჩემი ქვეშსაგებელი ბარგში შეეხვიათ. ახლა კი საეჭვოდ აღარ მიმაჩნდა, რომ ხვალ ყველაფერს, რასაც თვალის ახელიდან შევეზარდე და შევეჩვიე, ერთბაშათ უნდა მოვსწყვეტოდი და გამოვთხოვებოდი. ამივარდა საშინელი ტირილი.

იმ ღამეს მეძინა თუ არა, არც კი მახსოვს. მთელი ჩემი წარსული ცხოვრება ცოცხალ სურათად თვალწინ მედგა. სად ჩიტის ბუდე ამიშლია, სად მარწყვი მიკრეფია, სად პაწია ღორჯოები და ნაფოტა მიჭერია, სად რომელი სოფლის ტოლ-ბიჭებთან მიჭიდავია და მიბურთავია, სად ტყესა და ჩირგვნალში სოკო-წითელი, არყა და მჭადა-სოკო ამიყვანია, სად ყურძენი მიკრეფია და სიმინდი მიტეხია— ყველა ეს სურათი ზედიზედ ჩემს თავში ირეოდა, ერთი მეორეს ეჯიბრებოდა.

ამასობაში გათენდა კიდეც. თავი დედის ძუძუებში მქონდა ჩარგული; დედის მკლავები ბეჭებზე მეწყო; ცალი ყურის ძირი და ლოყა დასოვლებული ამყვა: თურმე დედაჩემსაც ბევრი კურცხალი ეყარა ჩემი ძილ-მღვიძარე შფოთვის გამო. ავდექი, მაგრამ რაღა ავდექი! ძლიერ დაქანცული და დაღონებული ვიყავი. ჩავიცვი და იმწამსვე ჭიშკარზე მივირბინე. იქიდან მეზობლის ბიჭს ბოგიელას დავუძახე და ჩემი გამგზავრების ამბავი გავუზიარე. წამოვიყვანე ეზოში და ღარები, საცეხველა, ბორბლები და ციგა მას ჩავაბარე. ბურთის გადაცემა, ღვთის წინაშე, ძლერ მენანებოდა, მაგრამ თვითონაც მთხოვა, უარის თქმა გამიძნელდა და ვაჩუქე.

მერმე სათორნისკენ მოვბრუნდი; იქ გადია მეგულვებოდა, —დღეს მას ცეცხლი ადრე უნდა ჩაენთო, რომ საგზლის პური და მჭადი დროზე გამოეცხო. შესვლისთანავე გადიამ თბილი ხაჭაპური ჩამიდვა ხელში.

—ეს ახლა ჭამე და ამაებს (გობზე ეწყო) საგზლათ გაგატანო,—მითხრა გადიამ და გადამეხვია. თვალები ამასაც აცრემლებოდა, როცა ჩემს ტოლ-ბიჭთან დავენახე ნივთების ჩაბარების დროს. მე სულ არ ვიყავ სიცილის გუნებაზე, მაგრამ ახლა სხვა რამეზე ვზრუნავდი და გულს მით ვიბრუნებდი: ჩემი ვარიისა და ბჟიტის ბედ-ილბალი მინდოდა გადიისათვის ჩამებარებია.—ნუ გეშინია, ჩემო სულიკო, თვალივით შეგინახავ გადიაშვილობამ,—ალერსიანათ მითხრა გადიამ, როცა ჩემი «შვილობილების» ყურის გდებას ვემუდარებოდი. ამ დროს მამის ხმა შემომესმა: „სად დაიკარგა სიმონიკა ამდენ ხანს?“ —ნიშანი ორივეს მოუშვი, ფონფოდ შეაბი, ჩემო გადია, თორემ წითელი ძაფი ფეხებს გადუჭრის მეთქი,—ამის მეტის დაბარება ველარასი მოვასწარი და სახლისკენ გავემართე.

სახლის წინ ბარგ-აკიდებული და შეკაზმული ცხენი და ჯორი მიებათ; მამა და ბიჭი სადილათ ისხდენ; ბებია, დედა და ორი ჩემი ტოლი მეზობლის ბიჭი ჩემს მოსვლას უცდიდენ. საჭმელი შემომაძლიეს: „აბა, შვილო, ქათმის ღვიძლი, აბა ბარკალი, აბა მხარი, ეგებ კვერცხი გინდა, ან ჭყინტი ყველი.“ მაგრამ ვერაფერს ვერ მივეკარე.—მე ვიცი, რაც ჩემს ბიჭს უყვარსო,—ჩაიჩლიფინა ბებიამ, და მსუქანი დედლის გულ-ჩანართ მევი მომაწოდა. ჩამოვართვი, შუა გავხლიჩე და ნახევარი სტეფანეს მივეცი, ნახევარი ბოგიელას, მაგრამ ჩემს იქ ყოფნაში არც ერთს კბილი არ დაუკარებია: ეტყობოდათ, ჩემი მოშორების გამო, არც ისინი იყვენ ქეიფზე.

—„აბა დავაჩქაროთ; მზე საშუადღეოზე წამოსულა. ძუთაისს თუ დღისით ვერ ჩავედით, ღამის გასათევად რიგიან ბინას ვერ შოვიძებნით,“—სთქვა მამა-ჩემმა. დედამ და ბებიამ თავზე ხელის-სმა დამიწყეს. ჩემი ტოლების მრცხვენოდა და ჯერ გულს ვიმაგრებდი. მაგრამ ჭიშკარზე რომ გადმოველით და თავჩაღუნული ამხანაგები მომცილდენ, კარგა ხმამაღალი ღრიალი მოვრთე. დედასა და ბებიასაც ცრემლები გადმოცვივდათ და აკანკალებული ხმით დარიგება დამიწყეს. არც ერთი მათი დარიგებ ჩემს თავში არ შედიოდა. ეს ნუგეში კი ჯერაც არ დამვიწყებია

„შვილო, რა გატირებს? ამ შემოდგომაზე ერთჯერ კი არა, ორჯერ, სამჯერ მოგიკითხავთ, მოგიყვანთ; უშენოთ არც ფელამუშს მოვადუღებთ და არც ჯანჯუხებს გავაკეთებთ“...

—„რას ჩამოეკიდეთ და გულს უჩვილებთ მაგ ბავშს! ომში მიდის, თუ სათათრეთს? ვისაც სწავლა უნდა, ნაცარქექიასავით სახლში უნდა იჯდეს განა?“—წამოიძახა მამა-ჩემმა. მერე მომხვია ხელი, შემსვა ბარგიან ჯორზე და გრიგოლას წაულაპარაკა: „ამ ღელის ჩალმართში, თუ კაცი ხარ, ფრთხილად ჩაუძეღ და მერმე სადავეს თვით დაუჭერსო“. ასე დავშორდით მგზავრები შინაურებს.

ღელეში რუ ჩამოდიოდა. ამ დღეს წყალი ისე დაწმენდილი იყო, რომ შიგ, მგონი, ნემსიც კი არ დაიმალებოდა.



გაზაფხულის ლიფსიტებს თითქო ერთბაშად თავი მოეყარათ და არაჩვეულებრივ ფუსფუსობდენ. ვიფიქრე, უთუოდ უხარიათ, რომ ერთი მათი მოსისხლე მტერი იქაურობას ვშორდებოდი, და ამ გასავალ შეტბორებულში მიტომ შეჯგუფულიყვენ, რომ გამალიზიანონ მეთქი. მაგრამ მე მაინც მათი ცქერით მინდოდა დამტკბარვიყავ.

აკი ღმერთმა იპრიანა, და ჩვენმა ჯორმა თვისი ჩვეულება გაიხსენა, იოჩნა და შიგ შუა რუში ფეხი მიასო. ვერც დეზებით, ვერც წნელით, ვერც ხელის წაკვრით ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

დიდმა იმედმა გამიელვა თავში: რამდენჯერ მობრუნებულან, ჯორის ფხუკიანობის გამო, შუა გზიდან ჩვენი მოჯამაგირეები, როცა მათ მარილ-საპონზე გააგზავნიდენ ქუთაისს,—თუ ახლაც ასეთ გუნებაზეა ჩვენი ჯორი, დღევანდელი ჩვენი მოგზაურობა სახვალიოთ გახდება მეთქი და დიდის გაფაციცებით დავაცქერდი ლიფსიტებს: თუ მგზავრობა შეგვეშლებოდა, მეორე დღისათვის სტეფანესა და ბოგიელასთან თევზაობას ვფიქრობდი.

ამ ოცნებაში რომ ვიყავ, მამა და ბრიგოლა იქით-აქით მოუდგენ ჯორს, წაჰკრეს ბეჭები და რუს მეორე ნაპირზე გადისროლეს. ამას შემდეგ ჯორმა ისე გასწია, რომ თავიც ველარ დავუკავე. ვიჯექ თავჩაკიდული მხედარი და მივდიოდი სადღაც, უცნობ ქვეყანაში.....

1. უმაწვილი სოფელში ბედნიერად ცხოვრობს. 2. როგორ გაიგო წაყვანის ამბავი? 3. როგორ შეაწუხა ამ ამბავმა? 4. როგორ გამოეთხოვა თავისიანებს? 5 როგორ გაემგზავრა შკოლისკენ?

კეთილი ამხანაგი.

ღღეს დილით პირველი კლასის უფროსი განყოფილების მასწავლებელმა-ქალმა გზაზე შემაყენა და მკითხა, რომელ საათზე შეიძლება დედა-შენი ვნახოო? ამის გამო გაკვეთილზე ცოტა დავიგვიანე. მე რომ მოვედი, მასწავლებელი ჯერ მაინც არ იყო კლასში. სამი მოსწავლე მემწვანილე ქალის გამხდარ შვილს, კროსის, აჯავრებდენ, ლანძღავდენ და უშვერად დასცინოდენ. ბაფითრებული კროსი უძრავად იჯდა სკამზე; ხან ერთს შეჰყურებდა, ხან მეორეს, თითქოს ეხვეწებოდა, თავი დამანებეთო. საძაგელი ფრანჩესკო სტოლზე შეხტა, კალთები აიკრიფა, თითქოს მწვანილი უჭირავსო, და კროსის დედას და-

სცინოდა. ქროსიმ ახლა-კი ველარ მოითმინა, სტაცა ხელი საწერელს და ფრანჩესკოს ესროლა. ფრანჩესკომ აიცდინა და საწერელი კლასში შემომავალ მასწავლებელს გულში მოხვდა. ყველა შეშინდა, ყველამ სული განაბა. ფერწასული მასწავლებელი მოგვიახლოვდა და აღშფოთებით გვკითხა: „ვინ იყო?“ ხმა არავინ ამოიღო. მასწავლებელმა აუმაღლა და ხელმეორედ გვკითხა: „საწერელი ვინ გამოისროლა?“ ზარონეს ქროსი შეეცოდა, წამოდგა და მასწავლებელს თამამად უპასუხა: „მე ვიყავიო“. მასწავლებელი ჯერ ზარონეს მიაჩერდა, მერე განცვიფრებულ მოწაფეებს თვალი გადაავლო და ზარონეს უთხრა: „არა, შენ არა ყოფილხარ!“ და თან დაუმატა: „დამნაშავეს არ დავსჯი, მხოლოდ წამოდგეს!“ თვალცრემლიანი ქროსი ადგა და წამოილუღლუღა: „მცემდენ, მლანძღავდენ... ველარ მოვითმინე და საწერელს ხელი ვსტაცე“... „დაჯექ“, უთხრა მასწავლებელმა ქროსის. „აბა ადგენ ისინი, ვინც შენ მოთმინებიდან გამოგიყვანა.“ წამოდგა ოთხი მოსწავლე და თავი ჩაღუნეს.

—თქვენ გალანძღეთ ამხანაგი, რომელსაც მიზეზი არა მოუცია-რა? თქვენ დასცინოდით სილარიბეს, სცემდით მას, ვისაც პასუხის გაცემა არ შეეძლო? მეტად საძაგლად და უსინიდისოდ მოქცეულხართ. უნდა გრცხვენოდეთ, თქვე უმზგავსოებო!

მასწავლებელმა გაიარ-გამოიარა. ზარონე თავჩაღუნული ისევ ფეხზე იდგა. მასწავლებელი მიუახლოვდა ზარონეს, თავი აუწია და უთხრა: „ფრიად კეთილი გული გქონია, ზარონე!“ ზარონემ ამით ისარგებლა და მასწავლებელს ჩუმად რაღაცა სთხოვა. მასწავლებელი მიუბრუნდა ოთხსავე დამნაშავეს და უთხრა: „დასხედით, მიპატიებია!“

დე-ამიჩისი.

1. რა ცუდი საქციელი ჩაიდინა ქროსიმ? 2. ზარონეს სამაგალითო საქციელი. 3. როგორ მოეპყრო მასწავლებელი ქროსის, ზარონეს და დამნაშავეებს?

მოწყალე დიტო.

მაისი იდგა. დილის შვიდი საათი იქნებოდა. მზე პირმცინარედ გადმოიყურებოდა ქვეყანაზე, სადაც დანამული მდელო ჯერ კიდევ ვერცხლის ფრად ბრწყინავდა. ჰაერში დანავარდობდა მოჭიკჭიკე მერცხალი; მაღლა ნიგვზის ხეზე მოლაღური «შვილო-გოგიას» გაიძახოდა, და აქ კი—ეკლის ბურდოში შემალული ბუდის მახლობლად—გაისმოდა შაშვის სტვენა. ფერად-ფერადი პეპლები წყნარად მიმოფრინავდენ ყვავილთა შორის და ნაზი ფუტკარი იქვე თაფლის საძებნათ დაბზუოდა. თვალგადუწვდენელ მინდორში მოფენილიყო სხვადასხვა შინაური პირუტყვი.—აგერ ხარები ბულრაობდენ და ერთმანეთს საჭიდაოთ იწვევდენ, იქ კრავები კუნტრუშობდენ, აქ კვიცები დახტოდენ...

ყანებიდან მოისმოდა საამური მუშური. სოფლის შკოლის წინ შეგროვილი ბავშების ჟრიამული მაღლა ცაში ადიოდა. ზოგს წიგნები გაეშალა და გაკვეთილებს იმეორებდა; ზოგი-კი, მშვენიერი დღით გატაცებული, რიკტაფელას თამაშობდა და ჰაერში ბურთს ისროდა; იყო ერთი კიჟინი და ხმაურობა.

ბაკვეთილების დაწყებამდი კიდევ ნახევარი საათიღა იყო, როცა ბავშებში გამოერია ერთი კარგათ მოზდილი, ნაყვავილევი, პირ-დამახინჯებული და დაბრმავებული ყმაწვილი, რომელსაც გზის მაჩვენებლად წინ რვა-ცხრა წლის ბიჭი მოუძღოდა. ორივეს პირისახე დაღვრემილი ჰქონდა, ძველის-ძველი ძონძები ემოსათ, ფეხზე გამხმარი, ძირ-გამოცვეთილი ქალამნის ჯღანები ეცვათ; ვინც შეხედავდა, ყველას შეეცოდებოდა.

საბრალო ბრმას მაისის სანეტარო დღე გამხიარულების ნაცვლად უფრო გულს უწყლულებდა და მის უსიამოვნო ჩოფურა პირისახეს კიდევ უფრო გულის დამღონებელ ელფერსა სდებდა. მას არ შეეძლო დაენახა, რასაც ყველანი ხედავდენ. მაისის ბრწყინვალე დღე მისთვის კუნაპეტივით ბნელი იყო! მის ერთადერთ ნუგეშს შეადგენდა ფანდური, რომელიც თანვე დაჰქონდა. ეს საკრავი მისთვის საუკეთესო ამხანაგი იყო, რომლითაც მას შეეძლო კაცის გულის გალმობიერება. და, მართლაც,

ვის არ აუჩუყებდა გულს, ვის არ მოალბობდა მისი ნაღვლიანი სიმღერა, ამ საკრავის ხმაზე აყოლებული?.. **მ**ან აი ახლაც ჩამოჰკრა გაწაფული თითები სიმებს და ზედ მოაყოლა შემდეგი:

„ულუკმა-პურად დავდიგარ
ხელში ფანდურის ამარა,
სისაწყლემ წელში გამტეხა,
სიბრმავემ დამასამარა.
დღე ნათელი და მზიანი
ჩემთვის უკუნი ბნელია!
ვინც ვერას ხედავს ქვეყნათა,
მისთვის სიცოცხლე ძნელია.
მხოლოდ ერთი მაქვს იმედი,
ვსასოებ მაღლა ზენასა;
გებრალებოდეთ ბედკრული,
ბავშებო, თქვენსა ლხენასა!“

—

„საუვედური ვსთქვა ვისმეზე,
რა უფლება მაქვს, რა ძალა?—
სხვისთვის კეთილის მოფველი
ბუნება ჩემზე გამწარალა!
სხვისი თვალებით დავდიგარ
მე უთვისტომო, ეული,
კარის-კარ ვლითა მარად-ყამ
ჯან-ლონე გამოლეული...
აწ რაც სიმწარე მადგია,
ვით ვათქმევინო ენასა?..
ბრმას, უსინათლოს მწყალობდეთ,
ბავშებო, თქვენსა ლხენასა“!..

—

„ჩემი ნუგეშიც სიბრმავით
მე ვეღარ გამირჩევია,
მხოლოდ მის ასაკვნესებლად
თითები შემიჩვევია.

მე ის მიქარვებს ნაგუბარს
უწყალოთ შხამს და ნადველსა,
თანაგრძნობასაც ჩემდამი
ადუძრავს ჩემსა მნახველსა...
მეც მით ვნუგეშობ, ვიმოკლებ
მისგან ხშირ ცრემლთა დენასა,
თქვენც შემიბრალეთ, გეთაყვათ,
ბავშებო, თქვენსა ლხენასა"!..

მოსწავლეებმა მაშინვე თამაშობას თავი დაანებეს და მომღერალ ბრმას გარშემოეხვიენ; უმეტესობას სიბრალული ეხატებოდა პირზე და გაკვირვებით შეჰყურებდენ ამ არაჩვეულებრივ არსებას. თითქმის ყველას სურდა, მიეცა რამე ამ საწყლისათვის, მარა, თვითონაც არრის მქონენი, სხვას რაღას უწილადებდენ? მხოლოდ ერთმა მოსწავლემ ჩაიყო უბეში ხელი, დაჭმუჭვნილი ქაღალდის ნახევი ამოიღო, გაშალა და ბრმის წინამძღოლს რაღაცა მისცა. უსინათლომ მოწყალე ყმაწვილი დალოცა და კმაყოფილი წავიდა.

ბავიდა მცირე ხანი. პატარა ზარი დაარაწკუნეს და მოსწავლეებმა კლასში მკვირცხლად თავი მოიყარეს; ყველანი თავთავის ალაგას დარიგდენ და მასწავლებლის შემოსვლას უცდიდენ. კარი გაიღო, მასწავლებელი შემოვიდა. ლოცვასა და მისალმებას შემდეგ საქმეს შეუდგენ. მასწავლებლის სიტყვისამებრ მოსწავლეების ერთმა რიგმა წიგნები გადაშალა და მეორე რიგმაკი რვეულები, საწერლები და კალმები წინ დაიწყო. მცირე ხანს იქით ამათ წერა დაიწყეს ერთ ბავშს გარდა, რომელსაც ხელში კალმისტარი ეჭირა და ჩუმათ, მასწავლებლის ნამალევათ, ამხანაგებს ანიშნებდა—კალამი ხომ არ გაქვთო. უარის ნიშნად ამხანაგები თავის გაქნევით აძლევდენ პასუხს. ყველა ამან მასწავლებლის ყურადღება მიიპყრო.

—დიტო! შენ რატომ არა სწერ?—შეეკითხა მასწავლებელი ერთ მათგანს.

ბავში ფეხზე წამოდგა, დანაშაულობის ნიშნად თავი ჩაღუნა და არას ამბობდა.

—რატომ არა სწერ-მეთქი?—კიდევ ჰკითხა მასწავლებელმა.

—ქალამი...

—რაო, კალამი?

—კალამი არა მაქვს.

—მე წინათ უნდა გცოდნოდა და მომზადებულიყავი; ხომ იცოდი, რომ დღეს წერა გვექნებოდა?

—კი ვიცოდი და კიდეც მოვიმზადე...

—და მერე, სად სჩანს ეგ მომზადება?—ჰკითხა მასწავლებელმა, რომელსაც ამ გარემოების შეტყობა, სჩანდა, ძალიან აინტერესებდა.

—ფული წამოვიღე, ერთი კაპიკი, კალმის საყიდლათ და...

—დაგეკარგა თუ?

—არა, არ დამკარგვია! მათხოვარს ვაჩუქე, შემებრალა... უკანასკნელ სიტყვებს შემდეგ ბავშმა ერთი-კი შეხედა მასწავლებელს და იმ წამსვე, თითქო დიდი დანაშაულობა ჩაედინოს, გაწითლდა და თავი ჩაღუნა; მაგრამ მასწავლებლის ალერსიანმა სიტყვებმა მალე წაათამამა იგი.

—მათხოვარს აჩუქე? კეთილი! ეგ კარგი საქმე გიქნია.

თომაშვილი.

1. მაისის დილა სოფელში. 2. ბრმა მათხოვრის მისვლა შკოლის ეზოში. 3. როგორ გამოხატა ბრმამ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა? 4. რა შთაბეჭდილება მოახდინა მათხოვრის სიმღერამ? 5. დიტოს მოწყალება.

ბ რ ი გ ო ლ ი.

ირინემ თავისი თერთმეტი წლის შვილი ბრიგოლი მასწავლებელს მიაბარა.

—მე გთხოვ, ბატონო, წერა-კითხვის სწავლებას გარდა, ამის ხასიათს მიაქციოთ ყურადღება. ძალიან დამირიგეთ, ერთობ ეშმაკია და უხიაკი—გაუტყდა ირინე მასწავლებელს.

მართლა, ადამიანი ერთი შეხედვითვე შეამჩნევდა ბრიგოლს, რომ მის თვალებსა და სახეს რაღაც ეშმაკური გამომეტყველება

ჰქონდა. მისი ლაპარაკი, თამაშობა, სიარული და სიტყვა-პასუ-ხი განსხვავებული იყო. ამხანაგის გაჯავრება, დაცემა, ყურებში ჩაფრენა და ატირება მისთვის გასართობი იყო. არათუ პატა-რებს, დიდებსაც-კი აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. მასწავ-ლებელი გრიგოლს ნიადაგ სჯიდა: ხან კუთხეში აყენებდა, ხან უსადილოთ სტოვებდა, მაგრამ მის მორჯულებას არა გაეწყო-რა... სწავლის გათავებას შემდეგ რომ სახლში წავიდოდა, მთელ სო-ფელს იკლებდა ხოლმე: ზოგს ღობეებს უმტვრევდა, ზოგის ეზო-ში ქვებს ისროდა და ძაღლებს აღიზიანებდა. გაანჩხლებული ძაღ-ლები ყეფით ღობეს მოადგებოდენ და სულ კბილით გლეჯ-დენ. გრიგოლი გზიდან მათ ჯოხს უქნევდა და უფრო აბრა-ზებდა... გამოუდგებოდენ პატრონები, უჯავრდებოდენ, ხან დაიჭერდენ და იმდენს სცემდენ, რომ ზურგსა და სახეს დაუ-ლურჯებდენ... როცა მასწავლებელი ამ უსიამოვნო ამბებს გაი-გებდა და გრიგოლს გამოკითხვას დაუწყებდა, გრიგოლი ისე გადაჰფიცავდა, რომ მისი გამოტეხა ველარავის შეეძლო. ხში-რად მასწავლებელი ხან ერთს, ხან მეორე მოსწავლეს გააყო-ლებდა, რომ გზაზე არა ჩაედინა-რა, ხან თვითონ მასწავლებე-ლიც გაჰყვებოდა ხოლმე.

ერთხელ შკოლის ეზოში მოსწავლეებს გახურებული ბურ-თაობა ჰქონდათ. მასწავლებელიც მათში გარეულიყო და მათს თამაშს თვალს ადევნებდა... ხან თვითონაც იჭერდა ბურთს; მაშინ ყველა მოწაფე ირგვლივ შემოესევოდა და გზას შე-უკრავდენ. გრიგოლს ბურთაობაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი შკოლის კარებში ატუზულიყო და თაგვივით აქით-იქით თვალებს აცეცებდა. მოსწავლეები უფრო თავისუფლად გრძნობ-დენ თავს, რადგანაც გრიგოლი მათში არ ერია.

—შენ რატომ არ თამაშობ?—შეეკითხა გრიგოლს მა-სწავლებელი.

—არ შემიძლია, ბატონო, ავათ ვარ!—უპასუხა გრიგოლმა.

ამ დროს ერთმა მოსწავლემ იგდო ხელთ ბურთი და შკო-ლის მეორე მხრისკენ გაიქცა. უმაწვილები მას დაედევნენ და მასწავლებელიც უკან გამოუდგა... გრიგოლი უცბად შებრუნ-

და კლასში, გამოიღო სტოლის უჯრიდან მოსწავლის ჩანთა, ამოაძრო იქიდან წიგნი, გადაშალა, ამოიღო სამკაპიკიანი გროში და უცბათ უბეში ჩაიდვა. მერე წიგნი ისევ ჩანთაში ჩადვა, ჩანთა უჯრაში შეინახა და, თითქო აქ არაფერი ამბავიაო, კლასის კარებში დადგა და ავათმყოფივით მოიფუყა...

ბაკვეთილი დაიწყო. ორიოდე ზარმაცს გარდა, რომელთაც გაკვეთილი არ იცოდენ, ყველამ კარგი პასუხი მისცა მასწავლებელს. ბრიგოლმა მთელი გაკვეთილი თავჩაღუნულად, მუცელზე ხელების ჭერით და კვნესით გაატარა. ბაკვეთილს შემდეგ ყველანი ეზოში გავიდენ; ბრიგოლიც გაჰყვა მათ... მერე ისევ სწავლა დაიწყეს...

—ბუშინ რომ რვეულები დაგირიგეთ, აბა იმის ფულები წარმოადგინეთ! გამოუცხადა მოწაფეებს მასწავლებელმა.

მოსწავლეებმა მაშინვე ამოიღეს ჩანთებიდან სამ-სამი კაპიკი და მასწავლებელს მიუტანეს. ამ დროს უცბათ წამოიჭრა ზეზე მოსწავლე ვანო და ცრემლმორეულმა, აპილპილებული სახით შესჩივლა მასწავლებელს:

—ბატონო, ჩემი ფული ვიღაცას მოუპარავს; წიგნში მქონდა ჩადებული და აღარ არის!

—როგორ? აქ ქურდობას ვინ ჩაიდენდა?... ალბათ გზაზე დაგკარგვია; ან სახლში დაგრჩენია!—უთხრა ვანოს მასწავლებელმა.

—არა, ბატონო! პირველ გაკვეთილზე დავხედე და აქა მქონდა;—ახლა არ არის!—ამბობდა ვანო და თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

—შეიძლება ამ ფულებში ურევია შენი სამკაპიკიანი? მოდი და დაათვალიერე! უთხრა ვანოს მასწავლებელმა. მტირალმა ვანომ დაიწყო სტოლზე დალაგებული ფულების დათვალიერება, მაგრამ თავისი ვერ აღმოაჩინა!

—არა, ბატონო, აქ არ ურევია ჩემი ფული; ის მე ამ დილას სილით ოქროსავით გავფერე!—ფლიკვინობდა ვანო და ხელებს იშმუშნიდა.

—მაშ, კარგი, თუ აქვს ვისმე აქაურს, იმედია, არ დაიკარგება; ვისაც აღმოაჩნდება, სასტიკათ დაისჯება და ამისთვის გიჯობთ, ბავშებო, თუ ჩემი მეტისმეტი წყენა და თქვენი თავის დასჯა არ გინდათ, თვით გამოაჩინეთ, ვისაც ვანოს ფული გაქვთო!—მიმართა მასწავლებელმა მოსწავლეებს.

მოსწავლეებმა ისე გაკმიდეს ხმა, რომ, ასე გეგონებოდათ, აქ არავინ არისო.

—მაშ თქვენ არა გაქვთ ვანოს ფული?

—არა, ბატონო!

—ვისაც აღმოაჩნდეს, იმას რა ვუყო?

—დასაჯეთ, როგორც გენებოსთ!—დაიღრიალეს ერთხმად მოსწავლეებმა.

—დასაჯეთ უზომოდ!—დაუმატა ბრიგოლმა.

—აბა მე ახლა თქვენ ყველანი უნდა გაგჩხრიკოთ!—გამოაცხადა მასწავლებელმა და დაიწყო ერთი მოსწავლიდან. ორიოდე ყმაწვილს რომ ჯიბეები გაუშინჯა, მასწავლებელმა სთქვა: მე ამ საქმეს დიდხან მოვუნდები და თქვენც შეწუხდებით; ამისთვის ვისაც გსურდესთ, ეზოში გადით, მიიარ-მოიარეთ და ისევ ჩქარა შემოდითო!

სთქვა თუ არა ეს მასწავლებელმა, ყველაზე უწინ ბრიგოლი გამოხტა და ეზოში გასვლა დააპირა...

—მოიცა, ბრიგოლ, ახლა შენი გაჩხრეკის ჯერია და მერე შეგიძლია ეზოში გასვლა. აბა შენი ჯიბეები გავსინჯო, მოდი აქ, უთხრა მასწავლებელმა მას. ბრიგოლი შეკრთა და არ იცოდა, რა ექნა. მოსწავლეები წამოდგენ და ბრიგოლს ყურება დაუწყეს...

—რას გაჩერებულხარ? აქ მოდი!—გაიმეორა მასწავლებელმა.

—არაფერი არა მაქვს, ბატონო,—უპასუხა ბრიგოლმა და ფერი ეცვალა.

—თუ არაფერი არა გაქვს, კიდევ უკეთესი: მართალ და პატიოსან კაცათ დარჩები ჩვენს თვალში!... ბრიგოლს ჯიბეები დაუსინჯეს, მაგრამ არაფერი გამოაჩნდა.

Ემაწვილი მაინც კანკალობდა, სახე ულურჯდებოდა. ბოლოს, როცა მასწავლებელმა ბრიგოლს სარტყელი შეახსნევინა, უცებ მას უბიდან სპილენძის ფული გამოუვარდა, იატაკზე დაეცა და გაგორდა...

—ერიჰა!... აი, ვანოს ფული სადა ყოფილა! წამოიძახეს ბავშებმა და შექნეს სიცილი და ხმაურობა...

—ბატონო, ეგ ჩემი ფულია, დედა ნუ მომიკვდება, ღმერთი ნუ გამიწყრებაო!—იფიცავდა ვანო.

მასწავლებელმა დახედა ფულს და ცხადათ შეატყო, რომ ის სილით იყო გაფერილი.

—მერე საიდან იცოდა ბრიგოლმა, რომ შენ ფული გქონდა?—ჰკითხა მასწავლებელმა ვანოს.

—როგორ არა, ბატონო, ამ დილას შკოლაში ერთად მოვდიოდით; მე ორი ბუბლიკი ვიყიდე და ერთი მაგას ვაჭამე; მედუქნემ სამი კაპიკი ხურდა გამომიბრუნა, რომელიც გაჟანგული იყო და სილით გავფერე!—უპასუხა ვანომ.

—ეაი მადლობა-კი გადაუხდია!—სთქვა ნაღვლიანად მასწავლებელმა და მერე მიუბრუნდა დამნაშავეს: „ბრიგოლ! აბა თვით გადასწყვიტე—რა სასჯელი გეკადრება ამისთანა სამარცხვინო საქმის ჩადენისათვის?“—და შეაცქერდა თვალებში.

ბრიგოლი გაშეშდა და ხმა ველარ ამოიღო. ეკლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეველა მასწავლებელს თვალებში შესჩერებოდა და მის განჩინებას მოელოდა. უცებ მასწავლებელი ბრიგოლს მიუახლოვდა და წყნარად უთხრა: „ბრიგოლ, მიპატიებია იმ იმედით, რომ შემდეგ ამისთანა საზიზღარ საქმეს არ ჩაიდენ“... ბრიგოლს მდუღარე ცრემლები წასკდა.

ბადიოდა ხანი. მას შემდეგ შკოლაში აღარაფერი დაკარგულა... სოფელმაც შეისვენა: ბრიგოლი აღარავის აწუხებდა. ნაცნობებს ძლიერ უკვირდათ ბრიგოლის გამოცვლა და ხშირათ იტყოდენ: „აკურთხოს ღმერთმა, ვინც შენ აგრე მოგარჯულაო.“

ბ. ბოკერია.

1. როგორი ხასიათის ყმაწვილი იყო გრიგოლი? 2. რა საძაგელი საქმე ჩაიდინა გრიგოლმა? 3. როგორ იმოქმედა გრიგოლზე ამ საქციელის გამოაშკარავებამ და მასწავლებლის განაჩენმა?

ბეჯითი მოწაფე.

თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა,
და ხშირსა ტყესა, ჩადრ-წამოსხმულსა
სახე სრულიად გაშეშებოდა.
არსაიდამ არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ ცის კიდით კიდემდესინა
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.
და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ეინვა თანდათან ძლიერდებოდა;
ხან ადმა მთებზე და ხან ჩამოდმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.
დაბრძანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშორებდა გატკეპნილს გზასა;
უნდოდა ძალა გამოეჩინა,
წინ დახვედროდა მიმავალს მგზავრსა.
აგერა კიდეც გზაზე გამოჩნდა
ბავში წიგნებით იღლიაშია!
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის შკოლაშია.
ეინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშო სულელო, სწრაფულ მიაძახა—
გირჩევ, ახლავე დაბრუნდე შინა.
ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა,

მალე გეცვლება წითელი ფერი;
იცოდე შენზე უფრო დიდთათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი“.
ესმის ეს ყველა ჰატარა ბავშსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს,
მაინც არ სდგება, ხელების ფშვნეტით
მიხტის და ფეხებს მიაბაკუნებს...
ყინვა ბრაზდება და გული მოსდის
ჰატარა ბავშის მხნეობაზედა.
შესწუხდა ძლიერ ჩვენი ჰატარა,
მთლათ დაეყინა ხელი, ფეხები.
„ვაიმე დედავ! უცებ გაისმა
და გადმოსცვივდა საწყალს ცრემლები.
მაგრამ მაინც-კი სულ არ შეშინდა,
ფეხიც არ შესდგა, არ შეისვენა!
უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მარდად მოჰკურცხლა მან შკოლისკენა.
მირბის ჰატარა, მირბის და... აგერ
შკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!
სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და იმის ბაქი-ბუქიცა.

ლ. ლომაური.

1. ზამთრის სურათი. 2. ყინვის ძლიერება. 3. ყინვის მუქარა ბავშისადმი. 4. ბრძოლა მათ შორის. 5. ბავშის გამარჯვება.

მამის წერილი ენრიკოსთან.

ოჰ, ჩემო ენრიკო! როგორლაც უხალისოდა სწავლობ! მენატრება გაბედვით, ხალისით შკოლაში მიმავალი დაგინახო. მაგრამ მომისმინე, რა გითხრა: შენ რომ შკოლაში არ დადიოდე, ვერ წარმოიდგენ, რა საცოდავი, უაზრო იქნებოდა შენი სიცოცხლე: ერთ კვირას შემდეგ შენ თვითონ შემეხვეწე-

ბოდი, შკოლაში დამაბრუნეო. უაზრო გართობა და უსაქმურობა მალე მოგბეზრდებოდა. მერე ახლანდელ დროში აბა ვინ არა სწავლობს, ენრიკო! წარმოიდგინე: განათლებულ ქვეყნებში დღიური მუშა, თავის მძიმე მუშაობას შემდეგ, საღამოს შკოლისაკენ მიეშურება; მუშა დედაკაცები კვირაობით წერა-კითხვასა სწავლობენ; სამხედრო ვარჯიშობით დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცი რომ სახლში ბრუნდება, მაშინვე წიგნს აიღებს ხელში; ბრმა, ყრუ, მუნჯი და თვით პატიმრად მყოფიცკი დროს ცუდათ არა ჰკარგავს და წერა კუთხვასა სწავლობს ნუ დაივიწყებ, რომ დილით, როცა შენ შკოლაში მიდიხარ, სწორეთ იმავ საათს, იმავ წუთს იმავე ქალაქში სასწავლებლისაკენ ოცდაათიათასი შენი ტოლა ბავში მიეშურება. მაგრამ ეს რაა... წარმოიდგინე: მთელს დედამიწის ზურგზე უთვალავი ბავში სწორეთ იმავე დროს შკოლისაკენ მიესწრაფება: ხმაურობით გარემოცულ ქალაქში, მიყრუებულ სოფელშიც, ზღვისა და ტბის პირად, მთასა და კლდე-ღრეზე, ბილიკებზე, ყოველგან წიგნებით დატვირთული, ათასფრად ჩაცმულ-დახურული, სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე პატარა ბავშები შკოლისაკენ სასწავლებლად მიეშურებიან, ზოგი ცხენით—სადაც ვაკეა, ზოგი ნავით—სადაც არხები და მდინარეებია, ზოგი მარხილით—სადაც კი თოვლია და ყინვა...

წარმოიდგინე ეს უთვალავი, ყველა ეს პაწაწა ბავშები! წარმოიდგინე ეს მოძრაობა! ენრიკო, შენც ურევიხარ ამ მოძრაობაში! ეს მოძრაობა რომ შეჩერდეს, კაცობრიობა ხომ გაველურდება! ეს მოძრაობა წინსვლაა, იმედია, ქვეყნიერების დიდებაა! ნუ შეშინდები, პატარა მეომარო დიდის რაზმისავ! შენი იარაღი წიგნია, კლასი შენი რაზმია, ქვეყნიერება ბრძოლის ველი და განათლება—გამარჯვება! ნუ დაიწევ უკან! ნუ შედრკები, ენრიკო!

დე-ამიჩისი.

1. რამ გამოიწვია მამის საყვედური? 2. როგორ ეტანება ყველა სწავლას? 3. რა მნიშვნელობა აქვს სწავლას კაცობრიობისათვის? 4. რა დარიგებას აძლევს ენრიკოს მისი მამა?

უპატრონო გოგუცა.

ერთ ქალაქს პატარა მდინარე ჩამოუდიოდა. ზაფხულობით ამ მდინარეზე ქალაქიდან დიდი და პატარა ტანის საბანად გამოდიოდა; დილიდან საღამომდი ჭერეხებივით ეყარენ და ჭყუმპალობდენ შეტბორებულებში. აქვე დიდის წისქვილის არხია გადაშვებული: არხის ორსავე ნაპირს დარგული ტირიფი, ბაძგარა და მაღალი ბუჩქნარი მისდევს.

ამ არხის ნაპირზე ბუჩქებში იმალებოდა ერთი ფეხშიშველა ცხრა წლის გოგონა; მწვირიანი პერანგისა და დაკონკილ იუბკის მეტი არაფერი ეცვა; თმა გაწეწილი ჰქონდა და ისე გამოიცქირებოდა, თითქო ჟალტამში ნადირი ჩასაფრებულაო. იგი უპატრონო, უდედ-მამო და უსახლკარო იყო. მისი სარჩო ის იყო, რასაც მოიტაცებდა, ან თუ ვინმე, როგორც მშიერ ძაღლს, მჭადის ნატეხს მიუგდებდა. ბავშები მას სათამაშოდ არ იკარებდენ, საბანაოთ წყალში არ უშვებდენ, დასცინოდენ, ფეხშიშველას ეძახოდენ. ქიდევაც ამიტომ იგი გამვლელ-გამომვლელს ერიდებოდა და ტყესა და ღრეში იმალებოდა.

ერთხელ აქ ერთი პატარა გოგო მოვიდა; იგი მედუქნის ცოლს წყალზე გამოეგზავნა. ობოლი ბავში იყო, სხვის ოჯახში ცხოვრობდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერთგულად ემსახურებოდა.

წყლის ამოსაღებთან მობანავე ბავშებს წყალი აემღვრიათ; ამიტომ პატარა ელენემ ზევით გასწია, სადაც უფრო წმინდა წყალი ეგულვებოდა.

ქარგს ალაგს მიადგა—გარშემო სიჩუმე იყო, ბავშმა დოქები ძირს დასდგა, მოლზე დაჯდა, ჯიბიდან პურის ნატეხი ამოიღო და უდარდელად კბეჩა დაუწყო; მაღალ ჟალტამში რაღაცა გაფუჩუნდა. ბავშმა მოიხედა და თმა გაბურძგნული გოგო დაინახა. იგი პურის ნატეხს ხარბის თვალით მისჩერებოდა. ბავში წამოდგა, დოქები აავსო, მხარზე დაიდგა და სახლისკენ გაუდგა. ელენემ ცოტა გაიარა და გზის პირზე ნარჩენი პური გადაუგდო და წამოიძახა: „ეს შენა გქონდესო!“

პური ბალახზე ეგდო,—მშიერი გოგო პურს არ იღებ
თვალებში ბოროტების ცეცხლი ენთებოდა. ბავშმა ცოტა
იარა და უკან მოიხედა, დაინახა, რომ პური იქვე ბალახზე

ბავშმა დოქი ჩამოდგა, უკან დაბრუნდა, პურის ნატ
აიღო, გოგოსთან მივიდა, პური კალთაში ჩაუგდო და ალ
სით უთხრა: „აიღე და სჭამე, ხომ გშია!“

ზოგომ პური მოკრძალებით აიღო, უნდოდა პირთან მიეტანა, მაგრამ შეკრთა და ცრემლები გადმოღვარა.

—ნუ სტირი, ზოგუცა! — თანაგრძნობით უთხრა ბავშმა: — ახლა ეს შეჭამე და ხვალ კიდევ მოგიტან, ნუ სტირი, ჭამე!

ზოგომ დიდხანს იტირა. მთელი მწუხარება, რაც მის გულში დუღდა, ყოველი შეურაცხება, რაც მისთვის მიეყენებიათ, თითქო უნდოდა ერთად გადმოენთხია თვის მწარე მოთქმა-ტირილში. დიდხანს იტირა ზოგუცამ; როცა ცოტათი დაწყნარდა, პური აიღო, ბავშს ალერსით შეხედა და მერმე ჭამა დაიწყო; ღიმილი მოსდიოდა და თან იცრემლებოდა.

—ნუ სტირი, — უთხრა გამოთხოვებისას ელენემ; — ხვალ პურს კიდევ მოგიტან.

ამას შემდეგ ზოგუცა სრულიად გამოიცვალა: მან გარდაწყვიტა, პარვას დავეთხოვები, და მაშინ სხვანაირად მომექცევიანო. აი, ვინც ახლა მე პური მომაწოდა, ელენე, ხომ პატარაა, მაგრამ შრომობს და თავისი ნაშრომით საკუთარს, დაუმადლებელ ლუკმასა სჭამსო.

მეორე დღეს, როცა ელენე წყალზე მოვიდა, ზოგუცა ძლივსღა იცნო: ტანისამოსი გაესწორებია, თვალებში მხიარულება ეხატებოდა. ელენეს მისთვის თფილი მჭადი, ლობიო და რამდენიმე ვაშლი წამოელო; ასეთი პირის სატკბარუნო მას აქამომდი არც კი უგემებია.

— ჭამე, ზოგუცი! — ალერსიანათ უთხრა, მაგრამ ზოგო რაღაც ყოყმანობდა.

— ეგ ხომ არ მოგიპარავს? — მოკრძალებით ჰკითხა ზოგუცამ.

ელენე რაღაც მოიღუშა.

— მე არასოდეს არ ვიპარავ! წყენით უპასუხა: — მჭადი და ლობიო ქალბატონს ვსთხოვე, ვაშლი-კი ჩემი საკუთარი ფულით ვიყიდე. სჭამე, ხვალ კიდევ მოგიტან.

ელენეს წასვლისათანავე ზოგუცამ ქალაქს მიაშურა, პირველსავე ეზოში შევიდა და იკითხა: „საქმე ხომ არაფერი გაქვთ, რომ გასაკეთებლათ მომცეთ?“ ეზოში დიდი ბოსტანი იყო. პატრონმა დიდი სიამოვნებით ბოსტნის მორწყვა მიანდო.

მთელი დღე ზოგუცა ბოსტანსა რწყავდა. საკმაოდ აჭამეს, ასვეს და ცოტაოდენი ფულიც მისცეს.

ზოგუცა სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა, საღამოს შაქარლამის კვერები იყიდა და თავის ბინაზე გაეშურა. ღილას ელენე ჩვეულებრივ წყალზე მოსულიყო და ზოგუცასთვის მჭადი და ლობიო მოეტანა. ზოგუცა მხიარულად დაუხვდა და იღიმებოდა: თავის სასიამოვნო სტუმრის სამასპინძლო მზად ჰქონდა

—ჰა, მიირთვი,—უთხრა ზოგუცამ და ელენეს ტკბილეული მიაწოდა.

ელენე მოიღუშა.—ეგ მოპარულია?

—არა,—უპასუხა ზოგუცამ:—მე გუშინ ბოსტანში ვმუშაობდი... გუშინ დილიდან დაწყებული მე აღარაფერი მომიპარავს და აღარც მოვიპარავ.

შემოდგომაზე ზოგუცა ვილაცასთან დადგა მოსამსახურეთ და ამას შემდეგ თვისი ნაშრომით რჩებოდა.

ზოგუცას აგზავნიან ახლა წყლის მოსატანად; იგიც დოქებით მივა ხოლმე წყაროზე. არც დიდი და არც პატარა მას არ აჯავრებს, არ დასცინის.

როცა ზოგუცა ელენეს წყაროსთან შეხვდება, ყოველივეს უამბობს, რაც გულში აქვს: „მე ყოველთვის თავდადებით ვიშრომეპ, ოღონდ ხანდახან მაინც გნახავდე“. ოღბოლმა ელენემ შეიყვარა იგი, როგორც საკუთარი და; რა დღესაც მას არ შეხვდებოდა, ის დღე დღეთ არ მიაჩნდა.

შემოდგომამ და ზამთარმა გაიარა; გაზაფხული დადგა. ბავშები ჩამომჯდარან არხის ნაპირზე, ბალახში დოქები უდგათ.

—აი, ელენე, აქ იყო, შენ რომ პური მომიგდე, როგორც ძაღლს, მერმე ალერსიანათ მომაწოდე, როგორც ადამიანს. შენი პური უნაყოფოთ არ დაკარგულა: სრულიად გამოვიცვალე, ჩემს სიცოცხლეში შენი პურის ნაჭერი არ დამავიწყდება.

პოლონურიდან.

1. უპატრონო გოგოს მდგომარეობა. 2. ელენეს შეხვედრა და მისი მზრუნველობა. 3. ამ მზრუნველობის შედეგი.

ოჯახის ბურჯი.

მშვენიერი, გრილი, ოდნავ მოღრუბლული მარიობისთვის დღე იყო. დილის თერთმეტი თუ თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მე და ჩემი თერთმეტი წლის ვაჟი ილიკო შევსხედით ცხენებზე და ნელის ნაბიჯით შევუდექით ჩვენი სოფლის მახლობლათ მდებარე ტყის გზასა.

ტყეში სრული მყუდროება სუფევდა. ტყის სულის ჩამდგმელნი, მოჭიკჭიკე ფრინველნიც-კი გაყუჩებულიყვენ და თითქოს ზაფხულის შუადღის ძილს მისცემოდენ. მარტო შორიდან მოისმოდა მძიმეთ დატვირთული ურმის ჭრიალი, რომელსაც ბანს აძლევდა ძნის-მზიდველის სევდიანი ურმული.

მე და ილიკო ტყე-ტყე სასეირნოდ მივდიოდით და ტკბილად ვლაპარაკობდით; ტყე თანდათან უფრო და უფრო იბურვებოდა; გზა გვიბნელდებოდა, თითქო შემოგვღამებოდეს, მაგრამ ჩვენ ეს სიბნელე ასწლოვანი ხეების ჩრდილი გვეგონა; ისკი არა, თურმე ჩვენს ბაასში ცა საშინლად მოღრუბლულიყო და უცებ ძლიერმა ქარმაც დაუბერა. ტყემ გუგუნი დაიწყო, მიძინებულმა ბუნებამ სწრაფლათ გამოიღვიძა, და სიცოცხლის ძალა მოემატა; თითო-ოროლა დიდრონმა წვეთმა მაგრად გაგვიტყლაშუნა პირისახეზე. ილიკო მომიახლოვდა და შიშით შემომხედა. ამ დროს საშინლად გაიელვა და თან მოჰყვა ხანგრძლივი გრგვინვა.

—დედა, რა გვეშველება? ჩვენ, მგონი, ძლიერ შორსა ვართ ჩვენს სოფელზე, და ეს ავდარი ხომ ძალიან შეგვაწუხებს.

—აქ ახლო ერთი სოფელი მეგულვება და აბა, შვილო, ყოჩაღად იჯექ ცხენზე და მომყევ, იქნება ავდარს გავუსწროთ.

ცხენები კარგი გვყავდა; არც ტყის გზა იყო ურიგო, და გავკარით. ჩვენი ცხენების თქარა-თქური უფრო უმატებდა გაღვიძებულ ტყეს ხმაურობას, და ჩემი ილიკო შიშის ზარმა აიტანა; ფერი სრულიად დაეკარგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერეკებოდა თავის «ბაჩას».

რამდენსამე წამს შემდეგ ჩვენ წინ, ტყეს იქით გამოჩნდა პატარა სოფელი **ო**ლე და წვიმამაც კოკისპირულად დაასხა; თან სეტყვამაც წამოუშინა და ლაწა-ლუწი აუყენა არემარეს.

სოფლის განაპირას მაღლობზე ერთი პატარა ხის სახლი იდგა და ორ დიდ ნერგ-შუა გამოიცქირებოდა იმისი ახლად გაკეთებული აივანი. **მ**ე მაშინვე იმ სახლისკენ გადავუხვიე და აივანთან შევდექ; სახლის კარებში იდგა შავებით მოსილი მოხუცი და გაკვირვებით დაგვიწყო ცქერა.

—**ნ**ინო, ვერ მიცან? **დ**არია, თქვენი ბატონიშვილი **დ**არია?

—**დ**არიაჯან! შენა ხარ, შენი ჭირიმე! უი, დამიდგეს თვალები! ამისთანა ავდარში ხომ დაიწუწებოდით, გადმობძანდით, გენაცვალე, ჩქარა!—მერე ოთახში შეიძახა:—**ს**ალო, შვილო, ცეცხლი, ჩქარა დიდი ცეცხლი გააჩაღე, ბატონიშვილები გვეწვიენ.

რამდენსამე წამს შემდეგ მე და **ი**ლიკო ვისხედით გაჩაღებულ ბუხრის წინ და ვიშრობდით ძალზე გაწუწულ ტანისამოსს: აქვე ჩვენს გვერდში **ნ**ინოს ახალგაზდა რძალი **ს**ალო ქათამს აკეთებდა ჩვენთვის.

ლამაზი მეჩვენა ეს პატარა, გამარტოებული ხის ოთახი თავის პატარა მინა-ჩასმულ სანათურებით; ეგ ოდნავ განათებული სადგომი სუფთად იყო მილაგებული. **ა**ალ მხარეს განიერი ტახტი იყო შეკრული და ზედ ჭილოფები და ფარდაგი ჰქონდა გადაშლილი, მეორე მხარეს ჩამწკრივებული ეწყო სამი მოზდილი სკივრი, და ერთ მათგანზე ელაგა სუფთა, დაკეცილი ქვეშსაგები. **კ**უთხეში ლამაზი, პაწია ნაჭდევი თარო იყო მიდგმული და ზედ მცირეოდენი ჭურჭელი და სპილენძეულობა ელაგა; ერთი სიტყვით, ოთახს ეტყობოდა, რომ რიგიანი დედაკაცი პატრონობდა, და ბალღები, ეს სახლის მუდამ ამრევ-დამრევნი, არ სწეწავდენ აქაურობას.

—**ნ**ინო, რატომ ასე მარტონი ხართ? განა შვილიშვილები არა გყავს?—ვკითხე სახლის პატრონს და აქით-იქით მივიხედ-მოვიხედე.

—შვილიშვილები-კი არა, დარიაჯან,—ღმერთმა არ შემარჩინა,—და ერთი ბიჭი კი გვყავს!—ოხვრით მომიგო ნინომ და თავის რძალს გადახედა.

—მერე, სად არის ამ საშინელ ავდარში?—აჩქარებით ჰკითხა ჩემმა ილიკომ მოხუცს:—ხომ ნიაღვარი წაიღებს, თუ კარში არის სადმე.

—ნიაღვარი კი ვერ წაიღებს, გენაცვალე, პატარა ბატონიშვილო, და ძლიერ კი გაილუმპება. დაუდგეს ბებიას თვალები! მერე ნაბადი მაინც წაელო თანა, ცარიელ ჩოხაშია გახვეული...

—საწყალი! ვინ იცის, რანაირად ღრიალობს ახლა და დედას ეძახის! მერე რა საშინელი ყოფილა ტყე ავდარში! ისე ყმუის, ღრიალობს, თითქოს ათას ვეშაპს თავი ერთად მოუყრიაო! მე რომ მარტო ვყოფილიყავ, შიშით გავგიჟდებოდი... საწყალი ბიჭი!... რა ჰქვია შენს შვილიშვილს?—ეჭიკჭიკებოდა ჩემი ილიკო ბებერს?

—ჩემს შვილიშვილს დათა ჰქვია და არც ტყისა ეშინია და არც ავდრისა: ის ღამე მწყეესობაში შესწრებია ამაზე უარესს ავდარს, მაგრამ არ უტირია-კი; ცამეტის წლის ბიჭია, რაღა დროს მისი ტირილია. რომ იტიროს, ხომ ამხანაგები მასხარად აიგდებენ; ან კი რად უნდა იტიროს? განა ტყეს არ იცნობს, ტყის სიცილიც და ტირილიც ათასჯერ არ გაუგონია? განა არ იცის, რომ ავდარს დარი მოსდევს და დარს კიდევ—ავდარი?!

—განა მე კი არ ვიცი, რომ ავდარს დარი მოსდევს და დარს კიდევ—ავდარი!—ცოტა არ იყოს გაჯავრებით სთქვა ილიკომ:—მაგრამ ტყეში ავდარი საშინელებაა! მე დარწმუნებული ვარ, რომ შენს დათას ახლა სულ შიშით აკანკალებს, ტირის და შენ-კი მოსაძებნად არ მიხვალ! ცოდვა არ არის? მერე ნაბადიც თან არა ჰქონია; ხომ გაცივდება და ავათ გახდება!

II.

სალომ საჩქაროდ მოსწვა ტაფაზე ქათამი და ლურჯს სუფრაზე დაალაგა, რაც ღვთის მოწყალება ებადათ რამე ოჯახში.

ჩვენ მგლებივით წავესიეთ ხორაგს და დიდის მადით შეეექცეოდით წითლათ დაბრაწულს ვარიას, ახლად შედღვებილს კარაქს და ნაღებ მორეულს ყველივით დანით საჭრელს მაწონს.

წვიმა-კი ისევ კოკისპირულად ასხამდა და თითქო თავის დღეშიც აღარ აპირებდა გადაღებას. ნიაღვრები შუილ-ხრიალით მირბოდენ სოფლის ბილიკებზე; კალთა-ამოკეკილი, ფეხშიშველა დედაკაცები და თავზე ტომრებ-წამოსხმული მამაკაცები ფაცა-ფუცით ალაგებდენ კარზე დარჩენილ ჭირნახულს; ბანის ერდოებს ამაგრებდენ, რომ ნიაღვრით არ ავსებოდათ სადგომი დარბაზები.

აგერ სოფელში შემოვიდენ ჩვეულებრივი სისწრაფითა და ბღავილით ხბოები და ღორები; მათ მოჰყვა ზანტათ მომავალი ნახირი და შემდეგ—მუშა საქონელი და გაწუმპული მეხრეები. საქონელს გამოეგებენ შინ თავშეფარებული გოგო-ბიჭები და ჟივილ-ხივილით დაერიენ საქონელს თავ-თავის ბაკებში შესამწყვდევად. ნინო და სალოც საჩქაროდ გავიდენ კარზე და მალე მათ შემოჰყვა ლაფში ამოსვრილი და სიცივისგან მთლათ გალურჯებული დათა.

დათა თავის ხნის შესაფერად კარგი ტანადი ახალგაზდა იყო; პატარა ნაბდის ქუდი კინკრიხოზე ჰქონდა წამოხურული და ნათელი გულისპირი უშვენებდა ჭკუის გამომხატველ, შავგვრემან პირისახეს. წინდა-ქალამანზე ტალახი ბლომად ჰქონდა შეგლესილი და პაჭიჭებში ჩატანებულს სოველ შარვალს წვიმის წყალი ჩამოსდიოდა. დათამ დარბაისლურად, დაურცხვენელად დაბლა დაგვიკრა თავი, ქუდი მოიხადა, თავისი უშველებელი კომბალი კუთხეში მიაყუდა, წელიდან ქამარ-ხანჯალი შემოიხსნა და წყნარად მივიდა გაჩაღებულ ბუხართან.

ჩემი ილიკო გაოცებული შესცქეროდა ამ პატარა კაცს და ჰკვიროობდა იმის დარბაისლურ მიხრა-მოხრას. არც ტირილი, არც შიში ავდრის გამო მას არ ემჩნეოდა. მხოლოდ მოწიფულ დარბაისელ კაცსავით შუბლი შეეკრა ამ პატარა მუშას.

დათა ბუხრის წინ ჩამოჯდა პატარა სამფეხა სკამზე და დაბუხული ცივი ხელები ცეცხლს მიუშვირა. დედამ ქალამნე-

ბის თასმები გაუხსნა, ძლივსძლივობით გააძრო წვიმით გაჟღინთული ღაზლის წინდები, შემდეგ ტაშტი და წყალი მოუტანა ხელის დასაბანათ და მერე—სადილი ხონჩით, თვითონ კი ოთახიდან გავიდა ძროხის დასამწყვდევათ.

ოთახში დიდ ხანს სიჩუმე იყო, მხოლოდ წვიმის შხაპუნი გარეთ და ცეცხლის გუგუნი შიგნით ამ სიჩუმეს არღვევდა. დათა აუჩქარებლათ, წყნარათ, მაგრამ დიდის მადით კი, შეექცეოდა ჯამში პურ-ჩაყრილს დო-შეჭამანდს. ჩვენ ჯერ ხმას არ ვიღებდით.

ბოლოს ილიკოს ცოცხალმა ბუნებამ ვერ მოითმინა დიდიხნის სიჩუმე და გამოელაპარაკა ხნიერობით მის ოდენა ბავშს.

—მართლა, შენ ტყეში ავდრის დროს არ გეშინია? არა სტირი ხოლმე, როცა ტყე ისე საშინლად ღრიალობს და ისე ჯოჯოხეთურად ჩამობნელდება ხოლმე?

—შიშით კი რისა შემეშინება, ბალღი ხომ არა ვარ, და სიცივით-კი დავიყინეთ,—მე და ჩემმა ღმერთმა; მეტადრე ჯავახიანთ პატარა ტატო კინაღამ მოგვიკვდა, მარტო პერანგისამარა წამოსულიყო ღორების სამწყესავად. ი ოხერი სეტყვა ხომ ისე ააცივებს ხოლმე, ისე, თითქოს ზამთარი მოსულაო. თავ-

პირი ხომ სულ გამოგვინაყა, სანამ ერთს დიდ მუხას არ შევეფარეთ.

— ტყეში რად იყავი?—განაგრძო ილიკომ ლაპარაკი,— შეშა უნდა მოგეტანა?

—შეშა კი არა! შუა ზაფხულში შეშა რად მინდოდა! ან შეშისთვის ახლა ვისა სცალია! მთელი დღე სიმინდსა ვჩეხდი, და ის ოხერი თავსხმა ისე წამომეპარა მუშაობის დროს, ვერცკი გავიგე; და, სეტყვა რომ წამოუშინა, სუყველანი, მინდვრის მუშებიც-კი, ტყისაკენ გავექანეთ.

—სიმინდსა სჩეხდი?! მარტო?

—მა-რა! ვინ მიშველიდა? მამა მე არა მყავს და ბიძა!— ოხვრით სთქვა დათამ.

—რატომ დედა-შენი მუშას არ დაიჭერს?

—მუშას?... რითი, შვილო?—ჩაერია მათ ლაპარაკში ბებია ნინო:—მუშის შეძლება ვინ მოგვცა! ჩვენი მუშაც და მოწალმართეც მარტო ეგ თითის ოდენა ბიჭია. ეგ რომ არ გვყავდეს, წყალი მოვიდოდა და თან წაგვიღებდა; ეგ-კი,—ვენაცვალე ღვთის სახელს,—იმდენს წალმართობს, რომ ჩვენი საკმაო სარჩო მოჰყავს და დედასა და ბებიას მშიერს არ დააგდებს.

—ნეტა მართალს ამბობ, ნინო? ამ პატარა ბიჭის ხელითა ცხოვრობს მთელი ოჯახი? — ცნობისმოყვარეობით ვკითხე მეც ბებერს.

—მართალს, თქვენი წყალობა არ მოაკლდეს მაგის პატარა სიყმეს. მაგას აგრე-კი ნუ უყურებთ, ნამდვილი ოჯახის ბურჯია, ბურჯი! კარგ ვაჟკაცს არ ჩამოურჩება საქმეში: სამი დღის სიმინდი აი სულ ოთხ-ხუთ დღეში გაჩეხა. ხვალ მე და სალო უნდა გავყვეთ და ურმებზე დადება ვუშველოთ. ურემი ნათლია ბიგოლამ აგვითქვა და ორ დღეში სულერთიან მოვზიდავთ კარზე... ღმერთმა დალოცოს, ასეთი ტარო აქვს, რომ წლის სარჩოს მოგვრჩება კიდეც.

ბებიის ქებაზე დათას, ცოტა არ იყოს, შერცხვა და ცეცხლს ჩხიკინი დაუწყო. მერე ოხვრით წარმოსთქვა:—ეჰ, რა არის ხელცარიელა კაცის მუშაობა! ხარი არსად გაგვაჩნია და კამე-

ყი! ერთი უღელი ხარი მყოლოდა, მაშინ ნახავდი, ბებილო, რა ხოდაბუნებს გადავხნავდი ანეულად! ახლა რა, ორი თვე გუთნის მეხრეთ უნდა ვიწანწალო, რომ ვინმემ ორი ალო მიხნას.

—ხარი და კამეჩი ვინ მოგვაოხრა, შვილო! წყეული იყოს ის მუხთალი სიკდილი! რაც მამაშენი ხელიდან გამოგვაცალა, განა ჩვენს ბედობაზე გაჩნდება კიდევ საიდანმე საქონელი? მაგრამ, რა ვქნათ, ასე უნდა ვიწვათ და ვიდაგოთ, სანამ დავაჟკაცდები და მერე,—ღმერთი მოწყალეა,—ვალი იქნება თუ ვახში, ერთი უღელი ხარი უნდა ვიშოვნოთ როგორმე.

—დათა, ის არ გირჩევნია, ქალაქს წამოხვიდე, «ლაქიობა» ან «პოვრობა» ისწავლო?—უთხრა ჩემმა ილიკომ:—იქ ხომ მაგდენი ჯაფა არ გექნება და ფულებს-კი ბლომად აიღებ. დიდ ქალაქსაც ნახავ, შენ ხომ ამ სოფლის «ოლეს» მეტი არა გენახება-რა.

—მართლა და, თუ გაიმეტებთ, ნინო, ურიგო-კი არ იქნება, ქალაქში ხელოსანს მივაბარებ და ოთხ-ხუთ წელიწადზე დახელოვნებული ვაჟკაცი დაგიბრუნდება,—ვუთხარი მეც ნინოს.

—მისი ნებაა,—სთქვა ნინომ და ამოიოხრა:—ჩვენ მაგას გზას როგორ დავუჭერთ, მაგრამ ჩვენ რაღა გვეშველება? ჩვენ ვილამ უნდა გვაჭამოს პური? ქალაქს წასული გლეხკაცი, თავის მიწა-წყალს მოწყვეტილი, მერე სოფელში აღარ გამოდგება, თვალი სულ სხვაგან ეჭირება... და ნინომ აქ ცრემლები გადმოყარა.

—რა გატირებს, ადამიანო?!—დარბაისლურათ უთხრა დათამ ბებიას:—განა მე არ ვიცი, რომ უჩემოდ თქვენი ყოფნა არ იქნება! თავს როგორ დაგანებებთ, რა ვქნა, აქ ჯაფა ბევრი მაქვს, მაგრამ ჯაფას როგორ გავექცევი? კაცი არ ვარ? წელში ხომ არ გადავწყდები?... ერთი უღელი ხარი მყოლოდა, მაშინ მე ვიცოდი, მაგრამ...

ეს სიტყვები ისეთის დალაგებითა და სიმტკიცით იყო წარმოთქმული, რომ უნებლიეთ სიცილი წამსკდა; ნინო-კი თვალცრემლიანი, მაგრამ კმაყოფილი და ბედნიერი, გადაეხვია თავის ნუგეშს და მაგრა მიიკრა გულში.

მეორე დღეს მშვენიერი ბრწყინვალე დილა გათენდა. ჩვენ ადრიანათ გავემგზავრეთ შინისკენ. მთელი გზა ჩემი ილიკოსულ იმას მემუდარებოდა, დათასათვის ერთი უღელი ხარი გვეყიდა; მისი თხოვნა ისე წრფელი და გულმხურვალე იყო, რომ მე უარი ვერ ვუთხარი და მეორე დღესვე ორი კარგის ჯიშის მოზვერი, რომელიც ჩვენი საქონლის თვალი იყო, დათას კარს მივაყენეთ.

ე. ბაბაშვილისა.

1. სად სეირნობდენ ილიკო და მისი დედა, სად მივიდენ და რამ აიძულა ისინი იქ მისასვლელად. 2. ბაასი ილიკოსი ბებიასა და დათასთან. 3. დათას ნატვრა და მისი ასრულება.

გიგას მოწყალება.

მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. გიგამ მხიარულ გუნებაზე გამოიღვიძა. მიირბინა ფანჯარასთან და დაინახა მშვენიერი მინდვრები, აყვავებული ველები და მწვანე დაბურული ტყეები,—ყოველივე ეს ლაჟვარდ ცას ქვეშ ბრწყინავდა და იღიმებოდა.

გიგამ საჩქაროდ ტანისამოსი ჩაიცვა, პირი დაიბანა, თავი დაივარცხნა და ძირს პურის-საჭმელ ოთახში ჩაირბინა. იმისი მამა მინდორში წასულიყო, დედა-კი სამოვართან იჯდა. გიგამ ერთი ჭიქა რძე საჩქაროდ დალია და არც-კი დაასრულა პურის ჭამა, წამოავლო ხელი თავის ჩალის ქუდს და გარეთ გამოვარდა. ამისთანა მშვენიერ ზაფხულის დღეს გიგას ერთ ადგილას გული არ უდგებოდა. ხან აქით მირბოდა და ხან იქით.

მთელ დილას გიგა ძალიან მხიარულად იყო და ჯერ ეზოში ბანჯგვლიან ძაღლს „დათუნიას“ ეთამაშებოდა, შემდეგ დაიწყო „ცხენობიას“ თამაშობა მეეტლის შვილ სანდროსთან, სანამ მას დედამ არ დაუძახა. როცა გიგა მარტო დარჩა, ჩიტებს ქვის სროლა დაუწყო. თუმცა ვერც ერთს ჩიტს ვერ

მოარტყა, მაგრამ ჩიტები მაინც შეშინდენ და ყოველ იმის ხელის მოქნევაზე ხან ერთის სახლის ბანზე გადაფრინდებოდენ, ხან მეორეზე. Იმათი გადაფრენ-გადმოფრენა Ზიგას ძალიან ახარებდა და ამისთვის აღარ ასვენებდა მათ. Ცელქობისაგან ლოყები ასწითლებოდა და თვალები უბრწყინავდა... Ზიგა სირბილით სრულიად მოიქანცა და ტანისამოსი მთლად შემოეფხრიწა.

Ამ სირბილის დროს ჭიშკარში ვიღაც დაკონკილ კაბიანი გოგო გამოჩნდა; ხშირი ქერა თმა მას შუბლზე, ლოყებზე და მხრებზე ეფინებოდა; შიშველი ფეხები გამტვერიანებული ჰქონდა და ხელში კალათა ეჭირა.

—Ზატონო... ჩემო კეთილო! Ღვთის გულისთვის მოწყალება მოიღეთ!—გულნაღვლიანად ევედრებოდა Ზიგას პატარა გოგო. Ამ დროს Ზიგას ჩიტების სასროლად ქვა ეჭირა, მაგრამ შესდგა და გოგოსთან მივიდა.

—Შენ—მათხოვარი ხარ?—ჰკითხა მას, და თან პირზე ოფლს იწმენდდა.

—Დიახ... მათხოვარი გახლავარ... მოწყალება მოიღე, ბატონო!... გაიმეორა გოგომ.

ზიგამ ცნობისმოყვარეობით შეხედა მას.

ზოგო პატარა იყო, საშინელი გამხდარი და მზისაგან გახუხული. იმის დიდრონ და ჩაღრმავებულ ლურჯ თვალებს და მთელ პირისახეს რაღაც ავათმყოფობა და შესაბრალისი გამომეტყველება ემჩნეოდა. იგი შეშინებულსა ჰგავდა და აღელვებისაგან ხმა უკინკალებდა.

—შენ პურსა თხოულობ?—ჰკითხა ყმაწვილმა: მოიტა ხელი! ზოგომაც პაწაწინა გამხდარი ხელი გაუშვირა.

—აჰა, აიღე,—შეჰყვირა ცელქმა ზიგამ და ხელში ქვა ჩაუდო.

ზოგომ ქვას ხელი მოსჭიდა, ზიგას არაფერი უთხრა, მხოლოდ ქვას დახედა, შემდეგ ცრემლიანის თვალებით ზიგას შეხედა და თავჩაღუნული მალე მტვრიან მიყრუებულ გზას გაუდგა. მათხოვარმა ზიგას არავითარი შეურაცხება არ მიაყენა არც სიტყვით, არც შეხედვით, არც მოძრაობით; მაგრამ ზიგამ უეცრად მოიწყინა და პარისახე ისე მოელუშა, თითქოს რაღაც უბედურება დაატყდაო. რა მოხდა?

ზიგას გარშემო ბუნება ისეთივე ბრწყინვალე იყო, როგორც მათხოვრის მოსვლამდი. მზე ისევ მშვენივრად აშუქებდა, ცა ისევ მოწმენდილი იყო, წყნარი, თბილი ნიავი სასიამოვნოთ ჰქროდა, ჩიტებსაც იქვე მოურიდებლად გაჰქონდათ ჭყივილი და მოუსვენრად წინ და უკან ფრინავდენ და ზიგას თითქო სანადიროთ იწვევდენ. მაგრამ ზიგა აღარც-კი უყურებდა მათ... ზიგა არ იყო ბოროტი ყმაწვილი და არც შეუბრალებელი, მხოლოდ შეუფერებელი სიცელქე ჩაიდინა, უნდოდა გახუმრებოდა მათხოვარს, მაგრამ ცუდი ხუმრობა მოუვიდა.

ზიგა სირბილით გაექანა სამზარეულოსაკენ, თვითონვე მოსჭრა ვეებერთელა პურის ნაჭერი და გამოვარდა გარეთ. მიიხედ-მოიხედა აქით-იქით, მაგრამ გოგო არსად იყო, მისი კვალიც-კი გამქრალიყო. ზიგა მინდვრისკენ გზას გაუდგა. გზის ორსავ მხარეს გადაჭიმული იყო ოქროს ფრად თავდასხმული

ყანები. მინდვრებში სიჩუმე იყო, მხოლოდ მაღლიდან ტოროლას ხმა მოისმოდა... ზიგა მირბის და თან აქით-იქით იხედება, მაგრამ გოგო არსადა ჩანს. ბოლოს ძალიან დაიღალა და შესდგა...

—წასულა!.. ველარ დავეწევი!.. ყმაწვილი დაღალული და დაქანცული სახლში დაბრუნდა; ხელში პურის ნაჭერი ეჭირა და კარის ბოძს მიეყრდნო.

ზიგა ძალიან დაღონდა. მას სულ მინდვრებისაკენ ეჭირა თვალი. სულ იმის ფიქრში იყო: იქნება შორს სადმე მაინც დავინახოო, მაგრამ მათხოვარი არსად სჩანდა!.. „რა პატარა და გაჭხდარი იყო“... ფიქრობდა ზიგა: „მე მთხოვდა პატარა პურის ნაჭერს... ვინ იცის, იქნება მშიერიც იყო“... ზიგას თვალთ დაუბნელდა და მდუღარე ცრემლები გადმოსცვივდა.

მოჰგვარეთ მას ის გოგო! მოჰგვარეთ ის მათხოვარი, ზიგა პურს მისცემს მას, აჩუქებს რაც-კი თეთრი ფული გააჩნია, მისცემს ყოველსავე თავის სათამაშოს, ყველაფერს, რაც აბადია: თვით თოფსაც და დოლსაც!.. ზოგო არსად არის! ზიგა სტირის, სრესავს პურის ნაჭერს ხელში და ასველებს თავის ცხარე ცრემლებით.

რატომ არ გადააგდო გოგომ ქვა? რატომ არაფერი არ უთხრა მას? ზიგა ხომ ასე არ შეწუხდებოდა, რომ იმ გოგოს ქვა თავში ეთხლიშა მისთვის და კარგათაც გამოელანძღა... მაგრამ მან მხოლოდ ცრემლიანი თვალით შეხედა ზიგას, მერე ქვას დაუწყო ცქერა, გაბრუნდა და წავიდა... რისთვის შეხედა მან იმ გვარად?

როცა ზიგას მოაგონდა მისი მწუხარე შესაბრალისი შეხედულობა, ისე შერცხვა თავის სულელურის საქციელისა, ისე შესწუხდა და აუკვნესდა გული, რომ დგომა ველარ შესძლო, ჭიშკრის ბოძს მოეჭიდა და მწარედ ტირილი დაიწყო.

„არა, მე უნდა ვუღალაჯო!—სთქვა ზიგამ თავისთვის,— ისე არ გავუშვებ მას... უნდა მოწყალება რამე მივცე; მას ყოველისფრით ავავსებ“... ამ აზრით ზიგა მთელი დღე გარბოდა და გასცქეროდა მტვრიან გზას მინდვრებისკენ. მაგრამ გოგო არსად მოსჩანდა, არც ერთ მათხოვარს არ გაუვლია იმათ კარის წინ.

ბოლოს დედამ ფანჯრიდან დაუყვირა: —ბიგა, დრო არის, შინ შემოხვიდე. აგერ აცივდა... ნამია!

ბიგა შევიდა, დაჯდა დერეფანში და მაინც თვალს არ აშორებდა მტვრიან გზას. მზე დიდიხნის ჩასული იყო. ნამგლის მზგავსი ახალი მთვარე ვერცხლის ფრად ლაჟვარდ ცაზე კაშკაშობდა.

ამ დროს ბულბულის გალობა მოისმა; ყვავილებმაც ბაღსა და მინდვრებში თითქო ჩვეულებრივზე მეტი სურნელება მოჰფინა არემარეს. ბიგას თვლემა დააწყებინა, თვალები ეხუჭებოდა... დასაძინებლად უნდა შესულიყო.

ბანვლო დრომ.

ბევრჯერ მოსულან მათ კარ-წინ მათხოვრები: მოხუცი კაცებიც, მოხუცი და ბავშებიანი დედაკაცებიც, მაგრამ ის გოგო კი ბიგამ ველარ ნახა.

ხშირათ ზაფხულის მშვენიერ ღამეს ბიგა იდგა ხოლმე გარეთ და მაშინ არა ერთჯერ წარმოუდგებოდა თვალწინ პატარა გამხდარი მათხოვარი, რომელიც შესაბრალისად მოწყალებისათვის ხელს უშვერდა...

„ჯეჯილი“.

1. რა გუნებაზე იყო ბიგა და როგორ ატარებდა ზაფხულის დილას მათხოვრის შეხვედრამდი? 2. როგორ მოექცა მათხოვარს? 3. რა გუნებაზე დადგა ბიგა ურიგო საქციელის გამო? 4. რა გულის ბავში ყოფილა ბიგა და რით მტკიცდება მისი გულკეთილობა?

უბედური შემთხვევა.

დღეს დილით მე და მამა ჩემი სასწავლებელში მივდიოდით და გზაში ახალ მასწავლებელზე ვლაპარაკობდით. სასწავლებლის შესავალ კარებში ხალხი შეგროვილიყო. ეზოს კარებში შეგროვილი ხალხი ძლივს გავარღვიეთ. ეველა დირექტორის ოთახის კარებს მისჩერებოდა... ხალხი ხმაურობდა და სულ იმას იმეორებდენ: „საწყალი ბავში! საწყალი რობეტი!“ ოთახიდან დირექტორის ჭალარა თმიანი თავი მოსჩანდა. მცირე

ხანს შემდეგ დირეკტორის ოთახში მაღალი ტანის კაცი შევიდა. „ექიმი!“ ერთბაშად წამოიძახა ხალხმა. ერთ მასწავლებელს მამა ჩემმა ჰკითხა: „რა ამბავია?“ „მოსწავლემ ფეხი მოიტეხაო“, უპასუხა მასწავლებელმა. „ეტლს ქვეშ ჩაუვარდა ფეხიო“, დაუმატა მახლობლათ მდგომმა მასწავლებელმა. „მეორე კლასის მოწაფეა. სასწავლებელში რომ მოდიოდა, ქუჩაზე შეენიშნა, რომ უმცროსი განყოფილების მოსწავლე დედას უკან ჩამოჩჩენოდა და შუა ქუჩაში წაქცეულიყო. ის იყო ცხენის რკინის გზის ვაგონი გაქანებული მოდიოდა თურმე. რობეტი ბავშს მივარდნოდა, ვაგონისთვის მოეცილებია, მაგრამ თვითონ კი ველარ გადაესწრო და ვაგონის თვალს ზედ ფეხზე გადაევლო“.

მასწავლებელი რომ ამას გვიამბობდა, ოთახში რობეტის დედა გიჟივით შემოვარდა... შვილის ამბავი შეეტყობინებიათ. რობეტის დედას მეორე ოთახში მყოფი დედაკაცი გადაეხვია და ორივემ ტირილი მორთეს. ეს მეორე დედაკაცი სიკვდილს გადარჩენილ ბავშის დედა იყო. მცირე ხანს შემდეგ ოთახიდან ჩვენი დირეკტორი გამოვიდა და ხელში აყვანილი რობეტი გამოიყვანა. რობეტი საშინლად გაყვითლებულიყო, თვალები მიელულა და თავი გვერდზე გადაეგდო. თვით დირეკტორსაც ნაცრის ფერი დასდებოდა. სასწავლებლის აივანზე დირეკტორი ცოტა ხანს შესდგა და რობეტი გარს შემოხვეულ ხალხს აჩვენა. ყველამ ერთად წამოიძახა: „ყოჩაღ, რობეტი! ყოჩაღ!“ ვინც მახლობლად იყო, მასწავლებელი თუ ამხანაგი, რობეტის ხელებზე ჰკოცნიდა. რობეტიმ თვალები გაახილა და თავისი აბგა მოიკითხა. ხიფათს გადარჩენილ ბავშის დედამ აბგა უჩვენა რობეტის და ალერსით უთხრა: „აბგა მე მაქვს, ჩემო ანგელოზო!“ რობეტისა და გადარჩენილი ბავშის დედამ რობეტი ეტლში ჩაისვეს და შინისკენ გაეშურენ. ჩვენ კი კლასში შევედით.

დე-ამიჩისი.

1. ხალხის ჩოჩქოლი სასწავლებლის ეზოში რობეტის უბედური შემთხვევის გამო. 2. რამ გამოიწვია ეს უბედური შემთხვევა? 3. რობეტის სამაგალითო საქციელი ყველას მოსწონს.

III

გარეშენი.

თავდებობა.

Ოთხასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდი Იტალიის ქალაქ სირაკუზაში მრისხანე მმართველი Დიონოსე ცხოვრობდა. ხალხს საშინლად სძულდა იგი სიმკაცრისა და უსამართლობისათვის. ეს ძალიან კარგად იცოდა Დიონოსემ და ყოველი კაცი მტრად მიაჩნდა, ეშინოდა არავინ მომკლასო და ბრალიანსა და უბრალოს სასტიკად სდევნიდა და სჯიდა.

ერთხელ Დიონოსემ ბრძანა, დაეჭირათ ბერძენი მიროსი, რომელსაც მოკვლის განზრახვა დასწამა. მიროსი მმართველს წარუდგინეს. Დიონოსემ შეპყრობილს განრისხებით უთხრა:

—მომახსენეს, ვითომც გიგინებივარ და ჩემი მოკვლაც განგიზრახავს!

—არა, მე არაფერი თქვენი სავნები არ განმიზრახავს, მხოლოდ ვამბობდი, რომ თქვენ ულმობელი და უწყალო ბრძანდებით.

—ეგეც კმარა: ამ სიტყვებისათვის შენ ჯვარს უნდა გაცვა!—მრისხანედ წარმოსთქვა მმართველმა.

—სიკვდილის მე სულაც არ მეშინია,—სთქვა მიროსმა: არც შებრალებასა გთხოვ. მხოლოდ სამი დღის ვადა მომეცი, რომ მშობლებს გამოვეთხოვო. მე რომ უთუოდ დავბრუნდები, ამის თავდებად ჩემს მეგობარს დავტოვებ.

მმართველი დაფიქრდა და ღიმილით წარმოსთქვა: „კარგი, შენს თხოვნას ავასრულებ, მაგრამ, თუ სწორედ სამი დღის

განმავლობაში აქ არ დაბრუნებულხარ, სასჯელი შენს მეგობარს გადახდება და ამით შენს დანაშაულსაც გამოისყიდის“.

მიროსი აღარ დაბრუნდებაო,—ფიქრობდა დიონოსე:— და მაშინ ხალხიც ხომ დარწმუნდება, რომ იგი მატყუარა და გამცემელიაო.

მიროსი თავის მეგობართან წავიდა, უამბო ყოველივე და სთხოვა, სამი დღით საპყრობილეში მძევლად დარჩენილიყო. ერთგული მეგობარი სიხარულით დაეთანხმა, გადაეხვია მიროსს, გამოეთხოვა და საპყრობილეში წავიდა; იქ მას ჯაჭვის ბორკილი შეუყარეს და დააბეს.

მიროსი სირაკუზიდან ჩქარა გავიდა და სოფლისკენ გაეშურა, სადაც დედა-მისი და მისი და ცხოვრობდენ. საბრალოებმა მწარე ტირილი მოართეს, როცა მიროსის ასეთი უბედურება გაიგეს. ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ მიროსი მათთან მეტ ხანს დარჩენილიყო; როგორც იქნა, მიროსი ხელიდან გამოეცალათ და საშინელის სიჩქარით სირაკუზისკენ გაეშურა. უეცრად ქარიშხალი ამოვარდა, ასტყდა ჭექა-ქუხილი, დაეშვა თქეში, მთებიდან ნიაღვარი წამოვიდა, ღელეები აივსო და ნაპირებზე გადავიდა; მგზავრს თვალწინ ვეებერთელა მდინარე გადაეშალა. მიროსი ხიდს მიადგა. მდინარე აღელვებულია, ზვირთები ხიდზე გადადიან. სანამ მიროსი ფეხს შესდგამდა, ხიდი ჩაიქცა. მიროსი ამაოდ აწყდებოდა აქა-იქ ნაპირებს, ამაოდ ეძებდა მეშველს: ნავი არსად მოჩანდა, აფრა არსად ფრიალობდა. მწუხარებით დაქანცული მიროსი შეჩერდა.

მდინარე უფრო და უფრო მატულობდა და ზღვასავით ღელავდა. დრო გადიოდა: მზემ კარგა ხანია გადიხარა. თუ საღამომდი მიროსი სირაკუზას არ მივიდა, მისს მეგობარს ჯვარს აცმენ.

მიროსი თავგანწირულებით აღელვებულ მდინარეში ვარდება და თავისი მძლავრი მკლავებით აპობს ტალღებს. აი ნაპირსაც მიაწია; გალუმპული მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს.

ქარიშხალი დაწყნარდა, ღრუბლები გადიყარა, მზემ მწარედ დააცხუნა, ჰაერი შეიხუთა. არსად ჩრდილი არა ჩანს.

საბრალო დაიქანცა და კვნესით ძირს დაეცა. აქ უცებ ნაკადულის ჩქრიალი მოესმა: მიროსი ბორცვთან შეფორთხდა და გადმომდინარე კამკამი წყარო დაინახა. მივარდა ცივს ნაკადულს, ხარბად დაეწაფა და დაქანცული მოსულიერდა. მიეჩქარება: ჯერ გზა კიდევ ბევრი აქვს გასავლელი. ხეების ჩრდილი-კი მატულობს.

მიროსს ქალაქიდან მომავალი ორი მგზავრი შემოეყარა და მათს ლაპარაკს ყური მოჰკრა. ერთი ამბობდა: „უთუოდ იგი ახლა ჯვარსაცმელად მიიყვანეს“. მიროსს თავზარი დაეცა; თითქო ფრთები შეისხაო, სისწრაფით გაექანა.

აი ქალაქის კოშკების წვერებს ძლივს-ღა ეტყობა ჩამავალის მზის უკანასკნელი ოქროს სხივები.



მიროსს წინ შემოეგება მისი ერთგული მეგობარი და მოახსენა:

—დაბრუნდი, დაგაგვიანდა, ახლა შენ გმართებს, როგორმე თავს უშველო,—შენი მეგობარი უკვე სატანჯველს მისცეს. ყოველს წამს მოგელოდა საბრალო. მას დასცინოდენ, ეუბნებოდენ, რომ ცრუ და გამცემელი ხარ, მაგრამ იმას არავისი არა სჯეროდა.

მიროსმა მწუხარებით წარმოსთქვა: რაკი ჩემის მოსვლით ველარ ვიხსენ, მის მწარე ხვედრს მაინც გავიზიარებ, რომ მმართველმა არა სთქვას, ვითომ მე გამცემელი ვიყო: დეე, იცოდეს მან, თუ მეგობრებს როგორი ერთგულება და სიყვარული შეუძლიათ.

მზე ჩავიდა და მიროსმაც ქალაქის ჭიშკარს მიატანა; შორიდან დაინახა მან ჯვარი, რომლის გარშემოც ცნობისმოყვარე ხალხი მოგროვილიყო და მღელვარებდა. აი დაინახა კიდეც, რომ მისი მეგობარი ჯვარზე აჰყავთ. მიროსმა ხალხი გაარღვია და შეჰყვირა: „ჯალათო! შეჩერდი, მე ვარ ის, ვისი თავდებიც ეგ იყო!“ შეკრთა ხალხი და სული განაბა. ჯალათებმა სასჯელი შეაჩერეს. მეგობრები მივარდენ და ერთმანეთს გადაეხვიენ.

ეს ამბავი ვილაცამ სისწრაფით დიონოსეს მოახსენა. შეუბრალებელს მრისხანე მმართველს გული მოულბა; ბრძანა, დასასჯელნი მასთან მიეყვანათ. მეგობრები წარუდგინეს. დიონოსემ გადახედა მათ და წარმოსთქვა: „თქვენ მოინადირეთ ჩემი გული; ახლა ვხედავ, რომ მეგობრობა ზღაპარი არა ყოფილა!“

1. რისთვის გაურისხდა დიონოსე მიროსს და რა სასჯელი გადუწყვიტა მას? 2. როგორ დაეხმარა მიროსს მეგობარი? 3. როგორ აღასრულა დაპირება მიროსმა? 4. როგორ იმოქმედა მეგობრების სამაგალითო სიყვარულმა დიონოსეზე.

მღვდლის გულკეთილობა.

მღვდლის პატარა ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა დაკონკილ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი დედაკაცი. მღვდელი მუთაქაზე წამოწოლილი იყო, მაშინვე გასწორდა.

—მარიამს გაუმარჯოს, მარიამს!.. დაუძახა მღვდელმა:— შენი ქმარი როგორ არის?

—რაღა როგორ არის, შენი ჭირიმე,—უპასუხა დედაკაცმა:— ავათ შენი მტერი იყოს, ავათ ის არის. იმ დღეს დე-

და-თქვენმა რომ წამალი უბოძა, იმან ცოტად არგო; მაგრამ დღეს-კი დილაზე ტკივილები ისევ აეშალა. Არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა. Ღამის Ღმერთმა ჩემზე ხელი აიღოს. Ის ამ ქვეყნის აღარ არის, შენი ჭირიმე... Რა მეშველება, Ღმერთი რომ გამიწყრეს?..

Დედაკაცს ტირილი მოერია და სიტყვა ველარ გაათავა. Მღვდელს მწუხარების ფერმა გადაჰკრა სახეზე, დაღონდა, წარბი შეეკრა, თითქო გულში ისარი გაეყარაო. Საკვირველია, Ღმერთმან იცის! როგორ ეტეოდა ამოდენა ხალხის გულის ტკივილი იმ ერთს გულში!.. Დაილოცა Ღვთის ძლიერება, იმისი გზა და კვალი გაუგებარია.

Მღვდელი ადგა, დაიწყო წინ და უკან სიარული. Არა უთხრა-რა, თითქო აცლის, ჯერ გული მოიბრუნოსო. Ბოლოს-კი, ნახა რომ დედაკაცი ტირილს არ ეშვება, მიუბრუნდა და მადლიან და სანდო ხმით უბრძანა დედაკაცს:

—Ნუ სტირი, დედი... სულმოკლეობა Ღვთის საწყენია. Ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის, Ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე ადამიანი იმას უყვარს, რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. Ნუ სტირი, ნუ! Ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. Ნუ სტირი!

—Რა ვქნა, შენი ჭირიმე, ცრემლი,—წაიქვითინა ბებერმა,—მწუხარების შვილია... თავისთავად მოდის, როცა გული იწურება.

—Მართალია, დედი, მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. Საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა. Თუნდა ეგ არ იყოს, შენს ქმარს საცრემლო რა სჭირს? Დედა-ჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაიღე, შე დალოცვილო!

—Დიაღ, შენს მადლს ვენაცვალე, მაგისთვის გიახელ,—უთხრა ისევ გულამომჯდარად დედაკაცმა და მერე ხმა-წყვეტით ზედ დაატანა:—ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთან...

—Მიბრძანე,—მიუგო მარდათ მღვდელმა.

—ხომ იცით, თქვენს მეტი პატრონი არა ჰყავს ჩემისთანა უნუგეშოს. მრცხვენია, რომ გლახასავით თქვენ შემოგყურებთ და გაწუხებთ, მაგრამ...

—კარგი, დედი, მესმის,—არ გაათავებინა მღვდელმა.—ღედი! გასძახა მეორე ოთახში თავის დედასა: მარიამს შენთან საქმე აქვს. წადი,—უთხრა დედაკაცს:—დედა-ჩემმა იცის...

—აი აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქვრივისა და ობრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიბის გაკითხვის სამაგიეროს, აგრემც...

—კარგი, კარგი... კიდევ არ დააცალა სიწითლე-მორეულმა მღვდელმა, თითქო შერცხვა და მადლობას თაკილობსო: ღმერთმა გილხინოს. წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ-კი. ცრემლი ისე არ არგებს, როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს ქმარს: მეც დილაზე ვინახულებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო.

ღედაკაცი რომ გავიდა, მღვდელს მაინც გული არ დაუამდა, კიდევ იმის ფიქრში იყო.

—მართლა რომ შესაბრალისია ეგ საწყალი,—სთქვა მერმე:—ქვეყანაზე მაგ ქმრის მეტი შემნახავი არავინა ჰყავს. შვილი მაგას არ შერჩა და ძმა, დარჩება ისე უპატრონოდ უბედური. კაი კაციც იყო მაგისი ქმარი. მართალია, ოფლით ნაჭირნახულევ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა, ახლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!..

—მართლა რომ დაილოცა ღვთის სამართალი! მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულ-გახურებულმა: შენისთანა კაცს არ დალევს ქვეყანაზე ქვრივ-ობრისა და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ ახლა იმას ცრემლი მოსწმინდა. მღვდელმა თითქო პირში ქებად ჩასთვალა ჩემი სიტყვები და ითაკილა...

ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს-კი ნუ დაანახვებ.

Ილ. ჭავჭავაძე.

1. ღარიბი დედაკაცის გაჭირვებული მდგომარეობა: ა) დედაკაცის მოსვლა მღვდელთან. ბ) დედაკაცი ქმრის ავათმყოფობას უამბობს. 2. მღვდლის ნუგეში და დახმარება: ა) მღვდლის შეწუხება. ბ) როგორ ანუგეშებს მღვდელი დედაკაცს? გ) რანაირად ეხმარება მღვდელი დედაკაცს? 3. მღვდლის სულიერი მდგომარეობა დედაკაცის წასვლის შემდეგ: ა) მღვდელი კიდევ სწუხს და ებრალება დედაკაცი. ბ) მღვდელი თავის ქებას ყურს არიდებს.

თამროს შეხვედრა.

სოფელს ნიგვზიანში ხოლერა გაჩნდა; ორ-სამ დღეში ოცამდი კაცი გარდაიცვალა. ხოლერა არ ზოგავდა არც დიდსა და არც პატარას; უფრო-კი ღარიბ-ღატაკ გლეხკაცობას ავლებდა მუსრს. ჭუჭყიანი ტანისამოსი, უსუფთაო სახლ-კარი, უვარგისი საჭმელი, დაგლეჯილი საგებ-სახურავი საუკეთესო ნიადაგი იყო ხოლერის თესლის გასაძლიერებლად. ყველა ამ ნაკლებულობის შესწორება გლეხკაცს სად შეეძლო და მხოლოდ უადვილეს საშუალებას მიჰმართა—გადიხიზნა ხოლერით მოწამლულ არემარიდან; ვისაც საქონელი ჰყავდა და შეძლება მოსდევდა, შორეულ მაღლობსა და მთას თავი შეაფარა; ვისაც არა, ის თავის ბაღსა და ვენახში გადასახლდა. ნიგვზიანის ვენახები გაივსო ხალხით. ქვიტკირის საწნახლები, ოდნავ წამლით დახურული, ვერაფერი თავშესაფარი იყო წვრილშვილიანის ოჯახისათვის, მაგრამ მეტი რა გზა იყო. ზოგს ესეც არა ჰქონდა და ფოთლებით დახურულს კარავში შეაფარა თავისი ცოლ-შვილი.

ხალხი ისე დაფთხა და ისე ეჩქარებოდა სოფლიდან გაქცევას, რომ ბევრს პური, ღვინო და სხვა სანოვაგეც-კი ავიწყდებოდა, და ვისაც სანოვაგე მიჰქონდა, ქვაბი და სხვა საჭირო ჭურჭელი შინა რჩებოდა; ამიტომ გახიზნულები ხშირად ბრუნდებოდენ სოფლად სხვა და სხვა საჭიროებისათვის და იქიდან ვენახებშიაც გადაჰქონდათ საშინელი სენი.

Გაიხიზნა, რასაკვირველია, Ნიგვზიანელი თავად-აზნაურობაც; ამათში ზოგმა შორეული მთა აირჩია და ზოგი კი ქალაქისკენ გაემგზავრა.

Სხვის მაგალითს არ მიხედა მხოლოდ Ვეშაპიძის სახლობამ; უდაბურ ტყეში ხეტიალს მან თავის რიგიანად მოწყობილ სახლში ყოფნა არჩია. Სოფელზე კარგა მოშორებით იდგენ, მათი სახლი დიდ ვენახში იყო აშენებული, იქ საკუთარი წყარო ჰქონდათ და ყოველგვარი სურსათი ცხოვრებისათვის მრავალი.

Მართალია, Ვეშაპიძიანი დარჩენ, მაგრამ შიშით-კი კანკალობდენ; იმათი ბაღის კარი დიდი კლიტით იყო დაკეტილი, რომ სამეზობლოთ, ან წყაროს წყლისათვის ხოლერიანი სოფლიდან არავინ მოსულიყო; ამასთანავე ხმაროობდენ ყოველს გასაფრთხილებელ საშუალებას: საპკურებელს, თუ სასმელს, რომ ხოლერა ახლო არ მიჰკარებოდათ. Მოსამსახურეს და ყმაწვილებს აკრძალული ჰქონდათ ეზოს მოშორება და სოფლელებთან ბაასი.

Ერთს მშვენიერ საღამოს, როდესაც მთვარე ნელნელა ამოდიოდა, Ვეშაპიძიანთ ბაღი უფრო ჩაბნელებული მოსჩანდა; ამ სიბნელეში მრავალი ციცინათელა დაცქრიალობდა ბუჩქებზე, ლობის ეკლებში და წყლის ნაპირებზე. Პატარა თამრო, Ვეშაპიძის უმფროსი ქალი, გაფაციცებით დასდევდა ამ მანათობლებს და უნდოდა მათი დაჭერა; ბევრჯერ კიდეც დაიჭირა და ჩაისვა თავის ხუჭუჭ თმებში, კაბის ნაკეცებში, საიდანაც ძვირფას თვლებივით გამოსჭუოდა ციცინათელას მკრთალი ნათელი და აღტაცებაში მოჰყავდა პატარა ცქრიალა ქალი. Თამრო ისე გაერთო ამ დროს გატარებაში, რომ ვერც-კი შენიშნა, რა დიდ მანძილზე მოშორებოდა სახლს; Თამრო გაქანებული მისდევდა ერთს უფრო მნათობს ციცინათელას, რომ უცებ ფეხი წამოჰკრა რაღაც რბილს საგანს და ზედ ყირამალა გადავარდა; ბავში გაშრა შიშითა. Ტირილიც-კი ველარ მოახერხა; აკანკალებულ გულზე ხელები მიიკრა და ჩუმათ ბუტბუტობდა: „Ღმერთო, Ღმერთო, მიშველე, Ღმერთო მიშველეო!“ Ამ ბუტბუტზე ის რბილი საგანი, რომელსაც Თამრო წაებორკა, შეიძრა და

ოდნავ კნავილით მიმართა პატარას: „შვილო, ჩემო ზეციდან მოვლენილო ანგელოზო, მიშველე... ვკვდები, წადი შინ, ლუკმა მომიტანე.“ თამრო დამშვიდდა, ადამიანის ხმა რომ გაიგონა, ფეხზე წამოხტა და სიბრალულით ჩაეკითხა უძლურს: „ვინა ხარ? რა დაგმართია, რატომ შინ არ წახვალ და პურს იქ არა სჭამ?“

—შინ?.. არ შემიძლიან, სისუსტისაგან ფეხზე ვერა ვსდგები,—ოდნავ ჩურჩულით წაიბუტბუტა ავათმყოფმა,—მიშველე, პატრა ანგელოზო, თორემ შიმშილით ვკვდები... ამ დროს მთვარე კარგა მაღლა იყო და მის შუქზე თამრომ გაარჩია საბრალო, ძვლებათ ქცეული მართა, ამათი პურისმცხობელი დედაკაცი. მართას გუშინ უფროსი შვილი გაუხდა ავათ. შიშით გაგიჟებული მართა ვეშაპიძიანთკენ გამოიქცა, რომ შორიდან მაინც ეთხოვა ნუგეში, მაგრამ ეზოში თვითონ გახდა ავათ და მთელი ორი დღე უპატრონოთ ებრძოდა სიკვდილს.

—მართა, შენა ხარ? წამო, წამო ჩვენსა, დედა ყველაფერს გაჭმევს. ხელი მომე, აგაყენო.

—Არა, ჩემო თამრო, არ შემიძლიან და, თუნდაც რომ შემეძლოს, დედა შენი სახლში არ შემიშვებს, მე ხოლერით ვიყავი ავათ.

—ხოლერით?! ოჰ!—შიშის კანკალით სთქვა თამრომ,—ახლა მეც ხომ გადამედება... დედა რას მეტყვის რომ დამელაპარაკე!

—გაგიჯავრდება, ძლიერ გაგიჯავრდება... მაგრამ ნუ ეტყვი... ღმერთი აგაცილებს... ნუ გეშინია... მიშველე, ვკვდები, მეტი აღარ შემიძლია... ერთი ცვარი ღვინო... შენს ქალობას, ჩქარა...

ისეთი შემაძრწუნებელი სასოწარკვეთილების, ისეთი ტანჯვისა და ვაების გამომხატველი იყო მართას მდგომარეობა, რომ ათი წლის ბავშიც-კი მიხვდა, მოიაზრა, აქ დაგვიანება აღარ შეიძლებაო და ქარივით შინისკენ გაფრინდა.

პურის საჭმელი ოთახი ღია იყო; სტოლზე ჩამქრალი სამოვარი ოდნავ-ღა შიშინობდა. მის გვერდით თოვლივით თეთრ სუფრაზე კარაქი იდგა. თამრომ საჩქაროთ წაუსვა პურს კარაქი, ჭიქაში ბლომათ შაქარი ჩაყარა და გაცივებული, მაგარი ჩაი დაასხა და ზედაც წითელი ღვინო დაუმატა; მერე კალთაში ჩაილაგა პურის ნაჭრები, ჭიქა აიღო და ისე ჩუმათ, ფეხაკრეფით კარში გამოვიდა, რომ აივანზე მსხდომმა დედ-მამამ ვერაფერი შეატყო.

მართა გიჟივით ჰყლაპავდა თამროს მოტანილს და თან ყელზე ადგებოდა, ახველებდა, იხრჩობოდა, მაგრამ მაინც ხარბათ იტენიდა პურს; და სასმელს ხომ ისე დაეწაფა, რომ კინაღამ ჭიქაც თან ჩაატანა. თამრო გაკვირვებული შესცქეროდა. პირველად ხედავდა დამშეულს, უბედურს, უმწეო ქმნილებას და უნებლიედ ცრემლი ცრემლზე ჩამოსდიოდა; იმის პატარა გულში იღვიძებდა რაღაც თბილი, სიბრალულითა და სათნოებით სავსე გრძნობა; იმისი პატარა გონება სისწრაფით მუშაობდა; ზედიზედ თვალწინ ეხატებოდა თავიანთი განათებული, ლამაზი ოთახები, სავსე სუფრა, ტკბილი ღვინო, დედის ალერსიანი, მოცინარი პირისახე და უნებლიედ იწვევდენ მის გონებაში შედარებას. აქ ბნელა, და იქ-კი ნათელია, აქ მართას ჰშია და იქ-კი ყველა მაძღარია, აქ ადამიანი კვდება უპატრონოთ და იქ-

კი გადაჭარბებული მზრუნველობა სიცილს მოჰგვრიდა კაცს, მეტადრე ამ ხოლერიანობის დროს. თამრო და იმისი ძმები ისე არ დაახველებენ, რომ დედა დაკვირვებით არ დააკქერდეს, ათასჯერ არ გამოჰკითხოს: „ხომ კარგათ ხართ, მუცელი ხომ არ გტკივათო?“ ამ მოგონებაზე თამრომ გაიცინა. თავს ადგა მართა შეკრთა, იმას ჭამაში სულ დაავიწყდა, რომ თამრო და შიშით უთხრა: „წადი... წადი... ჩქარა, თორემ მოგიკითხვენ, აქ მოვლენ, მეც მიპოვნიან და გადამისვრიან სადმე. ჩქარა წადი... ღმერთი იყოს შენი შემწე... აგაცილოს შავი სენი...“

თამრო გაიქცა, მერე შესდგა და ჩაფიქრდა. დედის შიში და მართას სიბრალული მის გულში ერთმანეთს ებრძოდა, მაგრამ სიბრალულმა გაიმარჯვა და ქალი ისევ მართას მიუახლოვდა.

—ნუ გეშინია, ხვალ კიდევ მოვალ, ღვინოს მოვიტან, შაქარს, რძეს, პურს, წამლებს და, თუ სხვასაც უნდა ვისმე, შენ იმათ მიუტან, არა, მართა? ხომ სხვებსაც ეშიებათ? ავათაც ხომ ბევრი არის?!

ეკ. გაბაშვილისა.

1. ხოლერა ჩნდება ს. ნიგვზიანში: ა) რა საშუალება მიიღო ხალხმა რომ ხოლერას გადარჩენილიყო? ბ) როგორ მოიქცა ვეშაპიძის ოჯახი? 2. თამრო შეხვდება ხოლერით ავათმყოფს მართას: ა) თამროს გართობა ვენახში. ბ) თამრო წააწყდა ავათმყოფ მართას. გ) მართას ვედრება. 3. თამრომ მართა სიკვდილს გადაარჩინა: ა) ვეშაპიძის ოჯახის სიმდიდრე და კმაყოფილება. ბ) მართას ოჯახის სიღარიბე და უკიდურესი გაჭირვება.—როგორ გვიამბობდა თვითონ თამრო თავის შეხვედრას?.

გულმა გული იცნო.

ერთი ყმაწვილი ლოგინზე დაკოდილ ფრინველივით ფართხალობდა. სახე გაფითრებოდა, თვალები დაეჭყიტა, თითქო რაღაცას ფიქრობდა...

ოთახში წამლების სუნი იდგა, ფანჯარაზე ფარდა ჩამოშვებული იყო და ამ სიბნელეში ყმაწვილის დიდრონი თვალები უფრო დიდრონათ, უფრო ცხოვლად მოჩანდენ.

ოთახი სუფთად და გასპეტაკებულად მოჩანდა, თუმცა ღარიბულად იყო მოწყობილი: შიგ ორი უბრალო სკამი იდგა და ფანჯარასთან ხის სტოლი იყო მიდგმული; ავათმყოფის საწოლიც უბრალო იყო.

—შენ კიდევ არ გძინავს, ჩემო ბიჭუნავ!—სთქვა ბებიამ და ყმაწვილს თვალებში ჩააცქერდა,—დაიძინე, შენი ჭირიმე, უკეთ შეიქნები!

—თავი დამანებე, ბები, თავი დამანებე! ნუ მიშლი ფიქრს! —უპასუხა ყმაწვილმა.

მოხუცმა მორიდებით ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა. მისმა შვილიშვილმა ორივე ხელი თმაში იტაცა და დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში.

რაზე ფიქრობდა ყმაწვილი?..

თვითონაც ვერა გამოერკვია-რა, ესმოდა-კი, თითქო მის თავში რაღაცა ხმაურობაა, ოხვრა-კვნესაა, თითქო მოსთქვამენ და მღერიანო. თვალ-წინ ეშლებოდა გამოურკვეველი სურათები, მოჩვენებანი, და ესმოდა უცნაური სიმღერის ტკბილი ხმები; სმენად გადაქცეული ყმაწვილი თავს ძალას ატანდა და გაიყურებოდა სიბნელეში. ერთბაშად დუმილი ჩამოვარდა. მაგრამ პატარა ხანს უკან ისევ მოესმა გულწარმტაცი უცნაური ხმები...

—რა ამბავია? სადა ვარ? რა მემართება?...

ამ დროს ბებია შემოვიდა ოთახში.

—ბები, განა ვერ გაიგე? ვიღაცა მღერის, ვიღაცა უკრავს მუსიკას!..

—სადა? რას ამბობ, ჩემო კარგო! არ მესმის!—დაიძინე, გენაცვალე, დაიძინე, თვალები დახუჭე!...

—არ მეძინება.

ბებია მოუჯდა მის ქვეშაგებს, საბრალო ფერმიხდილ მოხუცებულს თვალები ცრემლებით სავსე ჰქონდა.

—მითხარ, რა გინდა, ჩემო გვრიტო? გინდა ნახატებიანი წიგნი მოგიტანო?

ყმაწვილმა უარის ნიშნათ თავი გაიქნია.

—გინდა, სათამაშო ცხენს გიყიდი?

—Არ მინდა.

—ზღაპარი გიამბო?

—Არც ეგ მინდა.

Ყმაწვილმა გაშტერებით დაიწყო ხელ-ახლად სიბნელეში ცქერა, ყურის-გდება; ხელ-ახლად მოესმა რაღაც ნაზი და გულ-წარმტაცი ხმები.

—ბები!—დაიყვირა ბავშმა: ახლა-კი ვიცი, რაც მინდა!... მინდა, მუსიკა გავიგონო! მინდა გავიგონო იმ კაცის დაკვრა, ამას წინათ რომ სკრიპკაზე უკრავდა.

—ღმერთო ჩემო, რა უცნაური სურვილია!—საკკარას და კვრის გაგონება უნდა, იმ სახელგანთქმული მესკრიპკესი და უდიდესი არტისტისა, მთელი პარიზი რომ აღტაცებაში მოჰყავს და რომელსაც ჩვენისთანა ადამიანი ახლოსაც ვერ გაუვლის.

Ავათმყოფობის წინათ ერთხელ ბიძამ ყმაწვილი კონცერტზე წაიყვანა. რა შესანიშნავი დაკვრა გაიგონა! Აქამდი ავათმყოფს თითქოს ისევ მოესმის შორიდან საოცარი მელოდია, და ყმაწვილი სულითა და გულით, მთელი არსებით ჰგრძნობს, რომ მასაც, ყველასათვის უცნობს, ღარიბსა და საწყალ ბავშს, შეუძლია ოდესმე გამოჩენილ მემუსიკედ გახდეს.

ბებია უიმედოთ თავს აქნევდა და ფიქრობდა:

—როგორ მოვიწვიო აქ, ამ ღარიბ ქოხში, იმისთანა გამოჩენილი დამკვრელი?! ეს ისე შეუძლებელია, როგორც თვით ხელმწიფის ჩემთან მოყვანა!...

Ყმაწვილი-კი თანდათან ღელდება, მუსიკის ხმები თავში ერევა.

—მუსიკა, მუსიკა მინდა!—ბოდავს ყმაწვილი,—საკკარა მაჩვენეთო.

მოხუცებულმა იკისრა, რის ასრულებაც შეუძლებლად მიაჩნდა,—საჩქაროთ თავი დაიხურა, მხრებზე შალი წამოისხა, ძველ კიბეზე ისე სწრაფათ ჩაირბინა და გასწია, როგორც-კი მის დასუსტებულს მუხლებს შეეძლო და ბოლოს შედგა დიდებული სასახლის წინ, სადაც საკკარა იდგა.

—რისთვის გარჯილხართ?—ამაყად ჰკითხა მდიდრულად ჩაცმულმა კარისმცველმა ლ ზიზღით აათვალიერა ღარიბი დედაკაცი.

—საკკარა მინდა ვნახო!— წაიბუტბუტა ბებერმა.

—შინ არ არის!—მოკლეთ და მკვახეთ უპასუხა კარისმცველმა და საჩქაროდ კარები დახურა.

ამ დროს სახლს ორი კაცი მიუახლოვდა.

—კონცერტამდი ორი საათია კიდევ, წავიდეთ ყავახანაში და მანამდი იქ დავრჩეთ!—სთქვა ერთმა.

ეს იყო თვითონ საკკარა. მან შენიშნა მოხუცებული დედა-კაცი, რომელმაც მისი სახელი ახსენა და მიუახლოვდა. ბაშტერებული ბებერი სახლის კარებთან იდგა.

—ვინ გნებავთ?—ჰკითხა საკკარამ.

—საკკარა მინდა ვნახო... კრძალვით სთქვა მოხუცებულმა და დამჭკნარ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით გადმოსცვივდა. —ღმერთია მოწამე, რომ მისი შეწუხება უბრალო მიზეზის გამო არა მსურს... ჩემი საყვარელი ერთადერთი შვილიშვილი გამიხდა ძლიერ ავათ... მიკვდება... ბოდავს, საკკარა დამანახეთო... სულ ის ელანდება, უნდა მისი დაკვრის მოსმენა...

საკკარამ ხმა არ ამოიღო. მერე უცებ მობრუნდა, დაუძახა კარისმცველს და უთხრა: „საჩქაროდ მომიტანეთ ჩემი სკრიპკა და ეტლს დამიძახეთ... მერე მიუბრუნდა თავის ამხანაგს, დახედა საათს და უთხრა...

—ორი საათი დრო კიდევ მაქვს, მოვასწროთ დროზე მოსვლას...

სამივე ჩასხდენ ეტლში და წავიდენ იმ სახლისაკენ, სადაც მოხუცებული იდგა.

როცა ბებია და ეს ორი კარგად ჩაცმული უცნობი კაცი მეექვსე სართულის კიბეზე ადიოდენ, სახლის მდგმურებმა ერთმანეთს უთხრეს:

—ალბათ ბებია ბლანშარს პაწია შვილიშვილი ძალიან ავათ ჰყავს, რომ ორი აქიმი მოჰყავს!

მაგრამ სკრიპკის ბუდე რომ დაინახეს, ძალიან გაოცდენ. მალე ამ ოთახიდან მოისმა ჯერ ნელი, ტკბილი ხმა და მერე თანდათან მომხიბლავი და გულის წარმტაცი. ვერც ერთმა მეზობელმა თავი ვეღარ შეიკავა, ყველამ საქმეს თავი დაანება

და მეექვსე სართულის კიბის თავზე, ბებრის ოთახის კართან თავი მოიყარა. მოხიბლული იდგენ, მძიმე მუშაობისაგან დაკორძილი ხელები გულზე დაეკრიფათ და სასოებით მუსიკას ყურს უგდებდენ. ყმაწვილი, ქვეშსაგებზე წამომჯდარი, გულის ტოკვითა და თვალებდაჭყეტილი, სახეზე ბედნიერების მგრძნობარე ღიმილით ისმენდა მშვენიერს ხმებს....

როდესაც არტისტი ყმაწვილის ოთახში პირველად შევიდა, ავათმყოფს გაცხელებული ხელი ჩამოართვა და დაკვრა დააპირა, ყმაწვილმა ნელის ხმით წაილაპარიკა:

—მე ვიცოდი, რომ თქვენ მოხვიდოდით!...

ყმაწვილი სმენად გადაიქცა. საოცარი ხმები ატკბობდა და ართობდა მას, ზოგჯერ მის ტანს სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვლიდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, როგორც კარგი ნიჭის დამფასებელს.

ბებია ცრემლმორეული შესცქეროდა თავის შვილიშვილს. ერთ საათს იქით, გაათავა თუ არა დაკვრა, საკკარა მივიდა ყმაწვილთან, დააშტერა მას თვალები და ჰკითხა:

—შენც გინდა, მემუსიკე გახდე?...

—დიახ!... ხმადაბლა უპასუხა ყმაწვილმა და თვალები სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით აენთო.

—მაშ, მალე მორჩები, ჩემო კარგო; თვალებზე გატყობ, რომ არტისტი გამოხვალ... ბენიოსობა იაფათ არ უჯდება ადამიანს, ხშირად უზომო ტანჯვასაც მიაყენებს, თუმცა ამასთანავე ზოგჯერ სასიამოვნო წუთებსაც აგრძნობინებს!... უთხრა საკკარამ ყმაწვილს, თმახუჭუჭ თავზე ხელი გადუსვა, მერე ბავშს აკოცა, მოხუცებულ ქალს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. კიბის თავზე აღტაცებული ხალხი ტაშის კვრით დაუხვდა! —საკკარა! საკკარა!—ყვიროდა ხალხი და არტისტს გარშემო ეხვეოდა.

ერთ საათს შემდეგ იგი უკრავდა მშვენიერათ განათებულსა და ყვავილებით მორთულ დიდს დარბაზში, რომელიც სავსე იყო ძვირფასი ტანისამოსით მორთულ ქალებითა და კაცებით. ყველა გაოცებული იყო საკკარას დაკვრით! თავის დღეში მას

არ დაუკრავს ასეთი გრძნობითა და აღტაცებით, როგორც დღეს. დარბაზში სრული სიჩუმე იყო. მოისმოდა მხოლოდ მომხიბლავი სიმების ხან ძლიერი და ხან ნაზი, ჰარმონიით სავსე ხმები.

საკკარა ყურადღებას არ აქცევდა არც დარბაზს, არც ხალხს. თვალწინ ღარიბულად მორთული პატარა ოთახი ელანდებოდა, სადაც ლოგინზე ავათმყოფი ყმაწვილი იჯდა და დიდრონ აღგზნებულ თვალებით უცქეროდა მას. ჯერ არც ერთხელ მის დაკვრას ასეთი აღტაცება არ გამოეწვია! დარბაზი ირყეოდა და ხმაურობდა ტაშის კვრისაგან, მაგრამ არტისტის ფიქრები შორს, შორს გარბოდენ ამ დარბაზიდან...

ბებია მთელ ღამეს შვილისშვილს გვერდით უჯდა. მას აქით, რაც ბავში ავათ გახდა, ბევრი ღამე გაეტარებია უძილოდ, მაგრამ ამ ღამეს ყმაწვილს მოსვენებით ეძინა, სიცხეც გამოუნელდა და ბოდვაც არ შემჩნევია.

ავათმყოფი დილით უკეთ შეიქნა. მის გამხდარ ლოყებს ცოტა ფერი მიეცა. ამ დღეს ყმაწვილს საკკარასაგან საჩუქრად ყვავილების თაიგული მოუვიდა. თაიგულში პატარა სკრიპკა იდვა. ყმაწვილს თანდათან უკეთ ყოფნა ეტყობოდა. რამ იმოქმედა მაზე? სრულმა ბედნიერებამ, თუ ავათმყოფის აგებულება ისე ღონიერი იყო, რომ სნეულებას გაუძლო? იქნება ორივე გარემოებამ უშველა ყმაწვილს, რომ ავათმყოფობა აიტანა და მალე სრულებით მორჩა. შემდეგ საკკარას მოწაფედ გახდა და ერთ საუკეთესო მემუსიკეთ შეიქნა.

„ჯეჯილი“.

1. ყმაწვილის ავათმყოფობა. 2. ბებიას მზრუნველობა. 3. საკკარას გულკეთილობა და ყმაწვილზე მისი გავლენა.

ჭეშმარიტი მოძღვარი.

I

შემოდგომის ცივი დღე იყო. ცა სქელი ღრუბლით იმოსებოდა. გზის პირათ ჩამობურული ტევრი იყო. დროგამოშვებით თვალუწვდენელი ხეების ტოტებსა და წვეროებს ძლიერი ქარი დაეტაკებოდა და მაშინ მდინარის მთელ ხეობას გრიგალის ზუზუნი მოედებოდა; როცა ქარი ჩავარდებოდა, არემარე ისე დაწყნარდებოდა, რომ მცირედი ხმაურობაც-კი ყურს არ გამოეპარებოდა.

ამ დროს ლეჩხუმის შარაზე იმერეთის ეპისკოპოსი სვანეთიდან მობრძანდებოდა. მთელი ზაფხული ამ მიყრუებულს კუთხეში გაეტარებია, ხალხი დაერიგებია, ქრისტეს მოძღვრება ექადაგა და გულდამშვიდებული ქუთაისისკენ მოეშურებოდა. კრებული მთის წყაროზე შეჩერებულიყო, და მღვდელმთავარს კი ცხენისათვის სადავე მიეშვა და, ღრმა ფიქრებით გატაცებული, მხოლოდ შარას დასჩერებოდა და წინ მიდიოდა. არქიელი წყაროს კარგა მანძილზე მოშორებოდა, როცა მას უეცრათ ტყიდან რაღაც ხმაურობა მოესმა; რამდენისამე კაცის ყვირილს დამბაჩის სროლაც მოჰყვა. მღვდელმთავარმა პირჯვარი გადიწერა და სადავე ხელში მოიმარჯვა. „შეჩერდი, ვინცა ხარ, შეჩერდი, თორემ ახლავე გაგათავებო,“ მოესმა მას, და მშვიდს მგზავრს ახალგაზდა ავაზაკი წინ გადაეღობა და გასაცარცვავათ მივარდა.

ეპისკოპოსი არ აღელდა და ავის მომქმედს ლმობიერათ მიმართა: „შვილო, მე სიკვდილისა არ მეშინია, მოცემითაც ვერას მოგცემ, თან ახლა არაფერი მაქვს; მხოლოდ გლოცავ შენ მღდელ-მთავარი გაბრიელ.“ ჯვარი გადასახა და დასძინა: „ვინ დაიდვა შენი ცოდვა, ვინ გაგხადა ავაზაკათ ასეთი ახალგაზდა ადამიანი?“

მგზავრის სახელმა, მისმა გულის სიწრფოებამ და ლმობიერებით აღსავსე სიტყვებმა ავაზაკს თავზარი დასცა; იგი გაშეშ-

და, სახე შეეცვალა, თითქო ნატრობდა,— გასქდი, დედამიწავ, და ახლავე ქვესკნელში ჩამიტანეო.

მღვდელმთავარი ჩამოხტა, ახალგაზდა ავაზაკს მხარზე ხელი მოხვია და ასე ანუგეშებდა: „მითხარ, შვილო, ვინა ხარ და საიდან? ეგებ **ღ**მერთმა შემაძლებინოს და გიშველო, შეგეწიო რითიმე, რომ კარგი ადამიანი შეიქმნე.“



ავაზაკმა მღვდელმთავრის ხელზე სამთხვევათ მიიწია და აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა: „მე რაღა მიშველის, მღვდელმთავარო!?.. **ვ**იცი, რომ სულითაც და ხორცითაც დაღუპული ვარ, მაგრამ მაინც მოგახსენებ ჩემს უბედურებას: შკოლაში მიმაბარეს, ცუდმა ამხანაგებმა ამიყოლიეს, ქეიფსა და უხეიროდ დროს ტარებას შემაჩვიეს, ვერაფერი შევიგნე, ვერაფერი შევითვისე, და დამითხოვეს. **მ**შობლებმა შკოლიდან დათხოვილი აღარ მიმიღეს, სახლიდან გამომაგდეს და აბა, ავაზაკობის მეტი რაღა დამრჩებოდა!“

Არქიელი დაღონდა, რამდენსამე წუთს გაჩუმებული იდგა, შემდეგ ავაზაკს თვალებში ჩააცქერდა და ლმობიერათ უთხრა: „მოდი, შვილო, ჟუთაისს, პირდაპირ ჩემთან მოდი, დაგეხმარები ყოველნაირათ, კარგს მასწავლებელს გიშოვნი: ყველაფერს გაგაგებიებს. თანახმა ხარ, თუ არა?“

—ბანა შეიძლება, ბატონო, რომ მე კარგს ადამიანებში გავერიო?

—ღმერთი მოწყალეა, შვილო, რატომ არა? აბა ჩემი რჩევა აასრულე და მაშინ მაგ კითხვის პასუხს შეიტყობ.

მოსაკლავად მივარდნილი ავაზაკი მღვდელმთავარს მარჯვენეზე ამბორით გამოეთხოვა.

II

ბავიდა ხანი. 1896 წელს ბაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა. ეს სამწუხარო ამბავი მთელს საქართველოს გლოვის ზარივით მოეფინა. იშვიათია იმერეთში ისეთი სოფელი, რომ ბაბრიელ ეპისკოპოსი არ ყოფილიყოს, სადაც მცხოვრებთათვის კურთხევა და დარიგება არ მიეცეს. დაუღალავს ქრისტეს მოციქულს ყოველგან აღმერთებდენ, და ასეთი ადამიანის სიკვდილმა ყველა დააღონა, ყველას წელი მოსწყვიტა.

ერთს მიუვალ ხეობაში არის მიყრუებული სოფელი. აქ ახლად აშენებული შკოლაა, სადაც ორმოციოდე ყმაწვილი სწავლობს. ამ შკოლაში ერთი ახალგაზდა მასწავლებელი დაუნიშნავთ. იგი ბეჯითად და გულმოდგინეთ ასწავლის პატარებს და თან ცდილობს, დიდებსაც მიაწოდოს გონებითი საზრდო, ცდილობს ამ ბნელით-მოცულს სოფელს განათლების სხივი მოჰფინოს.

სწავლის დღე იყო; შესვენების დროს მასწავლებელს ბავშები ეზოში გამოეყვანა და ათამაშებდა. აი, სწორეთ ამ სასიამოვნო წამს მოსწავლეებთან თამაშში გართულს მასწავლებელს ბაბრიელის გარდაცვალების ამბავი უეცრად მოუვიდა. მასწავლებელი დაღონდა, გაშეშდა; თამაშობა მაშინვე მიატოვა.

პატარები გაკვირდენ, მასწავლებელი რომ ასე უცებ ცუდ გუნებაზე შეიქნა; გარს შემოეხვიენ და მიზეზის კითხვას ვერ ახერხებდენ. მასწავლებელი ცოტა ხანს შემდეგ თითქო გონზე მოვიდა, ყმაწვილებს თვალი გადაავლო და წარმოსთქვა: „დღეს ველარ გასწავლით,—მწუხარებამ ისე შემიპყრო, რომ ახლა აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია. საქართველოს დაკარგვია მისი ოქროპირი, მისი სასიქადულო მოძღვარი და მასწავლებელი,—იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გარდაცვლილა. იგი ყველასი ღვთისნიერი მამა იყო, მაგრამ ჩემი კი...“ აქ რაღაც უნდოდა ეთქვა კიდევ, მაგრამ ცრემლები მოერია და ხმის ამოღება ველარ შესძლო. ბავშები დაღონებულნი და დაფიქრებულნი თავ-თავის სახლისკენ წავიდენ. თვალცრემლიანი მასწავლებელი სვეტივით იდგა შკოლის ეზოში, ვიდრე უკანასკნელი მოწაფე იქაურობას არ განშორდა. ეზოდან ოთახში დაბრუნდა. აქ კედელზე გაბრიელის სურათი ეკიდა, მიაჩერდა მას, დიდხანს უყურა და ცრემლმორეულმა ამოიკვნესა: „ჩემო მხსნელო, ჩემო მკვდრეთით აღმდგენელო, აღარა მყავხარ!...“ და ქვითინი მორთო. შემდეგ სურათს ემთხვია და შეჰფიცა: „სანამ სული მიდგია, გეფიცები, ჩემო მფარველო, საწყალ ხალხს თავდადებით ვემსახურო და გზადაბნეული სწორე გზაზე დავაყენო.“

ეს იყო ის ახალგაზდა, ეპისკოპოსს რომ ლეჩხუმის შარაზე გაცარცვას უპირებდა.

მოეკვასის სიეკვარული.

მტკვრის პირად ვიდექით და მღვდელიც იქვე იდგა. სწორეთ ამ დროს ქუჩიდან ერთი აყალმაყალისა და ალიაქოთის ხმა მოგვესმა. მღვდელი გაფითრდა და ისე, როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა. მეც გამოვედი გარეთ. საღამო ხანი იყო. ხალხი დიდი, თუ პატარა, ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენ, იქით მირბოდა.

— **რ**ა ამბავია, ძმებო, რა ამბავია?—დაუყვირა ხალხს მღვდელმა.

— **რ**აღა რა ამბავია, შენი ჭირიმე! კაცი იხრჩობა,—დაუძახა ვიღაცამ.

ამის თქმა და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. **ი**სე თავშიშველი გაფრინდა გაფოთებული. **მ**ეც უკან გამოვუდექი. **ჩ**ავედით. **ხ**ალხი და დედაკაცობა შეგროვილიყო **მ**ტკვრის გადასახედზე. **ი**მათი ჟღავი-ჟღუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა. **დ**ედაკაცობის საკოდაობას-კი ნულარ მკითხავთ, სულ „ვიშ! ვიშ!“ იძახოდენ. **რ**ომ დაინახეს, მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: „მღვდელი მოვიდა, მღვდელი! მადლობა **ღ**მერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაიხრჩობაო!“ **ს**ჩანს, შენი ჭირიმე, იმ მღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისთანები ენახათ, რომ ყველას იმედი მოეცა.

მღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეხედა, იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდენ **მ**ტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ეღუპებაო. **თ**ვალის დახამხამების უმალ ტანისამოსი გაიძრო და ჩემკენ გადმოყარა. **ე**რთ წამს-კი, მი-

ვხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული. ერთი ეს-კი სთქვა: „იხრჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინა შველის!“ შემდეგ სწრაფად გადისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ-კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქციელმა წაახალისაო.

ცოტა ხანს თვალიდან დავკარგე მღვდელი. მე იმისი დახრჩობის შიში მომეცა. „რა ვქნა, ხომ არ დაიხრჩო?“ წამოვიძახე ჩემ-თავად. „ჰმ“, ჩაიცინა ჩემს გვერდით ერთმა კაცმა: „მაშ შენ ეგ ვერ გიცვნია“, მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა: „მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგერ, თუ არა გჯერა, სად ამოჰყო თავი!“ გამიშვირა გახარებულმა თითი და მღვდელი დამანახა.

მივიხედე, თითო ხელის მოქნევაზე ის დალოცვილის შვილი ერთ დიდ ალაგს გადინაცვლებდა, როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. მღვდლის შორიახლო ის უბედური მუშა,— წყლის მუშა ყოფილიყო საწყალი,—ქანცგაწყვეტილი ფართხალობდა. ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

—ნუ გეშინია!—ეძახდა ხალხი: არ შეუშინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე, შენი დამხსნელი მოდის!

აი მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი; ხალხი აქითგან წასახალისებლად ხმას აძლევს: „აი, შენი ვამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები!... ჰე... ტაი, ტაი, ტა!.. რა რიგად მიდის, ნავია! აბა, შვილო, დედის ძუძუ მაგას შერგებია, აი... იძახდა ერთი“.

—დედის ძუძუ ვის არ შერგებია, მაგრამ მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგისთანა შვილი გაზარდოს,—ამბობდა მეორე.

მაგრამ მღვდელს არ ეჭირვებოდა არც ერთის თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამახალისებელი ის ცეცხლი იყო, რომელიც, თვითონ მისის თქმით, ყოველ კაცს გულში უნთიაო. რას ბძანებ? სიკეთით კაცს ეოლი ეამსჭიალოდა და სხვისი წახალისება

აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა სწორედ, რომ იტყვიან, სწყუროდა: დრო მოეცა და ზედ დაკვდომით დაეწაფა. Ისე შენც მორჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ მღვდელმა ის მუშა მოარჩინა. Როცა ნაპირზე გამოიტანეს, როგორც ძმასა, თავს დასტრიალებდა გონება-მიხდილ მუშას. Როგორც იყო გამოაბრუნეს ის საწყალი. Თვითონ მღვდელი მუშაზე ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. Შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა.

—Ბლახავ,—მიუბრუნდა ვიღასაც მღვდელი: თუ Ღმერთი გწამს, ამალამ შენს სახლში ბინა მიეცი ამ საცოდავს, მადლია.

—Ბატონი ბძანდები,—უპასუხა იმანაც: მაგას რაღა თქმა უნდა, შენი ჭირიმე! შენ კინაღამ მაგის გულისთვის თავი არ დაიხრჩე და მე ბინას როგორ არ მივცემ. Აბა, ბიჭებო, მიშველეთ! დაუძახა ხალხსა. Ხალხი მისცვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს. Მღვდელიც უკან აედევნა.

—Შენ-კი შინ წამობძანდი, შენი ჭირიმე! ვუთხარი მე: დაღლილი ხარ, ჰკანკალობ!

—Მუშას შველა უნდა კიდევ,—მითხრა პასუხად.

—Მე დალოცვილო!.. შენს თავსაც უნდა შველა, მივატანე მე.

—Აგერ ჩემი მშველელი სად არის!.. მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახა და გამეცალა.

Ვიდრე კარგად არ მოასვენა, ვიდრე გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდებაო, ის დალოცვილი მას არ მოშორებია...

ი. ჭავჭავაძე.

1. Მტკვრის პირად ატეხილი ხმაურობის მიზეზი. 2. Მღვდელი მიეჩქარება წყალში ჩავარდნილის გადასარჩენად. 3. Ხალხს იმედი ეძლევა, რომ მღვდელი უბედურს გადაარჩენს. 4. Მღვდლის მეცადინობა წყალში ჩავარდნილის გადასარჩენად. 5. Ხალხი მღვდელს აქებს და უბედურს იმედს აძლევს. 6. მღვდელმა მუშა დახრჩობას გადაარჩინა. 7. Მღვდლის მზრუნველობა გადარჩენის შემდეგ.

სამაგალითო სულგრძელობა.

ესპანიაში ოდესმე ორი ხალხი ცხოვრობდა: ესპანელები და მავრები. ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებდენ. ესპანელები ქრისტიანები იყვენ, მავრები მაჰმადიანები და მუდამ ერთმანეთს ემტერებოდენ. ერთხელ ესპანელი და მავრი ერთმანეთს შეედავენ; დავას ჩხუბი მოჰყვა. ესპანელმა მავრს გაარტყა და მოჰკლა. შეშინდა ესპანელი და გაიქცა.

მირბის. ქარგა მანძილი რომ გაირბინა, მოესმა, რომ უკანიდან დასაჭერათ მოსდევენ. სამალავს ძებნა დაუწყო. დაინახა მაღალი ღობით შემოზღუდული ბაღი: ბევრი აღარ უფიქრია, იშვირა ფეხი და ბაღში გადახტა. ბაღის პატრონი წინ შეეხეჩა. ესპანელმა ყოველივე უამბო და სთხოვა, არ გაეცა.

ბაღის პატრონს ეს ამბავი არ გაჰკვირვებია: იმ დროს სისხლის-ძიება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

—ქარგი, არ გაგცემ,— უთხრა მასპინძელმა; მოსწყვიტა ვაშლი შუაზე გახეთქა, ნახევარი ესპანელს მიაწოდა და უთხრა: „აი მიირთვი, აწ ჩემი სტუმარი ხარ.“

ბაღის პატრონი მავრი იყო და მავრებს ისეთი ადათი ჰქონდათ, ვინც მათი ლუკმის მოზიარე გახდებოდა, არ გასცემდენ და არც არავის დააჩაგვრინებდენ. ესპანელი მავრმა სახლში მიიწვია, საჭმელ-სასმელი მიართვა და მოასვენა.

ღამით მასპინძელთან მოვიდა რამდენიმე კაცი და დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც მის შვილს დაემართა.

მავრი მაშინვე მიხვდა, თუ როგორი სტუმარიც ჰყავდა სახლში. ქაცები წავიდენ. მოხუცმა საუკეთესო ცხენი შეაკაზმინა, გააღვიძა სტუმარი და უთხრა:

—ბამიგონე, ერთადერთი შვილი მყავდა, მასზე უკეთესი ქვეყანაზე არა გამაჩნდა-რა; შენ იგი ჩემთვის გულიდან მოგიგლეჯია. ადექ! ცხენი მზადა გყავს და გასწი! მე ჩემს სიტყვას ავასრულებ: ხელს არ გახლებ. მაგრამ, თუ ვინმე ჩემიანმა თვალი მოგკრა, სიცოცხლეს გამოგასალმებს: არ შეგიბრალებენ. მავრმა შვილის მკვლელი ჭიშკართან მიიყვანა, აკანკალებული ხელით

კარი გაუღო და უთხრა: ,,ჩქარა გაეშურე, ღმერთს მადლობა შესწირე, რომ მან ღონე მომცა, გული შემემაგრებია.''

1. მტრობა ესპანელთა და მავრთა შორის. 2. მავრის მოკვლა. 3. მოკლულის მამამ როგორ გადაარჩინა მკვლელი? 4. რა სიკეთე უყო შვილის მკვლელს მოხუცმა და რატომ?

ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ.

I.

სიცხით გადამწვარ მინდორზე
მიჭქრის არაბი ცხენითა,
მიცურავს ოფლში მერანი,
მიდის და მიდის ქშენითა.
ეურს უგდებს მხედარს მასზე მჯდომს:
ქუსლი არ მკრასო ფრთხილდება,
ოდნავ სადავის შეხრაზე
კორდით კორდს გადაფრინდება.
მკვირცხლობს და ილტვის მალხაზი,
ვარსკვლავებს ეთამაშება:
ხან ძირს დაიქნევს ლამაზ თავს,
უნდა სადავის დაშვება,
ხან ეურებს წასტქვეტს კეკლუცად,
ერთს ალაგს დაატქერდება,
მაგრამ არ ურჩობს მფრინავი,
მიდის და არა ჩერდება.
ამაყადა ზის მხედარი...
ის ალხენს თავმომწონესა,
რომ არ უკლია ოდნავაც
ჯერ მის საყვარლის ფონესა.
ისევ წინანდელივ თამაშობს,
ხტის, არ ჩერდება გზაზედა,
[illegible]

უკვესავს იმათს თავზედა...
დაჭხარის მერანს მხედარი,
მიჭეფრენს შევარდნის მსგავსადა,
არ გასტემს თავის მეგობარს
მთელის ქვეყნისა ფასადა;
იგი შავ-ფათარაკთაგან
მას არა ერთხელ უხსნია:
ხშირად გამქრალა უკვალოდ,
რა მტერი მტერად უცვნია;
ხშირად ლომ-ვეფხთა ბრწყალთაგან
პატრონი გადურჩენია
და დის სავალი ერთ წამში
ქარივით გადურბენია...
მიჭქრის მხედარი... ცხენის ფეხს
ხმას აძლევს აბჯართ ყლერანი...
რადა ღირს მისი სიცოცხლე,
რომ გასტეს მისი მერანი!
ტუვილა ევედრენ თავადნი,
გვითხარ მერანის ფასიო,
ოქრო და ვერცხლი აიღე,
მიიღე ერთში ასიო!
აქლემის ჯოგებს დაგითვლიან,
მოგიუვანთ ჯორს და ცხენსაო,
შენს სიცოცხლეში ვერ დალევ
მაგ ცხენით შენაძენსაო!..
ტუვილა განრისხდა თავადი:
«რაკი არ დამეევ ნებასო,
დრეს მოგინახავ, შეგხვდები
და ძალით შეგური სნებასო!
ვნახოთ, ვინა სჯობს ჩვენ ორში!
მჯობს დარჩეს შენი ცხენიო:
ჯაბანს რათ უნდა მეფრინავი,
ეაჯაბის დამაშენებიო!»

ეს როგორ ჭკადრეს გმირ მხედარს?!
ვინ არს მის მჯობნი ჯარშია?
ვინ არს იგეთი, რომ იმას
არ გაქცეოდეს ხმალშია?!
მტერთან მან იცის მტერობა,
კაცთან დახვდომა კაცადა,
მაგრამ ჯერ სისხლი მართალი
არ დაუღვრია არსადა.

II.

მიჭქრის მხედარი... არსად ჩანს
მწვავის სიცხიდან სთვარი;
მიდის და მიდის... გულზე სცემს
მთრინავ მერანის თვითარი.
ველარც კორდს ხედავს ველარსად,
არც ხე ჩანს, ადარც ჩრდილია,
ერუ, უმცენარო უდაბნო
შორით შორს გადაშლილია.
შორსა ღმუიან მხეცები,
ისმის ქვემძრომთა სისინი:
სუნი აიღეს ცხოვლისა
და მას ეძებენ ისინი.
ქვიშად ქცეულა მიდამო,
ქარი ღრიალობს საზარი
და მისგან აღძრულ მტვერ-ბუქში
ძლივს-და ჩანს სადღაც მხედარი.
თვიქრობს: ვაი მას, ვისაც რომ
აქ ცხენი მოუკვდებაო,
ვინც ვერ გაასწრებს ამ ქარ-ბუქს
და ნადირი წერა ხდებაო!..
მიდის მხედარი... ხედავს: შორს
რადაც გამოჩნდა შავადა,
კაცად შეიცნო, შეეგებრალდა,

გულს სევდა მოხვდა მწვავადა.
მერანს ქუსლი ჰკრა, გაჰქანდა,
მგზავრს დაეწია ერთ-წამა...
მგზავრი მიდოდავს: თითქოს მას
მთელს კვირას არრა ეჭამა,
სულ მოხრილიყო, სამოსი

მხარ-ბეჭზე გადახეოდა;
სახეს მალავდა, თითქოს მას
თვის სიგლახაკის რცხვენოდა.
მხედარს შესძახა: «აკურთხოს
ღმერთმა სახელი შენიო,
მომხედე ბედკრულს, სიკვდილის

ხელიდან დამიხსენიო;
თუმცა ვარ ვინმე გლახაკი,
და დავტანტალობ უქმადო,
მაგრამ კაცი ვარ, ნუ გამხდი
ამ მხეცნადირთა ლუკმადო!..»
მხედარმა ცხენი მიიგდო,
უთხრა: „შემოჯექ შენცაო,
კარგსა და გლახაკს სუფველას
ერთგვარად დასტქერს ზეცაო.“
გლახაკმა უთხრა: „არ ძალ-მიძს,
ვერ შემოვაწევ ცხენზეო,
წელს ველარ ვმართავ, სიბერე
დიდ ტვირთად მადევს მხრებზეო.
ცხენით გადმოხტი, ამწიე,
შემსვი როგორმე ზედაო,
ღვთისა ხარ, მისებრ მოიქეცი,
გიცხონდეს მზრდელი დედაო!..“
ცხენით გადიჯრა მხედარი,
მგზავრს ხელი სტაცა წელზედა,
მუხლი შეუდგა, ასწია
და ერთს წამს შესვა ცხენზედა...
რა შეჯდა მგზავრი მერანზე,
შეირხა, წელი გამართა,
უცებ სადავე მოსწია
და ცხენი ყალუზე ამართა.
ქუსლი ჰკრა: ცხენი ათრთოლდა,
თავი წაართვა, აქშინდა,
მერცხლისებრ შეიტრიალა
და შევარდნულად გაფრინდა.
ძლივს შეაჩერა ტოტა შორს
მან ცხენი დაუდეგარი,
უკუიხედა: მწარედ სდგას
დადუმებული მხედარი.

და დაუძახა: «ხომ გახსოვს,
ერთხელ რომ დაგექადეო?!
მე ვარ ის ბიჭი!.. სიცოცხლე
საგლოვრად გაგიხადეო.
შენი მერანი ხელთ ვიგდე,
ეს მიჩანს ქვეყნის თვალადო,
შენ შენის ნებით არ მომეც,
მე წავიყვანე ძალადო!..»
შორით შებღავლა მხედარმა:
—«გუავდეს, რადა მაქვს დონეო,
მაგრამ მაქვს ერთი სათხოვნი
და ერთს წამს გამიგონეო;
შემთვიცე, არვის არ ეტყვი,
რა ჭირსაც შემამთხვიეო,
რა ხერხით შემყევ, მიმუხთლე
და ცხენი გამომტყუეო!..»
გულში გაივლო თავადმა,
აქ რადაც იმალებაო,
მხედარს უძახის: «რად არ გსურს
ამ ამბის გამყლავნებაო?»
—მისთვისო,—უთხრა მხედარმა,—
რომ ვინც ამ ამბავს სცნობსაო,
ტკბილ გრძნობას სიბრალულისას
თვის გულში ჩაიქრობსაო.
რაც მე გადამხდა, ეს საქმე
მეის შეაშინებს ყველასო
და კვალად ვედარ გაბედავს
კაცი კაცისა შველასო.
ნუ გამხდი ამის მიზეზად,
იგრძენ ეს წმინდა ვალიო;
კაცი კაცს ადარ ენდობა
და დამედება ბრალიო!»
მძიმედ ჩაფიქრდა თავადი..

ცხენით გადახტა მედგრადა,
წამოიჩოქა ცალ მუხლზე
მხედარის შესავედრადა.
უთხრა: «რაცა სთქვი შევიგნე,
მართალი არის ეველაო;
შურმა და თვალის სიხარბემ
გონება დამიბნელაო.
შენ ამაშორე ბოროტ გზას
და კვლავ კაცს დამამგვანეო.
შემინდე ცოდვა... ეს ცხენი
ისევ შენ წაიყვანეო!»
სთქვა და მშვიდ მხედარს მის წინ მდგომს
მიჰვარდა სიყვარულითა,
მკლავი მკლავთ გადაახვია,
გულზე მიეკრა გულითა.
ჰფიცა და ისიც აფიცა
ჭირ-ლხინში გასატანადა.
შეჰკრეს მათ ადოქმა უცვლელი
სიფლავში ჩასატანადა.

ცახელი.

1. **ა**რაბის ერთადერთი საუნჯე: ა. ცხენის ღირსება. ბ. **რ**ოგორ უყვარს პატრონს ცხენი? გ. **თ**ავადის თხოვნა და უარის გამო მუქარა. 2. **თ**ავადი ცბიერებით არაბს ცხენს ართმევს: ა. **ა**რაბის ცხენით მგზავრობა უდაბნოში. ბ. **თ**ავადმა არაბს თავი მათხოვრად მოაჩვენა და ცხენი გამოსტყუა. 3. **ა**რაბის სულგრძელობა და თავადის სინანული: ა. **ა**რაბის თხოვნა. ბ. **რ**ოგორ იმოქმედა თხოვნამ თავადზე?

თურქი და არაბი.

აზიის ერთ დიდ ქალაქიდან მლოცველთა ქარავანი ქალაქ **მ**ექას მიდიოდა. **ქ**არავანს ერთი თურქი **ო**სმანი წინამძღვრობდა და გამგზავრებისას ხალხს აუარებელ ფულს ურიგებდა. **ქ**არავანს ყველანი გზას ულოცავდენ. **ო**სმანი ახლა მეექვსედ მიემგზავრებოდა **მ**ექას და ყოველთვის დამცველ რაზ-

მის უფროსად ითვლებოდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ისინი მშვიდობით დაბრუნდებოდენ, რადგანაც ოსმანს მგზავრობაში არაოდეს არავათარი უბედურება არ შემთხვევია: არც ერთი მლოცველი არაბისტანის გრიგალს აქაურ უდაბნოს ქვიშაში არ დაუმარხავს, არაოდეს არაბისტანელნი მათ თავს არ დასხმიან. ხალხს სჯეროდა, რომ ღვთისმოყვარეობისა, უხვობისა და ქველმოქმედებისათვის ოსმანს ალლახი ყოველ საქმეში სწყალობდა.

ბავიდა რამდენიმე კვირა და ქარავანი მდინარე ეფრატს მიუახლოვდა. მლოცველნი ფსალმუნთა გალობით მდინარეს გავიდენ და არაბისტანის ქვიშიან ვაკეს გაუდგენ.

აქ ქარავანს მოეწია ერთი არაბი, რომელიც მშვენიერს შავს მერანზე იჯდა. ესეც მაჰმადის საფლავის თაყვანის საცემლად მიემგზავრებოდა.

ოსმანი და არაბი ლაპარაკს შეჰყვენ და ქარავანს კარგ მანძილზე დაშორდენ.

ოსმანმა ლაპარაკი ჩამოაგდო: რომელი ხალხი უფრო ღირსეულიაო, თურქი თუ არაბი? არაბმა მოკლედ, მაგრამ გონიერად უპასუხა: რაც არაბებს საქები ჰქონდათ—აქო, რაც საძაგებელი—აძაგა.

ოსმანი-კი თურქებს გაცხარებით აქებდა: „თურქები უხსოვარი დროიდან მამაცობით, პატიოსნებით განთქმული არიან; მთელი ქვეყანა პატივსა გვცემს ჩვენ ასეთის იშვიათის თვისების გამო. უშიშარს მხედარზე ყველგან ამბობენ: იგი თურქივით მამაციაო. როცა ვისიმე მაღალხარისხოვანი უანგარობა უნდათ აღნიშნონ, ასე იტყვიან: იგი თურქივით სამართლიანიაო. შენს ღატაკსა და ქვიანს უდაბნოში მოხეტიალე ხალხს-კი რა უნდა ჰქონდეს საქები? იცი თქვენზე რა ხმები დადის? ამბობენ, რომ თქვენ არც სინიდისი გაქვთ და არც პატიოსნება. თუმცა ჩვენის სარწმუნოების აღმსარებელი ხართ, მაგრამ სულთანი აუარებელ ფულს გაძლევთ, რომ მლოცველთა ქარავანი თქვენის მტაცებლობისაგან დაიცვას. ყოველს ჭეშმარიტ მაჰმადიანს თქვენ საზიზღარ მაწანწალა

მცარცველად მიაჩნიხართ. ᲒᲐᲛᲝᲢᲧᲓᲘ, მეგობარო, რომ ჩემი სიტყვა მართალია, გამოტყდი, რომ თქვენი ხალხი ავაზაკთა ბრბოა.''

— ᲩᲕᲔᲜᲘ საუბარი მერმე მოვათავოთ და ახლა-კი აი, ამ მგზავრს ვუშველოთ, რომელსაც აქლემი წაექცა და პატრონი ქვეშ მოიტანა,—სთქვა არაბმა.

—ᲬᲐᲓᲘ და შენ უშველე, მე-კი მაგ არამზადასთვის არა მცალია; კარგად ვიცნობ მაგას, ვინც არის: ოთხი წლის წინათ აქლემის ვაჭრობაში შემეცილა, და აი, ახლა ძალიან მოხარული ვარ, რომ სამაგიერო თვით მაგ აქლემმა გადაუხადა.

ᲐᲠᲐᲑᲘ გაეშურა, აქლემი ააყენა, საბრალო მგზავრი გაათავისუფლა და შემდეგ თანამოგზაურისკენ გასწია. ᲐᲠᲐᲑᲘ ცოტა მოშორებით იყო, როცა საშინელი ვეფხი ბუჩქიდან გამოხტა და ᲝᲡᲛᲐᲜᲡ დაეძგერა. ᲗᲣᲠᲥᲡ თავზარი დაეცა და შეშინებული უგრძნობლად მიწაზე გაიშხლართა.

ᲐᲠᲐᲑᲛᲐ თავდავიწყებით პირდაპირ ვეფხს მიაშურა, ამოიღო დამბაჩა და სწორეთ იმ წამს, როცა მძვინვარე მხეცი თავისი მსხვერპლის გაგლეჯას აპირობდა, ტყვია დაახალა. ᲕᲔᲤᲮᲘ გულწასული ᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ გვერდზე წაიქცა და მოკვდა.

ᲝᲡᲛᲐᲜᲛᲐ თვალები გაახილა. ᲗᲐᲕᲘᲡ გადარჩენა სასწაულად მიიჩნია. ᲒᲐᲓᲐᲔᲮᲕᲘᲐ თავის მხსნელს და თვალცრემლიანმა მხურვალე მადლობა გადუხადა და ჯილდოთ ბაჯაღლოებით სავსე ქისა მიაწოდა.

ᲐᲠᲐᲑᲛᲐ საჩუქარი არ მიიღო. ᲝᲡᲛᲐᲜᲘ ძლიერ განცვიფრდა.

ᲐᲛ დროს მათ ერთი ფეხ-წამხდარი, ძონძებში გახვეული, დაწყლულებული გლახაკი მიუახლოვდათ; მიმართა ᲝᲡᲛᲐᲜᲡ, რომელსაც ქისა ხელში ეჭირა და მოახსენა: ,,მდიდარო მოგზაურო, იმედია, გამიკითხავ, მშია და მწყურია, სავსე ქისიდან ერთი ლირა უბოძე შენის ქვეყნის შვილსა. ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ვინმემ მცირეოდენი ქირით ქალაქამდი მიმიყვანოს; ეგ შენი ლირა დამიხსნის მე აუტანელი სიცხისაგან; მაგით, როგორც იქნება, ქალაქამდი მივაწევ, თუ არა და ისე მოვიქანცები, რომ წავიქცევი და მხეცების მსხვერპლად შევიქნები.''

—ალლახი გაგიკითხავს,— უპასუხა ოსმანმა და სავსე ქისა ჯიბეში ჩაიდვა: მე შენთვის ერთი ფარაც არა მაქვს, სალოცავად მივდივარ და მგზავრობაში არაფერი არ გადამრჩება.

რაც მეტი მქონდა, წამოსვლისას ხალხს დავურიგე, ვწუხვარ, რომ ვერასა გშველი.

Არაბმა-კი ტომრიდან ბრინჯი ამოიღო და მათხოვარს მიაწოდა:

—Აჰა, მოიკალ შიმშილი, მეგობარო, მოღონიერდი და მერე ერთად წავიდეთ; სადაც შენ მიდიხარ, ჩვენ ის ქალაქი გზაზე შეგვხვდება; მე მიგიყვან.

—Კი, მაგრამ მე ნელა უნდა ვიარო, ხშირად უნდა დავისვენო,—ამბობდა მათხოვარი.

—Აი, ჩემს ცხენზე შეჯექ,—უპასუხა არაბმა და მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა, მათხოვარი შესვა, თვითონ სადავეში ცხენს ხელი მოჰკიდა და წინ გაუძღვა.

—მიატოვე ეგ მათხოვარი,—უთხრა ოსმანმა,—განვაგრძოთ ჩვენი საუბარი და დავამტკიცოთ ჩვენ ჩვენი ხალხის უპირატესობა.

—ჩვენი საუბარი დიდიხანია გათავდა,—წარმოსთქვა არაბმა:—იცოდე, რომ ყველგან მოიპოვება კეთილის მყოფელი და ბოროტი ადამიანი.

ოსმანმა აშკარად დაინახა, რომ ამ პასუხში მისი საქციელის მხილება იყო და მტკიცე აღთქმა დასდვა, კაცნიერებისათვის არაბს სამაგიეროს გადავუხდიო.

1. რას ფიქრობდა ხალხი ოსმანზე და რატომ ფიქრობდა ასე? 2. ოსმანის საუბარი არაბთან, თუ რომელი ხალხი უმჯობესია. 3. საქმით როგორი აღმოჩნდა ოსმანი? შეადარეთ არაბი ოსმანს.

გულკეთილი მელა.

მოსადირემ გაზაფხულზე
მოჰკლა ერთი თოხიტარა
და მასთანვე მის ბარტყებსაც
მით სიცოცხლე გაუმწარა.

ტყვლიპანებს და უსუსურებს
რა შეეძლოთ თავის-თავად!?
რომ შესტივდათ და მოშივდათ
აჭურიალდენ სატოდავად.

მაგრამ ამ დროს, მისწრებაზე,

სადაც იყო, გაჩნდა მელა,
თითქოს სუნი სტემოდეს მას,
მოცუნცულდა ნელანელა.
  იმ ობლების დანახვაზე
უცბად გული აუძგერდა.
სთქვა: «დღეიდან მე ვუგამდლებ!»
ჩაცუცქდა და მიაჩერდა.
  აწუწუნდა მათის ცოდვით:
«ვერა ხედავთ ამ საწყლებსო?
უპატრონოდ, მოუვლელად,
ველარც ერთი ვერ გასძღებსო.
  მაგრამ ჩვენი ვალი არის,
ვუპატრონოთ როგორმეო,
და ვისაც რა შეგიძლიათ,
მომეხმარეთ ყველა მეო.
  შენ, მერცხალო, საზრდო ზიდე!
ქორო, მტრები უგერეო,
გვრიტი ზღაპრებს ულულუნებს,
შენ, ბულბულო, უმღერეო.
  შენც, კოდარავ!..» მაგრამ ამ დროს
დაუბერა უცბად ქარმა.
მტო შეიძრა და ბარტყებიც
აიტანა შიშის ზარმა.
  გადმოცვივდენ, ძირს დაეცენ,
შეკრთა ცოდვით მაშინ მელა,
მაგრამ თვისი ქადაგება
დაავიწყდა უცბად ყველა.
  მივარდა და რომ დარწმუნდა,
არ შეეძლოთ არსად წასვლა,
შეებრალა, სტაცა ხირი
და სუყველა გადასანსლა.

აკ. წერეთელი.

1. ბარტყების ობლობა. 2. მელიას ვერაგული მზრუნველობა. 3. შედეგი ამ მზრუნველობისა.

უბრალოთ დასჯილი ტუსაღი.

Უნგრეთის ერთს დიდ მაგარ საპყრობილეში საბრალო ტუსაღი იჯდა. Ბოროტ კაცებს რკინის ბორკილი შეეყარათ მისთვის და ციხეში დაემწყვდიათ. Სატუსაღო ცივი და ნოტიო იყო. Უპატრონო ტუსაღს ლოგინად სველი ჩალა ეგო; სარჩოდ ხმელა პურსა და წყალს აწვდიდენ. Ღარიბი, უძლური, სნეული და მწუხარე ტყვე ძლიერ დიდხანს იჯდა სატუსაღოში. Მზე იშვიათად შეაშუქებდა მის ვიწრო სარკმელში, წმინდა ჰაერის ხსენება აქ სრულიად არ იყო.

Მწუხარებით მოიგონებდა ხოლმე თავის საყვარელ პაწია შვილებს, ნათესავებს, მეგობრებს, და გული უკვდებოდა, ვაი თუ ყველას დავავიწყდი, ვაი თუ მკვდრათაც მთვლიანო. Ნეტა ვიცოდე, ახალი რა არის ქვეყანაზე? რა ამბავია ჩემს სამშობლოში?

Დარდიანი ტუსაღი ერთხელ ფანჯარას მიადგა. Მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. Მზე ჩადიოდა და უკანასკნელი სხივით ტყის წვერი ოქროსავით გაებრწყინვებია. Ხალხი ქუჩაზე მიდიმოდიოდა. Სატუსაღო მაღალი იყო: გამვლელნი ძლივს მოჩანდენ. Ტუსაღმა ჩასძახა მათ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

Ლაჟვარდ ცის კამარაში ფრინველები ნავარდობდენ. Არწივმა წყნარად გაიქროლა.

—Არწივო, არწივო! მიაძახა ტუსაღმა: შემოჯექ ჩემს ფანჯარაზე, გამაგებიე ჩემი ქვეყნის ამბავი! მიმღერე რამე.

—Ვერა,—უპასუხა არწივმა: შენი ფანჯარა ძლიერ პატარაა, ვერსად ჩამოვჯდები; ვერ გეტყვი ქვეყნის ამბავს, რადგანაც ძირს ძლიერ იშვიათად დავეშვები ხოლმე. Ბუდეს თვალუწვდენელ კლდეებსა და მაღალ მუხებზე ვაკეთებ, რომ ბოროტ ადამიანების მოშორებით მქონდეს ბინა. Ვერცა-რას გიმღერ: მიწაზე მე არასოდეს არა ვგალობ; როცა გალობა მინდა, მაღლა, ძლიერ მაღლა ავეშვები და ჩემს სიმღერას მხოლოდ მზე თუ მოისმენს.

ესა სთქვა და მძლავრი ფრთები ამპარტავნულად დაიქნია და ცის კამარაში ისე შორს მიიკარგა, რომ ტუსაღმა თვალიც ველარ მიაწვდინა.

—ბედო, ბედო! მითხარ რა ამბავია, ქვეყანაზე, მიმღერე რამე.

—ვერა, ვერ გიმღერ,—უპასუხა ბედმა: ვერას ბეტყვი, თუ რა ამბავია ქვეყანაზე; მე მუდამ ანკარა ცივ წყალში ვცურავ. როცა დილის ცისკარი ჩემს ტბას ვარდის ფრად ჩამოაშუქებს, ხმამაღლა მივესალმები ბრწყინვალე განთიადს. ვერც გიმღერ, რადგან მე მხოლოდ სიკვდილის წინა დღეს მჩვევია გალობა. ესა სთქვა ბედმა, მერმე გაჭირვებით აფრინდა და თავის გზას გაუდგა.

—ბელურებო, ბელურებო! დასხედით ჩემს ფანჯარაზე, მითხარით, რა ამბავია ქვეყანაზე, მიმღერეთ რამე.

—ჭყივ! ჭყივ! ჭყივ! ჩვენ შენთვის არა გვცალია: მეწისქვილეს მარცვლები დაბნევია; მის ასაკენკად მივეჩქარებით.

აი, მოფრინდა პაწია, ნაცრისფერი ჩიტუნია, კეკლუცად შემოტრიალდა და ფანჯარაზე დასკუპდა.

—ბამარჯობა, მეგობარო, მშვენიერო ბულბულო! დიდი მადლობელი ვარ შენი, საყვარელო ჩიტუნია, რომ მომიკითხე! მითხარ, რა ამბავია ქვეყანაზე, მიმღერე რამე.

—ბიამბობ და კიდეც გიმღერ,—სთქვა ბულბულმა, და ისეთი მომხიბლველი და სასიამოვნო სიმღერა შემოსძახა, რომ ტუსაღს სიხარულის ცრემლი მოერია, დაეცა თავის საგებ ჩალაზე და მორთო ქვითინი, შემდეგ გული მოიბრუნა და სულგანაბული სმენად გადიქცა.

—ბუშინ, დილით, ალიონზე,—გალობდა ბულბული,—საუცხოვოდ გრილოდა! მე შენს ეზოში მივფრინდი, შემოვჯექ ვარდის ბუჩქზე ღია ფანჯრის პირდაპირ და მოვრთე ჩემებური გალობა. შენი პაწია ვაჟი ქვეშსაგებში იწვა; გაეხილა ლამაზი ფართო თვალები და კითხულობდა: „სად არის მამილო?“ და თან ჩემს გალობას ყურს უგდებდა.

შენი ნათესავები ხშირათ გახსენებენ, მათ ახლაც ისე უყვარხარ, როგორც წინათ; შენი ნახვა ენატრებათ. ბული

გაიმაგრე! ღმერთი ხომ ხედავს, რომ დამნაშავე არა ხარ. მალე გამოგიშვებენ აქიდან და ხელახლა თავისუფალი შეიქნები: ნათელსა და წმიდა ჰაერს ისევ იგემებ. შენი პაწია შვილები გარს შემოგეხვევიან, მოგეალერსებიან, დაგკოცნიან. საღამოს ჟამს ჩამავალი მზის სხივით გაბრწყინვებულ ჩარდახში შენ უამბობ მათ, რა ტანჯვაც გამოიარე.

შენ ჩააგონებ შენს შვილებს, რომ ბოროტის წილ მათ სამაგიერო არავის გადაუხადონ, ბოროტი არავის მიაგონ, სთხოვონ ღმერთს, რომ ადამიანებს ძმებივით ერთმანეთი უყვარდესთ. შვილები უთუოდ შეიგნებენ შენს დარიგებას. როცა გაიზრდებიან, ნახავ: რომ ისინი იქნებიან პატიოსანნი, კეთილნი და გულმოწყალენი. შენც დიდხანს იცოცხლებ; თმა გაგითეთრდება, ღრმად მოხუცდები; მაგრამ გული-კი ცოცხალი და მხიარული გექნება. როცა მიიცვლები, ამ წუთისოფელს გამოეთხოვები, ყველა ლოცვა-კურთხევით მოგიხსენებს, ყველა ცრემლს დაგაფრქვევს და ბრწყინვალე მზიან დღეს დაგასაფლავებენ. შენს საფლავზე ვარდის ბუჩქს დარგვენ; მე ყოველ დილა-საღამოს იმ ბუჩქზე მჯდომარე შენს საფლავს ვუგალობებ და ვუმღერ.

დასწერეთ ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი.

კეთილისა წილ ბოროტი.

შუა ზაფხული იყო. მინდვრები და ქედები გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებია. იმ დღეს, რა დღიდანაც ჩვენს ამბავს ვიწყებთ, ასეთი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბული ასდიოდა, თითქო გახურებული თორნეაო. ქაცი სიცხისაგან დაოსებული, ძლივს სულს იბრუნებდა. ამისთანა დღეს საქონელ გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგენ მწკრივად ლოჭინის*) ხევის

*) ლოჭინი პატარა მდინარეა თფილისიდან აღმოსავლეთისაკენ 15 ვერსის მანძილზე.

პირს. ხევში წყალი გოლვისაგან ისე მილეულიყო, რომ ძლივს-ღა მიიპარებოდა ქვებ-შორის რიყეზე. საცოდავი მეურმეები, სიცხისაგან ქანც-გაწყვეტილნი, გულდაღმა გაშოთილიყვენ კონ-კილაზე აყენებულ ურმებს ქვეშ. ეველას ეძინა; მარტო ორი-ოდე ბიჭი, კალთებ-აწეულნი, იდგენ გუბის პირას და ხის ჯა-მებით წყალს ასხამდენ პირ-დაღებულ კამეჩებს, რომელნიც გუბეში ეყარენ. აქით, პატარა მოშორებით, თავი მოეყარათ ხარებს, ჩამდგარიყვენ გუბის პირას, თვალებ-დახუჭულნი იცოხ-ნებოდენ და კუდით მოუსვენარ ბუზებს იგერებდენ.

მზე გადიხარა: თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენა-ჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზე წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზე მინდვრად გასულიყო და სძოვდა გოლვისაგან გამხმარ ბალახსა. ,,ჰოო, ხიო!'' ისმოდა მეურმეების ხმაურობა. როცა შეაბეს და წინა მეურმემ შოლტი გამართა, რომ ხარებს გაუტყლაშუ-ნოს და დასძრას ურემი, მაშინ უეცრად ხევის ყურედან გზა-ზე ორი ყმაწვილი გამოვიდა. ორივეს ტანზე სალდათის მაუ-დის ,,კურტკები'' ეცვათ. ერთს მათგანს თავზე უშველებელი ერქეზული ქუდი ეხურა. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზე, რომ, ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებური უკოზიროკო ქუდი.

ჩერქეზულ ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებო-და, მეორე—ან თოთხმეტისა ან თუთხმეტისა. უფროსის პირი-სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტი და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალები, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადათ ამხილებდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გული იყო დამალული. მეორე, უმც-როსი, უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვა-ხედ გამოიყურებოდენ. წარბ-შეკრული იყო და გულ-დახურუ-ლი, თითქო რაღასაც ითმენს და თავის თავს ძალას ატანს,

შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზე არ წავიდოდა, შესამჩნევი არა იქნებოდა-რა—ავი კაცის კვალზე დადგებოდა, ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა. მეორეს-კი სხვა ნიშან-წყალი ჰქონდა.

—გამარჯობა თქვენი,—უთხრა მეურმეებს უფროსმა.

—აი, გაგიმარჯოსთ,—მისცეს პასუხი.

—თქვენ უთუოდ ქალაქს მიდიხართ.

—გამოცანა გერგება—დაუძახა დაცინვით ერთმა მეურმემ.

უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინვა და ლაქუცითაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზე, მაგრამ თავი მალე შეიკავა. ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია.

—აი დალახვრა ღმერთმა ავი კაცი!—წამოიძახა უფროსმა: ჩვენ თუქურმიშის შკოლაში ვიყავით, ჩვენ ორნივე ძმები ვართ, თავადიშვილები...

—ბეჟან! დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას და ისეთის თვალით შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტია. ეტყობოდა, რომ უმცროსს თავისი ძმის სიტყვა რაღაც არ მოეწონა და გაწყრა. ბეჟანმა თუმცა პირველში სიტყვა გაწყვიტა, მაგრამ მალე მოუტრიალდა გაწყვეტილს ამბავს და ძმას ყური აღარ ათხოვა.

—ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები, განაგრძო ბეჟანმა: მამა-ჩვენმა ქალაქიდან ერთი თუმანი გამოგვიგზავნა, როცა დაგითხოვონო, ერთი რუსის პოვოზკა დაიჭირეთ და წამოდითო. ჩვენც,—აი, ამოაგდო ღმერთმა ავი კაცის ქოქი,—ერთს რუსს გავურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში წავეყვანეთ. წამოგვიყვანა, გზაზე დუქანში დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოზკიდან, თვითონ შინ დაბრუნდა და ჩვენ ასე გამოგვისტუმრა. ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა.

უმცროსი მთლად აირია. მიტრიალდა, ზურგი მეურმეებს და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზესა.

—ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლა თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა,—დაიწყო ისევ უფროსმა: ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი; მამა ჩვენი შეძლებული კაცია...

უმცროსი მიუტრიალდა ძმას უფრო გულ-ამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.

—ბეჟან, გეყოფა, კარგი!... უთხრა უმცროსმა თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

—ოცი დღის უჭმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. აბა ახლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?

—ვაი ჩემს გამჩენს!—უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ: უცხო ქვეყანაში რად იქნებით!... ასე გგონიათ, სათათრეში იყვეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. ჰურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ! ასე ჩაგიყვანთ ქალაქს, რომ ქარიც არ მოგხვდესთ.

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზე რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ, მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდა და უკვირსო.

იმ დროულმა კაცმა ხურჯინი გახსნა, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე—მეორესა და პატარა ტიკჭორიდან ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა.

—ვაი შენს ჰეტრეს! დაიწყო იმავ დროულმა: ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ? შეექეცით, შვილო! ახლა კი ამ მშრალ ჰურს ჰურაძვიროობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამალამ-კი ასეთს

ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც-კი ტუჩები ილოკოს.

პეტრემ დაისვა ორივე თავის ურემზე: წასვლა უთხრეს წინა მეურმესა; დაიძრა ურმების ქარავანი. ამტვერდა მშრალი გზა.

იმავე დღეს, გლეხის ვახშმობის დროს, ეს მეურმეები ქალაქის პირში ღამის გასათევად დაბინავდენ, რადგანაც ქალაქში საქონლის ღამის ხარჯს მოერიდენ. მეურმეებმა თითოთითო ღერი შეშისა შორიდან წამოღებული გადმოიღეს ურმებიდან და ცეცხლი დაანთეს. პეტრემ თავის პატარა სტუმრებისათვის მწვადი შესწვა და, როგორც შეეძლო, გაუმასპინძლდა. ვახშამი სჭამეს. დაღალული მეურმეები დაეყარენ და ძილს მიეცენ. საქონელი მინდორზე საძოვრად გაიშალა. ღამის მეხრეები გვერდთ ედგენ ყარაულად. პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ თავისი ნაბადი გაუშალა და უთხრა:

—თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზე გდებას ვერ აიტანთ.

ყმაწვილები დაწვენ. პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარივით დაეძინა.

ბათენდა მტრედის ფრად. მეურმეები აიშალენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ველარა ნახა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ველარსად მოჰკრა.

—ვაი შენ, ჩემო თავო! დაიძახა პეტრემ, რაკი გული დააჯერა, რომ ყმაწვილები გაპარულან: აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი! გაპარულან!.. წაიღებდენ რასმე.

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. ქეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა:

—აკი იმ ძუძუმწოვარებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ: ჩემზე ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც-კი გავიგე. აი დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ახლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავსდვა. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: „მამი, დაბერდი, შორს გზაზე მეურმობაში ველარ გამოდგე-

ბიო.“ აკი ველარ გამოვდეგ, მე-კი მეგონა, აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზე. ჰაი, ტა, ტა, ტა... დავბერდი, დავჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამქურდეს! მერე, ვინა? ძუძუთა ბავშებმა! ჯიბე მომჭრეს, ჯიბე! ვაი, შენ, ჩემო, თავო!

—ბევრი წაიღეს? ჰკითხა ვილაცამ.

—სამი და ათი შაური,—მიუგო პეტრემ...

ილ. ჭავჭავაძე.

1. მეურმეების მგზავრობის დროს ლოჭინის ხეობის სურათი 2. მოსწავლე ყმაწვილების შეხვედრა. 3. პეტრეს კაცთმოყვარული მოპყრობა. 4. მოსწავლე ყმაწვილების საზიზღარი საქციელი.

მგელი და წერო.

ეს ეველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძღარნი არიან,
ჯამის დრო ძვალსაც და რბილსაც ერთად მუცლისკენ ჭგზავნიან.
ამ დორმუცლობამ ერთ მათგანს სულ აწუევლინა თავბედი,
ძვალი დაადგა მას ყელზე, გაჭერა სიცოცხლის იმედი.

სული უგუბდა, სახსნელად ვედარ ხმარობდა ხერხებსა,
აბრიალებდა თვალებსა, ფშეკდა მიწაზე ფეხებსა...
იღბლად გამოჩნდა იქ ახლოს წერო თვის გრძელი ნისკარტით;
მეის გასაჯირი თავისი მგელმა ანიშნა მას თათით.
ლმობიერებით შესტქერდა და გულით ეგედრებოდა,
ეპატრონა და მომაკვდავს რიოიმე მიშველებოდა.

ჩაუეო გრძელი ნისკარტი მგელს წერომ; დიდხანს ეწვალა,
გაჯირვებითა ყელიდან მას ძვალი ამოაცალა;
და შემდეგ რაკი ნადირი გადაარჩინა შავ-ბედსა,
გარჯისთვის თავაზიანად სასეიდელს სთხოვდა მცირედსა.

მგელმა შეჭუმუვლა: „ხუმრობ თუ? განა ვის ხედავ ტოლსაო?
შენც ფასსა ითხოვ ჯაფისას? შეხეთ ამ უმადლოსაო!
საჩუქრად ის არ გეეოფა, რომ ეგ სულელი თავიო.

ამ ჩემს საშიშარ კბილთაგან მოგლეჯას დავიცავიო!
გასწი, ძმიავ, გაფრთხილდი, კვლავ ადარ მოამხვდე ხელშიო,
თორემა ვედარ იხილავ ცის ნათელს თავის დღეშიო!“

ცახელი.

1. **მ**გლის უბედურება. 2. **წ**ეროს დახმარება. 3. **მ**გლის უმადურობა.

მტრული მეზობლობა.

უნათლოშვილები და **ქ**ერაძენი ახლო მეზობლები იყვენ, მაგრამ მეზობლობის მაგიერ მუდამ ერთმანეთის მტრობა ჰქონდათ. **ჯ**ერ კიდევ **უ**ნათლოშვილების მამის სიცოცხლეში ასტყდა ამათში დაუბოლოვებელი საჩივარი ერთს ნაჭერ მიწაზე, რომელიც მათს ეზოებს შუა მდებარეობდა. **ვ**ინ მოსთვლის, რა საშუალებას არ მიმართეს! ქრთამებს აძლევდენ, ერთმანეთს თავს ესხმოდენ, თავ-პირს ამტვრევდენ, ჭორებს უგონებდენ და ხალხში ერთმანეთს ლანძღავდენ. **ბ**ოლოს სამსჯავრომ სადავო მიწა მიუსაჯა **უ**ნათლოშვილს. **მ**აგრამ სამსჯავროში საქმის დაბოლოებით მტრობა მათ შორის არათუ არ დაცხრა, უფრო გამწვავდა. **ქ**ერაძე ყველას ეუბნებოდა, **უ**ნათლოშვილმა ქრთამით გაიმარჯვა, თორემ სადაო მიწა მე მეკუთნოდაო. **რ**ოცა **უ**ნათლოშვილი მოკვდა, **ბ**აგრატ **ქ**ერაძემ ისევ მოინდომა მისი ობლების მიწის მითვისება, დაუწყო კიდეც საყანედ ღობვა. **ქ**ვრივმა **ბ**აბალემ გამოუცხადა ადგილობრივ პოლიციას—ძალით მართმევს საჩივრით მოგებულ ადგილსაო. **პ**ოლიციამ გამოიკვლია საქმის გარემოება და **ბ**აგრატას აუკრძალა **უ**ნათლოშვილის ადგილში მუშაობა. **ხ**ელახლად დამარცხებით გაბრაზებული **ბ**აგრატა ახლა მხოლოდ შემთხვევას უცდიდა: ვუშოვნი ყელს, რომ ჯავრიამოვიყაროვო. **მ**ალე მარჯვე დროც კარზე მოადგა: **ბ**აბალეს ძროხა შესულიყო **ბ**აგრატას ღომში, დილიდან საღამომდი ზოგი მოეჭამა და ზოგიც ფეხით გაეფუჭებია. **ბ**აგრატამ რომ ეს ნახა, გაცეცხლებული მივარდა და **ბ**აბალეს ძროხას თავი გააგდებია. **ბ**ევრი ცრემლი დაიღვარა **უ**ნათლოშვილის ქვრივ-ობლებისა ამ ძროხისა გამო.

ეს ძროხა იყო იმათი მარჩენალი, ობლებისთვის ეს მეორე დედა იყო და კიდეც ,,დედას'' ეძახდენ. ძროხის დაკვლას შემდეგ კარგა ხანს პატარა ოქრუა, გაიგონებდა თუ არა სადმე ბღავილს, სიხარულით მირბოდა დედასთან—,,ჩვენი დედანაი ბღავაო.''—სადღაა, შვილო, დედანაი! ისე ბაგრატამ ნახა ცოლშვილი, როგორც აწი ჩვენ დედანაი ვნახოთ! ტირილით ეტყოდა ბაბალე შვილს. წყევლაზე მეტს ბაბალე ვერაფერს ახერხებდა. მართალია, მამასახლისს შეეხვეწა, მაგრამ მამასახლისი ბაგრატამ როგორღაც გადაიბირა. „საქონელი რომ სხვის ყანაში ჩავა, მოკვლენ, კანონი ესეა, და მე რა ვქნაო“ —ეუბნებოდა მამასახლისი ბაბალეს.

ბაგრატა და მისი ცოლშვილი სიხარულით ცას ეწეოდენ, როცა უნათლოშვილის ქვრივ-ობლებს მტირალს ხედავდენ. „არ იცოდა, ვუშოვნიდი ყელს, ქრთამით რომ გაიმარჯვა და მიწა წამართვა! მაცალოს პატარა, კიდევ უარესს ვუზამ!'' ამბობდა ბაგრატა. მაგრამ აგერ ვიღამაც ურჩია ბაბალეს: „მამასახლისს რომ ჩასციებიხარ, „სუდში“ უჩივლე, ძროხასაც ამოიღებ და ნაცთურსაცო.“ ბაბალემ, მართლაც, დაუწყო ბაგრატას საჩივარი სამსაჯულოში. აქ ვექილიც გამოუჩნდა ბაბალეს, რომელმაც საქმის წარმოება იკისრა. მოსდგენ საწყალ ბაგრატა ქერაძეს და ბარე ცხრა თუმანი წაართვეს. საბრალო ბაგრატა ამ ფულის გადახდამ იმდენათ გააღატაკა, რომ კინაღამ კერა გაუცივდა. ამას შემდეგ გული არ მოუშლიდა ბაგრატას, უნათლოშვილის ქვრივ-ობოლნი დაეკლა, ან ამათ სახლისთვის ცეცხლი წაეკიდებია, კარები დაეკეტა და ისე ცოცხლად დაეწვა; მაგრამ სასჯელისა ეშინოდა, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვერ მიმართა ასეთ საშუალებას. როცა უნათლოშვილის ობლები სოფონა და ოქრუა წამოიზარდენ, ერთხელ კიდეც მოხდა ამათ და ქერაძეს შორის შეტაკება; ეს შეტაკება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: უნათლოშვილებისას მისასვლელი საურმე გზა ბაგრატ ქერაძის ეზოს გვერდით მიდიოდა. ერთი მხრით ამ გზას რუ ჰქონდა საზღვრათ, მეორე მხრით—ქერაძის ეზოს ღობე. რუ ცოტცოტაობით თხრიდა

მიწას, ამიტომ გზა თანდათან ვიწროვდებოდა. ერთხელ წყალ-დიდობის დროს, რომ იმდენზე მოარღვია მიწა, რომ უნათლო-შვილებს საცალფეხო გზა ძლივსღა დარჩათ. ამ გარემოებამ მეტათ შეაწუხა უნათლოშვილები. ბლეხკაცებისთვის საურმე გზა მოუცილებელი საჭიროებაა. სხვა რაღა უნდა ექნათ, მო-იხარეს თავი სოფონამ და ოქრუამ და გაუგზავნეს მოციქული ბაგრატას: „ან ფულად მოგვყიდე იმოდენა მიწა, რომ ურმის გზათ გვეყოს, და ან სამაგიერო მიწაზე გაგვიცვალეო. სადაც შენ ამოირჩევ ჩვენს ადგილებში, სამაგიეროთ იმას მოგართ-მევთო.“

—ათასი მანეთი რო მომცეთ, არც ფულად მოგყიდით და არც სამაგიეროზე გაგიცვლითო, შემოუთვალა ბაგრატამ პასუხათ. რა კაი მოყვრებია იგინი ჩემი, რომ ეზო გავარღვიო იმათი გულისთვის! მოიცადონ პატარა, ჯერ სადაა, აუტირდე-ბათ დედა!—ამბობდა დოინჯ-შემოყრილი ბაგრატა.

შინაურულად რომ ჭერაძესთან ვეღარ მორიგდენ, უნათ-ლოშვილებმა ახლა მამასახლისს მიმართეს თხოვნით— ბაგრა-ტას საურმე გზისთვის მიწა მოაცემინეთო. მაგრამ ბაგრატას მამასახლისი ამისთანებში, როგორც ყოველთვის, გადაბირებული ჰყავდა.

—რა ვქნა, ნებით არ გაძლევთ და ძალით ეზოს ვერ გავარღვევო,—ეუბნებოდა მამასახლისი უნათლოშვილებს. უგზოობით რომ მეტისმეტად გაუჭირდათ, უნათლოშვილებმა ძალმომრეობას მიმართეს: ერთ დილას, როცა ბაგრატა და მისი ვაჟები სხვაგან იყვენ, სოფონამ და ოქრუამ ბაგრატას ლობე გაარღვიეს და ხარითა და ურმით ეზოზე გაიარეს. ბაგრატას ცოლი და ქალიშვილი წივილ-კივილით დაუხვდენ წინ უნათლოშვილებს, მაგრამ ქალებს როგორ შეუშინდებო-და ორი ვაჟკაცი! ბაგრატას ცოლი და ქალი წივილ-კივილითა და ლანძღვა-გინებით რომ ვერას გახდენ, ბაგრატასთან გაიქ-ცენ. ბაგრატა და მისი ორი ვაჟი მეტათ ააღელვა უნათლოშვი-ლების მოქმედებამ. ისინი საჩქაროდ კეტებით მოვარდენ შინ და უნათლოშვილებს ლოდინი დაუწყეს, რომ მათთვის თავ-

პირი დაემტვრიათ, თუ კიდევ ეზოში გავლას გაბედავდენ. საღამოს სოფონამ და ოქრუამ დატვირთული ურემი მოაჭრიალეს და ის იყო, შევიდენ თუ არა ძერაძის ეზოში, ბაგრატა და მისი შვილები კეტებით მიუვარდენ და ხარსა და კაცს გაურჩევლად დაუშინეს. უნათლოშვილებმა წინდაწინვე იცოდენ, რომ ბაგრატა უჩხუბრათ არ გაუშვებდა მათ ეზოში და თვითონაც კეტებით მომზადებული იყვენ. ისე გამეტებითა სცემდენ ერთმანეთს, რომ გეგონებოდათ ეს-ეს არის ერთმანეთი დახოცესო. ჩხუბში ბაბალე და ბაგრატას ცოლიც მივიდენ და ერთმანეთს თმაში ეცენ. ამასობაში მეზობლებმა მოუსწრეს და მაჩხუბრები გააშველეს, მაგრამ გაშველებამდი ორივე მხარემ საკმაოდ დაჟეჟეს ერთმანეთი: ბაგრატას თავი ჰქონდა გატეხილი და ჭალარა თმა სისხლით შეღებილი; სოფონასთვის შუბლში დაეკრათ კეტი და სისხლი ჩამოსდიოდა; ბაგრატას უფროს ვაჟს მხარი ჰქონდა დაშავებული; ბაგრატას ცოლს და ბაბალეს ერთმანეთისათვის სახე საშინლათ დაეკაწრათ; ოქრუასათვისაც დაეკრათ თავში, მაგრამ მაინც და მაინც არა ჰქონდა დაშავებული. საბრალო ხარებსაც ხომ ბევრი მოხვდა, მაგრამ არაფერი მოსტეხოდა, თუმცა ბაგრატას ძლიერ უნდოდა ორივე ხარისთვის თეძოები დაემტვრია. მხოლოდ ბაგრატას უმცროსი ვაჟი გადარჩენილიყო უვნებლად, რადგანაც შეშინებოდა და ჩხუბში არ გარეულიყო. ის მხოლოდ შორი-ახლოს დარბოდა და ყვიროდა: „მომეხმარეთ, მოკლეს ბაბაი!“

ამ ჩხუბის გამო, სოფონა და ოქრუა რამდენსამე თვეს ჩასვეს სატუსაღოში, რადგანაც მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ ძალათ გაერღვიათ ძერაძის ეზო, ჩხუბიც პირველათ იმათ აეტეხათ და ბაგრატასათვისაც კეტი პირველათ იმათ დაეკრათ. ბაგრატა სრული კმაყოფილი იყო სამართლის განაჩენისა და უხაროდა, რომ მისი მტრები საპატიმროში ისხდენ; მაგრამ, როცა სოფონა და ოქრუა სატუსაღოდან გამოვიდენ, დაიწყეს გზის შესახებ საჩივარი. მსაჯულმა თვითონ თავის თვალით ნახა, რომ უნათლოშვილები უგზოობით მეტათ შეწუხებული იყვენ და ამიტომ მიუსაჯა: „ბაგრატა ძერაძემ მისცეს უნათლო-

შვილებს საურმე გზისთვის მიწა თავის ეზოში; ხოლო უნათ
ლოშვილებმა მიუზღონ ბაგრატას მიწის ფასად შვიდი მან
თიო". ამ განაჩენით ბაგრატა უნათლოშვილებისაგან ხელა
ლად დამარცხდა.

უნათლოშვილებისთვისა ვყოფილვარ გაჩენილი, ყოველი
ფერში მაჯობეს და რაღა უნდა ვქნაო,—ჩიოდა გულდათ
თქული ბაგრატა და თან ღმერთს ეხვეწებოდა: „ერთი, ერთ
იმათი საწყენი საქმე შემაძლებიეთ."

ეგ. ნინოშვილი.

1. მეზობლების გადამტერების მიზეზი და ბაგრატას დამარცხებ
2. ბაგრატას შურისძიება და მისი ხელახალი დამარცხება. 3. გზის გამ
შეტაკება, ბაგრატას მესამე დამარცხება და მისი ბოროტი ნატვრა.—დ
სწერეთ მოთხრობის შინაარსი ამ კითხვების შემწეობით.

კაცია საგუნაშვილის ჯიუტობა.

1. ქარგა ხანმა გაიარა მას აქით, რაც ქაცია საგუნაშვილ
მა ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა დ
აღარ დაუმუშავებია, ღობეც აღარ გაუყოლებია მის გარშემო
ადგილი მოღალული იყო, თითქმის აღარაფერს იძლეოდ
სოფლელებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და ამ შესვენ
ბულ ადგილზე სიარული დაიწყეს, რადგანაც ამ ახალი გზი
ერთობ ემარჯვებოდათ სიარული მახლობლად მდებარე ბაღ
რიან დაბაშიც და საყანეებზედაც. ძველი გზა, რომელი
სრულიად წამხდარიყო, მიივიწყეს, რადგან ქაციას ადგილზ
სიარულის დამშლელი არავინ იყო. ქაცია თავის მხრით დ
რწმუნებული იყო, რომ, როცა-კი მოინდომებდა, ყოველთვ
შეკრავდა თავის ადგილს. მაგრამ ბოლოს სულ სხვა გამოდგ
როცა ქაციამ ერთ დღეს გაშვებული საყანის შემოღობვა მ
ინდომა, მეზობლებმა მოსთხოვეს, ერთი ნაწილი გზათ დატ
ვეო. ქაცია ამაზე ავარდა-დავარდა, ყური არავის ათხოვა, ღო
ვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევ მოურღვიეს. დაიწყო მუქარ
მოვკლავ ვისმე ამ ჩემს ადგილზედაო, მაგრამ მაინც არავ

შეეპუა—მით უფრო, რომ ყველასათვის ეგ იყო ერთადერთი გზა. საქმე სოფლის სასამართლომდი მივიდა. მოსამართლენი მოვიდენ, დაათვალიერეს ის ადგილიც, სადაც ძველი გზა მიდიოდა, ეს ახალი სადავო გზაც და გადასწყვიტეს: „რადგანაც ძველი გზა მეტისმეტად გაფუჭებულია და მისი შეკეთება ყოვლად შეუძლებელია, ამის გამო ქაციას ადგილს უნდა ჩამოეჭრას ერთი ნაწილი ახალი გზისათვის.“ ქაციას გარდა ერთმეოდა ცოტა მიწა მის მეზობელ ერთ გლეხსაც. ეს უკანასკნელი ადვილად დაითანხმეს, ქაცია-კი ვერაფრით ვერ დააწყნარეს, ვერ ჩააგონეს, რომ სოფლისათვის უნდა დაეთმო ის ცოტაოდენი მიწა.

—ღვთით, არაფერი გიჭირს, სხვა ადგილებიც გაქვს; ბევრი-ბევრი, ორი ბათმანი მოვიდეს ამ ჩამონაჭერზე... უნდა დაუთმო სოფელს, აბა რა ქნას სოფელმა?—ეუბნებოდენ ქაციას.

—ძველ გზაზე იაროს!

—რომ აღარ შეიძლება იმ გზით სიარული, შე კაცო, განა შენ თითონ არ იცი?..

—მერე, მე რა?.. სადაც გინდათ, იქ გააკეთეთ ახალი გზა... მე-კი ჩემსას არავის დავანებებ... რაში დავუთმო სოფელს ჩემი ადგილი—და მე მშიერი დავრჩე? გაჯავრებით ეუბნებოდა ქაცია.

—შე კაცო, აქამდი ასე იოლად რჩებოდი ამ ადგილით, ახლა-კი გიმძიმს ორი მტკაველა მიწის ჩამოჭრა? რა უნდა დაგაკლოს ამ ცოტაოდენის დათმობამ,—მერე საზოგადოებისათვის!.. უთხრა ანდრიამ, რომელიც სოფლის ერთი მოსამართლეთაგანი იყო.

—საზოგადოებისათვის-კი არა, ის კიდევ!... მითქვამს—არ დაგითმობთ... მორჩა, გათავდა... სოფელი ფეხებზე მკიდია! გაჯავრებით წამოიძახა ქაციამ.

—სასამართლოს განაჩენი რომ შესდგა, მეტი რა გზა გაქვს, არ დაუმორჩილდე!... უთხრა მეორე მოსამართლემ, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა ქაციას ჯიუტობამ.

—ბლახა ანთიმოზა გგონივარ განა, რომ თქენს წინ მასავით თავი მოვიხარო?... დიაღ!.. „მიროი სუდში“ ვიჩივლებ... თუ საჭირო იქნება, „ოკრუჟნი სუდშიაც“ გიახლები... იმას ნუ იფიქრებთ, მე თქვენ ჩემი თავი დაგაჯაბნებიოთ!

—ტყუილად გაირჯები, ჩემო ქაცია, ამ საქმეს სხვაგან არსად არ მიიღებენ გასარჩევად, არც „მიროი სუდია“ და არც ,,ოკრუჟნი‘‘—უთხრა ანდრიამ.

—თუ არ მიიღებენ, სხვა გზასაც მოვნახავ, სადაც პასუხს აგებთ თქვენის უსამართლობისათვის... კი მიგაცემიებთ პასუხს, სადაც იქნება... ნამეტურ შენ, ვაჟბატონო! შენ რომ დიდი მოლაქლაქე ბძანდები!—მიუბრუნდა კაცია ანდრიას—შენ გგონია, შეგაწევ ჩემს დაჯაბნებას!!.. მოგიკვდეს მაშინ ქაცია, შენი წიხლი დამკარი... ქაცია არ ვიქნები, თუ შენი დაბადების დღე შენვე არ გაწყევლიო!—ყვიროდა ძალზე გაჯავრებული ქაცია. ახლა-კი რაც გინდათ, ის ქენით! და განრისხებულმა ქაციამ ჩქარი ნაბიჯით თავის სახლისკენ გასწია.

—რა უნდა ელაპარაკო ამისთანა კაცს? მხრების აწევით სთქვა ანდრიამ და მან თვალი გააყოლა კაციას, რომელიც ჯერ კიდევ ორღობეს არ გასცილებოდა.

დ. კლდიაშვილი.

1. ქაცია საგუნაშვილი თავისთვის გამოუსადეგარ მიწას მეზობლებს გზად არ უთმობს. 2. მეზობლებისა და ქაციას დავა და სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილება. 3. ქაციას მუქარა.

კაციას შურისძიება.

2. ქაციამ აასრულა თავისი სიტყვა. აღარც თავი დაიზოგა, აღარც თავის მოხუცებულობას მოერიდა, ბევრი იწანწალა, ორიოდე ადვოკატთანაც იყო ძღვნით, მაგრამ ვერაგააწყო-რა. ანდრიას სიტყვა მართალი გამოდგა და ეს უფრო ჭკოვანდა მოხუცებულს.

Აენთო ქაცია. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც არა ღონისძიებას არ დაერიდებოდა, ოღონდ-კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა, განსაკუთრებით იმ გაიძვერა, მოტიკტიკე ანდრიაზე, რომელიც თავი და ბოლო იყო სოფლის მოსამართლეთა შორის. ქაციას ერთი გზა-ღა დარჩა თავის შემავიწროებელთა მოთავის დასასჯელად და კიდევაც გადასწყვიტა მიემართა ხატისათვის; გარდაწყვეტილება აღსულებაში მოიყვანა და კიდეც ჩაუგდო ხატს ხელში, გადასცა ანდრია წმ. გიორგის ხატზე.

ამ დღიდან ქაცია გულდამშვიდებული ელოდა წმ. გიორგისაგან ანდრიას და მის ამყოლთა საჯაროდ დასჯას. ეჭვი არ ჰქონდა, წმ. გიორგი უსათუოდ დასჯიდა ანდრიასაც და მასთან მის უკულმართ მოსამართლე ამხანაგებსაც,—ეს მტკიცედ სწამდა ქაციას.

—დამაცათ, შვილებო, ისევ თქვენვე შემეხვეწებით, ადგილი ჩავიბარო, როცა ჩემი გამჩენი შავს დღეს დაგაყენებსთ!.. ველარსად იჩივლებო!!.. აბა ვნახოთ!.. ღმერთიც დაივიწყეთ?!.. ვითომ იმას ამ სოფლის აღარაფერი ეყურება... ჰაი გიდი, რა ნაირი ხალხი იზრდება?!... ხშირად იმეორებდა ხოლმე ქაცია.

დრო და ხანი გადიოდა, მაგრამ წმინდანის რისხვის ნიშნები-კი არსად სჩანდა. ქაციას მოუთმენლობა დაეტყო. ნეტა წმ. გიორგი ამდენს ხანს უვნებლად რად ატარებს ანდრიას და არაფრით არ იჩენს მაზე თავის სასწაულს?! ამ მოუთმენლობას ის უფრო უმატებდა, რომ ამ ბოლოს დროს ანდრიასაც მეტი რაღაც მხიარულება ემჩნეოდა, იგი უფრო გათამამდა და, როგორც სხვები ეუბნებოდენ ქაციას, ვითომ არაფრათ აგდებდა ქაციასაგან ხატზე გადაცემას. პირველ ხანებში, მართალია, ანდრია შეშინდა, თუმცა თავისი სიმართლის იმედი ჰქონდა; ორჯერ შესაწირავიც მიართვა წმინდანს; მაგრამ მერე, როცა ხანმა გაიარა და იმის ცხოვრებაში ისეთი არა მომხდარა-რა, დაიმედდა და სრულიად მიივიწყა, რომ ქაციასაგან გადაცემული იყო.

ქაცია სულ ერთიანად აამღვრია ანდრიას ამგვარმა უდარდელმა ყოფაქცევამ. ახლა ის ანდრიასთან ერთად წმ. გი-

ორგისაც ემდუროდა და ამ სამდურავს ხმამაღლა წარმოსთქვამდა ხოლმე. ეკლესიაში რომ იდგა, ხშირად თვალმოუშორებლად და საყვედურით მისჩერებოდა წმ. გიორგის ხატს, თითქო უნდოდა ამით გაეგებინებია წმინდასათვის: „ნუ დაგავიწყდა, რასაც გთხოვდიო!“

ვერაფერ საქმეს ხელს ველარ ჰკიდებდა, აღარაფერი აღარ ახსოვდა კაციას იმის მეტი, რომ—ის დაექადნა, წმინდანის შემწეობით ანდრიას ჯავრს ამოვიყრიო, მაგრამ ვერც ეს აასრულა და თვით წმინდანმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას.

დიდმარხვამ გაიარა. კაცია, რომელიც ყოველ წელიწადს ამ დროს ეზიარებოდა ხოლმე, წრეულს არ ზიარებულა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ იმის გულს ამ სამხიარულო დღესაც არ გაუხარია.

აპრილის მშვენიერი დილა იყო, აღდგომის მეორე დღე; ეკლესიაზე მრავალი ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვეულებისამებრ, დღეს ხატებით უნდა შემოევლოთ ეკლესიისათვის და მერე მღვდელს ხალხი უნდა დაელოცა. წირვა გათავდა. ეკლესიიდან ხალხმა გამოსვლა დაიწყო.

—ყველა გავყვეთ ხატებს, ყველა! დაიძახა ვილამაც.

—უთუოდ, უთუოდ!.. აბა რისთვის მოსულხართ... სეირს უყურეთ თუ?—დაუმატა მეორემ.

—უტიეთ, ყმაწვილებო, გზა მიეცით!.. რატომ იცით კარებში გაჩერება,—მიაძახა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა რამდენსამე კაცს, რომელნიც ეკლესიის კარებთან შეჩერდენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდენ,—ვერ ხედავთ, ხატებს მოასვენებენ!

მართლაც, კარებში გამოჩნდა რამდენიმე გლეხი, ხატებს მოასვენებდა, მათ უკან მოყვებოდა შემოსილი მღვდელი სასხურით მარჯვენა ხელში და ჯვრით მარცხენაში. მღვდელი თან ჯვარს სახავდა ხალხს და თან წმინდა აიაზმის წყალს ასხურებდა.

—ნუ გაჩერებულხართ, ყველანი გამოყევით ხატებს... ეკლესიას შემოვუაროთ... კირილე, პეტრე, ვის უყურებთ!... ეკლესიას შემოუარეთ! უძახოდა მღვდელი ხალხს.

—Კირი-ე-ლე-ისონ! კირიე-ლეი-სონ! გაიძახოდა იმდენი ხალხი და წყნარი ნაბიჯით მიყვებოდა უკან ხატებს. უკვე სამჯერ შემოუარეს ეკლესიას და შემდეგ ხატები გალავანში გაიტანეს და იქ დაასვენეს.

ხალხი გარს შემოეხვია მღვდელს. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ლოცვა წაიკითხა და ხალხს უბრძანა, ხატების წინ მუხლი მოიყარეთო.

—წმინდაო გიორგი! მიმართა მღვდელმა წმ. გიორგის ხატს, რომლის სახელიც ერქვა ამ ეკლესიას: წმინდაო გიორგი! ყველა ესენი შენი ყმები არიან, შენი მოსავნი, შენს მფარველობას ქვეშე მყოფნი, შენი მავედრებელნი და გეხვეწებიან მუხლმოდრეკილნი, რათა შეისმინო მათი ვედრება: ნუ მოაკლებ ამათ ნუგეშინის-ცემას, წყალობას შენსას, განაშორე ყოველივე ბოროტი, განაძლიერე ამათში კეთილი, დათრგუნე ავი და შთანერგე შიში და სასოება, რათა ადიდონ სახელი შენი, ჩვენო მფარველო, ჩვენო სასოებავ, ჩვენო ბატონო, უკუნითი უკუნისამდე!...

— ამინ, ამინ! ისმოდა ყოველი მხრიდან.

ჯერ კიდევ მღვდელს არა ჰქონდა გათავებული ვედრების სიტყვა, რომ მოშორებით მდგარი ქაცია საგუნაშვილი წამოიჭრა წინ, მისწი-მოსწია დაჩოქილი ხალხი და ერთ წამში წმ. გიორგის ხატთან გაჩნდა.

—ჩვენი რამე განა ესმის ახლა მაგას?.. განა მე ძაღლი ვიყავი, ჩემი რომ არ შეისმინა?.. აბა რაღა ვთქვა!.. საშინელი ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა.

ეს ისე სწრაფად, ერთის თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ ვერ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება. მღვდელი გაფითრებული, გონება-დაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს.

—რას ამბობ, შე შეჩვენებულო?—მიაძახეს აქით-იქიდან ქაციას. ვიღაცამ ხელიც ჰკრა; ქაცია წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

—ქაცია, გაგიჟდი?

—ჭკუაზე შეიშალე?—უყვიროდენ გარშემო.

—რა ქნა ამ შეჩვენებულმა!.. უმაგალითო საქმე არ ჩაიდინა?!... ამბობდენ გაოცებული მაყურებელნი.

—რაო, რა თქვა?—კითხულობდენ მოშორებით მდგომნი.

—წმ. გიორგის ხატი ჰგმო!.. იყო პასუხი.

—ქაცია საგუნაშვილმა ხატი ჰგმო!.. ქაციამ ხატი ჰგმო! ისმოდა ყველგან და ამ ამბავმა ელვასავით შემოირბინა აქაურობა.

—რატომ ჰქნა მაგ შეჩვენებულმა ეგ ამბავი? კითხულობდენ ზოგიერთნი.

—ანდრია ჭურაშვილი ჰყავდა გადაცემული და რატომ წმ. გიორგიმ არ დასაჯაო!

—ვაი, გაგიჟებულა, ნამდვილ გაგიჟებულა ეგ უბედური! ამბობდენ და ყველას თვალი მიქცეული ჰქონდა ამ საკვირველ მოხუცებულისკენ, რომელსაც გრძელი ჯოხი დაებიჯებია და გალავნის ჭიშკრისაკენ დინჯად მიდიოდა.

დ. კლდიაშვლი.

1. ქაცია რომ სასამართლოში გამტყუნდა, მეზობლების დასასჯელად რა გზას დაადგა? 2. რა მდგომარეობაში ჩავარდა ქაცია მეზობლების ხატზე გადაცემის შემდეგ? 3. ქაციას-მიერ ხატის გმობა.

ქაცია საგუნაშვილის სიკვდილი.

3. შეცრად ქალის საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა.—მომკალით!.. მომკალით!.. რა დღეს შევესწარი!... მომკალით!.. ვაიმე, ვაიმე!.. რათა ვარ ცოცხალი მე წაწყმედილი!! კიოდა მოხუცებული დედაკაცი, რომელიც მორბოდა იმ მხრიდან, სადაც ქალები იდგენ ცალკე.

ეს იყო ქაციას ცოლი დოდო.

—სადაა, სად ის შეჩვენებული?!.. სად არის?.. თვალით დამანახეთ ერთი!—სასოწარკვეთილებით გაიძახოდა დოდო.

—ეგერ მიდის, დედავ, აი, ჭიშკართან!—მიუთითეს ქაციაზე. დოდოს თითქო დაავიწდა თავისი მოხუცებულობა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაექანა ქაციასკენ.

—Სად მიხვალ?.. სად ჯანდაბაში მიყავხარ ეშმაკს, შე წყეულო?! სად მიეთრევი... სად მიეთრევი, შე სამიწევ?! მირბოდა და თან კიოდა ლოდო. Ის-იყო, ქაციამ გალავნის ჭიშკარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია.

—Სად ეშმაკებში მიხვალ?.. სად ჯანდაბას მიხვალ?.. Ახლავე დაბრუნდი... დაბრუნდი-მეთქი და ხატს შესთხოვე გაპატიოს!.. გესმის ჩემი თუ არა?.. შესაზარი ხმით მიაყვირა ქაციას ლოდომ.

—Იქით!.. მომშორდი!.. ყრუდ წაილაპარაკა ქაციამ და სცადა ჩოხის კალთა გაეთავისუფლებია ლოდოს ხელიდან.

—Თავს გაგიხეთქ, დაბრუნდი თვარა!.. თავს გაგიხეთქ!.. დაბრუნდი, გეუბნები... ახლავე ბოდიში მოიხადე, შავ დღეზე გაჩენილო!.. გესმის ჩემი თუ არა, შენ!? და ლოდომ ერთი მძლავრად გამოსწია ქაციას ჩოხის კალთა; მოხუცებული კინალამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიმაგრა, გულმოსულმა მოიქნია ჯოხი, რომელიც ისე მძიმედ მოხვდა ლოდოს ხელზე, რომ კინალამ მაჯები დასწყვიტა. ქალმა სიმწრისაგან დაიკივლა და ჩოხის კალთები ხელიდან გაუშვა.

—Მომკალი, შე წყეულო!.. მომკალი!.. დაიკვნესა ლოდომ; ღვარივით გადმონადენმა ცრემლებმა თვალები აუვსო. Ბარეტიანებული მისჩერებოდა სახლისკენ მიმავალს თავის უბედურ ქმარს. Მერე უცბად მოტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ეკლესიისკენ, მივიდა მღვდელთან, რომელიც ხალხს ელაპარაკებოდა და მას ფეხებში ჩაუვარდა.

—Მიშველე, შენ მიშველე, ბატონო!.. მიშველე, შენი მუხლის ჭირიმე, ჩემო მოძღვარო!.. ვაიმე, ვაიმე!.. მიშველე, შენ დაგენაცვლე, ჩემო ბატონო!.. მწარე ქვითინით მოსთქვამდა პირქვე დამხობილი მოხუცებული დედაკაცი:—მიშუამდგომლე წმინდანთან... გადამერია კაცი!.. ვაიმე, ვაიმე!...

—Ადექ, შვილო, ადექ!... ნუ გეშინია, შვილო,—მოხუცებული მღვდელი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს, ამ დედაკაცის უსაზღვრო მწუხარებას რომ ხედავდა.—ნუ გეშინია...

წმ. ბიორგი ყურადღებასაც არ მიაქცევს მაგის უგუნურებით ჩადენილს საქციელს!... ოღონდ ილოცე, შვილო, ეეედრე და სულგრძელი წმინდანი შეუნდობს, თუ შენი ქმარი თავის ცოდვას შეინანებს... შედი, შვილო, ეკლესიაში: წმ. ბიორგის დაუჩოქე და ეეედრე... ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა და სულგრძელი!...

მღვდელმა გადასახა ჯვარი დედაკაცს; დოდო ხელზე ემთხვია, მერე შეეიდა ეკლესიაში და იქ, წმ. ბიორგის ხატის წინ, მუხლმოდრეკილი დიდხანს ეეედრებოდა ცხარე ცრემლით მტირალი, რათა შეენდო ყოვლადმოწყალე წმინდანს ქმრისთვის უგუნურობით ჩადენილი საზარელი საქციელი.

მღვდელი კი ისევ ხალხს ელაპარაკებოდა.

—ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ თავზე... თუ რამე დავიჟინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყოთ... უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იქნას ყოველისფერი და, თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის—ხშირად არც-კი გვინდა, ვიცოდეთ, და აი, სადამდი მივყავართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც-კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... ამაზე მეტი შეიძლება!.. აი სადამდი მივყავართ ჩვენს ახირებას... აი სადამდი მიდის ჩვენი უგუნური გულისწყრომა... დამშვიდდით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება... რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგირჩესთ!

იმ სამახსოვრო დღიდან საკვირვლად გამოიცვალა კაცია. ძვირად უნახავთ, რომ ვისმე დალაპარაკებოდა. თავის ოჯახშიაც ცალკე ყოფნას ცდილობდა ყოველთვის. ხანდახან, დოდო რომ მასთან ლაპარაკს დააპირებდა, კაცია წამოდგებოდა, აიღებდა ჯოხს და სადღაც მიეშურებოდა. ბოლოს, უწყინარ შეშლილს დაემსგავსა. მოტყდა კაცია, უცნაურად მალე მოტყდა, სრულიად დაბერდა და მოიკუმშა ამასწინად წარმოსადეგი

კაცი,—ეტყობოდა, რომ იგი სწუხდა, სწუხდა გადამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა.

ერთხელ ისე მეტისმეტად შეწუხდა, რომ მთელი ოჯახი ფეხზე დადგა.

—არიქა, ბიჭო გიორგი, მღვდელთან!.. მალე! შეჰყვირა დოდომ თავის ვაჟს.

—არ მინდა, არა!.. ძლივს წამოილუღლუღა ქაციამ, რომელიც საზარლად კვნესოდა ტახტზე მწოლარე.

—მალე, შვილო, მალე!.. უზიარებლად არ მოკვდეს ეს შავ დღეზე გაჩენილი!.. ღმერთო დიდებულო, მოხედე შენის მოწყალე თვალით!.. და დოდო რომ ავათმყოფთან ფუსფუსობდა, გიორგი მღვდელთან მირბოდა თავ-მოძულებით.

ცოტა ხანს იქით ქაციას მღვდელი თავზე ადგა.

—რას შვრები, ქაცია?.. როგორ ხარ? ჰკითხა მღვდელმა.

ქაციამ ჯერ ხმა არ გასცა, მერე გადმოხედა, მიაპყრა თვალები, დიდხანს უყურა, ხელი გამოართვა, წამოიწია, ემთხვია ხელზე, მერე უცბად ისევ დაწვა, კედლისკენ პირი ქნა და ვეება დევი-კაცი ბავშივით ატირდა სიტყვის უთქმელად. ამ მწარე, საცოდავათ მოთქმამ მღვდელს გული აუჩჩვილა; თვალ-ცრემლიანი ის გულმხურვალედ ლოცულობდა და თან ნუგეშს აძლევდა საცოდავ მოხუცებულს. ქაცია ეზიარა.

რამდენსამე დღეს შემდეგ მოხუცებული მოკვდა საშინელს ტანჯვაში. საწყალი ბერიკაცი თავის გულს შემოაკვდა; გულ-ფიცხობამ იმ ზომამდი მიიყვანა, რომ უმაგალითო საქციელი ჩაადენია და ამ ჩადენილი საქციელის მოგონება, რომლის გასწორებაც, მისი ფიქრით, შეუძლებული იყო, წარმოუთქმელად აწუხებდა, სტანჯავდა, სტანჯავდა მუდამ, ყოველს ჟამს, ყოველ წუთს ისე, რომ ბოლოს ბერიკაცს ძალ-ღონეც გამოელია და სულიც დალია.

დ. კლდიაშვილი.

1. რა და რა საშუალება იხმარა დოდომ, რომ წმ. გიორგის ქაციასთვის შეცოდება ეპატიებია? 2. რითა ხსნის მღვდელი ქაციას ცუდ საქციელს და რა დარიგებას აძლევს ამის გამო ხალხს? 3. ქაციას სულიერი მდგომარეობა და მისი აღსასრული.

IV

სამშობლო

სამშობლო სევსურისა.

სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ და მისრულია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
მე მირჩევნია შავი კლდე თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც გადმოქუხს ბრალი-წყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის...
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა!..
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა...
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

რაფ. ერისთავი.

1. სამშობლოს სიყვარული უმაღლესი და უძლიერესი გრძნობაა.
2. რითა მტკიცდება ამ ლექსში ეს აზრი?

სამშობლოსა და პატიოსნების დაცვა.

ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე დიდი ომი იყო გაჩაღებული: ბულგარები თათრების ბრძოლაში თავისუფლებისათვის სისხლსა ღვრიან. ბამხეცებული თათრები საშინლად სტანჯავდენ ბულგარებს.

აგერ თათრის სალდათებს დაუტყვევებიათ ბულგარი— მასწავლებელი სტოიან დანაევი და მისი მეუღლე რადონიცა. მუჯლუგუნსა სცემენ, მათრახს უტყლაშუნებენ; საწყალ დედაკაცს ტანისამოსი შემოხევია, საყურეები დაუგლეჯიათ და ყურებიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდის. სიარულით დაქანცული ყოველ ფეხის გადადგმაზე ბარბაცობს და უსუსურ ბავშს მაგრად გულში იკრავს, რომ ხელიდან არ გაუვარდეს.

—რა მოგველის, სტოიან? რას უზმენ ჩვენს პაწიას?

—ბამიგონე, რადო! უთხრა სტოიანმა: რაც უნდა გიყონ, რაც უნდა დაგემუქრონ, რაც უნდა სატანჯველი მოგაყენონ, არამც და არამც არ უღალატო ჩვენებს. ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება მოახლოებულია. მე წყალმა წამიღოს. დეე, მე მოვკვდე, თქვენ მაინც ახალი წესწყობილების სამშობლოში მოესწრებით ცხოვრებას. ბესმის, რადო? ვაიგე, რას გეუბნება ჩემი გული?

რადონიცა გულმოდგინეთ ყურს უგდებდა და უფრო და უფრო მაგრად იკრავდა გულში თავის პირმშოს და მდუღარე ცრემლს აფრქვევდა მის გაფითრებულს პირის-სახეზე.

სტოიანი და რადონიცა ფაშას წარუდგინეს. უთუოდ კარგი არაფერი მოელოდათ.

—ვინა ხარ შენ? გაჯავრებით ჰკითხა ფაშამ სტოიანს.

—მასწავლებელი გახლავარ.

—აი, შე ძაღლო! ეგ არეულობა მთლად მასწავლებლებისა და ხუცების ბრალია. შენისთანები ბევრი ჩამოვახრჩე და შენ-კი და შენს მურტალს ლეკვს ცეცხლში დაგხრაკავდი, მაგრამ, ვაი რომ მეჭირვები და ჯერჯერობით ცოცხალი უნდა გადაგარჩინო. გამიგონე, თქვენები გვიახლოვდებიან; მიეგებე მათ,—ისინი შენ გენდობიან, ყველაფერს ადვილად შეიტყობ, გამიგე, რამდენი არიან, საით მიდიან და რა გზით.

—მე ამას არ ვიქ.

—მაშ შენ სულთნის სამსახური არა გსურს?

—მე ჯაშუშად ვერ გავხდები, ფაშავ!

—მაშ შენ კიდევ თქვენებისკენა ხარ? სთქვი ბარემ, შე ძაღლის მოდგმავ!

სტოიანმა თავი ჩაღუნა და მიწას დააცქერდა.

—მის მაგიერად მე მოგახსენებ, ბატონო ფაშა,—წამოიძახა რადონიცამ: მე მოგახსენებ, რასაც ის ფიქრობს და არ უნდა-კი, რომ სთქვას: თუ ყოველივე გაგიმჟღავნათ, უთუოდ თავებს დაგვაყრევინებ. მაგრამ რა გაეწყობა! აი, თქვენ წინა ვდგავართ, დაგვხოცე, რაც გენებოს, ის გვიყავით და ჩვენებს არასოდეს არ ვუღალატებთ! დაგვხოცე! ჩვენ სიცოცხლე მოგვძულდა კიდეც მას შემდეგ, რაც ასეთი დამცირება გამოვიარეთ. თქვენ გინდათ, რომ ჩვენი თავი თვით შევირცხვინოთ! უმჯობესია, დაგვხოცოთ, ჩვენ ღიმილით შევხვდებით სიკვდილს, რადგანაც გვჯერა, რომ მოახლოებულია ჩვენი მონობის დასასრული.

—კარგი, კმარა! დედაკაცების სალაპარაკოდ არა მცალია! მასწავლებელო, გამშორდი და ერთი სიტყვა არ წამოგცდეს. თავისუფალი ხარ, სადაც გინდა, იქით გაუდექ გზას, შენი ცოლშვილი-კი აქ დარჩება. მაგრამ, თუ ხუთი დღის განმავლობაში თქვენი ჯარის ამბავს არ მაცნობებ, ცოლსა და

ვილს უნდა გამოეთხოვო: ორივეს ცეცხლში დავხრაკავ. აბა, ამეცალე!

სტოიანი გაშტერებული იდგა, უნდოდა რაღაცა ეთქვა, აგრამ ველარა სთქვა-რა, თვალები კი ცეცხლივით ენთებოდა.

წადი, სტოიან,—უთხრა ცოლმა და საიდუმლოთ რაც ბულგარულად წაულაპარაკა,—წადი, ჩემო საყვარელო, მე ომ მაინც მომკვლენ. შენ სამშობლოს დაცვისათვის იბრძოე! წადი, ჩემო სტოიან, გაეშურე, მშვიდობით!

სტოიანი წავიდა. რადონიცამ ცრემლიანი თვალები გააოლა სახიფათო გზაზე მიმავალ მეუღლეს.

რადონიცა და მისი უსუსური მიყრუებულს ფაცხაში ჰეამწყვდიეს და კარზე ყარაული დაუყენეს.

დასწერეთ მოკლე შინაარსი და აღნიშნეთ, რანაირათ დაიცვა ცოლმარმა თავისი პატიოსნება და რით გამოიჩინა სამშობლოს სიყვარული?

ღვთისნიერი სალდათი.

2. იმ ფაცხას, სადაც რადონიცა მის ბალღიანათ ყარაულს ქვეშ დაპატიმრებული იყო, სანათურები წნელით ჰქონდა ამოლობილი. ეზოს მაღალი ღობე ევლო, კარებზე ყარაულად სალდათი ედგა.

რადონიცა კუთხეში მიჯდა, უძრავად კედელს მიეყუდა და საყვარელ ქმარზე ფიქრს მიეცა: წარმოიდგინა, თუ რა თავკანწირულებით არბოდა ის მთა-გორაკებზე და როგორ მიეშურებოდა თავისიანებისკენ. ამასთანავე თვალ-წინ საზარელი სურათი უდგა: გაივლის ხუთი დღე—და დედა-შვილს ერთად ჰოკვლენ. მაგრამ ის-კი არ იცის ჯერ, დახვრეტენ, თუ თავს ჰოსჭრიან. ღმერთო, რა სატანჯველი მოელის საბრალო დედაშვილს!..

უსუსური ბავშვი-კი მწარედ ტირის: შია, საჭმელი არ აქვს: დედას ჯავრით ძუძუ გაშრობია. ჩასაქერის საოდავ ჰაწიას; ბავშის ლოყა ლოყაზე მიუკრავს, მდუღარე ცრემლები

გადმოდის, მაგრამ მაინც უალერსებს და დასაჩუმებლად თითს აწოვებს.

ბავში ხარბადა სწოვს გამხმარ თითს, ღრძილებით ლოღნის, გულამომჯდარი ტირის და ბეჭებზე ეპოტინება. უმწეო დედას გული უსკდება და თვალთაგან სხვილი კურცხლები მოსცვივა.

რადონიცას არც-კი შეუნიშნავს, რომ სალდათი ფაცხაში შემოსულა; როცა სალდათმა ხმა გასცა, რადონიცა შეკრთა: მის წინ რაღაც უზარმაზარი და მოუხეშავი, ტლანქი და სახე დაღარული სალდათი იდგა. ამისაგან აბა რა სიბრალული იყო მოსალოდნელი!

—ბავშსა შია?

—შია, მაშ?

—რატომ არ აჭმევ?

რადონიცამ თვალი ვერ გაუმართა; პირი მიიბრუნა. ბავში უფრო ატირდა. სალდათმა დაკორძებული თითი პაწიას ხელებში ჩაუდო; ბავში მოეჭიდა და თითი პირში იკრა.

—შეხე ერთი ამ ჭიანჭველას,—წაილუღლუღა სალდათმა, ამოიღო შაქრის ნატეხი და პირში ჩაუდვა. ბავშმა ხველებითა და ხვნეშით შაქარს წუწნა დაუწყო.

—შგნურია ჯერ! რატომ არ აწოვებ? გაჯავრებით უთხრა დედას სალდათმა,—რა დედა ყოფილხარ?—სალდათმა წარბები შეიკრა, მოიღუშა, რაღაც მხეცივით იხედებოდა. ამასთანავე შაქარს და ხმელ პურს აწვდიდა ხან რადონიცას, ხან მშიერ ბავშს და თავზე ხელის სმით ბავშს ეფერებოდა.

რადონიცა სალდათს გაფითრებული შეჰყურებდა.

—როგორი მადლობა უნდი გითხრა? მე ჯერ შენისთანა შემბრალებელი არავინ შემხვედრია! თათრები ხომ ჩვენი მტრები არიან და ეს როგორ არის?!

—ბევრს ნუ ლაპარაკობ, სჭამე რაც მომიტანია! მეც ბევრი მყავს მაგისთანა ჭიანჭველები. ოჯრი წელიწადია აღარ მინახავს, არც არაფერი ამბავი მომსვლია მათი. ცოლიც შენსავით ახალგაზდა მყავს!.. შენი ქმარი მალე დაბრუნდება?

—სრულიადაც არა! ჩვენებთან უნდა გადავიდეს!

—შენ რა დაგემართება?

—ფაშამ ბრძანა, რომ უნდა მომკლან...

—ამ ჭიანჭველას რა უნდა უყონ?.. ეგ ფაშა რასაც იტყვის, აასრულებს კიდეც და სჯობია, ჩვენსკენ გადმოხვიდე



ცოცხალი გადარჩები, გაჭმევთ, გასმევთ, მოგივლით; შვილი გაგეზდება და სულთანის მოსამსახურე შეიქნება.

არა, ისა სჯობია, ორივე დაგვწვან, ვიდრე ჩემიანებს ვუღალატო!

სალდათი გაკვირვებით მიაჩერდა ბულგარელ ქალს და მის პატარა შვილს, მერე რაღაც სხვანაირად შეიძრა და ფაცხიდან გავიდა. მთელი ეზო შემოიარა და ღობეს ერთ ალაგას მტვრევა დაუწყო. მერე ფანჯარას მიადგა, სარკმელში ჩაიხედა და რადონიცას ჩასძახა: შეხე იმ ღობეს, გამომტვრეული რომ არის; სარკმლის ჯოხებიც რომ ამოვტეხო, ღამით შეგიძლია თუ არა, გაიპარო და თქვენებისკენ გაეშურო? ა? ამ ჭიანჭველასაც ხომ წაიყვან?

რადონიცამ ჯერ ვერა გაიგო-რა, მაგრამ როცა მიხვდა, რა სიკეთესაც ჰპირდებოდა სალდათი, სწვდა მის დაკოჟიჟებულ ხელებს და დაუკოცნა.

—კარგი, კარგი! ამდენს მადლობას თავი დაანებე, თორემ ახლავე აქიდან გავიქცევი; ამასთანავე მოსჭიდა თავისი მძლავრი ხელები ფანჯრის ხლართულს და ჩარჩოიანათ ამოგლიჯა. აბა, გაეშურე, მშვიდობით! ფაცხის კარს ჩავკეტავ და ვითომც ყარაულად დაგადგები.

სალდათი ჩამოჯდა ფაცხის კარაპინზე და თავის სამშობლოს სასიყვარულო სიმღერა დაიწყო: „სამშობლოზე უმშვენიერესი ქვეყანაზე არაფერია. მშობელ ოჯახზე უსაყვარლესი არა იქნება-რა. იქაური ვარდიც უფრო სუნნელოვანია, იქაური ბულბულიც უფრო ტკბილად გალობს. როცა თავს ავიშვებ და ჩემს ეზო-მიდამოში დავბრუნდები, ჩემი ხელით დარგული ჩქოლა, პატარა ბროწეული დასრულებულ ხეთ დამხვდება. ჩემი პაწია გოგონები მშვენიერი დაქალიშვილებული იქნებიან და ნერგის ჩრდილში დამიწყებენ ამბების გამოკითხვას. ჩემი ხნის კაცები მოხუცებული, დაჩაჩანაკებული დამხვდებიან... მაგრამ მირჩევნია, მიხრწნილი მოხუცი ჩემიანებ შორის ვიყო, ვიდრე ჯანმრთელი ვაჟკაცი უცხოთა შორის. ოჰ! ჩემო სამშობლო! ჩემო ღმერთო! მომეც შეძლება, რომ უკანასკნელ ჟამს კიდევ მეღირსოს მზის შუქზე გაბრწყინვებული სამშობლო მეჩითის ნახევარ-მთვარის დანახვა.“

ამ დროს მთელს არემარეში სიჩუმე იდგა, თითქო ყოველივე სალდათის სიმღერას ყურს უგდებდა. მთის ქარმა ერ-

თი გამოიქროლა და მიწყნარდა, გაქრა. ᲙᲣᲜᲐᲞᲔᲢᲘᲕᲘᲗ შავი ღამის სიბნელემ მოიცვა დედამიწა. ᲠᲐᲓᲝᲜᲘᲪᲐ კი გულზე მიკრულ ბავშიანათ თავისიანებისკენ მთებში მიეშურებოდა.

ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲐᲛ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲐᲖᲠᲘ. 1. ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲓᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲛᲐ ᲢᲧᲕᲔ ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ? 2. ᲠᲐᲛ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲮᲡᲜᲐ? 3. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘ? 4. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ? 5. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲛᲐ ᲠᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ?

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მადლით ჰფენს
თავდადებულის სიფლავსა.
დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა ურჩსა მტრისასა...
მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილი-შვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოუვარეს...
მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის ᲮᲐᲡᲣᲮᲡ ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვდვარეო,
წამძღია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეგებენ დიმილით
შენი მზე, შენი მოვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ-ვეარეო,
ია და ვარდი დამეკენარი
ხელახლად გამიხარეო!
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ, ბევრს არ გოხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

აკ. წერეთელი.

1. **რ**ოგორ ეპყრობა თავდადებულ მამულიშვილს სამშობლო ბუნება (**ც**ისკარი, **მ**ტკვარი და **მ**თა-წმინდა)? 2. **შ**ორიდან დაბრუნებულ სნეულ მგოსანს როგორ მიეგება სამშობლო ბუნება? 3. **რ**ას სთხოვს მგოსანი სამშობლო მხარეს?

პ ა ტ ა რ ა გ მ ი რ ი.

1859 ს. **ლ**ომბარდიის გასათავისუფლებლად ომი იყო. **ს**ოლფერინოს მახლობლად, თითქმის იმ ალაგს, სადაც ფრანგებმა და იტალიელებმა ავსტრიელები დაამარცხეს, ივლისის ერთს მშვენიერ დილას ცხენოსანი ჯარის პატარა რაზმი მიდი-

ოდა. რაზმს უნდოდა სადმე მიყრუებულ გზაზე მტერს დახვედროდა. მიდიოდენ ნელნელა და ირგვლივ მიდამოს გაფაციცებით ათვალიერებდენ; ყოველ წამს მიმალული მტრის რაზმის გამოჩენას ელოდენ. ჯარი ტყეში შეფარებულს გლეხის ქოხს მიადგა. ქოხის წინ პატარა თორმეტი წლის ბიჭი უდარდელად ჯოხსა სთლიდა. გლეხებს სამფეროვანი ბაირაღი ფანჯარაში გამოეკიდათ და თვითონ კი მტრის შიშით მთაში გახიზნულიყვენ. ბავშმა, შენიშნა თუ არა მოახლოებული რაზმი, თავიდან ქუდი მოიშვლიპა. ცარიელი პერანგის ამარა ბავშს ქერა ხუჭუჭი თმა, ჭროღა თვალები და თეთრ-წითური ლოყები მეტად აშვენებდა.

—აქ რას აკეთებ? ჰკითხა ბავშს რაზმის უფროსმა და თან ცხენი შეაყენა: რატომ მშობლებს არ გაჰყოლიხარ?..

—ობოლი ვარ, უპატრონო და ომის საყურებლად დავრჩი...

—აქით ავსტრიელებს ხომ არ გამოუვლიათ?

—არა, სამი დღეა, იმათი არ ისმის-რა...

რაზმის უფროსი ჩაფიქრდა. უცებ ცხენიდან ჩამოხტა, ქოხში შევიდა და საჩქაროდ საჩეხზე ავიდა. სახლი დაბალი იყო და საჩეხიდან არა ჩანდა-რა.

—ხეზე უნდა ავგზავნოთ ვინმე!—სთქვა ჯარის უფროსმა.

ქოხის პირდაპირ ეზოში მაღალი ხე იდგა; იმისი კენწერო თითქო ცის კამარამდი იყო ასული. უფროსმა შეხედა ხეს, რაზმს თვალი გადაავლო და უცებ ბავშს მიუბრუნდა.

—შენ, ცულლუტო, კარგი თვალები გაქვს?

—მე? შეეკითხა ბავში უფროსს!—ბელურა ჩიტს შვიდ ვერსის მანძილზე დავინახავ.

—ამ ხის კენწეროზე შეგიძლია ასვლა?

—ამაზე? თვალის დახამხამებაში წვერზე მოვექცევი.

—რასაც გარშემო დაინახავ, შეგიძლია მიამბო? ან ავსტრიელი ხომ არა ჩანს, ან კვამლი, ან ცხენი და ან თოფი ხომ არსად ბრწყინავს?

—რასაკვირველია, შემიძლია!

—მერე მაგისათვის რა ჯილდოს ითხოვ?

—ჯილდოს? არაფერს! ეგ რაღამ გათქმევინათ! ბერმანელების სამსახურისაგან ღმერთმა დამიფაროს და ჩვენებისათვისკი... ლომბარდელი ვარ!

—მაშ, აბა ადი ხეზე!

—ახლავ! ცოტა მოითმინეთ, წაღები გავიხადო! ბავშმა წაღები გაიძრო; შალვრის ტოტები აიკრიფა, ქუდი მოიხადა და ხეს მოეჭიდა.

—მოიცაო,—უცებ შეჰყვირა რაზმის უფროსმა.

ბავშმა გაკვირვებით შეხედა უფროსს.

—არაფერია, არაფერი, ადი!

ბავში კატასავით ერთ წუთას აცოცდა ხის კენწეროზე.

—თქვენ-კი გარშემო ადევნეთ თვალიო,—უთხრა უფროსმა ჯარისკაცებს.

ბავში ხის ტოტებში ისე მიიმალა, რომ ძირიდან ძლივსღა მოჩანდა.

—შორს გაიხედე!—შეჰყვირა რაზმის უფროსმა.

ბავშმა ერთის ხელით ტოტები გადასწია და მინდვრისაკენ გაიხედა.

მოჩანს რამე?

ბავში დაიხარა და რაზმის უფროსს ჩამოსძახა?

—შარა გზაზე ორი ცხენოსანი ჩანს.

—აქიდან შორს არიან?

—ასე, ოთხი ვერსის სიშორეზე იქნებიან!

—აქით მოდიან?

—არა, სდგანან!

—კიდევ რასა ხედავ? აბა მარჯვნივ გაიხედე!

—მარჯვნივ, სასაფლაოს ახლოს, ხეებს შუა რაღაც ელავს, მგონი, თოფებია!

—ხალხსა ჰხედავ?

—არა, ყანაში იქნებიან მიმალული!

ამ დროს უცებ ტყვიამ ზუზუნით გადმოუარა ხეს და ქოხის გვერდით დაეცა.

—ჩამოდი, ჩამოდი! — შეჰყვირა ბავშს უფროსმა: მეტი აღარაფერია საჭირო, ჩამოდი!..

—არ მეშინია, — უპასუხა ბავშმა.

— ჩამოდი!.. მარცხნივ რაღასა ხედავ?

—მარცხნივ?

—ჰო, მარცხნივ!

ბავში მარცხნივ მიტრიალდა... მეორე ტყვიამ უფრო ძლიერ დაიზუზუნა და ბავშს ყურთან ჩაუქროლა. ბავში შეკრთა.

—მომკრეს თვალი წყეულებმა! დაიძახა ბავშმა.

—ჩამოდი! უბრძანა უფროსმა ბავშს.

—ახლავ! არა მიშავს-რა, ხის ტოტები მფარავს; გინდათ შეიტყოთ, მარცხნივ რა მოჩანს?

—ჰო, მარცხნივ... მაგრამ ჩამოდი, ჩამოდი!...

—მარცხნივ! — დაიყვირა ბავშმა, გაიხედა და მკერდი გამოიჩინა: იქ, სადაც ნიშანია, იქ მგონი...

მესამედ გაიზუზუნა ტყვიამ... ბავში ხიდან ჩამოეშვა და უცებ თავდაყირა ძირს ჩამოვარდა.

—წყეულები! შეჰყვირა რაზმის უფროსმა და მივარდა ბავშს.

ბავში ზურგზე დაეცა ხელებ-გაშხლართული. მკერდის მარჯვენა მხრიდან სისხლი შადრევანივით ამოსდიოდა. ორი ჯარისკაცი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და ბავშს მისცვივდენ. უფროსმა ბერანგი შემოახია და ჭრილობა გაუშინჯა. ტყვია მარცხენა ფილტვში ჰქონდა მოხვედრილი.

—მოკვდაო! შესძახა უფროსმა.

—არა, ცოცხალია! უპასუხა თანაშემწემ.

—საწყალი! რა ყოჩაღად მოიქცა!..

უფროსს სიტყვა არ დაუთავებია, რომ ბავშმა თვალები გაახილა, გარშემო მიიხედ-მოიხედა, თავი გვერდზე გადიგდო და სული განუტევა. გაფითრებული რაზმის უფროსი და ჯარისკაცები კრიჭა-შეკრული დაჰყურებდენ ბავშს. „საწყალო პატარა გმირო!“ იმეორებდა ჯარი. რაზმის უფროსმა ქოხის ფანჯრიდან ბაირაღი ჩამოიღო და ბავშს გულზე დაადვა.

ერთმა ჯარისკაცმა ბავშის ჩექმები და დანა ბავშს გვერდზე დაულაგა.

—ბვამი უნდა წავალებინოთ! ჯარისკაცივით გარდაიცვალა და შესაფერი პატივით უნდა დავასაფლაოთ კიდევაცო, სთქვა უფროსმა, ეამბორა მიცვალებულს და ჯარს უბრძანა, ცხენებზე შესხედითო.

რაზმი თავის გზას გაუდგა. არ გასულა რამდენიმე საათი რომ მიცვალებულს სამხედრო პატივი სცეს.

მზე ჩადიოდა. იმ გზით, დილას რომ ცხენოსანმა რაზმმა გამოიარა, ბერსალიერების ჯარი მიდიოდა. ამ რამდენიმე დღის წინათ ამათ სან-მარტინოს მთები თავისი გმირული სისხლით შელებეს. ამათ ბავშის გმირული სიკვდილის ამბავი შეიტყეს, ჯარის წინ მომავალთ შენიშნეს სამფეროვანი ბაირაღით დაფარული ბავშის გვამი და სამხედრო სალამი მისცეს მას. ერთმა აფიცერმა წყლის პირას ყვავილები მოჭკრიფა და გვამს დააყარა. იმას მიჰყვენ სხვანიც და ბავშის გვამი ყვავილებით დაფარეს. ყველა სალამს აძლევდა, ეთხოვებოდა.

—ყოჩაღ, ლომბარდიის შვილო! მშვიდობით, პატარა გმირო! ვაშა, ვაშა! დიდება შენს სულს!

ერთმა აფიცერმა გმირობის ნიშნად მიცვალებულს გულზე სამხედრო მედალი დაადვა. ბავშს ასეთი ამბით ესალმებოდენ, ეამბორებოდენ, შიშველა ფეხებზე, სისხლით შელებილ მკერდსა და ქერა ხუჭუჭ თმაზე ყვავილებს აყრიდენ, და იმასკი ბაირაღს ქვეშ ტკბილად ეძინა. ბაფითრებულს პირზე ღიმილი შერჩენოდა, თითქო ესმის ეს სამხედრო პატივისცემა და უხარიან, რომ თავისი სიცოცხლე საყვარელ სამშობლოს შესწირაო.

დე-ამიჩისი.

მოსძებნეთ ამ მოთხრობის დედა-აზრი და დასწერეთ მოკლე შინაარსი.

ბაწია მამულიშვილი.

ესპანიის ქალაქ ბარცელონიდან ბენუასკენ საფრანგეთის გემი გამოემგზავრა. ბემში ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, შვეიცარიელები და მათ შორის ერთი უმსგავსოდ ჩაცმული თერთმეტი წლის ბიჭიც ერია. ბავში მგზავრებს არ ეჯრებოდა და ყველას წარბ-შეჭმუხვნილი შეყურებდა.

ორის წლის წინათ ქალაქ პადუას მახლობლად მცხოვრებმა გლეხმა, ამ ბავშის მამამ, ეს ყმაწვილი ჯამბაზებს მიაბარა. ბავში ჯამბაზებთან მოგზაურობდა საფრანგეთსა და ესპანიაში და საკმაო სიცივე და შიმშილი გამოსცადა. საცოდავს შიმშილი და სიცივე ისე არ აწუხებდა, როგორც ჯამბაზების უფროსის ცემა-ტყეპა. ყმაწვილს ჯამბაზობას ასწავლიდენ და სწავლის დროს შეუბრალებლად სცემდენ. ბარცელონაში ყმაწვილი მეტად შეაწუხეს; სასტიკი ცხოვრება ველარ აიტანა და პატრონს გამოექცა. ბავშმა იქაურ იტალიის ელჩს მიმართა. ელჩს ბავში შეეცოდა, ბენუამდი საგზაო ბილეთი მისცა და თან ბენუას უფროსთან წერილი გამოატანა. ელჩი წერილით სთხოვდა ბენუას უფროსს, რომ ბავში მშობლებთან გაეგზავნა. ყმაწვილს მეტად დაკონკილი ტანისამოსი ეცვა და ჯამბაზების უფროსის ცემისაგან სახე და ტანი მთლად დალურჯებოდა. მისმა საცოდავობამ გემზე მყოფი მგზავრების ყურადღება მიიქცია. ყველას უნდოდა, შეეტყო მისი ვინაობა, მაგრამ ის თავისთვის მოშორებით იჯდა და ხმას არ იღებდა. ისე იყო ჯამბაზების პატრონისაგან შეშინებული და გულ-ჩათუთქული, რომ ყველა ადამიანი შეიძულა. სამი მგზავრი ისე გადაეკიდა, რომ ბოლოს მაინც აალაპარაკეს. ბავშმა ფრანგულ-იტალიურ-ესპანიური ენა ერთმანეთში დომხალივით აურ-დაურია და უამბო თავისი ამბავი. მგზავრები იტალიელები არ იყვენ და ამის ლაპარაკისა თითქმის ვერა გაიგეს-რა. ბავში მაინც შეეცოდათ და რამდენიმე გროში აჩუქეს. ფულის დანახვამ ბავში უფრო აალაპარაკა. ამათში გაერია სამი სხვა მგზავრი: შენიშნეს თუ არა საცოდავი ბავში, ფული გადუყარეს—აიღე, აკრიფეო.

ბავშმა აკრიფა ფულები, შეჭმუხვნილმა შეხედა მგზავრებს, მადლობა გადუხადა და საჩქაროდ შეძვრა თავის საწოლში. ბავშმა საწოლს ფარდა ჩამოაფარა და თავის საქმეზე დაიწყო ფიქრი: „ამ ფულებით შემიძლია ვიყიდო გემრიელი საჭმელი; ორის წლის შიმშილს შემდეგ ურიგო არ იქნება პირი ჩავიგემრიელო; ორის წლის ძონძების გამოცვლაც ურიგო არ არის. ამას გარდა, ცოტა რამ შეიძლება შინაც მივიტანო, თორემ ხელცარიელს ვერაფერი სიამოვნებით მიმიღებენ მშობლები... ეს ფულები ხომ მთელი სიმდიდრეა!“ ორი წლის ტანჯულის გულმა გამოიდარა და მოილხინა.

ამ სასიამოვნო ფიქრებში იყო ბავში გართული. სამი მგზავრი-კი ისევ სასადილო სტოლს უსხდენ, ღვინოს შეექცეოდენ და ხმამაღლა ლაპარაკობდენ. ბაასობდენ, თუ სად და რომელს ქვეყანაში ემოგზაურათ და ბოლოს იტალიის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. სამშობლოს სახელი რომ გაიგონა, ბავშმა ყურები აცქვიტა. ერთი მოსაუბრე იტალიის სასტუმროებს ემდურებოდა, მეორე—რკინის გზებს და ბოლოს სამივემ ყველაფერს ავად დაუწყეს ხსენება. ერთმა წამოიყვირა, რომ იტალიაში ყველანი გაიძვერანი და ავაზაკები არიანო! მეორემ—იტალიელი მოხელენი უვიცნი არიანო!—ბრიყვი ხალხიაო! წამოიძახა პირველმა. —წუწკი ხალხიაო,—დაუმატა მესამემ.—ჟურდიო... დაიწყო ისევ მეორემ. მაგრამ სიტყვა ველარ დააბოლოვა. უცებ სუფრაზე სეტყვასავით წამოვიდა ფულები. სამივე მოსაუბრენი წამოვარდენ და გაოცებით დაიწყეს ცქერა. ფარდაში თავი გამოეყო ბავშს და მგზავრებს დაჰყვიროდა: „უკან წაიღეთ, თავში იხალეთ თქვენი ფული! მე არავითარ მოწყალებას არ მივიღებ იმათგან, ვინც შემს სამშობლოს ურიგოთ იხსენიებს და შეურაცხყოფს!...“

დე-ამიჩისი.

ლედა-აზრი: ყმაწვილმა სამშობლოსადმი სამაგალითო სიყვარული გამოიჩინა. 1. რითი დაამტკიცა ეს სიყვარული? 2. რას მოელოდა ყმაწვილი ნაჩუქარი ფულებისგან? 3. ფულის შოვნამდი ყმაწვილი რა მდგომარეობაში იყო?

ურმ ა ს.

ღმერთო! აკურთხე ამ ურმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე.
ალუხსენ ხედვათ მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შოაგონე.
ღმერთო! მოჭმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ურმასა ძლიერი სული,
რათა შეიქნეს ოვისი ერისა
მოძმე ერთგული და მოუვარული.
ღმერთო! თან სდევდე უსუსურს ბავშსა,
რომ დღესი ისე არ დაულიენოს,
ვიდრე ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.

ი. ჭავჭავაძე.

ღ ა მ უ რ ა.

1. ერთმა უგნურმა თაგვუნამ იუკადრისა თაგვობა;
დასწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა:
«იმ უსამართლო ბუნებამ თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, მა ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!
ვის ეკადრება თაგვებთან კუდის ბზეკა და ღხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა, რომ მეწყო მაღლა ფრენაო.
რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს, გამოამაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი ერთ წამსა, გადავიკლიდი მთებსაო!«

2. რომ დასრულა ეს ნატვრა, ნახა რომ ფრთები ესხმება
და მეტი სიხარულითა საბრალოს თავს ბრუ ესხმება...
ზიზღით შეხედა თვის ტოლებს, დაუყონებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია, ამანაც გაინავარდა...

3. ჩიტებმა ახედ-დახედეს, სთქვეს: ვინ მოსულა ესაო?«
რა ცხოველია, რა რჯულის? ჩვენთან ვინ განაწესაო?

თვალ-ტანადობა თაგვს უგავს, ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს, ჭირი არის და სენიო;
ეგება მტრებმაც მოგზავნეს, შემოჩენილიც იყოსო...
არიქა, ფრთხილად იყავით, არავინ გაგვაბრიყვოსო!“
დაყლიეულეს, ჩაუნისკარტეს, გაჰკრეს-გამოჰკრეს ბეწვალები,
სისხლი ადინეს ღამურას, გამოუბნელეს თვალები!
4. დღმა დაეშვა ღამურა, მიმართა ისევ ძველ სადგურს...
მაგრამ აქ უფრო შავი დღე დაადგა მაშინ უბედურს:
თაგვებმა აითვალწუნეს, ადარ მიიღეს, რომ ნახეს,
მივარდენ ერთად საკბენად: „ჰეა მაგასაო!“ დასძახეს...
მაშინ-კი მიხვდა ღამურა, რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური საჭირბოროტოდ აუხდა!
გვიან-და იყო! გაფრინდა გაკიცხულ, თავს ლაფ-დასხმული,
ერთს ძველ ნანგრევში შეფრინდა და მოიბრუნა იქ გული.
5. მას შემდეგ ბუდობს ნანგრევში, დღისით ვერ ჩნდება
სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინებს კვნესით და გულის ტკივილით:
„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასტვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მოუვა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სტვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის ჩემსავით ტრემლსა დენასა!
გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!“

აკ. წერეთელი.

1. თაგვუნას უგნური ნატვრა. 2. ნატვრის ასრულება. 3. როგორ დაისაჯა ის ფრინველებისაგან? 4. როგორ დაისაჯა თაგვებისაგან? 5. რა დასკვნამდი მივიდა თაგვუნა? ბადააბით კითხვებზე მიცემული პასუხები და დასწერეთ მოკლე შინაარსი.

სამშობლოს სიყვარული.

ჩემო საყვარელო სამშობლო! ჩემო ძვირფასო დედაო, ჩემო აღმრზდელო და დამტირებელო! ჩემო აკვანო და საფლა-

ვო! ჩემო მშვენიერო და დიდებულო მომავალი თაობის ქვეყანავ! რამდენი სიკეთე გიქნია ქვეყნიერობისთვის! რამდენმა მოღვაწემ, მებრძოლმა და გმირმა თავი დასდვა შენის განვითარებისა და დიდებისათვის!

დიდებულო სამშობლო! მე ჯერ კარგად ვერ გიცნობ, მაგრამ მიყვარხარ მაინც და ვამაყობ, რომ შენი შვილი ვარ! მიყვარს შენი დიდება, მშვენიერება, სიკეკლუცე, შენი ზღვა, მთა და ბარი, შენი სოფლები და ქალაქები; მიყვარს შენი ხევები, მდინარეები, წყაროები! მიყვარს შენი გულის-ცემა! ვფიცავ, შევიყვარო ყოველი შენი შვილი, როგორც ჩემი ძმები. **მ**აყვანს ვსცემ შენს სახელოვანს სასიქადულო შვილებს როგორც ცოცხლებს, აგრეთვე განსვენებულებს.

ვეცდები, კაი კაცი შევიქნე, შენს ღირსეულ შვილად გავხდე. **რ**ამდენადაც შევძლებ, ვიხმარ ყოველ ღონისძიებას მოვსპო შენს შვილთა შორის სიღარიბე და ყოველივე უმეცრება, რომ შენ მრავალფერად აყვავდე, აფრთოვანდე ყოვლის შენის ძალითა და დიდებით. **ვ**ფიცავ, ვიტვირთო შენის გულისათვის ყოველგვარი პატიოსანი შრომა და მოღვაწეობა. **ვ**ფიცავ, გემსახურო მკლავით, ჭკუით, სულითა და გულით. **დ**ა, თუ შენი განსაცდელის ჟამი დამირეკეს, მზად ვიქნები, შევსწირო ჩემი სიცოცხლე შენს დროშას, შენს სახელსა და დიდებას. **ს**იკვდილის წამს ჩემი უკანასკნელი ამონაკვნესი სიტყვა იქნება შენი სახელი „ჩემო სამშობლო!...“

დე-ამიჩისი.

ქართველის დედას.

1. ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...

2. გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა სალველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილათ შესცვალა.
მითხარ,—სადაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?

3. მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,
მოგიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მეობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მადალი
დანიშნულება და სიმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს
და მოგვცემს ნაყოფს ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ უძღოდეს ჭეშმარიტება,
კვალი რჩებოდეს განათლებული.

ილ. ჭავჭავაძე.

1. როგორ შვილსა ზრდიდა ქართველი დედა სამშობლოს თავისუფლების დროს? 2. როგორ შეიცვალა დედაცა და შვილიც მამულის დამონების დროს? 3. როგორი შვილი უნდა აღზარდოს დედამ მომავალისთვის?

ჩემო კარგო ქვეყანავ!

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმეო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდენ, ახალნი ხომ შენია..
მათ, ახალთ, აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
წვრილშვილნი წამოგესწრენ ნაზარდნი, გულ-მტკიცენი,
მათის ცრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა. თუ კი მათ მიენდობი,
მათის დვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მიენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
მათი გული შენისა ტრფობის ფარით ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა,
მათ თვის მკერდით შემუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?

ილ. ჭავჭავაძე.

1. **რ**ამ მოაწყინა სამშობლო? 2. **რ**ით ანუგეშებს მგოსანი მოწყენილ სამშობლოს?

მეფის გვირგვინი.

მეფის სალაროში სდგას საუცხოო გვირგვინი, წმინდა ოქროსაგან ხელოვნურად გაკეთებული. **ყ**ოველი მხრით მას ამკობენ უძვირფასესი თვლები: ალმასი, იაგუნდი, ლალი, ზურმუხტი და სხვანი, მშვენიერი ნატიფნი და ათასფრად შეხამებით შეწყობილნი: ერთი გამოკრთის, როგორც მთის მწვერვალზე სპეტაკი თოვლი, მეორე ანათებს, როგორც დილის ცისკარი, მესამე ციმციმობს ლაჟვარდ ზღვასავით, მეოთხე კაშკაშობს ბრწყინვალე ვარსკვლავივით. **თ**ითოეულს მათგანს თავისი საკუთარი განსხვავებული ელვარება აქვს, თავისებური

პეწი, თავისებური სილამაზე, თავის განსაკუთრებული ღირსება. ვერც ერთს თვალს ვერ გაიმეტებთ, ვერც ერთს ვერ დაამცირებთ, ვერ იტყვით, ერთი მეორის მჯობიაო, ყველა ისე ერთნაირად კარგია, ყველა ერთნაირად საჭიროა.

ეს გვირგვინი რუსეთია. ოქროს საფუძველი გვირგვინისა —რუსის ხალხია; ძვირფასი ფერად-ფერადი თვლები, ამ გვირგვინის სამკაულნი, არიან რუსეთში მცხოვრებნი სხვადასხვა ხალხნი, რომელნიც რუსებთან ერთად შეადგენენ ერთს სხეულს.

რუსეთის უმთავრესი ძარღვია ასი მილიონი რუსი; ქვეყნის განაპირას ცხოვრობენ გერმანელნი, პოლონელნი, ფინლანდიელნი, ქართველნი, სომეხნი, ბერძენნი, თათარნი, ყირგიზელნი და ასეოდე სხვადასხვა ტომის ხალხი. ყველა ამათ თავისი განსაკუთრებული თვისება აქვთ, თავისი საკუთარი ენა, სარწმუნოება და ჩვეულებანი; მაგრამ ყველა ესენი ძმები არიან, წევრნი ერთი ოჯახისა, ძვირფასი თვლები ერთის გვირგვინისა და დამცირება რომელისამე მათგანის—დამცირება იქნება მთელის ოჯახისა, შეურაცხება საკუთარი თავისა და შეუგნებლობა ობოლ თვალთა ღირსებისა...

მღვ. გრ. პეტროვი.

ძეთილი და ძმური განწყობილება ერთა შორის შექმნის საერთო ბედნიერებას.

სიზმარი.

დღიურ სიცხადით გულ-დაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა—წმიდა მოწამის;
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდის ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი,

საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმა-შეწყობილად
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
„დედაო ღვთისავ, შენი მხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა, ნუ აადებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!
მოეც კურთხევა ზეცით, მადალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ ადადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე ადმა-ოერენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაუკარგავ იმ ტკბილ უნასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“

აკ. წერეთელი.

ლ ო ცვ ა.

1. დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს შეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
სადმრთოდ მიიდე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეოოვა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ეოოვა,
მამა-პაპური სული, გული მოჭმადლე შვილსა.

2. ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან—რა არს მშვიდობა,

იკმარე სადმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი;
თუ რამ შეგცოდეს, შეისუიდეს ტანჯვით შენდობა,
მოჭმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჭოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარდვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!...

ილ. ჭავჭავაძე.

1. რას ეკედრება მგოსანი მღვთის მშობელს სამშობლო ქვეყნის აღსადგენად? 2. რას ეკედრება ღმერთს?

V

კაცობრიობა.

ᲔᲝᲔᲢᲘ.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა:
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამ.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
დმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარგუძღვე წინა ერსა.
დიდის დმერთის საკურთხეველის,
მისთვის დვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდან ნაპერწკალი
თუ ადმოფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

ილ. ჭავჭავაძე.

მღვდელი ობერლეინი.

საფრანგეთის ერთს მიყრუებულ კუთხეში, კლდოვან მთებს შუა, ამ ასი წლის წინათ მრავალი სოფელი იყო გაშენებული. ამ კუთხეს კლდოვან ოლქს უწოდებდენ. აქაური ხალხი მთელს ქვეყანაზე მოწყვეტილი იყო და გაირჩეოდა სიღარიბით, განსაკუთრებული უმეცრებით და რაღაც ბრიყვული ზნე-ჩვეულებით. ისინი ზანტად მუშაობდენ თავის ქვიან ყანებში, ვაი-ვაგლახით მოჰყავდათ უვარგისი კართოფილი, ასე რომ მთელი ოლქი შიმშილისაგან ხშირად ძლიერ შეწუხებული იყო. აქ შემთხვევით გამვლელს უცხოელ მოგზაურს აუარებელი მათხოვარი და ღატაკი მოსვენებას არ აძლევდენ.

აი, სწორედ ამ ოლქში დანიშნეს მღვდლად ობერლეინი; ის იყო ღარიბი მასწავლებლის შვილი, ჯერ ისევ სრულებით ახალგაზდა კაცი, რომელსაც მშვენიერი აღზრდა მიეღო. ობერლეინმა მოსვლისათანავე დაინახა, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი მრევლი და რა ძნელი იქნებოდა მისთვის მათ შორის ცხოვრება. სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, უთუოდ თავიდანვე ეცდებოდა, როგორმე ამ ღარიბი მრევლისთვის თავი დაენებებია და უფრო მდიდარი მოეძებნა; მაგრამ ეს ახალგაზდა მღვდელი-კი იმას ფიქრობდა, რომ სწორედ აქ უფრო საჭირო იყო მისი ყოფნა და დახმარება. ამიტომაც გადასწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე ამ ბედით დაჩაგრულ ადამიანებისათვის შეეწირა.

ახალგაზდა მღვდელი მალე შეიქნა თავის მრევლის მეგობარი, დამრიგებელი და მფარველი. გაჭირვების დროს ყველას შველოდა, მწუხარებაში მყოფთ ნუგეშს აძლევდა, ბოროტებას ჰკიცხავდა, კეთილს ასწავლიდა, მომჩივანთ ასამართლებდა და ბიწიერთ მართალს გზაზე აყენებდა. არც ავდარს, არც დაქცეულ მთის გზებს არ შეუშინდებოდა, თუ-კი მისი დახმარება ვისმესთვის საჭირო იყო. ხშირად, ძალიან ხშირად, საღამოს ხანს ობერლეინი თავისი ცხენით გაემგზავრებოდა ხოლმე ქალაქს, რომელიც იმ სოფლიდან ოცდაათი ვერსის

მანძილზე იყო. **ი**ქ მთელი დღე დაუღალავად თავის მრევლის საქმეებზე დარბოდა, მეორე დღეს-კი დილა-ადრიანათ სოფელ-სოფელ დადიოდა, გაჭირვებულთ სანოვაგეს ურიგებდა, ავათ-მყოფებს წამლებს აძლევდა...

—**მ**აგრამ დროებითი დახმარება ხომ საკმარისი არ არის, —ფიქრობდა **ო**ბერლეინი,— საჭიროა თვით უბედურობის მიზეზები საბოლოოდ მოისპოსო. **უ**წინარეს ყოვლისა, საჭიროა შკოლა გაიმართოს: ბნელსა და უმეცარ ხალხს ხომ თავის სარგებლობის შეგნებაც არ შეუძლია. **უ**კანასკნელი ფიქრი მან მალე საქმედ აქცია. **რ**ოდესაც მღვდელმა შკოლის შენება დაიწყო, მრევლმა პირობა დაადებინა, რომ ის მათ სწავლებისათვის არაფერს გამოართმევდა. **მ**ართლაც, **ო**ბერლეინი მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა შკოლას თავისი მცირედი ჯამაგირით და ბავშებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. **თ**უმცა უცბათ არა, მაგრამ ნელნელა შკოლამ თავისი გავლენა იქონია: ცოტა ხანს შემდეგ გლეხებმა თავისი ხარჯით რამდენსამე სოფელში ხუთი შკოლა ააშენეს, ხოლო **ო**ბერლეინმა მოძრავი ბიბლიოთეკა მოაწყო, რომ ამით ხალხში წერაკითხვისა და ცოდნისადმი სურვილი უფრო განემტკიცებია.

ამავე დროს **ო**ბერლეინი მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა, როგორმე სოფლის მეურნეობა გაეუმჯობესებია. **დ**ა რომ გლეხები მას უფრო ნდობით მოჰკიდებოდენ, ჯერ ყოველსავე თავის ეზო-გარემოში აკეთებდა, შემდეგ-კი სხვებს ასწავლიდა, განსაკუთრებით ახალგაზდებს. **ა**მნაირად მან მალე დაითანხმა გლეხები—მინდვრები ქვებისაგან გაეწმინდათ, ასწავლა საქონლის საკვები ბალახის თესვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბევრი საქონლის მოშენება და მწირი მიწის გაპოხიერება. **მ**ალე დუქანიც მოაწყო, სადაც იაფ ფასად სამეურნეო იარაღის შეძენა შეიძლებოდა, ხოლო ღარიბებს ხშირად ნისიადაც ეძლეოდათ. **პ**ური და კარტოფილი მწირე ადგილზე სრულიად გადაგვარებულიყო; **ო**ბერლეინმა მრევლისათვის ახალი საუკეთესო თესლები გამოიწერა; ამის გამო მოსავალმა ერთი ოთხად იმატა და გლეხებმა ქალაქში გასასყიდათ პურისა

და ბოსტნეულის გატანა დაიწყეს. წინათ კლდოვან ოლქში მაჟალოს გარდა არავითარი ხეხილი არ ხარობდა. ოგბერლეინ-მა საკუთარი ხელით გააშენა გზის პირას საუცხოვო ხილის ბაღი. ყველამ მალე კარგად შეიგნო და დაინახა მისი შრომის ნაყოფი. მაშინ მღვდელმა გამოაცხადა, ვინც ახალგაზდათაგანი ოთხ-ხუთ ხეხილს არ დარგავს, არ ვაზიარებო; ხოლო ყოველ მსურველს თავისი ბაღიდან უსასყიდლოდ საუკეთესო ხეების ნერგებს აძლევდა.

სოფელს გიჟ-მაჟი მთის მდინარე ჩამოუდიოდა, რომელიც ხშირად ნაპირებიდან გადმოდიოდა, დათესილ მინდვრებს ერთიანად წალეკდა და ხალხს დიდ ზარალს აძლევდა. ოგბერლეინმა მრევლის შემწეობით მდინარეს კალაპოტი გაუგანიერა, მინდვრებისა და ბაღების მოსარწყავად არხები გაიყვანა, და ზარალის მაგიერად მდინარეს დიდი სარგებლობა მოჰქონდა.

ბლეხებმა სოფლებსა და სოფლებს შუა მშვენიერი გზები გაიყვანეს, მდინარეზე ხიდები გააკეთეს; მაგრამ ოგბერლეინს ეს კიდევ ეკოტავებოდა: საჭირო იყო, მთებში ქალაქისკენ მიმავალი შარა გზები გაეყვანათ. ოგბერლეინმა თვით მოჰკიდა ხელი წალკატს, ბარს, რკინის კეტს და მხნედ მუშაობას შეუდგა. მისმა მაგალითმა მალე გავლენა იქონია: ყოველი მხრიდან გლეხებიც შეიკრიბენ და სამ თვეს შემდეგ მშვენიერი, სიგრძით სამი ვერსი, გზა მზათ იყო. ყველას გაუადვილდა ქალაქში პურის, ხილისა და ბოსტნეულობის ჩატანა. რამდენსამე ხანს შემდეგ თვით ქალაქებმაც დაიწყეს მთის სოფლებში საქმეებისათვის სიარული. მალე ხალხმა სხვადასხვა ხელობას ხელი მოჰკიდა, დაიწყეს ბამბის თესვა და ძაფის რთვა.

ოგბერლეინმა თავის სახლში აფთიაქი გახსნა და პირველ ხანებში ხალხს წამლებს უფასოდ აძლევდა. რამდენსამე გულშემატკივარ ქალს ავათმყოფების მოვლა ასწავლა, აუხსნა გლეხებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს როგორც სახლში, ისე გარეთ, ეზოში.

ცეცხლის გაჩენა სოფლებში ხშირი მოვლენა იყო; ოგბერლეინმა მსურველთაგან ცეცხლის მქრობელი რაზმი შეადგინა,

შეიძინა კიბეები, წყლის სასხამი მილები, და ცეცხლის გაჩენის დროს ხალხის დასახმარებლად თვითონ პირველი გაიქცეოდა ხოლმე. მანვე დააარსა ფულის შემნახველი კასა, საიდანაც გაჭირვებულებს უსაწინდროდ და უსარგებლოდ სესხი ეძლეოდათ.

ყოველისავე ამის გაკეთება ადვილი არ იყო. ყოველსავე ახალ საქმეს წინ ათასგვარი დაბრკოლება ხვდებოდა; ოგბერლეინს ხშირად არათუ დასცინოდენ, ემუქრებოდენ კიდეც. მაგრამ მას მტკიცედ სწამდა თავისი მოვალეობა, შეურყევლად და მხურვალედ ეკიდებოდა ხალხის სასიკეთო საქმეს და კიდეც ამიტომ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ბლეხები ბოლოს და ბოლოს კარგად ხედავდენ, რომ მღვდელი მათი გულისათვის მეტად მძიმესა და აუტანელ შრომას ეწეოდა, ხედავდენ ამ უზომო ჯაფის სარგებლობას,— და ბოლოს ჯიუტი მოპირდაპირენიც-კი ერთგულ მომხრეებად შეიქმნებოდენ.

სიბერის დროს მოძღვარი ოგბერლეინი მრევლში ისე ცხოვრობდა, როგორც კეთილი, მზრუნველი მამა თავის საკუთარს ოჯახში. ყველა მამას ეძახოდა, ყველა მისკენ მიეშურებოდა, რომ თავისი სიხარული და მწუხარება მისთვის გაეზიარებია. როდესაც ხნიერობით წელში მოხრილი მღვდელი რომელსამე სოფელში მივიდოდა ხოლმე, ეს დღე ყველასათვის ნამდვილი დღესასწაული იყო.

ქლდოვან ოლქის პატრიარქმა 86 წელიწადი იცოცხლა. როდესაც მოკვდა, ვინ მოსთვლის, რამდენი ცხარე ცრემლი დააყარეს მის ძვირფას ცხედარს. მრევლმა მღვდელს ოგბერლეინს მშვენიერი მარმარილოს ძეგლი დაუდგა, რომელიც გამოჩენილ მექანდაკეს გააკეთებიეს და რომელიც წარმოადგენდა მშვიდსა და კეთილ სახეს მართლაც-და დიდებული კაცისას. მაგრამ შთამომავლობაში უმისოდაც საუკუნოდ დარჩება ხსენება უანგარო მოღვაწისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოყვასთა კეთილდღეობას შესწირა.

1. ქლდოვან ოლქის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება. 2. ოგბერლეინმა გადასწყიტა, მთელი თავისი სიცოცხლე მრევლის საკეთილდღეო მოღვაწეობაში დაელია. 3. მოძღვრის მოღვაწეობა: დროებითი დახმარება, სა-

საწავლებელი, მეურნეობის გაუმჯობესება, მორწყვა, გზები, აფთიაქი, ვათმყოფების მოვლა, ცეცხლის მქრობელი რაზმი, კასა. 4. შედეგი ოგბერლეინის მოღვაწეობისა.

რკინის გზის დარაჯი.

1. ცათამდი აყუდებულ მთების კალთებზე რკინის გზა გველივით მიიკლაკნება. ვიწრო და ღრმა ხეობაში, უფსკრულზე, ხიდია გადებული. უფსკრულში მთის ნაკადული მოჰქუხს. ხიდის მახლობლად სადარაჯო დგას, სადაც ყარაული ცოლშვილიანათ ცხოვრობს.

2. ბნელი ცივი შემოდგომის ღამეა. მთებში საშინელი ქარიშხალი მძვინვარობს და კოკისპირულ წვიმას ასხამს. დარაჯმა თავისი გზის ნაწილი შემოიარა, სადარაჯოში დაბრუნდა, ფარნით კიბეზე დადგა და საფოშტო მატარებელს ლოდინი დაუწყო. სულგანაბული ის ყურს უგდებს და გაფაციცებით იხედება იქითკენ, საიდანაც მატარებელი უნდა გამოჩენილიყო. მატარებელს-კი ხეობის მეორე მხრიდან უნდა გამოევლო. უცბათ ქარიშხალის ღრიალსა და გიჟ-მაჟ ნაკადულის გრგვინვაში დარაჯს საშინელი მსხვრევა-ტეხის ხმაურობა და გრუხუნი მოესმა—თითქო უფსკრულში მთელი კლდე ჩაიქცაო. დარაჯმა იგრძნო, რომ ეს კეთილს არას მოასწავებდა. იმ წამსვე გულგახეთქილი ხიდისკენ გაეშურა და თვალწინ შემაძრწუნებელი სურათი წარმოუდგა: მთელი ხიდი ერთიანად უფსკრულში ჩაქცეულიყო. ყარაულმა იცის, რომ, აი, ეს არის, მატარებელი ჩამოიქროლებს, შურდულივით ჯოჯოხეთისებურ ბნელს უფსკრულში ჩაქანდება და, ვინ იცის, რამდენ ას კაცს იმსხვერპლებს! რა გზას უნდა დასდგომოდა დარაჯი, როგორ უნდა მოქცეულიყო? ხევს ჩაქცეული, ციცაბო ნაპირები აქვს, შეიძლება ფეხი დაუცდეს ამ ბნელ ღამეში, გაშმაგებულ ნაკადულში ჩავარდეს და სიცოცხლეს გამოეთხოვოს.

3. **მ**აგრამ ამაზე ფიქრის დროც აღარ იყო; ყარაულმა ფარანი სარტყელზე შემოიკრა, პირჯვარი გადაიწერა და ხევის მეორე ნაპირას გადასვლა გადასწყვიტა. **ა**ი, მხნე და თავგანწირული დარაჯი ამ შავბნელ წყვდიადსა და კოკისპირულ წვიმაში ნელნელა ეშვება უფსკრულისკენ: ხელებით კლდის ქვებს ებღაუჭება, ფეხები წამდაუწუმ უსხლტება, სასტიკი ქარი ყოველწამს მოგლეჯასა და ხევში ჩაგდებას უქადის მას. **მ**აგრამ, **ღ**ვთის მადლით, ძირამდისაც მიაწია. **რ**აღაც ბედათ ნაკადულიც გასცურა და ახლა ისევ რკინის გზის ლიანდაგისკენ, მაღლა საოცარის ძალდატანებით მიცოცავს. **ო**რივე ხელი გასისხლიანებული აქვს, მაგრამ დარაჯი ამას ვერ ამჩნევს. **ა**ი, კიდეც ავიდა ზევით. **რ**აც ძალი და ღონე აქვს, ლიანდაგისკენ მირბის, მატარებლის შეხვედრას მიეშურება. **ს**ამი ფარანი, როგორც საშინელების თვალები, წყვდიადში უკვე გამოჩნდა. **დ**არაჯი უფრო და უფრო მირბის და წითელ ფარანს მაღლა აქნევს.

მემანქანემ სანიშნებელს თვალი მოჰკრა, მატარებელმა სიჩქარეს მოუკლო და უფსკრულიდან რამდენსამე საჟნის მანძილზე შეჩერდა. **ბ**ადარჩა აუცილებელ სიკვდილს ორას ორმოცდა ათი კაცი!

ტიხომიროვი.

1. **რ**ოგორ ადგილზე გადიოდა რკინის გზა? 2. **რ**ა საშინელი ხიფათი მოელოდა მატარებელს? 3. როგორ გადაარჩინა იგი რკინის გზის დარაჯმა? **რ**ით არის დიადი დარაჯის საქციელი?

მ ე ს ა ჭ ე.

მოციმციმე ზღვაზე უზარმაზარი ხომალდი მიცურავს, თან მრავალი მგზავრი მიჰყავს და რამდენიმე ათი-ათასი ფუთი საქონელი მიაქვს. **ქ**ალი, კაცი და ბავშები ბაქანზე შეგროვილან და შორს გაფაციცებით იხედებიან, ეგება ნავსადგური მალე დავინახოთო. **ა**ოდევ სამი საათის სავალი გზა დარჩა. **ყ**ველანი დიდიხანია ოჯახს მოშორებოდენ და დედ-მამის,

ცოლ-შვილისა და მეგობრების ნახვა ეჩქარებოდათ. ხომალდის შუა ბაქანზე, მაღლა, კაპიტანი სდგას, მის გვერდით-კი, საჭის ბორბალთან—მხარბეჭიანი, მზემოკიდებული მესაჭე. ამასაც მეტად ეჩქარებოდა ნავსადგურში მისვლა, თუმცა თავის სურვილს არავის უმხელს: იქ მას ოჯახობა ჰყავს: ცოლი, შვილები, რომელნიც დიდიხანია არ უნახავს. სხვა მეზღვაურნიც ნაპირზე გადასვლას მოუთმენლად ელიან. ზღვა დაწყნარებულია, ცაზე ღრუბელი არც-კი ჩანს; კიდევ ორი საათის გზა დარჩა.

მაგრამ, აი, ბაქანზე ნამწვის სუნი ამოვიდა. საიდანღაც ბოლი გამოჩნდა; კაპიტანმა ერთ მეზღვაურს უბძანა, საჩქაროდ მიზეზი გაეგო. კაპიტანს პასუხის ლოდინი დიდხანს არ დასჭირებია: „ძირს ცეცხლი გაჩენილა!“ მოახსენა მეზღვაურმა. ასტყდა ბაქანზე ერთი ალიაქოთი, მგზავრები შიშის ზარმა შეიპყრო.

კაპიტანი ძირისკენ გაეშურა, უნდოდა გაეგო, რამდენად საშიში იყო მომავალი განსაცდელი. ცეცხლი იმ ადგილს ეძალებოდა, სადაც მესაჭე იდგა. იგი მძვინვარობდა; ძალიან გვიან შეამჩნიეს; საწვავი მასალა ბევრი იყო; ცეცხლთან ბრძოლა შეუძლებელი იყო. „წყლის საქანელებისკენ!“ დაიგრიალა კაპიტანის ბძანებამ. მეზღვაურნი სწრაფად თავთავის ადგილებზე გაჩდენ და მუშაობა გაჩაღდა.

ცეცხლმა თითქოს იკლო, მაგრამ ნაპირის ქარი ამოტყდა: ალი თანდათან ძლიერდებოდა, და ცეცხლთან საბრძოლად მეზღვაურების ძალღონე არ ჰყოფნიდა.

—ხომალდი ნაპირისკენ მიაბრუნე!—უბძანებს კაპიტანი.

—მზათ გახლავს!—უპასუხებს მესაჭე. ხომალდი დიდი სისწრაფით ნაპირისკენ მიეშურება.

თავზარდაცემული მგზავრები ხომალდის ცხვირზე შეჯგუფებულან. მოისმის გულშემზარავი კივილი, წივილი და ქვითინი. მარტო ერთი მესაჭე წარბშეუხრელად სდგას თავის ადგილზე. შავი, მწვავი ბოლი მას ქვევიდან ეხვევა, ჰაერი ხურდება, ალი ბაქანზედაც ამოდის. აუტანელია მესაჭის მდგომა-

რეობა, მაგრამ ის თავის ადგილს მაინც არ სტოვებს: რომ დასტოვოს, ხომ ყველანი აუცილებლად დაიღუპებიან.

—შეგიძლია, კიდევ ხუთი წამი დარჩე შენს ადგილას?— უყვირის კაპიტანი მესაჭეს, —მაშინ ყველანი სიკვდილს გადარჩებიან!

—ვეცდები, კაპიტანო!—უპასუხებს მესაჭე.

მეზღვაურებმა ნავები დაამზადეს.—ქალები და ბავშები წინ!—ბძანა კაპიტანმა. კაცებმა, ვინც ცურვა იცოდა, ტანისამოსი გაიხადეს და წყალში გადავარდენ. აგერ ნაპირიდან მოსაშველებლად ნავებიც მოეშურებიან. უკანასკნელად ხომალდი კაპიტანმა დასტოვა.

ყველა გადარჩა სიკვდილს,—მეზღვაურთაგან მხოლოდ მესაჭე აღარ იყო.

ტიხომიროვი.

1. მგზავრები და გემის მოსამსახურენი სიხარულით მიეშურებიან სამშობლო ქალაქისაკენ. 2. ზემზე გაჩენილი ცეცხლისაგან ყველას დაღუპვა მოელის. 3. მესაჭემ თავი დაიღუპა, მაგრამ ყველანი-კი სიკვდილს გადაარჩინა.

მესაჭის საქციელი რითია დიდებული? შეადარეთ ერთმანეთს რკინის გზის დარაჯი და მესაჭე.

მ უ შ ა.

I

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მისახვიხარ შენ
კედელთან მწოლი, მხურვალე მზე ზედ დაგეურებდა;
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა,—
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ტანჯვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,

მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლკარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულ მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგტეორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?... რაც დაკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჭვოვე?..

II

აი ტვირთ ქვეშე მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გელვრება,
შეგუბებული სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეტება!
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჭქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეკახა, და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო დასამსხვრეველად...
შენ გადიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენს ოფლზე იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ჭგრძნობდი, ოფელი სთქვა მწუხარმა ოვალმა:
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით მიხვალ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდენ შენს სახეზე, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი—გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს—და არავინ არა გშველიან!..

III

აჭა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა.
განიერად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია,—
იცდი, საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოტემაც იმას შენთვის შურს,
ხშირად ფასს გიკლებს, შიშველს, მშიერს, მწყურვალს, უბედურს...
„ნუ მიტეხ ლუკმას,—ეუბნები,—ღმერთსაც შეხედე!..
მე ეგე ლუკმა პირუტყვივით ზურგით ვიყიდე.“
შენ უღონო ხარ... და უღონოსა კაცი იბრიყვებს,

მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზე შეგევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გაუძღებს,—და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთი გროშით დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯელ წამოხვალ
და, თუ დადამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზე მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ რიგად განაგრძელებ უდმრთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დაადამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოთ მოსულსა სენსა,
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ-კი მოგვევ, რუსის ფარაჯა!.
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჭკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს ბდუდარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ. საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ყამს გაიწვდი ხელსა.
მოჭკვდები და სწრაფულ ჩაგეშლებენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია.
ეგრედ უბრალოდ გაფუჭდები,—და ჩვენს ხოფნასა,
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა.

ილ. ჭავჭავაძე.

1. **რ**ა გრძნობა და აზრები აღუძრა პოეტს მწუხარე მუშის დანახვამ? 2. **მ**უშის აუტანელი შრომა და საზოგადოების უწყალო მოპყრობა. 3. **ტ**ვირთის პატრონის უსამართლო მოქცევა. 4. **მ**უშის ტანჯულ ცხოვრებას რა ბოლო აქვს?

გარრიეტ ბიჩერ-სტოუ

I

ორმოცი წლის წინათ **ა**მერიკაში ზანგთა ანუ შავკანიანთა სყიდვა-გასყიდვა მოისპო. **მ**ანამდი კი ამერიკელები ზან-

გებს Აფრიკაში ყიდულობდენ და როგორც საქონელს, ისე ამუშავებდენ. Ვაჭარ არაბთა შეიარაღებული ბრბოები შუაგულ Აფრიკისკენ მიემგზავრებოდენ და მშვიდობიან, უმწეო ზანგებზე, როგორც მხეცებზე, ისე ნადირობდენ. Ღამე სოფელს მიეპარებოდენ, ირგვლივ ალყას შემოარტყამდენ, გზებს შეუკრავდენ და შემდეგ ზოგს ხოცავდენ და ზოგიც ტყვედ მიჰყავდათ. Ტყვეებს ბორკილებს უყრიდენ და ცხვრის ფარასავით ნაპირისკენ მიერეკებოდენ. Ნაპირზე მათ დიდიხანია ხომალდები ელოდებოდა. Აქ მათ არაბები სცვლიდენ თოფსა და წამალზე, კაკილებსა და ფერად ფართალზე და შემდეგ ხომალდზე აჰყავდათ. Ბორკილებს აქაც არ ხსნიდენ, ხომალდის პატრონები ცდილობდენ, რაც შეიძლება მეტი წაეყვანათ, ამიტომაც ხომალდში წარმოუდგენელი სივიწროვე იყო. Ბევრს ჰაერი არ ყოფნიდა და კვდებოდა. Მკვდრებს ყოველდღე ზღვაში ჰყრიდენ. ხშირად ავათმყოფებსაც ისროდენ წყალში, თუ რაიმე გადამდები სენით ავად შეიქნებოდენ. Არც ჯანმრთელებს ზოგავდენ და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდენ იმ შემთხვევაში, როდესაც პირქარი ხომალდს ჩქარი სიარულის ნებას არ აძლევდა, და ამის გამო სანოვაგე შემოაკლდებოდათ ხოლმე.

II

Რიჟრაჟიდან კარგა დაღამებამდი ტყვე-მონები მუშაობაზე დგანან. Მწვავე მზე მიწას აცხუნებს, გახურებულ ჰაერში სულის შემხუთავი ალმური ტრიალობს, საბრალო მონა კრ წელგაუმართავად მუშაობს: ბამბას კრეფს, ლერწამს სჭრის. Ჯაჯდა თუ არა ცოტათი სულის მოსაბრუნებლად, ზედამხედველმა მათრახის ცემა დაუწყო; საშინელმა ცემამ ზურგსა, ბეჭებსა და პირისახეზე კანი დაუხეთქა, სისხლი ადინა. Თუ ღონემიხდილ მონას მუშაობის დროს გული წაუვიდოდა და ძირს დაეცემოდა, გრძნობაზე მოსაყვანად გულსა და მუცელში წიხლებს დაუშენდენ.

Არათუ პატრონები და უფროსები, თვით კანონიც შეუბრალებლად ეკიდებოდა მონებს. Მონას უყურებდენ, რო-

გორც საქონელს, მუშა-პირუტყვს. Ცუდათ აჭმევდენ, ცუდათ ასმევდენ, მათ განათლებაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობდა. Მათი სწავლა-განათლების მიღების კიდეც ეშინოდათ.

—Დაიწყებენ კითხვას, ფიქრსა და მსჯელობას,—ბძანებდენ ბატონები მონების შესახებ,—და მოჰყვებიან შემდეგ უკმაყოფილების გამოცხადებას. Სჯობია, ისევ ველურებად დარჩენ. Განა პირუტყვის ჯოგის დამორჩილება უფრო ადვილი არ არის, ვიდრე შეგნებული ადამიანების ბრბოსი?

Იყვენ ისეთი მღვდლებიც, რომელნიც ეკლესიებში ურცხვად ქადაგებდენ, თვით Ღმერთმა დააწესა, რომ ზანგები თეთრებს მონებად ჰყავდესო.

III

Ბოლოს ამ საბრალოებს მფარველიც გამოუჩნდათ: ეს პასტორის Ბიჩერ-სტოუს ასული-გახლდათ.

—Ადამიანის მიძინებული სინიდისი უნდა გამოვაფხიზლოო, —ფიქრობდა Ბიჩერ-სტოუ: საჭიროა მონობის შესახებ ისეთი რამ დაიწეროს, რომელიც ყველას გულში მოხვდეს. Ნაწერის ყოველი გვერდიდან უნდა მოისმოდეს დაჩაგრულთა ტირილი, მათი კვნესა... Დეე, დაინახოს მკითხველმა, თუ რა სისასტიკე და უღვთოობა არის პლანტაციებზე...

მას მოაგონდა ზანგი, სახელად ტომი. ნათლად წარმოუდგა თვალწინ, როგორ კვდებოდა საცოდავი; ცემისაგან ღონემიხდილი, მისუსტებული სულის ამოსვლის წინაც-კი თვის მტანჯველს შენდობის სიტყვებს უთვლიდა. მოაგონდა, რომ ამ საშინელი სურათით გულდამწვარმა მაშინ ხალხში კინალამ ქვითინი მორთო. საჩქაროდ კალამი აიღო და ცოცხლად ასწერა საბრალო ბიძია ტომის სიკვდილი.

როდესაც წერას მორჩა და გადაიკითხა, თვალებზე ცრემლები მოადგა.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მოთხრობა, ეს ამბავი გულის სილრმემდი არავის ჩასწვდება?“ ქმარი შინ არ იყო და ნაწერი ათისა და თორმეტი წლის თავის ბავშებს წაუკითხა. მათ მწარედ ქვითინი დაიწყეს და თვალცრემლიანები იმეორებდენ:

—დედა, საყვარელო დედა, მონობაზე უსაშინელესი არაფერი არ უნდა იყოს!

აი, აქიდან დაიწყო შესანიშნავი წიგნის „ბიძია ტომის ქოხის“ წერა.

IV

როდესაც წიგნი დასრულდა, მკითხველები მას ერთმანეთს ხელიდან სტაცებდენ. ამერიკაში სულ მოკლე დროს განმავლობაში ოთხასი ათასი ცალი გასაღდა. წიგნი მაშინვე ოც სხვადასხვა ენაზე გადათარგმნეს. ბლოვის ზარივით მოედვა მთელს ქვეყანას ეს წიგნი, რომელიც ადამიანს სინიდისის გამოსაფხიზლებლად იწვევდა. ამერიკელებს შერცხვათ, შეძრწუნდენ, დაინახეს, რა სიმხეცეს სჩადიოდენ. ვინც წინათ მდიდარი პლანტატორების შიშით ჩუმად, ჩურჩულით ლაპარაკობდა ახლა ხმა აიმაღლა და მონობის მოსპობა საქვეყნოდ მოითხოვა. მთელი ჩრდილო ამერიკა ზანგ მონათა დასაცავად ფეხზე დადგა. მცხოვრებნი სამხრეთ ამერიკისა, სადაც უმთავრესად გაშენებული იყო პლანტაციები, რომელთათვისაც საჭირო იყო ყმები, აჯანყდენ და ახალი კანონების დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. მოხდა ომი, რომელიც წელიწადი

გაგრძელდა და მონების სრული განთავისუფლებით დაბოლოვდა. ახლა ისინი თავისუფალის ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან. მათ შორის ბევრია სწავლული, მწერალი, მსახიობი, მხატვარი და მდიდარი ვაჭარი. ისინი მუდამ მადლიერი იქნებიან და კეთილად მოიხსენებენ თავის დიდებულს მფარველს ბიჩერ-სტოუს.

V

1896 წელს, დაბადებიდან 85 წლისა, ბიჩერ-სტოუ გარდაიცვალა. ბებერი ზანგი, რომელიც ოდესღაც მონად ყოფილიყო, სხვათაშორის, „მონათა მეგობრის“ დასაფლავებას დაესწრო. ზანგმა საფლავზე დაიჩოქა, ზეცისკენ მთრთოლვარე ხელები აღაპყრო და თვალცრემლიანმა აკანკალებული ხმით ყრუდ ჩაილაპარაკა: „იძინე მშვიდათ, ჩვენო მფარველო! ნახვამდის... მეც მალე მოვალ იქ... კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და იქ, უზენაესის საკურთხevლის წინაშე, კვლავ გიძღვნი მადლობას ყველა ჩვენების მაგიერ!“... და სიტყვა-დაუთავებლად, მოხუცმა ჭაღარა თავი საფლავამდი დახარა და წყნარად, უხმოდ ქვითინი დაიწყო.

მოიფიქრეთ სათაური თითოეულის ნაწილისა და გადმოეცით მოკლე შინაარსი. შეადარეთ ბიჩერ-სტოუს მოღვაწეობა ოლბერლეინისას.

ვინ არის ჩემი მოყვასი.

დაწყლულებული და მტვერ-მიყრილი
ვეგდე შარაზე ღონე-მიხდილი;
დარდი მახრჩობდა და ცრემლი მწვავდა,
კაცი მშველელი არავინ მყავდა.
ამას ვსტიროდი;
ამას ვჩივოდი:
სად არის ჩემი ძმა, ან მოყვასი,
რომ შემიბრალოს და დამდოს თვასი?!
ვინც გაივლიდა,
გვერდს ამივლიდა;

გულს შედებოდა ცეცხლივით სევდა,—
წყლულსა, ჭრილობას არვინ მიხვევდა..
ზოგს კიდეც სურდა,
მომშველებოდა,
მაგრამ ცხოვრებას
ვერ გაურბოდა:
ამაოება ქვეყნიერობის
დამჩაგვრელია კეთილის გრძნობის.
ზოგი დამფრთხალი წყლულებს შიშით,
სულთქმა-კვნესითა, ვაებით, ვიშით
ჩემგან ივლტოდა.
შორს გამირბოდა.
და რომ მიუურობდა სიკვდილის ძილი,
კვნესას მიშლიდა მწარე ტკივილი
და ტანჯვა ვიგრძენ ცრემლის მშრობელი,—
მომიახლოვდა სულ შორებელი...
წამოიხარა
მუხლთ მოიყარა,
მან აღმიუვანა,
თან წამიყვანა,
წყლულზე დამატხო ტკბილი, საამო,
გამკურნებელი ჩემი—მალამო...
მაშინ მომესმა ხმა იდუმალი:
„ვინც მოგეშველა, სწორეთ ეგ არი,
ეგ არის შენი ძმა და მოყვასი,
რომ შეგიბრალა და დაგდო ფასი.“

ეადოვსკაია.

1. **რ**ა მდგომარეობაში იყო ადამიანი? 2. **რ**ას სჩიოდა უბედური? 3. **მ**ოეხმარენ თუ არა თავისიანები? 4. **ვ**ინ იხსნა სიკვდილისაგან? 5. **მ**აშ ვინ ყოფილა მისი მოყვასი?

გუტენბერგი.

ძველ დროში წიგნის ბეჭდვა არავინ იცოდა. წიგნებს კალმითა სწერდენ და შემდეგ აქიდან გადასწერდენ ხოლმე. ახლა რომ საბეჭდავი მანქანით ერთ დღეს ას წიგნს დაბეჭდვენ, წინათ ერთი წიგნის გადაწერას ერთი და ორი წელიწადი უნდებოდა. ამიტომ წიგნი ძალიან ძვირი და ცოტა იყო. წიგნის მცოდნენიც იშვიათად მოიძებნებოდენ, რადგანაც წიგნის შოვნა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ; ამის გამო სიბნელე და უმეცრება იყო გამეფებული.

ზოგიერთებმა წერის მაგიერ ფიცარზე ასოების ამოჭრა დაიწყეს. ამოსჭრიდენ ფიცარზე ნაწერის მთელს გვერდს, წაუსვამდენ საღებავს და მერე ქაღალდზე გადაიღებდენ. მაგრამ ეს საშუალება ძვირი და უხერხული გამოდგა.

აი, ერთს ადამიანს ბრწყინვალე აზრი დაებადა: ფიცრების მაგივრად გამოიგონა მოძრავი ანბანი, რომლის აწყობაც და დაშლაც ადვილად შეიძლებოდა. ამ ასოების შემწეობით ყოველგვარი წიგნის ბეჭდვა ადვილი მოსახერხებელი შეიქნა. ეგ აზრი დიადი აზრი გამოდგა. მან შექმნა წიგნების ბეჭდვა.

იოვანე გუტენბერგი, რომელმაც წიგნის ბეჭდვა გამოიგონა, ცხოვრობდა გერმანიის ქალაქს მაინცში ხუთასი წლის წინათ. იგი იყო შვილი წარჩინებულის, მაგრამ ღარიბი აზნაურისა. ყმაწვილობაში ბევრი იმოგზაურა, ბევრი ისწავლა, იცოდა რამდენიმე ხელობა. როგორც განვითარებული კაცი განათლებას დიდათ აფასებდა; სწუხდა, რომ ხალხი უმეცრების წყვდიადით იყო გარემოცული და წიგნის ბეჭდვის აზრი მუდამ თავში უტრიალებდა: მტკიცედ სწამდა, რომ სიბნელე მხოლოდ წიგნის საშუალებით გაიდევნებოდა. მთელს მის სიცოცხლის მიზნად შეიქნა ეგ საქმე. ამას შესწირა და ანაცვალა მთელი თვისი ძალ-ღონე, თვისი ნიჭი და ნივთიერი ქონება.

ბეჭდვა ხომ გამოიგონა, მაგრამ ახლა საჭირო იყო სამუშაო მასალისა და მუშაობის მოფიქრება: ასოები უნდა თვითონ მოეჭრა, შეედუღებია ისეთი ლითონები, რომ მისგან ასოების

ჩამოსხმა შეძლებულიყო, საღებავი და საბეჭდავი მანქანის ნიმუში გაეკეთებია.

ამისთვის ფული იყო საჭირო, და გუტენბერგს კი ფული არა ჰქონდა, ამიტომ საამხანაგოდ შეძლებული კაცი უნდა მოეძებნა. არ შეხვდა რიგიანი ამხანაგი: გუტენბერგს ყველა ატყუებდა. მისი გამოგონებით თვით სარგებლობდენ; ზოგჯერ მთელ საბეჭდ მანქანას თვითონ მიითვისებდენ ხოლმე. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი მოტყუება, რამდენი დევნა, რამდენი უბედურება მან გამოიარა.

სამჯერ მოაწყო სტამბა თავისი მოხერხებით და სამჯერვე სხვებმა წაართვეს და მიითვისეს. რამდენჯერმე თვითონაც საშინელს ხიფათში გაება და ამ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს კინალამ გადაჰყვა. გამოჩნდენ ისეთი ბოროტი ადამიანები, რომელთაც თვით გამოგონების აზრის მითვისებაც მოიწადინეს.

არ ირწმუნეს გუტენბერგის გამოგონება, კუდიანობა და ჯადოსნობა შესწამეს, ქირდვა და დაცინვა დაუწყეს. ხშირად სწვევია მას შიმშილი, სიცივე, ათასნაირი ნაკლულევანება, მაგრამ დიდებულმა ადამიანმა ყველა ამას სძლია და თავის მიზანს ეწია; წიგნის ბეჭდვამ მაგრად მოიდგა ფეხი და სრულიად განმტკიცდა. ეგ დიდი გამოგონება ერთბაშათ მოედვა მთელს ქვეყანას: ყოველგან გამართეს სტამბები, გაჩაღდა წიგნების ბეჭდვა. გამრავლდა და გაიაფდა წიგნები. იმატა წერა-კითხვამ; გამრავლდა განათლებულთა რიცხვი. გუტენბერგის სურვილიც ეს იყო.

ახლა კი ხალხი ცხადათ მიხვდა, თუ წიგნების ბეჭდვას რა დიდი სარგებლობა მოსდევდა. სტამბის პატრონებმა დიდი ფული და ქონება შეიძინეს. დიდებული გამომგონებელი კი უსახლკაროდ, ღარიბად და მარტოხელად მოკვდა. ისიც არავინ იცის, სად არის დამარხული.

მაგრამ შთამომავლობა სასოებით იხსენიებს დიდებულთა სახელებს, და მათ შორის გუტენბერგის სახელიც მუდამ დაუვიწყარი იქნება კაცობრიობისათვის.

1. რა მდგომარეობაში იყო ხალხის განათლება გუტენბერგამდი?
2. როგორ შეუწყო ხელი ხალხის განათლებას გუტენბერგის გამოგონებამ?

ჯემს უატტი.

ამ ოცდაათი წლის წინათ ტფილისსა და ფოთს შუა უბრალო ფოშტის გზის მეტი სხვა უკეთესი არ ყოფილა; მგზავრი ან ქვეითად მიდიოდა, ან ცხენით, ან ეტლით; საჭირო და სხვა საქონელიც ან ეტლით უნდა წაეღოთ, ან ცხენითა და აქლემით. ეტლით სიარულს ტფილისამდი თითქმის ერთ კვირას უნდებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენს წვალებასა და ტანჯვას ამ გზაში კაცი გამოივლიდა. ახლა კი სულ ათი-თორმეტი საათის განმავლობაში მიდის ადამიანი და მიაქვს ასი და ათასი ფუთი საქონელი: არ ეშინია არც წვიმის, არც თოვლის...

ეს სულ რის წყალობითაა? რასაკვირველია, რკინის გზის წყალობით. რკინის გზის გაკეთება გამოიგონა ჯემს უატტმა, რომელიც ცხოვრობდა ინგლისში ას ორმოცდაათი წლის წინათ. ეს დიდებული კაცი იყო უბრალო ხელოსნის შვილი. ყმაწვილობაშივე ამ ფრიად ნიჭიერ ბავშს წიგნის კითხვა ძლიერ უყვარდა. უყვარდა აგრეთვე თავის მამის სახელოსნოში ხშირად ყოფნა და ცქერა, თუ როგორ და რას მუშაობდა მამა მისი. ბულმოდგინეთ აკვირდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო სწარმოებდა ან სახლში, ან ეზოში, ან ტყესა და ველში. ხშირად მისი გონება მთელი საათობით გატაცებული და შეპყრობილი იყო იმ ფიქრებით, თუ რა ამოიკითხა წიგნიდან და ან რა ნახა: იმის გონებასა და ყურადღებას იზიდავდა ბრწყინვალე ვარსკვლავები, ჰაერში მიმოფანტული ღრუბლები, ღრუბელში დაკლაკნილი ელვა, ადუღებული წყლიდან ასული ორთქლი და სხვა მრავალი. ერთხელ ეს ყმაწვილი დიდხანს იჯდა ცეცხლზე დადგმული ჩაიდნის ახლო და თვალს არ აშორებდა მას; ჩაიდანს ისე უცქეროდა, თითქო ის რაღაც სასწაულის მოქმედი ყოფილიყოს. დედამ ეს შენიშნა და შიშმა აიტანა, ყმაწვილს ხომ არაფერი დაემართაო!

—რას ფიქრობ, შვილო?—ჰკითხა შეშინებულმა დედამ: აგერ მთელი საათია, რაც შენ ჩაიდანს მისჩერებიხარ, თითქო

იქ რაღაც საკვირველებას ხედავდე, დაანებე თავი, წადი გარეთ, ითამაშე.

რას ფიქრობდა პატარა ჯემსი? ის უყურებდა ჩაიდნის სახურავის თამაშობას: სახურავი ხანდახან ახტებოდა და ისევ თავის ადგილს გაჩერდებოდა და ამ ახტომ-დახტომის დროს რაკა-რუკი გაჰქონდა. ემაწვილი მიხვდა, რომ ეს ორთქლის გამო არისო: მოგროვდება ჩაიდანში ორთქლი, მიაწვება სახურავს და შეახტუნებს მაღლა; გამოვა გარეთ ორთქლი და სახურავი ისევ თავის ადგილას ეცემა. ძიდევ მოგროვდება ორთქლი და ისევ გამეორდება სახურავის აწევ-დაწევა; სანამდი ჩაიდანს ქვეშ ცეცხლი არ ჩანელდება და წყალი დუღს, ჩაიდნის თავსახურავიც რაკა-რუკობსო. ცხადია, რომ ამ მოვლენას მანამდისაც ბევრი დაინახავდა, მაგრამ ამას არავინ ისე არ დაჰკვირვებია და არ ჩაჰფიქრებია, როგორათაც უატტი.

—ჩაიდანში ორთქლი ცოტაა,—ფიქრობდა უატტი,— მაგრამ სახურავს მაინც ზევით სწევს. დიდი ქვაბი რომ წყლით ავავსოთ და ვადუღოთ, ცხადია, ორთქლი უფრო მეტი იქნება და სუბუქ სახურავს კი არა, უფრო მძიმესაც ასწევსო. ამ ქვაბის სახურავს რომ ფოლადის ჯოხი მოვაბათ, ორთქლი სახურავს ასწევს და სახურავი—ჯოხს; ეს ჯოხი რომ ბორბლებს მივამაგროთ, ორთქლი სახურავს ასწევს, სახურავი—ჯოხს და ჯოხი ბორბლებს დაატრიალებსო. ამ ბორბლებზე რომ თითონ ეს ქვაბი დავსდგათ, ქვაბი თავის თავს ისე წაიღებს, რომ ხმელეთზე ცხენი არ დასჭირდებაო და ზღვაზე—საჭე და აფრა. აქ ყმაწვილი გაიტაცა ოცნებამ, რომ ის შესძლებს, ლაგამი ამოსდვას თავისუფალ ორთქლს და საითაც უნდა პირი იქით მიუბრუნოს. ხომ მოახერხა ადამიანმა გარეული ცხენის, აქლემის, ხარის, ირმის და სპილოს დამორჩილება; ხომ ამოსდვა ლაგამი თავისუფალ ქარს და აამოძრავებია წისქვილის ფრთები და წააყვანია აფრიანი გემები! ხომ დაიმორჩილა ადამიანმა წყალი და დააბრუნებია წასქვილის ბორბლები. აქ უატტი კვლავ მიეცა ოცნებას, რომ ის გამოიგონებს ხმელეთსა და წყალზე მოსიარულე ორთქლმავალს; ამ ორთქლმავლით ხალხი

იაფად და ჩქარა წავა-წამოვა და წაიღ-წამოიღებს ხმელეთით და ზღვით სხვადასხვა სავაჭრო და საჭირო ნივთებს; რომ ორთქლით მოახერხებს დახერხვას, დაფქვას, დართვას, ქსოვას და სხვა მრავალ საქმეს...

როცა Უატტი წამოიზარდა, ბევრი, თავის ყმაწვილობაში ნაფიქრალი, განახორციელა და სისრულეში მოიყვანა. მართალია, Უატტზე ადრე სხვებიც ფიქრობდენ ორთქლის მანქანის გამოგონებას, მაგრამ Უატტმა ყველაზე უფრო მოხერხებული, დროს შესაფერი, მკვიდრი და ფრიად სასარგებლო მანქანა გამოიგონა.

ეს გამოგონება ადვილი მოსახერხებელი არ იყო: დიდხანს უნდა ეფიქრა თითოეულ საქანელზე, თითოეულ ბურღზე, თითოეულ მილზე, თითოეულ ლურსმანზე...

აი ამიტომაც ასეთი დიადისა და ფრიად სასარგებლო გამოგონებისათვის ხალხმა Უატტს კაცობრიობის კეთილისმყოფელი უწოდა და მისი სახელი უკვდავ ჰყო. იმის შესახებ წიგნებში ბევრსა სწერენ, ბევრს უამბობენ მოსწავლეებს, იმას ყოველგან იცნობენ, სადაც განათლებული ხალხია და მადლობის ნიშნათ ძეგლებს უდგმენ.

რობერტ ფულტონი.

1807 წლის 11 აგვისტოს Ამერიკის ქალაქ ნიუიორკის მცხოვრებთ ნავსადგურთან თავი მოეყარათ, რომ რაღაც ახალი არაჩვეულებრივი გემის წყალში ჩაშვება დაენახათ. წყლისპირას თითონ გემიც ლამაზად მოჩანდა. იმას არც ანძა ჰქონდა, არც აფრა. მის ბანზე გამარტოვებულად ამაღლებულიყო რკინის მილი. ეს იყო პირველი ორთქლმავალი, რომელიც მექანიკოსს ფულტონს გაეკეთებია. ბრბო მოგროვილიყო, ყაყანობდა და გემის გამომგონებელს დასცინოდა და მასხარად იგდებდა.

—აი, ნახავთ, რაც მოხდება,—ეუბნებოდა ვიღაც მოხუცი ხრინწიანის ხმით მის გარშემო შეკრებილს ჯგუფს:—ამ გემს

წყალში ჩაუშვებენ თუ არა, მანქანა მაშინვე ბორბლებიანათ ძირისაკენ წავა. მე თვითონ მეზღვაური ვარ, განაგრძო იმავ მოხუცებულმა,—არა ერთხელ და ორჯერ ვყოფილვარ გემზე. ბაგონილა, რომ მანქანას წყალზე ევლოს!? აი, ნახავთ, რა მალე ჩასძირავს!

—შეხედეთ, შეხედეთ!—დაიყვირეს აქით-იქიდან: წყალში კიდეც უშვებენ!

მართლაც, ორთქლმავალი თანდათან წყლისკენ იწევდა და ბოლოს სულ მთლად ჩაეშვა. მის მილიდან კვამლმა ამოხეთქა, ბორბლები დატრიალდა, და ორთქლმავალი ცოცხალ არსებასავით ქშენითა და შტვენით მოტრიალდა. ბანზე მალე გამოჩნდა რობერტ ფულტონი.

—ბატონებო, ხელმეორედ გთხოვთ, ვისაც გნებავთ, ჩემთან წამობძანდით,—მიმართა ფულტონმა ნაპირზე მდგომს ხალხს. მაგრამ იქ ასტყდა უშველებელი შტვენა და სიცილი. ასეთი პასუხი გასცეს ამერიკელებმა თავის თანამემამულეს მის მაგიერად, რომ მისი გამონაგონი ენახათ და გაეგოთ, თუ რა სასარგებლო იქნებოდა იგი ქვეყნიერობისათვის.

ბაშტერებული და გამწარებული უცქეროდა ფულტონი ხალხის ბრბოს; უნდობლობითა და ზიზღით დააჯილდოვეს ფულტონის მძიმე და ხანგრძლივი შრომა. ორთქლმავალი მძიმედ ქშიტინებდა და ნელნელა შორდებოდა მაყურებლებს. ხალხი დაიშალა, შინისკენ დაბრუნდა და გზა-გზა სულ ამ ორთქლმავალზე საუბრობდა...

—ეგ რა მოუნდომებია!—ამბობდა ერთი,—ჭკუიდან შეშლილა საწყალი! აბა თავი ვის მობეზრებია, რომ მაგას გაჰყვეს!

ორთქლმავალი კი მდინარის აღმა მიდიოდა.

თავჩაღუნული ფულტონი უძრავად ბანზე იდგა. ორთქლმავალი კი თანდათან მიცურავდა. ნაპირების სურათები ერთი მეორეზე იცვლებოდა. ფულტონი კვლავ უძრავად იდგა, თითქო ვერასა ხედავდა; გულდათუთქულს მოაგონდა თავისი სიყმაწვილე. აგერ მიდის ის წიგნებიან-რვეულებიანათ სოფლის შკოლაში, კითხულობს და სწერს, სწერს და კითხულობს,

დღე და ღამე ნიადაგ მუშაობს. დადგება თუ არა დღესასწაულები, რობერტი მირბის ხან ერთ სახელოსნოსკენ, ხან მეორისკენ; ყოველგან სწავლობს, ყოველგან რასმე იძენს. თუ თავისუფალი დრო იხელთა, მხატვრობასაც ჰკიდებს ხელს; დახატავს ხატს, სურათს, გაჰყიდის და ფულს სანოვაგის საყიდლად დედას მიუტანს. თავისი შრომის ფულით დედას ფერმა უყიდა და თვითონ-კი სასწავლებლად ინგლისისაკენ გასწია. სრული ორი წელიწადი იმუშავა აქ სახელოსნოებში მექანიკოსებთან: შეუყვარდა ეს ხელობა. მის გონებაში დაიბადა ბრწყინვალე აზრი: მან განიზრახა ბორბლებზე მოწყობილი გემის გაკეთება, რომელსაც ორთქლის საშუალებით უაფროთ ცურვა შესძლებოდა; ასეთს გემს ვერავითარი ქარი და ქარიშხალი ვერას დააკლებდა. მედგრად და დიდხანს შრომობდა ამ გამოგონებისათვის.

ბოლოს თავისი განზრახვა აასრულა,—მაგრამ რა?... საქვეყნოდ მასხარად აგდებული და გალანძღული, მარტოდ-მარტო მიცურავს თავის ორთქლმავალზე. ამ ახლად გამოგონილი გემით ოდესმე მაინც ისარგებლებენო, ჰფიქრობდა ფულტონი.

ორთქლმავალი მალე მიადგა ერთ პატარა ქალაქის ნავსადგურს. მრავალი ცნობისმოყვარე ხალხი მოაწყდა ნაპირს. აქაც ფულტონი ყველას წინადადებას აძლევდა, გაჰყოლოდენ ორთქლმავალზე ნიუიორკამდი; მაგრამ აქაც არავინ მიიღო მისი წინადადება. ორთქლმავალი დიდხანს იდგა. ბოლოს სურვილი გამოაცხადა მხოლოდ ერთმა მგზავრმა. აღტაცებული სიხარულით მიიღო ფულტონმა ეს მგზავრი და კინალამ ტირილი დაიწყო, როცა მგზავრმა გზის ხარჯი მისცა. რამდენიმე წამი ფულტონი ფულს დასცქეროდა, თითქო გულმოდგინეთ შინჯავდა მას.

—ხომ არ შევცდი? იქნება მეტი გერგებათ?—ჰკითხა ფულტონს მგზავრმა, როცა შეატყო, რომ იგი ფულს დიდხანს უცქეროდა.

—არა არა, სრულებითაც არაა ცოტა,—უპასუხა ფულტონმა,—სწორეთ იმდენია, რამდენიც მე დავნიშნე. მაგრამ

იცით, ამ ფულს რატომ დავაკვირდი? თქვენ პირველი ხართ, რომ ჩემი გამოგონილი ორთქლმავლით ისარგებლეთ და ეს ფულიც—პირველი ჯილდოა ჩემი ხანგრძლივი შრომისა.

მგზავრსა და ფულტონს შორის მალე ჩამოვარდა გულწრფელი მეგობრული საუბარი. ფულტონმა მთლად გაუშალა თავისი გულისწუხილი, თავისი დიდიხნის ტანჯვა-წვალება; დაწვრილებით უამბო მგზავრს, თუ რა საოცარი დაბრკოლება ხვდებოდა მას შრომის დროს ყოველ ნაბიჯზე, როცა ორთქლმავლის გამოგონება გადაწყვიტა.

—ახლა,—სთქვა ბოლოს ფულტონმა,—როგორც იქნა, ორთქლმავალი გავაკეთე, თამამად მიდის ერთი ქალაქიდან მეორემდი და მზად არის, ყველას ემსახუროს... მაგრამ რა?...

—ნუ გეშინია!—გააწყვეტია სიტყვა მგზავრმა,—რამდენსამე წელს შემდეგ თქვენი ორთქლმავლებით მოფენილი იქნება ყველა ზღვა და მდინარე.

მგზავრის წინასწარმეტყველება მალე ასრულდა. ახლა ვინ არ იცის, რა არის ორთქლმავალი?

1815 წლის თებერვალში ნიუიორკის ყველა მცხოვრებნი, მწარედ დაღონებულნი, მიასვენებდენ მექანიკოსის ფულტონის კუბოს.

ორთქლმავლებიდან ზედიზედ ზარბაზნები სჭექდენ, თითქო ქვეყანას ატყობინებდენ, რომ დიდებული კაცი სულ მთლად არ მომკვდარა, რომ მან სახსოვრად დიდი და დაუფასებელი ძეგლი დაუტოვა მთელს ქვეყნიერობას.

დასწერეთ უატტისა და ფულტონის მოღვაწეობის მსგავსება და განსხვავება.

ჯ ე ნ ე რ ი.

არავინ იცის, ქვეყანაზე როდის გაჩენილა საშინელი სენი—ყვავილი. ვინ მოსთვლის, რამდენი მილიონი ხალხი გაუწყვეტია მას! მრავალ საშუალებას ხმარობდენ ყვავილით ავათ-

მყოფების განსაკურნებლად, მაგრამ ამაოდ. სნეულთა უმეტესობა ყოველთვის იხოცებოდა და, ვინც გადურჩებოდა, რაღა გადარჩენა იყო! ზოგს სისუსტე დასჩემდებოდა, ზოგს სისხლნაკლებობა, ზოგი ბრმავდებოდა.

და აი, 1796 წელს ინგლისის ერთმა სოფლის ექიმმა ჯენერმა გამოიგონა ამ სენის ახალი საექიმო საშუალება: ყვავილის ასაცდენათ ძროხის ყვავილის აცრა დაიწყო.

ჯენერი მღვდლის შვილი იყო; იგი ბავშობიდანვე დაობლდა; ჯერ სამრევლო შკოლაში სწავლობდა, მერმე სოფლის აქიმს მიებარა. რამდენსამე ხანს შემდეგ ლონდონს გადასახლდა. აქ განაგრძო ერთს შესანიშნავ აქიმთან აქიმობის სწავლა.

ჯენერი ბრწყინვალე ნიჭის პატრონი იყო: საექიმო საგნებს მშვენიერად სწავლობდა. ლონდონში რომ დარჩენილიყო, მის აქიმობას დიდი გასავალი ექნებოდა. მაგრამ ახალგაზდა აქიმი ამ გარემოებამ ვერ მიიზიდა: მან სამშობლოში დაბრუნება არჩია, სადაც მას ბევრი საქმე გაუჩნდა: იგი უაქიმებდა შორიდან მოსულს ავათმყოფებს, ძლიერ ბევრს კითხულობდა, ბუნებას იკვლევდა და თანდათან მეტი ცოდნის შეძენით დიდათ განვითარებულ მეცნიერად გახდა.

როგორც აქიმს, მას მეტად აინტერესებდა ყვავილი, რისგანაც ხსნა არსაიდან ჩნდა.

ამ სენის შესახებ ჯენერს ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული, ბევრ ყვავილიანისათვის ეაქიმებია და სწუხდა, რომ ადამიანი ამ საშინელი სენისაგან თავს ვერ იხსნიდა.

საქონლის აქიმობაში შეენიშნა, რომ თურმე ყვავილი ძროხასაც ისე ემართება, როგორც ადამიანს, ხოლო ძროხა უფრო ადვილად იხდიდა. ამასთანავე გაეგონა, რომ ძროხის მწველელ ქალებს თურმე ხშირად გადაედობოდათ ეს სენი ძროხებისაგან, მაგრამ ამ ყვავილს ისინი ადვილად იხდიდენ და ნამდვილი ყვავილი მერე აღარ ემართებოდათ.

ეგებ შესაძლებელი გახდეს, რომ ძროხის ყვავილი ადამიანს აეცრას და ამით ნამდვილი ყვავილისაგან გადარჩესო,— ფიქრობდა ჯენერი. მთელი ოცდაათი წელიწადი იმუშავა მან

ამ საგანზე: იგი საცადებს აწარმოებდა, უკვირდებოდა ყვავილიან ცხოველებს, ერთი ცხოველის ჩირქს მეორეს უცრიდა; ბოლოს დარწმუნდა, რომ მისი მოსაზრება საიმედოა და ძროხის ყვავილის აცრა ადამიანსაც ყვავილით სიკვდილისაგან იხსნისო.

ახლა იგივე კაცზე უნდა ეცადა. ჯენერმა ძროხის ყვავილის მუწუკიდან ჩირქი ამოიღო და რვა წლის ყმაწვილს აუცრა. ბავშს ცოტა სიცხე მისცა ოდნად გამოყარა, გამოყრილი დამწიფდა, და რამდენსამე დღეს შემდეგ ავათმყოფი სრულიად მორჩა. ახლა ჯენერს უნდოდა დარწმუნებულიყო, ძროხის ყვავილით აცრილ კაცს დაემართება, თუ არა ნამდვილი ყვავილი.

ჯენერმა ნამდვილი ყვავილის ჩირქი აიღო და ყმაწვილს აუცრა. თუმცა კი სჯეროდა, რომ ეს აცრა უხიფათო იყო, მაგრამ მაინც დიდ შიშში ჩავარდა: არც დღე, არც ღამე აცრილს არ მოშორებია, ადარც სვამდა ადარც სჭამდა, არც ეძინა, შიშისაგან ცივებიანივით ძიგძიგობდა. საცდელმა ვადამ გაიარა. ბავში უვნებლად გადარჩა. ცხადი შეიქნა, რომ ჯენერის გამოგონება უტყუარი იყო. ძროხის ყვავილმა ყმაწვილი ნამდვილს ყვავილს ააცდინა. ჯენერის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: მაშ 30 წელიწადი უნაყოფოდ არ მიშრომიაო, —ამბობდა გახარებული ჯენერი.

მან თვისი გამოკვლევა აქიმებს უამბო და ჟურნალებში წერა დაიწყო, მაგრამ არავინ დაუჯერა და სასაცილოდაც კი აიგდეს. ჯენერმა ბევრი მწუხარება და უსიამოვნება გამოიარა: მას უგუნურად სთვლიდენ, პირში და ზურგს უკან დასცინოდენ. ძვირფასი აქიმობის გამომგონებელს და მის აცრილებს საოხუნჯო ჟურნალებში სასაცილოდ ხატავდენ: აცრილებს ვითომც ძროხის რქები, ჩლიქები და კუდი გამომბოდათ. ისეთი ადამიანებიც გამოჩნდენ, რომ ამტკიცებდენ, აცრა მომაკვდინებელი ცოდვააო.

ჯენერს ძლიერ უძნელდებოდა ადამიანის შურსა და სისულელესთან ბრძოლა, მაგრამ იგი სულით არ დაცემულა,

საცადელზე ხელს არ იღებდა და გულმოდგინებითა და მხნედ თავის შრომას განაგრძობდა.

მართლაც, ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა. აშკარად დაინახეს, რომ ჯენერი მართალი იყო. შემოიღეს თუ არა აცრა, ყვავილით მკვდართა რიცხვი თანდათან კლებულობდა. მარტო ინგლისში აცრის პირველ წელიწადს ორმოცდა ხუთი ათასი გადარჩა. ეგევე მოხდა სხვა ქვეყნებშიაც, საცა აცრა შემოიღეს.

ჯენერი მეფე-დედოფალს წარუდგინეს, როგორც ქვეყნის კეთილისმყოფელი. ლონდონის მცხოვრებლებმა ჯენერს ბრილიანტებით შემკული დიპლომი მიართვეს, და საპატიო მოქალაქედ აღიარეს. ბამოგონების ჯილდოთ დიდძალი ფული უძღვნეს. მის სახელს დიდი მადლობითა და პატივით იხსენებდენ. ცილისწამება და დაცინვა გაქრა და უბრალო სოფლის აქიმის სახელი მთელს ქვეყანაზე განითქვა.

ჯენერს ეხვეწებოდენ, ლონდონში გადასულიყო, აძლევდენ საპატიო თანამდებობას, პირდებოდენ დიდს შემოსავალს, მაგრამ მას არ უნდოდა თვისი მშვიდი და წყნარი სოფლის მიტოვება. აქ ის თავის ოჯახში ცხოვრობდა და თავის ჩვეულებრივ საქმეს განაგრძობდა, აქიმობდა ავათმყოფებს, ხელს უწყობდა ღარიბებს, წინანდულად იკვლევდა და საცადებს აწარმოებდა. ამასთანავე სოფლის მსაჯულის თანამდებობასაც ასრულებდა.

ჯენერი 74 წლის მოხუცი გარდაიცვალა; მას დაუდგეს ძეგლი; იგი წარმოადგენს ჯენერს, რომელიც სკამზე ზის და მუხლებზე დაწვენილს ბავშს ყვავილს უცრის.

ლუი პასტერი.

დიდიხანი არაა მას აქით, რაც საფრანგეთში გარდაიცვალა ერთი დიდებული მეცნიერი, ლუი პასტერი. ის დაიბადა საფრანგეთის ერთს პატარა ქალაქში. მისი მშობლები ღარიბნი იყვენ. მათ ძალიან უყვარდათ თავისი პატარა ვაჟი და

სულ იმას ოცნებობდენ, რომ მათი ლუი ამ პატარა ქალაქში მასწავლებლად გამხდარიყო. „ჩვენ რომ ეს სურვილი აგვისრულდესო,—ამბობდენ ისინი,—ჩვენისთანა ბედნიერი მშობლები მთელს დედამიწაზე არ იქნებაო.“ რა იცოდენ, თუ მათი შვილი იმ პაწია ქალაქის კი არა, მთელი საფრანგეთის, მთელი ევროპის, მთელის კაცობრიობის მასწავლებლად შეიქნებოდა.

პასტერი რომ სასწავლებელში შეიყვანეს, პირველ ხანს მისი სწავლა კარგათ ვერ მიდიოდა. ბაკვეთილების სწავლის მაგიერ პატარა ლუი მდინარეზე თევზის საჭერად დარბოდა. მაგრამ როცა წამოიზარდა, ჭკუაში ჩავარდა, მიხვდა, რომ მის მშობლებს ძალიან აწუხებდა და სტანჯავდა მისი სიზარმაცე—ანკესი მიატოვა და წიგნს ბეჯითად ხელი მოჰკიდა.

მესამე კლასში რომ გადავიდა, საუცხოვო სიბეჯითე და ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა. ისე უსაზღვროდ სწყუროდა მას ყოველისფრის გაგება და სწავლა, რომ თავის მასწავლებლებს მოსვენებას არ აძლევდა სხვადასხვა კითხვით. სანამ შეეძლოთ, მასწავლებლები შესაფერ პასუხს აძლევდენ; მაგრამ მალე გამოტყდენ, რომ პასტერმა მათზე უფრო მეტი იცოდა, და ურჩიეს, უმაღლეს სასწავლებელში გადასულიყო. ლუიმ მასწავლებლებს დაუჯერა და სატახტო ქალაქს გადავიდა,

აქ ის ან წიგნების კითხვაში ატარებდა დროს, ან სასწავლებელში იყო, სადაც სხვადასხვა საცადს აწარმოებდა. როცა პასტერი დასაძინებლად მოემზადებოდა, ხშირად თავისთვის წაიბუტბუტებდა: „ეჰ, შვიდი საათი კიდევ უნდა ვიცადო, სანამ სასწავლებელში წავიდოდე!“

მთელი თავისი სიცოცხლე საქმიანობაში გაატარა. თავისუფალ დროს მას არც სტუმარი უყვარდა და არც არავითარი გართობა: ის სულ წიგნს უჯდა. ოცდახუთი წლის რომ შეიქნა, მან თავისი პირველი დიდებული მეცნიერული გამოკვლევა მოახდინა. ამას მოჰყვა შემდეგ თელი წყება დიდებულ და საკვირველ გამოკვლევათა. საკვირველისა და იშვიათი სიბეჯითით შრომობდა ის ღრმა სიბერემდი. როცა ავათ იყო

და წერა არ შეეძლო, მეცნიერულ გამოკვლევას მწოლარე უკარ-ნახებდა თავის მეუღლეს. პასტერმა ასეთი შრომა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი განაგრძო. პასტერის დიდებულმა გამოკვლევამ მისი სახელი მთელის ქვეყნიერობისთვის სათაყვანებლად გახადა. მის დამარხვას მთელი ქვეყნიერობის წარმომადგენელნი დაესწრენ. მის კუბოს მილიონი ხალხი მისდევდა, ის დამარხა არა მარტო საფრანგეთმა, არამედ მთელმა კაცობრიობამ. თუმცა პასტერი ასეთი სახელგანთქმული მეცნიერი იყო, მაგრამ კერძო ცხოვრებაში მეტისმეტად თავდაბლად იქცეოდა და სიამაყის ნიშანი სრულიად არ ეტყობოდა. ყველა თავისუფლად მიდიოდა მასთან, თავის გასაჭირს შესჩიოდა, და ის, შეძლებისამებრ, ყველას ეხმარებოდა, რითაც-კი შეეძლო. ის ბუნებით სრულიად უანგარო ადამიანი იყო. მას რომ თავისი გამოკვლევა გასასყიდ საგნად გაეხადა, მილიონებს შეიძენდა. არც ერთ გამოკვლევას თავის საკუთრებად არ სთვლიდა და გამოკვლევის თითოეულ ნაყოფს მაშინვე საქვეყნოდ გამოაცხადებდა ხოლმე, რომ მთელს ქვეყანას უსასყიდლოთ ესარგებლებია.

არც ერთს ომში იმდენი სალდათი არ იხოცება, რამდენიც ყოველ წელს საშინელი სენით—ჭლექით კვდება. ჭლექს აჩენენ ბაქტერიები. ხოლერის ბაქტერიები თავზარს დაგვცემენ ხოლმე, როცა გვეწვევიან; დიფტერიტის ბაქტერიები მუსრს ავლებენ ყმაწვილებს; ყვავილის ბაქტერიები ადამიანს ან წუთისოფელს ასალმებენ, ან სახეს უმახინჯებენ და სხვ. ბაქტერიების მიერ გამოწვეულ სენისაგან მორჩენა და დაცვა პასტერმა აცრით მოახერხა. მართალია, პასტერამდისაც იცოდენ ყვავილის აცრა, მაგრამ ყვავილის ნამდვილი მიზეზი-კი არავინ იცოდა. პასტერამდი აზრათაც არ მოსვლიათ, თუ ყვავილს გარდა სხვა გადამდები სენის აცრაც შესაძლებელი იქნებოდა. გადამდები სენის ნამდვილ მიზეზს მხოლოდ პასტერმა მიაგნო და მან პირველმა დაიწყო ამ სენის აცრა. მიკროსკოპის შემწეობით პასტერმა შეისწავლა ცოფის, ციმბირის ჟამის, ქათმის ჭირისა და სხვა მრავალი სენის გამჩენი ბაქტერიები.

მავნებელი ბაქტიერების შხამის ძალა რომ დაესუსტებია, პასტერი ამ ბაქტერიებს ან ჰაერში ახმობდა, ან ერთი ცხოველიდან მეორეს უცრიდა, ან კიდევ მჟავბადში ინახავდა.

ამ გვარად პასტერმა მოახერხა მავნებელი ბაქტერიების შხამის დასუსტება. ახლა ადვილად შეეძლო დასუსტებული ბაქტერიების აცრა და ამით გადამდები სენისაგან მორჩენა. წამალი იპოვა. მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო, ხალხი დაერწმუნებია, რომ ამნაირი აცრით შეიძლებოდა სენის აცდენა და ავათმყოფის მორჩენა. და, აი პასტერმა რა ქნა: იმან მოიწვია მეცნიერნი, მოაყვანია 50 ცხვარი და მეცნიერი კაცების თვალწინ ნახევარს დასუსტებული შხამი აუცრა, ხოლო მეორე ნახევარი აუცრელი დასტოვა. შემდეგ ყველა 50 ცხვარს ნამდვილი ციმბირის ჟამი აუცრა. იცით, რა მოხდა? აუცრელი 25 ცხვარი მეორე დღესვე დაიხოცა და აცრილნი ყველანი სიკვდილს გადარჩენ. მაშინ მეცნიერნი დარწმუნდენ, რომ აცრა ცხოველსაც და ადამიანსაც ჟამისაგან იხსნის. ახლა აცრით არჩენენ არა მარტო ციმბირის ჟამით ავათმყოფებს, არამედ სხვა გადამდებ სენიანებსაც. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ აცრით მალე შეიძლებენ ადამიანი და ცხოველები ყველა გადამდები სენისაგან დაიხსნან.

მაშ როგორ არ უნდა ვსთქვათ, რომ პასტერი კაცობრიობის ჭეშმარიტი და დაუფასებელი კეთილისმყოფელია.

შეადარეთ ჯენერი პასტერს. დასწერეთ, თუ ზემოხსენებული წარჩინებული მოღვაწენი რანაირი შრომითა და ცოდნით შეიქნენ კაცობრიობის კეთილისმყოფლებათ.

VI

შრომა და ცოდნა.

შრომისა და ცოდნის მნიშვნელობა.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადუხსნა, შიგ აუარებელი ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო. ჩვენში ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბერტყაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვათ კარგები ვართ, ჯანი და ძალღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი... მაშ რაღათა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით, საიდან რა ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ ისა, რაც თვითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეაო, ღვთისაგან შენთვის მიბარებული, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვსა და უხარბელს გულს არ გადა-

გვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, სადაც ხალხს ცოდნა აქვს, ოთხი დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ცხოვრობს. რადა? ბანა იმიტომ, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან? არა. იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, ჩვენში თქმულია და—მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავადაც სიმ-დიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოთა და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ახლანდელს დროში ცოდნა ყველაფერია: ფულ-ზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭართა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდ-ნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთ გა-უზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონ-დესო“, ჩვენში მაქვს გაგონილი და დასწავლილი. მართალიც არის: კაცი სხვის მარგიც უნდა იყოს და თავისი თავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ კაცს ხერხივით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

მე თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თვითონ ყო-ველდღე ხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებენ ხოლმე, ვიდრე მეხრეს. რადა? იმიტომ, რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ღირს, მოჯამაგირეთ რომ დგება, თუნდა უბრა-ლო მუშაკაცი ერთიორად იმაზე მეტი იყოს მკლავითაცა და ჯანითაცა. რადა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდ-ნე კაცია და უბრალო მუშა-კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ თავისთავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა

ანთებულ სანთელსა ჰგავს სწორედ: ერთს სანთელზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი მასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

სანთელს კიდევ იმითი ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხილებს,—იქ სინათლეა, ჩანს ღვიძავთო, და დაგვიანებულ მოყვარეს-კი ახარებს კიდეც იმით, რომ იქ მღვიძარენი დამხვდებიან და მიმასპინძლებენო.

სანთელს მარტო იმითი არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილიშვილზე, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმით არის კიდევ კარგი, რომ იმან უფროსუმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაც. ყველას ერთნაირად დაუშვენებს ხოლმე, ოღონდ-კი კაცი გულმონდომილი, მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდი.

ილ. ჭავჭავაძე.

1. ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრე. 2. ჩვენი ხალხის სიღარიბე. 3. ცოდნის საჭიროება და მისი ღირსებანი.

ქვიშსეთის მთებში.

მთის წვერზე ვდგავარ. მეში სისწორით
სქელი ღრუბლების მოსჩანს გუნდები,
და ჩემს გარშემო—მთების მწვერვალნი,
შავათ მოსილი სულ მთები, მთები...

მთა მთასა მისდევს, მთა მთას აწვება,
კიდით კიდემდი ძლივს ეტევიან,
ულგაადგილობით დედაშვილურათ
მთები ერთმანეთს გადახვევიან.
სძინავს დედამთას შუა გაწოლილს,
თავი ღრუბლებში აუწევია,—
მას ჰაწა მთები, ვით დედას შვილნი,
გარშემო ტანზე შემოსევია.
სძინავთ,—ზათეხულის გრილი ნიავი
ტკბილსა ნანინას ეჩურჩულება...
არარა არღვევს მათ მუდრობას,
დამტკბარი არის მთელი ბუნება.
მძინარე მთების კალთებს და ფერხთა
ეამბორება ალერსიო მტკვარი—
და ჭაერისა ციურ ნანინას
მისი დუდუნი ერთვის დამტკბარი...
ამოდის მთვარე. მთების თვალწარმტაც
სახეს და გულმკერდს შეშტერებია.
სდუმებს ფერმკრთალი: სჩანს—მათი ტრფობით
გულისა ცემა შეჩერებია.
მტკვარი შესტქერის ღამის მნათობსა,
დიდხანს შეუურებს ჩათიქრებული...
ბოლოს შეკითხავს ნაღვლიანის ხმით,
თან სევდიანი უტოკავს გული:
„მნათობო ცისა,
დედამიწისა
შენ თანამგზავრო! სთქვი, თუ გწამს ღმერთი,—
მრავალგზის დღემდი
კიდით კიდემდი
შემოგივლია მთელი ხმელეთი,—
მთები და ბარი
შენ ოვალგვარი
გაგიკვლევია, გადაგილახავს—

ამისებრ მშვენი,
სულის მალხენი
სხვა მხარე სადმე კიდევ გინახავს?!
ცხადია—არა!..
მაგრამ არ კმარა
მარტო შვენება ეს გარეგანი—
და სთქვი: გამჩენმა
უფალმა ჩვენმა
აქ რათ დასტანჯა ადამიანი?
ოჰ, მთვარეო, მიოხარ...
დმერთთან ახლოს ხარ,—
მისი განზრახვა გეცოდინება:
ქართველთ ზნეობას,
სულის მხნეობას
არ ედირსება ადორძინება?"
გადაჭრილ ხასუხს აძლევს მას მთვარე,
ვითა დინჯ მსაჯულს შეეფერება:
„წინსვლისა ნდომით,
ოფლის ღვრით, შრომით
მოიპოება ბედნიერება!.."

სილოვანი.

გუთნის დედა.

„ბადი-გამოდი, გუთანო,
ლირლიტავ, ბანი უთხარო!"

ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაბანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.

ნუ დამიდგინდი!.. შენი უდელი
ჩემს უდელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავუურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართმევს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ ვირუტევი ხარ და მე მეტუველი?!..
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჯრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომა აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირიო იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?..
მე ჩემის ჯირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კატობის გულის-დუღილის
სიტუვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტუველის ტანჯვას,
როცა სიტუვასა მართალს გულში ჭკლავს!..
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უდელი
შენს უდელზედა უფრო ძნელი...
მაშ რა გადონებს?.. გასწი ჯავანსა
და გაიტანე გუთანი ბოდოს,
ნუ უდალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!

ილ. ჭავჭავაძე.

1. **რა** ბედისანი არიან გუთნის დედა და გუთნის ხარი? 2. **გ**უთნის დედის ბედი რით არის უმწარესი ხარისაზე?

ვინ რას აკეთებს.

ყოველი ადამიანი თვისი ნიჭისა, ცოდნისა და მოხერხებისამებრ ცხოვრობს.

მიწის მუშას მიწა აცხოვრებს, მონადირე ნადირს ჰკლავს, მეთევზე თევზს იჭერს, ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები სხვადასხვა საქონელს აკეთებენ. თერძი და ხარაზი, მჭედელი და ზეინკალი თავისი ხელობით ცხოვრობენ. ვაჭარი მზა საქონელს ყიდულობს და ჰყიდის.

ადამიანს სხვადასხვა ნიჭი აქვს მიცემული: ზოგისთვის მღვდლობისა, ზოგისთვის მწერლობისა, მხატვრობისა, მასწავლებლობისა, აქიმობისა, მსაჯულობისა, ხუროთმოძღვრობისა: ერთი სამხედრო სამსახურს ეწევა, მეორე სამოქალაქოს.

ხელობით რომ კაცმა სარჩო იშოვოს, ცოდნას გარდა, საჭიროა მიჩვევაც, ხელის გაწაფვა. ვისაც გონების შრომით ცხოვრება უნდა, მისთვის მიჩვევა და დახელოვნება არა კმარა, —საჭიროა ბუნებითი ნიჭი, ხანგრძლივი მზადება, ბევრი სწავლის შეძენა და თითქმის მთელს სიცოცხლეში მეცნიერებაზე დგომა.

ყველა თავისი ძალღონის შესაფერ სამეცადინოს ჰკიდებს ხელსა და ცდილობს, აასრულოს ის საქმე საუკეთესოდ თვისისა და საზოგადო სარგებლობისათვის.

1. ვინ ცხოვრობს ხელობით? 2. ვინ ცხოვრობს გონებრივი შრომით?

შრომის გაცვლა-გამოცვლა.

არავის არ შეუძლია ყველაფრის გაკეთება, რაც მას ეჭირვება. ვის ექნება იმდენი მოხერხება და ცოდნა, რომ ყველაფრის გაკეთება და წარმოება შეესძლოს?

მიწის მუშა მიწას ხნავს, მაგრამ სახნისის გაკეთება-კი არ იცის, წალას ვერ შეჰკერავს, ნაჯახს ვერ გასჭედს, ბავშებს წე-

რა-კითხვას ვერ ასწავლის, თხზულებას ვერ დასწერს, წიგნს ვერ დაბეჭდავს. სწავლული მეცნიერების მცოდნეა, მაგრამ ხვნა-თესვას-კი ვერ ახერხებს, თვისი საჭმლისა და ტანისამოსის მომზადება არ შეუძლია.

ამიტომ ადამიანთა შორის საქმეები განაწილებულია. თითოეული ცალ-ცალკე ჰკიდებს ხელს რაიმე წარმოებას და თავის ნაშრომს სხვისაზე სცვლის. მიწის მუშა ხელოსანსა და მეცნიერს პურს აწვდის, ხელოსანი ხელს უწყობს თავისი ხელობით, ხოლო მეცნიერი თვისი ცოდნით ყველას დიდ სარგებლობას აძლევს.

ნაშრომის გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად ადამიანმა გამოიგონა ფული. შრომის ნაყოფის აღებ-მიცემობა რომ ადვილად და მოხერხებულად სწარმოებდეს, გაჩნდენ ვაჭრები, მყიდველნი და გამყიდველნი ყოველგვარი ნაწარმოებისა. ისინი ყიდულობენ საქონელს მხოლოდ მისთვის, რომ მერმე სხვას მიჰყიდონ.

ამნაირად თითოეული მუშაობს ყველასთვის და ყველანი თითოეულისათვის.

1. რატომა სცვლის ადამიანი თავის შრომას სხვის შრომაზე? 2. რისთვის მოუგონია ადამიანს ფული? 3. რას აკეთებენ ვაჭრები?

უცხოელებთან ვაჭრობა.

ქართველთა ქვეყანა და ქართველები ვერ აწარმოებენ ყოველიფერს, რაც ქართველ ხალხს ეჭირვება. ჩაი ჩინეთში მოდის; ბამბა ცოტაოდენი ჩვენშიაც მოჰყავთ, მაგრამ ამერიკასა, ეგვიპტესა და აზიაში-კი აუარებელი მოდის. საუკეთესო მანქანებს მხოლოდ ინგლისელები აკეთებენ; საუკეთესო ქარხნის ნაწარმოები-კი ფრანგთა და გერმანელთა ხელიდან გამოდის. ის საქონელი, რაც ქართველებს ეჭირვება, უცხოეთიდან შემოაქვთ ჩვენში, და რაც ჩვენში უხვად არის და უცხოელებს-კი ეჭირვებათ, ჩვენგან საზღვარგარეთ გააქვთ.

რამდენადაც ბევრი საქონელი გადის რომელისამე ქვეყნიდან, იმდენად მეტი მოგება და დოვლათი რჩება მას. **მ**უშას ბევრი საქმე უჩნდება და თავის შრომის ფასს ბლომად იღებს.

რომ საქონელი წარმატებით და დიდი მოგებით გაასაღოს ხალხმა, ამისათვის მარტო ბუნების სიმდიდრე არა კმარა, საჭიროა თვით ხალხის განათლება და განვითარება, საჭიროა, რომ საქონელი კარგი ნახელავი იყოს, და რამდენად უფრო ხალხი განათლებულია, იმდენად უკეთეს საქონელს მოამზადებს და მუშტარსაც უფრო ჩქარა იშოვნის.

საქართველოდან თითქმის სულ დაუმუშავებელი საქონელი გააქვთ: სიმინდი, ხეტყე, ბზა, ქვანახშირი, შავიქვა, ბარიტი, ოხრა და სხვა.

უცხოეთიდან ჩვენში მოაქვთ: ჩაი, შაქარი, ყავა, მანქანები, ფართლეულობა, ფოლადი, რკინა და სხვანი.

დაუმუშავებელი საქონლის წარმოება ბევრს ცოდნას არ თხოულობს, ხოლო საქონლის დამუშავებას-კი დიდი ცოდნა და ხელოვნება ეჭირვება. **ქ**ართველებმა ჯერ თითქმის არავითარი მანქანით საწარმოო საქონლის მომზადება არ იციან; ამის გამო ასეთი საქონელი უთუოდ თავის საჭიროებისათვის უცხოეთიდან უნდა მოიტანონ. **ა**მიტომ ჩვენს დაუმუშავებელ საქონელს უცხოელები ჩვენგან ყიდულობენ და შემდეგ დამუშავებულს ჩვენვე გვიბრუნებენ, და ეს ძალიან ძვირად გვიჯდება. **ჩ**ვენ რომ დამზადების ცოდნა გვქონდეს, ყოველივე საჭირო ნივთი ერთი-ათად უფრო იაფი იქნებოდა.

ხარაბუზა და ფუტკარი.

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა, მიაძახა: „გზა მომეო!
ვერ მიცანი, განა ვინც ვარ? როგორ გამეთამამეო?!
თუ ვერ ატეობ თავს, ვინცა ხარ, გამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთები გამოგბმია, დმერთიც მაშინ გაგიწყრაო:
ბზუილასა, ტეუილასა, შხამიანსა, მგბენარასაო?!

ვინ არ გიტნობს უსაქმურსა, მეფრინავს—მოუსვენარასო!?
მე-კი დარბაისლად მტნობენ, შორმისა ვარ მოუვარეო...
ჩემთვისა ვარ—არავის ვკბენ, არ ვარ შენი მოგვარეო!
ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ, შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი... ურჩობას ნუ მიბედავო!“

ფუტკარმა ეს უპასუხა: „ნუ მატინებ!.. ხა-ხა-ხაო!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა, ნეხვის ჭიად დაგსახაო!
ბევრს რომ შრომობ, ნუთუ ფიქრობ, რომ მთა და ბარს ასწორებო?..
მხოლოდ ფუნას აგუნდავებ, იქვე ახლო აგორებო.
ის ხომ შენი საზრდო არის, შენს მეტს არვის არგიაო!
შენ აკეთებ... შენვე ზიდავ... საკუთარი ბარგიაო!
დარბაისლად იმუშავებ, რალად ირბენ აბა შორსო?
ოფველ ფეხის გადადგმაზე ნახავ, გინდა მთელს გოდორსო!
მე-კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა და სხვა გვარად მოღვაწეო,
„ზეცის მუშას“ მეძახიან, არ ვარ მარტო სამიწეო!
მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვძებნო ყვავილიო!
გულის წვენი ამოვწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო,
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას—სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწირონ და ანათონ აქ ბნელიო.
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის, ქვეყნის მტერიც ის არიო
და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო!“

ეს უთხრა და ფრთა გაშალა, მიაშურა ყვავილებსა!
და ჩვენც ამ გვარ პასუხს ვაძლებთ ზოგიერთს ჩვენს უმაწვილებსა.

ა. წერეთელი.

1. შეადარეთ ხარაბუზას შრომა ფუტკრისას. 2. როგორ კაცს წარმოადგენს ხარაბუზა და როგორს ფუტკარი?

სწავლა მოსწავლეთა

ისმინე, სწავლის მძებნელო, მიჭუეე დავითის მტნებასა:
ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.
თავს სინანული სჯობიან ბოლოს ყამს დანანებასა,
ჭირს მეოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ყნებასა.

სწავლა სიკვდიდმდე შენია, მუდამ შენთანა მეოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი...
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი...
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.
ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადის ძალით წაირთმის, არც მალვით მოიპარების...
ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.
ვით უსაჭურველოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გატოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ ადასრულოს საწადი, რაც ნებავს მისთვის დონობდეს,
ეგრედ ჭკვიანი უწრთვნელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

დ. გურამიშვილი.

რა ღირსება და მნიშვნველობა აქვს სწავლას?

ზ ღ ვ ა.

1. ზღვაო, ადელდი, ადელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
ამთაგორე ტალღები,
კიდეებს გადაცილე!
მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია!
მეუდრეების დრეს ის განძი
ქვეყნისთვის დათვარულია;
მხოლოდ, როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზე და მთვარესა,
იმ მარგალიტებს შესტეორცნი
შენ შემკვრელ არე-მარესა.

2. ეროტო, ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!
ძალის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს—ელვასა

ა. წერეთელი.

სწავლის საჭიროება

1. მღვდელი შუაში იდგა: ხალხი ბუზივით ირეოდა მის გარშემო. ზოგს თვითონ ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თვითონაც გაუხუმრებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა. ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაცი ის არის, შენი ჭირიმე, და ქუდიც იმასა ხურავს. ალბათ კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზივით ზედ ეხვევა!... დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა...

სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა მისი სიტყვების გაგება. ბადავიხარე თავი, რომ დამენახა და გამეგო რამე. წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავჩაღუნული.

2 —უველა, ყველა და, შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? უბძანა მღვდელმა: მოგწყინდა განა, შე ცუღლუტო, წიგნის კითხვა?

—მე რა ვიცი? უთხრა ბიჭმა: მამა-ჩემი არ მიშვებს. მღვდელი თითქო შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

—რატომ არ გიშვებს?

—ბეყოფა, რაც ისწავლეო,—მეუბნება.

—აქ ხომ არ არის მამა-შენი?

—აი, იქითა ზის.

—აბა აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გაიქცა მამის დასაძახებლად.

—ვერ უყურებთ პეტრეს!.. სთქვა თავისთავად მღვდელმა და ჩაფიქრდა.

—ეგ არის და!.. დაიძახა ვიღაცამ:—ავი ძაღლი არც თვითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც ღიმილი მოერია, მაგრამ მარდათ შეიკავა სიცილი.

—მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რად ასწავლის? სთქვა მეორემ:—შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს შეუჩვევარ ლხინსა.

—ბონიერსა მწრთვნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო,—მაგისთანა კაცზე არის ნათქვამი, წამოიძახა მესამემ.

იქნება კიდევ ბევრი ელაზღანდარათ, რომ თვითონ პეტრე არ მოსწრებოდათ.

3 —ჯაკო! უბძანა მღვდელმა: მართალია, შენს შვილს შენ უშლი სწავლასა?

—მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა! არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამად პეტრემ.

—როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

—ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღე და ღამე ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“; ეს ღვთის ბძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზე და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდივით ჯეჯილის ყდა გადაეფარება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ, და ის დალო-

ცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად-კი არ ეძახიან მიწას „დედაო“; ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამე, ჩვენი ჭირიცა და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზე, ჩვენ იქამდი ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი!... ჩვენი თავდაპირველი გულის-ტკივილი ეს არის!...

—მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა, გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედათ დასცინოდა პეტრესა.

—რას ბძანებთ?.. წამოიძახა ხალხის ხმით გულგაკეთებულმა პეტრემ: წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვივით მაღლა ვერ აგვიხედავს, სულ დედამიწ·ს დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო; ვ. ˜ ჩვენ და ვინ წიგნი!..

—მე მესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულის ვითარება, უბძანა დაღონებით მღვდელმა: მე მოზიარე ვარ შენი გულის ტკივილისა! შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენ გუთანი პურს გაჭმევს.

—მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ.

—ახლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდან გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულსა, ეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა,—ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად,—რა გეშველებოდა?

—შენი მტერი იქმებოდა, მე ვიქნებოდი.

—საიდან იცი ეს ყველაფერი?

—როგორ თუ საიდან?.. მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია—მინახავს, ყური მქონია—მსმენია, გულისყური მქონია—მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია—გონებაში ჩამრჩენია.

—**რ**აც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია,—ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის, რა სთქვასო, მერე-კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

—**რ**ა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

—**მ**აინც?

—**ჩ**ემს გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემს ცოდნასა, შენი ჭირიმე!

—**კ**უჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

—**მ**აგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე! თვითონ შენ კარგად იცი; რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

—**ა**ხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შენზე და ჩემზე უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზე?

—**რ**ა ვიცი, შე დალოცვილო! მგონი, თავზე იმოდენა ბალანიც არა მქონდეს: მჯობნს მჯობნი არ დაელევა.

—**ი**მ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს,—კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

—**ღ**ვთის წყალობა გქონდესთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი მათამდი არ მიმიწვდება და ყური. **ს**აიდამ სადაო, წმინდა **ს**აბაო: ამოდენა დედამიწის ზურგზე სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

—**მ**ე რომ გაჩვენო იმისთანა რამე, რომ მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა შორიდანვე გალაპარაკო,—რას იტყვი?

—**ვ**იტყვი მას, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

—**ა**ბა მაგისთანა მისანია წიგნი.

4. **მ**ე რომ ეს გავიგონე, სწორეთ მოგახსენოთ, თავიდან ფეხებამდი ჟრჟოლამ გამიარა, არ ვიცი-კი რად? ეს კი ვიცი, რომ ჩემს გარდა სხვასაც ეგ დაემართა: ხალხს, თითქო მზემ

დაკრაო, სახე გაუნათლდა. პეტრე-კი ისე სახტად თვალებ-დაჭყეტილი დარჩა, თითქო თავბრუ დაესხაო. ისე ატაცებულივით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებია.

—ახლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმე, თუ არა?

—ნება მომეცი, უთხრა გულამომჯდარმა პეტრემ: ეგ მუხლები გადაგიკოცნო. ჩემი ტუჩები ბევრჯერ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდი. მაშინ პეტრემ პირნათლად შეხედა და გონება-გახურებულმა წამოიძახა:

—დაილოცა შენი ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდან გიყურებს, შე ღვთისგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა, შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ახლა, შენის მადლიანის ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა ყოფილა შვილის დამღუპავი, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვნელად და არ გააწურთვნინებს. ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი; ჩემმა შვილმა-კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!.. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!.. ერთი გემთხვიო!..

გულმოლბობილი პეტრე მივარდა ხელზე საკოცნელად; მღვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა-კი.

—მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შვილი! უთხრა პეტრემ და შვილი წინ წამოუყენა. მღვდელმა აკურთხა ის ბავში და თავზე აკოცა გაღიმებულმა.

—შვილო! ეს დღე დაიხსომე, უთხრა შვილს პეტრემ: ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

ილ. ჭავჭავაძე.

შეადგინეთ თითოეული ნაწილის სათაური და გადმოეცით შინაარსი ჯერ მოკლედ და შემდეგ ვრცლად.

ვირი და ბულბული.

1. ვირმა ბულბული ერთხელ
ახლო მჯდომარე იხილა
და უთხრა: „ქება შენის ხმის
თუმცა ბევრთაგან მსმენია,
მაგრამ არ მჯერა ვიდრემდის
ჩემს ყურს არ გაუგონია.
მისთვის თრიად მსურს გისმინო და ვიქმნა მე თვით მსაჯულად.“

2. რა ესმა ესა ბულბულსა, შესძახა ოავისებურად:
ხან დაუსტვინა, დაჭყეფა, ხან ზედ დაჭკვნესა საწყალად;
ზოგჯერ ნაზად და ნაზადა მისი ხმა მისუსტდებოდა,
და მაშინ ვითა საამო შორს სალამური ისმოდა,—
და ხან ხმამაღლივ რაკრაკით არესა განაღვიძებდა...

3. რა მისი გახდა ხმა არეს, მეისვე დადუმდა ყოველი:
ნიავი შესდგა, შესწყვიტეს სხვათა ფრინველთა ყღივილი;
მწყემსმაც ძირს დასდვა დუდუკი, მის ჯმუნვის გამქარველი,
მგზავრს დაავიწყდა თვისი გზა და იქმნა მისი მსმენელი...

ბულბულმა თვისი გრძნობანი, თუ სიყვარული, თუ ტანჯვა,
რაცა ვარდისგან მიეღო, ყველა სიმღერით წარმოსთქვა.

4. ბოლოს დადუმდა, და ვირმა ყურები დაუშვა და რქვა:
„ჭეშ. მართლა, შენი სიმღერა არა მოაწყენს მსმენელსა,
მაგრამ მებრალები-კი, რომ ვერ სცნობ ჩვენსა მამალსა;
ცოტა მისგანც რომ გესწავლა მის საკვირველი ჭანგები,
მაშინ, მერწმუნე, რომ უფრო შეიქნებოდი საქები!“

5. ეს სჯა ბულბულსა რა ესმა, კინალამ გული გაუსკდა,
ჯავრით ათრინდა საბრალო და ცხრა მთას იქით გადვარდა...
ჭე, ღმერთო, ჩვენცა დაგვიხსენ ესრეთი მსაჯულისაგან!...

გრ. ორბელიანი.

თითოეულ ნაწილს მოუძებნეთ საათური და გადმოეცით შინაარსი.

ცხოვრების ორი გზა.

თვეობით და დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდ
ბალღი ჰერკულესი. დავაჟკაცდა იგი და ისეთი ღონიერი, მარ
დი და ლამაზი ყმაწვილი შეიქნა, რომლის მზგავსიც საბერძნეთშ
არვის ენახა,—იქ-კი სილამაზესა და ფიზიკურ ღონეს თაყვანსა
სცემდენ, და, მართლაც, ბერძნები ამით განთქმული იყვენ
ტანმაღალი, მხარბეჭ-განიერი და ცეცხლის-მფრქვეველ თვალე
ბიანი ჰერკულესი აშკარად ირჩეოდა თავის ტოლ-ამხანაგები
საგან.

როდესაც სწავლის დრომ მოუწია, ჰერკულესი ბრძენ
მასწავლებლებს მიაბარეს. მათგან ყმაწვილმა შეისწავლა ყოვე
ლივე, რაც-კი მაშინ საბერძნეთში აუცილებელ საჭიროებად
ითვლებოდა. ყმაწვილი შესანიშნავი დევგმირი შეიქნა.

მაგრამ რისთვის უნდა გამოეყენებია ეს საოცარი ძალ-
ღონე? ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა ერთხელ ჰერკულესი
უდაბურ გზაზე. ამ ნაირად მიაწია მან მებოძირამდი, სადაც
მრავალი გზა თავს იყრიდა; შედგა ჰერკულესი—აღარ იცოდა,
რომელ გზას დასდგომოდა.

უცებ გაუვალი ტყის ჯაგებიდან ორი ქალი გამოვიდა.
ერთი მათგანი—მზეთუნახავი, მდიდრულად მორთული, ჰერ-
კულესს მიუახლოვდა.

—შენ ყოყმანობ, არ იცი, რა საქმეს მოჰკიდო ხელი,
რას მოახმარო შენი უებრო ძალღონე? ზამომყევ და მე გიჩვე
ნებ ბედნიერების გზას. ბედნიერება ისაა, რომ მუდამ სიამოვ
ნებით სტკბებოდე. შენ ჩემთან უშრომელად იცხოვრებ, ზრუნვ
და ჯაფა ვერ დაგადნობს, მწუხარება გულს არ დაგიხშობს..
ბედნიერად, უდარდელად გაატარებ ცხოვრებას.

ჰერკულესმა პირი მოარიდა მას და მეორე ქალს დააკვირ
და. უბრალო, თეთრ ტანსაცმელით იდგა მის წინ ქალი
წყნარი, დინჯი. მშვიდსა და ბრწყინვალე თვალებში ჭკუა დ
სათნოება გამოიხატებოდა. ქალმა ალერსით მოჰკიდა ხელ
ჰერკულესს და უთხრა:

—ძეთილშობილი გული და ბრწყინვალე ჭკუა მუქთად ყოფნასა და ამაოებაში ბედნიერებას ვერ მოიპოვებს. ბამომყევ და მე გაგიყვან შენ ძნელსა და საშიშარს გზაზე, ადამიანთათვის სასარგებლო და დიდებულ საქმეთა გზაზე... შენი სახელი უკვდავი იქნება, და ხალხი დიადი შრომისათვის მარადის შენი მლოცველი შეიქნება.

ეს სიტყვები გულის სიღრმემდი ჩასწვდა ყმაწვილს. გაქრა მისი ეჭვები, გაქრა გაუბედაობა, და მან განიზრახა დასდგომოდა იმ გზას, რომელსაც მეორე ქალი ურჩევდა. ეს თავისი განზრახვა მან კიდეც შეასრულა. მთელი მისი ცხოვრება სავსეა სახელოვანი მოღვაწეობით, დიადი და კეთილშობილი საქმეებით: მშრომელი გმირი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, ძირიანად აღმოეფხვრა დედამიწაზე ბოროტება, აღედგინა სიმართლე და ადამიანისათვის კეთილდღეობა მიენიჭებია.

ბევრი, ბევრი რამ თავს გადახდა ჰერკულესს ადამიანის უვიცობისა, შურისა და ბოროტებისაგან, რის გამო სახელოვანი გმირთა-გმირი უდროვოდ ჩავიდა საფლავს. მაგრამ მისი სახელი მთელ საბერძნეთში გრგვინავდა და ახლაც ცოცხალია და არაოდეს არ მოკვდება.

მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ხალხის ფანტაზიამ მრავალი საუცხოვო თქმულებანი შექმნა და შთამომავლობას გადმოსცა. ბერძნები მას როგორც კაცობრიობის დიდებულ გამაბედნიერებელს ნახევარ-ღმერთად სთვლიდენ და ტაძრებს უშენებდენ.

1. ჰერკულესის აღზრდა. 2. ფიქრი ცხოვრების გზის ასარჩევად. 3. ჰერკულესის გადაწყვეტილება. 4. ჰერკულესის ცხოვრება იყო მუდმივი და აუტანელი შრომა მოყვასთა სასარგებლოდ.

ა დ ა მ ი ა ნ ი.

1. ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ
და ბედიც კეთილგუნებიანი

თან დაგდევს იმ დროს ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!

იუავი ტურფა, იუავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!

შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,
ხელმწიფედ დაგსვა, გქმნა სრულ სვიანი?
მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.

2. ეგებ, კეთილო, ბედს არ უუვარდი,
მოგიკლა გული, გეო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
გახსოვდეს რომ ხარ ადამიანი!

დაე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,
თვით ნუ იცვლები! მოვა დროება,
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად;
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანად!

მ. გურიელი.

როგორც ბედნიერებაში, ისე უბედურებაში კაცი ადამიანად უნდა დარჩეს. **რ**ა არის ნამდვილი ადამიანობა?

ცხოველთა შორის

I

ძუძუმწოველნი.

ბედუინი და მისი ცხენი.

Არაბეთში ცხოვრობს უბინადრო ხალხი, რომელსაც ბედუინებს უწოდებენ. Ეს ხალხი შავგვრემანია, მზისაგან დამწვარი, გამხდარი და ღარიბი. Მათი სახლი დაგლეჯილი კარავია, საჭმელი ინდის ხურმა და რძეა, მათი მეგობარი—დაუფასებელი, ძვირფასი არაბული ცხენია. Მათი ავლა-დიდება ცხვარი და აქლემია. Მთელი ხალხი მწყემსობას ადგია.

Ერთს ბედუინს შესანიშნავი ცხენი ჰყავდა, რომელიც მეტისმეტად უყვარდა. Იგი ლამაზი რამ იყო, დაუსვენებლად ორი დღე შეეძლო ჭენება. Თავის პატრონისა და მისი ცოლ-შვილის სიტყვები კარგათ ესმოდა.

Ერთხელ ბედუინი და მისი ამხანაგები ახლო მიმავალი ქარავნის თავდასაცემად გაემგზავრენ. Ქარავანს შეიარაღებული მცველები ახლდენ; შეიქნა საშინელი ჩხუბი და სისხლის ღვრა; ზოგი ბედუინი მოჰკლეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს, ზოგმა კი თავს უშველა.

Ჩვენი ბედუინიც თავის საუცხოვო ცხენიანათ ტყვედ ჩაუვარდათ ხელში. Თოკებით შეჰკრეს და ქალაქში გაიყოლიეს, რომ იქ საჯაროთ დაეხვრიტათ.

Ქალაქი შორს იყო, და უდაბნო ადგილს ღამის გათევა მოუხდათ. Ქარავანი დაბანაკდა, ცეცხლი დაანთეს და ვახშმის მზადებას შეუდგენ. Ტყვე ბედუინი, თოკით შეკრული, ქვიშაზე ეგდო და მწარე ფიქრებს მისცემოდა: იცოდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა, ველარ ნახავდა ვერც ოჯახს, ვერც ამხანაგებს, ვერც მის საყვარელ კარავს.

როდესაც ღამის კარგა ხანი გავიდა და ყველამ დაიძინა, ბედუინს მოეჩვენა, თითქო საიდანღაც ნაცნობი ჭიხვინი გაიგონა და იგი სმენად გადაიქცა: ცოტა ხანს იქით ნელად დაუსტვინა—ჭიხვინი უფრო ახლო გამეორდა, და ერთ წამს შემდეგ ცხადათ გაარჩია, რომ მისი ცხენი მძიმე ნახტომებით მას უახლოვდებოდა. **თ**ურმე წინა ფეხები თოკით შებორკილი ჰქონოდა.

ვარსკვლავების შუქზე კარგად მოსჩანდა, რომ ცხენი პატრონს მიუახლოვდა და დიდრონი, ჭკვიანი თვალებით მას ჩააცქერდა. **ბ**ედუინმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

—**ჩ**ემო ერთგულო მეგობარო! დეე, მე მტრების ხელით დავიღუპო, შენ მაინც თავისუფალი უნდა იყო! ვიცი, რომ სამშობლო კარვებს ადვილად მიაგნებ! დეე, დღეიდან შენი პატრონი ჩემი შვილები შეიქნენ.

მერე თავი მაღლა ასწია და ცხენის საბორკავს თეთრი კბილებით ხვრა დაუწყო. **რ**ამდენსამე წამს შემდეგ თოკი ჩამოწყდა და ცხენი გათავისუფლდა. **ს**იხარულით მან ფაფარი შეისწორა და ოდნავ ჩაიხვიხვინა.

—**მ**შვიდობით, იყავ ბედნიერი, წარმოსთქვა არაბმა და ცხენს ისეთი სიტყვა უთხრა, რომელიც მარტო მას და მის მერანს ესმოდა. **წ**ინათ, როდესაც ამ სიტყვას ეტყოდა ხოლმე, ცხენი ისარივით მიჰქროდა ნაცნობ კარვებისაკენ. **მ**აგრამ ახლა-

კი თითქო ყოყმანობდა, რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო... შემდეგ უცებ კბილები დაავლო თოკს, რითაც მისი ბატონი იყო შეკრული, ასწია იგი მაღლა და გაჰკურცხლა... უდაბნოს სამარისებურ სიჩუმეში კიდევ დიდხანს მოისმოდა მისი ფეხის ხმა...

ხალხი, რომელსაც ტყვესთან ახლოს ეძინა, ხმაურობაზე წამოიშალა, ასტეხეს ერთი აურზაური, მოასხდენ ცხენებს და გამოუდგენ; მაგრამ განა არაბეთში მოიძებნებოდა ისეთი ცხენი, რომ ამ დაუფასებელ მერანს დასწეოდა?!

იმ ღამესა და მეორე დღესაც ბედუინის ცხენი დაუსვენებლად მიჰქროდა და საღამოს ჟამს კარვებთანაც მიაწია. ილაჯგაწყვეტილმა, დაქანცულმა ცხენმა გრძნობა-დაკარგული ბატონი კარვის შესავალთან დასდვა, თვითონ-კი იქვე დაეცა და სული დალია...

ხშირად, რამდენიმე ბედუინი რომ ერთად ცეცხლის გარშემო შეიკრიბება, ერთი მათგანი სიმებს ააჟღერებს; სხვები-კი სულგანაბული ამ საკრავის ხმას ყურს უგდებენ და თან სტკბებიან იმ ლექსების ჰანგებით, რომელიც ხალხს საუცხოვო არაბული ცხენის საგმირო საქმეზე შეუთხზავს და რომელსაც დამკვრელი მუსიკის ხმასთან შეწყობილად ღიღინობს.

მოთხრობის დედააზრის მიხედვით შეუცვალეთ სათაური და მოკლე შინაარსი გადმოეცით.

ერთგული ძაღლი.

ერთი ვაჭარი ცხენით მიემგზავრებოდა; უკან კვალდაკვალ მისი ერთგული ძაღლი მისდევდა. ვაჭარი დიდძალი ფულის მისაღებად ქალაქს მიდიოდა. ფული მიიღო, სავსე ტომარა უნაგირს უკან ჩააკრა და შინისკენ გამოსწია. გზაზე ტომარა მოეხსნა და ძირს ჩამოვარდა; ვაჭარს-კი ეს არ შეუნიშნავს და გზას არხეინად განაგრძობდა. ძაღლმა ტომარას ჩამოვარდნა სწრაფად შეამჩნია, მაშინვე მივარდა, კბილებით აწევა სინჯა,

მაგრამ მიხვდა, რომ ტვირთი მის ძალღონეს აღემატებოდა. საჩქაროდ ტომარას თავი მიანება, პატრონს წამოეწია და საშინელი გულმოდგინებითა და გამწარებით ყეფა დაუწყო. ვაჭარმა საქმის ვითარება არ იცოდა, ძაღლს უჯავრდებოდა, ბევრს უყვიროდა, მათრახიც შემოკრა, მაგრამ ძაღლს მაინც არა გაეწყორა. ერთგული ცხოველი ცხენს ისეთი სიბრაზით მივარდებოდა, თითქოს პატრონის ჩამოთრევა უნდაო. რა-კი ძაღლმა დაინახა, რომ პატრონი ყურადღებას არ აქცევს და ისევ გზას განაგრძობს, ცხენს უკანა ფეხებში ეცა და კბენა დაუწყო, რომ როგორმე პატრონი უკანვე დაებრუნებია. ვაჭარი შეშინდა: იფიქრა, ძაღლი გაცოფდაო, და გადასწყვიტა, თავისი ერთგული მეგობარი მოეკლა. ჯერ კიდევ დიდხანს ცდილობდა ხან



მოფერებით, ხან მუქარით, ხან მათრახის ცემით ძაღლი თავიდან მოეშორებია; მაგრამ რაკი ვერას გახდა, ამოიღო დამბაჩა და გულდაწყვეტილმა ერთგულ ძაღლს ესროლა. საბრალო ცხოველი წაიქცა, მაგრამ ერთ წამს შემდეგ კვლავ ფეხზე წამოხტა და გასისხლიანებული საცოდავი წკმუტუნით, პატრონის დაწევას ცდილობდა. ვაჭარს ძალიან უყვარდა თავისი ერთგული ძაღლი, მეტად უმძიმდა მისი ტანჯვა-წვალების ყურება, ამიტომაც ცხენს დეზი შემოკრა და ჭენებით გზას გაუდგა. ცოტა რომ გაიარა, ვაჭარმა მოისურვა გაეგო, თუ რა მოუვიდა საბრალო ცხოველს, და უკან მოიხედა; სწორედ ამ დროს შე-

ამჩნია, რომ ფულიანი ტომარა უნაგირს აღარ ეკრა. მაშინ-კი მიხვდა ვაჭარი, თუ რათ უყეფდა ასე დაჟინებით მას ერთგული ძაღლი; ახლა ფულზე უფრო ძაღლი ენანებოდა. მაშინვე ცხენი უკან გამოაქენა, მაგრამ ძაღლი იქ ველარ იპოვა, სადაც დასტოვა. სისხლის კვალზე სჩანდა, რომ ძაღლი უკან დაბრუნებულიყო. ამ კვალს გაყვა ვაჭარი და მისი ერთგული ცხოველი ფულიან ტომარასთან მწოლარე ნახა; გული ჩაეთუთქა და სიმწრისაგან გაშეშდა. ძაღლი-კი თავის პატრონს მშვიდათ და გონიერად უცქეროდა და ხელებს ალერსიანად ულოკავდა.

შეადარეთ ძაღლის ერთგულება ბედუინის ცხენისას.

მ შ ვ ე ლ ი.

აი ეს არის კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო. ღრუბლები გაიფანტა, მზე ალერსიანად ანათებს; დაბურულ ტყეში ჯერ ისევ სინესტე და სიცივეა; აბიბინებულ მინდორზე-კი ბალახი შემშრალა და თბილა. ფუტკრები და კრაზანები აფუსფუსდენ



და ყვავილებს გარს ეხვევიან. ჭიანჭველები თავის ნაკეთებ გზებზე ფაცაფუცით დარბიან. ხავს-მოკიდებულ ქვაზე მიწოლილა მწვანე ხვლიკი და თბება. ყველას თავისი ჭირი და ლხინი აქვს.

Აგერ ბუჩქებიდან თავის ნუკრიანათ შველი გამოჩნდა, მინდვრისკენ მიეშურება, გათბობა და ნოჩრი ბალახის მოძოვა ეჩქარება. ნუკრმა ძლივს მოასწრო რამდენიმე სუნნელოვანი ფოთლის მოწიწკნა, რომ დედამ ყურები აცქვიტა. პაწია შვილი ეკლიან ბუჩქნარში შეაგდო, აქით-იქით გაფაციცებით მზერა დაიწყო, ოდნავ კანკალიც აუვარდა. ბანზე რამდენიმე ნახტომი ქმნა და მიწას გულმოსულად წინა ფეხების ცემა დაუწყო. დიდი შავი თვალები სიბრაზისაგან აენთო: მან იგრძნო ცბიერ მელიას მოახლოვება, რომელიც მინდვრისკენ ჩუმად მოიპარებოდა. შველმა კარგად იცოდა, რომ წუწკი მელია ნუკრის შესაჭმელად მობძანდებოდა.

მელასაც გული მოსდის: გულზე სკდება, რომ შველმა ასე მალე გაიგო მისი მიბძანება. მაგრამ ცბიერი მელია შველს არც-კი ამჩნევინებს, თუ აქ რისთვის მოსულა: ვითომცდა მინდორზე შემთხვევით გზად გამოვიარე და გულში არავითარი ბოროტი განზრახვა არა მაქვსო.

მაგრამ გამოცდილი შვლის მოტყუება აგრე ადვილი არ გახლავს: მელიას საჩქაროდ გზაზე გადაეღობა და ჩლიქებით უფრო გულმოსულად ბაკუნი დაიწყო. მელია არ შეკრთა, ეტყობა, რაღაც სხვა ხერხს დაადგა. ბაიძვერამ კბილები უმანკოსავით დაკრიჭა, მეორე მხრისკენ გაიხედა, უკან მოტრიალდა და, თითქოს აქ არაფერიაო, ნუკრს მეორე გვერდიდან შემოუარა. დედა-შვილმა კარგად იცოდა, თუ რა გულის წადილი ჰქონდა მელიას: მტერს გაშმაგებით მივარდა, ასე რომ მელიამ ძლივს განზე გახტომა მოასწრო. მელია ხან ერთი მხრით უტრიალებს მსხვერპლს, ხან მეორე მხრით, ცდილობს, მიზანს მიუახლოვდეს; მაგრამ, რაც ფურო უახლოვდება ბუჩქნარს, მით უფრო უძნელდება შვლის ჩლიქების აცდენა. ბოლოს მელიამ გადასწყვიტა, რომ თვალთმაქცობით გამოცდილ შველთან ვერას გახდებოდა. კბილები დაკრიჭა, ბრაზმორეულმა კუდით მიწას ცემა დაუწყო და თვალების ბრიალით შეშინებულ ნუკრისკენ გაექანა. ქიდევ ერთი ნახტომი და თავის ბასრ კბილებს საბრალო მსხვერპლს ჩაარჭობდა, მაგრამ ამ სიკვდილ-სი-

ცოცხლის წამს შველსაც მხნეობა გაუორკეცდა: გაიწოდა კისერი, დააღო პირი, მივარდა მტაცებელს და ისე მაგრად ჩასცხო წინა ჩლიქები, რომ მელიამ ტკივილისაგან ტრიალი დაიწყო და გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ შველი მას ფეხებით უწყალოდ სთელავდა. ბოლოს მელია ფეხზე წამოხტა, სიბრაზით კბილები დაულრჭინა და გვერდებ-დამტვრეულმა შინისკენ მოჰკურცხლა. ბზადაგზა მტვერს იბერტყავდა და ცხვირ-



საც აცემინებდა, რადგანაც მტვრითა და სილით თვალები, ნესტოები და ყურები ერთიანად ავსებოდა.

ვაგნერი.

ბადმოეცით და დასწერეთ მოკლე შინაარსი.

ზ ღ ვ ი ს ლ ო მ ი.

შორს, ძალიან შორს, სამხრეთის ოკეანეში, უდაბურ კუნძულებთან, ახალ გაზაფხულზე თავს იყრის ურიცხვი ზღვის ლომი. მათ ხმელეთის ლომსავით მუქი მოყვითალო ტყავი

და გრძელი ფაფარი აქვთ; ზღვის ლომების ღმუილი ცხოველთა მეფის საზარელ მუღრობას მოგაგონებთ.

ერთ უდაბურ კუნძულის ნაპირას დასახლდა მთელი ოჯახი: ხვადი და ძუ ლომი და მათი ახალგაზდა ლეკვები.

თბილსა და მზიან დღეებში მთელი ოჯახი მხიარულად დასცურავს და დაყურყუმელაობს წყალში, სანამ მოკლე თათების ლონიერი მიმოქნევით ნაპირას არ გამოსცურავს; შემდეგ მოხერხებულ ადგილს სძებნის და მთელი საათების განმავლობაში მზეზე თბება, სანამ შიმშილი კვლავ არ აიძულებს, ისევ ზღვაში ჩასცუროს და ცხოველებსა და მცენარეებზე ნადირობა დაიწყოს.

ხვადი ზღვის ლომი გულმოდგინეთ იცავს თავის საცხოვრებელ ადგილს სხვა ოჯახების შემოსევისაგან. **ი**გრძნობს თუ არა დაუპატიჟებელი სტუმრის მოახლოვებას, მაშინვე უკმაყოფილებას აცხადებს, ფაფარი აებუძგება და სიბრაზისაგან თვალები აენთება, წინა ფეხებზე წამოიწევს, გააფთრებული მტერს მივარდება და სასტიკად ებრძვის, სანამ თავის სამფლობელოდან არ განდევნის და კვლავ ამორჩეული ადგილის სრული მბრძანებელი არ შეიქნება.

ბვალვის დროს ძუ-ლომი შუა კუნძულისკენ მიემგზავრება და ხშირ ბალახებში მიბორდღავს. **რ**ამდენსამე დღეს შემდეგ იქიდან ისევ გამოდის. **დ**როგამოშვებით შეჩერდება ხოლმე და რაღაც საკვირვლად ღმუის: ეძახის რამდენისამე დღის დაბადებულ პატარა ლეკვს. **ო**რივენი ნელნელა ნაპირამდი მიბორდღ-

დებიან. აქ დედა შვილს ძუძუს აწოვებს, უალერსებს და ცდილობს ზღვაში შეიტყუოს. მაგრამ პატარა ლომს წყალში შესვლა ძალიან ეზარება.

დედა ზღვაში ჩადის, ნაპირის ახლო ცურავს და მშიშარა შვილს წყნარისა და ნაზის ხმით უძახის, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს. სჩანს, ცივ წყალს თბილი მზე ურჩევნია. ბოლოს, როგორც არის, მხნევდება და წყალს უახლოვდება. მაგრამ, მიაკარა თუ არა წყალს წინა თათი, შეშინებულმა უკანვე დაიწია და დედის ძახილზე წყნარად ღმუილი დაიწყო. დედა ჯერ მოთმინებას არ ჰკარგავს. ნაპირზე გამოდის, ცდილობს, შვილი მოფერებით დაამშვიდოს, შემდეგ ისევ ზღვაში ჩადის და ოდნავ დაწყნარებულ შვილს კვლავ ეძახის.

ასე გაივლის რამდენიმე დღე, სანამ დედა მოახერხებდეს, შვილს შიში გაუქარვოს და წყალს მიაჩვიოს. მაგრამ აქ კიდევ ახალი დაბრკოლება ხვდება. ახალგაზდა ლომს წყალზე გაჩერება არ შეუძლია და გამოუცდელი ბალღივით ძირისაკენ მიიწევს. დედა შვილის ქვეშ სწრაფად ჩაყურყუმელავდება, ზურგზე შეისვამს და ნაპირის ახლო ცურვას იწყებს. რამდენსამე ხანს შემდეგ დედა შვილიანათ ნაპირას გამოდის, რომ ისევ შეიტყუოს, ავარჯიშოს, გაწვრთნას და ამნაირად სწავლა შეასრულებინოს.

ასე ატარებს დროს პატარა ზღვის ლომი. დღითიდღე იზრდება, ღონიერდება და გულადობა ემატება.

დედის გაკვეთილებს ბოლოს ნაყოფიც მოაქვს. მალე უდედოთაც ბედავს წყალში ჩასვლას, ნაპირიდან კარგა მანძილზე მიცურავს, თევზებზე ნადირობს და ტოლ-ამხანაგებს სიმარდეში ეჯიბრება.

აცივდება თუ არა, კერძო ოჯახები მტრობას ივიწყებენ, ერთად იკრიბებიან და უფრო თბილ ქვეყნებისკენ მიემგზავრებიან. მხოლოდ მოხუცი, დაჭრილი და სუსტი ლომები, რომელთაც შორეული მგზავრობის ატანის ძალღონე აღარ შერჩენიათ, აქვე რჩებიან, და თბილ ზღვასა და მის ხმელეთის ნაპირებზე ცხოვრებას უფრო ახალგაზდებსა და ღონიერებს ანებებენ.

Rროგორ ზრუნავს ზღვის ლომი შვილების აღზრდისათვის?

პატარა მაიმუნები.

1. აფრიკის ერთს უზარმაზარ ტყეში მაიმუნების დიდი ოჯახი ცხოვრობდა. ყველა მაიმუნი ერთმანეთს დიდი სიხარულით შველოდა, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ღამღამობით, როცა ძალიან გრილოდა, ჯგუფ-ჯგუფად დაწვებოდენ და ჩახუტულებს ეძინათ. დილაობით ტყეში დასეირნობდენ, მაგრამ ძირს, მიწაზე-კი არა, ხეების წვეროებზე, ტოტიდან ტოტზე დახტოდენ, და თამაშობდენ.

ერთ, ერთმა მაიმუნმა ტოტზე მწიფე ნაყოფს თვალი მოჰკრა და ამხანაგებს დაუძახა. ყველანი მადიანად მიაძღენ. შემდეგ ცივი წყლის დალევა მოუნდათ: ხეებიდან ჩამოცოცდენ და მდინარისაკენ გასწიეს. ძლივს წყლის დალევა მოასწრეს, რომ ერთ მაიმუნს ბუჩქებიდან შრიალი მოესმა. გაფაციცებით გაიხედა იქით და დაინახა, რომ ბუჩქებში ძლიერი ვეფხვი მოიპარება და ათვალიერებს, თუ რომელი მაიმუნი ჩაიგდოს ხელში. მაიმუნმა გულშემზარავად შეჰკივლა: ამხანაგებმა გაფრთხილების ნიშანი გაიგეს და გულგახეთქილებმა ხეებს მიაშურეს: მაიმუნები სწრაფად შეცოცდენ მახლობელ ხეების წვეროებზე შევიდენ—მაგრამ ეს ხეები მაგარი ეკლებით იყო შემოსილი. როდესაც პატარა მხეცები საჩქაროდ ტოტიდან ტოტზე გადახტებოდენ ხოლმე, ეს ეკლები მათ ნემსებივით ჩხვლეტდა და ერჭობოდა. ხელიდან ეკლის გამოღება ყოველ მაიმუნს შეუძლია, მაგრამ ზურგს რაღა ეშველება. აი მაიმუნებმა ერთმანეთი გულდასმით დაათვალიერეს, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც ტკივილებისაგან სჭყივოდენ, და, თუ სადმე ეკალი ჩარჩენოდათ, ფრთხილად გამოუღეს.

2. ახლა კიდევ სხვა მტერი გამოუჩნდათ: ერთი პატარა მაიმუნი ტოტის ბოლზე გასულიყო, უნდოდა მზეზე გამთბარიყო და თანაც საკბილო რამე დაენახა. ამ დროს ზევით ჰაერში არწივი დატრიალებდა: ჯერ საუზმე არ ეჭამა და მშიერი იყო. არწივმა ძირს დაიხედა და პატარა ტოტზე მაიმუნს თვალი მოჰკრა. ამას რაღა უნდა სჯობდეს—მშვენიერი საუზმეაო,—იფიქრა არწივმა.

არწივი ისარივით დაეშვა, მსხვერპლს თავს დაეცა და
ასრი ბრჭყალები მაგრად ტანში ჩაუყარა: უნდოდა, მაღლა
ერში აეტაცა. მაგრამ პატარა მაიმუნი ოთხივე ხელით ტოტს
ეჭიდა და საცოდავი ყვირილით ამხანაგებს საშველად იწვევ-

ა. დაინახეს თუ არა ამხანაგი განსაცდელში, დანარჩენი მაიმუნე-
ი სწრაფად მიიჭრენ, ყველა ხმამაღლა წკმუტუნობდა, კბილებს
ღრჭენდა და არწივს ებღაუჭებოდა. ზოგი კუდს სწევდა, ზოგი
ვრთებს; ერთი ფეხზე კბენდა, მეორე ზურგიდან ბუმბულს

აგლეჯდა. შეშინდა არწივი და მაიმუნს კლანჭები გაუშვა. მაგრამ ახლა თვითონაც საქმე უჭირდა; ღონიერ ფრთებს მარჯვნივ და მარცხნივ სცემდა და ბასრი ნისკარტით კორტნიდა, მაგრამ მაინც არაფერი შველოდა. ერთმა მაიმუნმა ისე მაგრად ჩასჭიდა კუდში პირი, რომ არწივი იძულებული შეიქნა თავის დასაღწევად ნახევარი კუდი მტრისათვის შეეტოვებია. ბოლოს ბუმბულისაგან გაცლილი და კუდმოგლეჯილი, მშიერი და შერცხვენილი არწივი შინისკენ გაფრინდა და ამას შემდეგ მაიმუნებზე ნადირობას ის ველარ ბედავდა.

ვაგნერი.

როგორ ეხმარებიან მაიმუნები ერთმანეთს უბედურების დროს?

როგორ იჭერს მელია ყვავებს.

ადვილი არ გახლავს მტაცებლებისათვის ქურდული ცხოვრება: ყოველ ჩიტუნიას, სულ პაწია მხეცსაც კი, ყველას სიცოცხლე სწყურია და ყველას მტაცებლის ეშინია. **მ**ტაცებელ მხეცს განსაკუთრებით ცუდი დღე ზამთარში დაუდგება ხოლმე: მხეცებსა და ფრინველებს შვილები დაეზარდათ, დაუჭკვიანდათ; დიდი და პატარა ყველა სადღაც გაქრა, თითქოს დაიხოცნენო. **მ**ხოლოდ ყვავი და ყორანი მოსჩანან, დაფრინავენ, მაგრამ განა მათი დაჭერა ადვილია? **ი**მათაც უნდათ საჭმელი, მაგრამ სად არის? **მ**ეტი რა გზაა, მტაცებელი ხერხს უნდა დაადგეს.

აი ტყის პირას ყვავების მთელი გუნდი დატრიალებს. **თ**ანდათან ძირს ეშვებიან, ალბათ საკბილო რამე იშოვეს! **თ**ოვლზე მელია გაშხლართულა, ფეხები ჯოხივით გაშეშებია, კუდი წნელივით გაუწვდია, თვალები დაუხუჭავს,—ჩანს, შიმშილისაგან სული ამოხდომია. **მ**შიერი ფრინველები საიმედო მსხვერპლს დასტრიალებენ, მიკარების-კი ეშინიათ,—ვინ იცის, იქნება ხიფათს შევემთხვეთო. **მ**ართლაც-და მელია ჯერ ცოცხალია: წამოიწია, ადგომა უნდა, მაგრამ ფეხები ღალატობენ,

წინ წაიწია, ბარბაცი დაიწყო—დაეცა... ალსასრულის დღე მოსვლია გაიძვერას,—იფიქრეს ყვავებმა.

ფრინველები თანდათან ძირს დაეშვენ, მხეცის შორიახლო თოვლზე დასხდენ. მელია-კი უძრავად გდია: თვალსაც არ ახამხამებს, ბეწვსაც არ ანძრევს—მაშ ყვავებს რისა უნდა ეშინოდესთ?



აი, უფრო გულადი ყვავიც გამოჩნდა, მხეცს ფრთხილად უკანიდან მიეპარა, კუდზე ნისკარტი დაჰკრა და გვერდზე გადახტა. ეშმაკი მელია სულსაც არ ითქვამს. ხედვენ, სული ამოსძრომია, ახლა-კი საფიქრებელი აღარა არის-რა.

ახტენ, დახტენ ყვავები; მელიას სათითაოდ უახლოვდებიან, გულადი ყვავი მელიას პირის წინ დასკუპდა,—და უნდა ნისკარტით თვალი ამოჰგლიჯოს და პირი ჩაიგემრიელოს.

უცბათ მელია წამოხტა; სულელ ყვავს სწრაფად პირი სტაცა და ტყისკენ მხიარულად გაარბენია.

ტიხომიროვი.

როგორ იბანავა მელიამ.

მელია სანადიროთ გამოვიდა. აბა, ფნინველებო და ყურდგლებო, სიფრთხილე გმართებთ! დილით ადრე, განთიადზე, ტყიდან მელიას წითელი ქურქი გამოკრთის. აი, მელია ლერწმით დაფარულ ტბას მიეპარა. იქ, ახლო ნაპირზე, გარეულ იხვებსა სძინავს. იქნება მელიამ ერთ მათგანს მაინც კბილი გაჰკრას; მაგრამ აგერ მაღლა ძეწნაზე პაწია ნიბლია ზის; ზევიდან ეშმაკ მელიას თვალი მოჰკრა და მაღალი ხმით დაიძახა: „ფრთხილად, ფრთხილად! მელია მოდის!“ გაიგონა თუ არა ეს, ფრინველები მაშინვე ბალახიდან ამოფრინდენ, საკენკისა და მატლების ძებნას თავი მიანებეს და ტოტებზე შეფრინდენ. „დილა მშვიდობისა, ბატონო მელია!“ გამოჯავრებით სალამს აძლევს მთელი გუნდი: „რა ადრე გაგღვიძებია.“ ლერწმებში იხვმა ხმაურობა გაიგონა: თავი ფრთიდან გამოიღო და ამხანაგები გააღვიძა: „დახეთ, დახეთ, აგერ ბალახებში მელიას ყურები გამოჩნდა; აგერ მისი შავი ცხვირიც დავინახეო.“ შრრრ! და მთელი გუნდი წყალში შეცურდა. გულმოსულად გაადევნა თვალი ჩვენმა მელიამ იხვების გუნდს და მათ ყვირილზე წარბები შეიკრა; ბრაზმორეულად უყურებს მჩხავანა ფრინველებს, რომელნიც მხიარულად ხიდან ხეზე დაფრთხიალობენ. „მოიცათ! მე თქვენ გაჩვენებთ სეირს!“ ბუტბუტებს მელა. „ერთიც რომელიმე ხელში ჩამივარდებით!“

ეს რა უნდა მოსჩანდეს ძეწნის ტოტის ბოლოზე? მგონი, მალაღურის ბუდეა. დედალ-მამალი ბუდის ახლო დამსხდარან და ყველაზე მეტად ისინი გაჰკივიან. ლინღლისა, ძაფებისა და ლერწმის ბუმბულისაგან გაუკეთებიათ მათ ყოველი მხრიდან დახურული, ქისის მზგავსი, ბუდე. ოდნავ წყალს ზევით, წვრილსა და სუსტ ტოტზე ბუდე ხელოვნურად მიუმაგრებიათ, შიგ ნაზი ბუმბული და ძაფები დაუფენიათ, გვერდით მრგვალი ხვრელი დაუტოვებიათ: ის მათ კარისა და ფანჯრის მაგიერობას უწევს. ამ ბუდეში ოთხი ბარტყი ზის. ქარი მათ ნაზად არხევს. აი, დედმამის ჟივილხივილი შემოესმათ და შიშისაგან

ლამის გული გაუსკდესთ. უფროსმა ბარტყმა ხვრელიდან თავი გამოყო და მელიას ანთებული თვალები დაინახა. შეშინებულნი ერთმანეთს ეკვრებიან და წივიან. მელია კბილებს აღრჭენს და თვალებით ბუდის სიმაღლეს ზომავს. „თუ დედალ-მამალს ვერ დავიჭერ, დეე, მათ მაგიერ ბარტყები დაისაჯონ!“ შეშინებული დედალ-მამალი ხმამაღალი ჟივილ-ხივილით ავაზაკს თავს დასტრიალობენ. მაგრამ მელია მათ ყურადღებას არ აქცევს, ბალახზე წვება და მარდი, მომარჯვებული ნახტომისათვის ემზადება. აი, კიდეც მაღლა შეხტა, და გულგახეთქილი ფრინველები განზე გახტენ. მელიას კბილები აუკაწკაწდა; მისი მწვეტი ტუჩები ბუდეს ოდნავ შეეხო; ბუდე ნელა შეირყა და ქანაობა დაიწყო. მაგრამ პირის ტაცება-კი ვერ მოასწრო. თხლაშ!—მელია წყალში ჩავარდა, ბალახი შუაზე გაიყო, და ცბიერი ავაზაკი მღვრიე ტალღებმა დაფარა. სწორედ არ ელოდა მელია, თუ საუზმის წინ ბანაობა მოუხდებოდა! წყალში შხაპუნობს, მოფორთხავს, ცდილობს, მალე ნაპირზე გამოვიდეს. აი, გამოვიდა კიდეც, მაგრამ არ იტყვით რა სახით? ზურგის წითელი და მუცლის თეთრი ბეწვი შლამითა და ჭიებით გავსებოდა; კუდისა და გვერდებიდან წყალი ჩამოსწურწურებდა. ყოველგან სამყურა ბალახი და დამპალი ფოთლები მიჰკვროდა. რა გაუხარდათ ფრინველებს, როდესაც კუდ-ამოძუებული მელია ასეთ სასაცილო მდგომარეობაში დაინახეს! რა გულიანათ დასცინოდენ და აჯავრებდენ საცოდავ მელიას, როდესაც ბრაზმორეული ბუტბუტობდა და კბილებს აკრაჭუნებდა. მშიერი მელია გამობრუნდა თავის სოროსკენ, ფრინველებმა-კი გულმოდგინეთ დაიწყეს მატლებისა და ჭიების კრეფა, რაც მელიას ტბიდან გამოეტანა, და თავის საყვარელ შვილებს ბუდეში მიურბენიეს.

ვაგნერი.

მგლის თავგადასავალი ზამთარში.

სცივა რუხ მაწანწალა მგელს და შიმშილისაგან სული სძვრება. ტყეში ქარი ღმუის და ზუზუნებს, გზები და ბილი-

კები თოვლს დაუფარავს; ტბებსა და მდინარეებს ყინული გადაკვრია. ყინვამ, ქარბუქმა ყოველივე ცხოველი თბილ ბოსლებსა, სოროებსა და ბუნაგებში შერეკა. მხოლოდ უსახლკარო გამხდარი მგელი მარტოთმარტო დაწანწალობს.

სასტიკი და შეუბრალებელი შიმშილი დასდევს ყველგან მგელს, ტყის ჯაგნარებსა, მინდვრებსა და მთებში. არც დღე, არც ღამე მოსვენება არა აქვს ფერდებ ჩაცვივნულ მაწანწალას. დაძრწის ამ თოვლში ხან ნელა, ხან ხტომით, ხან ძუნძულით და კბილებს აკაწკაწებს. კბილი ვერაფერს გაჰკრა, ერთი ლუკმაც ვერსად იშოვნა.

დათვი—ეს ტყის უფროსი ნადირი—ზაფხულში ჩვეულებრივ გასუქდა, ახლა-კი ბუნაგში დაბინავებულა და თბილად

სძინავს. შელიამაც დიდიხანია მყუდრო ბინა გაიჩინა. თხუნელები, ვირთაგვები, ციყვები,—ყველა ეს ტყისა და მინდვრის წვრილი მცხოვრებნი,—თავთავის სახლებში დაბინავდენ და საზამთროდ სანოვაგე მოიმარაგეს. ყურდგელი—აბა ხომ მეტად სულელი ცხოველია,—ისიც-კი არხეინად, უდარდელად ცხოვრობს ზამთარში: დარბის ტყესა და მინდვრებში, თბილი ქურქით შემოსილი და ნორჩს ტოტებსა ღრღნის. მარტო მგელს უმწარდება ზამთარში სიცოცხლე, მარტო მას არგუნა ბედმა ზამთრის ყოველივე უბედურება.

მოაგონდება ხოლმე მგელს მთაზე შეფენილი ცხვარი და ღრმა ხევი. მეცხვარე სთვლემს. მგელმა ტყიდან დაინახა ცხვარი და მეცხვარე მწყემსი, მაგრამ ვერ გაბედა ცხვრის მოტაცება, თუმცა-კი ძლიერ შია. ის უცდის ნისლს; აი ნისლიც დაიძრა ჭალიდან და ხევზე შემოწვა. მიიწევს აღმა და მგელიც ნისლს გაჰყვა. მიჰყვება ხევის ძირს. ნისლი მწყემსსა და მძოვარს ცხვარსა შავ ნაბადივით გადაეფარა. მგელიც იქ მივიდა და ერთ კლდის ნაგლეჯთან აიტუზა. უცდის, ცხვარი მიუახლოვდეს. ერთი რქა-დაქნილი ჭედილა გამოერჩია ცხვრის ფარიდან და ბალახის ძოვნით მგლისკენ მიდის. ახლოს მივიდა კიდეც; მგელი გადუხტა, სტაცა ცხვარს პირი გაიკრა გვერდზე, კუდი მოხვია და სწრაფად ხევისკენ გააქანა; ცოტა ხანი კიდევ, და ნანადირევი მგელს დარჩებოდა, მაგრამ ურშამ გაიგო, დაედევნა ყეფით. მწყემსმაც თვალები გააჭყიტა, თოფი ხელში მოიგდო და ტყვია ზუილით დაადევნა. მგელმა ნანადირევი დასტოვა და მოჰკურცხლა, მაგრამ ცდა მაინც ცდათ დარჩა. მწყემსსაც მადლი მოუვიდა. იგი გაფრთხილდა, მუდამ მას მგელი ელანდებოდა და, ვიდრე ცხვარი შინ არ მორეკა, სულ გარშემო უვლიდა.

მინდვრებზე თოვლი სდევს; ღამეც ბნელია. შია მგელს ძლიერ. მინდვრათ რომ ვერაფერი საჭმელი იპოვნა, სოფელს მოატანა; მისებურად, მგლურად, ეკვრება ღობეს, იფარებს ხეს, ქვას, ყველაფერს, რაც-კი დაეფარება: მიიპარება ცხვრისაკენ. მისი სუნი აიღეს ძაღლებმა და ასტეხეს ვაი-ვაგლახი; შეიქნა გრიალი. ზარბიან და გამორბიან; ერთი ზევით „წკავწკავებს," მეორე აქით, მესამე იქით; ბებერი, ქეც-მუნისაგან გამოხრული ძაღლებიც-კი აღავლავდენ, მორთეს ხრინწიანის ხმით „ბუუ-ბუუი." სოფელს სიცოცხლის ფერი დაედვა. მგელმა ფარეხში შესვლა მოასწრო, მაგრამ სოფლელები ეჭვში შევიდენ, გამოცვინდენ მუგუზლებით და იძახიან: „მგელია, მგელიო!" მეცხვარემაც მოანათა კვარი და შეაღო საცხვრის კარები. მგელს ორი ცხვარი უკვე მოეკლა. იკადრა და სინათლეზე მოკურცხლა; გავარდა გარეთ და მიიძაბება ტრიალს მინდორზე. დარ-

ჩა პირღია მწყემსი. სოფელმა დიდხანს ილაპარაკა მგელზე, იმ ხანებში ყველას სიცოცხლის ფერი ედვა: საცხვრეებს სინჯვა დაუწყეს და ამაგრებენ, თოფებს ტალები უნახეს, ცხრა თუ ათი კაცი ტყვია-წამლისათვის დუქანში წავიდა.

ს პ ი ლ ო.

სპილოს გრძელი ხორთუმი აქვს და ვეებერთელა ეშვებით აღჭურვილია. თავი დიდათ მოაქვს: ასე ჰგონია, ქვეყანა მარტო მისთვის იყოს გაჩენილი. აგერ დაბურულ ტყეში სასეირნოთ მიბძანდება—და გზაზე ნორჩ ბუჩქებს სჯეჯგავს, ამტვრევს, გვერდის აქცევას არ კადრულობს. მიუახლოვდა სპილო ერთ პატარა ხეს და ახალგაზდა კოკოსის ხეს თვალი მოჰკრა. მრავალი წლის განმავლობაში ადამიანი ამ ხეებს თავს ევლებოდა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ მისმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, და ხეები მშვენივრად იზრდებოდა. მაგრამ სპილოს ამის დარდი სრულიადაც არა აქვს: მიადგა ხეებს და ყველას თავები გადაკვნიტა.

აგერ გზაზე ბრინჯის ყანა შეხვდა. ადამიანმა მიწა დახნა, იშრომა, ოფლი დაღვარა, მორწყო და შემდეგ ბრინჯი დათესა; მეტად კმაყოფილი იყო ოავის ნაშრომის, და მშვენიერ მოსავალს შეჰხაროდა. მაგრამ, აი გრძელ-ხორთუმა სპილო ყანაში შევიდა და საუცხოო ბრინჯს თხრა დაუწყო. რასაც ერევა, სჭამს, დანარჩენს თავისი ტლანქი ფეხებით სთელავს და ტკეპნის. პატრონი, რაც ძალი და ღონე აქვს, ყვირის, უნდა სპილო შეაშინოს, მაგრამ ცხოველი ყვირილზე ყურსაც არ იბერტყს: ტყუილად ხომ არ მიუცია ღმერთს ასეთი გრძელი ხორთუმი და მაგარი კბილები: მაშ ვის უნდა ეკუთნოდეს ბრინჯის ყანა, თუ არა სპილოს!

ბრინჯის ყანის ახლოს ადამიანს ლერწამი გაუშენებია. მისი გრძელი და მოქნილი ღეროებისაგან ქოხების აშენებას ჰფიქრობენ; მისგანვე ჭურჭელს, უჯრებს, ყუთებს და სხვა საჭირო ნივთებს აკეთებენ. გრძელხორთუმა ბატონი ლერწამში შე-

ბძანდა და ტყუილ უბრალოდ მტვრევა დაუწყო: ჭამით ვერ სჭამს, რადგანაც ამ მცენარის ღეროები მაგარია.

აქვე, ახლოს აყვავებული ხეხილით სავსე ბაღია. სპილო ახლა მის განადგურებას შეუდგა. მაგარი კბილებიკ ტოტებს ამტვრევს და ხორთუმით მაღლა ჰაერში ისვრის. აი, დროს გატარებაც ასეთი უნდა. ოღონდ-კი თვითონ ისიამოვნოს და რა ენაღვლება, რომ ადამიანის ნაჭირნახულევს აფუჭებს და მათი დიდიხნის შრომით ნაყოფს სრულიად სპობს!

მაგრამ სპილოს ნებივრობასაც ბოლო მოეღო. მონადირეები ლერწმებში ჩაუსაფრდენ და სპილო მოჰკლეს. გამანადგურებელს თოფის ტყვია ყურის ძირში მოხვდა, და გასისხლიანებულმა, უზარმაზარმა ცხოველმა მიწაზე ბრეგვა მოიღო. ბავშებმა და უფროსებმა აღტაცებული ჟივილ-ხივილით მოირბინეს მოკლული სპილოს სანახავად. ხორთუმი მოსჭრეს და სადილისათვის შესწვეს. ვეებერთელა კბილებიც ამოგლიჯეს და ხელოსანს მიჰყიდეს, რომელიც სპილოს ძვლისაგან სხვადასხვა ლამაზსა და კოხტა ნივთს აკეთებს.

ვაგნერი.

ვ ე ფ ხ ვ ი.

ოდესღაც აზიაში უზარმაზარი ვეფხვი ცხოვრობდა. ღამღამობით თავის ბუნაგიდან საზრდოს საშოვრად გამოდიოდა. ადამიანს და ცხოველებს მისი მეტად ეშინოდათ. ყველას შიშის თავზარი ჰქონდა დაცემული. მთვარიან ღამეში მდინარის ნაპირის ბუჩქებში მიიმალებოდა და წყალზე მიმავალ ცხოველებს თავს ესხმოდა. სოფლებში შეიპარებოდა და ძაღლებს სახლების წინ სჭამდა. მაღალ ღობეებზე გადახტებოდა და ცხვრებს მუსრს ავლებდა. საშინელი მტაცებლის შიშით გარედ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. დღისით ტყის ჯაგნარებში იმალებოდა; იქ ვერავინ მომაგნებსო, ფიქრობდა ვეფხვი და თავის თავს მთელის იმ არემარის მბრძანებლად სთვლიდა.

მცხოვრებნი ყოველსავე ღონეს ხმარობდენ, რომ ამ საოცარი ცხოველისაგან თავი ეხსნათ. მაგრამ ვეფხვი მეტისმეტი ფრთხილი იყო და ახლოს არავის იკარებდა. მონადირეებმა გზის გარდიგარდმო თოკის გაბმა და მასზე თოფის მიმაგრება სცადეს, მაგრამ მტაცებელი თოკზე გადახტებოდა და უვნებლად, არხეინად თავის გზას გაუდგებოდა. ტყეში ღრმა ორმო ამოთხარეს, თავზე ფიჩხი და ფოთლები გადააფარეს, ზედ ხორცის ნაჭრები დაჰყარეს; ჩვენმა ვეფხვმა დაგებულ მახეს გვერდი აუარა და ხორცს პირიც არ შეახო.

ბოლოს ერთმა მონადირემ, რომელსაც უკვე მრავალნაირი საშუალება გამოეცადა, ახალი ხერხი გამოიგონა. ბასწია ტყეში, დიდრონი ფოთლები შეკრიფა, ცალ გვერდზე მათ წებო წაუსვა და მეორე გვერდით იმ გზაზე მოაფინა, რომლითაც ჩვეულებრივ ვეფხვი სოფელში ქურდულათ დადიოდა. მზე ჩავიდა, მთვარე ამოკაშკაშდა და ვეფხვმაც თავისი ბუნაგი დასტოვა. ბუჩქებში კატასავით მიიპარებოდა, ყვითელ თვალებს ბნელაში ნაკვერცხლებივით ანათებდა. ვეფხვი, საშოვარზე რომ მიდის, ლომივით არა ბუღრაობს. ჩუმად და წყნარად მიიპარება, რომ მსხვერპლს მოულოდნელად თავს დაეცეს. ის გრძელსა და ბასრ ჭანგებსაც-კი მალავს, რომ არავითარი ხმაურობა არ ისმოდეს და გზას კვალი არ დააჩნდესო.

აი, მტაცებელმა სოფლისკენ მიმავალ გზამდისაც მიაწია.

პირველი არ იყო მისი ამ გზაზე გამობძანება. სიფრთხილით ირგვლივ მიიხედ-მოიხედა: ადამიანმა ხომ სადმე მახე არ დამიგოო. მაგრამ არსად არაფერი არა ჩანს: არც გაბმული თოკი, არც იმაზე მიმაგრებული თოფი; არსად ბოროტგანზრახულების ნიშნებიც-კი არა ჩანს, მხოლოდ ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები ყრია: მაგრამ ეს ხომ მისთვის ახალი ამბავი არ იყო. ვეფხვმა წინ ნაბიჯი გადადგა და წებო წასმულ ფოთოლს წინა ფეხი დაადგა. ფოთოლი თათზე მაგრად მიეკრა; მოუთმენლად დაიწყო თათის აქით-იქით ქნევა, უნდოდა შემაწუხებელი ფოთლისაგან ფეხი გაეთავისუფლებია.

მაგრამ ამასობაში ასეთსავე ფოთოლს მეორე ფეხიც დაა-

დგა. Ახლა-კი უფრო მეტი ჯავრი მოუვიდა. Ბრაზმორეულმა ორივე ფეხის ქნევა დაიწყო, უკანა ფეხების შემწეობით წინა თათების განთავისუფლება მოინდომა. Ამასთანავე წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაშინვე უკანა ფეხებიც წებოიან ფოთლებს დააბიჯა.

Მეტად იუცხოვა ვეფხვმა ახალი ფეხსაცმელები: კლანჭებიანი თათები მისი უმთავრესი იარაღია; ისინი მუდამ თავისუფალი უნდა ჰქონდეს, ერთ წამსაც ვერ მოითმენს მათ დაბმას ან შებორკვას... Უნდოდა ენითა და კბილებით მოეგლიჯა საზიზღარი ფოთლები, მაგრამ ფოთოლი ჯერ ერთ თვალზე მიეკრა, მერე მეორეზე. Ვეფხვი საშინელმა სიაფთრემ აიტანა, ზურგზე დაეცა, დაიწყო საოცარი ღრიალი, ფეხებით ცემა და შფოთვა, ცდილობდა, როგორმე ეს თავიდან აეცილებია, და ამასობაში-კი უფრო მეტი და მეტი ფოთლები ეკვრებოდა. Ჩასაფრებულმა მონადირეებმა ღრიალის ხმა გაიგონეს და მიხვდენ, რომ მათმა ხერხმა გასჭრა. Მაგრამ ჯერ კიდევ დროს უცდიან, უნდათ ვეფხვი კარგად მოიქანცოს; შემდეგ-კი ანთებული ჭრაქებითა და წყვეტიანი შუბებით საშინელი მხეცისკენ მიეშურებიან. Ის-კი ჯერ ისევ შფოთავს, მიწაზე კოტრიალობს, აღარც ყურთ ესმის, ვერც თვალებითა ხედავს. Თვალები და ყურები ფოთლებით სქლადა აქვს აწებებული. Ყოველი მხრიდან მონადირეები შემოესიენ და შუბ-ისრები დაუშინეს. Საბრალო ვეფხვი ახლა-კი თავს ველარ უშველის. „Როგორც იქნა, ხომ მაინც ხელში ჩაგვივარდი,“—გაიძახიან გახარებული მონადირეები. Ვეფხვი მოჰკლეს და დასასჯელად ათასნაირი ბოროტმოქმედებისა და ზარალისათვის ტყავი გააძრეს.

ვაგნერი.

გამბედავი ძღარბი.

Ტყის პირას ბუჩქებიან ფერდოებში ბევრი მარწყვია. Ყმაწვილებს ძალიან გაუხარდათ, რომ ამ ადგილს მიაგნეს და ბევრი

მარწყვი მოკრიფეს. მზე ჩასვლას აპირებს და ესენი ჯერ ფერდობის ძირს არ ასცილებიან. „ახლა-კი შინ წავიდეთ, ხვალ ისევ მოვიდეთ და, რაც ზევით მარწყვია, სულ დავკრიფოთო,“ სთქვეს ყმაწვილებმა. მაგრამ მათ არ იციან, რომ იქ, ზევით ბუჩქნარში, გესლიანი გველი მოკლაკნილა. გველის ცნობა ადვილია, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ყმაწვილები მას უეცრად შეხვდენ, მაშინ ხომ მათ გველი უკბენთ.

მაგრამ მუხის ბუჩქნარში ერთი წაქცეული ფუღუროიანი ხე გდია; ფუღუროში ხავსი და თივა აგია, შიგ ძღარბი მოკუმშულა და სძინავს. მთელ დღეს ის ძილში ატარებს, ხანდისხან აქით-იქით გადაბრუნდება, და მაშინ ხავსი და ხმელი ბალახი იმის ეკლებს აჰყვება. საღამოობით, როცა პაწაწა ბავშები დასაძინებლად დაწვებიან, ძღარბს ელვიძება და ზმორებასა და მთქნარებას მოჰყვება. ახლა დაღამებულია და ძღარბი საწოლიდან გამოვიდა. შესახედავად საკვირველი რამ არის: პატარა თავი აქვს და დინგი ღორისას მიუგავს! მისი მრგვალი ტანი გახვეულია ეკლებიან ტყავში და ამ ეკლებში ჩამალული პაწაწა თვალები თითქო გულ-კეთილად იჭვრიტებიან. გარეთ ეკლებზე ხავსი და ბალახი მოსდებია, ასე რომ ძღარბი თივისა და ხავსის ბურთსა ჰგავს.

ტყეს იქით მთვარე გამოჩნდა და მთასა და ბარს შუქი მოჰფინა. დაბურულ ტყეში კი ძალიან ბნელა, მაგრამ ძღარბს სულაც არ ეშინია. აი იმის გვერდზე კვერნამ ჩაირბინა, ცოტახანს იქით მას ბუმაც გვერდი აუარა. არც ერთი ძღარბს არ

ერჩოდა; ისინი კარგად ხედავდენ იმის ბასრ ეკლებს. ტყის მახლობლად ერთი გლეხის ბაღია. ძღარბი იქითკენ მიდის, იქნება ძირს ჩამოვარდნილი მწიფე მსხალი ან ვაშლი ვიპოვნოო. იქ მან ვერაფერი იშოვნა და სულ მშიერი უკან დაბრუნდა. გზაზე რამდენიმე ძირი მრავალძარღვა დაინახა. მათი ძირები თავისი მწვეტი დინგით ამოთხარა და შესჭამა. ეს საქმე მან ხერხიანად აასრულა. მრავალძარღვას ფოთლები ისევ თავის ადგილას დარჩენ, თითქო მათთვის ხელი არავის ეხლოს. ახლა ძღარბი ერთი სქელი ბუჩქის გვერდით მიდის, რაღაცა სუნი ეცა და უცებ შეჩერდა. ბუჩქზე სხედან მწვანე ბუზანკლები, რომელთაც მარიამბულას ეძახიან. ამ ბუზის წვენი ძალიან გესლიანია. ქაცმა რომ ეს ბუზი ხელით გაჭყლიტოს, უცებ მას ხელის კანი აებურცება და ძალიან შეაწუხებს. ქაცმა ან სხვა ცხოველმა რომ ეს ბუზი როგორმე გადაჭყლაპოს, მაშინვე ტანში ანთება მოუვა, და საშინელი წვალებით მოკვდება. ძღარბმა კი ეს ბუზები შესჭამა და ცუდი არაფერი დამართია. ბევრი სხვა საწამლავიც არ აწყენს ძღარბსა. ამბობენ, რომ ძღარბისთვის უწყინარია თაგვის-შაქარი, ბანგი და ვერცხლისწყალი, და კაცს კი ძალიან ცოტაც მოჰკლავს.

დილის რიჟრაჟია. ძღარბი ტყისკენ მირბის; ის კიდევ მშიერია; მას ერთი თაგვიც არ შეხვედრია, რომ დაეჭიროს და შიმშილი ცოტათი მაინც მოეკლას. აი, ახლა ძღარბი მარწყვიან ფერდობს მაღლიდან გადმოადგა და შეჩერდა. ძღარბს ეცა გველის სუნი, რომელიც მოკლაკნილა და ღამის სიცივეს ხავსში გადამალვია. ძღარბსა და გველს შუა ძალიან დაღმართი ფერდობია. გამბედავ ძღარბს ბევრი არ უფიქრია, თავის ეკლიან ტყავში შეკუმშვილი გამოეხვია და ამ ფერდობში დაგორდა. აგრე რომ კაცი დაგორდეს, ან კისერს მოიტეხს, ან გვერდები დაემტვრევა. ამგვარი უბედურებისაგან ძღარბს მოქნილი და მაგარი ეკლები იფარავს. აი მიუახლოვდა ის გესლიან გველს, ტყავი ცოტათი აიწია, ფეხებზე დადგა და გველთან მივიდა. გველი მიუბრუნდა და პირდაღებული ენას ასანსალებს: გველს ჯავრის გამო თვალები ცეცხლივით უპრია-

ლებს. ძღარბი უცებ ეცა გველსა, ის აქით-იქით იკლაკნება და ძღარბს ხანდახან დინგზე და ხან ფეხებზე ჰკბენს. სხვა ცხოველი ამდენი კბენით უთუოდ მაშინვე მოკვდებოდა, მაგრამ ძღარბს გველის გესლი ვერაფერს დააკლებს. თავისი ბასრი კბილებით ძღარბმა გველი ნელნელა შესჭამა და მაძღარი დასასვენებლად საწოლისკენ გაემგზავრა.

დილას, როცა მზე კარგა მაღლა ავიდა და ღამის ცვარი გაშრა, ყმაწვილები ისევ მივიდენ მარწყვის საკრეფად. მათ არ იციან, თუ რა უბედურებისაგან დაიხსნა ისინი ძღარბმა.

ვაგნერი.

ღ ა მ უ რ ა.

ღამურას ყველა იცნობს. საღამოობით დაჰფრინავს და იჭერს ღამის პეპლებს, ბუზებსა და ბუზანკალებს. ბევრს კიდეც ეშინია ჩვენებური ღამურასი. მაგრამ ტყუილი შიში-კია: ეს ცხოველი ადამიანი მავნებელად არ უნდა ჩასთვალოს კაცმა, ჩვენში მაინც, რადგან ძლიერ ბევრს მავნებელ მწერს, ბუზანკალსა და კოღოს სჭამს. დიდმა ღამურამ გასაძღომად, სულ რომ ცოტა ვთქვათ, თორმეტი ან თუთხმეტი ჯუჯუმკალა მაინც უნდა დაიჭიროს ყოველ ღამ და შესჭამოს, პატარამ-კი სამოცი ბუზი. ვინ მოსთვლის რამდენ ბუზსა და სხვა მწერებს გადაყლაპვენ ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში.

თბილს ქვეყნებში ისეთი ღამურები იცის, რომელნიც ადამიანს სისხლსა სწოვენ. ამისთანა ღამურებს მაჩქათელას ეძახიან. ჩვენს ქვეყანაში არ იცის ამისთანა ღამურები, მაგრამ

სამხრეთის ამერიკაში ისეთი ღამურებია, რომელნიც ბიბილოში ჰკბენენ მძინარე ქათმებსა და სწოვენ იქიდან სისხლს. ქათმები ამის გამო კვდებიან. ეს ღამურები ჰკბენენ არა მარტო შინაურ პირუტყვებს: ცხენს, ვირს და ძროხას, კაცებსაც-კი თავს-დაესხმიან ხოლმე, როცა მინდვრად მძინარეებს დაინახვენ. ქაცი ვერც-კი ჰგრძნობს რასმე იმ დროს, როდესაც მაჩქათელა ჰკბენს. იმის ნაკბენი ერთი ბეწვაა, კაცს ნემსის ნაჩხვლეტი ეგონება. თვალით მნახველი ამბობს, მაჩქათელამ რომ სისხლი ამომწოვა, ერთს ფინჯანზე მეტი იქნებოდაო. ერთს სახლში ვიყავი და იქ დავიძინე. ღამე ცხელოდა და ფანჯრები არ მივხურე. უცბად ოთახში შემოფრინდა დიდი ღამურა-მაჩქათელა. ჯერ ოთახს შემოუარა გარშემო ფრენით და ისე ჩუმად დაფრინავდა, რომ კაცი ყურს ვერ მოჰკრავდა; მერე კიდევ შემოუარა ფრენით ორიოდ-სამჯერ, შემდეგ მე დამიწყო თავზე ტრიალი; მე თვალები ოდნავ დავხუჭე, თავი მოვიმძინარე და დავუწყე ყურება, ვნახო, აბა რას იზამს-მეთქი. ბოლოს მაჩქათელამ იტრიალა, იტრიალა, მოვიდა ჩემთან ახლო და ისე დაუწყო ფრთებს ფართხუნი, რომ კაცი ამ ფართხუნის ხმას ვერ გაიგონებდა. მერმე ადგა და დამაჯდა ზედ გულზე. ვგრძნობდი, რა ადგილსაც დამაჯდა, მაგრამ ის-კი ვერ ვიგრძენ, რა ადგილას მიკბინა და საიდანა მწოვდა სისხლს. პირველად სრულიად არავითარი ტკივილი არ მიგრძნვია. მხოლოდ რამდენსამე წუთს შემდეგ მივხვდი, რომ თითქო გულზე წურბელა მომკიდებია და სისხლს ის მწოვს-მეთქი. მაშინ-კი ვსტაცე ხელი მაჩქათელას და იქვე დავახრჩე“.

რუბაკინი.

ძუძუმწოველი ცხოველები.

ძუძუს-მაწოვარი ცხოველები სხვა ცხოველებისაგან იმითი განსხვავდებიან, რომ მათ ებადებათ ცოცხალი შვილები, რომელთაც რძითა კვებავენ. ადამიანს ბევრი ნიშნებით ჰგვანან.

ძუძუს-მაწოვარი ცხოველები რამდენსამე ჯგუფად განიყოფებიან; თითოეული ჯგუფის ცხოველები ერთმანეთს უმთავრესი ნიშნებით ჰგვანან. ყველამ კარგად იცის, რომ ძროხა, ცხვარი, ხარი, თხა აგრეთვე აქლემი და შველი შეადგენენ ორჩლიქიანთა ან მცოხნელთა ჯგუფს. უმეტესი ნაწილი ამათგანი მშვიდი, შინაური ცხოველებია, რომელთაც ადამიანისათვის ხორცით, რძით, მატყლითა და ტყავით დიდი სარგებლობა მოაქვთ. ფეხის თითები ორორი გაყოფილი ჩლიქითა აქვთ შეჭურვილი. ყველა მცოხნელი მცენარეული საჭმლით იკვებება. რაც უნდა მშიერი იყოს მცოხნელი, არასოდეს ხორცს პირს არ მოჰკიდებს. კბილები და კუჭი მცოხნელს მხოლოდ მცენარეულის საჭმელად და მოსანელებლად აქვთ მოწყობილი. ეს ცხოველები საჭმელს არ ჰგლეჯენ, ამიტომაც ეშვები სრულებით არა აქვთ; წინა, საჭრელი კბილები მარტო ქვედა ყბაზეა მოთავსებული და ჩლუნგია; ზედა ყბაზე კი მათ მაგიერ ხორკლები ასხია. ორჩლიქიანთა საძირის კბილები სქელი და მეტად ჩლუნგია.

რადგანაც მცენარეულ საჭმელში მსაზრდოებელი ნივთიერება ხშირად უფრო ცოტაა; ვიდრე ხორცში, და ძნელად მოსანელებელიც არის, ამიტომ ცხოველებმა ეს საკვები ძალიან ბევრი უნდა სჭამონ და კუჭშიაც დიდხანს უნდა იქონიონ. ამისათვის მცოხნელთა კუჭიც შესაფერისად აქვთ მოწყობილი. მათ ოთხი კუჭი აქვთ და ყოველ ამათგანს თავთავისი საქმე აქვს. დაღეჭილი საჭმელი ჯერ პირველ კუჭში მიდის, რომელიც ყველაზე უდიდესია და ფაშვად იწოდება; აქ საჭმელი რბილდება და შემდეგ მეორე კუჭში გადადის; აქიდან ნაღეჭი ისევ პირს უბრუნდება და ცხოველი ხელმეორედ ღეჭს, ცოხნის; მერმე ნაცოხარი მესამე კუჭში, წიგნარაში, ჩადის, რომლისათვისაც ეს სახელი კუჭის შიგნითა კანის მრავალ ნაკეცობისათვის დაურქმევიათ. შემდეგ საკვები მეოთხე კუჭში, მაჭიკაში, გადადის და აქიდან-კი ნაწლევებში. სასმელს არც ღეჭა, არც ცოხნა არ სჭირია და ამიტომ საჭმელივით საცოხნელად პირში აღარ ბრუნდება და პირდაპირ მესამე და მეოთხე კუჭში მიდის.

Ცხენიც ჩლიქიანი ცხოველია, მაგრამ თითო ფეხზე ორის მაგივრად თითო ჩლიქი აქვს. ჩლიქს უკან, ზემოთ, როგორც ძროხას, ორი პატარა მოკლე თითი აქვს. ცხენის მახლობელი ნათესავები არიან შინაური ვირი და ველური ჭრელი ზებრა, რომელიც აფრიკის ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს. ცხენი, ვირი და ზებრა ძუძუს-მაწოვართა მეორე ჯგუფს შეადგენენ; ამ ჯგუფს ქაჩაჩიანი ჯგუფი ეწოდება.

ძუძუს-მაწოვართა მესამე ჯგუფს სქელ-ტყავიანები ანუ მრავალჩლიქიანები შეადგენენ. ეს უზარმაზარი, მოუხეშავი მძიმე ცხოველებია; მათი სქელი ტყავი ჯაგრით ან თხელი ბალნითაა დაფარული. ფეხის თითების რიცხვი სამიდან ხუთამდია. თითებზე ჩლიქები აქვთ. ამათ რიცხვს ეკუთნის ღორი, რომელსაც დიდი მოვლა არ სჭირდება და ადამიანისთვის ხორცითა და ჯაგრით დიდი სარგებლობა მოაქვს. ღორს ფეხზე ოთხი თითი აქვს, რომელთაგანაც მიწაზე მხოლოდ ორს სდგამს, დანარჩენი ორი-კი მიწას ვერ უწევს. დინგი ხორთუმივით წინ წაშვებული აქვს და საჩიჩქნელ იარაღათ ხმაროობს. უზარმაზარი სპილო, მარტორქა და ზღვის კამეჩი ამ ჯგუფს ეკუთნიან.

შემდეგი ჯგუფის ცხოველები მტაცებლებად იწოდებიან. ესენი მარტო ხორცით იკვებებიან და მცენარეულის ჭამა მხოლოდ ზოგს ამ ჯგუფის გვართაგანს სჩვევია.

რადგანაც მტაცებლები გარეგანი შეხედულობით ერთმანეთისაგან მეტად განირჩევიან, სწავლულებმა ისინი რამდენსამე ოჯახად გაყვეს და თითო ოჯახში ერთმანეთის მზგავსი ცხოველები მოათავსეს. მაგალითად, მტაცებელთა ჯგუფს ეკუთნის კატათა ოჯახი. არ იფიქროთ, კატები მარტო შინაურს თაგვიჭერია ცხოველებს ერქვათ. არა კატების ოჯახს ეკუთნიან ისეთი ძლიერი და საშინელი ცხოველებიც, რომელნიც სპილოსაც კი თავს ესხმიან: ძლიერი ლომი, ცხოველთა მეფე, უზარმაზარ-თავიანი და სქელ-ფაფრიანი, რომლის ღრიალიც უშიშარ, გულად ვაჟკაცსაც კი კანკალს დააწყებინებს ხოლმე; სისხლის-მსმელი ვეფხვი და ჩვენის მიყრუებულ ტყეების მცხოვრები ფოცხვერი—ყველა ეს ცხოველები კატებია. რა უნდა

იყოს საერთო, იკითხავთ, შინაურ კატასა, ლომსა, ვეფხვსა და ფოცხვერს შორის? თუ კარგად დაუკვირდებით, ადვილად შეამჩნევთ, რომ ესენი კატათა ოჯახის წევრები არიან. ყველა ამ კატებს მრგვალი თავი აქვთ, პირში ბასრი წინა კბილები და წვეტიანი ლოჯები უზისთ; წინა ფეხზე ხუთი და უკანაზე ოთხი თითი აქვთ, თითებზე კი შესაწევ-გამოსაწევი კლანჭები ასხიათ. ყველას ამათ ხორკლიანი ენა, საოცრად გამჭრიახი მხედველობა და მახვილი სმენა აქვთ. მტაცებლობა, მოხერხება, სიმარდე— ყველა ეს თვისება კატების საერთო ნიშნებია. ჩვენში მხოლოდ შინაური კატა და ფოცხვერი ცხოვრობს, ლომი და ვეფხვი კი ცხელს ქვეყნებშია.

მტაცებელთა მეორე ოჯახს შეადგენენ—ძაღლები. შინაურ ძაღლებს გარდა, რომელნიც მრავალ სხვადასხვა ჯიშის ანუ მოდგმის არიან, ამ ოჯახს ეკუთნის მგელი, ტურა და მელა. ვისაც მგელი და მელა უნახავს, ადვილად შეამჩნევდა, რომ ისინი ძლიერ ჰგვანან ძაღლს. ძაღლებს კატასავით წინა ფეხებზე ხუთი და უკანაზე ოთხი თითი აქვთ, თავი—მოგრძო და ენა უხორკლო; კლანჭები კი შესაწევ-გამოსაწევი არა აქვთ.

მტაცებელთ ეკუთნიან აგრეთვე უვნებელი, წყნარი პატარა ცხოველები, რომელთაც, საზრდოს მიხედვით, მწერიჭამიებს ეძახიან. ამ ოჯახს ჩვენი ნაცნობი თხუნელა ანუ მუდო, ძღარბი და მიწათხარია შეადგენენ.

მტაცებელთა მეოთხე ოჯახი—დათვებია. სხვა მტაცებელთაგან განირჩევიან იმით, რომ ხორცს გარდა მცენარეულ საჭმელსაც მიირთმევენ: გარეულ ხილს, თაფლს, ფესვებს და სხვას; მეტად უშნო და მოუხეშავები რამ არიან; ზამთარს ისინი ძილში ატარებენ. სიარულის დროს მიწაზე მთელი ფეხის გულს ადგმენ და ამიტომაც ტერფით მოსიარულე ეწოდებათ. ამ ოჯახს ეკუთნის ჩვენი ტყეების მცხოვრები რუხი დათვი და ჩრდილოეთის თეთრი დათვი, რომელიც ყინულზე ცხოვრობს, ზამთრობით არ იძინებს და თევზითა და ზღვის ძაღლების ხორცით იკვებება.

ძუძუს-მწოვართა მეხუთე ჯგუფს წარმოადგენენ ურიცხვი,

სხვადასხვა გვარის ცხოველები, აგრეწოდებულნი მღირღნავნი. მათ საერთო ნიშანს განსაკუთრებული კბილები შეადგენს. ყველა მღრიღნავს ქვევით და ზევით ორ-ორი გრძელი და მოღუნული საჭრელი კბილი აქვს. ამ კბილებით ისინი ადვილად ღრღნიან ისეთს მაგარ საგნებს, როგორიც, მაგალითად, ხეა; ეშვები სრულებით არა აქვთ, ძირის კბილები (სამიდან ხუთამდი) წინა კბილებზე კარგა დაშორებული აქვთ. მღრიღნავებს ეკუთნიან უმეტესად პატარა, სუსტი ცხოველები, რომელნიც ხის ქერქით, კაკლითა და მარცვლეულობით საზრდოობენ: ციყვი, თახვი, ყურდგელი, თაგვი.

მეექვსე ჯგუფს შეადგენენ აგრეწოდებულნი ხელფრთიანები; მათ ეკუთნის ღამურა. ღამურა ცხადათ განირჩევა სხვა ძუძუს-მაწოვარ ცხოველთაგან. ჩვენში ბევრი ღამურა იცის, ასე რომ ყოველ სოფლის მცხოვრებს ხშირად უნახავს იგი. ეს პატარა ცხოველი წმინდა ბალნითაა შემოსილი; მეტად დიდი ყურები აქვს და წინა ფეხებზე ოთხ-ოთხი გრძელი თითი აბია. მათ შუა გაჭიმულია საფრინავი აფკი, რომელიც აგრეთვე უკანა ფეხებსა და კუდზედაც არის მიბმული. მეხუთე თითი თავისუფალია, მოკლე და მოღუნული კლანჭით აღჭურვილი. ღამურები მწერებით იკვებებიან, რომელთაც მრავლად ჟლეტენ და ამით ადამიანებისთვის დაუფასებელი სარგებლობა მოაქვთ. მაგრამ ამერიკის ცხელ ქვეყნებში ღამურებიკ ცხოვრობენ, რომელთაც მაჩქათელას ეძახიან. მაჩქათელა სიდიდით ნახევარი არშინი იქნება, ცხოველებსა და მძინარე ადამიანებს თავს ესხმის, ტანზე ჰკბენს და სისხლსა სწოვს.

ძუძუს-მაწოვართა მეშვიდე ჯგუფს ოთხ-ხელიანები შეადგენენ. ამ ჯგუფს სხვადასხვა ჯიშის მაიმუნები ეკუთნიან. ამ ცხოველებს ოთხივე ხელი ჩასაჭიდებლად და ხეებზე საცოცავად სჭირდებათ. ისინი წინა და უკანა ხელებს ერთნაირად კარგად ხმარობენ, როდესაც ხეებზე დახტიან, ან ნაყოფს ჰკრეფენ.

ახლა ჩვენ უნდა მოვიხსენოთ ზღვაში მცხოვრები ძუძუსმაწოვარი ცხოველები. ისინი გაიყოფებიან ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეადგენენ ზღვის-ძაღლები და ზღვის-ლომები,

რომელნიც გარეგნობით ხმელეთის ცხოველებს მოგვაგონებენ; მეორე ჯგუფს ეკუთნიან ვეშაპი და დელფინები ანუ ზღვისლორები. ამათ უკანა ფეხები სრულებით არა აქვთ, ხოლო წინანი საცურავ იარაღს წარმოადგენენ, რომელთა შემწეობით და აგრეთვე კუდის მოძრაობით ეს ცხოველები წყალში დაცურვენ.

II

ფრინველები.

ბულბულების შკოლა.

ერთი მეცნიერი ჭალაში მეტად საინტერესო და გასართობ ამბავს შესწრებია. ხის ტოტებზე დაფრინავდენ ბულბულის ბარტყები; ესენი ერთმანეთს უდარდელად ებაასებოდენ; მათი ტკბილი და სასიამოვნო ხმაურობა მთელს არემარეს მოსდებოდა. უცებ, ხის ზემო შტოდან დედა, ბულბულის ბძანება მოისმა. ახალგაზდობა გაჩუმდა. ეს ბძანება იმის ნიშანი იყო, რომ გალობის გაკვეთილი იწყებოდა. მასწავლებელმა დედა-ბულბულმა შემოსძახა. ახალგაზდა მოსწავლენი სმენად გადიქცენ: გამოცდილი მგალობლის ჰანგებს ბარტყები გულ-მოდგინებით ყურს უგდებდენ.

რამდენსამე წამს სრული სიჩუმე იყო.

შემდეგ პატარა ბულბულებში გამოჩნდა ერთი სხვებზე უფრო ნიჭიერი მოსწავლე, რომელმაც მოკრძალებითა და შიშით გაკვეთილის გამეორება დაიწყო. ნიჭიერი მოსწავლის მაგალითს სხვებმაც წაბაძეს, — და მალე მთელმა პატარა შკოლამ გაკვეთილის გამეორება დაიწყო. მასწავლებელიც ყურს უგდებდა და, სადაც ახალგაზდებს უძნელდებოდათ, იქ გალობის კილოს და ჰანგებს უფრო მკაფიოდ და გასაგებად გალობდა. ხშირად მასწავლებელი ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ მოსწავლეებს უფრო კარგად შეეთვისებიათ. გალობის გაკვეთილები ყოველდღე სწარმოებდა, რადგან ამ დროს პატარა ბულბულები ფრენასა და ჭიკჭიკში უკვე დახელოვნებულიყვენ და მხოლოდ გალობა უნდა ესწავლათ.

რამდენსამე დღეს შემდეგ პატარა ბულბულებმა გალობა ისე კარგად ისწავლეს, რომ შეუცთომლად იმეორებდენ დედა ბულბულის ჰანგებს. შემდეგ უმასწავლებლოთაც მშვენიერად

გალობდენ; ამასთან ისიც ეტყობოდათ, რომ უფრო ნიჭიერნი დასწავლილ გალობას საკუთარის ჰანგებითაც ამშვენიერებდენ.

ასე სწრთვნიან თავის შვილებს სხვა ფრინველნიც. ფრინველები შვილებს მარტო გალობას არ ასწავლიან: ცდილობენ ყოველ გვარად აღზარდონ იგინი. მერცხლები, ბელურეები, შაშვები,

მიმინოები და ძლიერი არწივები ფრინვას ასწავლიან; იხვები, ბატები, გედები და სხვა წყლის ფრინველები ცურვასა და ყურჭუმელაობას ასწავლიან. ყველა ესენი აგრეთვე საჭმლის შოვნაშიც ავარჯიშებენ.

ბულბული ჩვენს ქვეყანაში ადრე გაზაფხულს მოდის, როცა ხეები და ბუჩქები ჯერ კარგად არ არიან ფოთლით შემოსილნი. ამ დროს მისი ბუმბულის ფერი ძალიან ჰგავს ხეებისა და ბუჩქების კანის ფერს, და ეს გარემოება იცავს ბულბულს მრავალი მტრისაგან.

ბულბული ეძებს საჭმელს—ჭიებს, მატლებს და სხვას, უმთავრესად მიწაზე. ამიტომაც ის ცხოვრობს ბაღების, ჭალების ან ტყის ხშირ ბუჩქნარებში. მისი უბრალო ბუდე გარედან გამხმარ ფოთლების გროვას მიემსგავსება. ბულბული წელიწადში მხოლოდ ერთხელა სჩეკს შვილებს. ამის გამო მისი

საუცხოვო გალობა შუა ივნისშივე შეწყდება ხოლმე. აკივდება, და ბულბული საზამთროდ თბილ ქვეყნებისკენ მიემგზავრება.

ფრინვის გაკვეთილები.

მერცხლები ფრიად მზრუნველი მშობლები არიან. ისინი დიდი სიყვარულით ასაზრდოებენ და ზრდიან თავის შვილებს; მათი მზრუნველობა ისე შორს მიდის, რომ ბარტყებს ნისკარტით უხილავენ ბუმბულს, ტანს უსუფთავებენ, რომ ან ჩალა ან მტვერი ბუმბულზე არ მოედვას. მშობლები ბუდესაც ყოველდღე დიდი მეცადინობით უსუფთავებენ.

აი, მერცხლის ოჯახში ფრინვის პირველი გაკვეთილი დაიწყო. დედა-მერცხალი მაღლა აფრინდა. დედის მოძრაობას ბარტყი ბუდიდან ყურადღებით უკვირდება: ამ გვარ მოძრაო-

ბას დედა-მერცხალი რამდენჯერმე გაიმეორებს. ბარტყიც ცდილობს, დედას ცოტ-ცოტა წაბაძოს; უყურებს და დედასავით ფრთებს ამოძრავებს: აი ბარტყი კიდეც ფრთებს შლის... მაგრამ მარტო ეს არ კმარა, ბუდიდან ცხვირის გამოყოფისა ეშინია, ეძნელება ბუდიდან გარედ გადმოფრენა. მშობლებს ახლა დიდი შრომა და მეცადინობა სჭირდებათ. პატარა მერცხალს ბუდიდან გადმოფრენისა ეშინია,—მაგრამ რას იზამს: სულ ხომ ბუდეში არ დრჩება. შრომა და ჯაფა უნდა, თორემ მშიერი მოკვდება.

აი, დედა ცდილობს, რომ შვილს როგორმე ბუდიდან გადმოსვლა და იქვე ახლო ფრინვა გააბედვინოს. ყველა დედამ იცის, თუ როგორ მოუხერხოს პატარა მშიშარას, რომ მან ერთი წამით მაინც გაბედულობა გამოიჩინოს. დაფარფატობს დედა-მერცხალი თავის ბუდესთან და შვილს ჭიკჭიკით ამხნევებს. შვილი მაინც გადმოფრენას ვერ ბედავს. დედა არ ეშვება და გადმოსაფრენად იწვევს. აგერ დედა-მერცხალმა მსხვილი ბუზი დაიჭირა და ბუდის ახლო დაფრინავს. ამ გემრიელი ლუკმით დედას უნდა შვილის გადმოტყუება: საჩუქრად ამას პირდება, თუ შვილი გულადობას გამოიჩენს და გადმოფრინდება. მერე, იცით ეს ბუზი რა გემრიელია! ბარტყს სიხარულით თვალები აენთო, პირზე ნერწყვი მოადგა.

მშიშარამ ველარ მოითმინა,—სურვილმა შიში დაავიწყა,—ბუდიდან გადმოფრინდა და ბუზისათვის პირდაპირ დედას მიაფრინდა. საწყალი პატარა მერცხალი საცოდავად კანკალობს. მართლა-და განა საშიში არ არის მაღლა ჰაერში ყოფნა?.. დედაც საჩქაროდ ბარტყისკენ მიეშურება, რომ შვილი მახლობელ სახურავზე დასვას. იმ წამსვე ბარტყის ნისკარტში დედის დაჭერილი ბუზი გაჩნდა. პირველი გაკვეთილი ამით გათავდა.

როგორც იქნა, პატარა მერცხლებმა ფრენა ისწავლეს,—მაგრამ მშობლების მზრუნველობა ამით არ თავდება: დედამ პაწიას ახლა ბუზებისა და კოღოების დაჭერაც უნდა ასწავლოს. მსხვილი ბუზით მოტყუებულნი მშიშარა ბარტყები სახლის თავზე შემოსხდენ და დაპირებულ საჩუქარს უცდიან.

მაგრამ დედა-მერცხალი მათს ახლოს როდი დაჯდა, რომ შვილებისათვის ბუზები გაენაწილებია. **დ**ედას ნისკარტით ჭია უჭირავს და შვილების გარშემო დაფრინავს. **ბ**არტყები მოუთმენლად ელიან საჭმლის გაყოფას. **მ**აგრამ დახე უბედურებას! დედა-მერცხალი ცოტა მაღლა აფრინდა და ჭია შვილებს ზემოთ გაუ'შვა. **ნ**უთუ ეს გემრიელი ლუკმა შვილებს დაეკარგებათ?!

არა, მოიცა! აგერ ერთი უფრო მიხვედრილი ბარტყი ისარივით ჭიას გამოეკიდა და, ერთს წუთს არ გაუვლია, რომ ახალგაზდა მონადირეს ნისკარტით ჭია ეჭირა და სახურავზე არხეინად შეექცეოდა.

დედა-მერცხალსაც ეს უნდოდა, ამასა ცდილობდა. **დ**ედამ კარგად იცის, რომ შვილებს დაუდგათ დრო, როცა საჭმლის შოვნა უნდა ისწავლონ.

შემდეგ დედამ უფრო ძნელი და რთული ამოცანა მისცა შვილებს: დაიჭირა რაღაც ბუზანკალი და შვილების თვალწინ გაუშვა. **ბ**უზანკალმა ფრთები გაშალა და გაფრინდა, **ა**ჭყრიალდა ახალგაზდობა, აფრინდა და დასაჭერად გამოეკიდა.

რამდენსამე დღეს შემდეგ ბარტყები ისე გავარჯიშდენ, რომ ვერც ერთი კოღო, ვერც ერთი ბუზი და ბუზანკალი ვერ წაუვიდოდათ.

მერცხლები თავის შვილებს ასე აჩვევენ ნადირობას.

მერცხალი ადამიანის დიდი მეგობარია. **ჩ**ვენს ხალხს ძალიან ესიამოვნება ხოლმე, როცა მის რომელსამე შენობაში მერცხალი ბუდეს გაიკეთებს: ხალხს სჯერა, რომ მერცხალი ბედნიერების მომასწავებელიაო.

მერცხლის ბუდე ოსტატურად და ხელოვნურად არის გაკეთებული. **ბ**უდის მასალად თიხასა და შლამს ხმარობს. **ა**მ მასალას ნისკარტით ბეჯითად ეზიდება, სუსტი ფეხებით კედელზე მიეკვრება ხოლმე და დახელოვნებული კალატოზივით ბინას იშენებს. **ქ**ირის მაგიერ თავის წებოიან ნერწყვსა ხმა-

რობს. მერცხლის ბუდე მოთავსებულია ისეთ ადგილს, სადაც ბარტყებს არ შესცივათ და სინესტე არ შეაწუხებთ. მერცხალი ბუდისათვის არჩევს იმისთანა მოხერხებულ კუთხეს, სადაც ვირთაგვა, დედოფალა და კატა ვერას დააკლებენ.

მერცხალი მხოლოდ მწერებით იკვებება, უმთავრესად ბუზებითა და კოღოებით. ამისთანა წვრილი მწერებით გაძღომა მხოლოდ პატარა ფრინველს შეუძლია; მაგრამ ამანაც აუარებელი მწერი უნდა დაიჭიროს, და, მართლაც, მერცხალი ისე სწრაფად დაფრინავს, რომ ერთი საათის განმავლობაში ორმოცი ბუზის დაჭერა შეუძლია.

როდესაც წვიმის ღრუბელი შორიდან მოდის, მისი სინესტე არემარეს რამდენსამე ასი ვერსის სივრცეზე ედება. თვით ღრუბელი ჯერ არც-კი ჩანს, მაგრამ ჰაერში სინესტე უკვე დამდგარია; ამას მწერები კარგად გრძნობენ: ფრთები სინესტისაგან უსოვლდებათ და უმძიმდებათ. ამის გამო მაღლა ფრინვა კოღოებსა და ბუზებს მეტად უძნელდებათ და ძირ-ძირს, მიწის პირად, დაფრინავენ. ჩვენი მერცხლებიც მაშინვე ძირს ეშვებიან და მწერებს ყანა-მინდვრებსა, ტბებსა და მდინარეებზე უკან დასდევენ.

როდესაც ჰაერი მშრალია, მაშინ კოღოსა და ბუზებს ფრენა უადვილდებათ და ჰაერში მაღლა-მაღლა მიფრინავენ. ამ დროს მერცხლებიც შორს, მაღლა დასრიალობენ.

ამ ნაირად მერცხლების ფრინვაზე ამინდის გამოცნობა შეიძლება.

როგორა სწვრთნის შვილებს გარეული იხვი.

წყლის ფრინველნი შვილების გაზრდას სხვანაირად ახერხებენ. წყლის ფრინველმა ცურვა უნდა იცოდეს; ამიტომაც დედა-ფრინველი ცურვის შკოლასა მართავს.

აგერ ტბის პირად იხვმა ჭუჭულები გამოჩეკა. შეიკრიბენ ჭუჭულები ერთად, დააღეს ნისკარტები და საჭმელს ითხოვენ.

თვითონ ჭუჭულები ჯერ პატარა და უგუნურები არიან, საკუთარი შრომით საზრდოს ვერ იშოვნიან.

შვილებს დედა ადვილად ჩაიტყუებს ხოლმე წყალში. ამას ასე ახერხებს: ჭუჭულებს დედა ნაპირზე დატოვებს, თვითონ წყალში ჩადის და კარგ მანძილზე შორდება. ჭუჭულებს წყალში შესვლისაც, ცოტა არ იყოს, ეშინიათ, მაგრამ ნაპირზე უდედოთ დარჩენაც ეძნელებათ. შვილები დედას თვალს არ აშორებენ, დედას-კი, შვილების შეწუხება თითქო არაფრად მიაჩნიათ, ნაპირს უფრო და უფრო შორდება. ნამდვილად-კი დედას მხოლოდ ის უნდა, რომ შვილები წყალში შეიტყუოს; ხმამაღლა უძახის მათ. ისინიც კისერს წაიგძელებენ და ჟივილით წყალში შედიან.

ჭუჭულების ჟივჟივი დედას გულს უჩვილებს; განუწყეტელად წყალში ყურჭუმელაობს, ამოაქვს იქიდან ჭიები და შვილებს აძლევს.



თუმცა ჭუჭულები ჯერ პატარები არიან, მაგრამ წყალში ცურვას მაინც ახერხებენ; უბედურება ის არის, რომ ყურყუმელაობისა ჭუჭულებს ძალიან ეშინიათ. მაგრამ რას იზამ? უიმისობა არ მოხერხდება. ჭუჭულებმა ყურყუმელაობა უეჭველად უნდა ისწავლონ. ეს საქმე რომ მოახერხოს, დედა შვილების გაუმაძღრობით სარგებლობს. შვილების ახლო დედა-იხვი ჭიას ან ბუზს წყალში გადააგდებს. შვილები გადაგდებულს გამოეკიდებიან ხოლმე, ჩაყოფენ წყალში ნისკარტებს და ცდი-

ლობენ ნანადირევი წყლიდან ზევით ამოიღონ; მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებენ. ხშირად ჭია ძირს ეშვება, და ჭუჭულები იძულებული არიან ნისკარტი კი არა, მთელი ტანით ჩაეშვან წყალში. ამ დროს დედა-იხვი ალერსიანისა და და სასიამოვნო ხმით შვილებს ამხნევებს. ასე თანდათანობით ჭუჭულები ყურყუმელაობას ეჩვევიან.

დარაჯი ბელურა.

ჩვენს ბაღში, ღობესთან, ერთი მიფარული ადგილია; ეს გახლავთ ჩრდილიანი პატარა გზა, რომლის ორივე მხარეზეც ხშირი ბუჩქები გადაფურჩქნულა. ამ გზაზე ჩვეულებრივ ბელურის ახლად დაფრენილი ბარტყები იკრიბებიან. ბამოიყვანენ დედა-ბელურები აქ თავის შვილებს და თვითონ გაფრინდებიან ამათთვის საზრდოს საშოვნელად. ბარტყების ყურისმგდებლათ მორიგი ბელურა რჩება. ბარტყები ჭყიპინობენ, სილაში ფათქუნობენ, თითქო ბანაობენ, გზაზე დახტიან. ხნიერი ბელურა უმაღლეს ტოტზე დაჯდება და ყოველი მხრისკენ გაფაციცებით იყურება, საიდანმე მტაცებელი ფრინველი არ მოგვეპაროსო. ბელურა მეტად შესანიშნავი დარაჯია: აგერ მახლობელ ტოტზე მსუქანი ჭია მიღოღავს,—ძალიან გემრიელი ლუკმაა—მაგრამ ჩვენი ბელურა იმას ხელს არ ახლებს.

ჰაერში ბოროტი ქორი ტრიალობს—წვრილი ფრინველების მოსისხარი მტერი. ფრთები და ბუმბული ნაცრისფერი აქვს; რასაკვირველია, გაიძვერა ქურდისათვის ასეთი ტანისამოსი სახელდახელოა: თვალს ვერავინ მოჰკრავს, უფრო ადვილად დაიმალება. ქორი ჩუმად დაფრინავს, ღობე-ღობე მიიპარება, ხეებში დაძვრება. მაგრამ ქორმა უცებ გვერდზე გადაუხვია, მაღლა შეინავარდა და თავისი ყვითელი თვალები ირგვლივ არემარეს შემოავლო. ვაი მაშინ ჩიტის ბრალი!

მაგრამ ჩვენი ყარაული ჭკვიანია: მან დიდიხანია გაიძვერა მტერი შეამჩნია და გაფაციცებით თვალს ადევნებს. ქორი

თანდათან უახლოვდება; უცებ ბელურამ ხმამაღლა შეშინებულივით შესწივლა, და ყველა ბარტყი ერთად ხშირ ბუჩქნარში შეიმალა. სიჩუმე ჩამოვარდა: არც ხმაურობა, არც ფოთლის შრიალი. მხოლოდ დარაჯი თავის ტოტზე ზის, სული გაუნაბავს და ქორს თვალს არ აშორებს. ქორმა ბელურას თვალი მოატანა; ავაზაკმა ფრთები აიქნია, კლანჭები გაისწორა და

ქვემოთკენ ისარივით დაეშვა. ბელურა ქვასავით ბუჩქებში ჩავარდა, და მის ადგილას-კი ქორი გაჩნდა: მაგრათ ჩაარჭო ქორმა ტოტს ბრჭყალები და თითქმის გაშეშდა. ქორი აქით-იქით

იყურება, მტაცებელი სიბრაზემ აიტანა, ყვითელი თვალები ცეცხლივით აენთო. ზევით კი, თითქოს განგებ, მერცხლები თავს დასტრიალობენ, რაც ძალი და ღონე აქვთ, ჭიკჭიკობენ—თითქოს იმედგაცრუებულს, მოტყუებულ ავაზაკს დასცინიანო. ჭორს გული მოუვიდა და სხვაგან გაფრინდა.

ბელურა კვლავ იმავე ტოტზე დასკუპდა და მხიარული ჭიკჭიკი მორთო. ჟივილ-ხივილით გამოცვინდენ ბუჩქებიდან ბარტყები, გზაზე ხტომა დაიწყეს. აგერ ხნიერი ბელურებიც მოეჩქარებიან, ჭია-ღუა და ბუზები მოაქვთ და თავის ბარტყებს აჭმევენ.

სადაც პური და სხვა ჭირნახული ითესება, იქ ჩვენი ნაცნობი ბელურა და მისი მახლობელი ნათესავი—მინდვრის ბელურა ცხოვრობს. მათი ცნობა ადვილია; შინაურ ბელურას რუხი, ნაცრისფერი თავი აქვს და ფრთებზე გარდიგარდმო მოყვითალო—თეთრი ზოლები მისდევს; მინდვრის ბელურას-კი თავი დარიჩინის ფერისა აქვს და ფრთებზე გარდიგარდმო წმინდა თეთრი ზოლი გადაჰყვება; ამას გარდა, თეთრს ლოყებზე შავ-შავი წინწკლები აქვს, შინაურ ბელურას-კი ეს წინწკლები არ აჩნია.

ორივე გვარის ბელურა შვილებს ჯერ მწერებითა და შემდეგ მარცვლებითა ჰკვებავს. თვითონ დიდრონი ბელურებიც ბევრს მწერსა სჭამენ და ამით ადამიანისათვის დიდ სარგებლობასთან ზარალიც ბევრი მოაქვთ, რადგან სჭამენ პურის მარცვლებს, ალუბალს, ყურძენს, მცენარეების კვირტებს და სხვას. საზამთროდ ბელურა თბილს ქვეყანაში არ მიფრინავს, ცდილობს, ზამთარი ადამიანის ბინის მახლობლად გაატაროს.

მებოსტნე ყორანი.

სახლის გვერდით ბოსტანია და ბოსტანს იქით მუხნარი. ხშირად ყორანი ამ ბოსტანსა და ტყეში დაფრინავდა. ღამ-ღამე

ბოსტანში ბევრი ლოქორა დაცოცავს და ბრწყინვალე კვალსა სტოვებს. სანამ დილის ცვარი გაშრებოდეს, ეს გაუმაძღრები ბოსტნეულის ფოთლებს ხვრენ. რაკი მზე ამოვა, ლოქორები აქით-იქით მიიმალებიან. ზოგი კომბოსტოს ფურცლებს ქვეშ ამოიმალება, ზოგი ქვებს შუა და ხავსში, ან ხის ტოტებს შუა იფარვის. ამას გარდა, ისინი ნიჟარაში შეძვრებიან და ფიქრი აღარაფრისა აქვთ. მაგრამ ყორანი ბოსტანში ჩაბძანდა. პირველად დანახული ლოქორა აიღო და ქვას დაახეთქა; ნიჟარა გატყდა და ლოქორა ყორანმა გადაყლაპა. მერმე ყორანი სხვა ლოქორებს ეძებს და ამათაც ასე ექცევა. ის მატლებსაცა და თაგვებსაც სჭამს. ასე იქცევა ყორანი ბოსტანში.



მუხნარში ყორანს სხვა საქმე აქვს: აქ დიდებული, ძლიერი მუხა-სდგას; ყოველ წელიწადს მის ტოტებს რკო სცვივა: ზოგს ფრინველები სჭამენ, ზოგს ციყვები ახრამუნებენ, ზოგიც უსარგებლოდ ლპება—და მოხუცი გმირი-მუხა თავის სიცოცხლეს მარტოდ-მარტო ატარებს.

ყორანი ჭკვიანი ფრინველია: მან კარგად შეამჩნია, რომ მთელი წლის განმავლობაში მუხას რკო არ ესხა; ამასთანავე მუშტარიც ბევრი ჰყავდა,—ყველას ხომ არ ეყოფოდა—საჭირო იყო, როგორმე თავი უზრუნველი გაეხადა. ყორანმა ტყისკენ

გასწია, მიფარული ადგილი მოსძებნა და ნისკარტით პატარა ორმოს თხრას შეუდგა. მარჯვენა თვალით ორმოს ძირი დაათვალიერა, მარცხენათი გვერდებს ახედ-დახედა—დარწმუნდა, ორმო ღრმაცაა და ფართოც—მაშასადამე, მუშაობას მუქთად არ ჩაუვლია!

ყორანი მუხისკენ გამოფრინდა და მისგან ამოთხრილ ორმოში თითო-თითოდ რკოს გადატანა დაიწყო. აგერ უკანასკნელი რკოც დამალა, მიწა გადააყარა და ადგილი მიასწორ-მოასწორა. გაიკეთა ყორანმა მეორე, მესამე ასეთი ორმო და უხარია, რომ ახლა შიმშილი აღარ შეაწუხებს. ასე იქცეოდა ყორანი ყოველ წელიწადს, სანამ ბინა მუხის წვერზე ჰქონდა. როდესაც მოშივდებოდა, ყორანი ჯერ ერთ ორმოში შენახულს მოილევდა, შემდეგ მეორეს მიადგებოდა.

მაგრამ ხშირად მოხდებოდა, რომ ზოგიერთ ორმოს ისე ხელოვნურად მოასწორებდა, რომ თვითონაც ველარ მოსძებნიდა. მიწაში ჩამარხული რკოები აქა-იქ ფესვებს გაიდგამდენ, და ნორჩი მუხები დედამიწის პირზე ამოდიოდა.

ყორანმა თავის უნებურად ორი კარგი საქმე ჰქმნა: ერთი ის, რომ მოხუცი მუხა ახლა მარტოკა აღარაა: მას შთამომავლობაც ჰყავს;—მეორე ისა, რომ არც ყორნის შთამომავლობა დარჩება მშიერი: რკო ახლა ყველასათვის საკმარისია და ყველას ეყოფა.

კრავის-ჭამია.

ალპის მთებში იცის ერთი დიდი და ონავარი კრავის-ჭამია ფრინველი. სიმაღლით თითქმის ნახევარი საჟენი იქნება, ღონე კი სხვა არწივებზე უფრო მეტი აქვს. კრავის-ჭამია სხვა ქვეყანაშიც იცის, მაგრამ არსად ადამიანისთვის იმოდენა ზარალი არ მოაქვს, როგორც ალპის მთებში. ეს ფრინველი ძალიან გაუმაძღარია, და ყელი ისეთი განიერი აქვს, რომ უშველებელ ძვლებს მთელ-მთელად ჰყლაპავს. მაგალითად, ერთ კრავის-ჭამიას კუჭში

უპოვნეს ხარის ხუთი წიბოს ძვალი, თითოეული სისქით ორო-
რი დიუიმი იყო და სიგრძით 6—9 დიუიმი, ერთი მუჭა ბა-
ლანი და მთელი კანჭი თიკნისა. მეორეს კუჭში უნახეს მელის
კუდი მთელად. ძრავის-ჭამია არწივი ჯერ მაღლა ადის ჰაერში
და მერე იქიდან თავის საკბილოს ძებნას დაუწყებს. სჭამს რო-
გორც პატარა ნადირს, ისე დიდსაც. დიდრონ ცხოველებზე
სხვანაირად იცის ნადირობა: მოჰკრავს თვალს თუ არა კლდე-
ზე თხასა ან ცხვარს, მაშინვე ფრთხობას დაუწყებს: დასტრია-

ლობს თავზე, აფართხუნებს ფრთებს და ცდილობს ნელნელა
კლდის ნაპირზე მიაგდოს. მიუახლოვდება თუ არა კლდის ნა-
პირს, კრავის-ჭამია ერთი ამბით დაეცემა თავზე და კლდეზე
გადასჩეხს. თხა ღრანტეში იჩეხება; ეს არწივი ჩადის იქ და
მის ხორცს შეექცევა. ამ სახით ერთი კრავის-ჭამია ცდილობ-
და, ხარი კლდეზე გადაეჩეხა. რამდენჯერმე ხარს თავს დაეცა,
მაგრამ ხარი არ შეშინდა და თან ძალიან კერპიც აღმოჩნდა.
დაღუნა ძირს თავი, გაიმაგრა ფეხები და იყო ასე იმ დროამდი,

ვიდრე არწივი არ გაფრინდა და თავი არ დაანება,—მიხვდა, ეტყობა ხარს ვერას დავაკლებო.

Კრავის-ჭამია არწივები ადამიანსაც ერჩიან ხოლმე. Რამდენჯერმე ისეთი შემთხვევა იყო, რომ ეს ვეება არწივი ცდილობდა მონადირეც-კი კლდეზე გადაეჩეხა. Ალპის მთებში ამისთანა შემთხვევა ბევრჯერ მომხდარა. Ერთხელ მწყემსი ბიჭი იჯდა თურმე კლდის ნაპირას და ფერდობზე თხებს ბალახს აძოვებდა. Უცბად გაჩნდა საიდანღაც უშველებელი არწივი. Საშინელი ფრინველი თავს დაეცა ბიჭს, დაუწყო ნისკარტით კორტნა და ფრთებით ცემა. Მოცვივდენ სხვა მწყემსები, რომელნიც იქვე ახლო აძოვებდენ თავის საქონელს, მაგრამ გვიან-ღა იყო. Ამ კრავის-ჭამიამ ბიჭი გადასჩეხა კლდეზე. Საწყალი მწყემსი ხევში კვალწმინდად დაიკარგა. Შვეიცარიის ერთ სოფელში ერთხელ ამისთანა ამბავიც მოხდა: ერთი გლეხი კაცი ცოლიანათ მთაზე თივის სათიბავად წავიდა; ცოლ-ქმარმა თან თავისი პატარა ქალიც წაიყვანა; სამი წლისა იქნებოდა. Ბავში ფარდულს ახლო კორდზე დასვეს; პატარა ქალს მალე მიეძინა. Მამამ პირზე ჩალის ქუდი დააფარა და თვითონ სამუშაოდ წავიდა. Გავიდა პატარა ხანი, მამა დაბრუნდა და ხედავს, მისი ბავში აღარსად არის. Აქით ეცა იქით ეცა და ქალი ვერსად იპოვა. Დაუძახა ცოლს და ახლა შვილს ერთად დაუწყეს ძებნა. Მაინც ვერსად იპოვეს. Დასხდენ საწყლები და დაიწყეს მწარედ ტირილი.

Სწორედ ამავე დროს, ასე ორასი საჟნის მანძილზე, მიდიოდა მთაზე საცალფეხო ბილიკით მათი მოჯამაგირე. Ის ადგილი მეტად ყრუ და უხირო იყო, კლდის ნამტვრევებითა და ღრანტეებით სავსე. Უცბად ბიჭს ბავშის ტირილი მოესმა. Მოჯამაგირე გაიქცა იქით, საიდანაც ტირილის ხმა მოდიოდა. Ამ დროს ახლო ბორცვიდან უშველებელი არწივი აფრინდა, ავიდა მაღლა და დაიწყო იქ ბორიალი. Მოსამსახურემ მოიკრიფა ძალონე და სირბილით გაექანა ბორცვისაკენ. Მიირბინა და საშინლად გაოცდა, როცა იმ ბორცვზე თავის პატრონის ბავში დაინახა. Პატარა ქალი სწორედ ღრანტეს პირად ეგდო, ზედ

გადასავარდნზე: ოდნავ რომ განძრეულიყო, უფსკრულში გადავარდებოდა და დაიღუპებოდა. მოსამსახურემ მაშინვე ხელი დაავლო და ბავში თავის მშობლებს წაუყვანა.

პატარა ქალი გადარჩენილიყო. ფრინველს დაეშავებია მხოლოდ მარცხენა მკლავი, რომელშიც კლანჭები ჩაეყარა.

ეს კრავის-ჭამია არწივი ისეთი ლონიერი იყო, რომ ფრინვით ათას-ხუთასი ნაბიჯი გაევლო იმ ფარდულიდან, სადაც ბავში მოიტაცა, და თან ამოდენა ტვირთიც გადაეტანა.

ამ ამბავმა ისე გააოცა იმ სოფლის მცხოვრებნი, სადაურიც ყმაწვილი იყო, რომ მღვდელმა საეკლესიო წიგნებში ჩასწერა, ამა და ამ დროს ეს ამბავი მოხდაო.

ეს კრავის-ჭამია არწივები და ონავარი ფრინველები, მართალია, ხალხს ზარალს აძლევენ, მაგრამ თან ცოტაოდენი სარგებლობაც მოაქვთ: სჭამენ ჰაერის მომწამლველს მძოვრსა და აყროლებულ ხორცს.

რუბაკინი.

ჭოტი და ქორი.

ერთ ტყეში ჭოტი და ქორი ცხოვრობდენ. ისინი ერთმანეთის შეურიგებელი მტრები იყვენ. ქორი ზევით, მაღალ ხეზე ცხოვრობდა, ჭოტი-კი ქვევით, კლდის ნაპრალში. ღამღამობით ჭოტი ნაპრალიდან გამოდიოდა და ტყეში დაფრინავდა. დილას ქორი თავის ბუდეს სტოვებდა, მაღლა ჰაერში დასტრიალობდა და მსხვერპლს უთვალთვალებდა.

ღამით ჭოტი მძინარე ყურდგლებსა და პატარა ნუკრებს თავს ესხმოდა, გარეულ ქათმებს და სხვა ფრინველებს იჭერდა, ბასრი ბრჭყალებით ჰგლეჯდა და სჭამდა.

დღისით ქორი მაღლიდან მტრედს ან წიწილას უდარაჯებდა. ძირს ისარივით დაეშვებოდა, კლანჭებს მაგრა ჩაუყრიდა და ბუდისკენ მიჰქონდა; ხანდისხან დიასახლისის თვალწინ ბატის ბჟიტებს თავს დააფრინდებოდა და ყველაზე სუქანს შინისკენ გზას გაუყენებდა.

ᲓᲘლის სინათლეზე ჭოტი ვერაფერს ხედავდა და ამიტომაც ნაპრალიდან სანადიროთ მხოლოდ ღამღამობით გამოდიოდა.

Ღამით ქორი ვერაფერს ხედავდა, ამიტომაც სანადიროთ მარტო დღისით გამოდიოდა. **Ტ**ყეში ფრინვის დროს ჭოტი პატარა ფრინველების ბუდეებს ეძებდა და ბარტყებს მუსრს ავლებდა. **მ**ანვე შესჭამა ქორის ბარტყებიც. **Ღ**ამის წყვდიადით გარემოცული ქორი მტერს ვერა ხედავდა და თავის დაფარვა უძნელდებოდა. **მ**აგრამ იმედი ჰქონდა დღისით სამაგიერო გადაეხადა თავის მოსისხარ მტრისთვის და თავზე დასაცემად მოხერხებულ დროს ეძებდა.

ᲑᲚეხები ხშირად ეხვეწებოდენ მონადირეს, მტაცებლები მოგვაშორეო. **მ**ონადირეც კარგა ხანს ცდილობდა, ავაზაკი ქორი მოეკლა, მაგრამ არ იქნა და შესაფერი შემთხვევა ვერ იშოვნა. **ᲑᲝ**ლოს მონადირემ შემდეგი ხერხი მოიგონა: მან კარგად იცოდა, თუ რა დაუძინებელი ერთმანეთის მტრები

იყვენ ჭოტი და ქორი, იცოდა, რომ მათ ერთმანეთი სძულ-
დათ, და გადასწყვიტა, ამით ესარგებლა.

ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდი მონადირე ფეხზე წამოდგა
და ტყისკენ ჭოტის ბინის დასათვალიერებლად გასწია. შუა-
დღისას, მზის ბრწყინვალე შუქზე, მონადირემ კლდეზე კიბე
მიადგა და თან ჭოტს ტომარა გადააფარა, რომ მისი ბასრი,
მოკაუჭებული ნისკარტისა და ძლიერი კლანჭებისაგან თავი
დაეფარა. ამნაირად ცოცხალი ჭოტი მონადირემ შინ მოიყვანა.

ბორაკზე მონადირემ ღრმა ორმო ამოთხარა, ასე რომ შიგ
თავისუფლად ჩაჯდომა შეეძლო. ორმოს ხმელი ფიჩხი და მიწა
გადააყარა. ზევით სახურავში თავისათვის ჭუჭუტანა დასტოვა
და ორმოს ირგვლივ გამხმარი წვრილი ხეები და სარები შემო-
ავლო. ერთ სარზე ჭოტი დასვა და ცალი ფეხი ზედ ძეწკვით
მიაბა. ცალ ფრთაში გძელი თოკი გამოაბა, თოკის მეორე
თავი საფარში წაიღო. საკმაო იყო, მონადირეს თოკი გამოე-
წია, რომ ჭოტს ფართხალი და ფრთების ქნევა დაეწყო.

ქორი მაღლა ჰაერში დატრიალობდა. მზის სინათლეზე
სარზე მჯდომს თავის მოსისხარ მტერს თვალი მოჰკრა. მან კარ-
გად იცოდა, რომ ჭოტი ახლა მზის სინათლით დაბრმავებული
იყო და თავის დაცვა არ შეეძლო. შურდულივით დაეცა
მტერს თავზე და ნისკარტითა და კლანჭებით გლეჯა დაუწყო.
იჯერა გული თუ არა, ქორი მახლობელ ხეზე დასასვენებლად
დაჯდა; ამ დროს მონადირემ თოფი დაუმიზნა: მოისმა თოფის
სროლის ხმა და ქორი მიწაზე მკვდარი დაეცა. ბლეხებმა მის-
გან საფრთხობელა გააკეთეს და ფრინველების შესაშინებლად
ბოსტანში დადგეს.

ვაგნერი.

ყ ა ნ ჩ ა.

ნაცრისფერ ყანჩას გრძელი, ბასრი ნისკარტი აქვს. მისი
შემწეობით ყანჩა მაღლა ხეზე ბუდეს იკეთებს: თავდაპირველად
ხმელი ტოტები მოაქვს, ჯერ სხვილი და მოგრძო, შემდეგ

წვრილი და მოკლე. ნისკარტით საიმედო ბუდეს ხელოვნურად აკეთებს, ნისკარტითვე საზრდოს შოულობს და თავის ბარტყებს აჭმევს.

ლილა ადრიანად ყანჩა მდინარის ან ტბის ნაპირისკენ მიფრინავს. აქ წყალ-წყალ თავის მაღალ და წვრილ ფეხებით ფრთხილად დაყიალობს, გრძელი კისერი მოუღუნავს და წყალს დასჩერებია.



ყანჩა არ ყვირის, კრინტს არა სძრავს, რომ თევზები არ დააფრთხოს. თევზები არხეინად დასცურავენ, მომავალ ხიფათზე არც-კი ფიქრობენ. თანდათან ნაპირს უახლოვდებიან. ყანჩამ მათ თვალი მოჰკრა და სული განაბა, ხესავით გაშეშდა. მხოლოდ თევზების მოძრაობას გულდასმით თვალს ადევნებს. აი აგერ ერთი პატარა თევზი ახლოს მიცურდა და ყანჩას ფეხების ახლო მხიარულად დასრიალობს: მისი ბრწყინვალე ნათელი ქერტლი მზეზე ვერცხლივით ელვარებს. ყანჩამ დიდიხანია თევზი შეამჩნია და თავის ნისკარტს უმიზნებს. უცებ ცელქ თევზს ნისკარტი ისარივით დაატაკა და წყლიდან ამოიყვანა.

ამასთანავე, რამდენათაც შეეძლო, კისერი წინ წაიწვდინა და ცოტათი ფრთები გაშალა, რომ არ დაცემულიყო.

ყანჩამ შეშინებულ თევზს პირი შუა წელში სტაცა. მაგრამ ამ სახით მისი შეჭმა არ შეუძლია—ამიტომაც ყანჩა მსხვერპლს მაღლა ჰაერში ისვრის, ნისკარტს ფართოდ გააღებს და ისე მოხერხებულად დაიჭერს, რომ თევზი თავით სწორად პირში ჩაუვარდეს და ამნაირად თავისუფლად შეეძლოს თევზის გადაყლაპვა. ამ გვარად უყარაულობს მეორე, მესამე თევზს, სანამ კარგა არ გაძღება. შემდეგ დაჭერილი თევზები ნისკარტით თავის ბარტყებთან ბუდეში მიაქვს და აჭმევს მათ, სანამ არ წამოიზრდებიან და მშობლებივით ოსტატურათ ნადირობას არ ისწავლიან.

ვაგნერი.

როგორ მოგზაურობენ ფრინველები.

ზამთრობით რომ ზოგიერთი ფრინველი ჩვენს ქვეყანას მიატოვებს და შორეულ სამხრეთისკენ გაემგზავრება, ეგ მარტო ქარ-ბუქისა და ყინვის კი არა—უსაჭმლობის ბრალი უფროა: აქ რომ დარჩენ, შიმშილით დაიხოცებიან.

მოატანს თუ არა შემოდგომის სიცივე, მწერები გაქრებიან: აღარც ჭია-ღუა, აღარც პეპელა, აღარც კალიები არსად ჭაჭანებენ. რა ეშველებათ მწერი-ჭამია ფრინველებს? უჭმელად ხომ ვერ გაძლებენ. ამიტომ დასდებს თუ არა შემოდგომის პირველ რთვილს, პირველად მწერი-ჭამია ფრინველები შეუდგებიან მგზავრობის თავდარიგს; ერთბაშად მიგვატოვებენ მერცხლები, გუგულები, ბულბულები და ნამგალები.

შემოდგომა მიიწურება; ყანებში ისე ბლომად მარცვლები აღარ იშოვება; აქა-იქ თუ სადმე მივარდნილა და დაფანტულა ნამკლებში პურის, ღომისა და სიმინდის მარცვლები, ამასაც მოკლე ხანში თოვლი დაფარავს. ახლა მარცვლის-ჭამიები უნდა შეუდგენ მგზავრობისათვის მზადებას, რომ თოვლმა უცბად არ მოუსწროს.

ტოროლები, შროშნები და მწყერები პირველ თოვლს ჩვენში აღარ დახვდებიან: სამხრეთისკენ გაასწრებენ.

დაფარავს თუ არა თოვლი დედამიწას, ახლა წყლის ფრინველები უნდა აებარგონ იმ არემარიდან, სადაც მდინარეები, ტბები და ჭაობები გაიყინება, რადგანაც მათ საზრდოს ყინულის კანი გადაეფარება.

ამგვარად მოგზაური ფრინველები რიგრიგად და თანდათანობით შორდებიან თავის სამშობლოს უფრო საჭმლის შემოკლების გამო, ვიდრე სიცივის მიზეზით.

ფრინველთა ყოველ ჯიშს თავთავისი საზამთრო ადგილი აქვს დაჩემებული. მწერი-ჭამია ფრინველები ძლიერ შორს მიფრინავენ. ისინი ზამთრობით პალესტინასა და ეგვიპტეში დაბინავდებიან, რადგანაც აქ ზამთარი სრულიად არ იცის, და მწერი და ჭია-ღუა მუდამ გამოულეველია.

მარცვლის-ჭამიები და წყლის ფრინველნი-კი უფრო მახლობელ ქვეყნების ზღვის ნაპირებზე და მდინარეების ხეობებში დაბინავდებიან. მაგრამ გზა მაინც ძლიერ გრძელი აქვთ: რამდენიმე ასი და ათასი ვერსი უნდა გაიარონ, ვიდრე საიმედო ბინაზე მივიდოდენ.

გზა რომ არ დაკარგონ და შიმშილით არ გაწყდენ, ფრთოსან მოგზაურთა ყოველი გუნდი გამოცდილ წინამძღოლს ირჩევს, რომელმაც კარგად იცის, საითაა საიმედო და მოკლე გზა და იშოვება საჭმელი.

დიდი და პატარა ფრინველი ისე ემორჩილება თავის წინამძღოლს, როგორც კრუხს წიწილები.

წინამძღოლი ანიშნებს თუ არა, გუნდი იმ წამსვე ძირს დაეშვება ხან ღამის გასათევად, ხან საჭმლის საშოვნელად, ხან წყლის დასალევად.

აბა ვნახოთ, მერცხლები სამგზავროდ როგორ ემზადებიან: როცა წასვლის დრო მოაწევს, ყოველ წამს მათი მოწოდებითი ხმა ისმის. გუნდ-გუნდათ იკრიბებიან ხან სახლის თავზე, ხან დიდრონ ხეებზე, ხან ღობეებზე, ხან მაღალს ბორცვებსა და გორაკებზე გროვა-გროვად დაფრინავენ; ალბად იმაზე საუბრო-

ბენ, რომ შორეულ სამგზავროდ უფრო მეტი კრებული შეადგინონ.

ცალ-ცალკე ოჯახობით რომ ასე გრძელ გზას გაუდგენ, შეიძლება, დაიბნენ, ქარს ვერ დასძლიონ, მტაცებელ ფრინველებს ვერ გადურჩენ, ამიტომ დანიშნულ დღეს შეკრებილი ვეებერთელა მერცხალთა გუნდი აიშლება და გაფრინდება.

მგზავრობაში გამოცდილ მერცხლებთან ახალგაზდებიც მგზავრობას დაადგებიან, მაგრამ მათ დიდი შიში არ ეტყობათ, რადგანაც უფროსების იმედი აქვთ; ამათ კარგათ იციან გზაც, საჭმლის შოვნაც და მტრის მოგერებაც.

წეროები მგზავრობაში მერცხალზე ნაკლებ წინდახედულობას არ იჩენენ: ისინი ჯერ წინამძღოლს ირჩევენ. ეგ წინამძღოლი უთუოდ მეტად გამოცდილი და ღონიერი უნდა იყოს, რომ მოგზაურთა გუნდს საიმედო მეთაურობა გაუწიოს. წეროთა გუნდი არეულად როდი მიფრინავს. იგი მწყობრად, სოლის მზგავსად, დამწკრივდება და ასეთ წყობას მეთაური წინ მიუძღვის. ქარი ყველაზე უწინ ამას სცემს თავში, მაგრამ იგი თავგანწირულად აპობს ჰაერს და ამხანაგებს ხმას აძლევს, რომ უფრო სუსტები არ ჩამორჩენ და გზას არ გადასცდენ.

ქარი თუ თანდათან ძლიერდება, მეთაურიც უფრო ღონიერ ხმას იძლევა; მეთაურს გარდა, სხვანიც ერთი მეორეს ეძახიან, რომ ერთმანეთს არ ჩამორჩენ. დაწყობილი არიან კიდეც ისე, რომ წინას კუდში სხვა წეროები მიყვებიან ბაწარივით გამწკრივებული, რომ მათ ჰაერის გაჭრა და პირქარის დაძლევა გაუადვილდესთ.

ამ მოგზაურობის დროს ყველაზე უფრო იღლება წინამძღოლი, იღალვის აგრეთვე თითოეული მოწინავე. ამიტომ საჭიროა, რომ ადგილები შეიცვალონ. წინამძღოლის ადგილი მისმა ბადალმა უნდა დაიჭიროს და უკანანი წინ უნდა მოექცენ, რომ მგზავრობა განიგრძოს.

ასე შველიან ერთმანეთს მოგზაური ფრინველები, და ერთობის გრძნობა და ამხანაგური შრომის გაზიარება ეხმარება მათ ამ საფრთხილო მოგზაურობის დროს.

როგორი განწყობილება აქვთ ფრინველებსა და ნადირებს.

ერთი სწავლული კაცი, რომელიც მეცნიერული განზრახვით აფრიკაში მოგზაურობდა, გვატყობინებს შემდეგ საინტერესო ამბავს: აფრიკის მინდვრებზე მე ვნახეო ერთხელ გარეული კამბეჩების მთელი ნახირი, რომელიც თავისთვის ძოვდა ბალახს. ამ კამბეჩების ზურგზე დახტოდენ რაღაც ფრინველები და ნისკარტით კორტნიდენ მათ. კამბეჩები ყურსაც არ იბერტყავდენ, სჩანდა, ფრინველების საქციელი მათ არ აწუხებდა, თითქო ეს ასე უნდა ყოფილიყო., დაინახეს თუ არა ფრინველებმა მოგზაური, მაშინვე ერთი ჟივილ-ხივილი ასტეხეს, თითქო განგაში დაჰკრესო. იმათ ჟრიამულზე კამბეჩებმაც ყურები აცქვიტეს. მოგზაურმა მოინდომა, მოდი გავიგებ, ის ფრინველები რას აკეთებენ, როცა კამბეჩების ზურგზე დახტიან და კორტნიანო. ესროლა თოფი და ერთი კამბეჩი მოჰკლა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბუზანკალი კვერცხებს სდებს კამბეჩის ზურგის ბალანში; კვერცხებიდან იჩეკება ბუზანკლის მატლები და აი, ეს მატლები უთუოდ ძალიან აწუხებდენ კამბეჩებს. ფრინველები ამ მატლებს ეძებენ კამბეჩების ზურგზე და სჭამენ. ამიტომ კამბეჩებიც არა ჯავრობენ და ითმენენ, როცა ის ფრინველები ზურგზე შეასხდებიან.

შესანიშნავი მეგობრობა აქვთ აგრეთვე ერთ პატარა ჩიტსა და უზარმაზარ ნიანგს. ეგვიპტეში ძრიელ ბევრი ნიანგი იცის. სიცხე-პაპანაქებაში ნიანგები გამოდიან ქვიშიან ნაპირზე, დააღებენ მეტად საშინელ ყბას, რომელშიც მძივებივით ჩამწკრივებული აქვთ მჭრელი კბილები, წვანან მზის გულზე და ნებივრობენ. ნიანგს ახლო ხშირად დაინახავს კაცი პატარასა და მალხაზ ჩიტს, რომელიც კინკილით დახტის ზურგსა და თავზე და ათავისუფლებს იმის ტანს მატლებისა და ჭუჭყისაგან. ეს პატარა ჩიტი უშიშრად უახლოვდება ნიანგის ყბასაც-კი და უჩიჩქნის კბილებს. ხშირად შიგ ყბაშიაც შეძვრება ხოლმე და ისე დარბის შიგ, თითქო მინდორში დადისო. ნიანგს ადვილად

შეუძლია გადაყლაპოს ეს პატარა ფრინველი, მაგრამ არას უშავებს, იმიტომ, რომ მისთვის სასარგებლოა. ამ ჩიტს «ნიანგის დარაჯს» ეძახიან და ჯერ ისევ ძველს დროსვე იცოდა კაცმა მისი არსებობა და ხასიათი. **რუბაკინი.**

ფრინველების ჯგუფები.

როგორც ძუძუს-მაწოვარნი, ისე ფრინველები რამდენსამე ჯგუფად გაიყოფებიან.

არიან ფრინველები, რომელნიც ჩვენს შინაურ ქათამსა ჰგვანან, მაგალითად: ინდოური, ციცარი, ფარშავანგი და ხოხობი. ყველა ეს ფრინველები ქათმის ჯიშისანი არიან.

ციცრები განსხვავდებიან ნაცრისფერი ბუმბულითა და ფრთებით, რომელიც თეთრად დაწინწკლული აქვს, და ტიტველა თავზე წითელი ხორცმეტი გადაჰყვება, თითქოს ქათამსავით ბიბილო ჰქონდესთ და ვისმე გადაეჭრასო.

ფარშავანგი თავქოჩორაა; თავი, კისერი და გული მშვენიერი ლურჯი ფერისა აქვს, ზურგი და ფრთები-კი მომწვანო და ოქროსფრად მოვარაყებული. მამალ ფარშავანგს ინდოურივით მარაოს მზგავსად გადასაშლელი და მშვენიერად აფერადებული და მოვარაყებული გრძელი კუდი აქვს.

ხოხობი ფარშავანგზე პატარაა, მაგრამ უფრო ლამაზია; ფრთები მეტად საუცხოვო და ათასფრად ბრწყინავი აქვს. ჩვენში ბევრი ხოხობი იცის, მაგრამ სილამაზით ჩვენში ხოხობს სხვა ქვეყნის ხოხობი სჯობია. ხოხბის ხორცი გემრიელია, და ამის გამო მონადირეები სახოხბეს ძალიან ხშირად დადიან.

ქათმის ჯგუფს ეკუთნიან აგრეთვე ზოგიერთი ტყისა და მინდვრის ფრინველები: ტყის ქათამი, მწყერი და კაკაბი.

ქათმის ჯგუფის ფრინველები კვერცხებიდან ბუმბულ შემოსილი იჩეკებიან და საზრდოს მოპოებას ძალიან მალე ეჩვევიან. ეს ფრინველები კარგათ ვერ ფრინავენ; ჩვენს შინაურ ქათამს-კი ფრინვა თითქმის არც-კი შეუძლია.

ქათმების ჯგუფს უახლოვდება მტრედი, რომელიც იმითი გაირჩევა, რომ სუსტს, ტიტველსა და ბრმა ბარტყებსა სჩეკავს.

რამდენისამე კვირის განმავლობაში მტრედის ხუნდებს საზრდოს მოპოება თვითონ არ შეუძლიათ.

ბელურა, ტოროლა, ბულბული, შაშვი და მრავალი სხვა მომღერალი ფრინველი ბელურას ჯგუფს შეადგენს. ამ ჯგუფის უმეტესობა პაწია ფრინველებია, თუმცა მათ შორის კარგა მოზრდილებიც მოიპოვებიან: კაჭკაჭი, ყვავი, ყორანი, ჭილ-ყვავი და სხვანი.

ბელურას ჯგუფის უმეტესობა მწერებითა და მარცვლეულობით იკვებება, უმცირესობა-კი, მაგალითად, ყვავი პატარა ცხოველებსაც სჭამს: თევზებს, თაგვებს, ბაყაყებს.

ეს ფრინველები ბუდეს მეტად ხელოვნურად აკეთებენ და მტრედებივით სუსტ ბარტყებს სჩეკენ. მრავალი მათგანი საზამთროდ თბილ ქვეყნებშიც მიემგზავრება.

ფრინველებში მტაცებლებიც არიან. ესენი სხვა ფრინველებისა და ძუძუს-მაწოვარ ცხოველთა ხორცით იკვებებიან. მათ შორის ზოგი მარტო დღისით ნადირობს და დღის-მტაცებლად იწოდება, ზოგი სანადიროდ მარტო ღამით გამოდის და ღამის-მტაცებელს ეძახიან. პირველთაგან შესანიშნავნი არიან: არწივი, მიმინო, ძერა, ქორი; მეორეთაგან: ბუ და ჭოტი.

ყველა მტაცებელს მაგარი, ბასრი და მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, ფეხებზე ბასრი და ღონიერი კლანჭები; მტაცებელნი ამ კლანჭებს მაგრად უყრიან ნანადირევს. ესაა ყველა მტაცებლის უმთავრესი ნიშნები.

ღამის-მტაცებელთ, ბუსა და ჭოტს, რბილი და ნაზი ფრთები აქვთ, ამიტომ მათი ფრინვა არ ისმის; დიდი და გადმოკუსული თვალები წინ აქვთ მოთავსებული და არა სხვა ფრინველებივით აქით-იქით. დღის სინათლეზე ვერაფერს ხედვენ, სამაგიეროდ ღამე თვალი საუცხოოდ უჭრისთ. ამიტომაც, ჩვეულებრივ, დღისით სძინავთ და სანადიროთ მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიან.

ყველა მტაცებელს შვილები სუსტი და თვალაუხილავი ეჩეკებათ, ამიტომ მშობლებმა ისინი დიდიხნის განმავლობაში უნდა ასაზრდოვონ.

ჩვენის ტყის ფრინველთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი კოდარასა და გუგულს უჭირავთ. კოდარას სულ სხვანაირად აქვს მოწყობილი ფეხები, ვიდრე დანარჩენ ფრინველებს. ფრინველთა უმეტესობას სამი თითი წინ აქვს წაშვერილი, ერთი-კი—უკან. კოდარას-კი ორი თითი წინ ამოსვლია და ორიც—უკან. ყოველ თითზე, მტაცებელივით, ბასრი, მოკაუჭებული ბრჭყალი აქვს. ამგვარად მოწყობილი ფეხები მეტად მოხერხებულია ხეებზე საცოცავად და ტოტებზე მოსაჭიდებლათ. ცოცვის დროს კოდარას ბოლოც შველის, - რომელიც მაგარი ფრთებისაგან შესდგება; კოდარა ბოლოთი ხის უსწორმასწორ ადგილებს ებჯინება. კოდარა მცოცავ ფრინველთა ჯგუფს ეკუთნის. ამავე ჯგუფისაა გუგულიც. გუგული არამც-თუ ცოცავს, მშვენიერადაც ფრინავს. საზამთროდ სხვა ქვეყანაში მიფრინავს. გუგულის განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ თავისათვის არაოდეს ბუდეს არ იკეთებს და კვერცხებს სხვა ფრინველთა ბუდეში სდებს.

მცოცავ ფრინველთ ეკუთნის აგრეთვე თუთიყუში, რომელიც მხოლოდ ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს. თუთიყუშს ლამაზი და აფერადებული ფრთები აქვს; ფეხები ისეთივე, როგორიც გუგულს, ნისკარტი მოკლე და სხვილი და მტაცებელივით მოკაუჭებული. ცოცვის დროს თუთიყუში ტოტებს მარტო კლანჭებით კი არა, ნისკარტითაც ეჭიდება.

მრავალი ფრინველი, მაგალითად, ბატი, იხვი და გედი უფრო წყალში ცხოვრობს, ვიდრე ხმელეთზე. ისინი კარგად სცურავენ, ყურყუმალაობენ, ამიტომაც მათ მცურავ ანუ წყლის ფრინველებს ეძახიან. მათი ტანის აგებულობა ასეთ ცხოვრებისთვის არის მორგებული: იხვი და ბატი ფეხბანდიანი ფრინველები არიან, ცურვის დროს ფეხებს ნიჩაბივით უსმენ. ფრთები მცურავთ სქელი აქვთ და ტანზე მჭიდროთაა მიკრული. კურტუმზე იმათ განსაკუთრებული ქონით სავსე პაწაწა ბუშტები აქვთ. ფრინველს იქიდან ნისკარტით ქონი გამოაქვს და რიგრიგობით ფრთებზე ისვამს. ამიტომაც მცურავთ ყოველთვის წმინდა და მბზინავი ფრთები აქვთ; მათს ფრთებს წყალი

სრულიად არ ეკარება. ნისკარტი პრტყელი და ფართო აქვთ, რომლითაც თევზებსა და სხვა ცხოველებს იჭერენ. მცურავი ფრინველები მარცვლეულობითა და სხვა ნაყოფითაც იკვებებიან.

მცურავთა ჯგუფს, იხვს, ბატსა და გედს გარდა, ეკუთნის აგრეთვე დედამთვრალა, რომელიც წყლის ნაპირზე ცხოვრობს; სუსხური, რომელიც ცივ ქვეყნებში კუნძულებსა და კლდოვან ნაპირებზე ათასობით ბინადრობს. იმ ქვეყნების მცხოვრებნი, სადაც სუსხურები იცის, მაღალ კლდეებზე დადიან და ეძებენ ამ ფრინველის ბუდეებს და მის ნაზ ბუმბულს აგროვებენ. მცურავთა შორის შესანიშნავია აგრეთვე ვარხვი ანუ ფილაქვანი, რომელსაც მეტად დიდი ნისკარტი აქვს და ქვედა ყბაზე რბილი ტყავის ტომარა ჰკიდია, რომელშიაც შეიძლება ერთი თუნგი წყალი ჩაეტიოს. ფილაქვანი თევზით იკვებება. დაჭერილ თევზს, რასაც შესაჭმელად ვერ მოერევა, ხსენებულ ტომარში თავის ბარტყებისათვის ინახავს.

ზოგიერთი ფრინველი, როგორც, მაგალითად, წერო, ყარყატი და სხვ. უფრო ხშირად წყლის ახლო ცხოვრობს. მათ განსაკუთრებით ჭაობიანი ადგილები უყვართ, ან დამდინარის, ტბების ან ზღვის ნაპირებზე ცხოვრობენ. ესენი ჭაობის და წვივ-მაღალ ფრინველებად იწოდებიან, რადგანაც ფეხები მეტად მაღალი აქვთ; შუა წვივებამდი ფეხები ბუმბულით აქვთ დაფარული და აქიდან თითებამდი სრულებით ტიტველი. მათ გრძელი კისერი და ვიწრო ნისკარტი აქვთ. მაღალფეხებიანი ფრინველები ჭაობებსა და დაბალ წყლებში დახეტიალობენ და სხვადასხვა წვრილ ცხოველს ეძებენ. ისინი თევზით, ბაყაყით, ჭიებითა და მწერებით იკვებებიან; განსაკუთრებით ბაყაყებს მუსრს ავლებენ.

ჭაობის ფრინველთაგან ჩვენში ცხოვრობს წერო, ყანჩა და ყარყატი. ყანჩა სიმაღლით ადლნახევარი იქნება. ქეფაზე შავი, გრძელი ბუმბულის ქოჩორი აქვს. ქისრის წინ და ქვევით აგრეთვე ბუმბულის გრძელი კონაა გადმოშვებული. ფეხი მისი ზევით მოლურჯოა და ქვევით თეთრი.

წერო ყარყატზე უფრო მაღალია, ნაცრის ფერი აქვს კუდზე რამდენიმე რბილი ხუჭუჭი ბუმბული ჰკიდია. თავზე დიდი წითელი ნიშანი აქვს.

ყარყატი წეროს სიმაღლე იქნება. ბუმბული თეთრი აქვს, ფრთები — შავი, ფეხები და ნისკარტი — წითელი.

მაღალფეხებიან ფრინველთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ფლამინგო. ეს ფრინველი ორი ადლის სიმაღლეა. თვითონ ვარდის ფერია, ფრთები სისხლივით წითელი და კისერი მეტად გრძელი აქვს. ფლამინგო ბუდეს მეტად საკვირველად იკეთებს: ტალახისაგან ადლნახევრის სიმაღლე სვეტს აკეთებს. სვეტი მრგვალია, ქვევით ფართო და ზევით უფრო ვიწროა. სვეტის თავზე ფრინველი პაწია ორმოს სტოვებს, რომელშიც ორ კვერცხსა სდებს. შემდეგ სვეტს გადააჯდება და კვერცხებს საჩეკად ათბობს. გრძელი ფეხები ფრინველს მიწაზე დაჯდომას უშლის. ჩვენში ფლამინგო კასპიის ზღვის ახლო ცხოვრობს, განსაკუთრებით-კი უფრო ცხელი ქვეყნები მოსწონს.

ცხელ ქვეყნებში ფრთოსანთა შორის უდიდესი ფრინველი სირაქლემაა. იგი სიმაღლით ოთხი ალაბი იქნება; საოცარი ლონე აქვს, მაგრამ მეტად მშიშარაა. როდესაც თავს იცავს, ან სხვას ებრძვის, ცხენივით ტლინკებსა ჰყრის. სირაქლემამ ფრენა არ იცის, რადგანაც საამისო ფრთები არ აქვს, სირბილი-კი მეტად სწრაფი აქვს. სირაქლემას რბილი და-საუცხოვო ფრთები ასხია. ამიტომ მრავალი მონადირე სირაქლემას მარტო ამ ძვირფასი ფრთების გულისათვის სდევნის. რადგანაც სირაქლემას ფრენა სრულიად არ შეუძლია და მხოლოდ მარდათ დარბის, ამიტომ მას მრბენელ-ფრინველთა ჯგუფს აკუთნებენ.

III

ქვეწარმავალნი

ანუ

ქვემძრომნი.

კუ.

კუ საშინელი უშნო და მოუხეშავი ცხოველია, სხვადასხვა ქვეყნის კუს სხვადასხვა სიდიდე და ჩვეულება აქვს. **ა**რის კუ რამდენიმე გოჯის სიგრძე; მოიპოება ისეთიც, რომ ადამიანს სიდიდით სჭარბობს. **ა**სეთი კუ იმდენად მძიმეა, რომ ოთხ ღონიერ კაცს აწევა გაუძნელდება.

სამხრეთის **ა**მერიკაში მოგზაურთ ერთი საჟნის სიგრძე კუ უნახავთ, იგი თურმე ძროხაზე მეტს იწონიდა. **ზ**ურგსა და გულზე კუ ბაკანს ანუ ფარს ატარებს, რომელიც მას ჯავშანივით ირგვლივ შემოკვრია. **თ**უ მას უბედურება შეხვდა, ან განსაცდელი რაიმე მოელის, თავსა და ფეხებს ფარში იმალავს. **უ**ფრო ხშირად კუ ზღვაში ცხოვრობს: წყალში ყურყუმალაობს, შლამში იმალება და ზღვის ბალახებით იკვებება.

კვერცხებს კუ ხმელეთზე სდებს წელიწადში ერთხელ. **დ**ალამებულს იგი წყლიდან ამოდის, აქით-იქით ფრთხილად იყურება, ახლო-მახლო სახიფათო ხომ არაფერიაო, და ნელი ნაბიჯით ნაპირზე გამოდის. **ხ**მელეთზე ძალიან ნელა დადის, მძიმე ტანს ძლივსძლივობით მიათრევს და უკან ორ ღრმა ზოლს აჩნევს: ეს მისი ფეხების კვალია. **შ**უაში მესამე ზოლი მისდევს, —ეს ფარის კვალია. **მ**ონადირეს ამ კვალზე ადვილად შეუძლია მისი ბინის მიგნება. **კ**ვერცხების დასადებათ კუ სილიან ადგილს ირჩევს და ერთგულ მუშასავით ორმოს თხრის, თათებით სი-

ლას ზევითა ჰყრის და ამავე დროს ერთსა და იმავე ალაგის გარშემო ტრიალობს, სანამ ნახევრად სილაში არ ჩაიმალება. ამოთხრილ ორმოში ერთბაშათ ასამდი კვერცხსა სდებს. ქუს კვერცხები გემრიელია და ქათმისას ძალიან ჰგავს, მაგრამ ხარშვით სრულებით არ მაგრდება.

ქვერცხებს კუ სილას აყრის და ცდილობს ისე მოასწოროს და დატკეპნოს ეს ადგილი, რომ არც კი ემჩნეოდეს, თუ აქ ვისმე ორმო ამოუთხრიაო.

მორჩება თუ არა მუშაობას, კუ ნელნელა იმავე გზით ზღვისკენ ბრუნდება, წყალში იმალება და დამარხულ კვერცხებზე სრულებით აღარ ზრუნავს. ქვერცხებს დედის მაგიერობას მზე უწევს; ხოლო ახლად გამოჩეკილმა კუმ ზღვისკენ გზა თვითონ უნდა მოსძებნოს.

მონადირეები უთვალთვალებენ კუს, როდესაც იგი ხმელეთზე გამოდის. ერთ კაცს თავისუფლად შეუძლია კუს ზურგზე შეაჯდეს; ამით ცხოველი სიარულს სრულიად არ შესცვლის, ისე მიდის, თითქო მოულოდნელ მხედარს ვერც კი ამჩნევსო. ქუს დასაჭერათ რამდენიმე კაცია საჭირო.

მაგარი ჯოხით შეიარაღებული სამი ან ოთხი მონადირე უნდა დაუხვდეს წინ და საბრალო ცხოველი ჯოხებით გულ-

ალმა გადააბრუნონ; გადაბრუნებული კუ თავსა და ფეხებს გარეთ გამოჰყოფს, კუდის ტრიალს დაიწყებს, თვალებს გადაკარგავს და პირს დააღებს, თითქოს რისამე დაჭერა უნდაო. ზულალმა გადაბრუნებულ კუს გადმობრუნება და ფეხზე დადგომა აღარ შეუძლია. მეორე დღეს დაჭერილ კუს ურემზე დასდებენ და ხომალდზე მიჰყავთ. აქ მას ზურგზე აწვენენ და სოველ ტილოებს აფენენ, რომელსაც მალმალე მთელი მგზავრობის განმავლობაში ზღვის მარილიან წყალში ასველებენ. ამ ნაირად გადმოჰყავთ ცოცხალი კუ ამერიკიდან ევროპაში, სადაც მისი ხორცისაგან საუცხოვო წვნიან საჭმელს ამზადებენ.

კუ მეტად მაჯაგი და ამტანი ცხოველია. მგზავრობის განმავლობაში შეუძლია დიდხანს უსმელ-უჭმელობა მოითმინოს. ერთს ზოოლოგიურ ბაღში ერთმა ვეებერთელა კუმ უსაჭმლოთ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა. ხშირად მომხდარა, რომ კუსათვის თავი მოუჭრიათ, მაგრამ თავ-მოჭრილს რამდენიმე კვირა და მთელი თვეებიც-კი უცოცხლია. ერთმა ბუნებისმეტყველმა კუს თავის ქალა მოაცილა, და ამას იქით ცხოველმა ნახევარი წელიწადი იცოცხლა.

ეგებში კუს საოცარი ძალა აქვს. მაგალითად, ამბობენ, რომ ერთი მგზავრი პატარა კუს შეხვდა და ჯოხით გაღიზიანება მოუნდომა. ბაბრაზებულმა კუმ ჯოხს კბილები სტაცა, და მგზარმა ვერაფრის ღონისძიებით პირიდან ჯოხი ველარ გამოაცალა. ჯოხი მაღლა ასწია, მაგრამ კუ თან აჰყვა და ზედ ჩამოეკიდა. ამას შემდეგ მგზავრმა რამდენიმე ნაბიჯი ფეხით გაიარა, შემდეგ ეტლში ჩაჯდა და ჯოხი ღერძს მიაბა,—კუ ჯოხს მაინც არ შორდებოდა. ამნაირად გაიარა მოგზაურმა რამდენიმე ვერსი, და თუმცა გზა ცუდი იყო და კუს თავში ბევრი მოხვდა, მაგრამ ჯოხს პირიდან მაინც არ უშვებდა.

გველი-მახრჩობელა.

ცხელს ქვეყნებში იცის უშველებელი გველი, სიგრძით სამ საჟნამდი ანუ კიდევ უფრო მეტი. ამ ყველაზე უდიდესს გველს მახრჩობელა უწოდეს. ეს გველი შხამიანი არ არის. ამისთანა სახელი იმიტომ დაურქმევიათ, რომ რასაც დაიჭერს, შემოეხვევა და ახრჩობს.

თვალით მნახველი მოგვითხრობს, როგორ ნადირობდა ერთი მახრჩობელა გველი თხაზე. დაინახა თუ არა იგი გველმა, მაშინვე დაეხვია, მოიკუნტა და განაბა სული. თვალები-კი ისე დააშტერა იმ საცოდავს, თითქო თვალით უნდა შესჭამოსო. მერე უცებ ეცა; ჩაავლო კბილები ცხვირ-პირში, შემოეხვია გარშემო და ისე შემოეჭირა, რომ სულ გასთანგა; საცოდავი თხა ველარა სუნთქავდა. ათიოდე წამს ასე ჰყავდა მუხრუჭში. როცა დაახრჩო, შემოეხსნა თხას, გაიშალა და მოკლულს



ლოკვა დაუწყო და ნერწყვით ასველებდა; მერე შეუდგა მთელი თხის ერთად შეჭმას: მოჰკიდა პირი თავში და ტანიან ფეხებიანად ნელნელა გადაყლაპა. ამ საქმეს გველი მეოთხედ საათს მოუნდა. ყლაპვის დროს მას პირი თანდათან უფართოვდებოდა, მუცელიც ებერებოდა და, რაკი ხავისი მსხვერპლი სულ შთანთქა, მერე გაიჭიმა და დიდხანს უძრავად იდვა. მის მუცელს კარგად ეტყობოდა, თუ საბრალო თხა სადამდი იყო მოსანელებლად გადატანილი.

ეს უშველებელი გველი სამხრეთის ამერიკაში იცის. ცხოვრობს უფრო ტყესა და ბუჩქნარებში; ხანდისხან ხეზედაც ადის, რომ იქიდან თავისი სიკბილო ათვალიეროს. გველი-მახრჩობელა სჭამს თაგვებსაც, ყურდგელსაც, ფრინველსაც, კაცსაც ხეირს არ დააყრის, თუ გარს შემოეხვია.

ხის ბაყაყი.

ვინ არ იცნობს ხის ბაყაყს; ეს მწვანე ყიყინა ხომ ამინდის წინასწარმეტყველია. მუდამ ხეზე ცხოვრობს, ფოთლიდან ფოთოლზე, ტოტიდან ტოტზე დახტის და ყიყინობს. სასმელად ფოთლების ნაკეცებში ჩამდგარი ცვარ-ნამი აქვს, საჭმელად—ფოთლებზე მცოცავი ჭიები და მწერები, რომელნიც ამ მარდსა და პაწია მხეცს უნებლიედ მიუახლოვდებიან ხოლმე. მაგრამ ჩვენმა ყიყინამ ფრინვა რომ არ იცის, როგორ შეუძლია, კოღო და ბუზები დაიჭიროს? მან ისეთი ოსტატობა იცის, რომ ფრინვა სრულიად არა სჭირდება.

დიდხანს უძრავად ზის ბაყაყი ფოთლებში, როგორც კატა თაგვის სოროს წინ; ფეხსაც არ ანძრევს და მსხვერპლს მოთმინებით უცდის. გაზაფხულზე მას ისეთივე მწვანე ფერი აქვს, როგორც ნორჩ ფოთლებს. როდესაც ფოთლებს მუქი

ფერი ედებათ, ბაყაყიც უფრო მუქი მწვანე ფერის შეიქნება. ამიტომაც ძნელია მისი ფოთლებში გარჩევა. ის ირჩევს ისეთ ადგილს, საიდანაც კოლო-ბუზების თვალისდევნება უფრო ეადვილება

აი, ერთი ბზუილა თავის ამხანაგებს მოშორდა და ბაყაყს ახლო ჩაუქროლა; ბაყაყი უცბათ წამოხტა, ცალი ფეხით ფოთოლს ჩამოეკიდა, უდარდელ მომღერალს მივარდა და ჩქარა თავისი ფართო ენით მსხვერპლი დაიჭირა. ამას შემდეგ ხის მცხოვრები ისევ თავის ადგილას წამოსკუპდა; ხელახლა ჩუმად, წყნარად ზის სულგანაბული ნაზ ფოთოლზე, რომელიც მისი სიმძიმის გამო ქანაობს და იღუნება. მაგრამ ფოთოლი რაც უნდა ინძრეოდეს, ბაყაყი მაინც არ ჩამოვარდება და თავის საუზმეს არხეინათ შეექცევა.

ერთი ვიკითხოთ, რატომ ბაყაყი ძირს არ ვარდება? წინა თათებზე ოთხ-ოთხი თითი აქვს, ხოლო უკანაზე ხუთ-ხუთი. ყოველი თითის წვერი ოდნავ გაფართოებულია და წებოიანი ლორწოთი არის ძირს გაჟღენთილი. აი, ბაყაყი სწორეთ ამ ლორწოთი ფოთლებს ეკვრება. ხის ბაყაყი პატარაობიდანვე სწავლობს ტოტიდან ტოტზე ხტომას და ფოთლებზე სწრაფად ფეხებით მიწებებას. ასე დახტის ყიყინა ბუჩქიდან ბუჩქზე, ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე და ფოთლიდან ფოთოლზე, სანამ ხის წვერამდი არ ავა, სადაც მზიან დღეში უმეტეს დროს ატარებს; იქვე თავის საკმაო საზრდოსაც შოულობს. მაგრამ, აი, ცას ღრუბლები გადაეფარა, ამინდი შეიცვალა. ბოლო-ბუზები ფოთლებში მიიმალენ. მწვანე ყიყინაც იმავე ხეზე ხშირ ფოთლებში იმალება, რადგანაც კარგად იცის, რომ მშიერი არც აქ დარჩება.

ქვეწარმავალთა ჯგუფები.

ბანვიხილოთ ზოგიერთი ნიშანი იმ ცხოველებისა, რომელნიც უმეტესად მიწაში ბნელსა და ნოტიო ადგილებში ცხოვრობენ. ეს ცხოველები არიან—ქვეწარმავალნი, რომელთაც ეკუთნიან

გველი, ხვლიკი, კუ, ბაყაყი. ქვეწარმავალნიც ხერხემლიანი ცხოველები არიან, ყველა მათგანს სისხლი წითელი აქვს, მაგრამ ცივი. ნელი სულთქმა და ტანში ნაკლები სითბო—მათი უცილობელი ნიშანია; ტანი ტიტველი, ლორწოიანი და ქერცლით დაფარული აქვთ. ფეხი ზოგს ოთხი აქვს, ზოგს ორი, ზოგი სრულიად უფეხოა. საზოგადოთ, რადგანაც ფეხები ძალიან მოკლე აქვთ, ეს ცხოველები ტანს მიწაზე ათრევენ, ამიტომაც მათ ქვეწარმავალს ანუ ქვემძრომს უწოდებენ. ისინი კვერცხებით მრავლდებიან.

კუები. ამ ცხოველებს მრგვალი ტანი აქვთ, რომელიც ზევითა და ქვევით ძვლის ბაკანით არის დაფარული. ეს ბაკანი კოლოფსა ჰგავს, საიდანაც კუს გამოყოფილი აქვს თავი, ფეხები და კუდი. ბაკანი ზემოდან რქის ან ტყავის პაწია ფირფიტებით არის დაფარული. ეს პატარა თავიანი, უკბილო და მოკლე ფეხებიანი ცხოველები მეტად უშნო და მოუხეშავი არიან და განსაკუთრებით ზღვებსა, ტბებსა და მდინარეებში ცხოვრობენ, თუმცა ხშირად ხმელეთზედაც არიან. ისინი მხოლოდ მცენარეულობით იკვებებიან. ზოგიერთი კუს ხორცი საჭმელად გემრიელია, ხოლო მათის ბაკნებისაგან სხვადასხვა ნივთს აკეთებენ. ჩვენში მხოლოდ პატარა კუს თუ შევხვდებით; ცხელ ქვეყნებში კი მრავალი უზარმაზარი კუ ცხოვრობს.

ხვლიკები. ამ ცხოველებს ტანი და კუდი მეტად გრძელი აქვთ; ფეხები მოკლე და ყბები კბილებითაა აღჭურვილი. ტანი ზოგს სულ ტიტველი აქვს, ზოგს კი ქერცლით დაფარული. პატარა ხვლიკები, რომელნიც ჩვენში მრავალია, ყოველს თქვენგანს ენახულება. ისინი მარდათ და მოხდენილათ დარბიან და წამდაუწუმ თავის წვრილს, ორთითივით გაყოფილ ენას გარედ ჰყოფენ. განსაკუთრებით სილიანსა და ქვიშიან ადგილებში ცხოვრობენ, მიწაში სოროებს თხრიან, სადაც ყოველი განსაცდელისაგან თავს იფარვენ. იკვებებიან მწერებით.

არიან სხვა გვარის ხვლიკებიც, რომელნიც ცხელს ქვეყნებში მდინარის ნაპირებზე ცხოვრობენ. ისინი მეტად უზარმაზარნი, მეტად გაუმაძღარნი და მტაცებელნი არიან. სჭამენ

თევზებს, ფრინველებს, მხეცებს; მოძრაობენ ძალიან ნელა, ხანდისხან მთელი საათობით უძრავად რჩებიან, თითქოს სული ამოსძრობიათო. მათ ნიანგებს ეძახიან. ზოგ ხვლიკს საოცარი თვისება აქვს. მაგალითად, აგრეწოდებული, ქამელეონი თავის ნებაზე იცვლის ფერს: ხან წითელია, ხან ყვითელია, ხან რუხია.

გველები. ამათ გრძელი, მრგვალი და უფეხო ტანი აქვთ, პატარა თავი და ფართოდ გასაღები პირი; მუცლით მიწაზე ხოხვენ; ორად გაყოფილ ენას ასანსალებენ. ენა მათთვის შეხების ორგანოს შეადგენს, თვალები უწაშწამო აქვთ; ამ ნიშნებით განსხვავდებიან ისინი სხვა ცხოველებისაგან. გველი ზოგი შხამიანია და ზოგი უშხამო. შხამიანს პირში ორი ფუღუროიანი, გრძელი მოძრავი კბილი აქვს, რომელიც ზემო ყბაში უზის. როდესაც გველი იკბინება, ეს მოღუნული კბილები სწორდება. კბილებიდან ნაკბენში შხამი ჩადის, რომელიც მსხვერპლის სისხლს იმ წამსვე ერევა; ამ შხამისაგან შეიძლება კაცი უცბათ მოკვდეს. ჩვენში ასეთი საშიშარი გველები არ ცხოვრობენ, შხამიან გველთაგან ჩვენში მხოლოდ ჭრელი გველია, რომელიც ერთი ადლის სიგრძე იქნება. თავი სამკუთხი და ქერცლით დაფარული აქვს. ცხოვრობს ნოტიო მინდვრებსა და ტყეებში; იკვებება თაგვებითა და პატარა ცხოველებით. როდესაც გველი იკბინება, კაცი ტკივილს სრულებით ვერა გრძნობს, მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ პაწია წითელ ჭრილობაში დაკბენილი მწვავე ტკივილებს გრძნობს: იწყება სიმსივნე და ანთება. ხანდისხან ნაკბენი შეუმჩნევლად, უვნებლად გაივლის, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ამ გველის ნაკბენმა ადამიანი იმსხვერპლოს. უშხამო გველებს შხამიანი კბილები არა აქვთ. მათ ყველა კბილი მოკლე და ერთი ზომისა აქვთ. ასეთ გველთაგანი ჩვენში სრულიად უვნებელი ძლოკვია, რომელიც თაგვებითა და ბაყაყებით იკვებება. მაგრამ ცხელ ქვეყნებში, როგორც ვიცით, არიან საშინელი მახრჩობელა გველები, რომელნიც ხშირად სიგრძით სამ საჟენზე მეტი იქნება. მოჰკრავენ საშოვარს თუ არა თვალს, მაგალითად, თხას, თუ შველს,

სწრაფად მივარდებიან, გრძელი ტანით ირგვლივ რამდენჯერმე შემოეხვევიან, დაახრჩობენ, შემდეგ მსხვერპლს მოჰკუმშვენ და დაუღეჭავად, ბალნიან-ძვლებიანად ერთბაშათ ჰყლაპვენ. ამ დროს გველი იბერება და უძრავად წევს, სანამ საჭმელს არ მოინელებს. მხოლოდ ამ დროს შეუძლია კაცს თამამად ახლო მივიდეს და ეს საშინელება მოჰკლას.

ბაყაყები. სხვა ქვეწარმავალთაგან ბაყაყები განირჩევიან ფართო და მოკლე ტანით. კუდი ბევრ მათგანს არა აქვს, ტყავი ტიტველი, ლორწოიანია და მზეზე ადვილად შრება, ამის გამო მათ სოველი და ბნელი ადგილები უყვართ. მკერდისა და გვერდების ძვლები სრულებით არა აქვთ. ქვერცხიდან პირდაპირ ბაყაყი კი არა, თავკომბალა გამოდის. ჯერ თავკომბალას მრგვალი თავისა და კუდის მეტი არაფერი ემჩნევა. ცოტა ხანს შემდეგ წინა და უკანა ფეხები გამოუვა, ამას შემდეგ კუდი თანდათან ელევა და სრული ბაყაყი შეიქნება.

IV

თევზები.

სარდინიის თევზი.

სარდინიის თევზი წვრილი და ლამაზია. სიდიდით თითის ოდენა თუ იქნება. ეს თევზები ვერცხლივით ბრწყინვენ და დიდ ზღვებში ცხოვრობენ. ათასობით იკრიბებიან ისინი ზღვაში, ცურაობენ და სიღრმეში ყურყუმელაობენ, რომ აქ მცხოვრებ პაწია ცხოველებით პირი ჩაიგემრიელონ. როდესაც გაძღებიან, ისევ ზღვის ზედა პირზე ამოცურდებიან და მზის ან მთვარის შუქზე ნავარდობენ.



სარდინიის თევზი მეტად გემრიელია და ამიტომაც ბევრს იჭერენ. რამდენიმე მეთევზე-ამხანაგი ერთად თავს იყრის და ზღვაზე თევზის საჭერად მიდის. საღამო ხანს ამხანაგები ნაპირზე იკრიბებიან, ნავებში სხდებიან, იალქნებს ააფრიალებენ და გამოცდილი ამხანაგის ნიშანზე ზღვაში შეცურდებიან. სამ-სამი ნავი ერთად მიდის, თითოში ოთხი ან ხუთი მეფეევზე ზის. სამში ერთი ნავი ყოველთვის წინ მიდის. ამ ნავის წვერზე მავთულის ლასტია მიმაგრებული. ლასტზე მეთევზეები ფიჩხს აწყობენ და ცეცხლს ანთებენ, ასე რომ ცეცხლი ზღვას დიდ მან-

ძილზე ანათებს. ერთი მეთევზეთაგანი მუდმივ ცეცხლთან ზის და ფიჩხს უმატებს, რომ უდროოდ არ გაჰქრეს. დანარჩენი ორი ნავი პირველს რამდენსამე მანძილზე უღლად მისდევს. მათ შორის დიდი ბადეა გაბმული და წყალში ჩაშვებული.

თევზებს სინათლე ძალიან უყვართ და როდესაც ზღვაზე გაჩაღებულ ცეცხლს დაინახვენ, ყოველი მხრიდან მისკენ მიეშურებიან და ნავების ახლო ნავარდობას იწყებენ. მომავალ განსაცდელზე სრულებითაც არ ფიქრობენ და წყალში ნებივრობას არხეინად განაგრძობენ.

ცეცხლთან მჯდომი მეთევზე გულდასმით ანკარა წყალში იყურება. დაინახავს თუ არა, რომ აუარებელი თევზი ცეცხლს ეთამაშება, ამხანაგებს ნიშანს აძლევს, მეთევზეები იალქნებს ძირს დაუშვებენ, ნიჩბებს ხელს ჰკიდებენ და ნავებს ნაპირისკენ, ვიწრო ყურეში, მოაცურებენ; თევზები განათებულ ნავს მისდევენ. როგორც კი თევზების უმეტესი ნაწილი ყურეში გაჩნდება, ორი ნავი ყურის გამოსავალში დგება და წყალში ბადეს სჭიმავენ, რომ თევზებს უკან დაბრუნება აღარ შეეძლოსთ. ამ დროს წინა ნავში ყვირილსა და ხმაურობას მოჰყვებიან: შემკრთალი თევზები აირევ-დაირევიან, გაქცევას დააპირებენ, მაგრამ ბადეში გაებმებიან. მეთევზეები სავსე ბადეს ფრთხილად ილებენ, თევზებს ამოკრეფენ და იქვე ბოჭკებში აწყობენ.

მეორე დღეს ნაპირზე მეთევზეების ცოლ-შვილები მოდიან, სარდინიის თევზებს თავებს სჭრიან და შიგნეულობას აცლიან. შემდეგ ამარილებენ, ან ზეთში ხარშვენ და თუნუქის მოკალულ ყუთებში აწყობენ. ამ გვარად დამზადებულ სარდინიის თევზებს ვაჭრები ყიდულობენ და ხომალდებით სხვადასხვა ქვეყანაში გასასყიდათ მიაქვთ.

ლ ი ფ ს ი ტ ა.

ყოველი ლიფსიტა პატარა კვერცხიდან იბადება. ეს კვერცხები ანუ ქვირითი პაწია ქინძისთავის ოდენა თუ იქნება.

მოზრდილი ლიფსიტა აუარებელ კვერცხსა სდებს. ქვირითს თევზი ზღვის ნაპირის ახლო ჰყრის, სადაც წყალი დაბალია; აქ მზე უფრო აცხუნებს და ამიტომაც უფრო თბილა; სითბო ხომ კვერცხებისათვის დედის მაგიერია. აქ კვერცხებიდან პაწაწკინა თევზები იჩეკება, რომელნიც ზღვის მცენარეებით და პაწია ცხოველებით იკვებებიან. სამაგიეროდ ისინიც ხშირად მოზრდილი ცხოველების ლუკმად ხდებიან.

ზამთრის დადგომამდი თევზები ცოტა წამოიზარდენ. მაგრამ, აი ძლიერმა ქარიშხალმა დაჰბერა, ყინვებმა და თოვლმა წყლის ზედაპირი გააცივა. ახლა ლიფსიტები უფრო ღრმა ადგილებს ეტანებიან. ისინი, განსაკუთრებით, გერმანიის ზღვაში ცხოვრობენ. ეს ზღვა ალაგ-ალაგ მეტისმეტი ღრმა არის; ზღვის სიღრმეზე წყალი ღელვისაგან არ ინძრევა და მთელი წლის განმავლობაში ერთნაირად თბილია. აი, სწორედ ამ ადგილებში მრავალი ლიფსიტა იკრიბება. აქ მრავალი სხვა ზღვის ცხოველებიც არიან, ზოგი ამათგანი ლიფსიტებს თავს ესხმიან და სჭამენ. მოხდება ხოლმე, რომ დიდი ლიფსიტებიც პატარებს არ ზოგვენ. ლიფსიტას პირში პატარა კბილები აქვს, რომლითაც თავის საკბილოს იჭერს ხოლმე.

როდესაც ხელახლა ზაფხული დადგება და მზე კარგა დააცხუნებს, აურაცხელი ლიფსიტა სიღრმიდან ფარაფარად ზღვის ზედაპირსა და ნაპირებს მიეშურება. ხშირად აქ მათ ზღვის სხვა ცხოველები თავს ესხმებიან და მუსრს ავლებენ.

ობის, მდინარისა და სხვა მრავალი ზღვის ფრინველი წყალში დაყურყუმელაობს, იჭერს თევზებს და რასაც თვითონ ვერა სჭამს, ბარტყებისათვის ბუდეში მიაქვს. ვეშაპები, დელფინები და სხვა დიდი ცხოველები ლიფსიტების ფარას უკან დასდევენ და ათასობით ჰყლაპვენ მათ. ბოლოს ადამიანებიც თავისი აურაცხელი გემებით მოდიან და შეშინებულ თევზებს დიდი ბადეებით იჭერენ. ამ ბადეების თვლები იმ ზომისაა, რომ შიგ მხოლოდ მოზრდილი თევზი მოჰყვება, მოზარდი-კი გაძვრება. ზოგიერთ ქვეყანაში ბადის თვლების ზომა თვით კანონით არის განსაზღვრული, რომ ეს თევზი არ გადაშენდეს. ბადეს თევზი

ჩვეულებრივ ათასობით ამოჰყვება ხოლმე. ლიფსიტებს დანით ფატრავენ და ამარილებენ.

ამგვარად, ლიფსიტები დახურული ბოჭკებით ჩვენში მოაქვთ. ხანდისხან ლიფსიტებს კვამლზე ახმობენ.

თუმცა მათ ყოველწლივ მილიონობით იჭერენ, მაგრამ იმდენი მაინც რჩება, რომ მათგან დაყრილი ქვირითებისაგან აურაცხელი ლიფსიტა გამოიჩეკოს.

როგორ ისწავლეს თევზების მოშენება.

საფრანგეთის ერთ პატარა სოფელში ღარიბი გლეხის ოჯახი ცხოვრობდა. მამა თევზს იჭერდა, ცოლი ოჯახს უვლიდა, პატარა მათი შვილი იოსები კი, რაც შეეძლო, მამას ეხმარებოდა. ერთხელ ბავშმა მდინარეში კალმახის მთელი ფარა დაინახა. თევზები ირეოდენ, აქით-იქით ეცემოდენ და ერთმანეთს ეჯახებოდენ. ბავში განცვიფრებული უყურებდა მათ. უცბათ მან თვალი მოჰკრა, რომ კალმახებს ქვირითი დასდიოდათ. შემდეგ თევზები მიიმალენ. ბავში მამასთან გაიქცა და ნანახი უამბო; მამამ გაიცინა და უთხრა: „განა არაოდეს არ გინახავს, თევზი ქვირითს როგორ ჰყრის? ქვირითი—თევზის პაწია კვერცხებია. ამ კვერცხებიდან ასეთივე პაწაწკინა თევზები გამოიჩეკებიან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, თევზებს ერთბაშათ გასწყვეტდა ადამიანი და იგი სრულიად გადაშენდებოდა“.

ბავშმა მამის ახსნა მოისმინა და ისევ მდინარისკენ გაიქცა: უნდოდა ქვირითი ამოელო და თავის თვალით ენახა ქვირითიდან თევზის გამოსვლა. მაგრამ ქვირითი აქ აღარ დაუხვდა: თურმე წყალს წაელო. ბავშმა მაინც მდინარეში ქვირითს ძებნა დაუწყო, ბალახები გასწი-გამოსწია, ქვები გადააბრუნა. ბოლოს, მისდა სასიხარულოდ, ერთ ქვას ქვეშ პაწია ორმოში რამდენიმე ქვირითის მარცვალი იპოვა. ბავშმა ქვირითი აიღო და შინისკენ გამოექანა, მამას ჭიქა მოსთხოვა, შიგ წყალი ჩაასხა და ქვირითი ჩაჰყარა. მთელი დღეობით ბავში ჭიქას არ შორდებოდა, ქვირითს გულ-

დასმით თვალს ადევნებდა. მართლაც-და ჭიქაში დიდი საკვირველი რამე დაინახა: ყოველ ქვირითის მარცვალში პაწია თევზი იზრდებოდა. ჯერ მისი გარჩევა ძლივს თუ შეიძლებოდა, მხოლოდ რაღაც ნახევარ-რგოლი და თვალები მოსჩანდა. მაგრამ თევზი თანდათან იზრდებოდა და მალე მოძრაობაც დაიწყო. ჯიდევ ცოტა და თევზი თავის საპყრობილიდან გამოძვრებოდა. მაგრამ იოსებს ხიფათი შეხვდა: ერთ დღეს, როდესაც სამუშაოდან დაბრუნდა, ნახა რომ მისი ჭიქა ცარიელი იდგა: ვიღაცას წყალი გადაექცია. მწარედ ატირდა ჩვენი იოსები. მრავალმა წელმა გაიარა მას აქით. იოსები გაიზარდა და მშვენიერი მეთევზე შეიქნა. თავის ხელობა მეტად უყვარდა: ეს ხელობა, როგორც მას, ისე მრავალ სხვას, პუის აჭმევდა. მაგრამ აი, ჩვენმა მეთევზემ შეამჩნია, რომ ყოველ წელიწადს თევზის ჭერის საქმე უფრო და უფრო ცუდათ მიდის; თევზმა იკლო. მათი სოფლის მდინარეში ხომ სრულიად მოისპო: აშკარა იყო, რომ მეთევზეები მეტად უწყალოდ, უანგარიშოდ იჭერდენ მათ. მოაგონდა მაშინ იოსებს თავისი სიყმაწვილე, მოაგონდა მამის ნათქვამი და ქვირითიანი ჭიქაც; წყალი რომ არ გადაექციათ, იმ ჭიქაში ხომ თევზი გამრავლდებოდა; ახლა მან გადაწყვიტა: „მოდი ერთი მე თვითონ მოვაშენებ თევზებს და იმ მდინარეში ჩავუშვებ, სადაც სრულებით ამოწყვეტილია.“ თქმა და ასრულება ერთი იყო. გასწია იქ, სადაც ბევრი კალმახი ეგულვებოდა და ბლომად დაიჭირა. ზოგიერთ მათგანს ქვირითი დააყრევინა; ზოგს კი რძის მზგავსი თეთრი სითხე გამოაშვებინა და თავისი სოფლის მდინარეში ჩაჰყარა; აქ კი თევზი დიდიხანია მოსპობილი იყო. ჯიდევ დაუდგა იოსებს განსაცდელი. როგორც ბავშობაში თავის სტაქანს არ შორდებოდა, ისე ახლა მდინარის ნაპირას იჯდა და სასიამოვნო მოლოდინში იყო. დილა ადრიანად მიდიოდა მდინარისკენ და მხოლოდ კარგა დაღამებულს შინ ბრუნდებოდა. შინაურები იოსებს მოსვენებას არ აძლევდენ, ზარმაცსა და მუქთამჭამელს ეძახოდენ. მეზობლები დასცინოდენ ჩვენს მეთევზეს და გაიძახოდენ, ალბათ შეიშალაო. მეტად სწუხდა ყმა-

წვილი, მაგრამ ჩუმად იყო, ყველაფერს ითმენდა და თავის საიდუმლოს არავის ეუბნებოდა. მაგრამ აი, ერთხელ, მან მდინარეში პატარა კალმახს თვალი მოჰკრა. რასაკვირველია, ეს კალმახი იმ ქვირითიდან იყო გამოსული, რომელიც იოსებმა შარშან წყალში გადისროლა. იოსები სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მისი ოცნება ასრულდა: მან მოაშენა თევზი იქ, სადაც იგი კარგა ხანია აღარ მოიპოებოდა; მდინარე მალე კალმახებით აივსო.

მას შემდეგ თევზის მოშენებას ხელი მოჰკიდეს სწავლულებმაც, მეურნეებმაც და მეთევზეებმაც. ახლა ისეთ მდინარეებში ამრავლებენ თევზებს, სადაც მისი ხსენებაც კი არ ყოფილა. ქვირითის გაგზავნა რამდენსამე ათასი ვერსის მანძილზე შეიძლება. თევზის მოშენება ახლა ისე ადვილია, როგორც წიწილების. მაგრამ უბრალო საქმესაც მიხვედრა უნდა: ამიტომაც დიდებისა და პატივისცემის ღირსია იოსებ რემი, რომელმაც პირველად ეს გამოიგონა: მან კაცობრიობას დიდი სამსახური გაუწია.

თევზების ჯგუფები.

თევზებიც ხერხემლიანი ცხოველები არიან; ისინი მუდამ წყალში ცხოვრობენ; უწყლოდ დიდხანს ვერ სძლებენ და იხოცებიან; სუნთქავენ ლაყუჩებით, ხმა სრულებით არ აქვთ. ტანი მათი ლორწოიანი ქერცლით არის დაფარული. სისხლი ცივი აქვთ. მრავლდებიან კვერცხებით, რომელსაც საზოგადოთ ქვირითს ეძახიან. თევზის მთელი აგებულობა წყალში საცხოვრებლად და საცურავად არის მოწყობილი და მორგებული: ტანი თავისა და კუდისაკენ უწვრილდებათ, მაგრამ თავი, ტანი და კუდი გაერთიანებულია, ასე რომ კისერი სრულიად არ ეტყობათ. ასეთი მოყვანილობა საცურავად ძალიან მომარჯვებულია. ფილტვების მაგიერად თევზებს ლაყუჩები აქვთ; ლაყუჩები სავარცხელსა ჰგავს და ყბებზეა მიმაგრებული. როდესაც

თევზი სუნთქავს, პირს აღებს, წყალს ყლაპავს და ლაყუჩებს განსაკუთრებული ძვლის ფირფიტებით ხურავს, შემდეგ პირს მუწავს და ლაყუჩებს აღებს. **ა**ქიდან გამოსული წყლით ლაყუჩები ირეცხება და სისხლი იწმინდება. **ტ**ანის გასამჩატებლად და წყლის ზედაპირზე ადვილად ამოსაცურავად ზოგიერთ თევზს ტანში აგრეწოდებული საცურავი ბუშტი აქვს, რომელსაც იგი თავის ნებაზე ხან შეკუმშავს, ხან გაბერავს. **რ**ოდესაც ბუშტი იბერება, თევზი მსუბუქდება და ზევით ამოდის; როდესაც იკუმშება, ნაკლები ადგილი უჭირავს, მაშინ ცხოველი მძიმდება და ძირს ეშვება. **ყ**ველა თევზი კუდისა და ფრთების შემწეობით ცურავს. **ფ**რთები ხრტილისა და აპკისაგან შესდგება და თევზებს ხელფეხის მაგიერობას უწევს.

თევზების გამრავლება ამგვარად სწარმოებს: დედალი თევზი ირჩევს ნაპირის ახლო დაბალ წყალს და ქვირითს იქა ჰყრის, რომელიც ლორწოს საშუალებით ხეების ფესვებს ეკვრება. **ა**რიან ისეთი თევზებიც, რომელნიც მდინარის ძირზე ფრთებით პატარა ორმოებს თხრიან, შიგ ქვირითს ჰყრიან და უდარაჯებენ, სანამ ქვირითიდან პაწაწინა თევზები არ გამოიჩეკებიან. **მ**რავალი თევზი ქვირითის საყრელად ფარაფარად ზღვებიდან მდინარეებში ამოდიან.

ყველა თევზი მტაცებელი და გაუმაძღარია; თევზები კიბოებით, მატლებით, მწერებით, ქვირითით და თვით თევზებითაც კი იკვებებიან.

თევზის ჩონჩხი ორგვარია: ის შესდგება ან მაგარი ძვლის ნივთიერებისაგან, ან რბილი ხრტილისაგან. **ა**მიტომაც თევზები ორ ჯგუფად იყოფიან: ძვლიანი თევზები, მაგალითად: ლიფსიტა, ლოქო, კაპარჭინა, ქარიყლაპია, ფარგა და ხრტილიანი თევზები: ზუთხი, ფოროჯი და სხვ.

V

მწერები

გაუმაძღარი კალია.

მავნებელ მწერთა შორის კალია ყველაზე უფრო საშინელია. მისი გაძღომა ადვილი არ არის. საჭმლის არჩევანში არ შედის; რაც მოხვდება, ყველაფერს ხარბად სჭამს. კალია ხანდახან ისე მრავლად გაჩნდება ხოლმე, რომ წარმოდგენაც-კი ძნელია. ყოფილა შემთხვევა, რომ კალიას დაუფარავს დედამიწა ნახევარ საჟნის სისქეზე და ასე სქლად მოსდებია დედამიწას ასიათას ოთხკუთხს ვერსზე. 1784 წელს ჩრდილოეთის აფრიკაში გამოჩნდა ცაში ურიცხვი კალია და ღრუბელივით ცა დააბნელა. სიგრძე ჰქონდა ამ კალიის ღრუბელს ოცდაათი ვერსი და სიგანე—ხუთი. ერთი ასეთი კალიის ღრუბელი ქარმა ზღვაში გადაჰყარა და ჩაახრჩო. დამხრჩვალ კალიასაგან ნაპირზე ზღვა დაშრა და იმ ადგილას კალიის გორები დადგა. ამ გორებს სამოცდაათი ვერსი სიგრძე ჰქონდა და ნახევარი არშინი სისქე. ჩვენშიაც ხშირად იცის კალია, მაგრამ ისე მრავლად, როგორც ეგვიპტეშია, ჯერ აქ არ გაჩენილა. ეგვიპტეში კალია დღესაც ღვთის რისხვათ მიაჩნიათ. კალია ანადგურებს თითოეულს ფოთოლს, თითოეულს ღეროს და პატარა მცენარეს. ვისაც დილით მინდორში ჭირნახული ედგა, იმას საღამოზე აღარა აქვს-რა და ნათესის მაგიერად მოტვლეპილი მინდორი რჩება. როცა კალია გაჩნდება, სოფლელები შეიკრიბებიან ხოლმე და შხოლებითა და ფიცრებით მიწაზე მოფენილ კალიას ხოცვენ. ხან კალიაზე საქონლის ჯოგებს გაატარებენ და ფეხით ასრესიებენ და ცეცხლს უკიდებენ. კალიის დიდ გუნდს ერთჯერ გასაძღომად მთელი მინდორი და

ტყე არა ჰყოფნის. საფრანგეთში შეამჩნიეს ერთხელ, რომ კალიამ ნახევარ საათში უშველებელი მინდორი მოტვლიპა. როცა ყანებს ბოლო მოუღო, ეცა ახლა ვენახებსა და მუხუდოს, მოჭამა ისიც და მერე მისდგა ნერგებსა და დათესილს კანაფს; როცა ესეც გაანადგურა, ხის ქერქს დაუწყო ღრღნა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბალახი და ფოთოლი აღარა ჰყოფნის კალიასა, მაშინ ეს გაუმაძღარი მწერები ერთმანეთსა სჭამენ.

მინდვრიდან კალიას გარეკა შეუძლებელია. ერთი ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის, ვიდრე სულ არ მოტვლეპს, რაც რამ იქ საჭმელია. როცა კალიის უმთავრესი ღაშქარი აფრინდება, იმავე ადგილას კიდევ მრავალი რჩება. ეს კალია ისევ მშიერია და საჭმელს ეძებს, იქნება კიდევ დარჩა რამე მოსალოკ-მოსატვლეპიო.

ქალია მოფრინავს ხანდახან ისე სქლად, რომ თითქმის შვიდი საჟენი იქნება მისი სისქე. ხშირად მჭიდროობისაგან ფრთები ემტვრევათ. როცა კალია ასე სქლად მიფრინავს, მზეს სრულიად აბნელებს. ერთხელ ავსტრიაში გადაიარა კალიის ასეთმა ღრუბელმა და ისე დააბნელა იქაურობა, რომ ოც ნაბიჯზე აღარა სჩანდა-რა.

ქალიის გუნდს ძალიან შორს შეუძლია გადაფრენა. მაგრამ გადაფრენის დროს ხიფათიც ეწვევა ხოლმე: ხშირად ქარი შემოუბერავს და მრავლისაგან მრავალს ზღვაში ახრჩობს; ისეც მოხდება ხოლმე, რომ ქარი რამდენსამე ათას ვერსზე გადაჰფანტავს კალიას და ზღვას გადააცილებს.

ძველს წიგნებში სწერია, რამდენი უბედურება მიუყენებია კალიას ხალხისთვის. ქალიის მიზეზით ხშირად ჩამოვარდნილა შიმშილიცა და გაჩენილა ჟამი და სხვა ჭირი. ერთს წიგნში ჩაწერილია, რომ ერთხელ დიდძალი კალია ჩაიხრჩო ზღვაშიო. ზღვის ტალღებმა ნაპირას გამოჰყარა დახოცილი კალია. ქალიამ ლპობა და ხრწნა დაიწყო, და საშინელმა სიმყრალემ მოშხამა ჰაერი. ამის გამო ხალხში ჭირი გაჩნდა. მარტო ერთ სამეფოში ამოსწყვიტა მაშინ რვაასი ათასი კაცი. ჩრდილოე-

თის Აფრიკაში არის დიდი და ნაყოფიერი ქვეყანა Მაროკკო. Ამ ქვეყნის მცხოვრებნი მისდევენ ვაჭრობასა და ხვნა-თესვას. Მამული იქ ნაყოფიერი და მომცემია; პური ისე კარგად მოდის, რომ მთელ იმ ქვეყანასა ჰყოფნის და კიდევ საზღვარგარეთაც გასასყიდათ მიაქვთ. Მაგრამ აგერ მოევლინა ამ ქვეყანას 1778 წელს ურიცხვი კალია და მოსძოვა სრულიად ჭირნახული, მოსპო ბალახი, ფოთოლი ხეზე და, ასე გასინჯეთ, ქერქიც-კი ააცალა ხეებსა და შესჭამა. Ქალიამ შთანთქა და მოინელა რამდენსამე დღეში ყოველივე, რაც კი იმ ქვეყნის მცხოვრებლებს მთელს წელიწადს ეყოფოდათ საჭმელად. Ამის გამო ჩამოვარდა საშინელი შიმშილი და გაჩნდა ჭირი. Მცხოვრებნი იძულებულნი იყვენ, ხეების ფესვები და მცენარეულის ძირები ეჭამათ.

Ევროპაში კიდევ ისე არ არის საშიში კალია, როგორც Აფრიკასა და Აზიაში. Ევროპიელები ებრძვიან კალიას, რამდენათაც-კი შეიძლება. Ხოცვენ კალიას, სწვავენ კვერცხებს, რომელსაც კალია მიწაში სდებს. Გაწყვეტისათვის ფულსაც-კი აძლევენ. Მაგრამ სადაა იმდენი ფული, რომ კალიის გასაწყვეტად იკმაროს. Საფრანგეთის ერთმა ქალაქმა გადაიხადა ერთხელ კალიის გაწყვეტისათვის თექვსმეტი ათასი მანეთი: ოროო კაპიკს აძლევდენ, ვინც ერთ ფუთს კალიას გასწყვეტდა. Იმ დროსვე გლეხკაცებმა შეაგროვეს და დასწვეს კალიის კვერცხი შვიდი ათას ხუთასი ფუთი. Ქალიის კვერცხი ერთი ნამცეცაა და ძალიან ცოტას იწონის. Მაშ, ძალიან ადვილი მისახვედრია, რა აუარებელ კვერცხსა სდებს კალია.

რუბაკინი.

ფ უ ტ კ ა რ ი.

Სკას რომ თავი ახადოთ, შიგ აუარებელ ფუტკარს დაინახავთ, რომელიც იქ ბუდობს, და სარაჭებს, რომელიც ფიჭის ექვს კუთხედი მილებისაგან შესდგება. Ეს მილები ზოგი თაფ-

ლით გავსებულია და ზოგში ფუტკრის პაწია თეთრი კვერცხებია. ბატკუდება კვერცხის ნაჭუჭი და იქიდან პატარა თეთრი მატლი გამოძვრება. ბამზდელი ფუტკარი მოუვლის, ვაზრდის მატლს, რომელიც ერთს კვირას შემდეგ ირგვლივ სიფრიფანა პარკს გაიკეთებს და ჭუპრად იქცევა. ბავა ორი კვირა და ჭუპრიდან ნამდვილი ფუტკარი გამოვა, რომელსაც ცხადათ ემჩნევა თვალები, პატარა ხორთუმი, ფეხები და ფრთები.

სკაში ფუტკრები ძმურად ცხოვრობენ და საოჯახო საქმეებს განაგებენ. ყოველ მათგანს თავ-თავისი საქმე აქვს მიჩენილი: ოჯახის უფროსია დედა-ფუტკარი, რომელიც სხვა ფუტკარზე მოზრდილია, მხოლოდ ფრთები აქვს ცოტა მოკლე. მისთვის მეტიც არ არის საჭირო,—გარეთ დედა-ფუტკარი ძვირად თუ გამოფრინდება. თაფლს არ აგროვებს, სარაჭს არ აშენებს, სამაგიეროდ ათელ სკაში ის ერთად ერთია, რომ კვერცხებსა სდებს და შთამომავლობას ამრავლებს. უდედოთ მთელი სკა დაიღუპებოდა, და ამიტომაც დედა-ფუტკარს ყველა ფუტკარი თავს ევლება. მუშა ფუტკრებს საქმე განაწილებული აქვთ: გამზდელი ფუტკრები კვერცხებსა და მატლებს უვლიან, მაშენებელი ფუტკრები სარაჭს აკეთებენ, ამკრეფი ფუტკრები თაფლსა და სანთლის ხვეზას კრეფენ; ერთგული ყარაულები სკას დაუპატიჟებელ სტუმრისაგან იცავენ. ყველა დაუღალავად შრომობს, დღეს და გადადღეს ძმური, ერთგული მუშაობა. მხოლოდ მამალი ფუტკრები ცხოვრობენ უსაქმოდ; ამიტომ მუშა ფუტკრები მათ მხოლოდ გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ხანში ინახვენ, შემდეგ კი სკიდან გარეთ ისტუმრებენ, სადაც ისინი შიმშილით იხოცებიან. მართალია, ფუტკრები თანხმობით ცხოვრობენ, მაგრამ ხანდახან მათშიაც მოხდება ხოლმე არეულობა და ეს მხოლოდ მაშინ, როცა ოჯახი იყოფება. დედა-ფუტკარი დღეში ორიათასამდი კვერცხსა სდებს. თუ ოჯახი საღია, გაზაფხულის დამლევამდი ამ კვერცხებით ფუტკარი ისე მრავლდება, რომ მათი ერთ სკაში მოთავსება შეუძლებელი ხდება. მაშინ ახალი დედა-ფუტკარი იჩეკება; ხოლო ორი დედა-ფუტკრის ერთ სკაში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ძვე-

ლი დედა ცდილობს, თავისი ისრით მოკლას ახალგაზდა მეტოქე, მაგრამ ახალ დედასაც თავისი მომხრეები ჰყავს, რომელნიც მას იცავენ და ძველ დედას არ აკარებენ. მაშინ მთელი ოჯახი ორ ბანაკად იყოფება და რამდენსამე დღეს შემდეგ ძველი დედა თავისი ჯარით სკიდან გარეთ მიფრინავს. აი, გამოფრინდა კიდეც და ფუტკრების მთელი გუნდი მახლობელ ხის ტოტზე დაეკიდა. ამ გუნდიდან რამდენიმე ფუტკარი შიკრიკებივით ტყისკენ მიექანებიან, რომ სადმე ფუღურეოიანი ხე ან სხვა მოსათავსებელი ბინა იშოვნონ. სანამ შიკრიკები დაბრუნდებოდენ, ორი-სამი საათი გადის, — ხან კი უფრო მეტიც. მათ დაბრუნებამდი ფუტკრის პატრონი მარჯვეთ უნდა იყოს — საჩქაროდ ფუტკარს ბინა თვითონ უნდა უშოვნოს. ამისთვის ნაყარ ფუტკართან ცარიელი ბუკი უნდა მიიტანოს, შიგ ფუტკრები ჩარეკოს, თორემ, თუ შიკრიკებმა მოასწრეს და ბინის ამბავი მოიტანეს, პატრონი ნაყარ ფუტკარს უნდა გამოეთხოვოს.

თავგამეტებით იცავენ ფუტკრები თავის საყვარელ ოჯახს, როცა მას ეწვევა დაუპატიჟებელი სტუმარი: ხარაბუზა, ჭიანჭველა, ან მშიერი თაგვი; მოხდება, რომ საფუტკრეს თაფლის საჭმელად დათუნიაც მიადგება, მაშინ მთელი ოჯახი ფეხზე დგება და მტერს მამაცურად უხვდება. მათი საომარი იარაღი ერთადერთი ისარია, მაგრამ მისი ხმარება მეტად საშიშარია. ისრის ჩარჭობა საკბენად ადვილია, მხოლოდ მისი ამოძრობა-კი ძნელი. შეიძლება მტერს ნაკბენ ადგილში ჩარჩეს და მაშინ-კი მშვიდობით! ფუტკარი უისროდ ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს. მაგრამ მთელი ოჯახისა და ამხანაგთა საკეთილდღეოდ არც ერთი ფუტკარი თავს არ იზოგავს.

აბრეშუმის ჭია.

აბრეშუმის თავსაფარი და ხელსახვევი ყველა თქვენგანს ენახება, დარაიის პერანგი და ბლუზა ყმაწვილებისა გინახავთ, ფარჩის კაბა და მოსასხამი გაგიგონიათ; მაგრამ ყველას არ ეცო-

დინება, როგორ შოულობენ იმ მაგარსა და ბრწყინვალე ძაფს, რომლისაგანაც აბრეშუმეულობასა ქსოვენ.

ძველად ამისთანა ძაფის კეთება და აბრეშუმეულობის ქსოვა ჩინელების მეტმა არავინ იცოდა. ქრისტეს დაბადებიდან ხუთასი წელი გავიდა, და ჩინეთს ქრისტიანობის გასავრცელებლად ორი ბერი ეწვია. აი, ამ ბერებმა შეამჩნიეს, რომ ჩინელები ერთგვარ ჭიებს აშენებდენ, რომელთაც ობობას ქსელის წმინდა და მბზინვარე ძაფები პირიდან ამოსდიოდათ; ამ ძაფებისაგან ჩინელები აბრეშუმეულობას ქსოვდენ.

ჩინელებისთვის აბრეშუმეულობის მზადება მეტად სასარგებლო იყო, და არ უნდოდათ, უცხოელებს გაეგოთ ამის ამბავი: ვისაც აბრეშუმის თესლის გაპარების სურვილს შეამჩნევდენ, უთუოდ სიკვდილით უნდა დაესაჯათ.

ბერები დარწმუნდენ, რომ აბრეშუმის კეთება ყველასათვის დიდი შესაძენი იქნებოდა და მისი სხვა ქვეყნებში გავრცელება მოინდომეს: სამღვდელო კვერთხი სიგძეზე გამოხვრიტეს, შიგ აბრეშუმის თესლი ჩაყარეს და ასე საიდუმლოდ იგი სტამბოლს მოიტანეს. ბერებმა აქაურ მცხოვრებლებს ჭიის მოვლა და აბრეშუმის კეთება ასწავლეს, და აქიდან ეს საქმე სამხრეთის ევროპასა და ჩვენში სწრაფად გავრცელდა.

რით იკვებება აბრეშუმის ჭია? თუთის ხის (ბჟოლის) ფურცლებით. ეს ხე ჩვენში კარგად ხარობს.

აბრეშუმის ჭია ერთი თვის განმავლობაში თუთის ფოთოლს ხარბად სჭამს და ისე სწრაფად იზრდება და მსხვილდება, რომ ძველ კანში ველარ ეტევა, რამდენჯერმე ტანზე კანი ასკდება, სძვრება და ძველის სამაგიეროდ მის ქვეშ ახალი კანი ეზრდება.

უკანასკნელ კანში გამოსვლას შემდეგ ჭია მთლად დასრულდება; ლასტებზე ცახს უდგამენ. ჭია ჭამას თავს ანებებს, ცახზე ადის, აქ ფეხის მოსაკიდებელს მოსძებნის და პირიდან ობობას ქსელივით ძლივს დასანახავს წვრილ ძაფს ქსელავს და გარშემო პარკად იხვევს.

ამ პარკში აბრეშუმის ჭია ჯერ ჭუპრად და მერე პეპლათ იქცევა და პარკიდან გამოსვლას დააპირებს.

რით უნდა გახვრიტოს პარკი, რომ თავისუფლად გამოძვრეს იქიდან? პეპელა შიგნიდან პარკს რამდენსამე ცვარს მიაწვეთებს. წვეთი პარკს გასწვავს, გახვრეტს, და ამით მას გამოსასვლელი კარი ეღება.

პარკიდან გამოსვლას შემდეგ პეპელა სულ რამდენსამე დღეს ცხოვრობს; არაფერს არა სჭამს და მხოლოდ კვერცხებსა ჰყრის, რომლისგანაც შემდეგ მური გამოდის.

თუ პარკი მთელია, ე. ი. თუ პეპელას არ გამოუჭრია, მას ძაფად იღებენ. ერთი პარკის ამონაღები ძაფი სიგრძით 500 საჟენია. მეაბრეშუმეები ამ ძაფს ხიფვენ, შულოებად აკეთებენ, ძახვენ, მერე ქსელვენ და დარაიებსა და სხვადასხვა ქსოვილს აკეთებენ.

თუ მეაბრეშუმე თვით ვერ შესძლებს ქსოვილის გაკეთებას, ჭუპრს პარკში არჩობს და მერე გამშრალი პარკი ქალაქებში მიაქვს, სადაც ფეიქრებთან კარგ ფასად ასაღებს.

ამ ჟამად ჩვენში აბრეშუმის პარკი ძლიერ ბლომად მოჰყავთ და, რადგანაც ჩვენში საფეიქროები თითქმის არ არსებობს, უცხოელები მოდიან და ძაფად და პარკად ყიდულობენ.

ჭიანჭველები.

1. არის ქვეყანაზე ისეთი ცხოველები, რომელნიც ხვნენ, თესვენ, მკიან, მიწას ანოყიერებენ და შავი დღისათვის სანოვაგეს ინახვენ. ერთი სიტყვით, თავისებურად ყოველივეს ისე აკეთებენ, როგორც მიწის მუშა ადამიანები. განსაკუთრებით დახელოვნებულია ამ საქმეში ჭიანჭველა.

ჭიანჭველებს ყველა კარგად იცნობს. ისინი თავის ბუდეში ათი-ათასობით და ასი-ათასობით ცხოვრობენ; ბუდის შესავლიდან შიგნითკენ დაფერდებული გზები მიდის. გზები სხვადასხვა მიმართულების გასავალ-გამოსავლებით არის ჯვარედინათ გა-

დაჭრილი. ზოგ ადგილას პაწია ოთახებია მოთავსებული, ზოგან ფართო და სრული სადგომები; ყველა გზა კი ბუდის შუაგულს ერთს დიდ ოთახში იყრის თავს.

2. სანამ ეს მწერი ნამდვილ ჭიანჭველად გადაიქცეოდეს, სამ ცვლილებას განიცდის. პირველად ქვეყანაზე პაწია კვერცხის მზგავსად ჩნდება; ამ კვერცხიდან თუთხმეტ დღეს შემდეგ იჩეკება პაწია და გამჭვირვალი ჭია, რომელსაც ჯერ ფეხებიც არ გააჩნია; აქვს მხოლოდ პირი და ისიც ნამდვილი ჭიანჭველის პირს არც კი ჰგავს. რამდენსამე ხანს შემდეგ ჭია სიფრიფანა პარკში ეხვევა.

თქვენ რომ ჭიანჭველის კვერცხს ეძახით, ის კვერცხი კი არა, ჭიანჭველის ჭუპრია. ეს ჭუპრი უძრავად სძევს, ვიდრე პარკში ნამდვილი ჭიანჭველა არ გაჩნდება. როდესაც მწერი საკმაოდ მოლონიერდება, საპყრობილის კედლებს ანუ თავის სახვევს ღრღნის და გარედ პაწაწკინა არსება გამოდის, რომელსაც ექვსი ფეხი, წამოკუსული თვალები, გრძელი ყბები და ულვაშები აქვს. ეს პატარა არსება ნამდვილი ჭიანჭველაა, მხოლოდ მეტად უფერული და ისეთი სუსტი, რომ ძლივს დაღოღავს.

ყოველ ბუდეში რამდენისამე გვარის ჭიანჭველა ცხოვრობს. ზოგი ჭიანჭველა მამალია, ზოგი დედალი: ისინი მარტო შთამომავლობის გამრავლებაზე ფიქრობენ. იმავე ბუდეში მცხოვრები სხვა ჭიანჭველები—მუშებია. მათ სულ სხვა გვარი აგებულობა აქვთ: კვერცხების დება და გამრავლება მათ სრულებით არ შეუძლიათ; მათი საქმეა ბუდეების შენება, ტვირთის ზიდვა, დედალ-მამლების ჭმევა, კვერცხების მოვლა და

ყურის გდება. ერთი სიტყვით, მუშა ჭიანჭველების მოვალეობა საოჯახო საქმეებია. ჭიანჭველების ზოგიერთ მოდგმას მეომრებიც ჰყავთ. მათი აგებულობაც მეტად განსხვავდება დედალ-მამლისა და მუშა ჭიანჭველათა აგებულობისაგან. მეომარ ჭიანჭველებს კბილები დიდი და წვეტიანი აქვთ. მათი საშუალებით მეომარს შეუძლია წიწკნა, კბენა და მოპირდაპირეების ნაწილ-ნაწილად დაგლეჯა.

3. ზოგიერთი ჯიშის მუშა ჭიანჭველები პურის მოყვანას მისდევენ; ამათ მეურნეებს უწოდებენ. ეს ჭიანჭველები ევროპისა და ამერიკის თბილ ქვეყნებში ცხოვრობენ.

მეურნე ჭიანჭველები ბუდეს მიწაში იკეთებენ. ბუდე მეტად ოსტატურათა და მოხერხებულათ არის მოწყობილი: ბევრი სხვადასხვა გასავალ-გამოსავალია გაყვანილი და მრავალი ოთახია აშენებული. ოთახები მრავალ-სართულიან სახლივით ერთი მეორის ზემოდ არის მოთავსებული. ზოგიერთი ოთახი საკუჭნაოს წარმოადგენს. იქ ჭიანჭველები მარცვლეულობასა და სხვადასხვა სანოვაგეს ინახვენ. ამ მარცვლებსა და თესლებს ისინი თვითონ აგროვებენ: ამ საქმეს ბევრს შრომასა და ჯაფას ანდომებენ. მუშა ჭიანჭველები ხშირად მათ მოსაძებნად შორეულ მინდვრებსა და ტყეებში მიემგზავრებიან. სიარულისა და მარცვლების მოტანის გასაადვილებლათ ჭიანჭველებს გზები გაჰყავთ: ბალახებს ძირში ღრღნიან და გზას იკაფვენ. ბზებს ჭიანჭველები სუფთად ინახვენ. ამოვა თუ არა მათ გზაზე ცოტაოდენი ბალახი, მაშინვე ძირში მოსჭრიან და განზე გადააგდებენ. ყველა გზა ბუდისკენ მიემართება, ხოლო ბუდის ირგვლივ რამდენსამე ადლის მანძილზე მუშა ჭიანჭველები ადგილს სწმენდენ და ისე ასწორებენ, რომ ადამიანს განგებ დატკეპნილი ეგონება. ბალახს არც აქ უშვებენ, ერთგვარ ბალახს გარდა, რომელიც მათ მეტად უყვართ და რომელსაც ჭიანჭველების ბრინჯს ეძახიან. ეს მცენარე მუდამ ბუდის ირგვლივ იზრდება; სწორედ ამ ბალახს უვლიან და აშენებენ ჭიანჭველები: სხვა ბალახებს აშორებენ, ყოველ წელიწადს ნაყოფს ჰკრეფენ და მთელ მოსავალს საკუჭნაოებში ინახვენ.

ზოგიერთი მნახველი ამტკიცებს, რომ ამ ბრინჯს ჭიანჭველები თვითონაც სთესვენო. ერთი სიტყვით, ამ მიწათმოქმედთ თავისი ყანა და მისი მკის დრო აქვთ.

მუშები საკუჭნაოებში, თავის საყვარელ ბრინჯს გარდა, სხვა ბალახების თესლებსაც ინახვენ. აი რას გვიამბობს ამაზე ერთი მნახველი: „ერთხელ გადავწყვიტე მენახა, როგორ აგროვებენ ჭიანჭველები თესლებს, და ამისთვის ბუდის ახლოს რამდენიმე ათი გოჯის სიმაღლე პურის თავთავი ჩავარჭვე. ჭიანჭველები მაშინვე შეცოცდენ თავთავზე და მარცვლებს გულმოდგინეთ კრეფა დაუწყეს. თითო ღეროზე ათი, თორმეტი ჭიანჭველა მუშაობდა. ისინი მარცვლებს ძირში ღრღნიდენ; აქ მათ სხვა ჭიანჭველები ჰკრეფდენ და საკუჭნაოებში მიჰქონდათ. საკვირველი ის იყო, რომ ჭიანჭველები მარცვლების ჩამოცვენას არ უცდიდენ და პირდაპირ თავთავებიდან ჰკრეფდენ.

საკუჭნაოებში შეკრეფილ მარცვლებს მიწათმოქმედი ჭიანჭველები გულმოდგინეთ უვლიან და უფრთხილდებიან, რომ უდროოდ არ დანოტივდეს. თუ მარცვლები დალბა, დანოტივდა, ჭიანჭველებს გარედ გამოაქვთ და მზეზე აშრობენ.

4. ჭიანჭველთა შორის საქონლის მომშენებლებიც არიან. ჭიანჭველების ზოგიერთი ჯიში ამრავლებს აგრეწოდებულ ბალახის ტილებს. ბალახის ტილი სიდიდით ჭიანჭველაზე უმცროსია. ამ ტილებს ტანიდან მოსდისთ რაღაც წვენი, რომელიც ჭიანჭველებს მეტად უყვართ. აი, ამ წვენისთვის ჭიანჭველები ამრავლებენ მათ. ისინი კიდეც სწველიან ამ ტილებს. ჭიანჭველა დაინახავს თუ არა ტილს, მაშინვე მიირბენს მასთან და თავისი ულვაშებით მუცელზე ხიკინს დაუწყებს. მაშინ მწერი მუცლიდან წვენს გამოასხამს, რომელსაც ჭიანჭველა ხარბად სწუწნის.

ჭიანჭველები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ბალახის ტილების მოშენებაში. ისინი მათთვის განსაკუთრებულ სადგომს აკეთებენ. ერთი სიტყვით, ბალახის ტილები ჭიანჭველასათვის იგივეა, რაც ადამიანისათვის ძროხები; და, აი, თავის ძროხებს ისინი ნამდვილ ბოსელს უშენებენ. ამ

ბოსლებში პირდაპირ სასიარულოდ ზოგიერთი ჯიშის ჭიანჭველები თავის ბუდიდან გრძელს, დახურულ ხვრელებს აკეთებენ.

თავის ძროხებისათვის ჭიანჭველები საუკეთესო საძოვარს ეძებენ. ისინი ისეთ მცენარეებზე დასხამენ ტილებს, რომელიც ამ უკანასკნელთ უყვართ. აი, რას გვიამბობს ერთი მნახველი: „ჩემს ბაღში ორი იფნის ხე იზდებოდა. ერთი ხე საუცხოოდ ხარობდა, მეორეზე კი ყოველ გაზაფხულზე მრავალი ბალახის ტილი ჩნდებოდა. ისინი სრულებით ანადგურებდენ კოკრებს, ფოთლებს და ამ გვარად ხეს სიცოცხლეს უსპობდენ. დიდხანს ვერ მივხვდი, თუ რათ მრავლდებოდა ამ ხეზე ტილები. ბოლოს მათ ჟლეტას შევუდექი. ერთხელ გაზაფხულზე, როდესაც ჯერ ფოთლებიც არ გაშლილიყო, ბაღში წყალი წავიღე და მთელი ხე, მისი ყოველი ფოთოლი და კოკორი გავრეცხე. ამას შემდეგ ხე მშვენიერად გაიშალა; ძალიან გახარებული ვიყავი, რომ მცენარეს მტრები ჩამოვაცილე, მაგრამ ეს ჩემი სიხარული ხანგრძლივი არ იყო. თიბათვის დამდეგს დილით, ბაღში გამოვედი და გაკვირვებულმა დავინახე, რომ ჩემს ხეზე ჭიანჭველების ურიცხვი ბრბო ადიოდ-ჩამოდიოდა. მივუახლოვდი, კარგად დავუკვირდი და დავინახე, რომ ჭიანჭველები ჩემს მცენარეზე ბალახის ტილებს მიათრევდენ. ყოველ ჭიანჭველას ხის წვერისაკენ თითო ტილი მიჰყავდა. ქვემო ფოთლებზე მათ ტილები უკვე დაესვათ. რამდენსამე კვირას შემდეგ ამ მწერებმა სრულებით შესჭამეს ჩემი იფნის ფოთლები. მე ხელახლა გავლიტე ისინი, მაგრამ ჭიანჭველებმა ისევ მოაშენეს თავისი ძროხები“.

ერთი სიტყვით, ჭიანჭველები ცდილობენ, რომ მათ საქონელს კარგი საკვები ჰქონდეს. არა მარტო ბალახის ტილები ასხამენ მუცლიდან ტკბილ წვენს, არის ბევრი მათი მზგავსი სხვა მწერებიც, რომლებითაც ჭიანჭველები ამგვარად სარგებლობენ.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას ჭიანჭველაზე, მაგრამ ზემო ნაამბობიც კმარა, რომ ადამიანი დარწმუნდეს, თუ რო-

გორ ცხოვრობენ ეს საკვირველი მწერები, რას აკეთებენ, როგორი შრომის მოყვარე, ჭკვიანი და შეგნებული ცხოველ-ები არიან.

ფუჭი კაკალი.

სოფლის შკოლაში მასწავლებელს კაკალი მოეტანა და სტოლზე დაელაგებია: ბავშებს კაკლებით ანგარიშს ასწავლიდა. აეხსნა კიდეც შეერთება და გამოკლება. ბაკვეთილს შემდეგ მოწაფეებს თითო კაკალი დაურიგა და დასასვენებლად ეზოში გაუშვა.

დასაჩუქრებული ბავშები მხიარულად გარეთ გაცვინდენ და ეზოში თამაში დაიწყეს.

—მოდი, ვანო, ნიგოზი დამიკარ; გამიტეხ, შენ გქონ-დეს, გავსტეხ, მე წავიღებ, გინდა თუ არა?—უთხრა ნიკომ ვანოს.

—ძალიან კარგი, დავკრათ!

ბავშები გაიქცენ ხის ძირს, მონახეს ქვა; ნიკომ ნიგოზი დაიჭირა, ვანომ თავისი ზედ დაადვა, მოიმარჯვა ქვა და დასცხო.

ტკაც! გაისმა ხმა და ვანოს კაკალი ოთხად გატყდა.

—ფუჰ, დასწყევლოს ღმერთმა, მატლიანი ყოფილა!

—პა, პა, პა! როგორ გასუქდებოდა, მთლად გამოუჭამია გული!

—ეი მარა, როგორ შეძვრა ამისთანა ულონო მატლი მაგარ კანიან კაკალში?—იკითხა ნიკომ.

—როგორ?! ამას გაკვეთილზე აგიხსნით—სთქვა მასწავლე-ბელმა, რომელიც იქვე დასეირნობდა და ბავშების საუბარს ყური მოჰკრა.

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელმა, მართლაც, მოიტანა კაკალი და მოსწავლეთ შემდეგი აუხსნა:

ზაფხულში ნორჩი კაკალი მწვანე წენგოთია დაფარული. ზოგი

კაკალი ადრე მწიფდება და ნაჭუჭიც უმაგრდება. ზოგი-კი უფრო გვიან გამოსულა და გარსიც თოთო აქვს.

ერთს მშვენიერ ზაფხულის დღეს ნიგვზის ხეზე დასეირნობდა პატარა რუხი, შავ-წინწკლებიანი ცინიფსი. იგი პაწია მწერია. თავი საოცარი აქვს: წინა ნაწილი მოგრძო და წვრილი ხორთუმის მზგავსია. ეს გრძელი ხორთუმი ქვევით მოკაუჭებულია. ხორთუმის წინა ნაწილი თავდება პატარა კბილებიანი პირით. საჭმლის საფხეკათ ბუზანკალს ხორთუმის წინა ნაწილზე, პირში, ისეთი პატარა კბილები აქვს, რომ მხოლოდ გამადიდებელი ჭიქის ბროლით შეიძლება მათი დანახვა. ამ საკვირველი ხორთუმის ორივე მხარეზე ამოსულია პატარა რქები, რომელიც დანასავით იკეცება და მჭიდროთ აწვება ხორთუმს. ეს ბუზანკალი ძალიან ფრთხილი და თავდარიგიანია: თავისი შვილების საცხოვრებლად ირჩევს მშვიდობიან ალაგს, რომელიც ქარისა და ავდრისაგან დაცულია და სადაც, რასაკვირველია, საჭმელიც ბლომათ მოიპოვება. ხის შტოებზე სეირნობის დროს ეძებს ნიგოზს და ყურადღებით ათვალიერებს მას. მაგარი გარსიანი კაკალი მისთვის ხელსაყრელი არაა; უფრო ახალი, თოთო კაკალი მოსწონს.

აი, კიდეც მონახა მაგისთანა კაკალი, შეჩერდა და დაიწყო მუშაობა. კბილებით ნაჭუჭში პატარა ნახვრეტი გააკეთა, შიგ პაწაწკინა კვერცხი ჩასდვა და თავისი ხორთუმით ეს კვერცხი ძირს, გულისკენ ჩასწია. ნაჭუჭის ნახვრეტი მალე ამოიზარდა, მხოლოდ მის ალაგს პატარა შავი წერტილი დარჩა.

რამდენსამე დღეს შემდეგ ამ კვერცხიდან გამოიჩეკა კაკლის გულში პატარა თეთრი ჭია.

ჭიას სირბილი არ სჭირია და ამიტომ ფეხები არ აქვს. ზის თავისთვის არხეინად და ნიგვზის გემრიელი გულით პირს იტკბარუნებს და თან იზრდება. მაგრამ ის ცოტა ფრთხილად უნდა იყოს, რომ საჭმელი გამოიზოგოს, თორემ ნიგვზის გული არ იკმარებს და, სანამ ჭია გაიზრდებოდეს, საჭმელი შემოაკლდება და შიმშილით მოკვდება.

ველა ჭია ჭკვიანი როდია; და ალბათ თქვენც გინახავთ

ფუჭი ნიგოზი და შიგ მკვდარი ჭია ყოფილა გაუმაძღარი და ან გული ყოფილა ძლიერ პატარა. მაგრამ ჭიების უმრავლესი ნაწილი კაკლის მთელ გულს ვერ სჭამს. დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს ჭიას. აგერ ორი კვირაა, რაც ის იზრდება; მოთავდა, ვერ დაეტია თავის პატარა ბნელ ოთახში, უნდა გარეთ გამოვიდეს, დაინახოს ქვეყანა და ამიტომ მაგარი ნაჭუჭი უნდა გამოხრას.

აი, გამოვიდა კიდეც და გაადინა მიწაზე პერტყა. ჩაძვრა შიგ ღრმად. მიწაში ჭია დიდხანს დარჩება, წელიწადზე მეტს. აქ ჯერ ჭუპრად იქცევა, მერე პატარა ბუზანკლად, ამოდის ზევით, აფრინდება ზეზე და იმათ იქცევა, რაც მისი მშობელი-ბუზანკალი არის.

ვაგნერი.

მწერთა ჯგუფები.

ბულდასმით დავაკვირდეთ პეპელას. მას ოთხი ფრთა და ექვსი ფეხი აქვს. პეპელას ტანი სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი თავია, მეორე—მკერდი, მესამე—მუცელი. ფრთები და ფეხები მკერდზეა მიმაგრებული.

აბა ახლა პეპელას თავი გავსინჯოთ. თავზე პეპელას ორი დიდი თვალი და ორიც პატარა ულვაში აქვს. ეს ულვაშები მისთვის შეხებისა და გრძნობის ორგანოა.

ახლა ამგვარადვე ბუზს დავაკვირდეთ; მას ოთხის მაგივრად ორი ფრთა აქვს. ისინიც მკერდზეა მიმაგრებული, სწორედ ისე, როგორც პეპელას. ბუზს სხვა ყოველივე ორგანო ისე აქვს მოწყობილი, როგორც პეპელას: ორი რქა, ორი თვალი და ექვსი ფეხი.

ყველა მწერი ამგვარადვეა შექმნილი: ყველა მწერი სამი ნაწილისაგან შესდგება: თავის, გულისა და მუცლისაგან; ყველას ექვსი ფეხი აქვს; მხოლოდ ფრთების რიცხვია განსხვავებული: ზოგიერთ მწერს-კი, მაგალითად, რწყილს, ფრთები სრულებით არ აქვს. ასეთივე ტანის აგებულობა აქვთ ბუ-

ზანკლებს, ჭიანჭვალებს, კალიებს, კოღოებს, ბალლინჯოებსა და მრავალ სხვა ურიცხვ მწერს.

ცხოველთა სამეფოში, რაც კი უიარაღო თვალით დასანახავია, პირველი ადგილი მრავალგვაროვნებითა და რიცხვითაც მწერებს უჭირავს: სულ ჯერჯეროობით ორასი ათასი სხვადასხვა ჯიშის მწერი ითვლება.

მწერთა უმეტესობა, ბაყაყისა არ იყოს, სხვადასხვანაირად გარდაიქმნება ხოლმე. პეპელა კვერცხსა სდებს, კვერცხებიდან მატლი გამოდის; იგი იზრდება და რამდენსამე ხანს შემდეგ ჭუპრად იქცევა და თითქოს იძინებს. ცოტა ხანს შემდეგ ჭუპრის კანი იხსნება და იქიდან პეპელა გამოდის.

სანამ ჭუპრად გადაიქცეოდეს, ზოგიერთი მატლი თავის თავს პარკში იხვევს. პარკის ძაფს თავისი მუცლიდან თვითონვე უშვებს.

ასეთივე გარდაქმნა ანუ ცვლილება ემართებათ ბუზებს, ფუტკრებს, რწყილებსა და სხვ.

VI

ობობები, კიბოები და ჭიები.

ობობა.

პატარა ობობები ზაფხულს მინდორში ატარებენ. ისინი იჭერენ კოღოებსა და სხვა მწერებს, რომელნიც თავისი მწარე კბენით გვაწუხებენ. რადგანაც ამ პატარა ცხოველებს სიცივისა ძალიან ეშინიათ, ამიტომაც საზამთროდ ადრევე თბილი, უშიშარი ბინა უნდა ეძიონ.

შემოდგომაზე ობობა მოგზაური ფრინველივით ემზადება და შორეულ მგზავრობას იწყებს. მაგრამ ფეხით შორს ვერ წავა: სულ პაწია რუც-კი გზას შეუკრავდა ჩვენს მოგზაურს.

მაგრამ ოსტატმა ობობამ კარგად იცის ამის ხერხიც: ის ამინდს თვალყურს ადევნებს, როგორც გამოცდილი მეზღვაური. დღეს ნათელი, მზიანი დღეაო, ფიქრობს ის, მარჯვე, ღონიერი ქარიც არის, შეიძლება მგზავრობას შევუდგე.



ობობა მარდათ არბის ხეზე და რომელიმე ტოტის წვერზე ჯდება. აქ ყირამალა დგება და ტანის უკანა ნაწილს, სადაც საქსლე ბუსუსები აქვს, მაღლა ასწევს.

ობობა ქსელის გამოშვებას შეუდგება: ამ ქსელს ქარი თანდათან სჭიმავს, ბოლოს ქსელი იმ სიგრძისა შეიქნება, რომ ობობას მისი დაჭერა აღარ შეუძლია: ტოტს ცილდება, და ქსელის ბოლზე დაკიდებული ობობა ქარს მიაქვს.

ამ ნაირად მოგზაურობს ჩვენი ობობა: ქარი ქსელს შორს მაღლა მიაქროლებს, გადააქვს სახლის თავებზე, მდინარეებსა და გორაკებზე.

ბოლოს ობობა დაიღალა და დასვენება მოუნდა. როგორ უნდა მოიქცეს, რომ თავისი ჰაეროვანი ხომალდით ძირს დაეშვას? ობობამ ამის ხერხიც კარგად იცის. მარდათ ფეხებით ქსლის აკრეფას დაიწყებს; რაც მეტ ქსელს აკრეფს, ქსელი იმდენად უფრო მოკლდება, ქარი წინანდებურად ველარ აფრიალებს; ამის გამო ობობა ნელნელა ძირს ეშვება.

სადაც დაეშვება, საზამთრო საცხოვრებელს ეძებს; თუ აქ თავისი მოსაწონი ვერაფერი ნახა, ხვალაც ამგვარსავე მოგზაურობას შეუდგება. მართალია, ობობას თავის ნებაზე ხომალდის წაყვანა არ შეუძლია, და მისი მიმართულება ქარზეა დამოკიდებული, მაგრამ ობობას ამის დარდი სრულებითაც არ აქვს: ოლონდ-კი მოხერხებული ბინა მოსძებნოს და, საცა უნდა იყოს, ეს მისთვის სულ ერთია.

კ ი ბ ო.

პატარა კიბო მეომარივით თავიდან ფეხებამდი ჯავშნით არის შემოსილი. არც დღე, არც ღამე მას თავიდან არ იშორებს. მთელი დღე ჩუმად, სულგანაბული სოროში იმალება, რომელიც ძეწნის, ვერხვის ან სხვა ხის ფესვებ შუა გაუკეთებია. საღამოს, მზის ჩასვლას შემდეგ, კიბო სოროდან სანადიროდ გამოდის.

მართალია, კიბო შეიარაღებულია, მაგრამ ძალიან წყნარი, მშვიდობიანი ჩვეულებისა არის და არავის არავითარ ვნებას არ მიაყენებს.

ის მხოლოდ სხვადასხვა მკვდარი ცხოველით იკვებება, რომელიც წყალში მუდამ მრავალია. **ა**მ გვარად კიბო სპობს გახრწნილ ნივთიერებას, რომლითაც წყალი იწამლება და ამით ადამიანებს დაუფასებელ სამსახურს უწევს.

აგერ პატარა კიბომ მკვდარი თევზი ხელთ იგდო და ვახშმის ჭამას გულმოდგინეთ შეუდგა: ძალიან გულით უნდა, მალე შეიქნეს ისეთივე დიდი და ღონიერი, როგორიც მისი დედამამა და უფროსი ძმებია, მაგრამ ჯერ ყოველივე ამაოა: რამდენიც უნდა სჭამოს, მას არ შეუძლია ახლანდელზე დიდი და სხვილი შეიქნეს; მაგარი ჯავშანი ტანზე ძლიერ შემოჭერილი აქვს, არ განიერდება და კიბოს თანდათან აწუხებს. **ჩ**ვენს რაინდს არ შეუძლია ჯავშანი მოიხსნას, მოიშვას, როგორც ამას ბავშები სჩადიან, როცა ტანისამოსი უჭერთ.

მაშ, როგორ უნდა მოიქცეს, რომ ძველი ტანსაცმელი თავიდან მოიშოროს და ახალი, უფრო ფართო, შეიძინოს?

პატარა კიბო თავის სოროში მიძვრება და სულგანაბული, მაგრამ მოუსვენრად ზის; ცოტა უქეიფოთ არის. **ტ**ყავის მაგარი ჯავშანი ნალნელა ფხვიერდება და სკდება.

ხაჭმლის საღეჭი კბილები კიბოს სხვა ცხოველებივით პირში როდი აქვს; ისინი კუჭშია მოთავსებული. **ა**ხლა ყველა ეს კბილი დაერყა, გაუფუჭდა, საჭმლის ღეჭა აღარ შეუძლია და ამიტომ მადაც დაეკარგა.

ორ დღეს შემდეგ, კიბო ფორთხვას იწყებს და ათსავე ფეხს ერთმანეთს უსვამს. **მ**იწას ასკდება, იგრიხება, შფოთავს, სანამ მაგარი ჯავშანი გულისა და მუცლის დაყოლებაზე არ გასკდება. **მ**ოქანცული პატარა რაინდი ნახევარი საათით მოსვენებას ეძლე-

ვა და სოროში უძრავად წევს. შემდეგ ხელახლა შფოთვასა და მიწაზე ფორთხვას იწყებს, სანამ ძველ ტყავს წინდებივით ფეხებიდან არ გაიხდის. ეს უკანასკნელი საქმე მისთვის ყველაზე უფრო სამძიმო და წელმომწყვეტია. ხშირად მოხდება, რომ ტყავთან ერთად ის რომელსამე ფეხსაც მოიგლეჯს. მისდა საბედნიეროდ, ეს მისთვის ძალიან სანაღვლო არ არის, რადგანაც რამდენსამე კვირას შემდეგ დაკარგული ფეხის მაგიერ ახალი ეზრდება.

მორჩა თუ არა ფეხებს, კიბო იცილებს ძველ ტყავს გრძელი ულვაშებიდან, თვალებისა და ძველ კბილებიან კუჭიდანაც-კი, დიდი ვაი-ვაგლახით იძრობს თავიდან ძველ მუზარადს და ძველ ჯავშანს გულისა და ტანის სხვა ნაწილებიდან.

რბილად და ნაზად წევს ახლა კიბო თავისი ტყავის გვერდით, რომელსაც სავსებით ისეთივე სახე აქვს, როგორც მის ძველს პატრონს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ტყავი შიგნით ცარიელია. ახლა რაინდი უმწეო არსებას წარმოადგენს, მტერს ადვილად შეუძლია, დიდათ ავნოს, ასე რომ კიბო იძულებულია, თავის სოროში დიდი სიფრთხილით დაიმალოს.

თავიდან მოშორებულს ძველ ტყავს ქვეშ უკვე ახალი ტყავია ამოსული. ახალი ტყავი ჯერ ნაზია და ადვილად იჭიმება. ამ დროთი სარგებლობს კიბო და რამდენსამე დღის განმავლობაში იზრდება და მსხვილდება. შემდეგ ახალი ტყავი მაგრდება და ხელახლა მაგარ ჯავშნად იქცევა, რომელმაც წლის განმავლობაში ტანისამოსის მაგიერობა უნდა გაუწიოს და მტრის თავდასხმისაგან დაიფაროს. ამავე დროს კუჭში ახალი კბილები ამოსდის, ასე რომ კიბოს შეუძლია, დიდს ტანჯვა-წვალებას შემდეგ, ხელახლა ქეიფსა და ჯრხეინად ცხოვრებას შეუდგეს.

ამნაირად ცხოვრობს ჩვენი რაინდი წლიდან-წლამდი თავის ამხანაგებთან ერთად; დადის, დაქეიფობს, სანამ მას გზად მიმავალი ადამიანი არ შეამჩნევს. ახლა-კი მისი აღსასრულის დღე დადგება. საღამოს ხანს, ადამიანი წელზე ტომარს იკრავს ცალ ხელში ანთებულ მკვარს იჭერს, ფეხს იხდის და წყალში შე-

დის. Ანთებული მკვარის სინათლე კიბოებს იზიდავს, ისინი სოროებიდან სინათლეზე იკრიბებიან, მეთევზე მათ ძლიერ ადვილად იჭერს, ტომარაში ჰყრის და შემდეგ ქალაქში გასასყიდათ მიაქვს.

ᲭᲘᲐᲧᲔᲚᲐ.

Არიან ქვეყნად ისეთი ცხოველები, რომელნიც მიწას აჩეჩავენ, აფხვიერებენ და აპატივებენ კიდეც. Რასაც კაცი აკეთებს გუთნითა და ფარცხით, იმას ეს ცხოველები თავისი ტანით ახერხებენ. Ამ ცხოველებს ჭიაყელას ეძახიან.

Ადამიანმა მხოლოდ ახლახან გაიგო ეს ამბავი. Მხოლოდ ახლა მიხვდა ადამიანი, რა დიდ საქმეს აკეთებენ ჭიაყელანი.

Ჭიაყელა იცის ყველგან, იმ ქვეყნებს გარდა, საცა ან მეტად ნესტიანი ჰავაა, ან მეტად მშრალი.

Სიცივისა-კი ეშინია. Დღისით მიწაში არის და მხოლოდ ღამით ამოცოცდება. Ჭამით ყველაფერს სჭამს, რაც მოხვდება: მარცვალსაც, სხვადასხვა მწერის მატლებსაც, ხორცსაც, უფროკი ფოთლებით იკვებება; ერთნაირათა სჭამს ხმელს, ნედლს, ახალსა და დამპალს. Შეუძლია მარტო მიწითაც გამოიკვებოს, თუ სხვა უფრო ნოყიერი საჭმელი ვერ იპოვა. Მიწაში, რაც უნდა იყოს, ცოტა მაინც ურევია დამპალი ნეხვი,—და აი, ამ ნეხვით ისინი ძღებიან, როცა მიწასა ჰყლაპვენ. Ჭიაყელას წელები ძალიან უბრალოდ არის მოწყობილი: წელები მისდევს ტანის სიგრძეს მიუხვევ-მოუხვევლად; ერთს ბოლოზე პირი აქვს, მეორეზე—უკანა ტანი. Ჭიაყელას ტანის აგებულობაც მეტად სადაა: არც თვალი აქვს, არც ყური; მთლად მისი ტანი რბილია; კბილები და ძვლები სრულიად არ აქვს. Თუმცა ჭიაყელა ასეთი სადა აგებულობის არის, მაგრამ მაინც ხნავს და აპატივებს დედამიწასა. Როგორა მუშაობენ ჭიაყელები?

Ჭიაყელები თავის სოროებს მიწაში ღრმადა სთხრიან. Ზოგიერთი სორო მიწაში თითქმის ერთ საჟენზე არის ჩა-

თხრილი. შიგ სოროს ძირში ჭიაყელა აკეთებს თავისთვის პატარა ოთახს. მოხდება ხოლმე, რომ ამისთანა პატარა ოთახში ერთის მაგიერ რამდენიმე ჭიაყელა ბინავდება.

ჭიაყელა აგრე იკეთებს თავის ბინას მიწაში: თუ მიწა რბილია, ჭიაყელა სთხრის სოროს გაწვრილებული ბოლოთი. მუშაობის დროს სწრაფად ატრიალებს მთელს თავის ტანს, თითქო სადგისიაო. ამ სახით ჭიაყელა მალე ჩაიმალება ხოლმე ქვიშაში. თუ მიწა მაგარია, ჭიაყელა პირით მუშაობს: სტეხს პატარ-პატარა მიწის ნამცეცს და ჰყლაპავს. რამდენსაც მოსტეხს, იმდენს გადაჰყლაპავს. ამ გვარად უფრო და უფრო ღრმად ჩადის მიწაში: მუცელი სულ მიწით გაევსება, მიწა გადის მერმე ნელნელა უკანა ტანიდან და იქვე იყრება. ამ გვარად ჭიაყელებს შეუძლიათ სთხარონ სოროები მაგარ მიწაშიაც და ღრმად ჩაძვრენ შიგა. იმათ წელებში ბევრი მიწა გაივლის ხოლმე. ეს მიწა წელებში იშლება, ფხვიერდება და ერევა წელების წვენსა და, როცა მიწა გარედ გამოდის, უკვე ფხვიერია, რბილი და ნოყიერი.

მთელი წლის განმავლობაში ყოველი მარცვალი მიწისა რამდენჯერმე გაივლის ხოლმე ჭიაყელას წელებში.

ამ სახით ხვნენ ჭიაყელანი მიწასა და ანაყოფიერებენ მას. ხვნენ ძალიან ღრმად. როცა ღრმად ჩასთხრიან ხოლმე თავის სოროებს, მიწის ქვემო ნაწილები ნელნელა ზემოდ ამოაქვთ. ეს მიწა აქ იწვის და იშლება მზისა და წვიმისაგან. თუ ერთგან წვიმის წყალი წაიღებს, სამაგიეროდ მეორე ადგილს მრავლად მოაგროვებს ამისთანა ნაყოფიერ მიწასა.

ეს ჭიაყელები იმითი ეხმარებიან კიდევ მიწის განოყიერებას, რომ ფოთლებსა სჭამენ. ეს ფოთლები ჩაყლაპულ მიწასთან ერთად რბილდება ჭიაყელების წელებში; მერე ეს რბილი პატივი ისევ მიწას ემატება; ამისთანა პატივი ბევრი გროვდება იქ, საცა ჭიაყელებია.

ობობების, კიბოებისა და ჭიების ჯგუფები.

ობობას ტანი ისე დანაწილებული არაა, როგორც მწერებისა; მას თავი და გულ-მკერდი გაერთიანებული აქვს. ყველა ობობას რვა ფეხი აქვს. ულვაშის ნასახი არ ეტყობა. ცვლილებას ანუ გარდაქმნას განვითარების დროს არ განიცდის. ყოველ ობობას ექვსიდან თორმეტამდი თვალი აქვს. ობობათა უმეტესობა ხმელეთზე ცხოვრობს, უმცირესობა-კი წყალში. ობობები მარტოხელად ცხოვრობენ, ბნელ ადგილებში იმალებიან და მხოლოდ ღამღამობით მწერებზე სანადიროდ გამოდიან. ყველა მტაცებელი გაუმაძღარია. ზოგიერთი ობობას ჯიშისანი, მაგალითად, მორიელი და ბაბაჭუა შხამიანია; მორიელის ნაკბენისაგან ადამიანი ხშირად კვდება.

ობობათა შორის შესანიშნავი არიან ისინი, რომელნიც ქსელსა ქსოვენ. მუცლის ბოლოზე მათ ბუსუსები ანუ მეჭეჭები აქვთ, რომელშიც რამდენიმე ათასი ჭუჭრუტანაა მოთავსებული. ამ ჭუჭრუტანებიდან ისინი უშვებენ წებოიან სითხეს, რომელიც იმ წამსვე ჰაერზე მაგრდება და ძაფის მზგავსად იზიდება. ამ ძაფებისაგან ობობა ქსელსა ქსოვს, რომლითაც იგი თავის საკბილოს იჭერს. როდესაც მწერი ქსელში ებმება, თავის გათავისუფლებას ცდილობს, მაგრამ უფრო და უფრო ეხვევა შიგ. ობობა მწერს ჰკლავს, სწუწნის და ამოწუწნულ ტყავს ქსელს აშორებს და მერე დაზიანებული ქსელის შეკეთებას იწყებს.

კიბოები საზოგადოთ მდინარეებსა და ზღვებში ცხოვრობენ; არიან ხმელეთის კიბოებიც, რომელნიც ბნელსა და ნოტიო ადგილებს ეტანებიან, როგორც, მაგალითად, ნამის ჭია. კიბოს ტანი ან სულ ტიტველია ან და მაგარი ნაჭუჭით არის დაფარული. ფეხი ათი აქვს, ულვაში ერთი ან ორი წყვილი. წინა ფეხები მარწუხს მიუგავს, რითაც კიბო საჭმელს იტაცებს. კიბოების შეხედულობა და სიდიდე მეტად განსხვავებულია. არიან ისეთი პაწია კიბოები, რომ გარჩევა მხოლოდ გამადიდებელ ბროლით, მიკროსკოპით, შეიძლება; არიან ისე-

თი ზღვის კიბოებიც, რომელნიც თორმეტიდან ცამეტ გირვანქამდი იწონიან.

ჭიების მოგრძო ტანი ან სრულებით ტიტველია ან და თხელი ბალნით არის დაფარული. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ წურბელა და ნოტიო მიწაში მცხოვრები ჭიაყელა, თევზის საჭერად რომ ხმარობენ. მათვე ეკუთნიან აგრეთვე მუცლის ჭიები, ადამიანის ტანში რომ ცხოვრობენ და ბევრ ტანჯვას აყენებენ მას.

VII

რბილსხეულიანი ცხოველები.

ლოკოკინა ფარაონის საფლავში.

ამ რამდენსამე წლის წინათ ეგვიპტეში ერთი ფარაონის საფლავი გათხარეს. ამ საფლავში მიცვალებული სამი ათასი წლის წინათ ჩაესვენებიათ. საფლავი ძლიერ კარგად ყოფილიყო გადალესილი. მასში ერთი პიტარა ჭუჭრუტანაც-კი არ მოიპოებოდა. არც ერთ ცხოველს არ შეეძლო გარედან ამ საფლავში ჩამძვრალიყო. მაგრამ როცა აკალდამას თავი ახადეს, ფარაონის ტანსაცმლის ნაოჭებში პატარა ლოკოკინა იპოვნეს. ის საფლავში სწორედ მაშინ ჩაჰყოლოდა, როდესაც ფარაონს მარხავდენ, ესე იგი, სამი ათასი წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში ლოკოკინას საფლავში გაეძლო; იგი სრულებით გამხმარიყო.



ერთმა სწავლულმა ეს ლოკოკინა თბილ წყალში ჩააგდო. და მერე იცით რა მოხდა? თბილ წყალში ლოკოკინა გაცოცხლდა და ცოცვა დაიწყო, თითქოს ხანგრძლივი ძილისაგან

ახლა გაიღვიძაო. საფლავში მას არც სასმელი, არც საჭმელი არ ჰქონია, მაგრამ ლოკოკინა ამის გამო სრულიად არ მომკვდარა, თითქოს ეს სამი ათასი წელი ძილში გაეტარებიოს და ახლა შემთხვევით გამოღვიძებოდეს, როგორც ზოგიერთ ცხოველს სჭირს: ზამთრობით სძინავს და მერე გამოიღვიძებს.

ამისთანა შემთხვევა ლოკოკინების შესახებ ბევრია აღწერილი.

ზღვის ლოკოკინა და არწივი

ოკეანის ნაპირზე, წყალ ქვეშ, კლდე იყო. ამ კლდეს ზღვის ლოკოკინა მიკროდა. ლოკოკინას ორივე მხარეზე მოზრდილი გობის ოდენა ნიჟარა ან სახურავი აქვს; იგი ისე მძიმეა, რომ მისი აწევა ღონიერ კაცსაც გაუჭირდება. ნიჟარაში ვეებერთელა ლოკოკინა ცხოვრობს. უძრავად არის იგი კლდეზე; მხოლოდ ხანდახან ხურავს და ხსნის თავის ნიჟარებს: გახსნის დროს წყალთან ერთად მრავალ ზღვის წვრილმან ცხოველსაც ჰყლაპავს; ეს მისი ჩვეულებრივი საჭმელია.

ოკეანეში ყოველ ექვს საათს შემდეგ ტალღების მიმოქცევა არის. ლოკოკინა წყლის მიქცევის დროსაც კლდეზე რჩება. მაგრამ თუ კლდეს ზღვის წყალი აღარ ფარავს, ლოკოკინა მაშინ თავის ნიჟარებს შეჰკეცს და მოთმინებით ელის ზღვის ხელახლა მოქცევას, რომელიც მას, კლდეზე მყოფს, წყალში დამალავს.

აქვე, ხმელეთზე, მაღალსა და მიუვალ კლდეზე არწივს ბუდე გაუკეთებია. ისიც ხშირად მთელი საათობით უძრავად ზის და მოთმინებით ელის, წყლის ზედა პირზე თევზი ან სხვა რომელიმე ზღვის ცხოველი ხომ არ გამოჩნდებაო; ან იქნება ზღვა მიიქცეს და რაიმე პირის ჩასაგემრიელებელი დასტოვოსო. მაშინვე ისარივით დაეშვება არწივი და მსხვერპლს მაგრად კლანჭებს ჩაუყრის. ერთხელ არწივი სწორედ იმ კლდის პირდაპირ შემოჯდა, სადაც უზარმაზარი ლოკოკინა ცხოვრობდა. მოაწია ზღვის მიქცევის დრომაც. წყლიდან ლოკოკინას ნიჟა-

რების ზემო კიდეები გამოუჩნდა. ჯერ ლოკოკინამ თავისი სახურავების დაკეტვა ვერც-კი მოასწრო, რომ არწივი შურდულივით დაეტაკა და თავისი ბასრი ბრჭყალები ჩაურჭო მას. მაშინ სახურავები სწრაფად დაიკეცა და ჩვენს არწივს ფეხი შიგ მოჰყვა.

ბვიან მიხვდა არწივი თავის შეცდომას: უზარმაზარი ლოკოკინას ადგილიდან დაძვრა მას არ შეეძლო, არ შეეძლო იმავე დროს მაგრად მოჭერილ სახურავებიდან ფეხი გაეთავისუფლებია. ტყუილად წიოდა, ფართხალობდა და შფოთავდა არწივი: ლოკოკინას მაგრად ჰყავდა დაჭერილი ჩვენი მტაცებელი.

ექვს საათს შემდეგ ზღვამ კვლავ დაიწყო მოქმედება და ლოკოკინა არწივიანათ დაფარა. მხოლოდ, როდესაც ფრინველმა მოძრაობა შესწყვიტა, ლოკოკინას ნიჟარა მაშინ გაიღო, და მკვდარი არწივი ზღვის ტალღებმა სამუდამოდ მიიბარა.

მოლლუსკების განმასხვავებელი ნიშნები.

ტბებსა და მდინარეებში ხშირად მოიპოება ხოლმე ერთგვარი ლოკოკინა, რომლის ნიჟარაც ორი ნაწილისა ანუ სახურავებისგან არის შემდგარი. ეს სახურავები მაგრად არის შეკეცილი, როცა ლოკოკინა წყალში არა ზის. ეს ლოკოკინა რომ წყლით სავსე და ძირზე სილამოყრილ ჯამში ჩავსვათ და ცოტა ხანი ვაცადოთ, ნიჟარები გაიხსნება და მათ შუა გამოჩნდება ცხოველი, რომლის ტანიც ლორწოთი არის დაფარული; შუაში დავინახავთ ყვითელ ხორცმეტს; ეგ ლოკოკინას ფეხია, რომლის შემწეობითაც ცხოველი ნელნელა მოძრაობს. საკმაოა ლოკოკინას შეეხო, რომ ფეხი შიგნით შეიწიოს და მისი ნიჟარები მაგრად შეიკეცოს. ეს ნიჟარა რომ დანით გავხსნათ, ცხოველის გასინჯვა უკეთესად შეიძლება: ის წარმოადგენს თეთრს, რბილ სხეულს, რომელსაც ირგვლივ თხელი კანი აკრავს. რბილი სხეული ისეა მიკრული ნიჟარებზე, რომ ცხოველს მათი

შეკეცა და გაშლა თავის ნებაზე შეუძლია. ტანის წინა ნაწილზე ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ პირი და ორი წყვილი ულვაში. მდინარის წყალი, რომელშიაც მუდამ მრავალი პაწაწინა ცხოველია, ნიჟარაში შედის, შემდეგ ცხოველის პირში ისხმება და იქიდან-კი კუჭში ჩადის. ამგვარ ცხოველებს, როგორიც ლოკოკინაა და რომელთაც რბილი, უძვლო სხეული აქვთ, რბილსხეულიანს ანუ მოლლუსკებს ეძახიან. ბნელსა და ნოტიო ადგილებში ერთი ნიჟარიანი მოლლუსკი იცის, რომელიც თავის დაგრეხილ ნიჟარას ზურგით ატარებს. მსეც ლოკოკინაა. ამასაც მთელ ტანის სიგრძეზე გაპრტყელებული ფეხი აკრავს; ამ ფეხის შემწეობით ნელნელა დაცოცავს; ადვილად მიეკვრება ხეებს, ფოთლებს, ლობეს. თავზე უჩანს პირი და ოთხი ულვაში; ორს ულვაშზე შავი წერტილი მოსჩანს, ეგ თვალებია. ლოკოკინას რომ ხელი შეახო, მაშინვე ნიჟარაში დაიმალება. იგი მცენარით იკვებება და კვერცხებით მრავლდება.

თბილ ზღვებში, განსაკუთრებით ინდოეთის ოკეანეში, ცხოვრობს ერთგვარი მოლლუსკი, რომელსაც მარგალიტის ლოკოკინა ჰქვია, რადგანაც მის ნიჟარაში მარგალიტი იმყოფება. მარგალიტის ლოკოკინა ჩვეულებრივ ზღვაში ქვას ან კლდეს მიეკვრება და ნიჟარას ოდნავ გაშლის ხოლმე. წყალთან ერთად ნიჟარაში ქვიშაც შედის. ქვიშა მეტად აწუხებს, ავიწროებს ლოკოკინას, რომელიც ქვიშას გარშემო სადაფის ახალ ნივთიერებასა ცხებს. ამნაირად წარმოსდგება ვერცხლის-ფრად ბრწყინვალე სადაფის პაწია მარცვალი—მარგალიტი.

მარგალიტი მეტად ლამაზია და ძვირადაც ღირს, რადგან ძნელი საშოვნელია. ამიტომაც იმ ქვეყნებში, სადაც მარგალიტის ლოკოკინა ბევრი იცის, გამბედავი ადამიანი ეშვება ზღვის ძირზე და მარგალიტის ლოკოკინებს აგროვებს. მარგალიტის მაძებარნი ნავიდან ზღვაში გადაეშვებიან, ფეხზე მძიმე ქვა აქვთ მიბმული და წელზე ოცი-ოცდახუთი საჟენი თოკი. ისინი წყალში მხოლოდ ერთს ან ორ წამს რჩებიან და ლოკოკინებს პატარა ბადეებით იჭერენ. როდესაც სული შეუგუბდებათ, ამხანაგებს ნიშანს აძლევენ, რომელნიც იქვე ნავით უც-

დიან და ზევით ამოჰყავთ. დაჭერილ ლოკოკინებს ნავში აწყობენ, ცოტას ისვენებენ და შემდეგ ისევ ზღვის ძირზე ჩაეშვებიან.

ამასობაში ნავში დარჩენილი ამხანაგები ნიჟარებს ხსნიან და მარგალიტებსა და სადაფებს იღებენ, რომელსაც შემდეგ კარგ ფასად ჰყიდიან.

მარჯნის პოლიპები.

ბევრი, ძალიან ბევრი ცხოველი გავიცანით ჩვენ, მაგრამ ვინ მოსთვლის, რა ურიცხვი დაგვრჩა კიდევ გაუცნობელი! ჰაერი, დედამიწა და წყალი ცხოველებით სავსეა. განსაკუთრებით ბევრი ცხოველია შეუსწავლელი ზღვის სიღრმეში. იმ ზღვის ცხოველთაგან, რომელთა ცხოვრებასაც სწავლულები საუკეთესოდ გაცნობიან, შესანიშნავი არიან მარჯნის პოლიპები, რო-



მელნიც ზღვის მცირე სიღრმეზე ცხოვრობენ. ეს მეტად პატარა ცხოველებია; მაგრამ, რადგანაც ისინი ერთ ადგილას ურიცხვად იკრიბებიან და ერთად მუშაობენ, საკვირველ სასწაულებს სჩადიან. მარჯნის პოლიპის მთელი ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რომ ზღვაში რომელსამე ქვას მიეკრას, თავისი პაწია ულვაშები ამოძრავოს და მათი შემწეობით პირში ნამცეცა

ცხოველებით სავსე ზღვის წყალი ჩაუშვას. ეს ნივთიერება პოლიპს ასაზრდოვებს, ხოლო მისი ერთი ნაწილი პოლიპის ტანში მაგარ კირის ნივთიერებად იქცევა. რასაკვირველია, ამ ცხოველს არ აქვს არც გული, არც ფილტვები, არც თვალები, არც ძვლები და არც ტანი: მთელი სხეული მარტო კუჭისაგან შესდგება.

მაგრამ აი, ცხოველის სხეულში კირის ნივთიერება თანდათან იზრდება და ბოლოს იმოდენად იქცევა, რომ ცხოველს სიკვდილის მეტი აღარა დარჩენია-რა. თითქოს ამით ყველაფერი უნდა გათავებულიყო, მაგრამ პოლიპი ჯერ ისევ სიცოცხლის დროს აჩენს რამდენსამე თავის მზგავსს ახალგაზდა პოლიპს, რომელიც თავის დედას არ შორდება, არამედ გარს ეხვევა, როგორც კვირტები და ტოტები და განაგრძობს ისეთ ცხოვრებას, როგორც მათი მშობლები: პოლიპები საზრდოს გულმოდგინეთ იჭერენ და მას კირის მარჯნად აქცევენ, შემდეგ ახალ პოლიპებს წარმოშობენ და იხოცებიან.

ასე გაივლის რამდენიმე ათი და ასი წელიწადი: მრავალი მილიონი პოლიპი კვდება, მათ ადგილს ახალი მილიონები ჩნდებიან და თავისი მაგარი კირის ნივთიერებით ზღვის ძირს რამდენისამე ვერსის მანძილზე სრულიად ჰფარავენ. პოლიპები მარტო სიგრძე-სიგანეზე კი არა, სიმაღლეზედაც მრავლდებიან. ზღვის ქვიშა და მცენარეები პოლიპების მუშაობას ხელს უწყობენ, რომელიც მარტო მაშინ შეწყდება ხოლმე, როდესაც მათი ნაშენი წყლის ზედა პირამდი მოაწევს, რადგანაც მარჯნის პოლიპებს მხოლოდ წყალში შეუძლიათ ცხოვრება.

ამნაირად წყალ ქვეშ ჩნდება დაბალი ჭალაკი, რომელიც ხომალდებისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს. პოლიპები მორჩენ თავის მუშაობას, მაგრამ ზღვა და ქარი განაგრძობენ მას. ზღვას მოაქვს სილა და მცენარეები, ბალახებისა და ხეების თესლები, სხვადასხვა ცხოველის კვერცხები; ქარს კი—მტვერი და მასთან მცენარეების თესლები. ამგვარად ახალი ჭალაკი ნელნელა წყალსქვეშეთიდან ჩნდება; აი მისკენ ფრინველებიც მოფრინავენ, ზღვის მხეცები წმინდა ჰაერის საყლაპავად

მის ნაპირზე მოცოცვენ; კუნძულზე ბალახი, ხეები ამოდის; ყოველივე ეს იზრდება, მრავლდება, კვდება, ლპება, ჭალაკის ნიადაგს აპოხიერებს და ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს ამდიდრებს. ზაივლის კიდევ ასი წელიწადი — და ადამიანისათვის ახალი საუცხოვო საცხოვრებელი უკვე მზად არის.

მარჯნის პოლიპები მხოლოდ თბილ ზღვებში ცხოვრობენ და მარჯნის ჭალაკებიც ამიტომ იქ მოიპოება. სხეულის მოყვანილობის მიხედვით, ამ ცხოველებს ეძახიან ვარსკვლავებრივს. ამათ ეკუთნიან აგრეთვე ზღვის-ვარსკვლავა, ღრუბელი და სხვა ცხოველები.

უჩინარი ცხოველები.

მრავალს სხვადასხვა ცხოველს ვხედავთ ჩვენ დედამიწაზე: ზოგი ისეთი უზარმაზარი არსებაა, როგორც, მაგალითად, სპილო, ვეშაპი, ზოგი ისე პატარაა, რომ მისი თვალით დანახვა ძნელია. მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომ თვალით მისი გარჩევა შეუძლებელია. მათ დასანახად და გასაშინჯავად მიკროსკოპია საჭირო.

ავიღოთ ტბიდან ერთი ცვარი წყალი. პირველი შეხედვით გამჭვირვალე ცვარი სრულებით უფერულია; რამდენიც უნდა დავაკვირდეთ ამ ცვარს, მასში, ჩვეულებრივ წყალს გარდა, ვერაფერს შევამჩნევთ. ახლა მიკროსკოპით გავსინჯოთ: ცხადათ დავინახავთ, რომ ცვარი სავსეა ათასგვარი ცოცხალი არსებით: ზოგიერთი ამ საკვირველ არსებათაგანი დაფარულია წამწამებით, რომელთაც სანავო ნიჩაბივით უსვამენ და სწრაფათ დაცურავენ; ზოგი მათგანი პაწაწინა ბურთს წარმოადგენს, რომელიც რამდენიმე ღერი ბეწვით არის აღჭურვილი და მისი შემწეობით დაცურავს. ზოგიერთები სრულიად გამჭვირვალნი არიან და კიბოებს ან თევზებს მოგვაგონებენ. ცვრის ზედა პირზე იკრიბებიან, დახტიან, დატრიალობენ, მზეზე თბებიან: წყლის ცვარი მათთვის ღრმა ზღვას წარმოადგენს. აგერ

მიკროსკოპის ბროლის ქვეშ ცვარში დაცოცავს ლორწოს ნამ-ცეცა არსება, რომელიც ხან იკუმშება, ხან გრძელდება; გზაზე მას მცენარის ნაწილი ან სხვა პაწაწინა ცხოველი შეხვდა; მოთეთრო ლორწო გაიჭიმა, ცხოველს გარს შემოეხვია და სხეულში შეიზიდა. **ა**მ გვარად საზრდოობს ეს საკვირველი არსება. **რ**ოდესაც ცოტა წამოიზრდება, მისი სხეული ორად იყოფა და ერთის მაგიერად ორი ცხოველი ჩნდება; თითოეული იმათგანიც აგრეთვე ორად იყოფა და ასე ახალი არსებანი იბადებიან. **ა**მ პატარა არსებათ ინფუზორიებს უწოდებენ.

როცა წყალი ან გაიყინება, ან დაშრება, ინფუზორიები დროებით თითქოს იხოცებიან; მათი პაწაწა ტანი იკუმშება, ჰაერში მტვრის სახით დაცურავს და, როცა ხელახლა წყალში მოხვდება, ისევ გამოცოცხლდება.

ინფუზორიები და მათი მზგავსი ცხოველები ზღვებშიაც ცხოვრობენ. **ზ**ღვის მარილიანი წყლის ცვარი რომ ავიღოთ, იქ უფრო მრავალს მიკროსკოპიულ ცხოველს შევამჩნევთ.

ცხოველების უდიდესი საზრუნავი.

I

რაც-კი დედამიწის ზურგზე ცხოველია, ყველა შრომობს, ყველა მუშაობს. **თ**ითოეული ცოცხალი არსება თავის დიდსა, თუ მცირე საქმეს ასე თუ ისე უნდა გაუძღვეს და ებრძოლოს იმ დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობება. **თ**ითოეული ცხოველი იცავს თავის თავს, თავის არსებობას.

არც ერთი ცოცხალი არსება უზრუნველად და უსაქმურად არა ცხოვრობს. **ყ**ველაზე დიდი საზრუნავი საზრდოს მოპოება არის. **შ**იმშილმა მოთმენა არ იცის. **შ**იმშილი ყველა სულდგმულისთვის საშინელება-რამ არის. **შ**იმშილით ყოველ წელიწადს ურიცხვი სხვადასხვა ცხოველი იხოცება. **მ**ას გაურბის კალმახი, ხტუნია-მაიმუნი, კამბეჩი; შიმშილით შეწუხებული თრითინა წყალში ვარდება, მგლები სოფლად შერბიან,

ლომებსა და ვეფხვებს შიმშილის გამო აღარც ცეცხლის ეშინიათ, აღარც თოფის. შიმშილი ცხოველებს შეუბრალებლად მიფანტ-მოფანტავს ხოლმე.

შიმშილის გამო მოხდება ხოლმე, რომ საზამთროდ ცხელ ქვეყნებში ისეთი ფრინველნიც მიფრინავენ, რომელთაც სიცივისა არ ეშინიათ. შიმშილს ყოველი ცხოველი ებრძვის, რითაც და როგორც-კი შეუძლია. ყველა ებრძვის თავის ძალისა და შეძლებისამებრ და არავისაგან დახმარებას არ ელის. საზრდოს ზოგი ცხოველი ძალით შოულობს, ზოგი ხერხით, ზოგი ჭკუა-გონებით. სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვა სახსრითა და საშუალებით ცდილობს საზრდოს შოვნას: ზოგი კლანჭებით მოქმედობს, ზოგი კბილებით, ზოგი ღონიერი ყბებით, ზოგს ფრთები ეხმარება და სხ. ვისაც როგორი აგებულობა აქვს, იმის მიხედვით შრომობს; ზოგს რომ წყალში საზრდოს შოვნა გაუჭირდება, ხმელეთზე გამოდის და იქ ნადირობს, ნადირები და ფრინველები წყალში სდევნიან თევზსა, ჭიები ჰყლაპვენ დიდძალ სიდამპლესა და მიწას; ვეშაპნი ათი-ათას ვერსს იქით მიდიან საჭმლის საშოვნელად. ერთი სიტყვით, ცხოველებს შიმშილის გამო იმდენი შრომა და იმდენი ბრძოლა სჭირდებათ, რომ ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენს და ვერც მიხვდება. ნადირი ყოველგან ცოდვილობს, ყოველგან შრომობს. ზოგი სხვა ცხოველს იჭერს და ხორცით იკვებება; ცხოველების უმეტესი ნაწილი-კი იკვებება ან მცენარეებით, ან ყვავილებით, ან ფესვებით, ან ნაყოფით; ზოგი კიდევ გაურჩევლად ყველაფერსა სჭამს, როგორც, მაგალითად, კალია; არიან ისეთი ცხოველნიც, რომელნიც სთესვენ, მკიან და შავი დღისათვის საზრდოს იმზადებენ.

II

ცხოველებს აქვთ კიდევ მეორე დიდი საზრუნავი: ეს საზრუნავი—ბრძოლაა სიცივისა და ცუდი ამინდის წინააღმდეგ. ზოგი ცხოველი სიცივის გამო თბილს ქვეყანაში გადასახლდება ხოლმე და ხანგრძლივ მოგზაურობას გამოივლის; ზოგი სადმე კუთხეში ან სოროში შეძვრება და იქ გაშეშებელი,

ცოცხალ-მკვდარი გდია, ვიდრე უკეთესი დრო არ დადგება. ზოგს თბილი ქურქი და ჩვეულება იცავს, ზოგს თბილი სორო, სადაც გაჭირვების დღისათვის საზრდო აქვს მომზადებული. ერთი სიტყვით, ცხოველები სიცივესაც თავის საკუთარი ძალ-ღონით ებრძვიან და შველას არავისაგან არ მოელიან. გაჭირ-ვებამ ფრინველებს თბილი ქვეყნის გზა ასწავლა; გაჭირვებამ მაჩვი თბილი სოროს თხრას შეაჩვია.

ცხელ ქვეყნებში კიდევ ცხოველებმა გვალვასა და სიცხეს ანგარიში უნდა გაუწიონ; ამ უბედურებასაც საკუთარი ძალ-ღონით აიცილებენ ხოლმე.

III

ცხოველებს მესამე დიდი საზრუნავიცა აქვთ: იმათ მტრი-საგან თავი უნდა დაიცვან. ყოველ ცხოველს მტერი ბევრი ჰყავს; ზოგი მტერი პირდაპირ ცხოველსა ჰკლავს და მის ხორცსა სჭამს, ზოგი ცდილობს, სხვას პირიდან ლუკმა წაარ-თვას. ყველას მტრის მოგერება სჭირდება; ეს საქმე-კი ადვილი არ არის. ამერიკის ერთი მოგზაური გვიამბობს, რომ მან ნახა ჯაჭვი ხოცვა-ჟლეტისა: თითოეული ცოცხალი არსება შეი-ძლება სადილად რომელსამე მტაცებელს ერგოს; ზოგი ცხოვე-ლი მტაცებელს თვითონ უმკლავდება: ძალ-მომრეობის წინა-აღმდეგ ძალმომრეობით მოქმედობს; სხვანი სხვა გზით იცავენ თავს. ზოგს სიკვდილისაგან გამჭრიახი თვალი გადაა-რჩენს, ზოგს მახვილი ყური, ზოგს მარდი ფეხი, ზოგს ოსტა-ტურად გაკეთებული სორო, ზოგს—რა და ზოგს—რა.

ცხოველს მტერი თავის გვარშიაც ჰყავს და გვარს გარე-შეც. ყოველი ნადირი ცდილობს, საზრდო იშოვნოს, მაგრამ ამ საზრდოს მოცილენი მის გვარში სხვანიც არიან. საზრდო, ისე უხვად არ არის, რომ ყველას ეყოს. ამიტომ ყველა ცდილობს, საზრდოს მოპოებაში სხვას აჯობოს. ამიტომაც არა ზოგავს ძალ-ღონეს, რომ მეტი და უკეთესი ლუკმა ჩაი-გდოს. უკეთესი ლუკმა და მეტი საზრდო კიდევ იმ ნადირს ერგება ხოლმე, რომელიც უკეთესად არის შეიარაღებული:

ვინც უფრო ღონიერია, ვინც უფრო მოხერხებულია, ვინც ბეჯითია, ვისაც გამჭრიახი თვალი და მარდი ფეხი აქვს.

IV

უკანასკნელად, ცხოველებს აქვთ კიდევ ერთი დიდი საზრუნავი: ეს ზრუნვაა შთამომავლობაზე. **ყ**ოველი ცხოველი მრავლდება და ცხოვრობს დედამიწაზე; ყოველივე ცხოველი ზრუნავს შთამომავლობისთვის. **ბ**უზმა იცის, სად დასდვას კვერცხები და სდებს სწორეთ იქ, სადაც მისი შვილებისთვის საზრდო მომზადებული იქნება; თევზი მიისწრაფის ქვირითის დასაყრელად იქითკენ, სადაც მის პატარა ჭიჭყინებისათვის უფრო ადვილად მოხერხდება ცხოვრება. **მ**ართალია, ბევრი ამათგანი იხოცება, მაგრამ ბევრი ცოცხალი რჩება. **ზ**ოგიერთი გვარის ცხოველი სწორეთ ამ სიმრავლის წყალობით გადურჩება ხოლმე სიკვდილს. **ფ**რინველები, ნადირები და სხვა მრავალი ცხოველი უფრო მეტს მზრუნველობას იჩენენ შვილების გამოზრდაში. **ი**სინი შთამომავლობისათვის სთხრიან, ლესვენ, ჰკერვენ, აშენებენ თავის საცხოვრებელ ბინას, ჰკრეფენ საზრდოს და ჭირნახულს; ასწავლიან შვილებს სირბილს, ფრინვას და საჭმლის შოვნას. **ა**სე მთელ ცხოველთა სამეფოში მშობლები შვილებს იცავენ სიკვდილისაგან და ეხმარებიან მათ, ვიდრე ესენი თვისი ძალ-ღონით ცხოვრებას შეიძლებენ.

ასეთი დიდი მზრუნველობა აწევს კისერზე ყველა ცხოველს. **ზ**რუნავს ზოგი ცხოველი ცალკე, უამხანაგოთ, საკუთარი მოხერხებითა და ცოდნით. **ი**ს ცხოველნი, რომელნიც უფრო გონიერი არიან, მოქმედობენ საერთოდ, შეერთებული ძალ-ღონითა და მოხერხებით მტერს უმკლავდებიან. **ჭ**იანჭველები და ფუტკრები ერთად შრომობენ; მგლები მთელი ხროობით ნადირობენ; კამბეჩები, ცხენები, ფრინველები მტაცებლებისაგან თავს ერთმანეთის დახმარებით იცავენ და მტერს ადვილად იგერებენ.

თითქმის ყველა ცხოველი საკუთარი შრომითა ცხოვრობს, თავისთვისა ზრუნავს და შრომობს. **მ**აგრამ მათ შორის არიან

იმისთანანიც, რომელნიც თავის სასარგებლოდ სხვას ამუშავებენ. მაგალითად, ჭიანჭველებს ჰყავთ სამუშაო საქონელი—ბალახის ტილი. მეთევზე-არწივი ძალაუნებურად თეთრ-თავა არწივისთვის თევზაობს; მაჩვი მელიასთვის სოროს აკეთებს; ზოგიერთი ფრინველისთვის ბინას ყურდგელი ამზადებს. ერთი სიტყვით, ცხოველთა სამეფოშიაც ყველა თავისი ნაშრომით ვერა სარგებლობს და ყველა არა ძღება თავისი სამართლიანი ნაღვაწით.

ცხოველთა სამეფოში ცხოვრება ასე მიმდინარეობს საუკუნოებით. ამ სამეფოში ყველა ზრუნავს, ყველა ცოდვილობს, ყველა თავისებურად ცდილობს; მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ სამეფოში მარტო შეუბრალებელი ბრძოლა-ომი არ სწარმოებს. ამ სამეფოშიც არის წყნარი და მშვიდობიანი შრომა: ცხოველები ერთმანეთს ეხმარებიან, თავისიანებს შველიან, როგორც, მაგალითად, ფუტკარი და ჭიანჭველები; მათ მარტო მტრები კი არა, მეგობრებიცა ჰყავთ. ზოგთან ბრძოლა და ომი აქვთ, ზოგთან მეგობრობა და თანხმობა. ერთი სიტყვით, ღირს, რომ ცხოველთა ცხოვრებას კაცმა ყურადღება მიაქციოს, რადგან ამ ცხოვრებაში ბევრს იმისთანას შენიშნავს, რასაც ადამიანის ცხოვრებაშიც ვერ ვხედავთ.

1. რა არის უმთავრესი საზრუნავი ცხოველებისათვის? 2. რით მიემგზავსება ადამიანის ცხოვრება ცხოველთა ცხოვრებას? 3. გაიხსენეთ ის მოთხრობანი, რომელშიაც ადამიანისა და ცხოველების ურთიერთობა არის გამოხატული. 4. რა და რა მოთხრობაშია ნაამბობი, თუ როგორ უყვართ და ზრდიან ცხოველები თავის შვილებს. 5. გაიხსენეთ ის მოთხრობანი, რომელშიაც ცხოველების ერთმანეთის დახმარება იხატება. 6. ჩამოთვალეთ ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველები.

მცენარეთა შორის.

სადილი უდაბნოში.

ხრიოკ უდაბნო ქვეყანაში ერთი კაცი მიდიოდა. მზე ძალიან აცხუნებდა. საშინელი სიცხის გამო მგზავრს სული ეხუთებოდა; გახურებული ქვიშა ფეხისგულებსა სწვავდა. მას აუტანელი სიცხე და წყურვილი აწუხებდა; მაგრამ აგერ დაინახა სახლი, რომლის გარშემოც ხეები იდგა, სიხარულით იქითკენ გაექანა და მასპინძელი ნახა. მასპინძელმა სტუმარი ხეების ჩრდილში მიიწვია და აქ გაუმასპინძლდა.

დიდ ხეს თოთხმეტი საჟენი სიმაღლე ჰქონდა; მის წვეროამდი რომ მისწვდომოდა, თუთხმეტ-თექვსმეტი კაცი უნდა ერთმანეთზე შემდგარიყო. ამ ხის ფოთოლს სამი საჟენი სიგრძე ჰქონდა.

მასპინძელმა წყურვილის მოსაკლავად სტუმარს ჯერ საგრილებელი სასმელი მიართვა, მერე მშვენიერი სადილი, საუკეთესო არაყი და ღვინო დაალევია და ტკბილი მურაბით პირი ჩააგემრიელებია.

სადილზე საუბარი გაიმართა.

—ამ უდაბნოში ქვიშის მეტი არაფერია: აქ არც ხეხილი ჩანს, არც ყანები; მაშ საიდან იშოვნე ამისთანა საუცხოვო არაყი, ღვინო და მურაბა? —ჰკითხა სტუმარმა.

—რაც შენ დღეს მოგართვი, —უთხრა მასპინძელმა, —ყოველიფერი ამ კოკოსის ხეების წყალობით მაქვს, ჩემ სახლს გარშემო რომ დგას. კოკოსის ხე მასმევს, მაჭმევს და მაცმევს. ამ ხეზე ბავშის ოდენა კაკალი იზრდება. ამ კაკალში გულს გარდა გემრიელი წვენიც არის. შენ რომ წელან საგრილებელ

სასმელს აქებდი, ეგ ის წვენია: კაკალი რომ დამწიფდება, ეს წვენი რძედ გადაიქცევა. სადილათ ეს რძე მოგართვი. ამ ხის ნორჩ ფოთლებსა ვკრეფ და სალათას ვამზადებ; ეს სალათა სადილად მოგართვი, და შენ მადიანათ შეექეცი. ამ ხის კანს დავსერავ ხოლმე, იქიდან წვენი გადმოდის; ამ წვნისაგან საუცხოვო ღვინოს ვაყენებ.

არაყსაც ამ წვნისაგან ვაკეთებ. ხის წვენს ორთქლად ვაქცევ და შაქარს ვაკეთებ. შაქარში კაკლის გულსა ვხარშავ და გემრიელი მურაბა გამოდის. როცა კაკლის გული ჯერ კიდევ უმწიფარია, ფაფასა ჰგავს; სადილად ეს ფაფაც მოგერთვა. როცა კაკალი დამწიფდება, მის გულს გამოვწურავ და ზეთს ვაყენებ. ეს ზეთიც საჭმელში იხმარება. ბნელ ღამეებში ამ ზეთით ჩემს ოჯახს ვანათებ. ზეთისგანვე ვაკეთებ მშვენიერ კოკოსის საპონს.

ჩემი სახლის ჭურჭელი კოკოსის კაკლის ნაჭუჭისაგან არის გაკეთებული. საწერ ქაღალდსაც ამ ხის ფოთლებისაგან ვამზადებ. მელანი ამ ხის ნახერხისაგან მაქვს. ხის ფოთლებს ძაფად ვართავ, და ამ ძაფისგან არის მოქსოვილი მთელი ჩემი ტანისამოსი.

კაკალს გარშემო ღინღლი აქვს; ამ ღინღლისაგან ბაწარსა და სხვილ თოკებს ვგრეხ. ღინღლს ვაძეძინებ და ლოგინს ვუდებ. სახლიც კი ამ ხის ფოთლებითა მაქვს დახურული. ამ ხეებს გარდა, არაფერი მაბადია, მაგრამ ისინი ყველაფერს მაძლევენ, რაც ჩემთვის საჭიროა.

მცენარეთა სარგებლობა.

ჩვენს ქვეყანაში კოკოსის ხე არ იზრდება. ჩვენ არა გვაქვს იმისთანა ხე, მარტო ერთმა რომ იმდენის მოცემა შეიძლოს, რამდენსაც კოკოსის ხე იძლევა. მაგრამ ნუ შეგვშურდება უდაბნოს მცხოვრების ბედი. ჩვენი ქვეყნის მცენარენიც ჩვენი მეგობრები არიან და უთვალავ სარგებლობას გვაძლევენ.

ზოგიერთი მცენარის ნაყოფსა ვჭამთ, მაგალითად: ვაშლს, სხალს, ბალს და სხ.; ზოგი თავისი ყვავილებით გვიტკბობს ყნოსვასა და გემოვნებასაც, მაგალითად: ყურძენი, ვარდი, ია და სხ... ზოგის თესლით ვსარგებლობთ, მაგალითად: პური, ქერი, სიმინდი, ღომი და საზოგადოთ საპურე მცენარენი; კანაფის, სელის და მზესუმზირეს თესლისაგან კეთდება სხვადასხვანაირი ზეთი; ზოგის თესლის გული იხმარება საჭმელად, მაგალითად: ნიგოზი, თხილი, საგო; ზოგის ფოთლებს ვხმაროობთ, როგორც, მაგალითად: კომბოსტო, პიტნა, ჩაის მცენარე და სხ.; ზოგი გვაძლევს თავის წვენს, მაგალითად: შაქრის ლერწამი, ჭარხალი, რომლის წვნისაგანაც შაქარს აკეთებენ; ზოგი გვაძლევს ძირებს, მაგალითად: სტაფილო, ჭარხალი, თალგამი და სხ.; ზოგი მთელად ჩვენი საჭმელია, მაგალითად: სოკოები.

იმაზე ნულარას ვიტყვით, რომ მცენარისაგან მზადდება ათასნაირი წამალი. ამისთანა მცენარეთა რიცხვი აუარებელია.

მცენარეებს ადამიანი მარტო საჭმელად კი არა ხმაროობს, არა, მათგან ტანისამოსსაც ამზადებს; ამისთანა მცენარეა: სელი, კანაფი, ბამბის ბუჩქი და სხ.; ბევრი მცენარე საღებავს გვაძლევს, რითაც იღებება ჩითები, მაუდები, და სხვა მატერიები და ნაქსოვები.

საჭმელსა და სასმელს გარდა, მცენარე იძლევა მასალას შენობისა, ნავებისა, გემებისა, სახლის ავეჯისა და ათასი სხვა ნივთისათვის; მცენარისაგან კეთდება საწერი ქაღალდი, მელანი და სხ. მაგრამ ყველა ზემო ჩამოთვლილ სარგებლობაზე მცენარეებს სხვა უფრო დიდი სარგებლობაც მოაქვს.

მცენარე ჰაერსა სწმენდს. ეს რომ ასე არ იყოს, ვერც ცხოველი და ვერც ადამიანი ვერ იცოცხლებდა. ჰაერიდან მცენარე სწოვს ნახშირ-სიმჟავეს, რაც ადამიანისა და ცხოველებისთვის მავნებელია, და ჰაერს უბრუნებს წმინდა მჟავბადს, ურომლისოდაც ვერც ერთი ცხოველი ვერ იცოცხლებდა. მცენარე განუწყვეტლად ასუფთავებს ჰაერს, რომელიც ცხოველთა სუნთქვით ფუჭდება: ცხოველები ამის წინააღმდეგ იქცევიან: ჰაერს რომ ჩაისუნთქავენ, მის ნაწილს მჟავბადს თა-

ვისთვის იტოვებენ და ნახშირ-სიმჟავეს ამოისუნთქავენ; ეს ნახშირ-სიმჟავე მცენარეთათვის საჭიროა.

მცენარე არათუ მარტო ადამიანს, ყველა ცხოველს ასაზრდოებს. **ზ**ოგი ცხოველი პირდაპირ მცენარით იკვებება; ზოგი იმ ცხოველის ხორცით იკვებება, რომელიც მცენარით საზრდოობს. **ლ**ომი რომ პატარა შვლის ხორცს ჰყლაპავს, ეს შველი მცენარით არის გაზრდილი; **ა**რწივი რომ ყურდგელს იტაცებს, ეს ყურდგელი ნორჩი მცენარეების კანით, ფოთლებითა და ქორფა ყლორტებით იკვებება; **მ**ელა რომ ქათმის ხორცს შეექცევა, ეს გემრიელი ხორცი მცენარეთა მარცვლების მონელებით არის. **ხ**არი და ძროხა გვაძლევენ გემრიელ ხორცს და ეს ხორცი გაჩნდა ბალახისა და თივის წყალობით; სპილოს ეშვების ფოლადივით მაგარი ძვალი გაჩნდა ბრინჯის ფოთლებისა და ბალახის წყალობით, რომლითაც სპილო იკვებება; ფუტკარი აკეთებს თაფლს, და იგია მცენარეების ყვავილებში ჩამდგარი წვენი; აბრეშუმის ჭია გვირთავს აბრეშუმის ქსელს, მაგრამ მასალა, რისგანაც აბრეშუმის ქსელი კეთდება, თუთის ფოთლებია.

ახლა ისიცა ვსთქვათ, თუ მცენარე რამდენად ალამაზებს და აკეკლუცებს ქვეყანას! მცენარეა შემმოსველი, გამამშვენიერებელი და სულის ჩამდგმელი უსიცოცხლო ქვებისა, თიხისა, ქვიშისა და საზოგადოთ იმ მკვდარ ნივთიერებათა, რომლისაგანაც დედამიწის ქერქი შესდგება.

ვინც ქვიშიანსა და ქვიან უდაბნოში ყოფილა, სადაც ასისა და ათასი ვერსის სივრცეზე ვერც ერთს ხეს ვერ ნახავს, ვერც ერთს ბუჩქს, ვერც ერთს ღერო ბალახს, და მერე შევა ბედნიერ ქვეყანაში, სადაც მთა და ველი ათასნაირი მცენარით არის შემკობილი, გადახედავს ზღვასავით მღელვარე ყანებს, ყვავილებით აჭრელებულ ველებს, ჩრდილოვან ჭალებს, სადაც სურნელება და სიგრილე სულსა და გულს გვიტკბობს, —ის უნებლიეთ **შ**ემოქმედს მადლობას შესწირავს, რომ ქვეყანა ასე საკვირველად საუცხოვო სამოსლით მორთო და შეამკო.

როგორ შრომობენ მოსწავლენი საზოგადო სარგებლობისათვის.

ერთს ქვეყანაში ხალხმა ტყეები სულ გაკაფა. იცით, რა ეოხდა? უტყეო ადგილებში გაზაფხულზე თოვლი უცებ დადნა. თოვლის წყალმა ადვილად ჩამორეცხა შავი მიწა და თიხა, დატოვა მხოლოდ ქვიშა. დადგა გვალვა; დედამიწა გამოშრა და გამოიფიტა. უწინ ამ ქვეყანაში უხვი მოსავალი იცოდა; მინდვრად მრავალი შინაური პირუტყვი იკვებებოდა. მცხოვრებნი მაძღარი და კმაყოფილი იყვნენ. ახლა კი, წვიმისა და თოვლის წყალმა რომ დედამიწის სიმსუქნე ჩარეცხა, სახნავ-სათესმა კაი მოსავალი აღარ მისცა, საძოვარზე ბალახი ნაკლებად გაიზარდა; ამის გამო შინაური პირუტყვის რიცხვმა იკლო, ხალხი გაღარიბდა. სანამ ამ ქვეყანაში ტყეები იყო, თოვლი ნელნელა დნებოდა; თოვლს მზისაგან ტყე იფარავდა; თოვლის წყალს ხეების ფესვები და ხავსი იჭერდა. წყალი ტყიდან, მართალია, ნელნელა მოჩქრიალობდა, მაგრამ ეს მოძრაობა მთელ ზაფხულს არ შეჩერებულა; ამიტომაც ზაფხულში ნაკადულები და რუები არა შრებოდენ; ამის გამო დიდრონ მდინარეებში ზაფხულობით წყალი ბლომათ იყო, და საქონლით დატვირთული გემები და დიდრონი ნავები აქ თავისუფლად დაცურავდენ. ახლა კი, ტყეები რომ გაკაფეს, თოვლი უცებ დადნა, რადგან მზის სხივებისაგან მას აღარაფერი იცავდა. წყალი მდინარეებისკენ დაექანა, რადგან გზაზე აღარაფერი აჩერებდა. გზაზაფხულზე ნაკადულები და ხევები წყლით აივსო. დაიწყო წყალდიდობა; მაგრამ გავიდა ცოტაოდენი დრო, წყალმა უცებ იკლო, ნაკადულები და ხევები დაშრენ და დიდრონი მდინარეები ისე დაპატარავდენ, რომ გემითა და დიდი ნავით საქონლის წაღებ-წამოღება შეუძლებელი შეიქნა. საქონელი ცოტ-ცოტა მიჰქონდათ; შემცირდა ვაჭრობა, ხალხს სამუშაო შემოაკლდა. მაშინ კი მიხვდა ხალხი, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა ტყეს და რა ზარალი მიაყენა ტყის ვაკაფვამ. დაიწყო ხალხმა ტყის გაშენება, სადაც ეს საჭირო იყო. ამ საქმეს, სხვათა შორის, ხელი

მოჰკიდეს მოსწავლეებმაც. წელიწადში ერთ დღეს თვითოეული მოსწავლისათვის სავალდებულო გახადეს, დაერგო ერთი ან რამდენიმე ხე. ამ დღეს ტყის დღესასწაულს ეძახიან. ეს დღესასწაული მოდის ხოლმე გაზაფხულზე და მოგვაგონებს სულის წმინდის მოფენის დღესასწაულს. მაგრამ ჩვენ ამ დღეს ხეებს ვკაფავთ, იქ კი რგვენ. ყმაწვილებს ძალიან უყვართ ეს ტყის დღესასწაული. დილიდანვე იკრიბებიან სასწავლებელში; აქ ისინი შკოლის მახლობლად ან გზის ნაპირებზე სთხრიან პატარა ორმოებს და რგვენ ბუჩქებსა და ხეებს. სადილს შემდეგ ისევ სასწავლებელში იკრიბებიან. აქ მასწავლებელი უხსნის მათ, რა სარგებლობა მოაქვს ხეებს; ყმაწვილები კი ყვავილებისა და ხეების შესახებ ლექსებს გალობენ. როცა დარგვას მორჩებიან, ყმაწვილები თავის შორის მზრუნველებს ირჩევენ, რომელთაც დარგულ ხეებს ყური უნდა უგდონ, რომ ისინი არაფერმა წაახდინოს.

მრავალი მილიონი ხე დაირგო ყმაწვილების ხელით ამ ქვეყანაში. მათის წყალობით უტყეო ქვეყანა ტყით შეიმოსა. ამ ტყეების გაშენებას დიდი სარგებლობაც მოჰყვა: ტყე იცავს ქვეყანას ქარის მოტანილი სილისაგან, აჩერებს ამ სილას. ვისაც ზღვის ახლო უტყეო ქვეყანა უნახავს, მან კარგად იცის, თუ რა მავნებელია ამ ქვეყნის ნიადაგისათვის სილა და ქარი. ზღვა აგროვებს ნაპირებზე სილას; ამ სილას ქარი იტაცებს და მახლობელ უტყეო ქვეყანაში გადააქვს. თუ ქარს გზაზე ტყე არ დახვდა, ის თავისუფლად გადიტანს დიდძალ სილას და მოჰფენს მით მინდვრებს, სახნავებს და თვით სოფლებსაც. მაგრამ საკმაოა გაშენდეს ტყე, რომ სილით მოფენა მოისპოს. ტყე ქარსა და სილას დიდ წინააღმდეგობას უწევს. ხეები ქვეყანას მტრისაგან სალდათებივით იცავენ.

მცენარეების გამრავლება.

მცენარეთა უმეტესი ნაწილი საოცარი სიჩქარით მრავლდება: თამბაქო ყოველ წელს ორმოციათას მარცვალს ისხამს. მუხა ხუთას წელიწადზე მეტს ცხოვრობს. ვსთქვათ, ამ დროის განმავლობაში ორმოცდაათჯერ მოისხა რკო და თითოჯერ ხუთასი რკო მოიბა, რაიცა შეადგენს თორმეტ მილიონზე მეტს რკოს; თითოეულ რკოსაგან შეიძლება გაიზარდოს თითო ხე. თუ ამასაც ვიანგარიშებთ, რომ ეს ხეებიც რამდენსამე ასსა და ათას რკოს მოიბამს, და ყველა მისგან თითო ხე გაიზრდება, მუხების რიცხვი მალე ას მილიონობით იქნებოდა დასათვლელი. მხოლოდ ამისთანა გამრავლების ძალით აიხსნება უთვალავი რიცხვი მცენარეებისა დედამიწის ზურგზე.

თითოეული მარცვალი, რომელიც-კი მშობელ ხეს მოსცილდება, რომ იქვე ძირს ეცემოდეს და რჩებოდეს, ცხადია, ყოველ ხეს ქვეშ მარცვლების უთვალავი რიცხვი იქნებოდა, და ვერც ფესვს გაიდგამდა და ვერც გაიზრდებოდა. მაგრამ ბრძენმა შემოქმედმა საქმე სხვანაირად მოაწყო. ბევრი მარცვალი, როგორც-კი დამწიფდება, მაშინვე ქარის შემწეობით აქითიქით გაიფანტება. ზოგი მათგანი ისეთი პატარა არის, რომ საკმაოა სულ მცირე ნიავის შებერვა, რომ შორს, ძალიან შორს წაიღოს იგი. ზოგიერთი მარცვალი ფრთების მზგავსი იარაღით არის შემკული და ამის წყალობით ადვილად მიფრინავს ძალიან შორს. ამისთანა ბუმბული ანუ ფთა აქვს, მაგალითად, ბაბუსწვერას, რომლის შებერვაც ბავშებს ძლიერ უყვართ, და ამნაირად ეხმარებიან ამ მცენარის თესლის მიფანტ-მოფანტვას.

როცა ფიჭვის ნაყოფი დამწიფდება და გასკდება, იქიდან ყოველმხრივ ფრთიანი წვრილი მარცვლები გამოიბნევა ხოლმე. არის ერთგვარი მინდვრის ბალახი—ძურწა; მის წვეტიან მარცვალს მიმაგრებული აქვს გრძელი ბანჯგვლიანი და მსუბუქი კუდი, რომლის შემწეობითაც ქარს ეს მარცვალი ასს ვერსზე მიაქვს.

როცა შემოდგომაზე მუდმივი და ძლიერი ქარი ქრის, რომელიც თავს მოგვაბეზრებს ხოლმე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორეთ ამ დროს მწიფდება მცენარეების თესლი, და ქარიც ამ დროს ისე მოქმედობს, როგორც მთესველი, რომელიც სავსე პეშვით აქით-იქით მარცვლებს აბნევს. **ნ**უ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ სწორეთ ამ დროს ხშირი წვიმა მოდის და დედამიწას ალბობს, რომ თესლის გაღვივებას ხელი შეუწყოს. **ა**სე, ერთი მეორეს ეხმარება ამ თვალგადუწვდენელს ქვეყანაზე, და არ შეიძლება კაცმა არ იფიქროს, რომ ბუნება უნდა იყოს ქმნილება ერთის ყოვლად შემძლებელის გონებისა. **ვ**ინც მცენარეებს თესლის მომზადება უბძანა, მანვე გააჩინა ქარიც, რომ მწიფე თესლი მიაბნ-მოაბნიოს და გზავნის წვიმას, რომ მიწა გაალბოს.

მაგრამ ესეც არ კმარა: მრავალი ცხოველი უნებლიეთ ხელს უწყობს მცენარეების გამრავლებას. **ა**რის მცენარე ბირკა, რომლის ნაყოფსაც ისეთი მოსაჭიდებელი კაკვები აქვს, რომ ადვილად მოეკიდება ცხოველების მატყლს, ადამიანის ტანისამოსს და ერთი ადგილიდან მიდის და იბნევა სხვაგან. **ზ**ოგი მცენარის ნაყოფი ისეთ მაგარ კანში ზის, რომ ფრინველისაგან შეჭმული, კუჭში მოუნელებელი რჩება და შემდეგ სადმე ძველი ციხის სახურავზე იზრდება. **ა**რის იმისთანა თესლიც, რომელიც მდინარის შემწეობით ზღვისაკენ მიდის; გდია აქ იმდენ ხანს, სანამ ზღვის ღელვა არ გამორიყავს ნაპირას, სადაც ის გაიზრდება! **რ**ასაკვირველია, მრავალი თესლი იღუპება და არ იზრდება; ის მხოლოდ ლპება და ნიადაგს ანოყიერებს; მრავალი თესლი ადამიანისა და ცხოველების საზრდოს შეადგენს; თითოეული მცენარის თესლი ისე მრავალია, მეათასედიც რომ გაიზარდოს, ისიც საკმაო იქნება, რომ მცენარეებმა მთელი ხმელეთი დაფაროს. **ა**მნაირად ბუნებაში ყოველიფერი— ღრუბლები და წვიმა, ქარი და ქარიშხალი, ფრინველები და ნადირნი—ყველა ხელს უწყობს მცენარეების გამრავლებას, რადგან ყველა ემორჩილება **ყ**ოვლად შემძლებელის ნებას.

ხის სიცოცხლე წლის განმავლობაში.

მზე დედამიწას ათბობს; თოვლი დნება და მიწას შორდება. გაზაფხულის თავზე თოვლის წყალი ჩუხჩუხით მორბის. მყუდროზე ზურმუხტივით მწვანე ბალახი ბიბინობს. ამ დროს ხეებიც იღვიძებს, და დიდიხნის დასვენებას შემდეგ მათი ფესვებიც მუშაობას იწყებს.

სოველისა და გამთბარის მიწიდან უთვალავი პაწაწინა ფესვები მსაზრდოებელ სითხის წუწნას შეუდგა; გზავნის ამ წვენს ღეროს საშუალებით ზევით დიდისა და პატარა შტოებისაკენ კვირტებამდი, რომელიც ხემ შემოდგომაზედვე მოიმზადა. ტკბილ წვენს კვირტები ხარბათ დაეწაფენ,—აგერ ისინი გაიჟღინთენ და გაიბერენ. კვირტის პატარა ფოთლებმა, რომელნიც აქამდი პატარა ბუშტებად იყო შეკრული, ნელნელა ზრდა დაიწყეს, ცდილობენ გაიშალონ და პირმცინარედ მიეგებონ გაზაფხულის მზის სხივებს. აი, კვირტი კვირტზე იშლება: სკდება მბზინავი ბუშტი და იფურჩქნება ბრწყინვალე, მწვანე ფოთლები. ამ დროს არც ყვავილის კვირტსა სძინავს: ისიც იზრდება, იშლება, იქცევა ყვავილად, სადაც მომავალი ნაყოფი უნდა ჩაისახოს.

ფესვები ხეს ნიადაგ სულ ახალ-ახალ წვენს უგზავნის; ეს სითხე ყუნწების შემწეობით თვით ფოთლებშიაც შედის და მის ძარღვებში იშლება; ფოთლები დღეობით კი არა საათობით იზრდება. არ გაივლის ორი კვირა, რომ ხე მშვენიერი ზურმუხტის სამოსლით ირთვება. კიდევ რამდენიმე კვირა,—და ფოთლები საკმაოდ გაიზრდება; ახლა ფოთლები თვითონაც ემსახურება მშობელ ხეს, რომელმაც ისინი აქამდი ასაზრდოვა.

ფოთლებს ქვედა მხარეზე თვალით შეუმჩნეველი ტუჩების მზგავსი ფორები აქვს; ამ ტუჩების შემწეობით ფოთოლი ჰაერსა სუნთქავს, ფესვების მიერ გამოგზავნილ წვენს ინელებს და განახლებულს უკანვე გზავნის, აი ამ წვენით ხე ასაზრდოებს ახალ თესლს თავის გვარის გასაგრძობად, ამზადებს ფოთლების უბეებში ახალ კვირტებს, რომლისაგანაც მომავალ წე-

ლიწადს გაჩნდება ახალი შტო, ახალი ყვავილი და ახალი ფოთოლი. ამავე წვენიდან ხის გულში ინახება მსაზრდოებელი სამზადისი მომავალი წლისათვის.—ასე შეუსვენებლად შრომობს ფოთოლი მთელს ზაფხულს.

გათავდა ზაფხული: ხემ ჰაერიდან მიიღო, რაც მდგომარე და მომავალი წლისათვის საჭირო იყო; ფოთლების შრომაც გათავდა; ახლა ისინი ხისათვის საჭირო აღარ არიან. ხიდან ფოთოლი წვენს აღარ იღებს და ჭკნება. მცირე ქარისაგან, ან და თავისითაც ფოთლები ძირსა ცვივა. ბატიტვლებული ხეები ცივ ზამთარს დამშვიდებული ელიან: იმათ უკვე ყველაფერი მოიმზადეს, რაც მომავალი წლისათვის საჭირო იყო. ახალ გაზაფხულზე ხე ახალი ფოთლით შეიმოსება, ძველები-კი უკანასკნელ სამსახურს კიდევ გაუწევს: ისინი დაჰფარვენ ხიდან ჩამოცვინულს თესლს და, როცა სულ მთლად დალპებიან, ნიადაგს შეუერთდებიან და ხეს მსაზრდოებელ სასუქს მისცემენ.

რამდენ ხანს ცოცხლობს ხე.

ზოგიერთი გვარის ხე დიდხანსა ცოცხლობს, ზოგი მცირე ხანს. მუხას ათასი წლის სიცოცხლე შეუძლია, არყის ხეს —ასი წლის, ვერხვას—სამოცის. დიდხანს ცხოვრობს: მუხა, ცაცხვი, ჭანდარი და ურთხელი.

ტფილისის გუბერნიაში ალაზნის ველზე მოეჭრათ უზარმაზარი მუხა, რომლის გულსაც შვიდას ორმოცდა ათი ჭდე ჰქონდა; უნდა ვიფიქროთ, რომ ათასი წლისა მაინც იქნებოდა ეს მუხა. ზული რომ გამოაცალეს, შიგნით თავისუფლად იმართებოდა თუთხმეტი კაცი.

გერმანიის ერთი ქალაქის მახლობლად იდგა ბებერი ცაცხვი, რომლის სახელიც ამ ქალაქს დარქმეოდა. არავინ იცოდა, რამდენი წლისა იყო ეს ცაცხვი: მამები, პაპები და პაპის მამები ამბობდენ, გვახსოვს, რომ ყმაწვილობაში ამ ცაცხვის ქვეშ გვირბენია, გვითამაშნია, გვიმღერია და მოხუცობაში საზოგა-

დო საქმეების საბჭოთ შეკრებილვართო. ქალაქის ძველ მატიანეში ეწერა, რომ ხუთასი წლის წინათ ეს ცაცხვი ისეთი უზარმაზარი და ბებერი იყო, რომ ძველ ტოტებს ვერ იმაგრებდა, და მცხოვრებთ სამოცი ქვის სვეტი შეეყენებიათ მათ გასამაგრებლად; უკანასკნელ დროს ამისთანა სვეტი ას სამოცდა ექვსი ჰქონდა. ცაცხვის მთავარი ღერო ისეთი სხვილი იყო, რომ ხუთ საჟენ-ნახევრიანი თოკი ძლივსღა სწვდებოდა. მისი შტოები დიდ ადგილს ჰფარავდა; ამ ადგილის სიგანე სამოცი საჟენი იყო.

ამერიკაში კიდევ უფრო ამაზე დიდი ხე უნახავთ. ზოგიერთი მათგანი სამი ათასი წლისა ყოფილა. ერთი ამისთანა ხის მოჭრას მუშების მთელი კრება ექვსი კვირა მონდომია. ამ ხის სახელი ველინგტონია არის. როცა ეს ხე წაქცეულა, იმისთანა საშინელი ხმაურობა ატეხილა, რომ ეს ხმაურობა ირგვლივ შვიდ ვერსზე ისმოდა. დარჩენილი ჯირკვი მოასწორეს, გააშალაშინეს და ამ ჯირკვზე ოცდათმა კაცმა და ქალმა თავისუფლად იცეკვა.

როცა ხეს მტრულად არ ეპყრობიან, და იგი თავისუფლად ცხოვრობს, მაშინ ჩქარაც იზრდება, მალეც სქელდება და ღრმა სიბერემდისაც მიაწევს. ამ სიბერის დროს მას გული ულპება, შემდეგ ეს ლპობა თანდათან ქერქისაკენ იწევს და ფუღუროს აჩენს. თუმცა ხე ჯერ კიდევ ცოცხლობს, მაგრამ მას უკვე სიკვდილისაკენ პირი უქნია, რადგან მის გულს ყოველ წელს მეტი აკლდება, ვიდრე ემატება. ამ ნაირათ ხე თანდათან სუსტდება, და ბოლოს დაბერებული, ათას-წლოვანი ყრუ ხმაურობით მიწაზე ეცემა.

მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ყველა ხე სიბერემდი არ ცოცხლობს და ბუნებრივი სიკვდილით არა კვდება: ზოგს მათგანს საკმაო სივრცე, სინათლე, სითბო და მსაზრდოებელი სინოტიე არა აქვს; სხვადასხვანაირი ავათმყოფობაც ძალიან უშლის ზრდას, უმოკლებს სიცოცხლეს და წუთისოფელს უდროოთ ასალმებს. ზამუდმებით ებრძვის ხე გვალვას და ყინვას, ბევრს ითმენს დამღუპველი მწერებისგანაც, მაგრამ უფრო

ხშირად კაცის ხელით იღუპება. ადამიანს თავის საჭიროებისათვის შეუძლიან ბუნების სიმდიდრით გონივრულად ისარგებლოს; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად ადამიანი სულ უგუნური ჟინის დასაკმაყოფილებლად, უმეცარი სიხარბით გატაცებული, ჰკაფავს ხეებს. ხშირად ხუმრობის გულისათვის ხეს ტოტებს უმტვრევენ, გასართობად სჭრიან ახალგაზდა ხეებს, ძირიანათ ჰგლეჯენ მათ, ან ნაჯახით სასიკვდილოდ დასჭრიან ხოლმე და კანს შემოაძრობენ: დგას უბედური ხე ჩუმად და მდუღარე ცრემლებს აპკურებს დაჭრილ ადგილებს, დიდხანს ავათმყოფობს და უდროოდ წუთისოფელს ესალმება.

ზაუმაძღარი ანგარებისა გამო, ხშირად საუკუნოებით ნაშენ ბაღებსა და ჭალებს და თვით დაბურულ ტყესაც პირქვე დასცემენ ხოლმე. ადამიანს არც ის ეპატიება, რომ ახალ ტყეში შინაურ პირუტყვს უშვებს და პირითა და ფეხით ხეების ყლორტებსა და შტოებს აფუჭებინებს. ამას შედეგად ის მოჰყვება ხოლმე, რომ სიცოცხლით სავსე ტყის მაგიერ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ უსიცოცხლო ჯირკებს.

თხელდება და ძირიანად ამოვარდება ხოლმე დაბურული ტყე, რომელიც მიწის სინოტივის შემნახველია და ძლიერი ქარიშხლის მებრძოლი. შრება მოტიტვლებული დედამიწა; ახლა ცივსა და ცხელ ქარსაც თავისუფლად შეუძლია ინავარდოს ამ ქვეყანაში, ასი ვერსის მანძილიდან გადმოიტანოს სილა და დამუშავებული ყანები, ბაღები, ნოყიერი საძოვრები სილით დაფაროს და წაახდინოს. ამისთანა ქვეყანაში გვალვა და შიმშილი, რასაკვირველია, ხშირი სტუმარი იქნება. ამ ქვეყნის ოდესმე დიდი მდინარენი თანდათან თხელდება; რაც ამ მდინარეების შემწეობით საქმე კეთდებოდა, ყველა მოსპობილა.—მერე ვინ არის აქ დამნაშავე?

რასაკვირველია, თვითონ ადამიანი, რომელმაც ტყის მოსპობით მოუმზადა თავის თავს და მომავალ თაობას საშინელი უბედურობა.

ქვავილი.

ყვავილია მცენარის უმთავრესი ნაწილი. ყვავილში თესლი ჩნდება, თესლისგან იზრდება ახალი მცენარე. თესლი რომ არ იყოს, არც ახალი მცენარე გაიზრდებოდა. ზოგიერთ მცენარეს ფრიად ლამაზი ყვავილი აქვს; ბევრს ყვავილს მეტად სასიამოვნო სუნი უდის: მოიგონეთ ვარდი, ია, მიხაკი და სხ. ავიღოთ რომელიმე ყვავილი და დავუკვირდეთ, რა ნაწილებისაგან არის იგი შემდგარი. აი, დავაკვირდეთ, თუ გინდ ვარდის მშვენიერ ყვავილს, ჩვენს ბაღებს რომ ამკობს, სასიამოვნო სუნი და ფართო, წითელი ფოთლები აქვს. შუაგულ ყვავილში წრესავით შემოჰყვება თეთრი და ყვითელი ძაფები, რომელსაც პატარა ყვითელი პარკის თავები აქვს. ამ წრის შუაზე ყვავილის სილრმიდან ამოზრდილა ერთი ან ორი მილი, რომელიც გარეგნობით ფილთაქვას ემზგავსება. ეს უკანასკნელნი უფრო ცხადათ გამოჩნდებიან, ყვავილი რომ სიგრძეზე გაიჭრას. თითოეული ეს მილი ჩასულია ყვავილის სილრმეში და თავდება გაგანიერებული ძირით ანუ ბუდით. თითოეულ ძაფის პარკში მწიფდება მტვერი, ამიტომაც ეს თავი იწოდება სამტვერედ. წრის ნაპირებზე რომ ძაფებია, პალოებათ იწოდება; წრის შუაზე რომ მილია, სანაყოფე ჰქვიან. სამტვერე რომ დამწიფდება, გასკდება და იქიდან გადმოცვივნილი მტვერი სანაყოფეს თავზე დაცვივდება. სანაყოფეს ზედა წვერს ტუჩი ჰქვიან: როცა მტვერი სამტვერედან ამ ტუჩს დაეცემა, მტვერი მილის შემწეობით სანაყოფეს ბუდეში მიდის, აქ ჩაისახება ნაყოფი ანუ თესლი. უმტვეროდ არაოდეს თესლი არ ჩაისახება. ყვავილს უფრო კარგი თესლი და ნაყოფი მაშინ გამოუვა, როცა ერთი ყვავილის მტვერი მეორეზე გადაიტანება. მტვერი გადააქვს ქარს, უფრო ხშირად-კი მწერებს: ფუტკარს, პეპელას და სხ. ყვავილი მწერებს იზიდავს თავისი სილამაზით, სურნელებითა და ტკბილი წვენით. ეს წვენი ყვავილის შუაგულში არის ხოლმე. მწერები ყვავილზე დაფრინავენ და თავისი ფეხებითა და მუცლით ერთი ყვავილის მტვერი მეორეზე

გადააქვთ. Ყვავილები სხვადასხვა სახის არის, მაგრამ ყველა ისინი ერთისა და იმავე უმთავრესი ნაწილებისაგან შესდგება; ეს ნაწილებია: სანაყოფე და პალოები. Ცოტაა იმისთანა ყვავილი, რომ ეს ორგანოები არა ჰქონდეს: ამისთანა ყვავილი თესლსაც არ იკეთებს, ამიტომ მათ ეძახიან სუტყვავილას. Არის იმისთანა მცენარეებიც, რომ ყვავილი სრულიად არ აქვს, მაგალითად, გვიმბრა სოკო, ხავსი. Ესენი თესლით კი არა, სპორით მრავლდებიან. Სპორა არის ნამცეცა ბუშტი, განსაკუთრებული სითხით გავსებული, რომელიც უყვავილო მცენარის პატარა პარკებში ჩნდება. Როცა ეს პარკები გასკდება, იქიდან გამოსული ბუშტებისაგან იმავე გვარის უყვავილო მცენარე გაიზრდება. Ზოგი ბუშტი ბურთივით რგვალია, ზოგი თევზის ბუშტსა ჰგავს, ზოგი გარეგნობით სიგარის მზგავსია და ზოგი იმისთანაა, რომ წყალში, როგორც ცოცხალი რამე, ისე მოძრაობს და დაცურავს.

მწერები და მცენარეები.

Რათ უნდა ყვავილებს ბრწყინვალე სამოსელი? რათ უნდა სურნელება და ტკბილი წვენი? Ყველა ეს სიტურფე და სიკეთე ჩვენთვის კი არა, მცენარეთა მეგობრებისათვის არის შემზადებული: პეპელისა, ფუტკრისა, კრაზანისა, სხვადასხვა ბუზისა და ბუზანკალისათვის. Აგერ ფუტკარმა ლამაზი ყვავილი დაინახა, ან შორიდანვე მისი სურნელება იყნოსა და მხიარული ბზუილით გაეშურა პირდაპირ იმ ყვავილისკენ: დააფრინდა მას და ჩაუშვა მის სილრმეში თავისი გრძელი ენა —ხორთუმი, რომ იქიდან ტკბილი წვენი ამოწუწნოს. Ფუტკარი ყვავილიდან წვენსა სწუსნის და თან მუცლითა და ფეხებით ტოკავს; ამ დროს ტანსა და ფეხებზე ყვავილის მტვერი მიეკრა. Თქვენ უკვე იცით, რომ ეს მტვერი გადმოცვინულია პალოების მწიფე პარკებისაგან. Ახალ საზრდოს საძებნელად ფუტკარი ამ ყვავილიდან მეორეზე გადაფრინდა და თავისი

ბანჯგვლებით იქ ყვავილის მტვერი გადიტანა. დაჯდა ახლა მეორე ყვავილზე და იქაც ხელახლად ჩაუშვა თავისი გრძელი ენა; აქ, უეჭველად, დასტოვებს რამდენიმე მტვერს, რომელიც მან პირველი ყვავილიდან მოიტანა. ასე ესტუმრებიან ხოლმე მწერები ყვავილებს და გადააქვთ მტვერი ერთისაგან მეორეზე: ყვავილებისათვისაც ეს არის საჭირო.

უმტვეროდ არც ერთი თესლი არ ჩაისახება. მტვერი უსათუოდ სანაყოფეს ტუჩს უნდა მოხვდეს და მის შუა გულში ფესვი უნდა გაიდგას. რაც მტვრის შუა გულშია, იმან უნდა ამ ფესვის შემწეობით სანაყოფეს ბუდის სიღრმემდი მიაწიოს, მივიდეს თესლის ბუდემდი, რომელიც დაბლა იმყოფება. მტვერი ამ ბუდეს უნდა შეუერთდეს, და ბუდე მხოლოდ ზრდას მაშინ დაიწყებს და შემდეგ დამწიფებულ თესლად გადიქცევა.

ყველა მცენარეს თავისებური მტვერი აქვს, რომელიც სხვა მცენარის მტვრისაგან განსხვავდება. თუ გვინდა, რომ ყვავილის მტვრისაგან რაიმე სიკეთე გამოვიდეს, უეჭველად ის იმავე მცენარის ყვავილის სანაყოფეს უნდა მოხვდეს: ცერცვის ყვავილის მტვერი—ცერცვისას უნდა მოხვდეს, ლობიოს მტვერი—ლობიოსას, კარტოფილისა—კარტოფილისას და ასე, ამ გვარად.

ვისაც ფუტკრებისა და კრაზანებისათვის ყურადღება მიუქცევია, ის უეჭველად შენიშნავდა, რომ თითოეულ ფუტკარსა და კრაზანას ერთისა და იმავე ყვავილების სტუმრობა უყვართ.

თუ ფუტკარი იონჯას ყვავილს დააჯდა, როცა აფრინდება, ისევ იონჯას ყვავილს დააჯდება; მეორე ფუტკარი ცერცვის ყვავილიდან ისევ ცერცვის ყვავილზე დაჯდება, მესამე—პიტნის ყვავილიდან პიტნისაზე გადაფრინდება.

ასე იქცევიან სხვა მწერებიც. უმიზეზოდ ყვავილების გამოცვლა არ უყვართ. თუ რომელიმე ყვავილი მოეწონათ, მას დიდხანს არ მოსცილდებიან.

მსგავსება ცხოველთა და მცენარეთა შორის.

ცხოველთა და მცენარეთა შორის დიდი მსგავსება არის: ცხოველებსათვის საჭიროა სითბო, საზრდო, წყალი და ჰაერი; მცენარესაც უამისოთ ცხოვრება არ შეუძლია. ცხოველი სუნთქავს, ე. ი. ითვისებს მჟავბადს და ამოისუნთქავს ნახშირბადს, მაგრამ მცენარეც ხომ სუნთქავს: ისიც ითვისებს მჟავბადს და ამოისუნთქავს ნახშირბადს. ცხოველიც საზრდოობს და მცენარეც. მცენარე საზრდოობს იმ სახით, რომ ფესვების შემწეობით მიწიდან ამოაქვს წყალი და წყალში გახსნილი მინერალები. საზრდოობს მაშინაც, როცა ფოთლებით ჰაერიდან ნახშირბადს ითვისებს და აქიდან სახამებელს ამზადებს.

ცხოველი შესდგება უჯრედებისაგან, მცენარეც ხომ უჯრედებისაგან არის შემდგარი. ცხოველი იზრდება, მცენარეც ხომ იზრდება. ცხოველი შვილებს ბადებს, ე. ი. მომავალ თაობას ამრავლებს, მცენარესაც ხომ თესლი აქვს, რისგანაც მისი შვილები, ე. ი. მისთანა მცენარე იზრდება.

ცხოველი კვდება, მცენარეცა კვდება. ცხოველს აქვს სხეულის ნაწილები: თავი, ტანი, ხელ-ფეხი, ან ფრთები; მცენარესაც თავისი ნაწილები აქვს: ფესვები, ყვავილები და სხ. ალბათ თქვენ ახლა იტყვით, რომ ცხოველები მოძრაობენ, მაგალითად, მგელი სანადიროთ დარბის, ნადირს იჭერს, სჭამს მის ხორცს და კუჭის წვენის შემწეობით ინელებს. ზოგიერთი მცენარე ცხოველს ამ მხრითაცა ჰგავს; მაგალითად, არის მცენარე ბუზი-ჭამია. ისიც ხომ ბუზებს იჭერს: ბუზი მისი ნანადირევია. ეს მცენარეც ბუზის ხორცს საკუთარი წვენით ინელებს და ეს წვენი კუჭის წვენს მიემზგავსება. ბუზი-ჭამიას ფოთოლი ნამდვილი მახეა: როგორც-კი დაუდევნელი ბუზი ამ ფოთოლს დააჯდება, ფოთოლი მაშინვე შეიკეცება, მსხვერპლს შუაში მოიყოლიებს და ასე დატყვევებული უჭირავს. ბუზი საცოდავათ წვალობს, ხან მახის ერთ მხარეს ეცემა, ხან მეორეს, როგორც ეს სახლის ფანჯარაზე იცის ხოლმე. მაგრამ მეცადინობა ამაოდ ჩაუვლის: რამდენს მეტს ცოდვილობს, ფოთოლი

იმდენად უფრო ღონივრად ჰქაჩავს. Ფოთოლი რომ ბუზს დაიჭერს, თან წვენს გამოუშვებს; ამ წვენში ბუზის ხორცი იხსნება; შემდეგ ფოთოლი ასე შესწუწნის ამ ხორცს, თითქო ეს ფოთოლი კი არა, კუჭი ყოფილიყოს. Სცადეს ამ ფოთოლში ხორცის ჩადება და ხორცსაც ის დაემართა, რაც ბუზსა: მცენარის წვენში ის გაიხსნა, როგორც ცილი იხსნება ცხოველის კუჭის წვენში.

Არის კიდევ მეორე მცენარე, პირველზე უფრო საკვირველი. Ამ მცენარეს ქოთნის-მატარებელს უწოდებენ. Მისი ფურცელი ძალიანა ჰგავს ლამაზ ქოთანს, მაგრამ ეს ქოთანი მწერებისათვის ნამდვილი მახეა. Მცენარე მწერებს იზიდავს, შემდეგ ხოცავს მათ და შეექცევა. Ეს ქოთნები ზოგჯერ ისე დიდები არის, რომ შიგ კატის კნუტი თავისუფლად ჩაეტევა. Მცენარემ რომ მწერი მოიტყუოს, ქოთნის პირზე ტკბილ წვენს იკეთებს. Თუ მწერი ქოთნის შუა-გულს მოხვდა, ის უთუოდ დაიღუპება: მოხვდება წვენში და იქ ისე გაიხსნება, როგორც ჩვენს კუჭში ცილა, ან როგორც წყალში შაქარი.

Არის კიდევ ერთგვარი მცენარე, რომელსაც უკადრისა ანუ უკარება ჰქვიან; ეს სახელი ზედ-გამოჭრილია ამ მცენარისათვის. Მართლაც და, მიეკარება თუ არა ამ მცენარეს რამე, მაშინვე შეკეცავს თავის ფოთლებს და ძირს დახრის, თითქო შეხებით ტკივილსა ჰგრძნობდეს, როგორც ამას ჰგრძნობენ ცხოველები. Ასე იქცევა ეს ხე დაღამებისასაც: ფოთლებს შეკეცავს, ძირს დახრის და ღამე ისე სძინავს. Მაგრამ გათენდება თუ არა, ხე იღვიძებს, ფოთლებს შლის და ისწორებს. Რანაირად მიემზგავსება ეს მცენარე იმ ცხოველს, რომელიც საღამოთი იძინებს, დილით იღვიძებს, ისწორებს სხეულის ნაწილებს და ისე მოქმედობს! Ამისთანა თვისება აქვს არა მარტო ამ უკადრისას, არამედ მრავალ სხვა მცენარესაც.

Არის კიდევ მცენარე, რომელსაც ზაფრანას ეძახიან: იგი დღისით საუცხოვო სანახავია; დგას მშვენივრად ფოთოლ-გაშლილი და თავისი სილამაზით ანდამატივით იზიდავს მწერებს. Მაგრამ აგერ მოახლოვდა ღამე, აცივდა, სინოტივე დადგა, ზაფ-

რანამ ფოთლები მაღლა აიწია და ყვავილს ყოველი მხრიდან საბანივით მოახურა, თითქო უფრთხილდება, ყვავილს არ შესცივდესო.

ვიცით, რომ წამლებით ადამიანის დაძინება შეიძლება. როცა ავათმყოფს ხელის ან ფეხის მოჭრა სჭირდება, მას ხლოროფორმს აყნოსებენ; ავათმყოფი იძინებს და ტკივილს ველარა ჰგრძნობს. მეცნიერებმა იფიქრეს, იქნება ხლოროფორმმა მცენარეც დააძინოსო. ამ საკითხის გადასაწყვეტად აიღეს მცენარე უკადრისა; ხლოროფორმით გაჟღენთილი ღრუბელი დადვეს მასთან და მინის სახურავი ყალფაკი გადააფარეს. იცით, რა მოხდა? ხლოროფორმის ორთქლმა უკადრისა მართლა დააძინა: ის ხელის შეხებას აღარა გრძნობდა და ფოთლებს აღარც კეცდა და აღარც ძირსა ხრიდა.

ცხოვრების კანონები.

I

არსებობისთვის საბრძოლად ცხოველები და მცენარეები ვინ შეაიარაღა? საიდან შეიძინეს მათ სხვადასხვა საბრძოლველი და მოსაგერებელი იარაღი? როგორ შეიძინეს ცხოველებმა «მფარველი ფერი»? როგორ გაჩნდა ბრწყინვალე და კეკლუცი ყვავილების ფოთლები? როგორ გაჩნდა ეკლიანი მცენარე, შხამიანი ბალახი, კლანჭებიანი ნაყოფი?

ამ კითხვებზე სხვადასხვა პასუხს იძლევიან, მაგრამ ყველაზე უფრო სწორ პასუხად ის ითვლება, რომელიც მოგვცა დიდებულმა მეცნიერმა ჩარლს დარვინმა. მაშ ყური დავუგდოთ, რას გვეუბნება ეს მეცნიერი. დავიწყოთ სულ უბრალოდან: ეს უფრო გასაგები იქნება. ვსთქვათ, ერთს რომელსამე ქვეყანაში ძუძუს-მაწოვარი ცხოველი ძალიან გამრავლდა; საჭმელი აღარ ეყოთ. უნდა როგორმე თავი დააწიონ საშინელ უბედურებას: შიმშილი რომ თავიდან აიცდინონ, ცხოველების ერთმა ნაწილმა შეჩვეული ბინა უნდა მიატოვოს და ჩრდილო-

ეთისაკენ მიიწიოს. მაგრამ აქ იმათ ახალი განსაცდელი ხვდებათ. ჩრდილოეთი ცივი ქვეყანაა; ყინვა და სიცივე აქ ხანდახან მეტად სასტიკია. ზადმოსახლებულნი კი მიჩვეულნი არიან უფრო თბილ ჰავას. სიცივემ ისინი ძალიან შეაწუხა. მათმა რიცხვმა თანდათან იკლო: ყინვა ბევრმა ვერ აიტანა და მოკვდა. მაგრამ ყველა არ დახოცილა: წინააღმდეგ შემთხვევაში ჩრდილოეთში არც ერთი ცხოველი არ იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იქ ახლა მრავალი ცხოველია. მაშ რომელი გადარჩა სიკვდილს? რასაკვირველია, ის, რომელმაც ცხოვრების ახალი პირობების შეგუება მოახერხა. სადაც ძალიანა ცივა, იქ თბილი ბეწვიანი ქურქი საიმედო სახსარია, რომ ცხოველმა სიკვდილისაგან თავი დაიცვას. ზადმოსახლებულთა რიცხვში ალბათ ბევრნაირნი იქნებოდენ: ზოგი მათგანი სქელი და თბილი ბეწვით იქნებოდა შემოსილი, ზოგს ბეწვი ნაკლები ექნებოდა. აი, სწორეთ პირველნი იყვნენ ის ბედნიერნი, რომელნიც სიკვდილს გადურჩენ. სქელ-ბეწვიანმა მშობლებმა სქელ-ბეწვიანი შვილები დატოვეს. მაგრამ ამათშიაც ბევრს საკმაო თბილი ქურქი არ ექნებოდა. ცხადია, სიცივე უფრო მეტად შეაწუხებდა, ვისაც თხელი და მოკლე-ბეწვიანი ქურქი ჰქონდა, ვიდრე უფრო თბილ და ხშირ-ბეწვიანებს. ცხადია, რომ ეს უკანასკნელნი უფრო დიდხანს იცოცხლებდენ და შთამომავლობასაც მეტს დასტოვებდენ, ვიდრე პირველნი. ამ გვარად, წლითიწლობით გადმოსახლებულთა შორის მრავლდებოდენ უფრო სქელ და თბილ-ბეწვიანი ცხოველნი; ხოლო თხელ-ბეწვიანთა რიცხვი თანდათან კლებულობდა. საქმე ისე მიდიოდა, თითქო რაღაც უხილავი და ძლიერი ხელი არჩევდა: „შენ რჩეული ხარ, იცხოვრე და გამრავლდი; შენ არ ვარგიხარ, აქ ადგილი არა გაქვს, ცოცხლების სიიდან უნდა ამოიშალოო.“ მართლაც, თხელ-ბეწვიანი, ცივი ჰავის ვერ ამტანი, კვდებოდა; ხოლო ხშირ-ბეწვიანი თამამდებოდა და მრავლდებოდა. როცა მრავალმა საუკუნემ გაიარა და ამ დროის განმავლობაში რამდენიმე ასი შთამომავლობა ერთი მეორეს გაჰყვა, მაშინ ჩრდილოეთში დარჩენ უმთავრესად ის ძუძუს-მაწოვარნი ცხოველნი,

რომელთაც ჩვენ გრძელბეწვიანს ვეძახით. ამ გვარად, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცივ ქვეყანაში დასაბამიდანვე უცხოვრიათ გრძელბეწვიან ნადირებს; არც ის უნდა გვეგონოს, ვითომც ეს გრძელი ბეწვი ამ ნადირებს გაჩენისთანავე თან დაჰყვათ. არა, უწინ ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებოდენ თავის მოძმეთაგან, რომელნიც ახლა თბილ ქვეყანაში ცხოვრობენ; გრძელი ბეწვის გაჩენა მაშინ დაიწყო, როცა ეს ნადირი ბედმა ჩრდილოეთისაკენ გადმოტყორცნა, როცა საჭირო შეიქნა მისთვის თბილი ქურქის შეძენა,—ქურქი უცებ არ შექმნილა, არამედ თანდათანობით, საუკუნოებით, შეუმჩნეველად. როგორ «დაიწყო ეგ შექმნა»—ეს ზევით მოვიხსენეთ; თხელბეწვიანი იღუპებოდა, ხოლო სქელბეწვიანი მრავლდებოდა.

II

ავიღოთ მეორე მაგალითი. ძვიშიანსა და ქვიან ვაკეზე ცხოვრობენ ხვლიკები, რომელნიც თავისი საცხოვრებელი ადგილის ფერს ითვისებენ. ვინ მისცა მათ ასეთი გამოსადეგი და მოხერხებული სამოსელი? რასაკვირველია, თვითონ ისინი ამას თავისით ვერ იშოვნიდენ. ვის გაუგონია, რომ ცხოველმა ისეთი ფერის სამოსელი ჩაიცვას, როგორიც თვითონ უნდა? ამისთანა სისულელეს არავინ დაიჯერებს. თავის ნებაზე სამოსელის გამოცვლა არც ფრინველს, არც ხვლიკს, არც სხვა ცხოველს არ შეუძლია. თვითონ ბუნება მოსავს თავის შვილებს ან ასე, ან ისე—ადგილისა და დროის შესაფერად.

როგორ მოქმედობს ბუნება ამ შემთხვევაში—ამას ახლავე დავინახავთ.

ძვიანსა და ქვიშიანს ვაკეებზე, საფიქრებელია, რომ ოდესმე უნდა ყოფილიყო ყოველნაირი ფრინველი და ხვლიკი. მათი სამოსელი სხვადასხვანაირი იქნებოდა: ზოგის სამოსელი უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ზოგისა ნაკლები. არც ერთსა და არც მეორეს მტაცებელი ფრინველი და ნადირი არ დაინდობდა. განსაკუთრებით, შეწუხებული იქნებოდენ ამაში უმწეო და

დაუდევნელი შვილები. ვინ შეიქნებოდა ამათგან მტაცებლების ხშირი მსხვერპლი? რასაკვირველია, ის, რომელსაც უფრო ხშირად დაინახავდა მტაცებელი, ე. ი., რომელსაც უფრო თვალსაჩინო ბუმბული და ქერცლი ექნებოდა. მაშასადამე, ყოველ წელიწადს რიცხვი თვალსაჩინო ფრინველებისა და ხვლიკებისა უნდა შემცირებულიყო. მრავლდებოდენ თვალსაჩინო ცხოველებიც და ისინიც, რომელნიც ფერით ქვასა და ქვიშას მიემზგავსებოდენ; მაგრამ უკანასკნელთა რიცხვი მეტი გადურჩებოდა სიკვდილს, ვიდრე პირველნი. ერთი სიტყვით, ვისი სამოსელიც ნაკლებ შესამჩნევი იყო, ისინი უფრო ადვილად ემალებოდენ მტერს; ჩანს, აქაც ყოფილან რჩეულნი, რომელნიც მეტს ცოცხლობდენ და თავის შემდეგ მეტს შთამომავლობას სტოვებდენ. აქაც იმასა ვხედავთ, რაც დავინახეთ ძუძუს-მაწოვარ ცხოველების მაგალითზე, რომელნიც გაჭივრების გამო ჩრდილოეთს გადასახლდენ; აქაც დიდიხნის განმავლობაში არჩევანი სწარმოებდა: ზოგი თანდათან ისპობოდა, ზოგის რიცხვი მრავლდებოდა.. ისპობოდენ შეუგუებელნი. შეუგუებელნი ისინი იყვენ, ვისი სამოსელიც ცხადათ სჩანდა ქვიშასა და ქვებში, ხოლო შეგუებულნი იყვენ ის ფრინველები და ხვლიკები, რომელთა სამოსელიც თავისი ფერით არ განსხვავდებოდა ქვიშისა და ქვის ფერისაგან. ამ შემთხვევაში არჩევანი მოხდა მტაცებლების წყალობით: მტაცებლები სპობდენ ქვიშიანს ვაკეზე ადვილად დასანახ ცხოველებს და სტოვებდენ ცოცხალს ძნელად დასანახს. მტაცებლები ასე იმიტომ კი არ იქცეოდენ, რომ ძნელად დასანახი ცხოველები მოსწონდათ და სასიკვდილოთ არ ემეტებოდათ,—არა, სრულიად არა: ისინი ადვილად ვერ ამჩნევდენ ამათ და ამის გამო ხელს ვერ ახლებდენ.

ეს შეგუება სწარმოებდა საუკუნოებით, და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ქვიშიანი ადგილების მცხოვრებლებათ თანდათან დარჩენ ქვიშის ფერის ბუმბულის მქონებელი ფრინველები და ამავე ფერის ხვლიკები. ამგვარადვე გაუჩნდა თეთრი სამოსელი ცივი ჩრდილოეთის ცხოველებს, მწვანე ფერისა—

მუდამ-მწვანე ტყის ცხოველებს, რუხი ფერი—ბევრს ბინდისა და ღამის ცხოველებს და სხ.

III

მცენარეებსაც სწორეთ ამ სახით გაუჩნდათ არსებობისათვის ყოველნაირი საბრძოლველი იარაღი: ვნახოთ, მაგალითად, როგორ გაჩნდა ყვავილების სხვადასხვანაირი ბრწყინვალე და მშვენიერი ფოთლები. **ვ**სთქვათ, მინდორში ვართ. **მ**ინდორი მოფენილია მრავალნაირი ყვავილიანი მცენარით. **მ**ათი ყვავილი მაინცა და მაინც თავისი სილამაზით ჩვენს ყურადღებას არ იქცევს; მიმზიდველი მათ ძალიან ცოტა-რამ აქვთ. **მ**აგრამ ამათში არის რამდენიმე, რომელიც სხვებზე უფრო ლამაზია. **მ**ინდორში დანავარდობენ კრაზანები, პეპლები, ფუტკრები, ბუზანკლები და ამ ყვავილებიდან თავისი საზრდო მიაქვთ.

ლამაზი ყვავილები მწერებს უფრო იზიდავს, ამიტომაც ყველა მწერი ამ ყვავილებს უფრო ეტანება, უფრო ხშირად ესტუმრება; ჩვენ უკვე ვიცით, რომ მწერებს ერთი ყვავილიდან მეორეზე ყვავილის მტვერი გადააქვთ და მტვრის გადატანა ხომ მცენარეთათვის ძალიან სასარგებლოა. **ვ**აივლის ზაფხული. **მ**ინდორში ყვავილი აღარა ჩანს. **ყ**ვავილის მაგიერ მცენარეების ღეროებზე ვხედავთ თესლიან ნაყოფს. **ა**ხლა თქვენ რას ფიქრობთ, რომელ მცენარეზე უფრო მეტი სხვილთესლიანი ნაყოფი იქნება—მათზე, რომელთაც წვრილი და შეუმჩნეველი ყვავილი ჰქონდათ, თუ მათზე, რომელთაც მოზდილი, ლამაზი და ადვილად დასანახი ყვავილი? **რ**ასაკვირველია, ამ უკანასკნელებზე. **ა**სე რატომ მოხდა? **ვ**იტომ, რომ მწერები ამ ყვავილებს უფრო ხშირად ესტუმრებოდენ ხოლმე. **დ**ადგება ახალი გაზაფხული, და ჩვენი მინდორი ისევ ყვავილებით შეიმოსება; ახლა ლამაზი ყვავილი უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა გაზაფხულს იყო, რადგან მწერების შემწეობით ლამაზი ყვავილი მეტი გამოინასკვა და ამ ყვავილებმა მეტი საუკეთესო ნაყოფი და თესლი გაიკეთეს. **ა**ხლა ამ ლამაზ ყვავილებში, ცხადია,

ულამაზესიც იქნებოდა; მწერები ამათ უფრო ხშირად ესტუმრებოდენ და მომავალ გაზაფხულს (ჩვენის ანგარიშით მესამე გაზაფხულს) გამრავლდებოდა მეტი ულამაზესი ყვავილი. ასე თანდათანობით უფრო ლამაზ-ყვავილიანი მცენარენი გამრავლდებოდა, ხოლო ნაკლებ ლამაზ-ყვავილიანი მცენარენი თანდათან შემცირდებოდა. კიდევ არჩევანი მოხდა! მრავალს გაჩენილ მცენარეთაგან დარჩა მცირე რიცხვი რჩეულთა. ამ შემთხვევაში რჩეულთა რიცხვში ის მცენარენი მოხვდენ, რომელთაც უფრო ლამაზი ყვავილი ჰქონდათ. აქიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ იყო დრო, როცა ლამაზ-ყვავილიანი მცენარენი ქვეყანაზე იშვიათად მოიძებნებოდა და, რომ ეს ლამაზ-ყვავილიანი მცენარენი გაჩნდენ არა ვისიმე თილისმობით, არამედ თანდათანობით; ამასთან სილამაზე ყვავილებს ემატებოდა თანდათანობით და არა უცებ. მწერების მუშაობა შეუმჩნეველი იყო, და ყვავილების გადაგვარებაც და გალამაზებაც შეუმჩნევლად სწარმოებდა, სანამდი, ჩვენ რომ ახლა ვხედავთ, იმგვარი შეიქნებოდენ.

IV

აი, ასე მიმდინარეობს ქვეყანაზე ცხოვრება. ყველა ღვთისაგან გაჩენილი ცოცხალი არსება დედამიწაზე ერთისა და იმავე სურვილით არის გამსჭვალული—ეს სურვილი სიცოცხლის წყურვილია. მაგრამ სიცოცხლის უფლება დიდი შრომით უნდა შეიძინოს, რადგან ეს სურვილი მრავალს აქვს, ხოლო ადგილი და საზრდო მცირე რიცხვისათვის არის მომზადებული. აქიდან წარმოსდგება ბრძოლა არსებობისათვის. ებრძვის ძლიერი უძლურს, ტოლი—ტოლს, ებრძვის მტაცებელი თავის მსხვერპლს, ერთი გვარის ცხოველნი ებრძვიან მეორე გვარისას, ებრძვიან ღვიძლ ძმებსაც; ებრძვის მცენარე ცხოველს და ცდილობს, როგორმე თავიდან მოიცილოს, ებრძვის მცენარე მცენარეს საზრდოსა, ჰაერისა, სინათლისა და სითბოსათვის; ებრძვიან მცენარეთა და ცხოველთა სამეფონი ბუნების სასტიკსა და შეუბრალებელ ძალებს—სიცივესა და ყინვას, მეხსა და ქარიშხალს. დედამიწის ზურგზე ყოველ წამს მილიონობით

სწარმოებს ომი. ომებში არ ისმის არც სამხედრო მოწოდება, არც ზარბაზნის ქუხილი, არც ნაღარისა და დაფის ხმა; შეიძლება იშვიათად გაიგონო ტყესა ან მინდორში ნადირის საზარელი ღრიალი ან მისი მსხვერპლის სიკვდილის წინ უკანასკნელი ამოკვნესა; უმეტესად-კი, როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება მათ შორის ჩუმია, შეუმჩნეველი, წყნარი, როგორც ჩვეულებრივი, აუცდენელი და საჭირო. ვინც ამ ბრძოლისათვის უკეთესად არის შეიარაღებული, მას ეძლევა სიცოცხლის უფლება; ვინც საომრად ვერ მოეწყო, ვერ შეეგუა გარემოებას, ის ბრძოლის ველს უნდა მოსცილდეს და ადგილი უფრო ბედნიერ მებრძოლს დაუთმოს.

V

მთელს დედამიწაზე ყოველ წამს რაღაც არჩევანი სწარმოებს: ერთი რჩება, მეორე იღუპება. ეს არის მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრების კანონი. ამ კანონს ვერავინ ასცდება, მის ძალას ვერავინ გაექცევა. მცენარე, რომელიც გვალვისაგან თავს ვერ დაიცავს, ჭკნება; ცხოველი, რომელიც აგრეთვე საშინელი სიცივისაგან თავს ვერ იცავს, იღუპება. ვისი ბრალია ეს? ბრალს ვერავის დავდებთ. ასეთი ყოფილა ქვეყანა: ყველაფერი აქ მომართულ მანქანასავით სწარმოებს, ბუნების აუცდენელი კანონების თანახმად. ვის შესჩივლებ ამას? ვერავის. და არც არავინ უნდა იჩივლოს, არამედ ყველამ უნდა შეგნებულად ისარგებლოს ამ გაკვეთილებით, რომელსაც თვითონ ცხოვრება გვაძლევს. და, აი ერთი ამ გაკვეთილთაგანი, რომელიც შეითვისეს ზოგიერთი გვარის ცხოველებმა: ცალკე ცხოვრება, როცა გარშემო მტერთან ბრძოლა გჭირდება, უფრო ძნელია, ვიდრე ცხოვრება საზოგადოებაში. საზოგადოება—საიმედო ძალაა, საზოგადოება—კარგი შკოლაა, სადაც სულით გამხნევდები და ჭკუა-გონებასაც შეიძენ. ეს კარგად ესმისთ ზოგიერთი გვარის ცხოველებს; ამიტომ ისინი არც ცალ-ცალკე ცხოვრობენ, არც ოჯახობით; ისინი მეგობრულ საზოგადოებად ცხოვრობენ. ამ საზოგადოების წევრნი შრომასა, ლხინსა

და ჭირში ამხანაგები არიან. **ე**რთად იშენებენ საცხოვრებელ ბინას, ერთად ეძებენ საზრდოს, ერთად ებრძვიან მტერს, ერთად ითმენენ ნაკლებულებასა და მწუხარებას, ცდილობენ, უბედურებაში ერთმანეთს მოეხმარონ, უშველონ და სუსტი მტერს არ დააჩაგვრინონ. **რ**აკი გაჭირვებამ ერთად ცხოვრება არგუნათ, ესენი ერთმანეთს ეთვისებიან, ერთმანეთი უყვართ და ამხანაგობა ბედნიერებად მიაჩნიათ. **მ**ეგობრობა, ერთმანეთის დახმარება და სიყვარული—ეს ის სიყვარულია, რომელიც ზოგჯერ ამხანაგს აიძულებს ამხანაგისთვის სასიკვდილოდ თავი გამოიმეტოს, ეს არის საუკეთესო საშუალება, რომ ყოველი სულდგმული ცხოვრების დაბრკოლებას გაუმკლავდეს.

VI

ამ გვარად, თვითონ ცხოვრებას დაუცხრომელის ბრძოლის კანონის წინააღმდეგ წამოუყენებია კანონი ამხანაგობისა, მეგობრობისა და თავგანწირული სიყვარულისა. **მ**ცენარეთა სამეფოში ამ კანონს საფუძველი არ აქვს; ცხოველთა სამეფოში იშვიათია; ხოლო, რაიცა შეეხება ადამიანებს, ამათ აქამდი უნდა შეეგნოთ და მიხვედრილიყვნენ, რომ გონიერ არსებას არ შეშვენის, იხმაროს არსებობის ბრძოლაში ის საშუალება, რითაც ცხოველთა უმეტესი ნაწილი სარგებლობს.

არსებობისათვის ბრძოლა ადამიანსაცა სჭირდება—ამას ლაპარაკი არ უნდა. **ს**ამწუხაროა მხოლოდ, რომ აქამდი ზოგს ეს ბრძოლა ისე ესმის, თითქო ადამიანი ადამიანის მტერი უნდა იყოს და გამკვრელ მგელს ემზგავსებოდეს. **ა**რა, ეს ბრძოლა სულ სხვანაირი უნდა იყოს—ეს ბრძოლა უნდა იყოს მიმართული ბუნების დამლუპველ ძალებისა, სიღარიბისა, ადამიანის ბიწიერებისა და განსაკუთრებით უმეცრების წინაღმდეგ.

ოთხი სტიქიონი.

ნიადაგი.

საყანეთა და საბოსტნეთ დამზადებული მიწა დაშლილი და ფხვიერია; ხელში რომ გასრისო, ცოტათი თითებს გაგიფხაჭნის. ამგვარ მიწაში უთუოდ ყოველთვის არეულია მომსხო დაწვრილი ქვიშა ანუ სილა. ამ მიწას მოშავო, ყვითელი და რუხი ფერი აქვს. ეს არის ნიადაგი.

ნიადაგი შესდგება თიხისა, სილისა და ტამპალასაგან; ტამპალა-კი მცენარეთა და ცხოველთა ნაშთებისაგან. ნიადაგში აგრეთვე არეულია მარილი, რკინა და სხვა მრავალი მინერალი და ლითონი.

ყოველგვარი მცენარე ერთსა და იმავე ნიადაგზე არ ხარობს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველ მცენარეს თავისებური საზრდო ეჭირვება. საზრდო კი სხვადასხვანაირია. მცენარე საზრდოობს იმით, რასაც იგი თავისი ძირებით მიწიდან ამოსწოვს. თუ ნიადაგში მცენარემ ვერ იშოვნა რაც ეჭირვება, გახმება, შიმშილით მოკვდება.

ზოგ მცენარეს უთუოდ ქვიშიანი მიწა უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ამაზე შეუძლია გახარება და ზრდა; სილიანს ნიადაგში წყალი ადვილად გადის და წვიმის შემდეგ ჩქარა შრება. სილა პაწაწა ქვის ნამცეცებისაგან შესდგება. თუ გამუდმებული სიცხე დადგა, სილა გაშრება, და ქარი მას აქით-იქით ფანტავს.

ზოგს მცენარეს თიხიანი მიწა ეჭირვება, ისეთი მიწა, რომელსაც თიხა სჭარბობს. თიხიანი მიწა ბევრს წყალს იზიდავს და ამიტომ ყოველთვის ნოტიოა და, თითქო, წებოიანი; წყალს

არაოდეს არ გაუშვებს და, რასაც არ შეისვამს, უთუოდ ზევით მოიგდებს და ჭაობებსა და ტბებს აჩენს. ᲑᲒვალვის დროს თიხიანი მიწა გვიანამდი არა შრება და, როცა გაშრება, სკდება და მცენარეთა ძირებსაც გლეჯს.

ᲗᲘხიანსა და სილიანს ნიადაგზე უკეთესი ის ნიადაგია, რომელშიც ზომიერად არის არეული თიხა და სილა. ᲜᲘადაგს, რომელშიც სილა სჭარბობს, სილნარი ჰქვია.

ᲖᲝგ მცენარეს კი უთუოდ შავი მიწა უნდა. ᲨᲐვ მიწას მიტომ ეძახიან, რომ მას დამპალა ბევრი ურევია. ᲓᲐმპალა შავია და მიწასაც აშავებს. ᲨᲐვი მიწის ნიადაგი ბევრ წყალს ისვამს და ისე ჩქარა არ შრება, როგორც სილნარი, ისე არა სქდება, როგორც თიხნარი; მასზე არ ჩნდება ჭაობები, ხოლო წყალს ზომიერად ღებულობს და თავის სიღრმეში დიდხანს ინახავს. ᲨᲐვი მიწის ნიადაგში მცენარეები ადვილად იდგამს ფესვებს. ᲔᲡ ნიადაგი მეტად ნაყოფიერია; მცენარე შიგ მრავალ საზრდოს შოულობს და ცივ ამინდში ფესვები და ძირები თბილად აქვს: დამპალა იგივე ნაკელია და ნაკელში ხომ სითბო გამოულეველია.

ᲚᲘთონების შოვნა.

ᲣᲜდა იცოდეთ, რომ რკინა, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი და სხვა მრავალი ლითონი მიწაში იპოება. ᲬᲛინდა ლითონი ნაჭერ-ნაჭერად იშვიათად შეხვდება; იგი უთუოდ მიწის რომელსამე ნაწილშია არეული.

ᲚᲘთონი რომ სხვა მინერალისაგან გაიწმინდოს, ნარევი ქარხნის ღუმელებში უნდა გადადნეს. ᲛᲘწისა და კლდის ფინს, რომლისაგანაც ლითონს გამოადნობენ, მადანი ჰქვია. ᲛᲐდანი არის რკინისა, სპილენძისა, ტყვიისა, ვერცხლისა და სხვისა.

ᲓᲔდამიწის ზედა პირზე მადანი იშვიათად იპოვება; იგი ყოველთვის და ყოველგან მიწის სიღრმეში მდებარეობს. ᲐᲛიტომაც მის საშოვნელად ძლიერ ღრმა ორმოებსა სთხრიან.

ᲮᲨირათ მადანი სხვა ნაფენთა შორის თხელ ნაკეცათ არის

ჩართული. ამ გვარ მადნის ნაკეცებს ძარღვი ჰქვია. ძარღვი სწორ ხაზზე არაოდეს არ მიიმართება; იგი ხან აღმა მიდის, ხან დაღმა, ხან თხლად, ხან სქლად.

ამოთხრიან ორმოს და, როცა მადნის ძარღვს მიაგნებენ, მის მიმართულებას გამოიკვლევენ; ამ ძარღვს მიაყოლებენ მიწის სიღრმეში რამდენისამე ვერსის მანძილზე დიდრონ ხვრელებს. ამ ხვრელებით ჯერ ჯურღმულის ძირზე აგროვებენ მადანს და მერე ზემოთ ამოაქვთ იგი. სადაც მადნის საშოვნელად რამდენიმე ასეთი ჯურღმულია გაკეთებული, იმ ადგილს მაღარო ჰქვია.

წმინდა რკინა მიწაში არაოდეს არ იპოება. იგი უთუოდ მადნათ არის. რკინის მადანი ბევრს ალაგს მთელ გორაკებათ, და მთებათ დგას. ეგ მადანი ძლიერ ბევრია ჩვენში და რუსეთის ურალის მთებში.

აი, როგორ გამოადნობენ მადნიდან რკინას: რკინის მადანსა და ნახშირს, ცხრა საჟნის სიმაღლეზე ღუმელებში ჰყრიან. ღუმელში მხურვალება მეტად ძლიერი უნდა იდგას. ამ სიმხურვალის გასაძლიერებლად ნახშირს განსაკუთრებული საბერველით აღვივებენ. მადნის ბელტები ნელნელა ხურდება, ძირს იწევს და, როცა გავარვალებულს ღუმელის ნაწილთან მიაწევს, დნობას იწყებს.

რაც რამ ნარევია მადანში, ყველა ერთმანეთს შეადნება და ნაჭედურად იქცევა, რომელიც ღუმელიდან გვერდის მილით გარეთ გამოაქვთ, ხოლო მადნიდან გამოწრთობილს თუჯს მეორე ნახვრეტიდან ძირს უშვებენ. ამ გვარად ღუმელში პირდაპირ რკინა კი არა, ჯერ თუჯი გამოყავთ. წმინდა რკინა რომ გამოვიდეს, თუჯი ხელმეორედ უნდა გადაადნონ.

ამ გადადნობისას თუჯი კიდევ უფრო იწმინდება ნარევისაგან და გამოდის წმინდა რკინა. რკინის გადადნობა შეუძლებელია; იგი ძლიერი სიმხურვალის გამო მხოლოდ რბილდება და მჭედელს შეუძლია მაშინ გრდემლზე დასდვას და ჩაქუჩით, როგორიც უნდა, ისეთი სახე და ფორმა მისცეს—რკინა იჭედება.

თუჯი რკინათ იქცევა, რკინა კი ფოლადათ. ფოლადი იგივე რკინაა, მაგრამ—ნახშირ-ნარევი და ნაწრთობი რკინაა. ეგ ნარევი მას თვალით არ ეტყობა, მხოლოდ თვისებას უცვლის: რკინა მხოლოდ იჭედება, ფოლადის კი ჭედაც შეიძლება და დნობაც. რკინას არა აქვს ისეთი ბრწყინვალება და სხვადასხვა ფერი, როგორც ფოლადს. ფოლადი შეიძლება ვერცხლივით პრიალებდეს, მწვანე და მოყვითალო იყოს. ეგ სხვადასხვა ელფერი იმაზეა დამოკიდებული, სწრაფათ, თუ ნელნელა გააცივებენ ფოლადს. ფოლადისაგან ნემსებს, დანებს, მაკრატლებს და სხვადასხვა იარაღს აკეთებენ.

რკინა ყველაზე უფრო საჭირო ლითონია. რკინისა, ფოლადისა და თუჯისაგან მრავალი სასარგებლო ნივთი კეთდება: სახნისი, გუთანი, თოხი, ბარი, ცელი, ნამგალი, დანები, ჩანგლები, ხიდები, ორთქლმავლები, რკინის გზის რელსები; ყველა ამისათვის საჭიროა რკინა. ადამიანი ამ ლითონს ხალხის სავნებლათაც ხმაროობს. სჭედს ხმალ-ხანჯალს, თოფსა და ზარბაზანს, რომ ხალხი და ცხოველები დახოცოს. ადამიანი რკინით ბევრს გასაჭირსა და უბედურებას აყენებს თავის მოძმეს.

რკინას გარდა ძლიერ სასარგებლო ლითონი სპილენძია. სპილენძი ზოგჯერ ნაჭერ-ნაჭერათაც იპოვება მიწაში, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია. უფრო კი სპილენძს მადნიდან აწრთობენ. სპილენძისაგან მავთულებს, მილებს, ფურცლებს, ჭურჭლებს და შავ ფულს აკეთებენ.

ოქრო ცალკე ნაჭრად „ობლად“ იშვიათად იპოვება. ჩვეულებრივ იგი მთისა და სხვადასხვა ძარღვშია არეული, მაგრამ მადანივით კი არა, ისე, თითქო ჩამარცვლილი, ჩაძარღვული და ფოთლებივით ჩაწმასნული.

ბაზაფხულის ჩქარი ნაკადულები, ანკარა მთის მდინარეები არღვევენ მთის ნიადაგს წვრილ ქვიშად და მოაქანებენ დიდს მდინარეებში. ამ წვრილ ქვიშაში მობრჭყვინავს ნამცეცა ოქროს ნაწილებიც. დიდხანს ატარებს მდინარე ამ ოქრო-ნარევ ქვიშას, ვიდრე სადმე ნაპირზე არ გაიტანს და არ დალექავს.

იქ, სადაც მთის მდინარეები ვაკეზე გავლენ, წყლის ნასილავებში ხშირად წაადგებიან ოქროს პაწია მარცვლებს. **ა**სეთ ნასილავებს ოქროს-სილიანი ადგილები ჰქვია, და სადაც ოქროს შოულობენ, ოქროს-სათხარ სამრეწველოს ეძახიან.

თუ სადმე ოქრო ბლომად აღმოჩნდა, ყოველი მხრიდან მოდის შეძლებული ოქროს-მაძიებელი და თან მრავალი მუშა მოჰყავს. **უ**დაბურ ხეობაში სოფლები შენდება. **ს**ჭრიან ხეებს, აშენებენ ქოხებს, აწყობენ ოქროს სარეცხს მანქანებს, მართვენ გრძელ ღარებს და ამ ღარებში წყლით შეუშვებენ ოქრონარევ სილას. **ს**ილა და თიხა წყალს მიაქვს, ოქრო კი სიმძიმის გამო ძირს ილექება.

ყოველგან ორმოებს თხრიან, გაჰყავთ თხრილები; ამ მუშაობის დროს მდინარის ნაპირები ერთბაშად სახეს იცვლის: მიწა ნაპირებზე სულ ჩამოქცეულია, ტყე გადამწვარი და მოჭრილი, აქა-იქ ქვის გორები აწყვია, რომელიც ოქრო-ნარევი მიწიდან ამოუღიათ. **წ**ინათ ანკარათ მოჩხრიალე მდინარე ახლა არეულია, შიგ მღვრიე და ტალახიანი, ქვიშიანი და თიხიანი წყალი მიდის.

მანქანების ხმაურობა და მუშების ჟრიამული მთელს არემარეს აყრუებს, და დღითიდღე ეგ მოსაწყენი და ხანგრძლივი მუშაობა მატულობს და მატულობს, რადგანაც ოქრო ძლიერ ძვირფასი საქონელია.

მ ა რ ი ლ ი.

ვის არ უნახავს ჩვეულებრივი მარილი! **ხ**ომ საინტერესო იქნება, რომ გამოვიძიოთ, საიდან მოაქვთ იგი, როგორ შოულობენ; თავიდან ასეთი ყოფილა, როგორსაც ხედავთ სამარილეში, თუ სხვანაირი.

მრავალს ადგილზე, მიწის სიღრმეში გრძელ და სქელ ფენებად აწყვია მარილის ქვები. **ა**მას ეძახიან ქვამარილს. **მ**არილს სხვადასხვა ფერი აქვს: ზოგს ვარდის ფერი დაკრავს, ზოგს რუ-

ხი, ზოგს მწვანე. ეგ სხვადასხვა ფერი იმისაგან წარმოსდგება, თუ რამე ურევია მას. წმინდა მარილი კი ისეა გამსჭვირვალე, როგორც ყინული.

მარილის ამოსაღებად მარილის ნაფენამდი დიდსა და ღრმა ორმოებს ჩათხრიან. მერმე ამ ფინებს, როგორც ქვას, ისე დაუწყებენ მტვრევას, და ამომტვრეული ნატეხები ზევით ამოაქვთ. ახლა მუშები მიჰყვებიან მარილის ფინებს სიგრძე-სიღრმეზე. გააქვთ სრულ-სრული ხვრელები, ხვრელებში გაჰყავთ ფართო გზები, მისახვევ-მოსახვევები, ხვრელს თაღად უტოვებენ მარილისავე ნაკეცს, რომელსაც ქვეიდან შესამაგრებლად სვეტებს შეუბიჯგებენ, რომ მიწამ მარილის ჭერი არ ჩამოანგრიოს.

რაც დრო მიდის, უფრო და უფრო სიღრმეში მიჰყავთ გზები და შესახვევები; ასე რომ ზოგ ალაგას რამდენიმე სართული კეთდება. იმ ალაგს, სადაც მარილს ამგვარად შოულობენ, მარილის-სათხარი ანუ გვირაბი ჰქვია.

ამ გვირაბებში ხშირად მოჟონავს ზევიდან წყალი. ამ წყალმა რომ ნამუშავერი არ წალეკოს, ღვარის ნარვალებს, თხრილებსა და დიდ ორმოებს აკეთებენ გადასაშვებად. ამიტომ აქ ხშირად ხელოვნურად გაკეთებულ ნაკადულებსა და ტბებს შეხვდებით.

ძველა მარილი მიწიდან ამოღებული როდია. მომეტებულად მარილი ზღვიდან, მარილის ტბებისა და ვეძებიდან ამოაქვთ.

ცვარცვარად მიიწრიტება წყალი მიწის სიღრმეში და განუწყვეტლად მიმდინარეობს, ვიდრე მას რომელიმე ფინი არ შეაჩერებს, მაგალითად, გრანიტისა და თიხისა. აქ კი ცვარი ცვარს უერთდება და პაწია ნაკადულად იქცევა; ნაკადული ნაკადულს ემატება, რუთ იქცევა და მიჩუხჩუხებს. ამას თუ გზაზე მარილის ნაფენი შეხვდა, მარილი გაჩნდება, წყალში გაიხსნება და მარილიანი რუ შეიქნება. მიჩქრიალობს მარილიანი რუ მიწას ქვეშ, სანამ გზაზე ღრმა ორმო არ შეხვდება. რუ ამ ორმოში ჩაიღვრება და ასე კეთდება მარილიანი ტბა. ზოგი ასეთი რუ, თუ წინ არაფერი გადაეღობა, მიწის ზედა პირზე

ამოხეთქს, და მას ჩვენში მარილის-წყარო ანუ ვეძა ჰქვია. აქაც თუ წყაროს დაღრმავებული შეხვდა, სიღრმეს ამოავსებს, და მარილის ტბები ასე გაჩნდება.

აბა ვნახოთ, როგორ ამოაქვთ მარილი ზღვებისა, ტბებისა და წყაროებისაგან. ამისათვის საჭიროა, რომ წყალი მარილს მოშორდეს. აი, როგორ ახერხებენ ამას.

ჯერ ცდილობენ, რაც შეიძლება, მარილის წყალი რამდენიმეჯერ ჩელტებში გასწურონ. ჩელტებში გავლის დროს ქარი უბერავს; წყალს ძლიერ აშრობს, ორთქლად აქცევს; ამას რამდენჯერმე გაიმეორებენ, რის გამო მარილს ძლიერ მცირე წყალი რჩება, წყალს თანდათან ადუღებენ; იგი სრულიად ორთქლად იქცევა, და ქვაბის ფსკერზე წმინდა მარილის თვლები ანუ კრისტალები ეფინება, იკრიფება.

მარილის ტბები მიწას ქვეშაც ბლომად არის. ამ ტბებიდან ბევრი მარილი ამოაქვთ. ჩათხრიან გვირაბებს და იქიდან იღებენ მარილიან წყალს, რომლისაგანაც ჩვეულებრივი საშუალებით მარილს გამოიღებენ. ქვა-მარილი ძლიერ ბევრია ერევნის გუბერნიაში, ზუმბრის მახლობლად, სოფ. ულუფში.

ქვანახშირი.

რკინის გზები და ქარხნები ყოველ წლობით მატულობს; ამათთვის მრავალი შეშა იწვის და მრავალი კიდევ დაიწვება. ამის გამო ტყეები სულ განადგურდა და ტყე თუ გამოილია, სახლები რითი უნდა გათბეს? მიწა ხომ სრულიად გამოშრება. ამიტომ საჭირო იყო ტყეების მოფრთხილება და შენახვა.

საბედნიეროდ, ადამიანმა მიწაში მოძებნა ახალი გასათბობი მასალა—ქვანახშირი. ზოგიერთებს ეგებ არც კი გაეგონოს, რომ ქვანახშირი არსებობს და, როგორ გაჩენილა იგი მიწაში, ეგ სრულიადაც არ ეცოდინება. ჩვენში კი ეგ ნივთი ბლომად არის. ტყიბულიდან ოცი წელიწადია, რაც რკინის გზით გააქვთ და აფხაზეთში ახლა უპირებენ თხრას და საჭი-

როებისათვის ხმარებას. **უ**ცხოეთში ასიათასობით მუშა ამტვრევს ქვანახშირს, მთელს თავის სიცოცხლეში ამ ძნელსა და საშიშარს სამუშაოს ადგას.

როგორ გაჩენილა ქვანახშირი?

მრავალი ათასი წლის წინათ ღრმა ჭაობში ვეებერთელა ხე იდგა. **მ**ასზე მრავალი ტოტი და შტო იყო გამოსული, მაგრამ არც ყვავილი და არც ნაყოფი მან არ იცოდა; არც ერთი ფრინველი ამ ტყეში არ ცხოვრობდა, არც ერთი ჩიტი ამ ხეზე ბუდეს არ იკეთებდა; ამ ტყეში ციყვიც არსად ჭაჭანებდა. **ა**ქ მხოლოდ კოლო-ბუზები წუწუნობდენ ნოტიო ჰაერში და ხის ძირებზე რაღაც ხვლიკის მზგავსი ქვეწარმავალნი დაიზლაზნებოდენ. **ე**გ ჭაობის ტყე მიყრუებული და დაცარიელებული იყო. **ხ**ე თანდათან ბერდებოდა; ძირები ულპებოდა; აი, ქარიც ამოვარდა და ხეს ტანი შეუნძრია; ხე წაიქცა და შავს ჭაობში ჩაწვა, ჩაიფლა. **ა**მ ხეს გადაეფარა ტალახიანი და შლამიანი წყალი. **ტ**ალღები ასილავდენ მას ქვიშასა და თიხას; და ხე თანდათან სიღრმეში ეშვებოდა. **ხ**ის მწვანე ფოთლები გაშავდა და დალპა. **ღ**ეროს კი იმდენად დააწვა სილა და თიხა, რომ ხე ქვასავით გამაგრდა. **ა**სე დაემართა მის მახლობელ ხეებსაც.

ბაიარა რამდენიმე საუკუნემ. **ჭ**აობი ამოისილა და ამოშრა. **ა**ქ ადამიანებიც დასახლდენ, კარ-მიდამო გაიჩინეს, ყანები დათესეს, ქალაქები და სოფლები გააშენეს; არავინ არ ფიქრობდა, რომ მათ ქვეშ, მიწის სიღრმეში, მკვდარი ხეები იყო ჩაფლული.

ერთ დღეს აქ მოვიდენ მადნის მუშები; ამოთხარეს ღრმა ორმო: ძვირფას ლითონებს —ოქროსა და ვერცხლს ეძებდენ და შავად დასაფლავებულ ტყეს კი წააწყდენ. „**ო**ჰო, ქვანახშირი! კარგი დაგემართოს!“ წამოიძახეს და სხვებსაც შეატყობინეს. **რ**ამდენსამე ხანს შემდეგ ნახშირის ამოსაღებად აქ მუშაობა გაჩაღდა.

ქვანახშირის სქელი ნაკეცი თიხისა და სილნარის საფენებს შორის ძევს. **ხ**ანდახან ოცდაათი საჟნის სიღრმეზე უნდა ჩაიყვანონ გვირაბი, რომ ნახშირის ნაკეცს შეხვდენ.

როცა ქვანახშირიან ადგილს მიაგნებენ, წალკატითა დ
რკინის კეტით მტვრევას დაუწყებენ. **ა**ნ და გახვრეტენ ნახში
რის ნაკეცს. ნახვრეტს წამლით გასტენიან, ააფეთქებენ და ას
ამტვრევენ ვებერთელა ნახშირის კლდეებს.

იმ ადგილას, საიდანაც ნახშირი ამოაქვთ, ნახშირის
სათხარი ანუ გვირაბი ჰქვია.

ნახშირის გვირაბში მრავალი გასავალ-გამოსავალი გაჰყავთ
ამ გასავალ-გამოსავლებისაგან რამდენიმე სართული კეთდებ
მიწაში იმ სიღრმეზე, რომ ძირამდი ჩასვლას კაცი სამ საათ
მოუნდება. **ა**სეთ მაღაროებში სრულიად ბნელა. **უ**სანთლოდ
გავლა არ შეიძლება. **ს**ავლელები მეტად დაბალია, მუშა დაუ
ხრელად შიგ ვერ გაივლის, დაწოლილი მუშაობს. **უ**ნდა აღ
ვნიშნოთ, რომ მაღაროს სიღრმეში მეტად ცხელა. **ა**ქ ზამთარ
ზაფხულ ერთნაირად ისეთი სიცხე დგას, როგორც ზაფხულო
ბით ივლისის თვეში.

ნახშირისაგან საშინელი მტვერი ადის; ეს მტვერი მუშ
ცხვირ-პირსა, თვალებსა და ყურებში ეყრება. **ა**მგვარი მტვრი
გაჟღენთილ ჰაერსა სუნთქავს საბრალო მუშა. **ა**მას გარდა, ჰა
რი სავსეა სხვადასხვა მავნებელი გაზით, უფრო კი ჭაობის გ
ზით. **ე**ს გაზი საშინელი მყრალი-რამ არის.

დიდ ქალაქებში ქუჩის ფარნები გაზით არის განათებულ
ეს გაზი ნახშირისაგან კეთდება და სწორეთ იგი დგას მუდ
მაღაროში. **ა**ქ თუ სანთელი და ცეცხლი ფრთხილად არ
მარა კაცმა, გაზი იფეთქებს საშინელი ხმაურობით და დი
უბედურებასაც მოახდენს: რამდენი მუშა დახოცილა ამის გამ
ვინ დათვლის! **მ**უშები ხშირად მაღაროში ჩამოქცეული კე
ლების მსხვერპლი შეიქნებიან ხოლმე. **ზ**ამოთხრიან თუ ა
ნახშირის ნაფენებს, მიწას ძირი გამოეცლება, გადმოეშვ
უცბად და საბრალო მუშებს ქვეშ მოიყოლიებს.

ზოგი ცოცხალი დაუშავებელი გადარჩება, მაგრამ ადრ
დელი სიმრთელე კი არაოდეს აღარ ექნება. **წ**არმოიდგინ
ბნელი, ნოტიო, შეხუთული და ცხელი ადგილი, ამყრალებუ

და შავი მტვრით გაჟღენთილი ჰაერი; წარმოიდგინეთ ისეთი ადგილი, სადაც წელში ვერ გაიმართები და ხარ ყოველდღე ამ მდგომარეობაში ორი და სამი კი არა, თორმეტი საათი მძიმე სამუშაოზე.

ამ მაღაროებში მამებთან და ძმებთან ბავშები მუშაობენ. ისინი კარებს აღებენ და ხურავენ, ნახშირით დატვირთულ პატარა ურმებს აგორებენ, კალათებით ჭის ძირთან ნახშირი მოაქვთ, ხან ზევითაც ეზიდებიან. ღარიბი მშობლები იძულებული არიან თავისი ბავშები ამ სამუშაოზე აგზავნონ.

აი, ამგვარი შრომის საშუალებით ამოვიდა ზევით დიდი ხნის მკვდარი ხეები—ამოვიდა მზის სხივთა დასანახავათ და სასიცოცხლოდ, მაგრამ ახლა მათი სიცოცხლე სულ სხვანაირია. ახლა ეგ ხეები, როგორც ქვანახშირი, შემდეგ სამსახურს უწევს ადამიანს: მდიდარი და ღარიბი იმით ათბობს ფეჩებს, ხარშავს და აცხობს საჭმელებს, იმით ახურებს ორთქლმავლებს და გემთა მანქანებს, იმით ათბობს საფეიქროებს და ქარხნებს და ამოძრავებს მანქანებს. ქვანახშირიდან მზადდება სანათი გაზი, რომლითაც განათებულია მრავალი ქალაქის ქუჩები, და ვინ ჩამოთვლის, რამდენი საქმისათვის ხმაროობენ ქვანახშირს.

დიდი საზარალო იქნებოდა კაცისათვის, რომ ქვა-ნახშირი არ გამოჩენილიყო: ტყეები ახლა სულ განადგურებული იქნებოდა, და უტყეობა რა მავნებელია ადამიანისთვის, ამაზე ზევით გვქონდა საუბარი. არის ისეთი ქვეყნები, რომ შეშის მაგიერად, სულ ქვანახშირს ხმაროობენ.

მადნის მუშა გუბერ გოფენი.

როცა ცელსა და ნაჯახს ლესვენ, ან ღუმელებს ნახშირით ახურებენ, როცა მდიდრები ოქროს ნივთებს ყიდულობენ, არავინ არ კითხულობს, თუ რა სიმწრის შრომით, ტანჯვით, წვალებითა და თავგანწირვით ამოაქვთ დედამიწიდან ჩვენს მოძმეებს რკინა, ნახშირი, ოქრო და ვერცხლი.

ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რა უბედურება მოჰყვება ხოლმე მაღაროში წყლის ამოხეთქას. დედამიწის ზედა პირზედაც დიდი სახიფათოა წყლის გადავლა: მთელ სოფელს წალეკს, ასობითა და ათასობით ადამიანსა და ცხოველებს ახრჩობს, სოფლებს ანგრევს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ბევრი დაიღუპება, მაგრამ ბევრიც გადარჩება.

მაღაროში კი სულ სხვაა. ბადმოსკდება უცბათ წყალი და მთელს მაღაროს ისე ერთბაშად მოედება, რომ მუშები უკან მოხედვასაც ვერ ასწრებენ, ისე წყალ ქვეშ მოჰყვებიან.

ბელგიის სახელმწიფოში, ლიუტიხის ქალაქის მახლობლად ერთს მაღაროში 1819 წ. გამოსკდა წყალი და ისეთი უბედურება მოხდა, რომ მაღაროს მუშები ახლაც თრთოლვით მოიგონებენ ხოლმე ამ საშინელებას.

როცა მოხუცი მუშები ამ ამბავს მოჰყვებიან, დიდი აღტაცებითა და ქება დიდებით იხსენებენ ერთს შტეიგერს—ბუბერ ბოფენს. შტეიგერი იგივე მუშაა, მხოლოდ უფრო გამოცდილი და დახელოვნებული. ასეთ მუშას არტელის ხელმძღვანელად ნიშნავენ ხოლმე მაღაროში.

აი, რას ამბობენ მოხუცნი ბოფენის შესახებ: მაღაროს ერთს კუთხეში წყალი გამოსკდა. აქ ასიოდე კაცი მუშაობდა. წყალი ყოველი კუთხითვე მიეშვ-მოეშვა. რამდენმამე მუშამ მოასწრო ბაწარზე მიბმულ გოდორში ჩაჯდომა, და მემანქანემ ესენი ზევით აიყვანა, მაგრამ სხვების ამგვარად შველა აღარ შეიძლებოდა, რადგანაც მოვარდნილ წყალს მათთვის გზა უკვე შეეკრა. ცხრამეტ მუშას შიშისაგან ისე აებათ თვალები, გონება ისე დაებნათ, რომ პირდაპირ ტალღებისაკენ გაეშურენ და შიგ ჩაიხრჩვენ; სამოცდათოთხმეტი კაცი და მათთან თუთხმეტი ბავში კი ჩარჩენ ერთს მივარდნილ გასავალში თავის შესაფარად. მათ შორის იყო შტეიგერი ბოფენი.

როცა მუშებს ეგ უბედურება დაატყდათ, ბოფენი საშველ გოდორთან იდგა და ყველაზე ადრე შეეძლო, შიგ ჩამჯდარიყო და თავისთვის ეშველა, მაგრამ ამხანაგები არ მიატოვა.

მას ცოლი და ექვსი წვრილი-შვილი თვალცრემლიანი ელოდებოდენ, მაგრამ ამ განკითხვის ჟამს შტეიგერის გამოცდილება და დახმარება ყველაზე უფრო მის ამხანაგებს ეჭირვებოდა. ბოფენმა თვისი შვილიც არ ჩასვა გოდორში და არ გაატანა იმ მუშებს, რომელთაც თავის შველა მოასწრეს. ესენი ბოფენის შვილს დიდი სიამოვნებით წაიყვანდენ და დედას უვნებლად ჩააბარებდენ, მაგრამ ბოფენმა არ ისარგებლა უფროსობით, თავის შვილზე განსაკუთრებული მზრუნველობა არ გამოიჩინა.

იგი სწრაფად შეეკითხა თავის შვილს:

დარჩები ჩემთან?

ბავშმა უპასუხა:

—ჰო,—და ყელზე მოეხვია მამას.

მაშინ ბოფენმა სტაცა ხელი ერთს სხვის ბავშს და მოათავსა გოდორში, რომელიც იმ წამსვე ზევით ასწიეს.

ახლა ბოფენმა ამხანაგებს შესძახა: „ნუ გეშინიათ, ან ყველას დაგიხსნით, ან მეც თქვენთან დავიღუპები“. ბოფენისგან გამხნევებული ამხანაგები მისცვინდენ წერაქვებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიწის თხრა დაიწყეს, რომ გამოსავალი ეშოვნათ. ხუთი დღე იტანჯებოდენ ამ ბეწვის ხიდზე. როცა მუშების ნახევარი, მუშაობისაგან დაქანცული, დასაძინებლად მიეყრებოდა, მეორე ნახევარი დაიწყებდა მუშაობას. ბოფენი განუწყვეტლად ხელმძღვანელობდა მათ და გონზე მოჰყავდა ისინი, როცა შიშისა და სასოწარკვეთილებისა გამო რაიმე უგნურ საქმეს დააპირებდენ.

ბამბედავი მუშებიც-კი შიშისა და შიმშილისაგან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდენ. შიმშილის მოსაკლავად ქამრის თასმებს ღეჭდენ, მისწრებაზე იტაცებდენ სანთლის ნაწვებს და ხარბად ყლაპავდენ.

ხუთ დღეს ბოფენს თვალი არ მოუხუჭავს: სულ ამხანაგებს უდარაჯებდა, სულ თავს დასტრიალობდა, რომ სულმოკლეობის გამო ცუდი რამ არ ჩაედინათ. ორი მუშა წაიჩხუბა და ერთმანეთს ცემა დაუწყეს. ბოფენი გასაზავებლად და შესა-

რიგებლად მივარდა. ერთმა მუშამ შეაჩერა იგი და შესძახა: „თავი დაანებე, სცემონ ერთმანეთს; ერთი მათგანი ხომ მოკვდება და ჩვენთვის საჭირო ლუკმა იქნება, სულს მაინც მოვიბრუნებთო.“ ზოფენი ამან ვერ შეაჩერა: იგი მებრძოლთ შუა ჩავარდა გასაზავებლად, თვალიდან ცეცხლს აფრქვევდა და იძახოდა: „ვინც ამხანაგის მოკვლას გაბედავს, იგი ჩემი მკვლელი იქნება. მას თვით მე მივუშვერ მკერდს.“ მებრძოლთ შერცხვათ, ერთმანეთს გაშორდენ და ისევ მუშაობას დაუბრუნდენ.

ნახშირის ორ ნაკეცს შორის, ნაპრალში, ნახშირის გაზი ყოფილიყო დაბუგული. მათდა საუბედუროდ, მესამე დღეს ხვრელი ამ ადგილამდი მიეტანათ. ეს გაზი მეტად საშიშარია: თუ ცეცხლი მოხვდა, იფეთქებს და იქაურობას დაანგრევს. ზოფენმა მაშინვე ნახვრეტი მაგრად გამოლესა და გაზის დენა შეაჩერა.

ორმა ახალგაზდა მუშამ შეაჩერა იგი და მიაძახა: „ნუ აჩერებ გაზის დენას; უმჯობესია ცეცხლს მივსცეთ თავი, რომ ჰაერში აგვაფეთქოს და ერთად გავწყდეთ მაინც.“

მაგრამ ზოფენმა თვისი გაბედულებით მუშათა სასოწარკვეთილება და უიმედობა დასძლია.

მეხუთე დღეს წმინდა ჰაერი გამოილია და ლამპრებიც დაუქრათ. ყველანი ბნელში დარჩენ. ზოგიერთები შიშისაგან მთლად შეიშალენ: ამხანაგებს აჯერებდენ, ზოფენი საჭმელს განზრახ არ გვაძლევსო. აუჯანყდენ მას და პურის თხოვა დაუწყეს, თითქო რაიმე სანოვაგე მის ხელთ ყოფილიყოს. ყველანი დასუსტდენ, დაიქანცენ. ზოგი სიკვდილის პირზე იყო მიმდგარი.

ზოფენმა კი მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა: იგი ამხნევებდა ამხანაგებს და ეხვეწებოდა, შეძლებისამებრ, ემუშავათ; თვით ხომ მუდამ წალკატი ეჭირა ხელში და არწმუნებდა: აი, აი, მალე, სულ მალე გვეშველებაო.

მეექვსე დღის გათენება მათთვის მკვდრეთით აღდგომის დღე იყო. მათ ამხანაგებს, რომელთაც მიწის ზედა პირზე ასვლა მოესწროთ, ზევიდან დაეწყოთ ხვრელის თხრა. საბედნიეროთ ეგ ორი ხვრელი ამ დღეს ერთმანეთს შეხვდა.

სითბო და სიცივე.

სითბო თვალით არავის უნახავს, მაგრამ ყველა გრძნობს მას. **ბ**აზაფხულდება თუ არა, მზე ცაზე მაღლა იწევს, მისი სხივები მიწაზე პირდაპირ ეშვება, და დათბება კიდეც.

მზეს გარდა, სითბოს იძლევა ცეცხლი და ყოველი მხურვალე საგანი.

რანაირად შეიძლება სითბოსი და ცეცხლის გაჩენა? ძველათ აი ასე აჩენდენ ცეცხლს: მაგარი ხის ნაჭერს გახვრეტდენ კაჟის წვერით ან სხვებრ როგორმე, გაუყრიდენ შიგ უფრო რბილი ხის ჯოხს და ატრიალებდენ მას ძალიან ჩქარა. **ხ**ეხისაგან ჯოხს ცეცხლი უჩნდებოდა. **ბ**ელურები ახლაც ასე აჩენენ ცეცხლსა. **ა**ბა ძლიერი სიჩქარით წაუსვ-წამოუსვით ბაწარი ხესა; იგი ჯერ კვამლს აუშვებს და მერმე ალიც მოედება. **მ**ოგზაურობის დროს ძლიერ ხშირად ხეხისაგან ღერძს ცეცხლი გაუჩნდება ხოლმე. **რ**ომ ეს არ მოხდეს, ღერძზე ქონს, კუპრს ან საპონს წაუსმენ.

სითბო ჩნდება აგრეთვე, როცა რაიმე ნივთიერება ლპება. **ნ**ედლი თივა რომ ბულულათ დასდგა, შიგნიდან ლპობას იწყებს და ამისგან სითბო გაჩნდება. **რ**აც უფრო მეტად დალპება, მით უფრო შიგნით დიდი სიმხურვალე გაჩნდება და, თუ ასე დიდხანს გასტანა, მთელ ბულულს ცეცხლი მოედება. **ხ**შირად შეუნიშნავთ დამპალი ხის ფუღუროში მკრთალი სინათლე, რომელიც ლპობის გამო წარმოსდგება. **ს**ითბო ჩნდება მაშინაც, როცა სხვადასხვა ნივთიერება ერთმანეთს უკავშირდება: მაგალითად, საკირეში კარგად გამომწვარ კირის ქვას რომ წყალი დაასხათ, იგი მეტად გახურდება და კირიც ფქვილად იქცევა.

ყოველი სხეული ერთნაირად არ ცხელდება: ზოგი მალე თბება, ზოგი გვიან. **ხ**ის ჯოხს რომ ცეცხლი მოუკიდო, სანამ მთლად არ დაიწვის, შეგიძლია, ხელში გეჭიროს. **უ**ფრო გვიან თბება წყალი, ღინღლი, ჰაერი, თმა, ქაღალდი, კანაფი, სელი. **ა**ბა აიღეთ ხელში რკინის მავთული ან რომელისამე

ლითონის ნივთი და დადეთ ცეცხლზე; დიდხანს ვერ გააჩერებთ ხელში, ხელს დაგწვავთ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ამბობენ, რკინა და ყოველი ლითონი სითბოს ადვილად გამტარებელიაო; წყალი, ჰაერი და ღინღლი ძნელი გამტარებელია. ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ გამტარებელი უფრო ჩქარა თბება, მაგრამ ჩქარავე ჰკარგავს სითბოს: რკინის ღუმელი წამზე გახურდება, დიდი მხურვალება გამოდის მისგან, მაგრამ მოკლე ხნით. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ რკინის ღუმელს, აგურის ღუმელი გვირჩევნია, რომელიც ძნელი გასახურებელია, მაგრამ სამაგიეროდ სითბოს დიდხანს ინახავს.

ᲡᲘᲪᲘᲕᲘᲡᲐ�გᲐᲜ ჩვენ ის საგნები გვიფარავს, რომელიც ძნელად თბება, ძნელად სითბოს გამტარებელი არის. ზამთრობით ფანჯრებს მეორე ჩარჩოს ჩაუყენებენ, რომ ერთ-მინიან ფანჯარას მეორე მიემატოს, შუაზე ჰერი მოჰყვეს და ოთახის სითბო გარეთ არ გაუშვას. ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ მატყლის ტანისამოსს ვიკერავთ, რადგანაც მატყლი ძნელად გამტარებელია სითბოსი; მატყლი თვის ბეწვებს შორის ჰაერს იჭერს და ეს უფრო ეხმარება სითბოს შეჩერებისთვის. ᲗᲝᲕᲚᲘᲪ სითბოს ძნელად გამტარებელია, და ამიტომაც ზამთრობით გარეთ დარჩენილი მგზავრი ყოველთვის ცდილობს, თოვლში გაეხვიოს, რომ ტანის სითბო შერჩეს. ᲖᲚᲔᲮᲡ თოვლიანი ზამთარი ძლიერ ახარებს, რადგანაც თოვლის საფარი ჯეჯილს ყინვებისაგან იხსნის.

ᲡᲘᲪᲘᲕᲘᲡᲐ�გᲐᲜ სხეული იკუმშება, სითფოსაგან ფართოვდება, ესე იგი მეტს სივრცეს იჭერს.

ᲐᲘᲦᲔᲗ რკინის პატარა ბურთი, რომელიც თავისუფლად გადის რგოლში, შემდეგ გაახურეთ იგი და სცადეთ, რგოლში გაატაროთ, დაინახავთ, რომ რკინის ბურთი რგოლში აღარ გაეტევა, რადგან იგი გაფართოვებულა.

ᲡᲘᲗᲑᲝᲡᲐ და სიცივეს ვერცხლის-წყლის საშუალებით ზომავენ; წვრილ მინის ლულაში, რომლის ბოლოც გაბუშტულია, ასხმენ ვერცხლის-წყალს. ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ-ᲬᲧᲐᲚᲘ რომ მილში ჩავიდეს და იქიდან სრულიად ჰაერი ამოიცალოს, ამ მილს დიდ ხანს ახურებენ და მერე ზედა თავს გალხობილი მინით გადა-

ლესენ. მილში საკმაო ცარიელი ადგილი რჩება, რომ ვერცხ-ლის-წყალმა ადვილად შესძლოს აწევ-დაწევა. მერმე ამ მილს მიაკვრენ ფიცარზე და ყინულში ჩასდგმენ. ვერცხლის-წყალი შეიკუმშება და გაჩერდება; ამ წერტილს აღნიშნვენ 0-ით. ამ წერტილს ყინვის წერტილი ჰქვია. მერმე ამ იარაღს წყალში ჩაუშვებენ, წყალს ნელნელა ათბობენ, ვერცხლის-წყალიც სიმხურვალისაგან თანდათან ფართოვდება, მაღლა აიწევს და როცა წყალი კარგად ადუღდება, ვერცხლის-წყალი ერთ წერტილზე გაჩერდება. ამ წერტილს აღნიშნვენ 80-ით; ამას ჰქვია დუღილის წერტილი. ახლა 0-სა და 80-ს შორის რაც მანძილი რჩება, ეს უნდა გაიყოს ოთხმოც თანასწორ ნაწილად და აღინიშნოს ციფრებით. ამავე ზომის ნაწილებად დაიყოფება 0-ს ქვემო მანძილი.

ამ ნაწილებს ჰქვია გრადუსები, და მთელს იარაღს სითბოს საზომი, ანუ ტერმომეტრი. 0-ს ზევითა გრადუსებს სითბოს გრადუსები ჰქვია, 0-ის ქვევითას—სიცივისა.

ეგ იარაღი გამოიგონა მეცნიერმა რეომიურმა.

მ ზ ე.

როცა ძლიერ ჰყინავს და წყნარი დღეა, ტყესა და მინდორში გაიარე, მიმოიხედე გარშემო და აი რას ნახავ: მდინარეები და რუები გაყინულა და გაჩუმებულა, ხმელ ბალახს თავი ამოუყვია და ანემსულა, ხის ტოტები თოვლით შემოსილა; ნადირსა და ფრინველს იშვიათად წააწყდები; თითქო ყველაფერი გაიყინა და გაშეშდაო.

ახლა გაზაფხულის სურათს გადაავლე თვალი. მდინარეები ხმაურობს და დალმა მიეშურება; ყოველს გუბესა და ჭაობში ბაყაყი ყიყინობს; ფრინველი მიმოფრინავს, სტვენს, გალობს; ბუზი და კოღო ერთმანეთში ირევა, ბზუის, წუწუნობს; მიწა ბალახმა და ყვავილებმა დააშვენა; ხეები ფოთლებით შეიმოსა; ყოველგან სიცოცხლე და მხიარულებაა.

ქვეყანაზე რომ სითბო გაქრეს, ყოველივე მოკვდება. თუ სითბოა, ყოველივე მოძრაობს, ცოცხლობს. და რამდენათაც მეტია სითბო, იმდენად ღონიერია მოძრაობაცა და სიცოცხლეც.

ზამთარში მზე სამხრეთისკენ გადიხრება; სხივებს ელმაცრად ისვრის, ნაკლებ სითბოს უგზავნის ქვეყანას: შეწყდება სიცოცხლე, შეჩერდება მოძრაობა; წამოიწევს მზე მაღლისკენ, პირდაპირ თავზე დაგვადგება, სხივებს ისარივით დაუშვებს მიწაზე,—და ქვეყანაზე ყოველივე გათბება, გაცოცხლდება და გამხიარულდება.

თოვლი დაიწევს, მთებიდან წყლები დაეშვება, ორთქლად ქცეული წყალი ღრუბლებად ცას გადაეფარება და მერმე წვიმაც წამოვა. ვინ არის მოქმედი? მზე.

ზამთრის ძილისაგან გამოიღვიძებენ დათვები, მუდლები, გამოფხიზლდებიან ბუზები და ფუტკრები; ქვირითიდან ჭიჭყინები გამოიჩეკებიან. ვისი საქმეა ყველა ეს? მზისა.

ბათბება ერთს ადგილას ჰაერი, ზევით აიწევს; მის ადგილას გამოეშურება ცივი ჰაერი და ამის გამო ასტყდება ქარი. ვინ შვრება ამას? მზე.

ამოვა ღრუბლები; ხან ერთად შეჯგუფდება, ხან გაიფანტება; ასტყდება ელვა-ქუხილი. ვინ მოახდინა ეგ მოვლენა? მზემ?

აღმოცენდება ბალახი, ჯეჯილი, ხეები, გამოვა ნაყოფი; საქონელი გაძღება, ადამიანი დაპურდება; ზამთრისთვის ყოველი კაცი საზრდოს მოიწევს, შეშასა და საქონლის საკვებს შეინახავს.

ყოველივე ეს ვინ დაამზადა? მზემ.

ადამიანმა ძელებისაგან ქოხი გაიკეთა, ძელებს ტყეში ხეებისაგან გამოჭრა; ხეები კი მზის ნაზარდია. იგივე ადამიანი სახლებს აგურისა და კირისაგან აკეთებს. აგურის გამოსაწვავათ და კირის დასაწვავათ შეშაა საჭირო, და შეშა ხომ მზის ნახელავია.

ადამიანის საჭმელია: პური, მჭადი, კარტოფილი, ლო-

ბიო, ცერცვი და სხვა მრავალი მცენარე; სამოსელი—ბამბისა, კანაფისა, სელისა და სხვა მცენარისაგან მზადდება. ვის აღმოუცენებია ან ერთი, ან მეორე, ან მესამე? მზეს.

ცხოველთა და ფრინველთა ხორციც კაცის საზრდოა, ტყავი და მატყლი ტანისამოსისათვის იხმარება. რას უსაზრდოებია ცხოველი და ფრინველები? რასაკვირველია, ბალახებსა და მცენარეთა თესლებს. მცენარეები და ბალახები კი მზის აღმოცენებულია.

ყველაფერი, რაც ადამიანს ეჭირვება, რაც მისთვის გამოსადეგია,—ყოველივე მზის ნამზადია და ყველაფერში მზის სითბო იმყოფება. ვინც ზამთრისათვის პურსა და შეშას იმარაგებს, იგი მზის სითბოს ინახავს საზამთროდ.

სადაც სითბო არსებობს, იქ მოძრაობაცაა. მოძრაობა როგორიც უნდა იყოს, უთუოდ სითბოსაგან არის,—ან პირდაპირ მზის სითბოსაგან, ან იმ სითბოსაგან, რომელიც მზეს მოუმზადებია ქვანახშირსა, შეშასა, პურსა და ბალახში.

წყლისა და ქარის წისქვილები რომ ბრუნავს და ფქვავს, რა ამოძრავებს მათ? ქარი და წყალი? ქარს რა აქროლებს? სითბო. სითბოს ატანილი არ არის ზევით ორთქლი და ღრუბლები? უღრუბლოდ ზევიდან წყალს რა ჩამოუშვებდა მიწაზე?

მანქანა რომ მუშაობს, მას ორთქლი ამოძრავებს. ორთქლი შეშისა და ქვანახშირის შემწეობით ჩნდება. შეშა და ქვანახშირი ხომ მზის სითბოთი არის გაჩენილი.

ასეა: სითბოცა, მოძრაობაცა და სიცოცხლეც მზისაგან წარმოსდგება.

მუდმივი მოგზაური.

ცივი ზამთარი იყო. მინდორში თოვლის ფიფქი იდვა და მზეზე ვერცხლივით ბრწყინავდა; იგი სილამაზითა და ელვარებით არც ბრილიანტსა და არც სხვა ძვირფას ქვას არ ჩამოუვარდებოდა.

მოსწყინდა მუდამ ერთს ალაგს ყოფნა; მგზავრობა და თევზივით ცურვა მოინდომა.

გაზაფხულიც დადგა; მზემ მიწას დააცხუნა; სითბომ თოვლი გაადნო და წყლად აქცია. ჩვენი თოვლიც გადნა და ცვარებად გადიქცა: ახლა აღარ იდება ერთსა და იმავე ალაგას. ახლა იგი ცურვით გაემგზავრება შორს, ძლიერ შორს. შეუერთდა კიდეც სხვა თავის გვარ ცვარებს. ამათგან ნაკადული გაჩნდა. მხიარულად და ცელქად მინავარდობს იგი მინდვრებსა და სათიბებში, დაბლობ ადგილებს ეტანება და ქვებზე გადაჩუხჩუხებს. დიდი ქვები და თიხის ბელტები არაფრად მოსწონს: წააწყდება თუ არა მათ გზაზე, ფრთხილად გვერდს აუვლის. როცა თოვლად იყო, უძრავად და ჩუმად იდვა მიწაზე, ახლაკი ხმაურობს, ჩუხჩუხობს, ხანდახან ღრიალობს კიდეც. სწორეთ ამაზეა ნათქვამი ანდაზა: „წევს, თუ ფრინავს, ჩუმათ არის, მოკვდება და ღრიალს მორთავს.“

გარბის ნაკადული წმინდა ქვის კალაპოტში; ეს კალაპოტი თვით გაუწმენდია და გაუშალაშინებია; თვითონ შეუკრებია და გაუტანია თვისი ფსკერიდან ნაგავი და ტალახი, დაუტოვებია მხოლოდ მძიმე და გაკვერცხული მრგვალი ქვები. ეს ქვებიც თვითონ გაუკვერცხავს და დაურგვალებია. მას ბევრი შრომა გაუწევია თავისი კალაპოტის გაკეთებაზე.

ეს ნაკადული შეხვდება მეორეს, თავისსავე მზგავსს, შეერთდებიან თანამგზავრნი, და გახდება მოზრდილი რუ. ეგ ცელქად მოჩუხჩუხე რუც ბალახივით თანდათან იზრდება; ამ რუს შეხვდა მეორე, მესამე, მეოთხე რუ; ესენი ერთმანეთს შეუერთდენ და შეიქნა პატარა მდინარე. ჩვენი ნაცნობი ცვარებიც ახლა ამ მდინარეში მიცურავს.

სოფლელებმა მდინარეს ოფო გაუკეთეს, წყალი დააგუბეს; აქვე წისქვილი დასდგეს; მდინარეში ნავები და ტივები ჩაუშვეს. აქ რომ მარტო ჩვენი ცვარი ყოფილიყო, აბა რას გახდებოდა, მაგრამ სხვებთან ერთად, იგიც წისქვილის ბორბლებს ატრიალებს, ნავსა და ტივებს ეზიდება. ეგ ყოველთვის ასეა—რასაც ერთი ვერ მოერევა, მას ბევრი აკეთებს. ახლა ამ პატარა

მდინარეს მეორე მიემატა; მიდის და მრავალს სხვა ამისთანებს უერთდება და შეიქნება დიდი მდინარე. ამ მდინარეზე კი მიცურავენ გემები, ბარქასები და ნავები დ მიაქვთ ფქვილი, რკინა, ნახშირი, მარგანეციც და სხვადასხვა საქონელი. მდინარე მიდის და მიდის და თან ჩვენი ცვარიც მიაქვს. იგი მხიარულებით შესცქერის მდინარის ნაპირებს. სულ სხვადასხვა ქალაქებს ხედავს; მდინარეს კიდევ და კიდევ ემატება ახალ-ახალი მდინარეები; იგი თანდათან ფართოვდება. უფრო დიდი და დიდი გემები და ნავები დაცურავენ მასზე. გზაზე ხვდებიან უფრო მოზრდილი სხვადასხვა ვერცხლისა და ოქროს ფერი თევზები.

აი, ასე შორს შეტოპა წყალში ცვარმა, რომ აღარც ნაპირები, აღარც ბალახი, აღარც ჭალები, აღარც სოფლები არა სჩანან. საითაც კი გაიხედავდა, ყველგან მხოლოდ წყალი და ცა სჩანდა.

დილით მზე თითქო წყლიდან ამოდიოდა და საღამოს თითქო წყალში ჩაეშვებოდა. ამ წყალზე მდინარის გემები კი არა, უზარმაზარი ხომალდები დასეირნობდენ. თევზებიც ვეებერთელანი იყვენ. საშიშარი ტალღები დაგორავდა. ქარიშხალის დროს ტალღები გემებს თავზე ესხმებოდა და ყირაზე გადაჰქონდა. ნეტა სად იყო მაშინ ჩვენი ცვარი? თურმე ზღვაში ამოეყო თავი. მაგრამ აქაც მოსწყინდა და ფრინველივით ჰაერში გაფრენა მოინდომა. ამასაც არ დასჯერდა. მან მოისურვა ყველგან ისე ენავარდა, რომ მისთვის არავის თვალი არ მოეკრა. ეგ სურვილი მზემ აუსრულა. დააცხუნა ზღვას და ჩვენი ცვარი მის მეზობელ ცვრებიანათ ერთად უჩინარ ორთქლად გადააქცია. აი, ცვარმა უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა, ზღვიდან უჩინარ ორთქლად ავიდა; ამოვარდა ქარი და ეგ ორთქლი შორეულ ქვეყანაში გადასტყორცნა. ჩვენს მოგზაურს უჩინრად ყოფაც მოსწყინდა. უნდოდა, რომ მისთვის ადამიანს შეეხედა, ეგ სურვილი სიცივემ აუსრულა.

ორთქლი სიცივისაგან ნისლად იქცა. ნისლი თუ მაღლა ავიდა, მაშინ ღრუბელს ვეძახით. აი, სიცივემ ნისლი ვერცხლის ფერ ღრუბლად გარდაქმნა. მაღლა, ძლიერ მაღლა ქარი ამ

ღრუბელს ბუმბულივით აფრიალებდა. ერთბაშათ იგი გაშავდა და მზეს აეფარა. ჩვენს ცვარს მიწაზე ჩამობძანება მოუნდა. მას და მის ამხანაგებს სიმძიმე მოეშატათ, ჰაერმა ველარ შეიკავა, და წვიმის ცვარებად ძირს, მიწაზე დაეშვა.

ჩვენი ცვარი ბალახზე დაეცა, მიწაში ჩაიწრიტა, და სხვა თავის მზგავს ცვრებს შეხვდა. შეიკრიბენ ერთად და ნაკადულად დაიწყეს დენა მიწის ქვეშ. აქ შეხვდათ მათ მარილი, კირი; ეს მინერალები გაიხსნა ნაკადულში, და ნაკადულმა ისინი ზღვისკენ გააქანა. ხომ იცით, რომ მიწას ქვეშ რუებიცაა, ნაკადულებიცა და ტბებიც. მიწის სიღრმეში ყოფნაც მოსწყინდა, აი იშოვნა საძრომი ნაკადულმა და ნათელს ქვეყანაზე თავი ამოყო ჩვეულებრივ სამოგზავროდ და ამხანაგების საძებნელად.

ჩვენი ნაცნობი ცვარი ისევ ზღვისაკენ გასწევს; აქ აიხსნის თავის ტვირთს: ზღვაში მარილსა და კირს დასტოვებს და, ორთქლად და ღრუბლად ქცეული, ისევ ჩვენსკენ გამოეშურება, რომ ისევ ჩვეულებრივ ცვარად ჩამოვარდეს. ამ ცვარს ბალახის ძირები შესწოვს; ბალახით ძროხა გამოძღება; როცა ძროხის რძეს რომელიმე ბავში შეხვრეპს, რძე სისხლად და ხორცად იქცევა; ცნობილი ცვარი ადამიანის სისხლსა, ძარღვებსა და ტანში ჩაუდგება. იქნება ეს ცვარი ახლა ჩვენს თვალში ბრწყინავდეს ან ძარღვში სისხლად შედიოდეს.

მაგრამ, როცა ჰაერს ამოისუნთქავთ, ეგ ცვარიც ამოჰყვება და ისევ ქვეყანაზე ორთქლად სეირნობას დაიწყებს. ასე მოგზაურობს ცვარი წლითი-წლობით და არავინ იცის, როდის გათავდება ეს მოგზაურობა.

რომელს მდინარესა, ზღვასა და ოკეანეში არ უვლია ჩვენს მგზავრს! რამდენი საკვირველება არ უნახავს! როგორც ახლა, ისე მგზავრობდა იგი ათასი წლის წინათ, ისე იმოგზაურებს ჩვენ შემდეგაც.

ჰაერი.

მრავალ ადამიანს ჰგონია, თუ ადგილი რაიმე თხელს ან გარ სხეულს არ უჭირავს, იგი სრულებით ცარიელი უნდა ოსო. მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა, რადგანაც ნამდვილად ოველგან ჩვენს გარშემო ჰაერი იმყოფება, თუმცა ჩვენ მას ერ ვამჩნევთ. ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ ჰაერი გამჭვირ-ლი, უფერო და უხილავია.

ჩვენ შეგვიძლია ადვილად დავამტკიცოთ, რომ ჰაერი ყო-ელგან იმყოფება.

ავიღოთ, მაგალითად, ცარიელი ბოთლი და წყლით სავსე ქვაბში ჩაუშვათ: ადვილად შევამჩნევთ, რომ ბოთლში მყოფი ჰაერი, რომლის ადგილიც ახლა წყალმა დაიჭირა, პატარა ბუშ-ტების მზგავსად ქვაბის ზედა პირზე ამოჩუხჩუხდება.

ეს ცდა თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაუბრკოლებლად ოახდინოთ. აიღეთ ცარცის ნატეხი და წყლიან ჭიქაში ჩაად-დეთ; თქვენ მაშინვე დაინახავთ, რომ ცარციდან წყლის ზედა პირზე ბუშტები ამოცურდება და მაშინვე დასკდება. ეს ბუშ-ტები ჰაერია, რომელიც ცარცში იმყოფებოდა. ცარცში თვა-ლით უხილავი მრავალი ჭუჭრუტანაა. ეს ჭუჭრუტანები წინათ ჰაერით იყო სავსე. წყალმა ახლა მისი ადგილი დაიჭირა და ამგვარად ჰაერი გარედ გამოდენა.

ჩვეულებრივ ჩვენს გარეშემო მყოფს ჰაერს ვერ ვამჩნევთ. მაგრამ როდესაც ძლიერი ქარი უბერავს, ჰაერი სახეზე გვცემს, ტანისამოსს გვიფრიალებს და გვიშლის იმ მხარისკენ სიარულს, საიდანაც იგი უბერავს. აი, მხოლოდ მაშინ შევამჩნევთ ხოლმე, რომ ჩვენს გარშემო რაღაც ნივთიერება იმყოფება, რომელიც დედამიწის ზედა-პირზე ისე მიმდინარეობს, როგორც მდინარე წყალი, და შესამჩნევი ძალღონით აწვება ჩვენს სხეულს.

საიდან წარმოსდგება ქარი? იქნება იკითხოთ თქვენ. ვე-ცადოთ, მაგალითით ავხსნათ ეს მოვლენა და აქვე, კლასში, გავაჩინოთ ქარი. ავანთოთ ორი სანთელი და ამ თბილი სა-კლასო ოთახის კარი ცივი ოთახისკენ გავაღოთ. ერთი სან-

თელი კარის თავისკენ ავსწიოთ—თქვენ დაინახავთ, რომ სანთ-ლის ალი ცივი ოთახისკენ გადიხარა. მაშასადამე, ჩვენ ორგვარი ქარი გავაჩინეთ.

ზევით ქარი თბილი ოთახიდან ცივისკენ უბერავს, ქვეით კი ცივი ოთახიდან თბილისკენ ჰქრის.

არ იფიქროთ, რომ ქარი ამ სანთლების საშუალებით წარმოსდგა: სანთლები მხოლოდ მაჩვენებელი არიან, თუ საი-დან უბერავს ქარი. ხოლო თვით ქარი იმის შედეგია, რომ ერთს კლასში ჰაერი თბილია, და მეორე ოთახში კი ცივი.

კლასიდან თბილი ჰაერი ზევით მიმდინარეობს, რადგა-ნაც თბილი ჰაერი მსუბუქია, და ცივი ჰაერი გრილი ოთა-ხიდან თბილისკენ მიესწრაფის, რადგანაც ცივი ჰაერი თბილზე უფრო მძიმეა.

ამგვარივე მოვლენა არის ბუნებაშიაც, მთელს დედამიწის ზურგზე; მხოლოდ, რასაკვირველია, უფრო დიდისა და ძლი-ერი სახით. როდესაც დედამიწის ერთ ადგილას ცივა, ხოლო მეორე ადგილას ცხელა, მაშინ ჰაერის ორი მიმომდინარეობა ჩნდება: ცხელ ადგილას გახურებული ჰაერი მსუბუქდება და მაღლა და მაღლა იწევს: მაშინ სხვა ადგილებიდან ცივი ჰაერი მოისწრაფის და მაღლა აწეული თბილი ჰაერის ადგილს იჭერს. თბილი ჰაერი, ცხელი ადგილიდან მაღლა ასული, სხვა ცივ ადგილებს ეფინება, ხოლო ცივი ჰაერი ქვეით ცხელ ადგილებისკენ მოეშურება. აი, ამ მოვლენის გამო წარმო-სდგება ქარი.

ქარის ძალა ჩვენთვის მეტად სასარგებლოა: ის ატრია-ლებს წისქვილის ფრთებს და იალქნების საშუალელით ხომალ-დებს ამოძრავებს.

როდესაც მდინარეების, ტბებისა და ჭაობების წყალი ორთქლად იქცევა, ქარი ამ ორთქლს ცის სივრცეში ჰფანტავს, სანამ ორთქლი ღრუბლებად არ შეიკუმშება და ჰაერის ცივ ნაკადულს არ შეხვდება, სადაც იგი, წვიმად ან თოვლად ქცეული, ისევ დედამიწაზე არ დაეშვება. ქარი რომ არა ყო-ფილიყო, წვიმად ქცეული ღრუბლები ისევ ზღვებსა,

ტბებსა და ჭაობებზე დაეშვებოდა, ხოლო ირგვლივ დედამიწაზე საშინელი გვალვა დადგებოდა, რის გამოც ვერც მცენარეები გაიხარებდა და ვერც ცხოველები იცოცხლებდენ. ძნელია კაცმა ჩამოთვალოს ის ურიცხვი სარგებლობა, რომელიც ქარს ადამიანისთვის მოაქვს.

მაგრამ ქარი ხანდისხან მეტად საშიში რამ არის. ხშირად, ძალიან ხშირად ქარი ზღვას აღელვებს, ქარიშხალს აყენებს, გაშმაგებულ ზვირთებს ხომალდს აჯახებს და ხომალდს უფსკრულისკენ ისტუმრებს. დედამიწაზე ძლიერი ქარი ხეებს ძირიანათა სთხრის, სახლებიდან სახურავებსა ჰგლეჯს და ხანდისხან თვით სახლებსაც კი ანგრევს ხოლმე; ხშირად ნაყოფიერს, მოსავლიან ადგილებს სილითა და ქვიშით ჰფარავს: ცხელი ქარი ამ ადგილებს სრულიად აშრობს, ხოლო ცივი ჰყინავს.

რაც უნდა იყოს, ქარს მაინც უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზარალი.

ბუნებისა და ადამიანის ძალები.

ცასა, დედამიწასა და მთელ ქვეყნიერობაზე ყოველივე ჩნდება და სწარმოობს ღვთის მიერ შექმნილ კანონების ძალით. მაგრამ ამ ქვეყნად კაცს გარდა არავის არ ძალუძს ეს კანონები შეიგნოს და ღვთის ქმნილების სიბრძნესა და მშვენიერებას სავსებით მისწვდეს.

მზე, დედამიწა, ჰაერი და წყალი ყოველ სულდგმულს დედამიწაზე სიცოცხლეს აძლევს; ხოლო თვითონ კი სიცოცხლეს მოკლებულნი არიან. მცენარე თესლიდან ამოდის, მიწის სისველისა და ჰაერისაგან იკვებება, იზრდება, ბოლოს ბერდება და კვდება; მაგრამ იგი თავის სიცოცხლეს თითონვე ვერ გრძნობს, არ შეუძლია ადგილიდან დაიძრას, აზროვნება იქონიოს, თავის ნებაზე თვისი ცხოვრება შეცვალოს.

ცხოველთა ცხოვრებაში ადამიანისათვის ბევრი რამ საკვირველი არის—მათში თითქო რაღაც გონიერი ძალა მოქმედობს. მერცხალი ხელოვნურად იშენებს თავისთვის ბუდეს, ფუტკარი საკვირველ სარაჭს აკეთებს, ობობა ეშმაკურად ქსოვს საჭერ

ბადეს, მატლსაც კი მიწაში საცხოვრებლად ხვრელი გაჰყავს და მჭიდრო სახურავს უკეთებს, რომ სიცხისა და სიცივისაგან თავი დაიფაროს. **მ**რავალ მოთმინებას, სიმარდეს, მოხერხებას იჩენენ ბანჯგვლიანი და ფრთოსანი მტაცებლები, როდესაც თავის მსხვერპლს ხელში ჩასაგდებად უთვალთვალებენ. **დ**იდ სიფრთხილეს და ათას გვარ მოხერხებულ ღონისძიებას ხმაროგენ უმწეო არსებანი, რომ მტერს ხელიდან გაუსხლტენ. **ხ**არაბუაც კი ხშირად გაჭირვების დროს თავს მოიმკვდარუნებს. **ზ**ოგიერთი თევზი, როდესაც მას მტერი თავს ესხმის, შურდულივით დაეშვება ძირზე, ამღვრევს წყალს და ამით განსაცდელს თავიდან იცდენს.

ცხოველთა გუნდებსა და ჯოგებს თავისი ყარაულები და წინამძღოლები ჰყავთ, რომელთაც ისინი ყოველთვის ემორჩილებიან. **მ**რავალგვარი ფრინველები დანიშნულ დროს რამდენისამე ათასი ვერსის მანძილზე მიემგზავრებიან თბილი ქვეყნებისაკენ, იგინი დანიშნულ დროსავე უბრუნდებიან თავის ძველ ბუდეებს და ერთხელაც გზა არ დაებნევათ.

ადამიანი, თუ კი გულმოდგინეთ დაუკვირდება ცხოველთა ცხოვრებას, ადვილად შეამჩნევს, რომ მათში რაღაც გონიერი ძალა მოქმედობს; მაგრამ ეს ძალა სრულებით ისეთი არ არის, როგორიც ადამიანს აქვს მინიჭებული: ცხოველები სწორედ ისე ზრუნვენ თავის თავზე დასაბამითგანვე, როგორც ამ ათასი წლის წინათ ცხოვრობდენ და ზრუნავდენ მათი წინაპარნი; მათ არ შეუძლიათ თავისი ცხოვრება გაიუმჯობესონ, არ შეუძლიათ რაიმე გადაიღონ სხვისაგან ან მოიგონონ საუკეთესო რამ ცხოვრებისათვის. **ა**ი, მაგალითად, ბელურას თუმცა კარგათ ესმის, რომ მერცხალს უკეთესი ბუდე აქვს და მოხერხებულ დროს კიდეც სცდილობს, დაეპატრონოს მას, მაგრამ ის კი არ შეუძლია, რომ თითონვე გადაიღოს და შეისწავლოს იმავე მერცხლისაგან, თუ როგორ აიშენოს ასეთი მოხდენილი და მყუდრო ბუდე.

მხოლოდ მარტო ადამიანს მისცა ამ ქვეყნად **ღ**მერთმა შეგნება და ნათელი გონება. **ო**დესღაც ადამიანი სოროებსა

და გამოქვაბულებში იმალებოდა, ცხოველების ტყავით ტანს იფარავდა, ცხოველივით უმი ხორცით იკვებებოდა. Მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცი გამოცდილებითა და ცოდნის შეძენით განათლდა და ცხოვრების ყოველსავე დარგში გაუმჯობესება შეიტანა. Ახლა ადამიანი დიდებულ სასახლეებს იშენებს, გამოიგონა საკვირველი მანქანები ათასგვარი მატერიის საქსოვად, ხელოვნურად აშენებს და ზრდის თვის საცხოვრებლის ახლო მცენარეებსა და ცხოველებს. Ყოველივე ეს ადამიანმა შეიგნო და შეისწავლა იმის წყალობით, რომ გულდასმით ადევნებდა თვალყურს უსულო და სულიერ ბუნებას და ნელ-ნელა იკვლევდა მის საკვირველ კანონებს. Თავისი გონების წყალობით კაცმა დაიმორჩილა და მოსამსახურეთ გაიხადა მზე და დედამიწა, წყალი და ჰაერი, მცენარენი და ცხოველები—ეს უსულდგმულო და სულდგმული ბუნება. Ადამიანი ცოდნასა და ხელოვნებას სხვადასხვა გვარად აფართოებს და აუმჯობესებს და საუკუნოებით შეძენილს სულიერ სიმდიდრეს—მეცნიერებასა და ხელოვნებას შემდეგს თაობას, შთამომავლობას უტოვებს.

Ღმერთმა მარტო ადამიანს მისცა ნათელი გონება კეთილისა და ბოროტის შეგნებისა და გარჩევისთვის და სპეტაკი სინიდისი ჩაუნერგა. Ადამიანმა შეიგნო Ღვთის ნება და ცდილობს ღვთისნიერად მოაწყოს თავისი ცხოვრება საკუთარს მშობელ ოჯახში, მშობელს ხალხში და მთელს კაცობრიობაში.

Ქვეყნად ყოველივე Ღვთის განგებით, Ღვთის აუცილებელი კანონების ძალით ტრიალებს, ხოლო ამ კანონების შეგნება და მიწვდომა, ცოდნის შეძენა და შემატება, მისი ერთის შთამომავლობიდან მეორეზე გადაცემა—ყოველივე ეს Ღმერთს ამ ქვეყნად მხოლოდ ადამიანისათვის მიუნიჭებია.

ზოგიერთი სიტყვების განმარტება.

აბურცება . **ლ**აწვის ან დამდულრვის გამო რომ ხორცის კანი აიბუშტება და შიგ წვენი ჩადგება.

აბჯარი . **ჯ**ავშანი; ძველებური, მეომართათვის სახმარი, ტანსაცმელი ჭრილობის ასაცდენად, გაკეთებული რკინისა და ფოლადის რგოლების ბადისაგან; სადაც მოხერხდებოდა, იქ ბადის მაგიერ მთელი რკინისაგან გაკეთებულ იარაღს ხმარობდენ: მკლავებზე—ხელნავებს, ფეხებზე—საბარკულს, თავზე—ზუჩსა და მუზარადს. **ცხ**ოველებსაც აქვთ მზგავსი რამ მოსაგერებელი იარაღები და ტყავი, რომელიც მათ ბუნებით შესძენიათ.

ადრესი . **მ**ასაგზავნ კონვერტებზე და სხვა ნივთებისა და საქონლის სახვევებზე წარწერა, თუ განაგზავნი ვის და სად უნდა მიუვიდეს და გადაეცეს.

აივანი . **შ**ესავალი, წინკარი, გადახურული უკედლო სამყოფი კაცთათვის, სახლებზე მიშენებული; დერეფანი, ვერანდა, ბალკონი.

აკანათი . **მ**ახე ფრინველთა დასაჭერი.

აკვიატება . **ა**დევნება, გარდაკიდება, აჩემება, დაჟინება.

ალვახაზი . **ე**რთგვარი ტკბილეული საჭმელი, გასქელებულის თაფლისაგან გაკეთებული.

ალიზი. . **მ**ამოუმწვარი აგური და თვით მოზელილი საგურე მიწა, რომელსაც კირის მაგიერ ხმარობენ.

ალო . **ნ**ახნავი მიწა, მხვნელთა შრომის სასყიდლად დანიშნული.

ანეული . ბაწმენდილი და დახნული მიწა, გაზაფხულზე პურის დასათესად მომზადებული.

ანცი . Celqi.

ანძა . ხომალდის მაღალი სვეტი, რომელზედაც ბაწრებით აკიდებულია იალქნები, ანუ ფრთები.

არყის ხე . პტყელფურცლიანი მთიული თეთრი ხე რამდენადმე ზინთიანი, საუკეთესო საშეშე ხედ ითვლება ცივ ქვეყნებში.

ასისტენტი . კაცი, დანიშნული მომხმარედ ანუ დამსწრედ რომლისამე საქმის წარმოებისა და ასრულების დროს.

აფრა . ხომალდის იალქანი, სქელი ტილოსაგან გაკეთებული, რომელსაც ქარი უბერავს და ამით ხომალდი ზღვაში მგზავრობს.

ბაბაჭუა . Dedа—ზარდალი, ობობა.

ბაბუსწვერა . მცენარე ბაბუა.

ბაიათი . Ერთგვარი სპარსული ჰანგი სიმღერისა და შვიდმარცვლოვანი ლექსები ამ ჰანგისათვის დაწერილი.

ბანდეროლი . პტყელი შემოსახვევი, ან შესაკრავი, რომელსაც სხვადასხვა საქონლისათვის ხმაროობენ ფოჩტაში, ტამოჟნაში, სააქციზო დაწესებულებაში.

ბარდი . ბურდო, ჯგუფად ამოსული სხვადასხვაგვარი მცენარე, ერთმანეთთან გადახლართული ღერებით, რტოებით, ფოთლებითა და ეკლებით.

ბარიტი . მადანია ერთგვარი, მრეწველობაში საღებავად სახმარებელი.

ბაქანი . კლდეში შეღრმავებული, განჯინასავით, რისამე დასადგამი; ზემო იატაკი ხომალდისა.

ბაჯაღლო . სამ მანეთიანი ოქრო გოლლანდიისა, საკმაოდ დაწმენდილი და შეურეველი ოქრო.

ბერსალიერები . **ი**ტალიის რჩეული ჯარის კაცები, საუკეთესო თოფის მსროლელნი.

ბზინვა . **ე**ლვარება.

ბოკვერი . **ლ**ომის ლეკვი მოზრდილი.

ბორგვა . **შ**ფოთვა, მღელვარება მწუხარებისა და გულის-წყრომისა გამო.

ბორიალი . **ფ**რიალი, ფარფალი.

ბორცვი . **პ**ატარა გორა.

ბოტიალი . **მ**ძიმედ და თითქო უმიზნოდ სიარული, ხეტიალი.

ბუკი . **ს**აყვირი; ფუტკრის სამყოფი, რომელსაც ქართლში **სკას** ეძახიან და იმერეთში **სკა** ფუკტრის სახელია. **ს**აბა ორბელიანი ამბობს: წნელით წნულს ფუტკრის სახლს **სკა** ჰქვიანო და ხისაგან გამოთლილს **როგო** და **ფუკა**. **როგო**, ანუ შეცვლით **ორგო**, ჭურისა და ხალმის სახურავს ჰქვიან; **ბუკის** თავსახურავი, სჩანს, **როგო** უნდა იყოს და ქვემო ნაწილი—**ფუკა** ან შეცვლით ბუკი.

ბულული . **თ**ივის მცირე გროვა.

ბუნაგი . **ბ**არეულ ცხოველთა სორო, ხვრელი, თავშესაფარი, სამყოფი, საბუდარი.

ბუსუსი . **ბ**ინგლი, ქინქლი ბალახისა და ხილის.

ბუძგი . **წ**აბლისა და სხვა მცენარეთა ნაყოფის ეკლებიანი კანი. **ი**მერეთში ძღარბსაც ბუძგს ეძახიან.

ბუხუნა . **ბ**ასუქებული, გარგვალებული ცხოველი.

გადაფოფხვა . **ბ**ადამხობა, გადაფარება ფრთებგაშლით.

გავარვალება . **შ**ანთივით გახურვება რკინისა და სხვა ლითონთა.

გალხობა . **ბ**არბილება, გადნობა.

გარსი . **თ**ხელი კანი რისამე.

გასთანგვა . Ბაგუდვა, მუხრუჭისა და ბაწრის მოჭერით ან სხვებრ.

Ბაღვივება . ᲓᲐᲜთება, ცეცხლის მოკიდება; აღორძინება, გაცოცხლება.

ᲒᲛᲘᲜᲕᲐ . ᲡᲣᲚᲗᲥᲛᲐ, მწუხარება, კვნესა, ოხრვა, ხვნეშა.

ᲓᲐᲑᲣᲮᲣᲚᲘ . ᲤᲔᲮᲔᲑ დასუსტებული, რომელსაც სიარული უძნელდება.

ᲓᲐᲜᲐᲧᲠᲔᲑᲐ . ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ მიღება, ჩაყრა კუჭში, ჭამა-სმა.

ᲓᲐᲝᲡᲔᲑᲣᲚᲘ . ᲜᲐᲛᲔᲢᲜᲐᲕᲐᲓ დასუსტებული და ღონე მიხდილი.

ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ . ᲔᲚᲩᲘ, სახელმწიფოს რწმუნებული კაცი სხვა სახელმწიფოში გაგზავნილი წარმომადგენლად და გამგზავნთა ინტერესების დასაცველად.

ᲓᲝᲚᲚᲘ . ᲓᲐᲤᲓᲐᲤᲘ.

ᲓᲝᲡᲨᲔᲭᲐᲛᲐᲜᲓᲘ ᲜᲐᲓᲚᲕᲔᲑᲘ მაწვნის ნარჩენის სითხისაგან გაკეთებული საჭმელი.

ᲓᲣᲑᲔᲚᲐ . ᲛᲝᲗᲑᲝ წყალი და სასმელად უვარგისი.

ᲓᲣᲚᲐᲑᲘ . ᲗᲮᲔᲚᲘ კირწყალი, თითოეულს ქვიტკირის შენობის წყობას ზევით გადაასხმენ, რომ კირი ქვებს შუა კარგად გაუჯდეს.

ᲔᲠᲓᲝ . ᲑᲐᲜᲘ, სახლის სახურავი.

ᲔᲣᲚᲘ . ᲑᲝᲒᲐᲜᲝ, უმიწაწყლო კაცი.

ᲕᲔᲫᲐ . ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ წყალი, მინერალური წყარო.

ᲖᲐᲜᲖᲐᲠᲘ . ᲨᲔᲫᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲮᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ სახლის კედლების, იატაკისა და აივნის.

ᲗᲐᲗᲘ . ᲮᲔᲚᲘ, ტორი, ცხოველების წინა ფეხებზე უფრო იტყვიან.

თარი . **მ**უსიკალური საკრავი ჩონგურის მზგავსი.
თოხარიკი . **ჩ**ორთით მოარული, ბაჩურად ან ჯორულად სიარული ცხენისა.
თოხისტარა . **ქ**უდქანქალა, წყალწყალა ჩიტი.
თქეში . **ს**ხვილი წვიმა.

კაკანა . **ა**კვანი.
კამკამი. . **წ**მინდა, გამჭვირვალი, ელვარე.
კარაპინი . **ქ**არის ფეხსადგამი მის დასაკიდებლად.
კასკასი . **ქ**ისკისი, გულიანად სიცილი, უდარდელად, გულრწფელად ხარხალი.
კაწკაწი . **ქ**ბილთა ღრჭენა, ღრაჭუნი, კრაჭუნი.
კაჭაჭი . **ლ**ვარძლი და ან სხვა ბალახი, პურისა და სხვა მოსავლისათვის მავნებელი; უმეცრება ხალხის განვითარების მავნებელი.
კევრი . **პ**ურის თაველთა გასალეწი იარაღი.
კინკრიხი . **თ**ავის ძვლები, ქალა.
კირთება . **მ**ონობა, მონობის უღლით დატვირთვა.
კისკასი . **მ**კვირცხლი, ცქვიტი, მარდი, მარჯვე, მონავარდე, სიცოცხლით აღსავსე,—აქიდან გურული **ქესკინია.**
კოზიროკი . **თ**ვალსაფარი ქუდისა.
კოთხო . **ქ**ვახის სასმისი, ან ხის ტყავისაგან გაკეთებული საწყავი ხორბლისა, სიმინდისა და სხვა მარცვალთა და ფხვიერთა, ფქვილთა და სხვ.
კონკილა . **ს**აყენი, ურმის შესაყენებელი გასაჩერებლად.

კრიახი . **ქ**ათმის ჩქარი და ხმამაღლად კაკანი, შიშისა და მწუხარების აღმნიშნველი.
კუნაპეტი . **შ**ავი, ბნელი უკუნი, სიტყვა ზოგან გადასხვაფერებული სიტყვისაგან **უკუნობითი.**
კუნძული . **მ**თაგორიანი ხმელეთის ნაწილი, რომელსაც გარშემო ზღვა უვლის.

კურკანტელა . ეკლიანი მცენარე, ბუჩქებად, წითელ-წითელ ნაყოფს იბამს,—ღიჭი.

ლასტი . ჩელტი, გასხლული წნელისაგან ღობესავით წნული რისამე საწყობი.

ლახვარი . ბრძელტარიანი რკინის იარაღი, შუბი.

ლირი . იტალიის, ოსმალეთისა და სხვა სახელმწიფოების ფული, დაახლოებით ჩვენის მანეთის ოდენი, ან მეტი შვიდ მანეთამდი.

ლიფსიტა . პატარა თევზი.

ლული . ღვარივით შეუსხლეტელი ცრემლთა დენა.

მაჟალო . ტყის ვაშლი.

მარტოხელი . მხოლოდ ერთად ერთი.

მაღარო . მადანთა სათხარი გვირაბი ანუ ხვრელი.

მაჯაგი . ჯანმრთელი, ადვილად გამძლე, ადვილად მომთმენი რისამე.

მებოძირი . გზაჯვარედინი, სადაც რამდენიმე გზა ერთად თავს იყრის, ან სადაც ერთი გზა რამდენიმედ კეთდება და სხვადასხვა მხრით მიდის.

მესაჭე . მოსამსახურე ხომალდისა, სწორ და უვნებელ გზაზე მისი მიმმართველი, კაპიტნის ბრძანების თანახმად.

მეჩითი . მაჰმადიანთა სამლოცველო შენობა.

მინდი . დაფქულის წილი, რასაც წისქვილის პატრონს ქირად აძლევენ.

მიძაბვა . ნელად და ზანტად სვლა.

მოსავი . მსასოებელი, მოიმედე.

მოჭიდება . ხელის ტაცება, ჩაცივება, მოუშვებლობა.

მუზარადი . რკინის თავსახურავი, ქუდი მეომართათვის.

მუმია . ეგვიპტის აკალდამებში ნაპოვნი მიცვალებულთა გვამები, რომელნიც სხვადასხვა წამ-

ლებით შემურვილნი აქამდი უვნებლად შენახულან.

მულრობა . **ლ**ომის ხმაურობა.

მყუდროზე . **მ**შვიდობიან ადგილზე.

მწირე . **ნ**აკლებად ნაყოფიერი ადგილი, ნაკლებად მოსავლიანი.

ნადავლი . **წ**ანართმევი, ნაძარცვი, ალაფი.

ნამჯა . **ქ**ვეშ დასაგები, ჩაჩაბი, რომელსაც ჩალისაგან აკეთებენ.

ნატამალი . **ნ**ამცეცი, ნასახი, ნიშანი რისამე; ნარჩომი, შთამომავლობა.

ნაფოტა . **თ**ევზია ერთგვარი, რომელსაც ტარანს ვეძახით.

ნაჭდევი . დანით, ან ნაჯახით ჩაჭრილი ნიშანი, ჭდე.

ნერგი . **ლ**ასარგავი, ან ახლაც დარგული ჩქოლა ხე.

ნიჟარა . **ტ**ყავკეცი რბილსხეულოვან ცხოველებისა.

ოკეანე . **დ**იდი ზღვა, რომელსაც მთელის დედამიწის უმეტესი ნაწილი უკავია.

ონავარი . **მ**ტაცებელი მხეცი.

ოხრა . **ე**რთგვარი მოწითლო ფერის რკინის მადანი, სიღებავად იხმარება.

პაპანება . **დ**იდი სიცხე.

პეწი. . **ე**ლვარება, ბრწყინვა; კოპწიობა, პეწენიკობა; ტანადობა, მოხდენილობა.

პირქარი . **პ**ირდაპირ წინიდან მბერავი ქარი.

პლანტაცია . **თ**ამბაქოს, ჩაის ბუჩქების, ლერწმის, ბამბის, სიმინდისა და სხვა მცენარეთა ყანები.

პლანტატორი . **ზ**ემოხსენებული ყანების მეპატრონე,—სინონიმია უმოწყალეობისა და უსამართლობის, რომლის წარმომადგენელიც იყვნენ **ე**ვროპიდან **ა**მერიკაში გადასახლებული და გამდიდრებული კაპიტალისტები.

ჟალტამი . ადგილი, სადაც სქლად მოდებულია ეკლნარი ბუჩქები და ბალახ-ბულახი, კაცთათვის ძნელად გასავლელი.

რიკტაფელა . ერთგვარი თამაშია, რომლის დროსაც იარაღად ხმაროობენ ერთი ალაბის სიგრძე ჯოხებს და ნახევარ მტკაველა ხის რიკებს.

საზანდარი . მესტვირე, რომელიც გუდასტვირს უკრავს და თან ლექსებს ამღერებს.

საქანელი . მანქანა, წყლის ამოსაღები ამოსრუტვით.

საჩეხი . საფარი, ანუ ლაფარი.

საცეხველა . მანქანა, წყლით სამუშაო, რომლითაც ღომს, ბრინჯსა და მზგავს მარცვლებს გარეთულს კანს აცილებენ და სწმენდენ.

სიფრიფანა . ულოვლისავე ნივთის გარეგანი თხელი ზედაპირი, სიგრძე-სიგანის მექონი, რომელიც სისქეს სრულიად მოკლებულია.

ტევრი . . სქელი, ბურვილი ტყე.

ტუქსვა . . შერისხვა, გაწყრომა.

უბელო . ცხენზე იტყვიან, როცა შეუკაზმელია.

უმანკო . უნაკლულო, უცოდველი.

ურმული . ერთგვარი სიმღერა.

უსაჭურვლო . შეუიარაღებელი.

უხიაკი . ჭინიანი, თავის ნება, მიუკარებელი.

ფანდური . ფანტური, ერთგვარი მუსიკალური იარაღი.

ფარატინი . ქონკი, დაგლეჯილი ტანისამოსი.

ფარაჯა . მოსახურავი, სალდათების სამოსელი.

ფარეხი . ცხვრის საზამთრო ბინა.

ფართქუნი . ფრთების მოძრაობა იმგვარად, როგორადაც ფრინველმა ტანის ბანის დროს იცის.

ფარფატი . **ა**ქით-იქით ნელა ფრინვა.

ფიფქი . **თ**ოვლად ქცეული წყლის ცვარი.

ფულურო . **ბ**ულრუ, ღრუ, დაცალიერებული ხისღერის გული, რომელიც დაფუტუროებულა და ნაცრად ქცეულა.

ქალა . **თ**ავის სარქველი, თავის სახურავი.

ქართა . **ფ**არეხი, შინაურ პირუტყვთა სამწყვდევი.

ქენჯნა . **წ**ამება, ტანჯვა.

ქირდვა . **უ**ღირსად ვისიმე ხსენება, წამება, ტანჯვა, მასხარად აგდება, ძაგება.

ქულა . **წ**იწილები ზოგიერთ ფრინველთა, რომელნიც ხშირად თეთრი გამოდიან და ამის გამო ამ სიტყვას ფერის მნიშვნელობა მისცემია და ქულას თეთრ კრავსაც ეძახიან, ცის ღრუბელსაც და გაპენტილ ბამბასაც.

ღაზლი . **მ**ატყლის ძაფი.

ღელე . **ბ**უნებით, ან წვიმისაგან გათხრილი ღრმა ადგილები, სადაც მოვარდნილს წვიმის წყალს გზა უპოვნია და მიდის, ან პატარა წყალი და წყაროს ფეხი მუდამ მდინარეობს; ამის გამო თვით წყალსაც ღელე დაარქვეს ისე, როგორათაც **ხევი** ჰქვიან ადგილსაც და წყალსაც, რომელიც ამ ადგილზე მიმდინარეობს.

ღორჯო . **რ**გვალ თავიანი და ფართო პირიანი ერთგვარი პატარა თევზი, რომელიც ღლავს ძალიან ჩამოგავს.

ღუმელი . **ლ**ითონთა გადასადნობი ფურნის მზგავსი ბუხარი.

ყეყეჩი . **ბ**რიყვულად მედიდური, რომელსაც თავი ამაყად უჭირავს, გაგება კი ყოველის ფრის ეძნელება, ისე გამოშტერებულია.

ყუნწი . ნახვრეტი, ყურწი, ყური.

შეთვალვა . ყურძნის ან სხვა მცენარის მტევანს ზოგი მარცვალი სიმწიფის დროს მწვანე ფერის მაგიერ ბუნებითს ფერს მიიღებს, შემდეგ მთელი ტევნები ამ ფერადვე დამწიფდება. როცა ფერისცვლა დაიწყება, იტყვიან ყურძენი შეითვალაო.

შეყუჟვა . შეკუმშვა, შეჯგუფვა, ერთად შეკრება.

შხოლები . ნეშო, ფურცლებიანი ხის შტოები.

ჩოფურა . ნაყვავილებსავით გამხდარი პირის კანი კაცისა

ჩქოლა . ახალნაზარდი ხე.

ჩჩვილი . რბილი, ნაზი, ქორფა, ნორჩი; ახალ-ახალი დაბადებული, ახალი ნაზარდი.

ჩხვლეტა . წვეტიანით რითმე გმერა: სადგისით, ნემსით, და ქინძისთვით.

ცვარი . წყლის წვეთი.

ციგა . სათამაშო მარხილი.

ცურგუმელა . ყმაწვილი ქალ-ვაჟი, ლამაზი და ყმაწვილობით ცოცხალი.

ძაგარა . ჯაგარი, ღორის მაგარი ბალანი.

ძარი . თავიანი, ან კარიანი დიდი გოდორი, გაუთლელი წნელისაგან მოლობილი ფრინველთა სამწყვდევი, ან რისამე ჩასაყრელი სადმე წასაღებად.

ძიძგილაობა . ხუმრობათ ბიძგობა, ბღაუჭობა, შეჭიდავება, შებრძოლება.

წვეთი . ცვარი ყოველგვარი სითხის.

წიბო . გვერდის ძვალი.

წიწიბო . წიფლის ზეთიანი კაკალი.

ლული . ჭრილობა, დაკოდილობა.
ლაკი . ჭალა ადგილი შუა ზღვასა, ტბასა და მდინარეში მოქცეული.
დილა . დაკოდილი, გამოსაჭურისებული ცხვარი.
რეხი . მდინარისაგან მოტანილი და დაყრილი ხმელი ხის შტოების ნამტვრევები.
ოლი . ნაცრის ფერი, თვალებზე იტყვიან.

ითქი . ნიანგი, კროკოდილო.
დაბუნი . სახნავი მიწა დიდი ზომის.
ოკი . ცალიერი კლდოვანი ან ქვიშიანი ადგილი, სადაც არაფერი იზრდება.

ბანი . მშიშარა, მხდალი, ძაბუნი.
ვშანი . ნახე აბჯარი.
უჯუმკალა . მწერია ერთი.

რმონია . ქეთილ-ხმოვანობა და მწყობრობა მუსიკისა, ან გალობისა, შეთანხმებულობა ბუნების მოვლენათა და ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა.